დავით აჯეიშვილი

ჩემი ხედვების ქრონიკა პერესტროიკიდან დღემდე

ეკონომიკური პოლიტიკა
მდგრადი განვითარება
საჩწმუნოებრივი პოლიტიკა

თბილისი 2019

დავით (მიქაელ) ადეიშვილი

ეკონომიკის
დოქტორი

დაიბადა 1959 წლის
13 მარტს

1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი.

1987 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებისა და კომპიუტერული გაანგარიშებების გამოყენებაზე დაგეგმვაში.

1992-1993 წლებში იყო ბენჯამინ ფრანკლინის / ედმონდ მასკის სახელობის სტიპენდიანტი დიუკის უნივერსიტეტში (აშშ), სადაც სწავლობდა ეკონომიკასა და საჯარო პოლიტიკას.

1993 წელს იყო მსოფლიო ბანკის პირველი ინტერნი დამოუკიდებელი საქართველოდან.

1995 წელს ვენის ერთობლივ ინსტიტუტში (JVI) გაიარა გამოყენებითი საბაზრო ეკონომიკის გაღრმავებული კურსი მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით.

კითხულობდა ლექციებს და მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; მუშაობდა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში, სახელმ-წიფო სტრუქტურებსა და სამინისტროებში, კერძოდ, საქართველოს ცენტრალურ სტატისტი- კურ სამმართველოში, ჯანდაცვის, ფინანსთა, ტრანსპორტის და ეკონომიკის სამინისტროებში.

არის რამდენიმე არასამთავრობო და კომერციული ორგანიზაციის დამფუძნებელი.

90-იანი წლების დასაწყისში იყო საქართველოს მწვანეთა პარტიის დამფუძნებელი წევრი და აქტივისტი.

2010 წლიდან არის „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“ პარტიის დამფუძნებელი წევრი.

არის მრავალი პუბლიკაციის ავტორი.

დავით ადეიშვილი

ჩემი ხედვების ქრონიკა პერესტროიკიდან დღემდე

ეკონომიკური პოლიტიკა
მდგრადი განვითარება
საჩწმუნოებრივი პოლიტიკა

კავკასიური სახლი
THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN HOUSE
თბილისი 2019

ამ კრებულის მკითხველი ცხადად დაინახავს, რომ დავით ადეიშვილი „პერესტროიკიდან დღემდე“ თითქმის უწყვეტი ქრონოლოგიით ამჩნევდა, კრიტიკულად აანალიზებდა და წარმოაჩენდა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორებიც იყო და არის: საბჭოთა ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია და საგადასახადო და მონეტარული პოლიტიკა; განვითარების ისეთი მიმართულებები, როგორებიც არის აგრარული და ინდუსტრიული პოლიტიკა, ენერგეტიკული და სატრანსპორტო პოლიტიკა; სოციალურ-ეკოლოგიური პრობლემატიკა, რელიგიურ-ტრადიციული ღირებულებების დაცვა და სხვ. ის, როგორც „მწვანე“ და მორწმუნე სოციალ-დემოკრატი, თემებს აშუქებს არსებითად მემარცხენე-ცენტრისტული და თანამედროვე არაორდინარული-ალტერნატიული მიდგომების თვალთახედვით. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ დასმული საკითხები ფუნდამენტური და აქტუალურია ჩვენი პოლიტიკის დღის წესრიგისათვის.

გია ჟორჟოლიანი,
პარლამენტის წევრი, პარტიის „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“ თავმჯდომარე

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი პერიოდი დატვირთულია პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების მრავალფეროვნებით. არანაკლები მრავალფეროვნებით გამოირჩევა ის იდეები, რომლებიც ეროვნული მოძრაობის გააქტიურებიდან დღემდე იყო და არის ქართული საზოგადოების „მაჯისცემის“ ამსახველი. ბატონი დავით ადეიშვილის წიგნი ასახავს სწორედ ამ პერიოდის ავტორისეულ იდეებს, მათ განვითარებას. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია თანამედროვე საქართველოს და მისი ეკონომიკის უახლესი ისტორიით. განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ახალგაზრდებისთვის, რომ-ლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ დამოუკიდებელ საქართველოში, და რომელთათვისაც ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შემდგომი განვითარების გზა მეტ-ნაკლები ბურუსითაა მოცული.

აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა

მართლმადიდებელთა ცხოვრების წესი ვერ იქნება პასიური და გულგრილი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური ცხოვრებისადმი. როგორც პიროვნება უნდა ესწრაფვოდეს მუდმივ სრულყოფას - ღვთის მიმსგავსებას, ასევე საზოგადოებაც უნდა ცდილობდეს, გარდაიქმნას უკეთესობისკენ და სრულჰყოს საკუთარი თავი. მკითხველი, გასაკუთ-რებით მორწმუნე მრევლი, ამ წიგნის ნაწილში, „სარწმუნოებრივი პოლიტიკა“, ნათლად დაინახავს აშკარა მსგავსებას და საერთო ფესვებსაც კი ქრისტიანობასა და თანამედროვე მემარცხენე იდეოლოგიას შორის, რომლის მიზანი უნდა იყოს სწორედ სამართლიანი, სოლიდარული (ძმური) და კეთილდღეობის (სრულყოფილი) საზოგადოების შექმნა; ავტორისთვის იდეალური პოლიტიკური მსოფლმხედველობაა „ქრისტიანული ეკოსოციალიზმი“... ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ შეიძლება, ვეწინააღმდეგებოდეთ მოწოდებებს, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში გაბედულად უნდა ჩაერთონ მართლმადიდებლური ღირებულებების მატარებელი, კეთილი ზრახვებით მოტივირებული ქრისტიანები.

დეკანოზი დავით შარაშენიძე,
„საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორი

წინათქმა 9
ეკონომიკური პოლიტიკა 12
რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშისთვის 13
გზა სუვერენიტეტისკენ 20
„დეფიციტური ეკონომიკა“ და ელექტროენერგიის დეფიციტი 28
საბაზრო ეკონომიკა და საქართველოს მომავალი. მგონი ძალიან დაგვიგვიანდა 36
ეკონომიკური რეკვიემი საქართველოს ეკონომიკის ძნელი დაღმართი 40
მიწის რეფორმის გამო 50
ცხოვრებას ფასი დაეკარგა, მაგრამ ის მაინც ძვირდება 59
„ძირითადი მიმართულებები“ - მიმართულება საით? 64
ოპტიმისტური ტრაგედია ანუ შტრიხები საქართველოს პორტრეტი-სათვის СНГ-ს ინტერიერში 69
საკუთარი ფული – აუცილებელი და შესაძლებელი 76
კიდევ ერთი „ჰაერის“ კრედიტი 88
მთავრობა „მოკვდა“, როგორ ვუშველოთ თავს?. 91
ერთადერთი და განუმეორებელი, ანუ $, DM, Рубль... – de facto და de jure 96
მეგონა, მეფეო, შენ ფხიზლობდი შინაური ინვესტორი შეღავათებს მოითხოვს 101
საქართველო-დერეფანი თუ საქართველო-არეალი? 105
მაგისტრალი - საქართველო საერთაშორისო სატრანსპორტო ქსელებში 113
„ვაქციოთ სიღატაკე ისტორიად!“, ანუ საქართველოს სიღარიბის პროფილი 119

„ერთი მუჭა ელიტა ქვეყანაში მოთხოვნას ვერ შექმნის“. 122
ლარის გაუფასურება - პერსპექტივა ქართული ეკონომიკისთვის. . 128
დავით ადეიშვილი: „რაც უფრო მდიდარია ადამიანი, მით უფრო მეტად უნდა დაიბეგროს“ 134
გადასახდისაგან გათავისუფლება შერჩევითი და მიზნობრივი უნდა იყოს 139
მდგრადი განვითარება 144
დეფიციტი თუ ეკოციდი?. 144
მწვანე ეკონომიკური დოქტრინისთვის (თეზისები) 150
არა სოციალიზმი, არა კაპიტალიზმი, არამედ „ახალი ეკონომიკა“ .163
„მწვანე იდეები“ – სასიცოცხლოდ აუცილებელი 168
საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციისთვის 173
ენერგეტიკული პოლიტიკა – საფრთხე ეკოლოგიურ-სოციალური გარემოსთვის 191
ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის სტრატეგიულ-პოლიტეკონომიური და სოციალურ-ეკოლოგიური ასპექტები 197
ხუდონჰესის პროექტი და მდგრადი ენერგეტიკის გამოწვევები . . . 205
ინოვაციური მრეწველობა – მდგრადი განვითარების ლოკო-მოტივი 208
დღის წესრიგი: მდგრადი განვითარების მიზნები - 2030 216
თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა – სწრაფი და მდგრადი განვითარებისთვის 223
ეკონომიკური განვითარება, სტრუქტურული ტრანსფორმაცია და ინდუსტრიული პოლიტიკა 231
მწვანე ეკონომიკა დეკლარირებულიდან რეალური პრიორიტე-ტის რანგში! 243

სარწმუნოებრივი პოლიტიკა 247
ქართული ქრისტიანულ – სოციალისტური მოძრაობა 248
პოლიტიკური მრწამსი 248
მიმართვა ქრისტიან – სოციალისტური მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის სახელით 251
რატომ ვდგავართ აქ? 252
ქრისტიან-სოციალისტთა განცხადება 255
სიტყვა სატელევიზიო გადაცემისათვის „თავისუფალი ტრიბუნა“ . . 255
ქრისტიანული ეკოსოციალიზმი 257
ქრისტიანულ-სოციალისტური მეტაეკონომიკა 263
რა არის ქრისტიან-სოციალიზმი და ვინ არიან ქრისტიან-სოციალისტები? 266
საარჩევნო სახელმძღვანელო ქრისტიანთათვის! 269
ქრისტიან-სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის. სიტყვა ყრილობისთვის 272
ქრისტიან-სოციალისტთა სააღდგომო და საშობაო გზავნილები . . 277
ჩემი ფოტოარქივიდან 315

წინათქმა

ცხოვრების მე-60 წელიწადი მაპროვოცირებელი თარიღია ნა-ფიქრალის, უკვე თქმულის ან დროში ჩაკარგულის შესაკრებად და ხელახლა წარმოსაჩენად.

რა შეიძლება, ვუწოდოთ წიგნის პრეტენზიით გაერთიანებულ ჩემს ტექსტებს? - ალბომი? კრებული? იქნებ, რამე უფრო ერთიანი და სისტემატიზებული? ამას მკითხველი განსჯის. მე კი ვიტყვი: ეს არის ჩემი 30 წლის განმავლობაში შექმნილი ინტელექტუალური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ქართულ პრესაში და ინტერნეტ მედიაში გამოქვეყნდა და აქ უცვლელადაა გადმოტანილი.

სერიოზულ კვლევით და მეცნიერულ მისწრაფებებზე უარი ვთქვი არა მხოლოდ იმიტომ, რომ არც ჩემთვის იყო სარგებლიანი და არც სხვებისთვის დიდად საინტერესო, თუნდაც დროებიდან გამომდინარე, არამედ იმიტომაც, რომ მიმაჩნდა, მეცნიერებას ბევრს ვერაფერს შევძენდი... ამ დასკვნისთვის საკმარისი ცოდნა დამიგროვდა ჩემი სწავლის პერიოდში, როგორც საბჭოთა, ისე უცხოურ სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებში. კაცმა რომ თქვას, ჩემი პროფესია - ეკონომისტი, განსაკუთრებით კი მისი კონვენციური, მეინსტრიმული სწავლება, არ მიმაჩნდა მეცნიერებად (science) ე.ი. არც ვიზიარებდი, თუმცა კვლევების და სტრატეგიული ხედვის ფორმალიზებას ყოველთვის აუცილებლად ვთვლიდი.

როგორ ყალიბდებოდა შეხედულებები?

თავიდანვე გაბატონებული ხედვისგან განსხვავებულად: 70-იანი წლების ბოლოს საბჭოთა საქართველოში ახალი, ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია, ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეცია-ლობა, Inter Alia ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება იმ დროისთვის უცხო, საბაზრო ეკონომიკის ელემენტებით, ინფორმაციის თეორია და დამუშავება კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით რადიკალურად განსხვავდებოდა უკვე დრომოჭმული საბჭოთა ეკონომიკური სწავლებისაგან და აშკარად წარმოაჩენდა იდეოლოგიურ თუ პრაქტიკულ წინააღმდეგობებს.

შემდეგ პერესტროიკის მიერ მოტანილი თავისუფლების ნიავი, ეროვნული მოძრაობა და მისი „მწვანე“ შენაკადი (მწვანეთა მოძრაობა და პარტია), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ახალი იმპულსები იყო განვითარებასა და მის მიზნებზე საფიქრალად და შესასწავლად. ასე

„აღმოვაჩინე“ ალტერნატიული ეკონომიკური და ზოგადად განვითარების ხედვები, გლობალისტური პრობლემატიკა.

დიდი შვიდეულის ეკონომიკური სამიტის (ლონდონი, 1991) ალტერნატიულ მოძრაობაში „The Other Economic Summit“ მონაწილეობა, მაშინდელი კონტაქტები, ავტორები და ლიტერატურა გახდა გარდამტეხი ჩემი პროფესიონალურად „გამწვანებისა“ და გადიველოპმენტალისტების პროცესში. ეს იდეები და გავლენები ასახულია „მწვანე ეკონომიკურ დოქტრინასა“ (1990) და „საქართველოს მდგარადი განვითარების კონცეფციაში“(1992).

ბუნებრივია, ჩემი დაინტერესება ამ თემით გაგრძელდა დიუკის უნივერსიტეტში სწავლისას და მსოფლიო ბაკში (WB) სტაჟირებისას (1992-93). დიუკში გავიარე მდგრადი განვითარების (Sustainable Development) სასწავლო კურსი, ხოლო მსოფლიო ბანკში დაუვიწყარი ბიზნეს ლანჩი მქონდა მაშინ იქ მომუშავე ჰერმან დეილისთან - ეკოლოგიური ეკონომიკის მამასთან. 1994 წელს კი გავხდი მდგრადობის მართვის პირველი საერთაშორისო პროგრამის (ჰოლანდია) კურსდამთავრებული.

უფრო მოგვიანებით, შვიდწლიანი (2003-2010) მართლმადიდებლური გამოცდილებით ჩემი შეხედულებები გაქრისტიანდა, რაც სრულიადაც არ მოსულა წინააღმდეგობაში მწვანე და მემარცხენე იდეოლოგიასთან. შევეცადე, ეს ყველაფერი მეთქვა „ქრისტიან-სოციალისტთა პოლიტიკურ მრწამსსა“ (2011) და „ქრისტიანულ ეკოსოციალიზმში“ (2012), საშობაო და სააღდგომო გზავნილებში და სხვ.

პროფესიულ ცოდნას პრაგმატულად ვუყურებდი - ერთის მხრივ, როგორც ყოფით-სამსახურებრივ საშუალებას, და მეორეს მხრივ - როგორც პოლიტიკური და იდეოლოგიური ზემოქმედების იარაღს. ამიტომაც იყო, რომ ჩემი სტატიები იწერებოდა გარკვეული მიზნით, ზოგჯერ ემოციურ ფონზე, რასაც ხშირად მოსდევდა სატელევიზიო კომენტარები და დებატები...

შეიძლება ითქვას, რომ ჩემი პოლიტიკური პოზიცია ყოველთვის იყო მემარცხენე-ცენტრისტული - ჯერ მწვანეთა მოძრაობისა და პარტიის, ხოლო შემდეგ პოლიტიკური ორგანიზაცია - „სოციალ-დემოკრატები განვითარებისათვის“ სათავეებიდან მოყოლებული. პოლიტიკურ-იდეოლოდიური მრწამსი კი ჩამოყალიბდა, როგორც ქრისტიანული ეკოსოციალიზმი. უფრო მოკლედ და ზოგადად რომ ვთქვა, ვარ ქრისტიან-მემარცხენე. ამ იდეოლოგიითა და მრწამსით არის დაწერილი ჩემი ტექსტები.

„შეხედულებათა ქრონიკა“ არის მასალა ჩემი პროფესიულ-მსოფლ-

მხედველობითი პორტრეტისთვის.

- ვის სჭირდება ეს პორტრეტი? - ალბათ, ყველაზე მეტად ჩემს უშუალო შთამომავალთ, მაგრამ იქნებ სხვებსაც - ფართო წრეს - საქართველოს წარსულითა და მომავლით დაინტერესებულთ.

ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო ბიძაჩემს აწ გარდაცვლილ პროფ. ჭიჭიკო ადეიშვილს, რომელიც წლების განმავლობაში გულმოდგინედ ინახავდა ჩემს მიერ (ან ჩემზე) გამოქვეყნებულ ყველა ბეჭდურ ტექსტს... და ჩემს თანაავტორს, რედაქტორს, ცხოვრების თანამგზავრს და მეუღლეს ხათუნა მაისაშვილს, რომლის გარეშე ძნელად თუ წარმოვიდგენდი წინამდებარე წიგნის გამოცემას.

დავით (მიქაელ) ადეიშვილი

ეკონომიკური პოლიტიკა



წყარო: მსოფლიო ბანკი. **ვეწევით წარსულს?**

1988

1988 - წელიწადი, რომელიც გარდამტეხ წლად იქცა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში. წერტილი, რომელმაც ცხადი გახადა, რომ გზა საბჭოეთის რეანიმაციისკენ უბრალოდ აღარ არსებობდა. იყო მხოლოდ გზა წინ - პრაქტიკულად სრულიად ბუნდოვანი, მაგრამ თეორიულად თითქოს სრულიად ცხადი. სწორედ, ამ წელს გამოვიდა ეროვნული მოძრაობა იატაკქვეშეთიდან, და, სწორედ, 1988 წლის ნოემბრიდან დამყარდა საქართველოში „ორხელისუფლებიანობა“: საბჭოთა კომუნისტური ოფიციალური რეჟიმი და - მის თანაბრად, თუ უფრო ძლიერად და ეფექტურად არა - ჯერ კიდევ ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.
ეროვნული მოძრაობა მრავალი შენაკადისგან შედგებოდა, და ერთ-ერთი შენაკადი უნივერსიტეტის პრესკლუბი გახლდათ.
პრესკლუბის წევრები: ნიკო ნიკოლოზიშვილი, დათო ტურაშვილი, თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე ძალიან პოპულარულები იყვნენ არა მხოლოდ უნივერსიტეტში, არამედ მთელ საქართველოში. მოხვედრა ავტორის ამპლუაში მათი „სტუდენტური ფურცლის“ - ცენზურისგან თავისუფალი მედია გამოცემის გვერდებზე პრესტიჟულიც იყო და

საამაყოც. ჩემი შესვლა ამ სივრცეში საკმაოდ მძიმე თემით მოხდა - თუმცა სიმძიმის მიუხედავად, თემის აქტუალობის და მნიშვნელობის პრესკლუბელებისათვის დასაბუთება არ ყოფილა ძნელი. ეს იყო ჩემი პირველი გამოქვეყნებული ტექსტი.





თბილისის უნივერსიტეტი, 28 ოქტომბერი, 1988, სტუდენტური ფურცელი N9 (პასუხისმგებელი გამოშვებისთვის პროფ. ვ. გოგუაძე)

რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშისთვის

ჩვენს სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლა. ამ მხრივ ინტენსიური მუშაობაა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებშიც, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა რესპუბლიკურ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ სამეურნეო ანგარიშის ბალტიისპირული მოდელი ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა, მაგრამ სასურველია, რომ მსგავსი მოდელი შეიქმნას საქართველოში იმ თავისებურებების და მდიდარი სამეურნეო პოტენციალის გათვალისწინებით, რაც ჩვენს რესპუბლიკას გააჩნია. ჩვენი თხოვნით ბალტიისპირეთის რესპუბლიკური გაზეთების პუბლიკაციების მიმოხილვა გააკეთა უნივერსიტეტის თანამშრომელმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა მიხეილ ადეიშვილმა.

პრეს-კლუბი

ამა წლის 27 სექტემბრის გაზეთ „სოვეტსკაია ესტონიას“ და 28 სექტემბრის „სოვეტსკია ლატვიას“ ფურცლებზე გამოაქვეყნეს ცნობები იმის შესახებ, რომ 21-23 სექტემბერს რიგაში გაიმართა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სპეციალისტთა თათბირი რესპუბლიკათა და რეგიონთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელის შესამუშავებლად. თათბირის მუშაობის შედეგად მიიღეს შეთანხმებული ძირითადი პრინციპები, რომლის სრულ ტექსტსაც გთავაზობთ:

„რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის ძირითადი შეთანხმებული პრინციპები“.

ქ. რიგა, 21-23 სექტემბერი, 1988. ვხელმძღვანელობთ რა სკკპ XIX საკავშირო კონფერენციით, განვსაზღვრავთ რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. საკუთრება.

1.1. მოკავშირე რესპუბლიკის სამეურნეო დამოუკიდებლობის საფუძველს წარმოადგენს უფლება დამოუკიდებლად ფლობდეს, განაგებდეს და მოიხმარდეს თავის საკუთრებას.

1.2. მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს მიწა, წიაღისეული, შიდა და ტერიტორიული წყლები, ზღვის შელფი, ტყეები და ატმოსფერო, მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ხარჯებით შეძენილი მთელი ქონება. მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებას განეკუთვნება საწარმოები, ორგანიზაციები და მეურნეობები, ბანკების, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის ქსელები (სისტემები), სახელმწიფო დაწესებულებები და ინფრასტრუქტურის ობიექტები, წარმოების საშუალებები, საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტებსა და სხვა ფასეულობაში განივთებული ფინანსური რესურსები, აგრეთვე სახელმწიფო ხარჯებით შექმნილი სხვა საწარმოო და არასაწარმოო ობიექტები.

1.3. საკუთრების ფლობის, გამგებლობისა და მოხმარების წესს რესპუბლიკის ხალხის სახელით განსაზღვრავს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და მეურნეობების, ბანკების, სატრანსპორტო და ენერგეტიკული ქსელების, საშუალებებისა და სისტემების, კავშირგაბმულობის ქსელების საკავშირო დაქვემდებარება უქმდება.

1.4. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საერთო საკავშირო ხასიათის ობიექტები შეიძლება იყოს სსრკ-ს მფლობელობაში და მოქმედებდეს კავშირსა და რესპუბლიკას შორის გრძელვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე.

1.5. ყველა საწარმო, მათ შორის ისინიც, რომლებიც დაფუძნებული არიან რესპუბლიკათაშორისო და საერთაშორისო სააქციო საზოგადოებების საკუთრებაზე და სხვა რესპუბლიკების ან სახელმწიფოების (ან მათი ფირმების მიერ) ახლად შექმნილი საწარმოები ექვემდებარებიან რესპუბლიკურ საგადასახადო დაბეგვრას და კანონმდებლობაში ბიუჯეტში საგადასახადო სიდიდე განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.

2. ურთიერთობა საკავშირო ხელისუფლების ორგანოებთან.

2.1. მოკავშირე რესპუბლიკა სახელმწიფო ხელისუფლების საკავშირო ორგანოებში დელეგირებს საერთო საკავშირო მასშტაბის ფუნქციებს: სსრ კავშირის თავდაცვის უზრუნველყოფასა და სსრკ საგარეო პოლიტიკის გატარებაში.

2.2. საერთო საკავშირო ფუნქციების შესასრულებლად მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ხდება გადარიცხვები სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში.

2.3. რესპუბლიკა წილობრივი წესით მონაწილეობს საერთო საკავშირო და რესპუბლიკათაშორისი პროგრამების დაფინანსებაში.

3. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაცია.

3.1. მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოების ყველა საკითხი.

3.2. მოკავშირე რესპუბლიკა დამოუკიდებლად წყვეტს ეკონომიკური პოლიტიკის, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების, თავისი ეკონომიკური სოციალური და დემოგრაფიული განვითარების გეგმებისა და პროგრამების მომზადებისა და დამტკიცების, ფასწარმოქმნის, საგადასახადო დაბეგვრის, შრომის ანაზღაურებისა და ეკონომიკური სტიმულირების ყველა საკითხს.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი რესპუბლიკის კომპეტენციაში შედის: საბანკო საქმისა და ფულადი მიმოქცევის ორგანიზაცია, ამასთან საკუთარი ვალუტის შემოღება, მისი სხვა ვალუტაზე, მათ შორის მანეთზე – როგორც სსრკ საერთო ვალუტაზე, გაცვლის წესისა და კურსის განსაზღვრა.

მოკავშირე რესპუბლიკა დამოუკიდებლად წყვეტს თავისი საგარეო ეკონომიკური მოღვაწეობის ყველა საკითხს და ახორციელებს ამ მოღვაწეობას.

3.3. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი რესპუბლიკა ეკვივალენტური, ურთიერთხელსაყრელი საქონელგაცვლის საფუძველზე მონაწილეობს საკავშირო ბაზარზე რესპუბლიკათაშორისი შრომის დანაწილებაში, რაც ხორციელდება ეკონომიკურად დამოუკიდებელ საწარმოებსა და ორგანიზაციებთან, ასევე მეურნეობის მართვის სახელმწიფო ორგანოებთან სახელშეკრულებო საწყისებზე.

4. რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის შემოღების სამართლებრივი საფუძვლები.

4.1. სამეურნეო ანგარიშიანი რესპუბლიკის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა მოითხოვს სსრკ კონსტიტუციასა და მოკავშირე

რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისი მუხლების შეცვლას, რათა კონსტიტუციურად განმტკიცდეს რესპუბლიკათა ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

4.2. რესპუბლიკის გადასვლა სამეურნეო ანგარიშზე ხორციელდება საკანონმდებლო აქტით.

ამ თათბირზე ესტონეთის სატელეგრაფო სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში ესტონეთის დელეგაციის მეთაურმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ, ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა რ. ოტსასონმა განაცხადა, რომ რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის კონცეფციის მოსამზადებელი სამუშაო ახალ სტადიაში შედის. პირველ ეტაპად შეიძლება, ჩაითვალოს ძირითად მიმართულებათა შემუშავება და მათი განხილვა რესპუბლიკის შიგნით. ორივე ძირითადი სამუშაო ჯგუფი – ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან შექმნილი მეცნიერთა და სპეციალისტთა დროებითი საბჭო IME (აბრევიატურა IME იშიფრება ასე – ესტონეთის თვითმეურნეობრიობა; თავისთავად ესტონური სიტყვა "იმე" საოცრებას ნიშნავს (იხ. ჟურნ. «Коммунист» #11, 1988 წ.) – უკვე ამთავრებს კონცეფციის შემუშავებას. ახლა იწყება მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი – კონცეფციის ძირითადი დებულებების შეთანხმება სხვა რესპუბლიკებთან და საკავშირო ორგანოებთან. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად იქცა რიგის თათბირი, რომელიც მოწვეული იყო ოთხი რესპუბლიკის – ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და ბელორუსიის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტების თავმჯდომარეების მიერ. ბელორუსიის წარმომადგენლები გაურკვეველი მიზეზების გამო არ გამოცხადებულან თათბირზე. თათბირში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე რამდენიმე მოსკოველი მეცნიერი.

თათბირზე მწვავე დისკუსია და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ორმა საკითხმა. პირველი შეეხებოდა რესპუბლიკის საკუთრებას. სამივე რესპუბლიკის სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელთა უმრავლესობა გამოდიოდა შემდეგი დებულებიდან – რადგანაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, ამიტომ წარმობის საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების ცნება უნდა განიმარტებოდეს როგორც მოცემული რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრება. როგორც ცნობილია, სსრკ კონსტიტუციაში ეს საკითხი ღიად არის დატოვებული, გაურკვეველია სახელმწიფო საკუთრება კავშირისა თუ კონკრეტული რესპუბლიკისა. იურისტები ხაზგასმით აღნიშნავენ

იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი არის სახელმწიფოთა კავშირი, და როცა ვლაპარაკობთ სახელმწიფო საკუთრებაზე, უნდა ვიგულისხმოთ რესპუბლიკის საკუთრება წარმოების საშუალებებზე. ერთადერთი არგუმენტი, რომელსაც უპირისპირებდნენ ამ თვალსაზრისს, შეიძლება გამოიხატოს ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის ტუმანისის გამონათქვამით: „ასეთი მიდგომის დროს მოკავშირე რესპუბლიკებში ჩვენ შევქმნით სახელმწიფო მმართველობის იგივე ავტორიტარულ ბიუროკრატიულ სისტემას, როგორებიც არიან ამჟამად დარგობრივი სამინისტროები", პასუხი ასეთი იყო, არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეგიონული სამეურნეო ანგარიშის შექმნის პროცესი მიმდინარეობს დემოკრატიზაციის პირობებში, ამასთან, მართვის ორგანო რამდენადაც ახლოს იქნება უშუალო მწარმოებელთან, მით უფრო მეტად შეეძლება მას, გამოხატოს ხალხის ინტერესები. ამიტომ, მართვის რესპუბლიკური სისტემა არ იქნება და ვერც იქნება იმდენად ავტორიტარული, როგორც არსებული დარგობრივ-ადმინისტრაციული მართვის სისტემა.

მეორე საკითხი, რომელმაც ასევე, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, არის მოკავშირე რესპუბლიკაში ფულადი მიმოქცევის პრობლემა. ესტონეთისა და ლიტვის დელეგაციები ამ საკითხების განხილვისას ემყარებოდნენ საბჭოთა კავშირის ფედერალური ხასიათის ლენინურ კონცეფციას, როგორც ცნობილია, ვლადიმირ ლენინი თავის უკანასკნელ შრომებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ, მისი აზრით, საერთო საკავშირო ორგანოებს უნდა ჰქონოდათ მხოლოდ თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის ფუნქციები, რაც იმას გულისხმობს, რომ ეკონომიკას უნდა უძღვებოდეს მოკავშირე რესპუბლიკა. აქედან გამომდინარე, ფულადი მიმოქცევაც რესპუბლიკური მართვის ორგანოების ხელში უნდა იყოს, ბუნებრივია - ფულადი მიმოქცევის საერთო საკავშირო სისტემის გარკვეულად შენარჩუნების პირობებში. საკითხის ასეთი გაგების წინააღმდეგნი იყვნენ თათბირის მოსკოველი მონაწილეები, განსაკუთრებით პროფესორი ი. ბელკინი, რომელიც მიიჩნევს, რომ რესპუბლიკისთვის ფულადი მიმოქცევის დამოუკიდებელი რეგულირების უფლების გადაცემის შემთხვევაში რესპუბლიკები წავლენ უკან – ნატურალური მეურნეობებისაკენ, მაგრამ ამგვარი შესაძლებლობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს მსოფლიოს მრავალი პატარა სახელმწიფოს გამოცდილება, რომლებიც დამოუკიდებლად უძღვებიან ფულად მიმოქცევას, მაგალითად, ბელგია ან ფინეთი, და რომლებზეც არაფრით არ შეიძლება ითქვას, რომ ნატურალური მეურნეობა აქვთ.

1988 წლის 6 სექტემბრის გაზეთ „სოვეტსკაია ესტონიას" ფურცლებზე

გამოქვეყნებულ სტატიაში „გზები დასახულია“, რ.ოტსასონი ამბობს: „სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა ადვილი როდია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მართვის ძველი ორგანოები, და, როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა მათ აზრს ითვალისწინებენ. ცვლილებების წინ აუცილებელია ზუსტად ვიცოდეთ, ვინ არიან მოკავშირეები და ვინ - მოწინააღმდეგენი.

რეგიონულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა იმასაც მოასწავებს, რომ ძალაუფლება გადადის ერთი ორგანიზაციიდან მეორეზე. ცენტრალური დარგობრივი სამინისტროები და მათი თანამშრომლები დაკარგავენ ძალაუფლებას. შესუსტდება ძალაუფლება იმ ცენტრალური უწყებებისაც (სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრკ ფინანსთა სამინისტრო) რომლებმაც, აუცილებელ ამოცანათა გადაწყვეტასთან ერთად, თავის თავზე აიღეს ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაც, რითაც შეზღუდეს მოსახლეობის დემოკრატიული უფლებები.

მოკავშირეებად შეიძლება ჩავთვალოთ ყველა რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები – თუ ისინი იღვწიან თავიანთი უფლებების ნამდვილად გასაფართოებლად და ხალხის მატერიალური ინტერესების უკეთ დასაცავად. მოკავშირე შეიძლება გახდეს ჯერ კიდევ საკავშირო დაქვემდებარების მქონე საწარმოების ნაწილიც, რომლისთვისაც მუშაობის უკეთეს რეგიონულ პირობებში ყოფნა უფრო მნიშვნელოვანია იმ სიკეთეებზე, რომლებსაც ამჟამად ისინი იღებენ დარგობრივი სამინისტროს მეშვეობით შექმნილი მონოპოლიური მდგომარეობიდან; და ბოლოს, ჩვენი სერიოზული მოკავშირეები შეიძლება გახდნენ პოლიტიკური ცენტრალური ორგანოები (სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, რომლებიც თავისუფალნი არიან დარგობრივი უწყებების განსაკუთრებული ინტერესებისაგან). ამასთან, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს.

გასაგებია, რომ ბრძოლა ძნელი იქნება. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მართებული თვალსაზრისის თანმიმდევრული დაცვისათვის და, უპირველეს ყოვლისა, მისი საყოველთაო განმარტებისთვის. მომავალ დისკუსიაში, ალბათ, მოვისმენთ სხვადასხვა დოგმატურ და მცდარ შეხედულებას. ერთ-ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ თითქოს რეგიონული სამეურნეო ანგარიშის ინტერესების დაცვა მოასწავებს წინააღმდეგობის გაჩენას ადგილობრივ და საერთო-სახალხო, ანუ უმაღლესი კატეგორიის, ინტერესებს შორის, მაშინ, როცა საკავშირო უწყებათა დღევანდელი ცენტრისტული უფლებების შენარჩუნება თითქოს

უზრუნველყოფდეს სახალხო მეურნეობის მთლიანობას. სინამდვილეში კი ორ პოზიციას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, თუ როგორი მეთოდებით შენარჩუნდება სსრკ სახალხო მეურნეობის მთლიანობა: ადმინისტრაციულ-მბრძანებლური თუ ეკონომიკური მეთოდებით. საქმე ის კი არ არის, რომ ერთი გზა ერთიანობის გარანტიას იძლევა, მეორე კი გამორიცხავს მას, არამედ ის - მთლიანობის ეკონომიკური მეთოდებით უზრუნველყოფისას - დარჩება თუ არა ადგილი იმ ჩინოვნიკებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ იღებენ გადაწყვეტილებებს მართვის ადმინისტრაციულ სტრუქტურაზე დაყრდნობით და სარგებლობენ მასთან დაკავშირებული სიკეთეებით.

ბუნებრივია, აუცილებლად მივიჩნევთ თანამშრომლობას ახლანდელ ხელმძღვანელ აპარატში მომუშავე ყველა სპეციალისტთან, რომელთა გამოცდილება სასარგებლო იქნება სამეურნეო ანგარიშის დასანერგად და რომლებიც უარს არ იტყვიან ამ წინადადებაზე.

თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება, თითოეულ რესპუბლიკაში შემუშავდეს რესპუბლიკურ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის პრინციპებისა და მექანიზმის შექმნის წინადადებები, (30 სექტემბერს გაზეთმა „სოვეტსკაია ესტონიამ“ გამოაქვეყნა „ესტონეთის სსრ სამეურნეო ანგარიშის კონცეფცია (თეზისები)“ და გაზეთმა „სოვეტსკაია ლიტვამ“ 9 ოქტომბერს დაბეჭდა წინადადებათა პროექტი სსრკ მინისტრთა საბჭოსადმი რეგიონული სამეურნეო ანგარიშის საკითხებზე), გაგრძელდეს მათი რესპუბლიკათშორისი შეთანხმება; შემდეგი თათბირი გაიმართოს ტალინში ა.წ. ოქტომბერ-ნოემბერში რომელზეც, გარდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა, უნდა მოიწვიონ რეგიონული სამეურნეო ანგარიშით დაინტერესებული რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები. მოსაწვევები გაგზავნილია.

მიხეილ ადეიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

1989

საკავშირო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. მასლიუკოვის მიერ შექმნილი „მოკავშირე რესპუბლიკებში მათი სუვერენული უფლებების, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპების“ პროექტი წარმოადგენდა პერესტროიკის შემოქმედთა ერთ-ერთ უკანასკნელ თავგანწირულ მცდელობას საბჭოთა ეკონომიკური სისტემის „გასაჯანსაღებლად“.
უპირველესი, რასაც კრიტიკული პროფესიული თვალი შეამჩნევდა ამ პროექტში, იყო ის, რომ პროექტი აიგებოდა ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ჰარმონიზაციაზე, რაც პრაქტიკულად უკვე შეუძლებელი გახლდათ.
ამ სტატიის დაწერისას, როგორც ჩანს ჯერ კიდევ იძლეოდნენ ჰონორალებს... არ ვიცი მართლა გადაურიცხეს თუ არა „ივერთბანკს“ თანხა.

თბილისი, 6 ივნისი, 1989

გზა სუვერენიტეტისკენ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 68-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო“. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია – სუვერენიტეტი გულისხმობს, რომ სახელმწიფომ სრულუფლებიანად უნდა აწარმოოს საშინაო და საგარეო საქმეები, არ დაუშვას თავის მოღვაწეობაში სხვა სახელმწიფოების ან სახელმწიფოს შიგნით არსებული სხვა ძალების ჩარევა. შესაძლოა, სუვერენიტეტი ნებაყოფლობით ან იძულებით ნაწილობრივ შეიზღუდოს, მთლიანად მისი დაკარგვა კი სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის, არსებობის შეწყვეტას ნიშნავს. სუვერენიტეტი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აღიარებული

პრინციპია და ჩაწერილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, რომლის ძალითაც ყველა სახელმწიფოს აქვს დამოუკიდებლობის, უშიშროების, თავისი ტერიტორიის ხელშეუხებლობის, ხალხისთვის სასურველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარების უფლება. ამ ფონზე განვიხილოთ და შევაფასოთ „მოკავშირე რესპუბლიკებში მათი სუვერენული უფლებების, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპების“ პროექტი.

რას წარმოადგენს ეს დოკუმენტი და რას გვპირდება?

პროექტის დეტალურ ანალიზს არ შევუდგები. იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად აღვიდგენთ ან მივუახლოვდებით ეკონომიკურ სუვერენიტეტს „ზოგადი პრინციპებით“, საკმარისია აღინიშნოს, რომ ეს ეგრეთ წოდებული „მასლიუკოვის პროექტი“ (საკავშირო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის გვარის მიხედვით) გვერდს უვლის რესპუბლიკების ეკონომიკური სუვერენიტეტის, სამეურნეო დამოუკიდებლობის საფუძველს – საკუთრების საკითხს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბუნდოვან, მაგრამ, ჩემის აზრით, არაორაზროვან დებულებას: „მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და რეგიონების, მოსახლეობის ეროვნული და სოციალური ჯგუფების ინტერესების ჰარმონიზაციის საიმედო ეკონომიკური საფუძველია სახელმწიფო საკუთრების, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილების შემდგომი განმტკიცება და განვითარება“.

ბევრს, ალბათ, კარგად ახსოვს, როგორი პოლიტიკური შეფასება მისცა ცენტრის მითითებით სსრკ უმაღლესმა საბჭომ ამ საკითხის ალტერნატიულ გაგებას ესტონეთში. ვინ არის დაზღვეული, რომ ცენტრი სხვასაც არ მოახვევს თავის სურვილს? მით უმეტეს, ესტონელებს არაფერი საგანგაშო არ გაუკეთებიათ. როცა საკუთარ ბუნებას საკუთრებად აცხადებდნენ, ისინი ეყრდნობოდნენ საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპს – სახელმწიფოს სუვერენიტეტს თავის ბუნებრივ სიმდიდრეებსა და რესურსებზე (გაეროს გენერალური ასამბლეის VII სესია, 1952).

“ზოგადი პრინციპების“ თანახმად, საკავშირო დონეზე შენარჩუნებულია ხელმძღვანელობა ძირითად მწარმოებელ რესპუბლიკებში შემდეგი მიმართულებებისა და დარგების მიმართ: სათბობ-ენერგეტიკული, მეტალურგიული და მანქანათსამშენებლო კომპლექსები, ქიმიური, სამეცნიერო და მიკრობიოლოგიური, ხე-ტყისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა, გეოლოგია და წიაღის დაზვერვა, თავდაცვა,

სპეციალიზებული სამშენებლო სამინისტროების საწარმოები და ორგანიზაციები, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო, მილსადენი ტრანს-პორტი, ინფორმატიკისა და კავშირგაბმულობის საერთო საკავშირო სისტემები... აქედან რა გამოდის? ის, რომ ყველა საბაზო დარგი „ცენტრის“ ხელში რჩება, ხოლო რესპუბლიკების გამგებლობაში გადასაცემად გათვალისწინებულია (ესეც პარადოქსი: უფლებათა დელეგირება რესპუბლიკების მიერ უნდა ხდებოდეს და არა პირიქით!) - აგროსამრეწველო კომპლექსები, მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის (ნაწილობრივ), ვაჭრობის, ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის საწარმოები (გარდა ძირითადი ხე-ტყის დამამზადებელი რესპუბლიკებისა).

რესპუბლიკური ორგანოების გამგებლობაში თავი უნდა მოიყაროს საბინაო კომუნალური, საყოფაცხოვრებო სამსახურის, ადგილობრივი ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სხვა იმ დარგების მართვამ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას. მაგრამ „პროექტის“ ამდენი „წყალობის“ იმედი გვიქარწყლდება იმ მუხლით, რომელშიც ნათქვამია, რომ „შენარჩუნებულია საკავშირო ორგანოების გამგებლობაში საბიუჯეტო-საფინანსო, საკრედიტო და ფულის სისტემების რეგულირების, ფასწარმოქმნის, შრომის ანაზღაურებისა და მოსახლეობის დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის, საკავშირო ანგარიშგებისა და სტანდარტიზაციის დარგში პოლიტიკის განსაზღვრის ფუნქციები“.

„ზოგადი პრინციპების“ მთელი შემდგომი შინაარსი დასახელებული და, აგრეთვე, მართვის სხვა ფუნქციების საფუძველზე რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის უფლებების და, შესაბამისად, შემოსავლებისა და სხვა სიკეთის ალოგიკური, ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი გაყოფა-განაწილებაა. დაახლოებით ასეთსავე პოზიციაზე დგას სსრკ უმაღლესი საბჭოს წინადადებების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფიც „სსრ კავშირისა და რესპუბლიკების კომპეტენციების გაყოფის შესახებ“, რომელსაც ბელორუსიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ტარაზევიჩი მეთაურობს.

პროექტი ბევრმა კომპეტენტურმა სპეციალისტმა და საზოგადოების წარმომადგენელმა სამართლიანად დაიწუნა, მაგრამ ზოგიერთს ის მაინც მიაჩნია „უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტად“ ან წინგადადგმულ ნაბიჯად. არაფერიც, ბატონებო, ჩემი აზრით, იგი - არც მეტი, არც ნაკლები - დიდმპყრობელური პოზიციებიდან შედგენილი დოკუმენტია.

საინტერესოა, როგორია ვითარება სხვა რესპუბლიკებში, რას აკეთებენ ისინი სუვერენიტეტის გზაზე და რა სტადიაში ვართ ჩვენ.

ბალტიისპირეთში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელის შემუშავება, უკვე თითქმის ორი წელიწადია, მიმდინარეობს. იქ ცალ-ცალკე ამუშავებდნენ თავიანთი „რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის კონცეფციებს“. შარშან სექტემბერში კი რიგაში შეიკრიბნენ ამ რესპუბლიკათა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების თავმჯდომარეები, წამყვანი სპეციალისტები და ხელი მოაწერეს შეთანხმებას რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის ძირითადი პრინციპების შესახებ. სხვათა შორის, მათ მაშინ მიმართეს ამ ამბით დაინტერესებული რესპუბლიკების მთავრობათა მეთაურებს, რათა გაგრძელებულიყო რესპუბლიკათაშორისი შეთანხმება. ამ საქმიან მოწოდებას ჩვენი რესპუბლიკა რატომღაც დღემდე არ გამოხმაურებია. იქ კი ინტენსიური მუშაობა გრძელდება.

„შეთანხმებული პრინციპების“ არსი ის არის, რომ მოკავშირე რესპუბლიკის სამეურნეო დამოუკიდებლობის საფუძველს უნდა შეადგენდეს უფლება დამოუკიდებლად ფლობდეს, განაგებდეს და იყენებდეს თავის საკუთრებას (მიწა, წყალი, ბუნებრივი რესურსები, წარმოების საშუალებები და ა.შ.), საკავშირო დაქვემდებარება გაუქმდეს, მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნებოდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ყველა საკითხი.

საზოგადოებისთვის ნაწილობრივ ცნობილია, თუ როგორ განვითარდა მოვლენები ესტონეთში. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანით გამოწვეულმა დროებითმა მარცხმა ვერ ჩაახშო საღი აზრი. 1988 წლის დეკემბრისთვის მათ გააერთიანეს რესპუბლიკაში დამუშავებული თვითმეურნეობრიობის ორი კონცეფცია. იანვრის შუა რიცხვებიდან მარტამდე კი კრებსითი კონცეფციის მიღებაზე მუშაობდა ექსპერტთა დიდი ჯგუფი (ასამდე ექსპერტი), რომლებმაც რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგინეს ესტონეთის სსრ სამეურნეო ანგარიშის კრებსითი კონცეფცია და მის რეალიზაციასთან დაკავშირებულ კანონპროექტთა მთელი პაკეტი, მათ შორის ისეთები, როგორიცაა სამეურნეო ანგარიშის საფუძვლები; კანონპროექტი მთავრობის შესახებ; პირველ რიგის ამოცანების შესახებ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი, კანონპროექტები მეწარმეობის საფუძვლების, ბიუჯეტის შედგენის საფუძვლების. გადასახადების სისტემაში მომზადდა სსრ კანონპროექტი ესტონეთის რესპუბლიკურ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებით. მათთან უკვე დამთავრდა 5 აპრილს რესპუბლიკურ

პრესაში გამოქვეყნებული სამეურნეო ანგარიშის საფუძვლების შესახებ კანონპროექტისა და „კრებსითი კონცეფციის“ სახალხო განხილვა. 11 მაისს ტალინში გამართულმა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მთლიანად მოიწონა ეს და სხვა დოკუმენტები. ისინი უკვე დაამტკიცა ესტონეთის სსრ უმაღლესმა საბჭომ. აგრეთვე, ლიტვის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ. პარალელურად მზადდება რესპუბლიკათაშორისი შეთანხმებებიც – 10 აპრილს ტალინში სხდომაზე განიხილეს პირველი რიგის ღონისძიებები 1990 წლის 1 იანვრიდან ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და ბელორუსიის რესპუბლიკურ სამეურნეო ანგარიშზე გადასასვლელად. ესტონეთში იმედოვნებენ, რომ მათ ბოლოს და ბოლოს „გაუგებს“ მოსკოვი (იხ. Советская Эстония, 29 აპრილი, 1989).

ასე დაწვრილებით ამიტომ შევეხე ბალტიისპირეთს, კერძოდ ესტონეთს, რომ ჩვენთვის უფრო ნათელი გახდეს, როგორ და რა გზით მიიწევენ ისინი სუვერენიტეტისაკენ.

ჩვენთან როგორი ვითარებაა? ვიტყოდი, ძალზე არასახარბიელო.

ჩვენთან ბევრი, მათ შორის სწავლული ეკონომისტი და იურისტი (საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იურისტების გაუგებარი პასიურობა, რადგან ამ პრობლემას არანაკლები სამართლებრივ-ადმინისტრაციული და პოლიტიკური ასპექტი აქვს, ვიდრე ეკონომიკური, განსაკუთრებით ამ ეტაპზე) ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა კითხვებში: რას ნიშნავს რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობა? შეუძლია თუ არა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა („მითია იგი თუ სინამდვილე?“), ვართ თუ არა დღეს მზად ამისთვის? რას მოგვიტანს ეკონომიკური დამოუკიდებლობა?

ამ კითხვების სათანადოდ გაუშუქებლობამ, რაშიც სცოდავენ არა მარტო მეცნიერები და ჟურნალისტები, არამედ, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელობა, თავისი ნაყოფი გამოიღო. ვერ მოვახერხეთ, შევერთებოდით „შეთანხმებული პრინციპების“ შემმუშავებლებს და დღეს, როგორც ჩანს, გვემუქრება საშიშროება, რომ “მთლიანობაში მოვიწონებთ „ზოგად პრინციპებს“. ამ აზრს ამტკიცებს რესპუბლიკის სამეცნიერო-ეკონომიკური საზოგადოების პლენუმზე პროექტის განხილვის საბოლოო შედეგებიც.

საქმის გამოსასწორებლად დღემდე თითქმის არაფერი მნიშვნელოვანი არ გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ პუბლიკაციას. შარშანდელ შემოდგომაზე ეკონომიკური დამოუკიდებლობის გამო ატეხილი ბუმის საპასუხოდ მინისტრთა საბჭომ ნაჩქარევად მოიწონა, ვიტყოდი,

არაკომპეტენტურად შედგენილი არაკონსტრუქციული და ამორფული პროგრამა „სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე რესპუბლიკის გადასვლის გამო წინადადებათა მოსამზადებელი სამუშაოები“, რომელიც 18 ნოემბერს გამოქვეყნდა. მისი განხორციელების ვადა წლის ბოლომდეა. არ შევუდგები პროგრამის ანალიზს, იმთავითვე ჩანდა ამ დოკუმენტის პოლიტიკური ქვეტექსტი, შევნიშნავ მხოლოდ, რომ იგი უამრავ შემსრულებელსა და თანაშემსრულებელს მოიცავს (რა თქმა უნდა, დირექტიულად), რომელთა სამუშაო გეგმას წინ არ უძღვის არავითარი კონცეფცია; პროგრამის დიდი ნაწილი რეალიზაციის შემთხვევაშიც კი გამოუსადეგარი იქნებოდა ამ ეტაპისთვის. მაგალითად, წლევანდელი პირველი კვარტლისათვის გათვალისწინებული იყო „ეროვნული შემოსავლის ბალანსის გაანგარიშების მეთოდის დაზუსტება“, მესამე კვარტალისთვის – „რესპუბლიკის არსებული სტრუქტურისა და სპეციალიზაციის ანალიზი და მათი ოპტიმალური მოდელის შემუშავება“. ეს საქმეში ჩახედულ კაცში მხოლოდ ღიმილს გამოიწვევს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროგრამა მივიწყებულია (კონტროლი ეკისრებათ საგეგმო კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს).

ამ პროგრამის გარდა, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში შექმნილია კიდევ ერთი რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის პრობლემათა კვლევის ე.წ. საორიენტაციო პროგრამა. ჯერჯერობით ის უკონცეფციოდ არსებობს.

გარკვევით უნდა ითქვას: თუ ეკონომიკურ სუვერენიტეტს ვესწრაფვით, მაშინ მიზანი ნათელია და, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა გამოვიდეთ იქიდან, რასაც „შეთანხმებული პრინციპები“ მოითხოვს, რადგან ეკონომიკური სუვერენიტეტი სწორედ მას და სხვა არაფერს უნდა გულისხმობდეს.

სუვერენიტეტის პირობების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის (თვითმმართველობის) კონცეფცია, ამის საფუძველზე კი მომზადდეს შესაბამის კანონთა სისტემა, განისაზღვროს მათი ამოქმედების ვადები, დამუშავდეს კონცეფციის რეალიზაციის მიზნობრივი პროგრამები (პირველ რიგში გარდამავალი პერიოდისთვის).

საგანგებოდ მინდა შევაჩერო ყურადღება ეკონომიკური დამოუკიდებლობის ცნებაზე. ალბათ, იგი ორი ასპექტით შეიძლება განვიხილოთ – სუბიექტურით და ობიექტურით, ანუ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილში. სუბიექტური აზრით, ეკონომიკური დამოუკიდებლობა არის სწორედ ეკონომიკური სუვერენიტეტი, რაც სრულიადაც არ ნიშნავს ეკონომიკურ იზოლაციას, ყველა კავშირის გაწყვეტას, როგორც ეს ზოგი-

ერთს წარმოუდგენია. პირიქით, კავშირები უნდა გაფართოვდეს კიდეც, მხოლოდ პარიტეტულ, ურთიერთხელსაყრელ საწყისებზე. დაიდოს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობისა და დახმარების ხელშეკრულებები (პაქტები). ასეთ დამოკიდებულებებს შეიძლება ჰორიზონტალური ვუწოდოთ.

ცალკე უნდა განვიხილოთ ეკონომიკური სუვერენიტეტი სუბიექტური შეუზღუდველობის პირობებში, რასაც სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს (ჩამორჩენილობა, ისტორიულ-პოლიტიკური, ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორები და სხვ.). ეს იშვიათი როდია განვითარებად ქვეყნებში. აქვე დავძენ, რომ მათ გამოცდილებას დღეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

რა თქმა უნდა, არც ჩვენ ვართ დაზღვეული რთული ეკონომიკური ვითარებისაგან, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში. მაგრამ როცა ჩვენი თავი „ჩვენვე გვეყუდვნის“, ამას უკვე ვეღარავის დავაბრალებთ და საკუთარი საქმის კეთებასაც თვითონ მოვკიდებთ ხელს. გაეროს „სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებების და მოვალეობების ქარტიაში“ (1974), სხვათა შორის, ნათქვამია, რომ „ხალხის არასაკმარისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მომზადება არასდროს არ უნდა იქნას გამოყენებული დამოუკიდებლობის მიღწევის შეფერხების საბაბად“.

გარდამავალი პერიოდის სიძნელეებს აუცილებლად მოჰყვება ეკონომიკური და, შესაბამისად, სოციალურ-კულტურული აღმავლობა. ამის საფუძველს გვაძლევს ჩვენი ბუნებრივ-გეოგრაფიული და კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალი, იმ რეზერვების ამოქმედება, რასაც დღევანდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა ზღუდავს. მატერიალური, ფინანსური, შრომითი რესურსებისა და დოვლათის კონცენტრაცია, ეროვნული კრიტერიუმების შესაბამისი რაციონალური, დიფერენცირებული სტრუქტურული და რეგიონალური, დემოგრაფიული და საკადრო, საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა. სხვათა შორის, ურიგო არ იქნება რესპუბლიკაში შეიქმნას დახურული და ღია ეკონომიკური ზონები (იმისდა მიხედვით, თუ სად როგორ ჯობს). მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ეკონომიკის სტრუქტურა და ორგანიზაცია დაუქვემდებარდეს ქართველი კაცის ცხოვრების წესს, თუ გვინდა, რომ თავისთავადობა შევინარჩუნოთ.

ჩვენ ვერ შევძლებთ და არც უნდა მოვინდომოთ, მაგალითად, იმავე გზით ვიაროთ, რა გზითაც მიდიან იაპონელები. ჩვენ ვერ ვიმღერებთ სამუშაოს დაწყების წინ ფირმის ჰიმნს და არც ისეთი დისციპლინა, შრომის

ნაყოფიერება და ხარისხი გვექნება. ჩვენი ადგილი უნდა ვიპოვოთ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, რა თქმა უნდა, უპირველესად ტრადიციებზე დაყრდნობით. წარსულში სწორედ ტრადიციების უგულებელყოფამ დაგვმართა მრავალი სიავე.

ახლა კი პირველი საკითხია - ეკონომიკური სუვერენიტეტის პირობებიდან (პრინციპებიდან) გამომდინარე - რესპუბლიკის ეკონომიკური თვითმმართველობის კონცეფციის შემუშავება, რომლის სქემატური საფუძვლების მაგალითად ისევ და ისევ ბალტიისპირეთის მოდელები გამოგვადება. ერთს კი აღვნიშნავ, ჩვენი ეკონომიკური სისტემა უნდა ემყარებოდეს რაციონალური პროპორციებით წარმოდგენილი საკუთრების სხვადასხვა ფორმას (კერძო, საზოგადოებრივი, კოოპერაციული, სახელმწიფო), ანუ შედეგად გვექნება შერეული ეკონომიკა.

ამ საქმის დაყოვნება საზიანოა. ის უნდა გახდეს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ზრუნვის ერთ-ერთი უპირველესი საგანი. გზა სუვერენიტეტისაკენ არ არის მოკლე და იოლი. არც რაიმეს დათმობა შეიძლება, მით უმეტეს, არ შეიძლება „ზოგადი პრინციპების“ მოწონება.

დათო ადეიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება რუსთაველის საზოგადოების აქციონერულ-კომერციული ბანკის საორგანიზაციო ფონდის ანგარიშზე.

ეს სტატია წარმოადგენს „პასუხის პასუხს“ ჩემს მიერ გაზეთ თბილისში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე „დეფიციტი თუ ეკოციდი?“ რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ამ კრებულის მდგრადი განვითარების ნაწილში (გვ. 144).

თბილისი, 25 ნოემბერი, 1989

„დეფიციტური ეკონომიკა“ და ელექტროენერგიის დეფიციტი

საქართველოს ენერგეტიკულ პრობლემებზე იმდენი ითქვა და დაიწერა (სამწუხაროდ, მხოლოდ ითქვა და დაიწერა), რომ თითქოს არც კი არის საჭირო პასუხი „თბილისში“ 17 ოქტომბერს დაბეჭდილ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტის ვასილ ქაშაკაშვილის წერილზე ,რომელიც ჩემს სტატიაზე „დეფიციტი თუ ეკოციდი?“ (იხ. „თბილისი, 1 თებერვალი, 1989) გამოხმაურებაა.

ჩანს, ელექტროენერგეტიკის პრობლემა ფართო საზოგადოებისათვის კვლავ აქტუალურია. ამას ადასტურებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი განცხადება რესპუბლიკაში დასვენების დღეების გადატანაზე, პრესაში ბოლო დროს გამოქვეყნებული ზოგიერთი სტატია მომჭირნედ ხარჯვაზე, ბოლოს, უზენაესი საბჭოს სესიაზე ამ პრობლემის გამო დეპუტატ ო. ვარძელაშვილის პოზიცია. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ელექტროდეფიციტის საბაბით დაწყებულია გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის განახლების მცდელობის მორიგი რაუნდი.

პრობლემას აქვს ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური – მიმდინარე და პერსპექტიული ასპექტები. იგი შეიძლება განვიხილოთ ნეგატიური (კრიტიკული) და პოზიტიური (კონსტრუქციული) კუთხით. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, ეს რთული პრობლემა სრულყოფილად გაანალიზდეს და გადაწყდეს სისტემურ-კომპლექსური მიდგომის გარეშე. ცხადია, ერთ საგაზეთო სტატიაში, თუნდაც ერთ-ერთი ასპექტით, მისი რამდენადმე ამომწურავად გაშუქება შეუძლებელია. ამიტომ ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნით და წინა წერილში გამოთქმული ჩემი პოზიციის დაზუსტებით შემოვიფარგლები.

ვასილ ქაშაკაშვილი წერს, რომ ავტორი აყალიბებს რიგ სწორ შეხედულებებს ეკოლოგიაზეო. მაგრამ სტატიაში მე ვეხებოდი პრობლემის ენერგეტიკულ და ეკონომიკურ მხარეებს და სულაც არ ვცდილობდი, ჩამომეყალიბებინა შეხედულებები ეკოლოგიაზე, მეტიც, დღეს შემოთავაზებული მასშტაბებით დამატებითი ელექტროსამძლავრეების ამოქმედება, ეკოლოგიურად უსაფრთხოც რომ იყოს, ეკონომიკურად მაინც გაუმართლებლად მიმაჩნია. თუმცა, რასაკვირველია, მეც იმ აზრისა ვარ, რომ ჰიდროენერგეტიკულ პროექტს არ უნდა ვუყურებდეთ როგორც მხოლოდ დიდძალი ელექტროენერგიის წარმოების საშუალებას, და უარი რაიმე მშენებლობაზე იმ მოტივით, რომ იგი დაარღვევს უნიკალურ ეკოლოგიურ სისტემას, პროგრესის ნიშნად უნდა ჩაითვალოს და არა განვითარების შეფერხებად.

ჩემ მიმართ გამოთქმული საყვედურის საპასუხოდ, რომ „ავტორი კონკრეტულად ვერ ასახავს რესპუბლიკაში ენერგეტიკის განვითარების პერსპექტიულ გზას“, მოგახსენებთ, რომ ეს მიზნად არც დამისახავს სრულიად გასაგები მიზეზების გამო. კონკრეტული გზების ძიება ეროვნული ენერგეტიკული სტრატეგიის პროექტის შემმუშავებელთა საქმეა, რაც სხვათა შორის, ჭიანურდება.

სწორად აღნიშნავს ოპონენტი, რომ სტატიაში „ავტორი ძირითადად მხოლოდ ენერგორესურსების რეზერვების გამოვლინებას ეხება“. მართლაც, ეს ასეა, მე ძირითადად ამ თემას ვეხები. განა შეიძლება ისეთი „რეზერვების“ დაკნინება, როგორებიც არის: რესპუბლიკის ეკონომიკის ხარჯვითი მექანიზმის დემონტაჟი, დანაკარგების შემცირება ელექტროენერგიის საერთო სარგებლობის ქსელში, ენერგოდამზოგველი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა, ელექტროენერგიის მოთხოვნილების მართვა და კონტროლი ეკონომიკური და არაეკონომიკური ბერკეტებით, სიმძლავრეების უკეთ გამოყენება, ენერგოსისტემის საწარმოთა რეალური გადასვლა სამეურნეო ანგარიშზე? ელექტროსადგურთა მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობების რეკონსტრუქცია, მცირე ჰიდროელექტროსადგურების და ენერგიის სხვა ალტერნატიული წყაროების გამონახვა, ამ საშუალებების რიცხობრივ შეფასებებზე (მასშტაბებზე) გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ჩემს სტატიაში მოყვანილი ციფრები.

ახლა საკუთრივ დეფიციტის შესახებ. ვაღიარებ, რომ ჩემს სტატიაში დეფიციტის გაგება არაზუსტია. ეს გამოიწვია პრესაში და საჯარო გამოსვლებში ელექტროენერგიის დეფიციტის გაიგივებამ რესპუბლიკის

გარედან შემოსულ ელექტროენერგიის რაოდენობასთან და, ამდენად, ჩვენგან გასულის უგულებელყოფამ.

ამ მიზეზის გამო დეფიციტი ვიანგარიშე, როგორც იმპორტისა და ექსპორტის სალდო, რაც გაცილებით სამართლიანია, თუმცა სიზუსტე მაინც აკლია, მაგრამ სრულიად გაუგებარია, რატომ თვლის ოპონენტი ელექტრონული ენერგიის დეფიციტად დანაკარგებისა და იმპორტის ჯამს (2,6+3,7=6,3 მილიარდი კილოვატსაათი 1986 წლის მონაცემებით).

მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, დეფიციტს (უკმარისობას) არ აქვს უშუალო კავშირი იმპორტ-ექსპორტთან და დანაკარგებთან. დანაკარგი დეფიციტის ერთ-ერთი მიზეზია, ხოლო იმპორტი მისი შევსების წყარო. ჩემი აზრით, დეფიციტი უნდა გავიგოთ როგორც დაუკმაყოფილებელი მოთხოვნისა და მიწოდების უარყოფითი ბალანსი. მაგრამ აქ დგება მოთხოვნის განსაზღვრის სირთულე. იგი არ შეიძლება, გავაიგივოთ ფაქტობრივ მოხმარებასთან. ამიტომ, საერთოდ, დეფიციტის გაანგარიშებისას ფაქტობრივი მოხმარების სიდიდიდან გამოსვლა არასწორი მგონია. ფაქტობრივი მოხმარება შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ფაქტობრივი კონკრეტული დეფიციტის გაანგარიშებისთვის. ამასთან, ნუ დავივიწყებთ, რომ დღეს საბჭოთა კავშირის ეკონომიკას „ტოტალური უყაირათობის ეკონომიკას“ და „დეფიციტურ ეკონომიკასაც“ უწოდებენ. ამიტომ უნდა განვასხვაოთ სუბიექტური (ხელოვნური მიზეზებით გამოწვეული) და ობიექტური (რეალურად არსებული) დეფიციტი. რაც შეეხება რესპუბლიკის გარედან მიღებული და მის გარეთ გაცემული ელექტროენერგიების „არატოლფასოვნებას“, ისინი იმდენადვე არიან არატოლფასოვანნი, რამდენადაც ნებისმიერი სხვა საიმპორტო-საექსპორტო საქონელი – ვყიდულობ იმას, რაც მჭირდება, ჭარბს კი - ვყიდი. (ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტის უარყოფითი სალდო აქვთ ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორებიც არიან: დასავლეთ გერმანია, იტალია, ფინეთი, პორტუგალია და თვით ნორვეგია, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში ყველაზე მეტი ელექტროენერგიის მწარმოებელია).

ოპონენტის აზრით, შინაგანი რეზერვების ამოქმედება აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი, ხოლო ერთ-ერთი მათგანის – ელექტროქსელში კარგვების შემცირება „დიდ მატერიალურ კარგვებს იწვევს“, ესე იგი, გამოდის, რომ ამ მიმართულებით ძალისხმევა არაეფექტურია.

მაგრამ განა ჯერ ვინმემ გააკეთა შედარებითი ანალიზი? ვინ იანგარიშა, რამდენად შევამცირებდით ქსელში დანაკარგებს, ვთქვათ, ხუდონჰესის მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები ამ გზით რომ წაგვემართა?

ახლა საერთო ქსელში დანაკარგები ხომ წარმოუდგენლად დიდია – 18 პროცენტზე მეტი (ბევრ ქვეყანაში იგი 5 პროცენტს არ აღემატება). თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, (1988 წლის მონაცემებით) დანაკარგების ათ პროცენტამდე შემცირებაც კი 1,3 მილიარდამდე კილოვატსაათს შეგვინარჩუნებდა, ანუ თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე ხუდონჰესის ამოქმედებით უნდა მივიღოთ (700 მილიონი).

ანდა ვინ გამოთვალა, რამდენ ელექტროენერგიას დავზოგავდით პროგრესული ტექნოლოგიების და ტექნიკის შეძენა-დანერგვით? არადა, კარგად ვიცით ჩვენი ექსტენსიური ეკონომიკის პარადოქსები – მრავალ ტექნოლოგიურ პროცესში ორ-სამჯერ მეტ ენერგიას ვხარჯავთ, ვიდრე ეს მსოფლიოში ხდება.

ენერგიის ეფექტიანი გამოყენების კურსის სისწორე მარტო საბჭოთა კავშირისათვის როდია გამართლებული. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ საქონლის თვისებრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებით პროდუქცია თუ მომსახურება ნაკლებენერგოტევადი გავხადოთ და არა დამატებითი ენერგოგამომმუშავებლები ვაშენოთ. მაგალითად, ბრაზილიაში გამოთვალეს, რომ ოთხი მილიარდი დოლარი დისკონტირებული ინვესტიციებით და მოხმარების ტექნიკის გაუმჯობესებით (უფრო ეფექტური მაცივრები, გზის განათება, მოტორები და სხვა) შეიძლებოდა გადადებულიყო ახალი სიმძლავრეების (21 გიგავატი) მშენებლობა - ამით დაიზოგებოდა 19 მილიარდი დოლარი კაპიტალი 1986-2000 წლამდე პერიოდისათვის (იხ. Наше общее будущее, доклад МКОСР, М. 1988).

ახლა აღარავისთვის არის საიდუმლო, რომ ენერგიის ეფექტური გამოყენება უნდა გახდეს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის გადამწყვეტი ელემენტი. გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის აზრით, „უახლოესი 50 წლის განმავლობაში ქვეყნები შესძლებენ უზრუნველყონ ენერგომომარაგების დღევანდელი დონე, რისთვისაც დახარჯავენ ენერგიის ახლანდელი მოხმარების 50 პროცენტს“ (იხ. ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გვ. 185), ანუ რაც შეიძლება მეტი ენერგია უნდა დავზოგოთ სწორედ ახალი, არაენერგოტევადი ტექნოლოგიების დანერგვით.

რა უშლის ხელს რეზერვებისა და ენერგიის ალტერნატიული წყაროების ამოქმედებას და გამოძებნას, ენერგეტიკული პოლიტიკის ამ მიმართულებით წარმართვას? რა დასამალია, არაკომპეტენტურობასა და ტექნოკრატიასთან ერთად ამას განაპირობებს ახლანდელ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა - არაეკონომიური (ხარჯვითი) და

ჩრდილოვანი ეკონომიკისთვის დამახასიათებელი წესები. მაგალითად, ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში ყოველგვარი მშენებლობა, მით უმეტეს, გიგანტური, ხელსაყრელია ტექნოკრატებისა და ბიუროკრატ-პოლიკრატიისთვის, ეს არის მშენებლობების გაუმართლებლად გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზიც. ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ კაპიტალურ დაბანდებათა უკუგების დაგვიანება იწვევს მნიშვნელოვანი საშუალებების გაყინვას, ხოლო ზენორმატიული ლაგები (დრო ობიექ-ტის დაპროექტებასა და ამოქმედებაზე) ეკონომიკაში დისპროპორციებს (ინფლაციას) იწვევენ, მაგალითად, ენგურჰესის მშენებლობა 30 წელიწადს გაგრძედა, განვითარებულ ქვეყნებში კი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ლაგი 3, 9-6 წელია. არც საკავშირო უწყებების ინტერესებია უგულებელსაყოფი – გიგანტური მშენებლობები ხელს შეუშლიან რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის განხორციელებას, მათ ჩვეულებრივ, საკავშირო ორგანოები აფინანსებენ და..... „ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს“.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ვ. ქაშაკაშვილის წერილი ახალ მშენებლობათა პრელუდიად მიმაჩნია. ამ აზრს სხვა პუბლიკაციებიც ადასტურებს. მაგალითად, ვაჟა ჩაჩიბაიას წერილში „პრობლემის კასკადი ენგურის კასკადზე“, იგრძნობა ნოსტალგია იმაზე, რომ ენგურის ხეობაში კასკადის მშენებლობის 30-წლიანი ეპოპეა დასასრულს უახლოვდება. თურმე, ბევრი სიკეთე მოუტანია ამ მშენებლობას და მის მძლავრ მონოლითურ კოლექტივს. კომუნალური თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობით „რეგიონის გლეხკაცობა ქოხმახებიდან გამოვიდა“, ეს არის აგრეთვე „ახალი ქალაქის, ჯვარის, გაჩენა რესპუბლიკის რუკაზე, კეთილმოწყობილი დასახლებული უბნები....“, „და აი, ახლა ძალიან მწვავედ დგას ამ დიდი კოლექტივის ყოფნა-არყოფნის საკითხი“. ავტორის პოზიცია ნათელია – რადაც უნდა დაჯდეს, შევინარჩუნოთ კოლექტივი. რის ფასად? სურათი ნაცნობია, განა ის არის მთავარი, რას და როგორ ვაშენებთ? მთავარია შენება, ამიტომ აუცილებლად უნდა „გამოინახოს სამუშაოთა მოცულობა“.

მე სულაც არ ვემხრობი მუშა-მოსამსახურეების უმუშევრად დარჩენას, მაგრამ ვითომ აუცილებელია კოლექტივის ამ სახით შენარჩუნება, როცა გიგანტური ჰესების აუცილებლობა არ არის, ხოლო საბინაო, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე კი, პირიქით, სახსრებისა და კვალიფიციური მუშახელის დეფიციტია?! ცხადია, კოლექტივის რეორგანიზაცია, პროფილის შეცვლა არ არის გადაუჭრელი პრობლემა.

ვ. ქაშაკაშვილი წერს: „.... რადგან პოტენციური ჰიდრორესურსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ელექტროენერგიის წარმოების სტრუქტურაში ჰესების უპირა-ტესი განვითარება“. ანალოგიურად მსჯელობს გ. ჩოგოვაძე საგაზეთო წერილში: „თუ საკუთარი ელექტროენერგია გვსურს.... რესპუბლიკის რთული ენერგეტიკული სიტუაციის გამო, აუცილებელია ვაშენოთ ჰიდროელექტროსადგურები, მათ მშენებლობაზე უარის თქმა უნდა გამოვრიცხოთ“.... როგორც რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე გამოჩნდა, ამავე აზრისაა მთავრობის ზოგიერთი წევრიც.

თუ ლაპარაკია საქართველოს პოტენციურ ჰიდროენერგეტიკულ რესურსებზე, ამ შემთხვევაში ასათვისებლად ტექნიკურად შესაძლო რესურსები არ უნდა გავუთანაბროთ „პრაქტიკულად გამოსაყენებლად ვარგისს“ (გ. ჩოგოვაძის თქმით, იგი 80 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს), რაც, რა თქმა უნდა, ასე არ არის და მცდარ წარმოდგენას უქმნის მკითხველს. ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალში გამოიყოფა თეორიული, ტექნიკური და ეკონომიკური დონეები. „პრაქტიკულად გამოსაყენებლად ვარგისი“ სწორედ ამ უკანასკნელის (ეკონომიკურის) ქვესიმრავლედ რჩება, ეკოლოგიური და სხვა მოსაზრებების გათვალისწინებით. ამიტომ ჩვენი რესურსები გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ. შევნიშნავ, რომ იაპონიასა და აშშ-ში ათვისებულია ეკონომიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის 67 და 45 პროცენტი, ხოლო ინდოეთსა და ზაირში – 12 და 0,7 პროცენტი (იხ. «Энергохозяйство зарубежом», №2, 1989).

ჩვენ ჯერ კიდევ შესაფასებელი გვაქვს ეკონომიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, რომ აღარაფერი ვთქვათ „პრაქტიკულად გამოსაყენებლად ვარგისიანობაზე“. ჩემი აზრით, საზოგადოებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაპყროს მტკვარზე ჰიდროელექტროსადგურთა კასკადების მშენებლობის საეჭვო პროექტს (საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შემოთავაზებული პროექტი), რომელიც 25 ჰიდროელექტროსადგურის აგებას ითვალისწინებს.

ვ. ქაშაკაშვილი მიუთითებს, რომ „ავტორის ოპტიმიზმი მცირე ჰესებით რესპუბლიკაში არსებული ენერგიის დეფიციტის დაფარვის შესაძლებლობების შესახებ მცდარია, ხოლო ციფრი 15 მილიარდი კვტ-ს - რეალობას მოკლებული“. განვმარტავ, რომ მცირე ჰესებს მე მოვიხსენიებ ენერგიის არატრადიციულ წყაროებზე საუბრისას (როგორც ერთ-ერთ მათგანს), ხოლო ციფრი 15 მილიარდი აღებულია გიორგი ჩოგოვაძისა და ანზორ ჭითანავას სტატიიდან „მწვანე შუქი მცირე ჰესებს“

(გაზ. „კომუნისტი“, 1988 წ., 7 დეკემბერი).

საგანგებო განხილვის საგანი უნდა გახდეს ელექტროენერგიის „მოსალოდნელი მწვავე დეფიციტის“ გამო შექმნილი „კრიზისული სიტუაცია“, რის გამოც მთავრობას სურდა დასვენების დღეების გადატანა, გარდა ამისა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, როგორც განაცხადებს, იხილავენ სატელევიზიო გადაცემების შეზღუდვის, ქალაქის ელექტრო-ტრანსპორტის – მეტროს, ტროლეიბუსის, ტრამვაის მოძრაობის ინტენსიურობის შეზღუდვის ვარიანტებსაც კი.

ჩემი ღრმა რწმენით, დაუშვებელია ისეთი „ღონისძიებების“ გატარება, რომლებიც უშუალოდ შეეხება მოსახლეობის ინტერესებს. თავი რომ დავანებოთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ და რელიგიურ მოსაზრებებს, ამის ეკონომიკური საფუძველი არ არსებობს. თავად განსაჯეთ: სტატკომიტეტის შარშანდელი მონაცემებით, რესპუბლიკაში მთლიანად მოიხმარეს 15472,9 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, მათ შორის, ქალაქის მოსახლეობის განათებასა და საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე 927,5 მლნ. – ანუ მოხმარების 5,9 პროცენტი, კავშირგაბმულობის, კულტურის, ჯანდაცვის, ვაჭრობის და სხვა საჭიროებებზე 958,4 მილიონი. ანუ 6,1 პროცენტი, მთლიანად ტრანსპორტზე 6,9 პროცენტი. სულ კომუნალურ მეურნეობას, სოფლის მეურნეობას (საწარმო და არასაწარმო დანიშნულებით), არასაწარმო სფეროს საჭიროებისათვის დავხარჯეთ 6475,3 მლნ; რაც მთლიანად მოხმარებულის 41,8 პროცენტია.

სტატკომიტეტის ინფორმაციიდან ჩანს, რომ ეკონომიის ღონისძიებები უპირველესად უნდა გატარდეს მრეწველობაში. ვთქვათ, ხარჯვის 1,1 პროცენტით შემცირება. ტოლფასია ქალაქების მოსახლეობის განათებასა და საყოფაცხოვრებო საჭიროებაზე მოხმარების 10 პროცენტით შემცირებისა. ეკონომიის ეფექტი ამ შემთხვევაში თითქმის ერთიანად ფასობს.

ამიტომ, რბილად რომ ვთქვათ, ზედმეტად მიმაჩნია ტელევიზორების გამორთვის მსგავსი ფსიქოლოგიური „ექსპერიმენტები“.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველო ჯერჯერობით დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის და არც ენერგეტიკული დამოუკიდებლობა მოეთხოვება. საქართველოს ეკონომიკა „ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის“ შემადგენელი ნაწილია და მასზე ზრუნვა მართებს როგორც საქართველოს, ასევე ცენტრსაც. რესპუბლიკაში ელექტროენერგიის უდიდესი მომხმარებლებიც ხომ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებია (ფეროშენადნობთა ქარხანა,

ქარხანა „აზოტი“, მეტალურგიული ქარხანა და სხვა), რომელთა შემოსავლების ლომის წილიც ცენტრისკენ მიდის, ამიტომ საკავშირო ორგანოები ვალდებულნი არიან დახმარება გაუწიონ რესპუბლიკას.

დათო ადეიშვილი
თსუ დოცენტი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

1990

ეს წელი დამამახსოვრდა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მომავლის ხედვების შესახებ ყველაზე ხშირი და მრავალფოკუსიანი დისკუსიების პერიოდი. დღესაც ვფიქრობ, რომ ამ სტატიაში კარგად არის დანახული ის საფრთხეები, რომლებიც საბაზრო ურთიერთობებზე სპონტანურ, უსტრატეგიო და მიდევნებულ-იძულებით გადასვლას მოჰყვებოდა მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის - ჩვენთან. სამწუხაროდ, საფრთხეები რეალობად იქცა. დღეს იმის თქმაც შეიძლება, რომ რადგანაც არსებობდა მრავალ ხედვათა შორის კონსტრუქციული ხედვებიც, გარდამავალი პროცესის უკეთ წარმართვაც შეიძლებოდა...

კაბადონი, 8-10.06.1990

საბაზრო ეკონომიკა და საქართველოს მომავალი მგონი, ძალიან დაგვიგვიანდა

რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერსპექტივამ და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიაზე წარმოდგენილმა შესაბამისმა კონცეფციამ, როგორც ცნობილია, დიდი გამოხმაურება ჰპოვა ხალხში. ბუნებრივია, მოსახლეობის განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს სამომხმარებლო ბაზრის ორგანიზაცია, ფასების ზრდისა და რიგი სხვა, უშუალოდ სოციალურ გარანტიებთან დაკავშირებული მტკივნეული საკითხები. გამონაკლისი არც ჩვენი რესპუბლიკაა. მით უფრო, რომ სულ ახლახან გამოქვეყნდა „საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის პროექტი.

რას გვიქადის საბაზრო ეკონომიკა, როგორ ესადაგება იგი ზემოხსენებულ კანონპროექტსა და საქართველოს სუვერენიტეტს? – ასეთი კითხვით მივმართეთ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს დათო ადეიშვილს. გთავაზობთ მის პასუხს ამ კითხვაზე.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე გადასვლის საკითხს დღეისთვის უფრო პოლიტიკური ჟღერადობა აქვს, ვიდრე ეკონომიკური. საბჭოთა კავშირში საბაზრო მექანიზმების ამუშავებასთან დაკავშირებით (რაც გარდაუვალია) კიდევ უფრო აქტუალური ხდება ჩვენი სუვერენიტეტის პრობლემა. საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის საკითხი თვისებრივად სხვადასხვანაირია საბჭოთა კავშირსა და, ვთქვათ, უნგრეთში ან პოლონეთში – გასაგები მიზეზების გამო. იმ პირობებით საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა, როგორც ეს სსრკ სამთავრობო პროექტით არის გათვალისწინებული, ჩვენ, შეიძლება ითქვას, უმწეო მდგომარეობაში გვაყენებს, თუ, რა თქმა უნდა, კავშირის შემადგენლობაში დავრჩით, თანაც ამ სახით. საქმე ის არის, რომ რესპუბლიკას ამჟამად არ აქვს როგორც საგარეო, ისე საშინაო ეკონომიკური კავშირების და ურთიერთობების რეგულირების არავითარი საშუალება. არ გვაქვს ჩვენი საბიუჯეტო სისტემა, საბანკო სისტემა, საგადასახადო სისტემა, საბაჟო სისტემა (აღარაფერს ვამბობ საკუთრებით ურთიერთობებზე, სოცუზრუნველყოფაზე და ა.შ.), ურომლისოდაც ლაპარაკი ზედმეტია ყოველგვარ ეკონომიკურ რეგულირებაზე. მეორე მხრივ, დღეისათვის ჩამოყალიბებული საწარმოო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობანი თავად ქმნიან ბლოკადურ სიტუაციას. ამას ახლა „ხვდება“ რესპუბლიკის მთავრობა. ო. ვარძელაშვილი თავის მოხსენებაში სსრკ უზენაესი საბჭოს მესამე სესიაზე „ჩივის“ იმის შესახებ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის ახლანდელი სტრუქტურა „შრომის საკავშირო დანაწილების“ (იგულისხმება მონოკულტურიზმი) არაეკვივალენტურ მდგომარეობაში გვაყენებს. კერძოდ, ჩვენ იძულებული ვხდებით, ვალუტით შევიძინოთ ხორბალი, ხოლო ცენტრს მანეთებში მივყიდოთ ჩაი და ციტრუსები. თავის დროზე კი ხელისუფლებამ ნაბიჯი არ წადგა წინ ეკონომიკური სუვერენიტეტისაკენ. პირიქით, დიდ წინააღმდეგობას უწევდა მათ, ვინც ამისაკენ მოუწოდებდა.

ამ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული კანონპროექტი „საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ“ ძალიან დაგვიანებულად მიმაჩნია. ეს კანონი ერთი წლის წინ რომ მიეღოთ (ამის შესაძლებლობა კი იყო) და დაეწყოთ მისი რეალიზება (შესაბამისი კანონების მიღება და განხორციელება), დღეს ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით. აქ დროის ფაქტორი დიდ როლს თამაშობს – დღევანდელ პოლიტიკურ ფონზე (როცა ასე მწვავედ დგას საქართველოს სრული პოლიტიკური სუვერენიტეტის აღდგენის საკითხი) ეს კანონპროექტი თავისი ფორმითაც

კი მოძველებულად გამოიყურება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მასში ნათლად ჩანს ქვეტექსტი ე.წ. საბჭოთა „განახლებულ ფედერაციაში“ საქართველოს მომავალი ეკონომიკური სტატუსის წარმოჩენისა. მე აღარაფერს ვიტყვი ზოგიერთ წინააღმდეგობაზე, უზუსტობასა და მოძველებულ (მარქსისტულ) მიდგომაზე, რომლებიც კანონპროექტში გვხვდება. რაც შეეხება შიდაეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც ასახულია კანონპროექტში და ეყრდნობა საკავშირო მთავრობის კონცეფციას – ეს არსებითად (პრინციპულად) მისაღებად მიმაჩნია, თუ სათანადოდ ჰპოვებს ასახვას შესაბამის კანონებში.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კანონის და მისგან გამომდინარე სხვა კანონების მიღება და განხორციელება მთლიანად არის დამოკიდებული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირებაზე, რომელიც დღეს მხოლოდ ნომინალურად არსებობს. იმედია, მომავალი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ახლებურად შეხედავს ამ და სხვა საკითხებს, თუმცა დრო შეზღუდულია - ეს ყველაფერი უნდა მოხდეს არაუგვიანეს შემოდგომისა.

ამასთან, არსებობს სხვა უფრო სერიოზული და უფრო ძნელად მოსაგვარებელი შინაგანი ფაქტორებიც, რომლებიც უდიდეს გავლენას მოახდენენ ჩვენს სოციალურ-ზნეობრივ და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. საბაზრო ურთიერთობებზე, რაც კიდევ უფრო გაზრდის ისედაც დიდ სამეურნეო დატვირთვას და კიდევ უფრო გაამწვავებს ეკოლოგიურ კრიზისს. კიდევ უფრო მწვავედ დადგება მოთხოვნილება უცხოურ კაპიტალზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ბუნებრივ – ძირითადად მინერალურ და რეკრეაციულ - რესურსებზე იქნება ორიენტირებული. უცხოური კაპიტალი და საქონელი, სხვა სტრუქტურული ცვლილებები აუცილებლად გამოიწვევს უმუშევრობას მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით და ა.შ.

რაც მთავარია, საბაზრო ურთიერთობების გააქტიურებას მოჰყვება ისედაც დაქვეითებული და დეფორმირებული ეროვნული ფსიქიკის შერყევა-შერყვნა. კერძო საკუთრების მოსპობამ და ეროვნული შეგნების დაკნინებამ ისედაც დაგვიჩლუნგა მეპატრონის დამზოგავი, მომფრთხილებლური გრძნობები და ახლა, როცა უკანონობა თითქოს სოციალურ გენებში ჩაგვიჯდა, როცა არ გაგვაჩნია არც წარმოების კულტურა, გვაქვს არქაული ხარჯვითი ტექნოლოგიები, მომხმარებლური გრძნობების გაძლიერება (ბაზარზე კი მომხმარებელია უმაღლესი მსაჯული), ფულის გაფეტიშება და მოგებაზე გამოდევნება კიდევ უფრო დააზიანებს ჩვენს გარემოს – ბუნებასა და ფსიქიკას, გაზრდის გაუცხოებასა

და ტრადიციული ღირებულებების მოშლას. ამიტომ საჭიროა, ახლავე ვიფიქროთ ამ საშიშროებებზე და მისგან დამცველ მექანიზმებზე. ვფიქრობ, აუცილებელია, დამუშავდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკუთარი მოდელები (კონცეფციები, პროექტები). ჩემი აზრით, სუვერენულ საქართველოში არ უნდა „მუშაობდეს“ არც თავისუფალი ბაზარი, არც, რა თქმა უნდა, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა; ჩვენ უნდა მივაგნოთ საკუთარ გზას – მეურნეობის და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების სპეციფიკურ, ეროვნულ მიმართულებას, რომელიც დაეფუძნება ჩვენს ბუნებას, ტრადიციებს, კულტურას.

1991

პირველი სატატია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. ამ სტატიის გამოქვეყნებიდან დაახლოებით ერთ თვეში თბილისის ომი დაიწყება. ახლა, დღევანდელი გადმოსახედიდან, „რეკვიემი“ წინათგრძნობასავით ყღერს. საინტერესოა, რომ მაშინ და შემდეგაც იშვიათად გაისმოდა კრიტიკა პოსტსაბჭოთა ეკონომიკის ნეოკლასიკური-ნეოლიბერალური მიდგომით, ე.წ. შოკური თერაპიით რეფორმირების გამო.

„ჩვენ არ გამოგვადება, პირდაპირ გადმოვიღოთ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ის რეცეპტები, რომლებითაც ისინი საბაზრო ეკონომიკას ამკვიდრებენ“, - ვწერდი, რადგანაც უფრო გრადუალიზმს და ინდუსტრიული პოლიტიკის გატარებას ვემხრობოდი: „ეკონომიკურ გახსნილობას ყოველთვის არ მივყავართ სწრაფი ზრდისა და განვითარებისაკენ“, „სტრუქტურული ცვლილებებისათვის დიდი პოტენცია არსებობს“ და სხვ. მეორეს მხრივ, მთავრობის არაკომპეტენტურობა და უმოქმედობაც გამაღიზიანებელი იყო: „შეგნებული და შეუგნებელი შიში ლიბერალური გარდაქმნებისა ეკონომიკაში. ეკონომიკური რეფორმა ქმნის დემოკრატიულ საზოგადოების რეალურ ფუნდამენტს“... თუმცა დღეს უნდა ვაღიარო, რომ მთავრობის ოპონენტები ძალიან ვჩქარობდით... როგორც ამბობენ, „მოჩქარეს მოუგვიანდესო“.

7 დღე, 26 ნოემბერი, 1991

ეკონომიკური რეკვიემი
საქართველოს ეკონომიკის ძველი დაღმართი

საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი ღრმა კრიზისული მდგომარეობა განპირობებულია ურთიერთგადახლართული შინაგანი და გარეგანი, ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით. ეკონომიკურ

ჩავარდნებზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ანალიზს მოითხოვს, რისი გაკეთებაც, ბუნებრივია, ამჯერად შეუძლებელია. წინამდებარე სტატია შეიძლება ჩაითვალოს საკითხების დასმისა და გარკვეული ვარაუდების გამოთქმის მცდელობად.

ჩამორჩენა

ის, რაც კრიზისული, ესე იგი დროებითი და წარმავალია, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებისას უნდა განვასხვავოთ იმისაგან, რაც უფრო ხანგრძლივი და რთული დასაძლევია, ანუ საერთო ჩამორჩენილობა-განუვითარებლობისაგან. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ეკონომიკური წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენ იმავე მიდგომებითა და მეთოდებით ვიმოქმედებთ, როგორითაც გაცილებით მაღალგანვითარებული ქვეყნები. მაგალითად, ჩვენ არ გამოგვადება, პირდაპირ გადმოვიღოთ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ის რეცეპტები, რომლებითაც ისინი საბაზრო ეკონომიკას ამკვიდრებენ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ ქვეყნების უფროს თაობებს ხომ თავად უცხოვრიათ საბაზრო ურთიერთობების პირობებში. რაში გამოიხატება ჩვენი ჩამორჩენილობა? მხოლოდ ზოგიერთ არსებით ნიშანს მოვიტან:

ა) ცხოვრების დაბალი დონე;

ბ) მწარმოებლობის დაბალი დონე;

გ) უმუშევრობისა და ნახევრად უმუშევრობის მაღალი და მზარდი დონე;

დ) საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულება;

ე) მნიშვნელოვანი დამოკიდებულება აგროპროდუქტების ექსპორტზე:

ვ) დარგობრივი სტრუქტურისა და ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა;

ზ) სახელმწიფო სექტორის ძალიან მაღალი შეფარდებითი მნიშვნელობა კერძოსთან შედარებით;

თ) ძალაუფლების განაწილების და ინსტიტუციონალურ-პოლიტიკური სტრუქტურის ხასიათი;

ი) ზოგადი განათლების დაბალი დონე და პროფესიული უცოდინრობა;

კ) ფართო მასების ორიენტაცია მხოლოდ ე.წ. საბაზისო მოთხოვნილებებზე და სოციალურ-პოლიტიკურად ნაკლები აქტივობა (ქართველთა უმრავლესობის დღევანდელი პოლიტიკური აქტივობა არ სცილდება ემოციურ-იმპულსურ ფარგლებს).

მსჯელობა აბსტრაქტული რომ არ გამოვიდეს, მოვიტან ზოგიერთ დამახასიათებელ ციფრობრივ მაჩვენებელს. განვითარების და სიმდიდრის განმაზოგადებელ საზომად დღეისათვის ფართოდაა

მიღებული მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) მაჩვენებელი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ამ მაჩვენებლის მიხედვით 1987 წელს პირველ ადგილზე იყო შვეიცარია – 21,330$, ხოლო უკანასკნელზე ეთიოპია – 130$. გაეროს კლასიფიკაციით, უღარიბეს ქვეყნებად 1987 წელს ითვლებოდნენ ისინი, რომელთა მეპ ერთ სულზე არ აღემატებოდა 480$-ს (სულ – 42 ქვეყანა, მათ შორის მაგალითად, ჩადის – 150$ს, ჩინეთის – 290$ს, კენიის – 330$ს), ხოლო სიღატაკის საერთაშორისო ზღვრად ითვლება 100$-იანი რეგიონები. საშუალო შემოსავლიან ქვეყნად (481-დან 5.990$-მდე, სულ 53) ითვლება, მაგალითად, თურქეთი – 1,210$, უნგრეთი – 2,240$, ვენესუელა – 3,230$, საბერძნეთი – 4,020$. მაღალ შემოსავლიანი ქვეყნებია (სულ 25), მაგალითად, ესპანეთი – 6,010$, იტალია – 10,350$, შვეიცია – 15,550$, აშშ – 18,530$. ამ კლასიფიკაციაში არ მოხვედრილა სსრკ – ინფორმაციის უქონლობის გამო, როგორც ცნობილია, მეპ-ს სსრკ-ში არ ითვლიდნენ. ამასთან, ჭირს დოლარებში ანგარიში რეალური კურსის დაუდგენლობის გამო. შევეცდები, საქართველოსთვის ვიანგარიშო ანალოგიური მაჩვენებელი ზოგიერთი დაშვებით. ოფიციალური შეფასებით, 1990 წელს საქართველოში მთლიანი ეროვნული პროდუქტი შეადგენდა 11,178 მლნ მანეთს, ანუ ერთ სულზე გაანგარიშებით 2070 მანეთს. რამდენი დოლარი იქნებოდა შარშან 2070 მანეთი? ძნელი სათქმელია, რადგან მანეთი არაკონვერტირებადია და დღეს მოქმედი ყველა კურსი ხელოვნურად უნდა ჩაითვალოს (ოფიციალური კურსით 1$ დაახლოებით 0,6 მანეთია, კომერციული კურსით – 1,8 მანეთი, ტურისტული კურსით – 47 მანეთი, ხოლო სავალუტო ბირჟებზე დღეს დოლარის კურსი მერყეობს 70-დან 100 მანეთამდე, 1კგ კარაქი კი, მაგალითად, „მსოფლიო ფასებით“ საშუალოდ ორი დოლარი ღირს). დოლარის ჰიპოთეზური კურსი 5 მანეთიც რომ იყოს, საქართველოში მეპ-ი ერთ სულ მოსახლეზე იქნებოდა 414$, ე.ი. ჩვენ ვხვდებით დაბალშემოსავლიანი ქვეყნების რიცხვში. მოსახლეობის სიღარიბეს ადასტურებს ამას წინათ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მიერ ჩატარებული გამოკვლევები: საქართველოში ოჯახების 41 პროცენტს 1 სულზე აქვს 150 მანეთზე დაბალი შემოსავალი (იგულისხმება არა მარტო ფულადი შემოსავლები), 27 პროცენტს კი – 150-200 მანეთი, ე.ი. ოჯახების 68 პროცენტი დაბალშემოსავლიანია. საკმაოდ მაღალი და მაღალი შემოსავლები (1500 მანეთზე მეტი) კი აქვს ოჯახების მხოლოდ 1,2 პროცენტს. იგივე გამოკვლევამ აჩვენა, რომ 100 ათასზე მეტი მანეთის დანაზოგი აქვს ოჯახების მხოლოდ 0,4 პროცენტს, რაც იმაზე მიუთითებს,

რომ ფართო პრივატიზაციის გატარება იმ ფორმით, როგორითაც დღევანდელ კანონშია მოცემული, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამგვარი მსჯელობები გვაფიქრებინებს, რომ საქართველო განეკუთვნება ე.წ. ნაკლებად განვითარებული ქვეყნების რიცხვს, რასაც კარგი გაცნობიერება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა ესაჭიროება.

კრიზისი

საქართველოში ეკონომიკური კრიზისი კვლავ ღრმავდება, ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია დაცემის ქვედა ზღვრისათვის.

ოფიციალურ სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით, ვფიქრობ, საინტერესო იქნება, გავეცნოთ კრიზისის მახასიათებელ ზოგიერთ ოპერატიულ პარამეტრს.

თუ 1989 წელს, 1988 წელთან შედარებით, სამრეწველო წარმოების მოცულობა არ მცირდებოდა (გაიზარდა კიდევ 0,7 პროცენტით), 1990 წელს უკვე შემცირდა 6,2 პროცენტით. წელს, იანვარ-ოქტომბერში, კი, შარშანდელ იმავე პერიოდთან შედარებით, შემცირება უკვე 20,3 პროცენტს შეადგენდა. საინტერესოა, რომ სსრკ-სათვის იგივე მაჩვენებელი იანვარ-სექტემბრის მონაცემებით იყო 6,4 პროცენტი, ხოლო რუსეთის ფედერაციისათვის – 3,3 პროცენტი. ესე იგი, საქართველოში კრიზისი გაცილებით მაღალი ტემპებით ვითარდება, ვიდრე რუსეთსა და სსრკ-ში მთლიანად. მოვიტანოთ კიდევ რამდენიმე მაჩვენებელი: საქართველოში მიმდინარე წლის ათ თვეში, შარშანდელ იმავე პერიოდთან შედარებით, სასურსათო საქონლის წარმოება შემცირდა 16,6 პროცენტით, სსრკ-სა და რსფსრ-ში კი 9,3 და 7 პროცენტით – შესაბამისად. საცალო საქონელბრუნვა ჩვენთან შემცირდა 19,1 პროცენტით, სსრკ-ში – 11,7 პროცენტით, რსფსრ-ში – 11-ით.

სასურსათო პრობლემა. მომხმარებელმა სახელმწიფოსაგან წელს (იანვარ-ოქტომბერში) შარშანდელთან შედარებით ნაკლები მიიღო ხორცი – 69,1 პროცენტით, ძეხვეული – 58,8-ით, კარაქი – 79,2 პროცენტით, ყველი – 46,6-ით, შაქარი – 27,1-ით კარტოფილი 10,5-ით, ბოსტნეული – 39,8-ით, ყურძენი – 53,2 პროცენტით. ამას მოჰყვა „კერძო სექტორის“ შესაბამისი რეაქცია და დიდი ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებზე პროდუქციის რეალიზაცია 41 პროცენტით გაიზარდა, ფასების თითქმის ორჯერ გაზრდის პირობებში (ოქტომბერში, შარშანდელთან შედარებით კარტოფილზე ფასი გაიზარდა 3,2-ჯერ, ხილზე – 2,6-ჯერ, კარაქსა და კვერცხზე – 3,1-ჯერ, რძეზე – 3,3-ჯერ, ყველზე – 2,7-ჯერ).

„სახელმწიფო შეკვეთის ობიექტებზე“ ათ თვეში ათვისებულია კაპიტალური დაბანდებების 51,8 პროცენტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ

სტრუქტურული კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა. საექსპერტო მიწოდებას წელს აწარმოებდა 11 საწარმო, შარშან – 37. შესადარის პერიოდში საექსპორტო მიწოდების მოცულობა შემცირდა 24 პროცენტით. 1991 წლის 1 ოქტომ-ბრისთვის რესპუბლიკაში რეგისტრირებული 108 ერთობლივი საწარმოდან ფუნქციონირებდა 33, რომელთა მიერ 9 თვეში ექსპორტირებულ იქნა 37,8 მილიონი მანეთი „უცხოური ვალუტის ღირებულების“ საქონელი და მომსახურება, სულ კი საექსპორტოდ მიწოდებული იყო 145,2 მლნ მანეთის პროდუქცია. ეს დაახლოებით 85 მლნ. დოლარია „კომერციული კურსით“. სხვათა შორის, მხოლოდ მინიმალურად აუცილებელი საქონლის – სურათისა და ენერგომატარებლების შეძენას დღევანდელი მდგომარეობით დასჭირდებოდა 1,2 მილიარდი დოლარი (სამთავრობო „პროგრამის“ მიხედვით).

ყველაზე დიდი ექსპორტიორებია ერთობლივი საწარმო „მარტენი“ (49,4 პროცენტი), რომელიც ამზადებს ფოლადის ნახევარფაბრიკატებს, და ერთობლივი საწარმო „ალუ საქართველო“, (45 პროცენტი), რომელიც აწარმოებს დაუმუშავებელ ალუმინს (45 პროცენტი). იმპორტის 71,6 პროცენტი მოდის ერთობლივ საწარმო „მეტეხზე“ და 26,9 – „მარტენზე“ (მათ შემოიტანეს 13,7 მილიონი მანეთის ე.წ. სახალხო მოხმარების საქონელი). ესე იგი საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში აქტიურობს და იზრდება ალტერნატიული სექტორი, სახელმწიფო სექტორი კი სუსტდება [დღეისათვის მხოლოდ მრეწველობისა და ვაჭრობის „კერძო სექტორში“ (კოოპერაცია, იჯარა) დასაქმებულია დაახლოებით 170-180 ათასი კაცი].

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ექსპორტირებული პროდუქცია მიეკუთვნება ე.შ. პირველადი დამუშავების პროდუქტებს, რაც ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი.

უმუშევრობა. კრიზისულია ის ფაქტი, რომ ოფიციალური სტატისტიკით, დღეისათვის საქართველოში 100.000 უმუშევარია, ამას უნდა დაემატოს აღურიცხავი უმუშევრები და ნახევრად უმუშევრები.

ბიუჯეტი და ფინანსები. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა 9 თვეში სულ 3,2 მილიარდი მანეთი შეადგინა გათვალისწინებული 5,6 მილიარდი მანეთის ნაცვლად. ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 2,4 მილიარდი მანეთი (ბიუჯეტი თავდაპირველად დაგეგმილი იყო – 15 - პროცენტიანი დეფიციტით). სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე გათვალისწინებული 2,7 მილიარდი მანეთის ნაცვლად დაიხარჯა 1,5 მილიარდი მანეთი (56,2 პროცენტი).

რესპუბლიკის ფინანსური სიძნელეები განსაკუთრებით გამწვავდა

სექტემბერ-ოქტომბერში. საქმე იქამდე მივიდა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციები ხელფასს ვეღარ ღებულობდნენ. აღარაფერს ვამბობ სტიპენდიებსა და პენსიებზე. რით არის გამოწვეული „ფულის დეფიციტი“? იგი, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია საქონლის დეფიციტით. დიდი თანხები აკლდება საკასო ბრუნვების შემოსავლებს მისი ძირითადი წყაროდან – ნავაჭრიდან ამონაგებიდან (იანვრიდან სექტემბრამდე დააკლდა 714,1 მლნ მანეთი, ანუ 14,4 პროცენტი) – ბანკში არ შედის სანახაობითი და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებიდან შემოსავლების გათვალისწინებული თანხები – სამეურნეო აქტივობა „კვდება“. სამომხმარებლო ბაზრის მწვავე დეფიციტის შედეგად კვლავ იზრდებოდა მოსახლეობის ფულადი სახსრები (12 მილიარდი მანეთი 1 სექტემბრისათვის). სულ უფრო იზრდება ე.წ. დაუსაქონლებელი, „ცხელი“ ფული. ფულის ემისიამ 1,5 მილიარდი მანეთი შეადგინა შარშანდელი 500 მლნ მანეთის ნაცვლად – ინფლაცია მძვინვარებს!

როცა ეკონომიკურ კრიზისზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ ერთი მეტად დამაფიქრებელი და მრავლისმეტყველი ტენდენცია: შექმნილი მძიმე ვითარების გამო საქართველოში შეიმჩნევა არა მხოლოდ „ტვინების გაჟონვა“ და არაკვალიფიციური მიგრანტების გაჩენა, რაც ასე თუ ისე ასატანია და კანონზომიერი, არამედ ახლად ფეხადგმული ბიზნესის წარმომადგენელთა განთესვაც თავიანთი კაპიტალით, რაც მეტად სავალალო შედეგებს გვიქადის. ჩემი აზრით, აქ უპირველესი მიზეზია გაუმართლებელი, მგუდავი ეკონომიკური პოლიტიკა.

პოლიტიკა

კომუნისტებს რომ თავი დავანებოთ, ეროვნულ მოძრაობაში არც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს და არც მაინცდამაინც ოპოზიციონერებს (მეტ-ნაკლებად ყველა „ჯურისას“) სერიოზულად არ გვიფიქრია სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, დამოუკიდებლობის ეკონომიკურ ასპექტებზე (გავიხსენოთ ბალტიის რესპუბლიკების ძალისხმევა ამ მიმართულებით). გაბატონებული იყო თეზისი – „ჯერ პოლიტიკური დამოკიდებულება, შემდეგ - ეკონომიკური“, ანალოგიურად – „ჯერ დამოუკიდებლობა, შემდეგ დემოკრატია“. ახლა უკვე ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ასეთი მიდგომა არასწორია. დღეს რეალური დამოუკიდებლობის ერთ-ერთ უმთავრეს – ობიექტური ხასიათის შემაფერხებელ ფაქტორად, სწორედ, ეკონომიკური დამოუკიდებლობა გვევლინება, ხოლო ქვეყნის შიგნით ეკონომიკური თავისუფლება არის საერთო თავისუფლებისა და დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი

საფუძველი და გარანტი.

დღემდე არც ხელისუფლების და არც მთავრობის დონეზე არ შექმნილა ლეგალური კონცეფცია – პროგრამა ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევისათვის და დეკლარირებულ საბაზრო ურთიერთობებზე გადასასვლელად (ახლახან გამოქვეყნებულ ანტიკრიზისულ პროგრამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). მიღებულია რამდენიმე საკანონმდებლო აქტი (მეწარმეობის შესახებ, პრივატიზების შესახებ, საგადასახადო სისტემის შესახებ და სხვ.), რომლებიც ან საერთოდ არ „მუშაობენ“, ან - ძალზე შეზღუდულად. შეიძლება ითქვას, რომ რაიმე გამიზნული და გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკა არ ტარდება. ამ სფეროში პროცესები მიმდინარეობს ქაოტურად, გამეფებულია თვითნებობა და ვოლუნტარიზმი. თუმცა ბოლო დროს შეიმჩნევა ტენდენცია მბრძანებლური, ადმინისტრაციული მეთოდებით ეკონომიკის რეგულირებისა, რასაც საფუძვლად უდევს პრეეიერმინისტრის ეკონომიკური შეხედულებები – ე.წ. სახელმწიფო კაპიტალიზმის დოქტრინა, რაც ასე კარგად მოერგო საერთო პოლიტიკურ კურსს.

ასეთი არარაციონალური „ეკონომიკური პოლიტიკის“ მიზეზია არა მხოლოდ არაკომპეტენტურობა და, აქედან გამომდინარე, უუნარობა ყოველგვარი ცვლილებისა, არამედ, რაც მთავარია, შეგნებული და შეუგნებელი შიში ლიბერალური გარდაქმნებისა ეკონომიკაში. ეკონომიკური რეფორმა ქმნის დემოკრატიულ საზოგადოების რეალურ ფუნდამენტს – ჩნდება მქონებელთა, ე.ი. ეკონომიკურად დამოუკიდებელ მეწარმეთა, ვაჭართა, თავისუფალ პროფესიათა მქონე ადამიანების კლასი - ე.წ. საშუალო ფენა. ჩემი დაკვირვებით, სექტემბერ-ოქტომბრის გამოსვლებში შეიმჩნევა ამ ჩანასახოვანი ფენის გარკვეული აქტიურობა“ („ბურჟუაზიული რევოლუციის“ ნიშნები?).

გარდა ამისა, არსებობს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი შემაფერხებელი ფაქტორი – ძველი და ახალი (შეზღუდული) სამეურნეო-ადმინისტრაციული ბიუროკრატია, რომელსაც გაბატონებული, მონოპოლიური მდგომარეობა უკავია და, ბუნებრივია, ცდილობს შეინარჩუნოს „სტატუს კვო“.

მე ჩამოვთვალე მხოლოდ ზოგიერთი შინაგანი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკურ უძრაობას, აფერხებენ პროგრესს. რასაკვირველია, არსებობს ობიექტური გარეგანი ფაქტორებიც. ტოტალიტარული სისტემის რღვევის ზოგადი სირთულე – უცოდინრობა, პრაქტიკის უქონლობა (რაც დამახასიათებელია აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური

ქვეყნებისთვისაც), სსრკ-ის რღვევა და იმპერიალისტური ძალების მოქმედება. სხვათა შორის, როდესაც იმპერიულ ძალებზეა ლაპარაკი, არ არის ბოლომდე ნათელი, თუ ვინ განასახიერებს დღეს იმპერიულ ცენტრს – რა პოლიტიკური ძალები და ინსტიტუტები? რაში გამოიხატება საქართველოს მიმართ ეკონომიკური ბლოკადა? ეს არის პოლიტიკური მოტივებით განპირობებული ეკონომიკური სანქციები, თუ საკუთარი ეკონომიკური ინტერესებით ნაკარნახევი ქმედებანი?

აქვე მინდა შევეხო ერთიანი ეკონომიკური სივრცის და ეკონომიკური ხელშეკრულებების საკითხს, მითუმეტეს, როგორც მთავრობის მეთაური ამბობს – „ჯერჯერობით არც ჰო გვითქვამს და არც არა“. ამ თემის პოლიტიკური ფონი ნათელია: როდესაც ყოფილი სსრკ რესპუბლიკების რეალური სუვერენიტეტი გარდაუვალი ხდება, ცენტრისტული ძალები აძლიერებენ ეკონომიკურ არგუმენტს – რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შეუძლებლობას – „რესპუბლიკური ნატურალური მეურნეობის“ აბსურდულობას. ამის საფუძველზე კი ხდება ე.წ. ერთიანი ეკონომიკური სივრცის იდეის ფორსირებული დამუშავება – რეალიზება. რვა რესპუბლიკის მიერ დადებული ეკონომიკური ხელშეკრულების შინაარსი და სასტარტო პირობების გათვალისწინება ცხადჰყოფს, რომ ამ გზას საბოლოოდ ნეოიმპერიალისტური პოლიტიკისკენ მივყავართ. მაგრამ, თუნდაც გარდამავალი პერიოდის სიძნელეების აბსტრაჰირება რომ მოვახდინოთ და საკითხს სხვა, პოზიტიური კუთხით შევხედოთ, პრობლემა მაინც ურთულესია. საკითხის არსია ეკონომიკური გახსნილობის პრობლემა. იყოს თუ არა ნაციონალური ეკონომიკა ღია საქონლისა და ფინანსებისათვის – ანტიკური კითხვაა. ეს კითხვა ჯერ კიდევ არ მოხსნილა ეკონომიკური აზროვნებისათვის მერკანტილისტებისა და ანტიმერკანტილისტებისაგან 300 წლის შემდეგაც. ეკონომიკური გახსნილობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის (აღარაფერს ვამბობთ განვითარებული ქვეყნების პროტექციონისტულ პოლიტიკაზე).

უკვე ემპირიულად მტკიცდება, რომ ეკონომიკურ გახსნილობას ყოველთვის არ მივყავართ სწრაფი ზრდისა და განვითარებისაკენ. უფრო მეტიც, დღეისთვის სულ უფრო მკვიდრდება მდგრადი განვითარების, ეკოლოგიური ეკონომიკის თეორიები, რომლებიც პერსპექტიულად სახავენ სწორედ ლოკალურ და რეგიონულ დივერსიფიცირებულ ეკონომიკებს, რომელთა მახასიათებლებია: თვითუზრუნველყოფა, ჩაკეტილი ეკონომიკური ციკლები, ტრანსპორტირების შემცირება, ენერგიის ეფექტიანი გამოყენება, ნაკლებად უნიფიცირება,

საიმედოობა და ა.შ. საგულისხმოა, რომ ამგვარი სტრუქტურული ცვლილებებისათვის დიდი პოტენცია არსებობს, რომელიც აბსურდული ეკონომიკური კავშირების მოხსნასთან ერთად უფრო გამოჩნდება. ბუნებრივია, წინა პლანზე წამოიწევს კავკასიის რეგიონში ეკონომიკური კავშირების გაფართოების საკითხი, რაც დღეისათვის ხელოვნურად იზღუდება. მეორეს მხრივ, რაც უფრო მცირეა ეროვნული ეკონომიკა, მით უფრო იძულებულია, გააფართოოს საგარეო ურთიერთობანი. ყოველივე ზემოთქმული გათვალისწინებული უნდა იქნას, როდესაც გადაწყვეტილებას ვიღებთ ეკონომიკურ კავშირში შესვლაზე.

ხელისუფლების შეცვლიდან ზუსტად ერთი წლის თავზე „ახალმა“ მთავრობამ გამოაქვეყნა ეკონომიკურ პოლიტიკაში სამოქმედო ძირითადი დოკუმენტის პროექტი – „1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების ღონისძიებათა პროგრამა“. მე არ ვაპირებ ამ დოკუმენტის დეტალურ ანალიზს (დეტალებში მართლაც ბევრია საკამათო), შევეცდები მხოლოდ ზოგიერთი ზოგადი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ წარმოდგენილ დოკუმენტს, ჩემის აზრით, მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ პროგრამა, რადგან მასში პრობლემების, ამოცანებისა და სასურველი შედეგების კონსტატირება, ანალიზური მსჯელობები და მეურნეობის ეფექტიანობისაკენ მოწოდებები უფროა, ვიდრე პრობლემა გადაჭრის კონკრეტული მექანიზმები, ღონისძიებები და ვადები..... და რაც მთავარია, რეალური შემსრულებლები. თუმცა, როგორც ჩანს, პროექტის მიხედვით, „პროგრამამ“ საბოლოო სახე „ორი თვის შემდეგ“ უნდა მიიღოს, რადგან მრავალი არსებითი საკითხის დამუშავება დავალებული აქვთ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს. ეს უფრო აბუნდოვნებს ისედაც ამორფულ ტექსტს.

დოკუმენტი „მოითხოვს“, გამოცხადდეს „საგანგებო ეკონომიკური მდგომარეობა“, მინისტრთა კაბინეტს ეკონომიკის სფეროში მიენიჭოს „საგანგებო უფლებამოსილებანი“, „დროებით დაუშვას მართვის მკაცრი, მათ შორის, არაპოპულარულ ეკონომიკურ ღონისძიებათა გამოყენება“. „პროგრამა“ ნაცნობ ტონებში იკითხება: „უნდა მივაღწიოთ“, „დავალებათა შესრულება“, „ჩამოერთვას უფლება“, „აღიკვეთოს“, „ორგანიზებულობა და დისციპლინა“, „გაფართოებული აღწარმოება“ და სხვა. ერთი სიტყვით, კრიზისიდან გამოსვლისათვის აღებულია უპირატესად მკაცრი, დირექტული ადმინისტრირების კურსი (თუმცა არა საკუთრებით თან-მიმდევრული). როგორც მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი, ასე-

თი მიდგომა აბალკინ-რიჟკოვ-პავლოვის ხაზი, თვით ცხოვრებამ უარყო სსრკ-ში არალიბერალური, არადემოკრატიული, სანახევრო ზომებისა და შესაბამისად არარეალისტური ხასიათის გამო.

რას მოგვიტანს ასეთი პოლიტიკა საქართველოში?

მაშინ, როდესაც საქართველოს ეკონომიკა ასე მჭიდროდ არის ჩართული „ერთიან სახალხო სამეურნეო კომპლექსში“, როცა არ გაგვაჩნია ეკონომიკური სუვერენიტეტის ელემენტარული ატრიბუტები (ეკონომიკური საზღვრები, მონეტარული სისტემა და სხვა), როცა არ ვუერთდებით ეკონომიკურ შეთანხმებას (ამის შესახებ არაფერია ნათქვამი „პროგრამაში“), როცა რუსეთში, ფაქტობრივად, დაწყებულია ეკონომიკის ლიბერალიზაცია, „პროგრამის“ განხორციელების ცდა კიდევ უფრო გააძლიერებს ანარქიულ და ქაოტურ მდგომარეობას.

დათო ადეიშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

1991 წელს კოლეგიალური და მეგობრული კავშირებით შეკრულმა ადამიანებმა, ეკონომისტებმა და მათემატიკოსებმა, შევქმენით არა-ფორმალური ჯგუფი, თანამედროვე გაგებით think tank, - „ეკოსტრატი“. როგორც სახელიდანაც ჩანს, ჩვენი მიზანი იყო სტრატეგიული ხედვების დასახვა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის. საკვლევ ბაზად ვიყენებდით საკანონმდებლო ინიციატივებს, კანონპროექტებს, სტატისტიკურ მონაცემებს და სხვ. ჩვენდა საამაყოდ, „ეკოსტრატი“ იყო ერთ-ერთი პირველი კვლევითი ჯგუფი, რომელმაც მოამზადა გამსახურდიას მთავრობის ეკონომიკური, კერძოდ, აგრარული რეფორმების უმნიშვნელოვანესი კანონპროექტის კრიტიკული ანალიზი. ჩვენი პროგნოზი - ჩვენთვის არასასურველი - გამართლდა: „ჩამოყალიბდება უაღრესად წვრილი, არაეფექტიანი გლეხური მეურნეობა, საბაზრო მიმოქცევაში ფაქტობრივად ლეგალიზდება მხოლოდ იმ მიწების ყიდვა-გაყიდვა, რომელიც დღეს ფარულად მიმდინარეობს. ბაზარი ფაქტობრივად ვერ მოახდენს რაციონალურ გადანაწილებას“. სტატიაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება შესაძლოა, სასარგებლო იყოს მიწის ჯერ ჯიდევ ჩასატარებელი რეფორმისათვის.

საქართველოს რესპუბლიკა, 26 ნოემბერი, 1991

მიწის რეფორმის გამო

ზოგადი მოსაზრებანი

მიწის რეფორმა, მართალია, ძირეული, მაგრამ მაინც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია აგრარული რეფორმისა, რომლითაც უნდა დაიწყოს რადიკალური გარდაქმნები სოფლად. ამიტომ, მიწის რეფორმის კანონპროექტის განხილვამდე სასურველი იყო, გამოქვეყნებულიყო საქართველოში აგრარული სექტორის განვითარების მთლიანი კონცეფცია (თუ ასეთი შემუშავებულია საერთოდ). კანონპროექტი მიწის რეფორმის შესახებ და აგრარული რეფორმის სხვა კანონები უნდა შეფასდნენ კონცეპტუალურ მიზნებთან მიმართებაში.

კონცეფცია პასუხს უნდა სცემდეს აგრარული სექტორის განვითარების ზოგად საკითხებს: გვინდა თუ არა სურსათით რესპუბლიკის თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა? რა სახის ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმებსა და ინდივიდუალური მეურნეობის რა ტიპებზე უნდა იქნას აღებული ორიენტაცია? შესაბამისად, შესაძლებელია, განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომა აგრარულ პოლიტიკაში. მაგალითად: ა) შედარებით შრომატევადი ნატურალურ-სასაქონლო საგლეხო მეურნეობები და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკის უპირატესად აგრარული კურსი; ბ) დიდი, მაღალინტენსიური, სპეციალიზებული კომერციულ-ფერმერული მეურნეობები და აქედან გამომდინარე ეკონომიკის უპირატესად ინდუსტრიული კურსი; გ) სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმები და მეურნეობების ტიპები, განსაზღვრულნი საქართველოს რეგიონების განსხვავებულობების ან ბუნებრივ-ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორების შესაბამისად. ამ არჩევანზე ბევრად იქნება დამოკიდებული საქართველოს მთლიანი სახის ბედი, მისი განვითარების ზოგადი მიმართულება – სოფელსა და ქალაქს შორის თანაფარდობა, დასაქმება, დემოგრაფიული პერსპექტივა, ცხოვრების წესი და ა.შ.

კანონპროექტი მიწის რეფორმის შესახებ ითვალისწინებს მიწის საკუთრების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ინდივიდუალური ფორმების პრიმატს, რაც აუცილებელია სოფლად კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული სამეურნეო საქმიანობის აღორძინება-განვითარებისათვის. ეს იდეა კარგად ეხამება საერთო ეკონომიკური რეფორმის სასურველი მიმართულებით წარმართვას.

პროექტში გაცხადებულია რეფორმის ზოგადი და კერძო მიზნები. ერთ-ერთ მთავარ მიზნად არის დასახული მიწების რაციონალური განაწილება, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურად და ეკონომიკურად მაღალეფექტიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, რაციონალურ მიწათ-სარგებლობას. ყველა სხვა მიზანი არსებითად ემსახურება ამ მთავარი მიზნის მიღწევას. ამიტომ ბუნებრივია კანონპროექტი შეფასდეს სწორედ ამ მთავარ მიზანთან მიმართებაში. უზრუნველყოფს თუ არა პროექტში გათვალისწინებული რეფორმის მექანიზმი ამ სავსებით მისაღები მიზნების მიღწევას? უნდა გაკეთდეს რეფორმის განხორციელების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მრავალმხრივი გრძელვადიანი პროგნოზი, შეფასდეს ამ პროგნოზების სიახლოვე წამოყენებულ კონ-ცეპტუალურ მიზნებთან. ცხადია, ამ მიმართულებით ჩასატარებელი სამუშაოს მოცულობა დიდი იქნება, თუმცა ამ ეტაპზევე შესაძლებელია

წინასწარი ვარაუდის სახით ზოგიერთი მოსაზრების მოტანა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

ზოგიერთი წინასწარი ვარაუდი

რას მოიცავს კანონპროექტი?

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ იგი აგრარული რეფორმის ერთ-ერთი ნაწილია, მაგრამ პროექტის მიხედვით მიწის რეფორმა მეტისმეტად ვიწრო კუთხით წარმოგვიდგება. მისი მოქმედების არეში ექცევა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, საკარმიდამო, საბაღე-საბოსტნე, სააგარაკო და აგრეთვე ნასოფლარებში მიტოვებული მიწები. აუცილებლად მიგვაჩნია ამთავითვე გაირკვეს სხვა მიწების ბედიც.

ასევე აუცილებელია პარალელურად გადაწყდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი ფონდების (ნაგებობების, მანქანა-იარაღების, პირუტყვის და სხვა) საკითხი. მიწის რეფორმა ვერ მოგვცემს სასურველ შედეგებს, თუ ერთდროულად არ განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები სოფლის მეურნეობის წარმოების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში.

რომელი მიწები გაიცემა კერძო საკუთრებაში?

ბუნებრივია, უპირველესად გვაინტერესებს „ინტენსიური“ მიწათმოქმე-დებისათვის განკუთვნილი მიწების – სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების ბედი. მიწის რეფორმის შედეგად სწორედ ამ მიწებთან უნდა ველოდოთ არსებითი ეფექტის მიღებას.

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს ის მიწები, რომელთა ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მელიორაციისათვის ან სხვა ამგვარი ღონისძიებებისათვის სახელმწიფოს გაღებული აქვს სახსრები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფორმულირებაში მოხვდება მაღალნაყოფიერი მიწების დიდი ნაწილი, კერძოდ, ბაღ-ვენახებიც (მის შესახებ კანონპროექტში ცალკე არაფერია ნათქვამი). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახელმწიფო საკუთრებად სხვადასხვა სტატუსით შეიძლება დარჩეს სხვა მიწებიც, დავასკვნით, რომ “ინტენსიური“ მიწათმოქმედების მიწებიდან საიმატრიკულაციოდ შეიძ-ლება გაიცეს მხოლოდ სახნავი არამელიორირებული მიწები. ეს მიწები მეტად არათანაბრადაა განაწილებული ტერიტორიულად. მოვიყვანთ რამდენიმე უკიდურეს მახასიათებელს: თანაბარი განაწილების შემთხვევაში ერთი სასოფლო კომლი საიმატრიკულაციოდ მიიღებდა: საჩხერეში – 700 კვადრატულ მეტრს, ჩოხატაურში – 1000, ზესტაფონში – 1500, ამბროლაურში, ზუგდიდში, ხარაგაულში, სენაკში, წალენჯიხაში – 2000, ახმეტაში, გურჯაანში, ლენტეხში, ბაღდათში, ოზურგეთში – 3000-ს.

მეორე მხრივ, ბოლნისში – 0,5 ჰექტარს ახალციხეში – 0,6, დმანისში – 1, მარნეულში, გარდაბანში – 1,2, ახალქალაქში – 1,5, წალკაში – 1,8, თეთრი წყაროში, საგარეჯოში – 2,5, ბოგდანოვკაში – 3 ჰექტარს.

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მიერ პრივატიზაციის საკითხებზე ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მიწით მოსარგებლენი გამოთქვამენ სურვილს, საკუთრებად მიიღონ გაცილებით დიდი ფართობი, ვიდრე მათ კანონპროექტი აძლევს საშუალებას. კანონის განხორციელება კი საქართველოს უმრავლეს რაიონებში კერძო საკუთრებად დააკანონებს მხოლოდ იმ მიწებს, რაც დღეს აქვს გლეხს კანონიერ სარგებლობაში; ჩამოყალიბდება უაღრესად წვრილი, არაეფექტიანი გლეხური მეურნეობა. საბაზრო მიმოქცევაში ფაქტობრივად ლეგალიზდება მხოლოდ იმ მიწების ყიდვა-გაყიდვა, რაც დღესდღეობით ფარულად მიმდინარეობს. ბაზარი ფაქტობრივად ვერ მოახდენს მიწის რაციონალურ გადანაწილებას. ამასთან დაკავშირებით, თუ გავითვალისწინებთ მრავალწლიანი ნარგავებისა და მელიორირებული მიწების ტერი-ტორიულ განაწილებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ჩართვა საიმატრიკულაციოდ გამოსაყოფი მიწების ჩამონათვალში.

ვინ შეიძლება მიიღოს მიწა საკუთრებად?

კანონპროექტში გათვალისწინებულია გარკვეული პრიორიტე-ტების სისტემა მიწის იმატრიკულაციის პირობით მიღებისათვის. ეს სისტემა ითვალისწინებს არსებით შეზღუდვას – „....კომლის ერთი შრომისუნარიანი წევრი მაინც არ უნდა იმყოფებოდეს სახელმწიფო სამსახურში“. სავარაუდოა, რომ ეს შეზღუდვა მეტად მკაცრი იქნება, თუ გავითვალისწინებთ სოფლად მცხოვრებთა დიდი ნაწილი, რომელთაც დღეს შეუძლიათ იმატრიკულაციის პირობით მიიღონ მიწა, თხუთმეტწლიანი პერიოდის გავლის შემდეგ თავისი ასაკის გამო ნაკლებ პერსპექტიული მეურნე იქნება. ზემოხსენებული სოციოლოგიური გამოკვლევა კი ადასტურებს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის პერსპექტიული პიროვნების ტიპია 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდა. შესაბამისმა მექანიზმებმა რეფორმების დროს უნდა უზრუნველყონ მათი წახალისება.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი საშუალებას აძლევს გარკვეულ ე.წ. მაფიოზურ წრეებს, სტრატეგიული და სხვა ნიღბით მფლობელობაში იქონიონ საუკეთესო მიწების დიდი ნაკვეთები და არაკანონიერი გზით მიითვისონ მონოპოლიური რენტის მნიშვნელოვანი ნაწილი. კანონი არ იძლევა ასეთი და სხვა სოციალური და საბოლოო ეკონომიკურად

უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების გარანტიებს. ასეთი მისწრაფებების გააქტიურებას ადასტურებს ამ ბოლო დროს პრესაში ხელახლა გამოჩენილი იდეები ახლანდელი კოლმეურნეობის ბაზაზე აგროფირმების მოწყობის შესახებ.

პროექტის მე-13 პუნქტის მიხედვით, მიწა „სასაფლო-სამეურნეო საწარმოებს, საზოგადოებრივ მეურნეობებს.... შეიძლება გადაეცეთ საკუთრებად". ვფიქრობთ, ეს პუნქტი საჭიროებს რეგლამენტირებას, თუ ასეთი ტიპის რომელ ორგანიზაციებს და ვისი გადაწყვეტილებით მიეცემას მიწა საკუთრებად.

პირველსავე ეტაპზე უნდა გადაწყდეს იმ ჩამონაჭრების დაბრუნების საკითხი, რომლებიც გლეხებს კანონიერ სარგებლობაში ჰქონდათ, თუკი არაა ფიზიკური დაბრკოლება ამის განსახორციელებლად. აქ არ არის მოსალოდნელი დიდი გართულებები. ამ მიწების გასხვისება, როგორც წესი, ძველ მესაკუთრესთან ფარული გარიგების გზით ხდებოდა. ეს უმტკივნეულო ოპერაცია ბრუნვაში მოაქცევს საერთო მასშტაბით არცთუ დიდ ფართობს, შედეგი კი მრავალმხრივ საგრძნობი იქნება.

საყურადღებოა ერთი ფაქტორიც: ათწლეულების განმავლობაში ხდებოდა მიგრაცია სოფლიდან ქალაქად. ეს იყო უპირველეს ყოვლისა სოფლის ინტელექტუალური პოტენციალის მიგრაცია, რომელიც სოფლად გასაქანს ვერ პოულობდა და შველას ქალაქში ეძიებდა. ამის გამო სოფელი მეტად დაზარალდა. მიგრანტთა გარკვეული ნაწილი, რომელთაც აქვთ სოფლის მეურნეობის მუშაობის გამოცდილება და სურვილი და არცთუ კარგად მოწყობილი ცხოვრება ქალაქად, შეიძლება ჩაითვალონ პოტენციურ „უკუმიგრანტებად", რომლებიც უეჭველად წაადგებიან სოფელს თავიანთი ინტელექტუალური და სამეწარმეო უნარით. ქალაქელთა მისწრაფება, იაქტიურონ სოფლის მეურნეობის სფეროში, გაცხადდა სოციოლოგიურ გამოკვლევაშიც. კანონმა მიწის შესახებ საშუალება უნდა მისცეს ამ ძალების სათანადო რეალიზებას.

რა პერიოდში განხორციელდება მიწის რეფორმა

მიწის რეფორმის სწორად განხორციელებამ უნდა მოგვცეს საგრძნობი ეკონომიკური ეფექტი მცირე დროის შემდეგ მნიშვნელოვანი მოცულობის კაპიტალდაბანდებების გარეშე ეს არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემაა. კანონპროექტით გათვალისწინებული მიწის რეფორმის მექანიზმი ითვალისწინებს ხანგრძლივ პერიოდს. მიწის კადასტრის ხარისხიანად დამუშავება (სხვანაირად მას აზრი არა აქვს) მეტად შრომატევადი საქმეა და მალე ვერ მოხდება. ამასთან, ნაკლებ სანდოა ის ეკონომიკური მახასიათებლები, რომლებიც

ახლა გვაქვს მიწის შესახებ. ამდენად, შეიძლება მიზანშეწონილიც იყოს ამ საქმის გაკეთება ახალი საადგილმამულო ურთიერთობების ჩამოყალიბების შემდეგ, ხოლო პირველ ეტაპზე ვისარგებლოთ მიწის არსებული უხეში შეფასებებით.

მიწების განაწილების რაციონალურობა და რაციონალური მიწათსარგებლობა თავისთავად მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად, რაციონალურია მიწის მეპატრონე გახდეს ის, ვინც უზრუნველყოფს მის დამუშავებას და კარგ მოსავალს. რაციონალურია, მესაკუთრეს იმდენი მიწა ჰქონდეს, რამდენსაც ის ეფექტიანად მოუვლის. ცხადია, როგორც პირველი, ისე მეორე ამ ფაქტორთაგან მეტად ცვალებადია.

ამდენად, სრულიად ნათელია, რომ მიწის პირველი განაწილება, როგორი კარგი მიზანდასახულობითაც უნდა გაკეთდეს, ვერ იქნება რაციონალური, თუნდაც დროის მცირე მონაკვეთის შემდეგ. რაციონალიზაციის ერთადერთი საშუალება მიწის შემდგომი გადანაწილებაა, რომელია მოქნილი მექანიზმი იმთავითვე უნდა იყოს გათვალისწინებული რეფორმის კანონში. კანონპროექტში გამოყენებული იმატრიკულაციის იდეა სწორედ ამ მიმართულებითაა გამიზნული, მაგრამ მისი ეფექტი პროექტში მოტანილი შინაარსით მრავალ კითხვას ბადებს, კერძოდ, მე-19 პუნქტის თანახმად, იმატრიკულაციის პერიოდში მიწის მეპატრონეს აქვს მოსარგებლის სტატუსი და თუ ზედიზედ ორი წელი არ დაამუშავა მიწა, მაშინ იგი კარგავს უფლებებს ამ ნაკვეთზე, მაგრამ როგორია ამ ნაკვეთის სხვაზე გადაცემის წესი? ვის გადაეცემა იგი? როგორ იქნება აქ დაცული ყოფილი მეპატრონის უფლებები? ვინ აუნაზღაურებს მას გრძელვადიანი მიზნით აქამდე გაწეულ ხარჯებს?

იმატრიკულაციის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის მეპატრონეს შეიძლება სხვადასხვა ობიექტური გარემოების გამო გაუჩნდეს სურვილი, მემკვიდრეს ან სხვა მოქალაქეს გადასცეს ნაკვეთი. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მიწათმოსარგებლის სტატუსი ამის საშუალებას არ იძლევა.

ადვილი მისახვედრია, ორსავე ამ შემთხვევაში ორმხრივი შეთანხმებით ახალ და ძველ მეპატრონეთა შორის ანგარიშსწორება ფარული ყიდვა-გაყიდვის სახით კანონის გვერდის ავლით მაინც მოხდება. ცხადია, სასურველია ასეთი შესაძლებლობის გათვალისწინება და ამ პროცესის ლეგალიზება.

პროექტის მიხედვით, მიწა მოქალაქის საკუთრებად იქცევა მას შემდეგ, რაც იმატრიკულაციის პერიოდში იგი შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ამრიგად, მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება

მიწის მესაკუთრე სუბიექტი და, მაშასადამე, მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდება საბაზრო მექანიზმი. ბაზრის საშუალებით შესაძლებელი გახდება მიწის ხელახლა გადანაწილება და ამით მიწის განაწილებისა და მიწათსარგებლობის რაციონალიზაცია. ეს, რა თქმა უნდა, საბოლოო ანგარიშით კარგია, მაგრამ აქამდე მისვლას პროექტის მიხედვით დიდი დრო (ბარად, სულ მცირე, თხუთმეტი, მთაში კი ათი წელი) დასჭირდება. ჩვენი აზრით, მიწის რეფორმის პროცესის სასურველი მიმართულებით წარმართვის ასეთი დაყოვნება გაუმართლებელია.

წამოჭრილი პრობლემები სავსებით ადასტურებენ კანონპროექტში შემდეგი შესწორებების აუცილებლობას:

1) შემცირდეს იმატრიკულაციის ვადა 3-5 წლამდე. ვფიქრობთ, 3-5 წელიწადი საკმარისია, რათა გლეხმა დაამტკიცოს, რომ შეუძლია მიწის მოვლა, მიწაზე მაღალპროდუქტიული სასაქონლო მეურნეობის გამართვა და გაძღოლა.

2) იმატრიკულაციის პერიოდში მიწის მეპატრონეს უნდა ჰქონდეს არა მიწათმოსარგებლის სტატუსი, როგორც ეს კანონპროექტშია, არამედ მიწის მფლობელის სტატუსი. ამასთან მასვე აუცილებლად უნდა ჰქონდეს ამ პერიოდშივე მიწის გასხვისების შეზღუდული უფლებაც. აქ ვგულისხმობთ ორ მომენტს: მფლობელს უნდა ჰქონდეს გარკვეული გარიგებით (შესაძლოა, იჯარით) მიწაზე სხვისი შრომის გამოყენების უფლება (ამას, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით თუნდაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დღევანდელი დეფიციტის პირობებში).

მფლობელს უნდა ჰქონდეს უფლება (ხოლო იმატრიკულაციის პირობის დარღვევის შემთხვევაში - იძულებით), გადასცეს მიწა მემკვიდრეს ან სხვა მფლობელს მიწის რეფორმის კომისიის კონტროლით ურთიერთ-მორიგებით შეთანხმებული სასყიდლის ფასად. შეიძლება ითქვას, რომ ამ სახით მფლობელობა ფაქტობრივად არის შეზღუდული უფლებით მესაკუთრეობა (აქ შემზღუდავი პირობების იმატრიკულაციის მოთხოვნები და გასხვისებაზე სათანადო კომისიების კონტროლი). საიმატრიკულაციო ვადის შემდეგ მფლობელს ეხსნება შესაბამისი შეზღუდვები და უმცირდება გასხვისებაზე კონტროლი. ამით იგი ყალიბდება მიწის მესაკუთრედ. ამრიგად, მფლობელობა იქნება გარდამავალი საფეხური კერძო საკუთრებისაკენ.

ეს შესწორებები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ალტერ-ნატიული, ვინაიდან მეორის დაკანონების შემთხვევაში უკვე თავიდანვე მივიღებთ საადგილმამულო ბაზარს (მეპატრონეთათვის შეზღუდული გაყიდვის უფლებით).

ვინ განახორციელებს მიწის რეფორმას?

კანონპროექტი ითვალისწინებს მიწის რეფორმის სამსაფეხურიანი ორგანოების შექმნას. ვფიქრობთ, ამ საქმეში ბიურო კრატიული გაზვი-დება არ იქნება გამართლებული. მათი უფლება-მოვალეობანი უნდა იყოს კანონის მიერ მკაცრად რეგლამენტირებული და ურთიერთგამიჯნული. მათი მუშაობა უნდა წარიმართოს საჯაროდ. ამ ორგანოებში არ უნდა იყოს იმ პირთა სიმრავლე, რომელნიც ამავე დროს მეურნეობებს განაგებენ.

ვფიქრობთ, კანონში რეგლამენტირებული უნდა იყოს მიწის რეფორმის რა დონის ორგანოების გადაწყვეტილებით, რა მოცულობით იქმნება დასახლებული პუნქტებისათვის მიწის სპეციალური ფონდი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის.

მიწის რეფორმის ორგანოების შესახებ მუხლის 30-ე და 31-ე პუნქტებს შორის შეუსაბამობაა: 30-ე პუნქტის მიხედვით სადაბო, სათემო, სასოფლო მიწის რეფორმის კომისიების თავმჯდომარეებს ამტკიცებს მიწის რეფორმის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო 31-ე პუნქტში ვკითხულობთ, რომ რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს ირჩევენ რეფორმის რაიონული კომიტეტის წევრები, რომელთა შორის იმყოფებიან ზემოხსენებული სადაბო, სათემო, სასოფლო კომისიების თავმჯდომარეები. ვინ ვის ამტკიცებს და ირჩევს?

მოსალოდნელი შედეგების ყველა დასმული და მრავალი სხვა (ნასოფლარების აღდგენის, რაციონალური მიგრაციის დასაქმების ხელშეწყობის) ასპექტი მოითხოვს დეტალურ შესწავლას კანონის მიღებამდე.

სხვა შენიშვნები და წინადადებები

გამოქვეყნებული კანონპროექტის მიწის რეფორმის კანონის საფუძ-ლად მიღების შემთხვევაში, აუცილებლად მიგვაჩნია, აგრეთვე, ქვემომო-ყვანილი კონკრეტული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინება.

საიმატრიკულაციო პერიოდში მიწის გამცემსა და მიწის მიმღებს შორის ურთიერთობის რეგულირებისათვის და უკანასკნელის სამეურნეო საქმიანობის შეფასების იურიდიული საფუძველს შეადგენს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება ამ ორ მხარეს შორის. კანონის პროექტის მიხედვით, ხელშეკრულების ფორმას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტი, ამის შესახებ აქ სხვა არაფერია ნათქვამი. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა: ხომ არ იქნება ხელშეკრულების ეს პროექტი საიმატრიკულაციო ვადაში მოქალაქეების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ზემოდან „გეგმიური“ დიქტატის განხორციელების ახალი ფორმა? თუ გავითვალისწინებთ

ჩვენში არსებული მმართველობის ადმინისტრაციული მეთოდებისაკენ მიდრეკილებებს, მაშინ ასეთი საშიშროების არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამ ეჭვს აძლიერებს მიწის რეფორმის კანონის პროექტის IV მუხლის მე-16 პუნქტში მოცემული ერთი ასეთი დეტალი: "ისინი (მოქალაქეები) ვალდებული არიან დაამუშაონ მიწა, აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არანაკლებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის რაოდენობისა". სოფლის მეურნეობის გაძღოლის ადრინდელი გეგმიური მიდგომა ხომ ძირითადად ამ პრინციპებით მოქმედებდა.

ამ ხელშეკრულების ფორმასა და შინაარსზე ძირითადად დამოკიდებული იქნება, თუ ვინ და რამდენი მსურველი გვეყოლება აიღოს მიწა იმატრიკულაციის პირობით, საბოლოო ჯამში კი ამ კანონით მიწის რეფორმის შედეგები. ჩვენი აზრით, ხელშეკრულებაში საკმარისია, განისაზღვროს მხოლოდ ის ძირითადი პირობები, რომელთა შესრულებით იმატრიკულაციის ვადაში მოქალაქე შეინარჩუნებს მიწის საკუთრებად მიღების უფლებას.

ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ დასაბუთებულ მოთხოვნას, რომ იმატრიკულაციით გაცემულ მიწაზე მოქალაქეს უნდა ჰქონდეს მფლობელის და არა მოსარგებლის უფლებები. ეს გამორიცხავდა მოქალაქის სამეურნეო საქმიანობაზე ყოველგვარი დიქტატის შესაძლებლობას.

ჩვენი აზრით, აუცილებელია, კანონში შევიდეს მუხლი, რომლის ძალითაც დაწესდება გლეხურ მეურნეობათა სიდიდის გარკვეული მინიმუმი (რეგიონების შესაბამისობაში), რომლის ქვემოთაც მეურნეობათა დაყოფა მემკვიდრეებზე ან სხვა პირებზე გადაცემისას არ დაიშვება.

პრეამბულა უნდა შესწორდეს და ითქვას, რომ კანონი არეგულირებს რეფორმას და არა საერთოდ საადგილმამულო ურთიერთობებს, აგრეთვე იმას, რომ ეს რეფორმა ძირეულია და ცვლის თვით საკუთრებით ურთიერთობებს. ამით ხაზი უნდა გაესვას, რომ უარს ვამბობთ მიწათსარგებლობის კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობის სისტემაზე.

ავტორთა ჯგუფი: დათო ადეიშვილი, გივი ლემონჯავა, ამირან წაქაძე, რევაზ წაქაძე, მამუკა წერეთელი

1992

თბილისის ომი ახალი დამთავრებულია. თითქოს ყველაფერი ჩამოინგრა, ყველას უჭირს და აპათიაშია. ავტორთა ჯგუფი „საქსტატში" (საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი) ვმუშაობთ - ხელი მიგვიწვდება ინფორმაციაზე, და ჩვენც ვაანალიზებთ და ვაპროგნოზებთ, თუმცა პესიმისტურად - „გაზაფხულზე მინიმალური სამომხმარებლო კალათა კიდევ უფრო შემსუბუქდება და გაძვირდება."

7 დღე, 14-20 თებერვალი, 1992

ცხოვრებას ფასი დაეკარგა, მაგრამ ის მაინც ძვირდება

სამეურნეო საქმიანობის სრული მოშლა, საყოველთაო დეფიციტი, ფასების გაუგონარი ზრდა წინა პლანზე აყენებს მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხს. მართალია, მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებიც ადასტურებს, რომ ჩვენი ხალხი საკმაო მოთმინებას იჩენს არსებულ ეკონომიკურ სიძნელეების მიმართ, მაგრამ მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი გართულებებიც. მოსახლეობის განწყობილების შეცვლამ, შესაძლოა, გადამწვეტი (უარყოფითი) როლი შეასრულოს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას. აქტუალური ხდება მდგომარეობის შეფასება და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზი, რათა გატარდეს შესაბამისი სოციალური პოლიტიკა.

სამომხმარებლო კალათა

მოსახლეობის ცხოვრების დონისა და მისი დინამიკის სინთეზური დახასიათებისათვის სტატისტიკაში გამოიყენება ე.წ. „სამომხმარებლო კალათა", რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა სამომხმარებლო ფასეულობათა (საქონლისა და მომსახურების) კრებულს. კალათის ღირებულება არსებული ფასებით განსაზღვრავს ცხოვრების ღირებულებას, ხოლო მისი ცვლილება გამოხატავს ფულის მსყიდველობით უნარიანობის ცვლილებას. კალათის ღირებულების შესაფასებლად

გამოიყენება საშუალო ფასები.

სავარაუდოა, რომ მოხმარების რაციონალური დონის მიღწევა დღეს ოჯახების მხოლოდ 1-2 პროცენტს შეუძლია.

არსებობს რაციონალური და მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი: რაციონალური ბიუჯეტის შესაბამისი სამომხმარებლო კალათა კვების პროდუქტების, საოჯახო ქონების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებისა და მომსახურების რაციონალურ ნორმებს ეყრდნობა.

მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი განისაზღვრება იმ კალათის ღირებულებით, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის ძირითად ფიზიოლოგიურ და კლუტურულ მოთხოვნილებებს.

მინიმალური სამომხმარებლო კალათის შემადგენლობას განსაზღვრავს კვების პროდუქტების, არასასურსათო საქონლისა და მომსახურების მინიმალური ნორმები. ეს ნორმები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ასაკის, სქესის, საქმიანობისა და სხვა ფაქტორების მიხედვით. ამიტომ მინიმალური სამომხმარებლო კალათა კეთდება მომხმარებელთა სხვადასხვა ტიპებისთვის.

ცნობილია, რომ სამომხმარებლო ბაზარზე საშუალო სტატისტიკური მომხმარებლის ქცევის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ოჯახის შემოსავალია. ამასთან, შემოსავალი განსაზღვრავს არა მარტო შემოსავლის საერთო დონეს, არამედ მის სტრუქტურასაც. დადგენილია, რომ რაც უფრო მცირეა ოჯახის შემოსავალი, მით უფრო მეტია კვებაზე გაწეული ხარჯების წილი. ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე, მინიმალურად ითვლება სამომხმარებლო კალათა, რომლის ღირებულებაში სასურსათო საქონლის წილი ნახევრის ტოლია. ამ კალათის ღირებულებით განისაზღვრება სიღატაკის ზღვარი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ოჯახი, რომელსაც მთელი შემოსავლის ნახევარზე მეტი კვებაზე ეხარჯება, დღევანდელი სტანდარტების მიხედვით ღატაკად ითვლება.

ოჯახის ბიუჯეტი

ოჯახის ბიუჯეტის ფორმირებისა და მისი ხარჯვის სტრუქტურების განმაზოგადებელი მაჩვენებლები მიიღება ე.წ. საბიუჯეტო ქსელის ოჯახებზე მუდმივი დაკვირვებით, რომელსაც აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, ქსელი მოიცავს 2100 ოჯახს რესპუბლიკის ყველა რეგიონში და ისეა შერჩეული, რომ ასახავს მოსახლეობის სოციალურ სტურქტურას. ამ მონაცემების

საფუძველზე განისაზღვრება მინიმალური სამომხმარებლო კალათა.

ოჯახის ბიუჯეტში აისახება შემოსავლების წყაროებისა და გასავლების დეტალური სტრუქტურა. კომიტეტში თავს იყრის იმ ოჯახების საბუღალტრო ჩანაწერები, რომლებიც აწარმოებენ საოჯახო მეურნეობის აღრიცხვას. აქვე ხდება ამ მონაცემების დამუშავება (ჩვენი შემდგომი ანალიზი ძირითადად საბიუჯეტო გამოკვლევების განზოგადებულ მასალებს ეყრდნობა. დღევანდელი მდგომარეობის შეფასებას 1985 წლის მდგომარეობის ფონზე მოვახდენთ).

რესპუბლიკაში საშუალო თვიური ფულადი შემოსავალი ერთ სულზე 1985 წელს 110 მანეთს შეადგენდა. ოჯახი კვებაზე საშუალოდ ხარჯავდა თავისი ფულადი შემოსავლის 36%-ს (40 მანეთი ერთ სულზე თვეში). კვებაზე გაწეული ხარჯების წილი არსებითად ახასიათებს ოჯახის კეთილდღეობის დონეს. შედარებისათვის ვიტყვით, რომ საშუალო ამერიკელი კვებაზე ხარჯავს შემოსავლის მხოლოდ 10-15%-ს. საყურადღებოა, რომ 1985 წლის ფაქტობრივი სასურსათო კალათა არ გამოირჩევა განსაკუთრებული ხარისხით. კერძოდ, ხორცის მოხმარება 41კგ-ს შეადგენდა (საშუალო ამერიკელისათვის წელიწადში ეს მაჩვენებელი 80 კგ-მდე აღწევს). მთლიანობაში 1985 წლის ფაქტობრივი სასურსათო კალათა მიახლოებული იყო მოხმარების მინიმალურ რაციონალურ ნორმებთან.

განვლილ ექვს წელიწადში გაუარესდა როგორც მოხმარების დონე და სტრუქტურა, ასევე კვების ხარისხიც. 1991 წლის ცხრა თვის მონაცემებით, საშუალო თვიურმა შემოსავალმა ერთ სულზე 195 მანეთი შეადგინა. კვებაზე გაწეული ხარჯების წილი ფულადი შემოსავლის 48%-მდე გაიზარდა (90 მანეთი ერთ სულზე თვეში). გაიზარდა აგრეთვე პირველი მოხმარების სხვა საგნების შეძენაზე გაწეული ხარჯებიც, დანარჩენი ხარჯების წილი კი შემცირდა. აღსანიშნავია, რომ თუ 1985 წელს დაგროვების წილი შემოსავალში 10%-ს აღემატებოდა, ახლა მხოლოდ 5%-ია. განვლილ პერიოდში „სხვა ხარჯების“ წილის შემცირება 18%-დან 12%-მდე მიგვანიშნებს, რომ ოჯახი იძულებულია ფინანსური სიძნელეების გამო უარი თქვას ცხოვრების ჩვეულ სტილზე. ჯერჯერობით არაა დამუშავებული გასული წლის ბოლოს კვარტლის მონაცემები. ეჭვგარეშეა, რომ გამოვლენილი ტენდენციები დღესაც გრძელდება.

გამოკითხულ თბილისელთა აზრით, ერთ სულზე საშუალო თვიური შემოსავალი უნდა შეადგენდეს 1600 მანეთს.

რაც შეეხება პურს, იგი საქართველოში ტრადიციულად უფრო მეტი მოიხმარება, ვიდრე ამას რაციონალური ნორმა ითვალისწინებს.

პურზე დაბალი ფასების შენარჩუნების მიუხედავად საბიუჯეტო ოჯახების მასალები არ ადასტურებენ პურის მოხმარების გაზრდას. არ დასტურდება, აგრეთვე, პირუტყვის საკვებად მისი გამოყენების მნიშვნელოვანი ზრდა (რაც ცალკეული შემთხვევების არსებობას არ გამორიცხავს). ეს ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ გამომცხვარი პურის რაოდენობის შეზღუდულობასა და ნაკლებად ხელმისაწვდომობას. პურის ფასის რეკორდული მატების მიუხედავად მასზე მოთხოვნილება გაიზრდება. პური რჩება შიმშილის მოკვლის ერთ-ერთ ყველაზე იაფ საშუალებად, და იგი სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით შეცვლის ძვირადღირებულ პროდუქტებს ჩვენს სუფრაზე (ეს ეფექტი მეცნიერებაში ცნობილია „გიფენის პარადოქსის“ სახელწოდებით). ამ მოსაზრებას ქალაქის ვაჭრობის სისტემიდან პურის მიწოდების ზრდის შესახებ მიღებული ცნობები და მაღაზიებში კვლავ არსებული რიგებიც ადასტურებს.

ცხოვრების ღირებულება

გასული წლის 9 თვის საშუალო ფასებით რაციონალური სამომხმარებლო კალათის (მასში 219 დასახელების ფასეულობა შედის, აქედან 48 სასურსათო საქონელია) ღირებულება 600 მანეთს შეადგენდა ერთ სულზე თვეში. კვების წილად 40% მოდიოდა. სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტში გასული წლის აგვისტოს თვეში ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახების მხოლოდ 5%-ს ჰქონდა საკმარისი შემოსავალი რაციონალური სამომხმარებლო კალათის შესაქმნელად. მიმდინარე წლის 1 თებერვლის ფასებით, რაციონალური

სასურსათო კალათის ღირებულებამ 1200 მანეთი შეადგინა ერთ სულზე თვეში, ხოლო მთლიანი კალათისამ – 1900 მანეთი. არასასურსათო ნაწილის ღირებულება პირობითია, რადგან მისი ნომენკლატურის ძირთიადი ნაწილი კომერციულ მაღაზიებშიც კი ხელმიუწვდომელია. ამასთან, არასასურსათო საქონელი და მომსახურების ზოგიერთი სახის ღირებულება სახელმწიფო ფასებშია ნაანგარიშევი, არ არის გათვალისწინებული განათლების, სამედიცინო მომსახურებისა და სხვა აუცილებელი რეალური ხარჯები. რაციონალური საოჯახო კალათის ღირებულება, ალბათ, თვიურად 7-8 ათასი მანეთით განისაზღვრება. სავარაუდოა, რომ მოხმარების რაციონალური დონის მიღწევა დღეს ოჯახების მხოლოდ 1-2%-ს თუ შეუძლია.

ახლახან ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვით თბილისელებს მიაჩნიათ, რომ ერთ სულზე საშუალო თვიური შემოსავალი უნდა

შეადგენდეს 1600 მანეთს. ჩანს, რომ თბილისელი მომხმარებელი კარგად ვერ აცნობიერებს თავისი საოჯახო ბიუჯეტის დეფიციტურობის ხარისხს.

მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულებამ მიმდინარე წლის 1 თებერვლის ფასებით ერთ სულზე თვეში 1000 მანეთი შეადგინა.

ამდენად, დღეისთვის სიღატაკის ზღვარი ერთ სულზე თვეში სულ ცოტა 1500 მანეთია. გასული წლის აგვისტოს გამოკვლევების მონაცემებით კი, მოსახლეობის 84%-ს ერთ სულზე თვიურად 350 მანეთზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა.

ელიტარული კალათა

“ელიტარული კალათა მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ფენის მოხმარების სტრუქტურას ასახავს. იგი გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და, შესაბამისად, მაღალი ღირებულებით, რადგანაც მისი “შევსება“ მხოლოდ კომერციული მაღაზიების მეშვეობით შეიძლება.

გაზეთ Коммерсант-ის ექსპერტთა შეფასებით, გასული წლის ნოემბერში მოხმარების ევროპული სტანდარტის შესაბამისი ცხოვრების ღირებულებამ 7870 მანეთს მიაღწია, ხოლო უმაღლესი ხარისხის მოხმარების სტანდარტის ღირებულება თვეში ერთ სულზე 17520 მანეთი (220 დოლარი) იყო.

დღეს მომხმარებელთა მთავარი საზრუნავია მიღებული ფულადი შემოსავლის დასაქონლება. ინფლაციის მაღალი ტემპი აიძულებს მათ, იყიდონ ყველაფერი, რაც ხელში მოხვდებათ. მეორეს მხრივ, საქონლის მფლობელი ფასების მომატების მოლოდინში საქონელს ინახავს, რაც დეფიციტს კიდევ უფრო აძლიერებს.

ტრანსპორტის ხარჯვების გაზრდაც გამოიწვევს ქალაქსა და სოფელს შორის არსეული კავშირის მნიშვნელოვან შესუსტებას, ესეც უეჭველად დაეტყობა ბაზარს.

ეკონომიკური რეფორმის სავარაუდო ღონისძიებების შედეგები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათ სწორად წარმართვაზე. დღეს არსებულ პირობებში ძნელია რეალური შედეგების მიღწევა. გაზაფხულზე მინიმალური სამომხმარებლო კალათა კიდევ უფრო შემსუბუქდება და გაძვირდება.

ვლადიმერ რუანსკი,
ამირან წაქაძე,
დათო ადეიშვილი

ჩემი თანაავტორია დღეს „შუა აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის“ (ვაშინგტონში, აშშ) თანამშრომელი, საქართველო-აშშ ბიზნესასოციაციის თავმჯდომარე მამუკა წერეთელი. სტატიაში გადმოცემულია პოსტგამსახურდიული (დროებითი) მთავრობის ეკონომიკური რეფორმის დოკუმენტის შეფასება, ეკონომიკური გუნდის კრიტიკა მათ მიზნებსა და ხედვებზე, უფრო სწორად, ასეთის (სტრატეგიის) არარსებობაზე, ორგანიზაციულ და ინსტიტუციურ სისუსტეებზე, რაც დღეს კანონზომიერად გამოიყურება - მაშინ კი სრული იმედგაცრუება იყო. ჩვენ არ გვჯეროდა დღემდე გაბატონებული მითის, რომ ეკონომიკაში სისტემური რეფორმა დიდი ძალისხმევის გარეშე, თავისთავად - „ბაზრის უხილავი ხელით“ მოხდებოდა. ტექსტში მოტანილია მაშინდელი ეკონომიკური კოლაფსის ამსახველი ფაქტები და სტატისტიკა.

7 დღე, 5-11 ივნისი, 1992

„ძირითადი მიმართულებები“ - მიმართულება საით?

ახლახანს პრესაში გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის ძირითადი მიმართულებები“ (პირველი ეტაპი), რომელიც ეკონომიკის სამინისტროშია მომზადებული. სამწუხაროდ, დოკუმენტი, რომელიც პროგრამული უნდა ყოფილიყო, ამგვარ ფუნქციას ვერ დაიკისრებს. არც ერთი ეკონომიკური ტენდენციის ამსახველი ციფრობრივი ორიენტირი, არცერთი მექანიზმი მასში ჩადებული არ არის (რაც დროებითი მთავრობის რეალურ მიზნებზე საუბრის საშუალებას მოგვცემდა) და თავისი ლექსიკით, დეკლარაციული ტონით სოციალიზმის ეპოქას გვახსენებს. მართალია, შინაარსი ოდნავ შეიცვალა, გაჩნდა ახალი ტერმინები, მაგრამ ფორმა კვლავ უცვლელია, ფორმა, რომელიც არავის ავალდებულებს და შესაბამისად, პასუხსაც არავისგან მოითხოვს.

ძირითადი მიმართულებები რუსეთის მთავრობის ანალოგიურ დოკუმენტებს, თუნდაც მემორანდუმს რომ შევადაროთ, სულ ადვილად შევამჩნევთ თვისობრივ სხვაობას. მემორანდუმში, რომელიც რამდენიმე თვის სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს (აქ, ალბათ, მთავრდება ამ ორი დოკუმენტის მსგავსება), უხვადაა წარმოდგენილი ციფრობრივი მასალაც, არსებული სიტუაციის ანალიზიც, რაოდენობრივი ორიენ-

ტაციებიც და შემდგომი მოქმედების გეგმაც. თუ ჩვენში ობიექტური მიზეზები (ან თუნდაც სუბიექტური), უშლის ხელს ამგვარი გეგმის შემუშავებას, ამ მიზეზების შესახებ მკაფიოდ და ხმამაღლა უნდა ითქვას. სხვა შემთხვევაში ასეთი სიტუაცია მხოლოდ არაკომპეტენტურობას, ან უპასუხისმგებლობას შეიძლება მივაწეროთ. სამწუხაროდ, ჩვენში ეკონომიკის პრობლემების განხილვა კარაქისა და შაქრის უქონლობის კონსტატაციამდე დაიყვანება და მოქმედების გეგმას, არსებული სიტუაციის ამსახველ ინფორმაციას, მის ღრმა ანალიზს ვერსად ნახავთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტი თავისი შინაარსით, მცირედ განსხვავდება 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვადასხვა პარტიებისა და ბლოკების მიერ მომზადებული წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამებისაგან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ ერთი, ამ პერიოდში არაფერი გაკეთებულა და მეორეც, არც ჩვენი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობის გრძნობა წასულა შორს იმ დროიდან.

განსახილველ დოკუმენტში საუბარია საბაზრო ეკონომიკისათვის შესაბამისი საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბების დაჩქარების შესახებ. სამწუხაროდ, აქ ჩამორჩენა ძალიან დიდია, და ყოველი დღე ამ ჩამორჩენას აღრმავებს, ახალი საკანონმდებლო აქტები კი არა ჩანს. ხალისუფლების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტების მიღების გრაფიკი დროის გაუმართლებლად დიდ პერიოდზეა გათვლილი და რეალურ ცვლილებას ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში უახლოეს თვეებში ვერ მოგვცემს, რაც ისევ დროის დაკარგვას ნიშანვს.

ამგვარი სიტუაციის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ მთავრობას ჯერ კიდევ არ აქვს განსაზღვრული თავისი ეკონომიკური სტრატეგია, მოქმედების პროგრამა, რომლის ჩარჩოებშიც უნდა განიხილებოდეს ეკონომიკური კანონმდებლობის ჩამოყალიბება. განსაზღვრული რომ იყოს, როგორ საგადასახადო პოლიტიკაზე ვიღებთ ორიენტაციას, შეღავათიანი თუ პირიქით, მკაცრი, მაღალგანაკვეთიანი საგადასახადო კურსის გატარებას ვაპირებთ, შესაბამისი აქტის მომზადება შესაძლებელი გახდებოდა. იგივე ეხება კანონებს იჯარის შესახებ, პრივატიზაციის შესახებ და სხვა. ვიდრე არ იქნება განსაზღვრული ჩვენი ეკონომიკური რეფორმის სტრატეგიული გეზი, კანონმდებლობა გამართული სახით ვერ ჩამოყალიბდება და მას შეიძლება წინააღმდეგობრივი ხასიათიც ჰქონდეს. ამგვარი სტრატეგიული გეზი შეიძლება შემუშავდეს რეფორმაზე პასუხისმგებელი პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის მიერ, რომლებიც თავის თავზე აიღებენ მის განხორციელებასაც. სამწუხაროდ, რეფორმის

ხელმძღვანელობაში ჩვენ დღეს ვერც თანამოაზრეთა ჯგუფს ვხედავთ, რომელთაც პროფესიონალური და იდეოლოგიური საფუძველი გააერთიანებდათ და ვერც მკაფიოდ განსაზღვრულ პასუხისმგებლობას (რეფორმის ხელმძღვანელად ბ-ნ რომან გოცირიძის გამოცხადება თვალში ნაცრის შეყრას ჰგავს. მისთვის არც უფლებები მიუნიჭებიათ შესაბამისი და არც პასუხისმგებლობა დაუკისრებიათ. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ვითომც რეფორმის ხელმძღვანელი ვიცე-პრემიერი ზამთრისთვის მზადების კომისიაში მეორე ვიცე-პრემიერის მოდგილეა, რომელიც თავის მხრივ, სავალუტო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენელია და ფაქტიურად, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსაც ხელმძღვანელობს). ამის შედეგია სწორედ, რომ არ არის განსაზღვრული რეფორმის მიზნები, შემსრულებლები, სახსრები, საშუალებები, ანუ არ არის კონკრეტული პროგრამა.

იქმნება რეფორმის მიმდინარეობის ილუზია, რომელსაც თითქოს მალე რეალური შედეგები მოჰყვება. სინამდვილეში, რეფორმა ჯერ არც დაწყებულა – დადგენილება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და ახალი საექსპორტო საგადასახადო განაკვეთები ამ გზაზე დიდ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება. როგორც ცნობილია, ეს შეესაბამება კიდეც გარკვეულ კონსერვატორული ძალების ინტერესებსაც. რეფორმის მომხრეებს კი ჰგონიათ, რომ ყველაფერი თავისთავად (ნაკლები ძალისხმევით) მოგვარდება ბაზრის კანონების, მისი „უხილავი ხელის“ და რუსეთიდან წამოსული ტალღის შესაბამისად. იქმნება საშიშროება რაღაც შერეული, სიმბიოზური, ნახევრად კრიმინალური წყობის შექმნისა, რისი მაგალითებიც მრავლადაა მესამე მსოფლიოს ქვეყნებში.

რა თქმა უნდა, რეფორმის განხორციელებას ობიექტური მიზეზებიც უშლის ხელს. პირველ რიგში აღსანიშნავია სამოქალაქო უთანხმოება, ლეგიტიმური ხელისუფლების არარსებობა, კონსერვატორული ძალები (ძველი ნომენკლატურა), კადრების არაპროფესიონალიზმი და არაკომპეტენტურობა, იმპერიული მემკვიდრეობა.

ყველა ამ ფაქტორის – სუბიექტურისაც (რეფორმას არ ჰყავს პატრონი და არ არსებობს მისი განხორციელების პროგრამა) და ობიექტურისაც – პირდაპირი შედეგია დღეს არსებული კატასტროფული ეკონომიკური სიტუაცია. ამგვარი შეფასებისათვის 1991 წლის მაჩვენებლებთან (რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაზე უარესი იყო) წლევანდელი იანვარ-აპრილის მონაცემების შედარებაც კმარა.

კლება 1992 წლის იანვარ-აპრილისათვის 1991 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით: სამრეწველო პროდუქცია 56,6%, სახალხო

მოხმარების საქონლის წარმოება 42,5% (ფაქტიურ, ანუ მოქმედ ფასებში) სასურსათო საქონლის წარმოება 34,1%, მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა 41,6%, მათ შორის: პირუტყვი და ფრინველი 41,6%, რძე 20,7%, კვერცხი 36,6%, საცალო საქონელბრუნვა 22,0%, მოსახლეობის მომსახურება 27,6%.

საერთოდ მოიშალა საფინანსო სისტემა. მიმდინარე წლის 1 აპრილის მდგომარეობით რესპუბლიკაში ბანკის სესხების და მომწოდებლების ვადაგადაცილებულმა დავალიანების თანხამ 8,5 მილიარდ მანეთს გადააჭარბა (აქედან მომწოდებლებზე მოდის 6,4 მილიარდი მანეთი), რაც 2,3-ჯერ მეტია გასული წლის ანალოგიური თარიღისათვის არსებულ მაჩვენებელზე. საქონელბრუნვის და მომსახურების მოცულობის მკვეთრმა დაცემამ, კერძო სექტორის საბანკო მომსახურებაში არსებულმა განუკითხაობამ და მოუწესრიგებლობამ, აგრეთვე ფასების ზრდამ, საკასო ბრუნვებში მნიშვნელოვანი დეფიციტი და შესაბამისად, ფულის ნიშნების ქრონიკული ნაკლებობა გამოიწვია. მარტო ხელფასებზე აღნიშნულ პერიოდში არ გაიცა 784,2 მლნ მანეთი. ეს მაშინ, როდესაც ცხოვრების ღირებულება მიმდინარე წლის ოთხ თვეში ექვსჯერ გაიზარდა.

კატასტროფული მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაშიც. 1992 წლის 5 მაისისთვის 1991 წელთან შედარებით საზოგადოებრივ მეურნეობებში დათესილია: საგაზაფხულო კულტურები სულ 44,2%, მათ შორის: მარცვლოვანი და მარცვლოვან-ცერცვოვანი 39,4% (სიმინდის გარდა), სიმინდი 33,2%, კარტოფილი 40,3% ბოსტნეული 64,3%.

განახევრდა პირუტყვის, ღორის, სულადობა, ხოლო ფრინველის სულადობამ შარშანდელის 40% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ არ გვაქვს მეტნაკლებად ნათელი წარმოდგენა აგრარული რეფორმის მიმდინარეობის შესახებ – რამდენი მიწა განაწილდა და რა გეოგრაფიით, დამუშავდა თუ არა განკერძოებული მიწები, რა წინააღმდეგობები ხვდება რეფორმას, რომლის მიზნებსა და მიმართულებებზე მეტად ჭრელი სურათი იხატება პრესასა და ტელევიზიაში.

იზრდება უმუშევრობა. 1992 წლის 1 მაისისთვის მხოლოდ შრომის ბირჟაზე რეგისტრირებულია 36 ათასზე მეტი ადამიანი.

მოსახლეობის 80%, გამომდინარე სამომხმარებლო კალათის მინიმალური ღირებულებიდან და ერთ სულზე შემოსავლიდან, სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

მოხდა ფასების განთავისუფლება, მაგრამ მას არ ახლავს დემონოპოლიზაციისა და პრივატიზების საჯარო და კანონიერი პროცესი,

რაც არ ქმნის ფასების გაწონასწორების პერსპექტივას. ამის გამო, აგრეთვე გაუაზრებელი საგადასახადო პოლიტიკისა და აუწყობელი საგადასახადო და საბანკო სისტემის, ფიზიკური დაუცველობის პირობებში „იძულებულია“ მახინჯი, ხშირად უკანონო ფორმებით განვითარდეს ახალი კერძო სექტორიც, რომელსაც ჯერჯერობით ვერაფრით უწოდებ თავისუფალს.

არ ჩანს რეალური ზრუნვა საკუთარი ვალუტის შემოღებისათვის. უფრო სწორედ ეს „ზრუნვა“ ზემოთ აღნიშნულ „ძირითად მიმართულებებში“ ჩაწერილი შემდეგი ფრაზით გამოიხატება: „საგნობრივი გახდება ეროვნული ვალუტის შემოღებისათვის მზადება“, რაც ფაქტიურად, ამ საკითხის მეორე პლანზე გადაწევას ნიშნავს. შესაძლოა, ამგვარი პოზიცია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებისადმი ჩვენს მორჩილებას მივაწეროთ. ამ შემთხვევაში აუცილებელია ფონდის ინტერესების ხაზის შეფასება, რომლის პოლიტიკა ზედმეტად უნიფიცირებულია და ხშირ შემთხვევაში – კაბალურიც. ამიტომ მისი ყველა რეკომენდაცია ჩვენს მიერ კრიტიკულად უნდა იქნეს გააზრებული და მხოლოდ ამის შემდეგ მიღებული.

არ ხდება საქართველოს საგარეო ვალის მომსახურების, დამატებითი ვალის აღების და გამოყენების, მისი გადახდის პირობებისა და საშუალებების სერიოზული, საჯარო განხილვა. საბჭოთა კავშირიდან მემკვიდრეობით მიღებულ 1,3 მილიარდ დოლარ საგარეო ვალს (ოჯახზე დაახლოებით ათასი დოლარი) მალე ახალი სესხები მიემატება, რომელთა დაფარვის ერთადერთ გარანტიას მხოლოდ მათი გონივრული გამოყენება მოგვცემს.

საეჭვოა ბიუჯეტის ცალკეული მუხლების შესრულების პერსპექტივა, თუმცა, თვით ამ მუხლების „წარმოშობის“ საფუძველიც ბუნდოვანია (ალბათ ამიტომაც არ მომხდარა ბიუჯეტის საჯარო განხილვა სპეციალისტთა წრეებში).

პრობლემათა ამ მცირე ჩამონათვალიდანაც ჩანს, თუ რამდენი საქმეა საკეთებელი და ჩვენი კრიტიკული ანალიზიც ამ საქმეების კეთებისაკენ მოწოდებას ისახავს მიზნად.

დავით ადეიშვილი, მამუკა წერეთელი

1993

ერთი თვეც კი არ გასულა, რაც აშშ-დან დავბრუნდი, დიუკის უნივერსიტეტში გატარებული ერთი წლისა და მსოფლიო ბანკში გავლილი სტაჟირების შემდეგ. სოხუმიც ზუსტად ერთი თვის დაცემული იყო. მოვლენებს „შორიდან“ და იმ დროისათვის პრაგმატულად ვაფასებ... სნგ-ში „ჩათრეულები“ აღმოვჩნდით, და სხვა გზა არ ჩანდა, თუ არა ისტორიულ-ტაქტიკური უკანდახევის სწორად გაცნობიერება-შეფასება და შექმნილი ვითარების მაქსიმალურად გამოყენება ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობისთვის. დაახლოებით 15 წელი გაგრძელდა СНГ-ში ყოფნის პერიოდი. მგონია, რომ ჩვენ მაინც ემოციებმა გვძლია, ავჩქარდით... და 2008 წელს დიდი დანაკარგებით დავტოვეთ ეს სივრცე გეოპოლიტიკური კურსის მკვეთრი და ცალსახა შეცვლით. 10 წლის შემდეგაც დანაკარგის დაბრუნების პერსპექტივა ბუნდოვანია, თუმცა იმედი -ჯერარდაკარგული.

7 დღე-18-25 ოქტომბერი, 1993

ოპტიმისტური ტრაგედია
ანუ შტრიხები საქართველოს პორტრეტისათვის СНГ-ს ინტერიერში

გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის თაობაზე სახელმწიფოს მეთაურმა უკვე მიიღო.

მომხრენი – პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის წევრები, უჩინო მოქალაქენი – არჩევანს უმთავრესად გამორჩენა-ანგარებით, უფრო მკაცრად რომ ვთქვათ, პარაზიტულ მოტივაციას უდებენ საფუძვლად.

მოწინააღმდეგენი პოზიციას უმეტესწილად სუბიექტური მიზეზებით – რუსეთიდან პოლიტიკური ზეწოლით ხსნიან და პოლიტიკურ რადიკალიზმსა და იდეალიზმში ვარდებიან.

ობიექტური ანალიზი მოითხოვს პასუხს კითხვებზე: რამდენად ბუნებრივი იყო საქართველოს ყოფნა СНГ-ს ფარგლებს გარეთ? რამდენად იყო საქართველო ფაქტობრივად დამოუკიდებელი იმ სივრცისაგან,

რომელსაც ყოფილი საბჭოთა კავშირის, აწ კი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცე ჰქვია? რამდენად აღიარებდა დანარჩენი მსოფლიო საქართველოს დამოუკიდებლობას ამ სივრცისაგან? რამდენად მისაღები იყო და შედიოდა თუ არა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპული ქვეყნების ინტერესებში საქართველოს გამოცალკევება იმ სივრცისაგან, რომელშიც იგი არსებობდა?

ჩვენ სერიოზულად არ გვიმსჯელია არჩევანზე, სერიოზულად არ განგვიხილავს, რა ალტერნატივა აქვს საქართველოს, თუ არა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა, და რა ინტერესები აქვს საქართველოს СНГ-ში.

ვერსია, თითქოს ედუარდ შევარდნაძემ შეგნებულად დააჩქარა ქვეყნის კრახამდე მიყვანა, რათა ხალხისათვის თვალნათლივ ეჩვენებინა СНГ-ს გარდა სხვა გზის არარსებობა, სინამდვილეს, ალბათ, არ შეესაბამება. თუმცა ამის საბაბს იძლევა ის შეცდომები, რომელიც მისი მმართველობის პერიოდში იქნა დაშვებული. აქ სხვა ახსნაა უფრო ლოგიკური: საკუთარი ძალებისა და შიდა და გარე ვითარების სათანადოდ შეუფასებლობა. სხვა შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაური გაატარებდა უფრო დაბალანსებულ პოლიტიკას რუსეთთან (ურთიერთობანი „რეაქციულ რუსეთთან“) და ქვეყნის შიგნითაც, ოპოზიციისა და სხვა ძალების მიმართ იგი უფრო პრინციპული (ლოიალური ან პირიქით) იქნებოდა. გასათვალისწინებელია „ეროვნული ძალების“ რადიკალიზმის გავლენა ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ კურსზე. შევარდნაძის შიშს, მისთვის, როგორც ძველი კომუნისტისა და პრორუსული ორიენტაციის მქონესათვის, ეროვნული პოზიციებიდან გადახვევა, ღალატი ან არადემოკრატიულობა არ დაეწამებინათ, მისი მერყევი პოლიტიკა და შედეგად – დიდი დანაკარგები მოჰყვა. მაგალითად, სავარაუდოა, რომ СНГ-ს საკითხის აღრე დასმას და გადაწყვეტას შეეძლო, ეს დანაკარგები შეემცირებინა.

შინაგანი არაორგანიზებულობა და უიმედობა. არათანმიმდევრული, უპრინციპო, გაორებული პოლიტიკა რუსეთის მიმართ. რუსეთის ორმაგი სტანდარტის ტაქტიკას საქართველომ იგივე სვლით უპასუხა – არც ამხელდა და არც აშკარად უცხადებდა ომს რუსეთს, არც მნიშვნელოვან კომპრომისზე მიდიოდა.

ერთი რამ ფაქტია: ილუზიებმა სახელმწიფოს მეთაურის შესაძ-ლებლობებზე, პოლიტიკოსების რადიკალიზმმა და იდეალიზმმა ხალხს მოლოდინი გაუმტყუნა, მოლოდინი, რომელსაც მას მმართველი ადმინისტრაცია უქმნიდა. ხალხი მოტყუებული და გაბრიყვებული დარჩა, რადგან არ ხდებოდა სახელმწიფოს წინაშე მდგარი სერიოზული

პრობლემების სერიოზული გაცნობიერება პოლიტიკურ დონეზე და მერე მათი ხალხამდე მიტანა. ხშირად მოკლე დროში წარმატების მისაღწევად აშკარა სიცრუე და ძალადობაც კი გამოიყენებოდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა შედარებით შორს გათვლასა და პერსპექტივაზე.

ქართველ პოლიტიკოსებს დღესაც ვერ დაუღწევიათ თავი ექსტრემიზმისაგან. ახლაც შეიმჩნევა გარკვეული მოლოდინის დანერგვა, თითქოს თანამეგობრობაში შესვლა ავტომატურად მოხსნის მრავალ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრობლემას. მას უპირისპირდება მეორე, ასევე რადიკალური და უკიდურესი მოსაზრება, რომელიც წინასწარმეტყველებს, რომ მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდება, არამედ გაუარესდება კიდეც.

ჩვენი მიზანი არ გახლავთ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის ყველა ასპექტისა და ნუანსის განხილვა. წერილის თემატიკიდან გამომდინარე, სათანადო ყურადღება არ მიექცევა აფხაზეთის ომის ფაქტორსაც, თუ რამდენად დააჩქარა მან საქართველოს გაწევრიანება СНГ-ში ან, პირიქით, - რამდენი მოწინააღმდეგე გაუჩინა გადაწყვეტილებას - ფორმალურად დაებრუნებინათ საქართველო იმ წიაღსა და სივრცეში, საიდანაც იგი ორი წლის წინ ფორმალურადვე გამოვიდა.

თუმცა, გამოვიდა კი?

საქართველო ეძებს სივრცეს – სასიცოცხლო გარემოს

რეგიონული სივრცე არის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ერთობა, რაც გამოიხატება მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების ურთიერთგაცვლაში. ქვეყანა, ამ შემთხვევაში – საქართველო, იმდენად იყო, არის ან იქნება დამოუკიდებელი, რამდენადაც იყო, არის ან იქნება ამ ნაკადების გავლენა.

თანამედროვე ცივილიზაციისა (საბაზრო ეკონომიკისა და ინდუსტრიის) და მსოფლიო წყობის პირობებში, ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ნაკლებად შეუძლია ჩაიკეტოს, იყოს ავტარქიული, თვითმაუზრუნველყოფელი. ჩაკეტვის ხარისხი, რაც, გარკვეულწილად, დამოუკიდებლობასაც ნიშნავს, ვერ იქნება მაღალი, თუნდაც კეთილმოწყობილი პოლიტიკური გარემოს შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, საქართველო იძულებულია, ეძებოს საარსებო სივრცე. თეორიულად ასეთი სივრცის მაგალითად შეიძლება ავიღოთ დასავლეთ ევროპული სივრცე, ინსტიტუციურად – საერთო ბაზარი, რომელთანაც ინტეგრირებას დღეისთვის აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიც ვერ ახერხებენ ეკონომიკურ-კულტურული

დონისა და სხვა პოლიტიკური მიზეზების გამო.

რაც შეეხება თურქეთთან ურთიერთობებს, ნაკლებად ხელსაყრელი და სასურველია ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. თუმცა იგი საგრძნობლად განვითარდა და მომავალში უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს, რადგან თურქეთის სახელმწიფო ევროპული სივრცის ნაწილია, თუმცა კი პერიფერიული.

არარეალურად გვესახება სხვა სივრცეზე საუბარიც კი – თუნდაც ირანთან და ახლო აღმოსავლეთთან.

თეორიულად არსებობს ამერიკის შეერთებული შტატების ვარიანტიც. მაგალითად, სამხრეთ კორეული მოდელი, რომელსაც, თავისთავად, ბევრი უარყოფითი მხარე აქვს; მაგრამ დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია კი რაიმე მძლავრი და რეალური ინტერესი საქართველოს მიმართ, ეკონომიკური (რესურსები) ან გეოპოლიტიკური, როგორც ეს იყო სამხრეთ კორეის შემთხვევაში? დღესდღეობით ამერიკის შეერთებული შტატები უპირველესად რუსეთის – ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში დომინანტი ქვეყნის პარტნიორია. რუსეთს კი, მოგეხსენებათ, საკმაოდ მძლავრი ინტერესები აქვს საქართველოს მიმართ - მთავარი ნაციონალური ინტერესები კი არის მისასვლელი ზღვაზე და აფხაზეთის კურორტები, სამხრეთზე (აზერბაიჯანზეც) ხმელეთით დაკავშირება (იგივე ინტერესი აქვს სომხეთს რუსეთის მიმართაც), მორალური – იმპერიული ამბიციები. საქართველოსაც აქვს საკმაოდ მძლავრი ინტერესები რუსეთისა და СНГ-ს სხვა ქვეყნების მიმართ. ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს, საქართველოს დღეისათვის არ გააჩნია რეგიონულ სივრცის არჩევის ალტერნატივა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს, როგორც ჩაკეტილი, რეგიონული სივრციდან განყენებული ქვეყნის მოდელი არარეალურად მივიჩნიეთ, ალბათ, მაინც ღირს ამ ვარიანტზე ყურადღების შეჩერება, რადგან СНГ-ში გაწევრიანების მოწინააღმდეგენი ნებით თუ უნებლიედ ალტერნატივად სწორედ ამ მოდელს მიიჩნევენ. ჩვენი აზრით, ეს ვარიანტი არარეალურიც არის და არასასურველიც. იმისათვის, რომ გახდე თვითმაუზრუნველყოფელი, ქვეყნის შიგნით უნდა იყოს სულ ცოტა სტაბილური სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. დღევანდელი საქართველო შორს დგას ავტარქიულობისაგან, საბრძოლო მზადყოფნისაგან. დღევანდელ საქართველოში მხოლოდ შიდააშლილობის, სამოქალაქო ომის, ბრძოლისუუნარობის, წაგებული სამამულო ომისა და უკიდურესი გაჭირვების გამოცდილება გაგვაჩნია.

მმართველი ხელისუფლება ჩვენს იმედებს და მოლოდინს დასავლეთ ევროპის ქვეყნებითა და ამერიკის შეერთებული შტატებით ასულდგმულებდა, ხოლო რაც შეეხება თვით დასავლეთს, იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან არც პოლიტიკურ და არც პოპულარულ დონეზე არ გამოგვყოფდა (ეს მხოლოდ ლეგალურად, იურიდიულად ხდებოდა). ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს მიმართ არ შემუშავებულა და არ გატარებულა СНГ-ს წევრი სახელმწიფოებისაგან განსხვავებული პოლიტიკა. ჩვენი ეკონომიკური, ინფორმაციული, კულტურული კავშირები ამ უკანასკნელებთან შესუსტდა და ამ შესუსტების ხარისხი არ უდრიდა (აღემატებოდა) სხვა ქვეყნებთან კავშირების გაძლიერების ხარისხს. ესე იგი, საქართველო მიდიოდა იზოლაციისაკენ.

ჩვენ არც დაჩოქილები შევდივართ СНГ-ში და არც წელგამართულები. საერთოდ, უადგილოა მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება. ემოციები ზედმეტია. საქართველო არასოდეს გამოსულა ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრციდან.

რას ვკარგავთ (ვაგებთ) და რას ვიღებთ (ვიგებთ) СНГ-ში შესვლით

Pros es Contras

Contras: მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორი. რუსეთთან, როგორც აგრესორთან, შერიგება და დამეგობრება. 1801 წელი, საქართველოს მიბმა რუსეთის იმპერიასთან გუბერნიის სტატუსით, ცარისტული რეჟიმი, 1921 წელი – საქართველოს ძალით გასაბჭოება, დამოუკიდებლობის დაკარგვა. 1989 წლის 9 აპრილი. ომი აფხაზეთში. დამარცხების განცდა. შელახული ეროვნული ღირსება.

სუვერენიტეტის შეზღუდვა და, ზოგადად, რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გაძლიერება, დანარჩენ მსოფლიოსთან კავშირის გაძლიერების ნაკლები ინტენსივობა, განსაკუთრებით ახლო მომავალში.

Pros: დეზორიენტაციის მოხსნა.

გასაღების ბაზარი და მსოფლიო ფასებთან შედარებით იაფი რესურსებისა და პროდუქციის იმპორტი. საქართველო იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ინტეგრირებული რესპუბლიკა (1991 წელს მოხმარების 51%-ს შეადგენდა იმპორტი). უკრაინაში შესაბამისად, 11 და 6%-ია. ცნობილია უკრაინის პრობლემები, რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების გამო.

არსებობს კომპეტენტური აზრი, რომ დღეისათვის, მოშლილი ეკონომიკის პირობებში საქართველოს ხელს აძლევს სამანეთო ზონაში

ყოფნა, მით უმეტეს, თუ იგი არ გაატარებს (და, ალბათ ვერც გაატარებს) ადექვატურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

სოციალურ-კულტურული ურთიერთობების გაადვილება კულტურული მსგავსებისა და განვითარების დონის გამო.

წვდომა ინფორმაციის წყაროებზე.

CHГ როგორც კაპიტალის დაგროვების სივრცე.

ქართველ ბიზნესმენთა დიდი ნაწილი რუსეთსა და შუა აზიის რესპუბლიკებში ეწევა ბიზნესს, აარსებს ერთობლივ საწარმოებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკასთან. დასავლეთიდან დაბრუნებული ხელმოცარული ქართველი ბიზნესმენი საკმაოდ წარმატებით უძღვება საქმეს CHГ-ს წევრ ქვეყნებში. ადვილი შესაძლებელია, იმ ინვესტორად, რომელიც პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის შემთხვევაში კაპიტალს საქართველოს ეკონომიკაში შემოიტანს, სწორედ ციმბირში ან შუა აზიაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი მოგვევლინოს.

მტრული დამოკიდებულების შენელება საქართველოსადმი რუსეთიდან და კავკასიის სხვა ხალხებისაგან.

საქართველოს CHГ-ში შესვლის ერთგვარად კომპენსირდება რუსების ნაციონალური სიამაყე, „იმპერიული ამბიციები“, რაც ძლიერ შეირყა ცივი ომის წაგებითა და საბჭოთა კავშირის დაშლით. ამ მოვლენებმა მტრულად განაწყო არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ რიგიცი რუსი მოქალაქეებიც.

არის ასპექტები, რომლებსაც შეუძლია ერთდროულად დადებითი და უარყოფითი გავლენა იქონიოს. თავისუფალი ვაჭრობა, ერთის მხრივ, ხსნის ბარიერებს რუსეთის ბაზარზე, მაგრამ, მეორე მხრივ, გააკოტრებს მრავალ ჩვენს საწარმოს. მიწვდომა ინფორმაციის წყაროზე მოხსნიდა ინფორმაციულ დეფიციტს, მაგრამ ეს არ იქნება მიწვდომა ინფორმაციის პირველწყაროზე.

ცალკე სალაპარაკო თემაა ის ხელშემწყობი ფაქტორები (ძნელია განასხვავო სუბიექტური და ობიექტური), რომლებიც აპირობებენ CHГ-ში საქართველოს გაწევრიანებას. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: რუსეთის მხრიდან ძალისმიერი (მსოფლიოს თვალში ხშირად შენიღბული) პოლიტიკა; ჩვენი შინა აშლილობა; არაორგანიზებულობა; ჩამორჩენილობა და არაკომპეტენტურობა; ეროვნული ჭრელი ფსიქოლოგია; მსოფლიო პოლიტიკის ხასიათი; ინტერესთა ჯგუფები რუსეთსა („რეაქციული“) და საქართველოში. საქართველოში არიან ძველი ინდუსტრიალისტების და ბიუროკრატების ინტერესთა ჯგუფები და დღეს იქმნება ბიზნესმენთა ინტერესთა ჯგუფები (interest groups),

რომელთაც სასიცოცხლო ინტერესები აკავშირებთ რუსეთთან და CHГ-ს სხვა ქვეყნებთან. თვისობრივად ახალი ეტაპი – ეროვნული დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ველი უფრო ძლიერია, ვიდრე ინსტიტუციური. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჩვენ ლეგალურად დამოუკიდებელი ვიყავით, მაგრამ განვიცდიდით ამ ველის უდიდეს გავლენას.

თანამეგობრობაში მყოფი საქართველოს სტრატეგია – ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა (არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა). ტაქტიკა: განათლება, შრომა, CHГ-ს კავშირებისა და შესაძლებლობების გააზრებულად გამოყენება. გასვლა დანარჩენ მსოფლიოზე რუსეთის გავლით; კავშირების გაინტენსიურება შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან. საქართველომ სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე უნდა გააცნობიეროს, რომ რუმინეთი და ბულგარეთი ჩვენი მეზობლები არიან, განვითარების დონით გვიახლოვდებიან და ევროპულ სივრცეში უფრო ინტეგრირებულნი არიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი კავკასიური პოლიტიკის ინიციატივა, საერთო კავკასიური ინტერესების გაცნობიერება და პროპაგანდა; მცდელობა – ლეგალური (საკანონმდებლო) ბაზისი დავუახლოვოთ ევროპულს და არა რუსულს.

ემოციურ დონეზე ნებისმიერი ქართველისთვის – პოლიტიკოსი იქნება იგი თუ არაპოლიტიკოსი – საქართველოს შესვლა თანამეგობრობაში არასასიამოვნოა. მაგრამ ვიცოდეთ, რომ საქართველოში თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება: მოძრაობა ეროვნული დამოუკიდებლობისა და აღორძინებისათვის. რამდენად გონივრულად და წარმატებით წარვმართავთ მას, ჩვენს პოლიტიკურ სიმარჯვეზე იქნება დამოკიდებული.

მიხეილ ადეიშვილი

1994

„გარდამავალი ეკონომიკური სისტემებისა და მდგრადი განვითარების ქართული ცენტრი“ - ესეც ერთ-ერთი ჩემი ნაოცნებარი და არშემდგარი ინსტიტუტია, რომლის შექმნა მიზეზთა გამო ვერ შევძელი, თუმცა ქვემოთმოტანილი სტატია მისი სახელითაა გამოქვეყნებული. ეს ის პერიოდია, როცა ჯერ კიდევ არ იყო ლარის ხსენება, თუმცა „საკუთარი ვალუტის“ შემოღების აზრი, მიუხედავად მოწინააღმდეგეებისა, სწრაფად მწიფდებოდა და ლოგიკურ შედეგამდეც მივიდა, როგორც ვასაბუთებდით...

დრონი, 4 თებერვალი, 1994

საკუთარი ფული – აუცილებელი და შესაძლებელი

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავლის ძიებაში წარმოიშვა აზრი საქართველოს სამანეთო სივრცეში შესვლის შესახებ. ბუნებრივია, სამანეთო ზონაში შესვლას ან არ შესვლას მოყვება შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები. ჩვენ, არსებითად, ამ საკითხის ეკონომიკურ მხარეს შევეხებით.

ჩვენი აზრით, საკითხის ასე დაყენება უფრო სასოწარკვეთილი ადამიანის წამოძახილია, ვიდრე ვითარების ობიექტური ანალიზის შედეგი.

ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არც ისე გამოუვალია, როგორც სამანეთო სივრცეში შესვლის მომხრეებს ეჩვენებათ და რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება არსებულ ეკონომიკურ პრობლემებს ვერ მოხსნის ვერც უახლოეს და ვერც შორეულ პერსპექტივაში, პოლიტიკური შედეგები კი შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს.

აზრის გაჩენის ობიექტური წინამძღვრები და მდგომარეობის შეფასება

ეს გადაწყვეტილება იმ მკურნალის ქცევას შეიძლება შევადაროთ, რომელიც მისი არასწორი მკურნალობით დამძიმებულ ავადმყოფს მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელ წამალს უნიშნავს. ავადმყოფს კი სერიოზული მკურნალობა სჭირდება.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მართლაც მძიმეა: უაღრესად დაქვეითებული წარმოების დონე, მძიმე სოციალური მდგომარეობა, მოშლილი საფინანსო და საბანკო სისტემები და ჰიპერინფლაცია.

ამასთან მნიშვნელოვანია საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებში სოციალური პარატიზმის ფსიქოლოგიის ინერცია.

ოფიციალური მონაცემებით, ბოლო სამ წელიწადში წარმოების მოცულობა დაახლოებით სამჯერ შემცირდა. ინფლაციის დონემ გასულ წელს 9 ათას პროცენტს გადააჭარბა (სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით). კუპონი მანეთის მიმართ ასჯერ და მეტად გაუფასურდა. მოსახლეობის 90 პროცენტი სიღატაკის ზღვარს მიღმაა. შემოსავლების 70–80 პროცენტი ოჯახს კვებაზე ეხარჯება. მიუხედავად ამისა, უკვე მესამე წელიწადია, ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ღებულობს საკმაო კალორიებს. დაეცა შობადობა, იკლო ქორწინებათა რიცხვმა.

მაგრამ, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ავადმყოფი განწირულია და მას მხოლოდ ტკივილები უნდა შევუმსუბუქოთ?

მართალია, ოფიციალური სტატისტიკა დღეისათვის სრულად ვერ ასახავს ეკონომიკურ აქტივობას, მაგრამ იგივე მონაცემებით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა დღეისათვის ეროვნული შემოსავლის მიხედვით 1964 წლის დონეზეა.

მაგალითად, ელექტროენერგიის მოხმარება საქართველოში 1965 წელს 7.0 მილიარდამდე კილოვატ-საათი შეადგინა. დღეისათვის ამდენის გამომუშავება შეუძლიათ მხოლოდ ჩვენს ჰიდროელექტროსადგურებს.

სოლიდურ ექსპერტთა შეფასებით საქართველოში შთამბეჭდავად დიდია არაფორმალური ეკონომიკის მასშტაბები, რომელიც განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ წლებში. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ ხელფასის წილი შემოსავლებში 70-დან 25 პროცენტამდე დაეცა.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა შეფასებებით ფარული ეკონომიკის წილად სსრ კავშირში 25-40 პროცენტი მოდიოდა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველოში ამ პროცესებს

უფრო ფართო მასშტაბები ჰქონდა. კიდევ უფრო დიდი უნდა იყოს არაფორმალური ეკონომიკის წილი დღეისათვის. მიუკერძოებელი დამკვირვებლისათვის განსაკუთრებით თვალნათელია გააქტიურება სოფლად, კერძო სექტორში (მიუხედავად უაღრესად მძიმე სამეურნეო პირობებისა), გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სოფლის კერძო სექტორი დღეისათვის თავის თავს ინახავს და მნიშვნელოვანწილად ის ამარაგებს ქალაქის მოსახლეობას კვების პროდუქტებით.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მოსახლეობის სიდუხჭირე არსებითად პირველადი მოხმარების საგნებზე მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობით ხასიათდება, თუმცა ბევრი მაჩვენებლით ჩვენში ცხოვრების დონე საკმაოდ მაღალია.

არაფორმალური ეკონომიკის მასშტაბების არსებული შეფასების გათვალისწინებით არსებითად შეიცვლება ეკონომიკური მდგომარეობის სურათი.

ეკონომიკური ვარდნა კანონზომიერი მოვლენაა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1989-1992 წლებში ერთობლივი საშინაო პროდუქტის კლებამ შეადგინა:

ბულგარეთში – 41 პროცენტი, რუმინეთში – 31 პროცენტი, ჩეხოსლოვაკიაში – 23 პროცენტი, ჩეხოსლოვაკიაში – 23 პროცენტი, უნგრეთში – 19 პროცენტი, პოლონეთში – 18 პროცენტი. ცხადია, მდგომარეობა ამ მხრივ გაცილებით უარესია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

მართალია, კუპონის გაუფასურების ტემპი სავალალოა, მაგრამ სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს კიდევ არ ნიშნავს სიკვდილს.

საყოველთაოდ ცნობილია გერმანული მარკის მსყიდველობითი უნარიანობის 11 300 000 000–ჯერ დაცემის მაგალითი 1923 წელს, როცა ერთი კვერცხი 60 ათასი მარკა ღირდა.

მართალია, განვითარებულ ქვეყნებში მსგავსი კატაკლიზმები კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ ჩვენისთანა (განვითარებადი) ქვეყნებისათვის დროდადრო დამახასიათებელია ჰიპერინფლაციური მოვლენები. მაგალითად, ბოლივიაში 1985 წელს ინფლაციის დონე 11 ათას პროცენტს აჭარბებდა, რაც სტაბილიზაციის პროგრამის გატარების შემდეგ 1988 წლისათვის 16 პროცენტამდე დავიდა. პერუში 1990 წელს ინფლაციის დონე 7650 პროცენტი იყო, რომელიც 1992 წელს 74 პროცენტამდე დავიდა, არგენტინაში კი 1989 წელს 4900 პროცენტი იყო. შეიძლება ბევრი სხვა „დამამშვიდებელი“ მაგალითის მოყვანაც.

მდგომარეობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები

დღევანდელი მძიმე ეკონომიკური ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი ძირითადი მიზეზებია:

– დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არქონა;

– ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიკური კავშირების მოშლა;

– გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ობიექტური სიძნელეები;

– პოლიტიკური ურთიერთობების მოუგვარებლობა მეზობელ ქვეყნებთან;

– შიდაპოლიტიკური აშლილობა და ომები;

– კვალიფიციური კადრების დეფიციტი ყველა დონეზე;

– ანტირეფორმული ქმედების შემძლე ძლიერ ინტერესთა ჯგუფების არსებობა;

– ძველი აზროვნების ინერცია.

აღნიშნულმა ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობეს საქართველოში არარეფორმისტული მთავრობების ჩამოყალიბება და შედეგად არასწორი მმართველობითი და ეკონომიკური პოლიტიკა:

– პრაქტიკულად შენარჩუნებულია ძველი მმართველობითი სტრუქტურები და ეკონომიკური ინსტიტუტები, საბაზრო სტრუქტურები ნელა და მახინჯი ფორმებით ყალიბდებიან:

– შეფერხებულია პრივატიზაციის პროცესი, რაც, ერთის მხრივ, განაპირობებს მესაკუთრეთა კანონიერი ფენის ჩამოუყალიბებლობას, და მეორეს მხრივ, ხელს უწყობს ქონების დატაცება-განიავებასა და სახელმწიფო საკუთრების ფარულ ფლობას;

– ფასების არასრული ლიბერალიზაცია მძიმე ტვირთად აწვება ბიუჯეტს, განაპირობებს არაეფექტურ ეკონომიკურ ქმედებებს და ხელს უშლის ბაზარზე წონასწორობის მიღწევას, იწვევს სამომხმარებლო რესურსების არარაციონალურ განაწილებას, ასტიმულირებს ფარულ ეკონომიკას და დანაშაულებრივ საქმიანობას;

– არასაკმარისია ძალისხმევა საგარეო-ეკონომიკური კავშირების გარადასაქმნელად;

– არასწორია უმისამართო სოციალური პოლიტიკა, რომელიც მძიმედ აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, მაგრამ ვერ იძლევა შესაბამის შედეგებს;

– უგულველყოფილია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციები.

ბოლო წლებში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა კონცენტრირებულად აისახა საბიუჯეტო და ფულად საკრედიტო პოლიტიკაში.

მართალია, ეროვნული ვალუტის შემოღება ბუნებრივი ნაბიჯია სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე, მაგრამ კუპონის შემოღება იძულებითი ღონისძიება იყო და სრულიად მოუმზადებლად განხორციელდა. მის მიმართ თავიდანვე შეიქმნა არასერიოზული დამოკიდებულება – კუპონის პარალელურად ბრუნვაში დარჩა მანეთი და, ნაცვლად დეკლარირებული კურსისა 1–1, მისი კურსი თავიდანვე გაუთანაბრდა უნაღდო მანეთს. ხელიდან იქნა გაშვებული უნაღდო და ნაღდი ფულის გათანაბრების შესაძლებლობა, რამაც პირველი მძლავრი ბიძგი მისცა კუპონის გაუფასურებას (სასურველი იყო ესტონეთის მოდელი, განხორციელდა უკრაინის მოდელი). მართალია, აგვისტოში კუპონი უკვე გამოცხადდა ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად, მაგრამ რეალურად თითქმის არაფერი გაკეთებულა დეკლარირებული გადაწყვეტილების სარეალიზაციოდ.

კერძოდ, ვერ განხორციელდა საბანკო სისტემის რეფორმა, ვერ მოხერხდა საგარეო ვაჭრობისათვის აუცილებელი საგადამხდელო მექანიზმების შექმნა. ამასთან, ამ დროისათვის კუპონმა უკვე მნიშვნელოვნად დაკარგა ნდობა და რეალურად ვერ ასრულებდა ფულის ფუნქციებს.

ყოველივე ამას დაემატა გაუაზრებელი ფულად–საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა. თვალსაჩინოებისათვის: 1993 წელს განხორციელებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა კარგად ჩანს პირველ და მეორე გრაფიკზე, ხოლო შესაბამისი შედეგი – „მოხტუნავე“ ჰიპერინფლაცია – მესამე გრაფიკზე. მოყვანილი გრაფიკებიდან კარგად იკითხება მიზეზ–შედეგობრივი კავშირები. [გაზეთში მოტანილი გრაფიკები აქ ამოღებულია].

გატარებული ე.წ. „ლიბერალურ ფულად–საკრედიტო პოლიტიკას“ საფუძვლად ედო დეკლარირებული მცდარი წარმოდგენები საკრედიტო ემისიის მნიშვნელობის შესახებ იმპორტისა და საწარმოო აქტივობის გაზრდისათვის (ცხადია, ტრადიციული მონეტარული პოლიტიკა ჩვენთან ვერ იმუშავებდა).

ყველაფერი ეს კარგად ეთანხმებოდა გარკვეულ ჯგუფების ანგარებით მისწრაფებებს. ამგვარმა ხელგაშლილმა საკრედიტო პოლიტიკამ სრულიად საპირისპირო შედეგები გამოიღო – მძიმე დარტყმა მიაყენა მცირე ბიზნესს და რაც მთავარია მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ნაწილს.

კრედიტების სრულიად უმნიშვნელო ნაწილი იქნა დანიშნულებისამებრ გამოყენებული.

კუპონის გაუფასურების მეორე უმთავრეს მიზეზად რჩება ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, რაც შედეგია მოუქნელი საგადასახადო პოლიტიკის წარმოებისა, გაუმართლებელი მოცულობისა და სტრუქტურის ბიუჯეტის ხარჯებისა. ჯერჯერობით საგადასახადო სისტემა ვერ მოიცავს სამეურნეო სუბიექტთა და ოპერაციათა მნიშვნელოვან ნაწილს (მაგალითად მხოლოდ ბიზნესი იკმარებოდა). გაუმართლებლად დიდი იყო შეღავათების სისტემა.

ამის შედეგად მოხდა კონსოლიდირებულ ბიუჯეტის შემოსავლების მკვეთრი შემცირება: შემოსავლები 1991 წლის ერთობლივი შიდა პროდუქციის 37 პროცენტიდან 1992 წელს დავარდა 22 პროცენტამდე და 16 პროცენტამდე 1993 წელს.

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯების ნაწილს, 1991 წლის საერთო ეროვნული პროდუქციის 39 პროცენტიდან 1992 წელს გაიზარდა 54 პროცენტამდე (განაწილების სისტემა ასეთი ცენტრალიზებული აღრე არასოდეს ყოფილა). შედეგად 1992 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა საერთო-ეროვნული პროდუქტის 32 პროცენტი შეადგინა. უკეთესი სურათი არც 1993 წელს იქნებოდა (მონაცემები ვერ მოვიპოვეთ). ბიუჯეტის გასავლების დიდი ნაწილი მოდის ფასების სუბსიდიებზე, არარენტაბელური საწარმოების შენახვასა და უმიზნო სოციალურ პოლიტიკაზე. ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს ჰიპერინფლაციის წმინდა მონეტარულ ხასიათს.

რას ნიშნავს სამანეთო სივრცე?

დღემდე ცნობილი სავალუტო ზონების მოდელებს აქ არ განვიხილავთ, რადგან ჩვენს შემთხვევაში მათი ანალოგების განხორციელება, ვფიქრობთ, გამორცხულია.

სამანეთო სივრცის პროექტის შესახებ რაიმე ოფიციალური დოკუმენტების უქონლობის პირობებში მიზანშეწონილია შევაფასოთ მოდელი, რომელიც, სავარაუდოა, საფუძვლად დაედება მის ჩამოყალიბებას.

მხედველობაში გვაქვს გარდამავალი ეკონომიკური სისტემების ცნობილი სპეციალისტის, არგენტინის, პოლონეთისა და რუსეთის მთავრობების ეკონომიკური მრჩევლის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის ჯეფრი საქსისა და რუსეთის მთავრობის ეკონომიკური

მრჩევლის დავით ლიპტონის (სხვათა შორის, რუსეთის მთავრობაში იანვრის ცნობილი ცვლილებების შემდეგ ისინი ამ თანამდებობიდან გადადგნენ) მიერ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკების სტოკჰოლმის ინსტიტუტში მომზადებული პროექტი:

„საბაზრო–მონეტარული სისტემისაკენ გადასადგმელი ნაბიჯები რუსეთში“ (1992 წლის ივნისი).

ეს პროექტი რუსეთის ეკონომიკის მასშტაბებსა და რეგიონში საერთო ეკონომიკური სტაბილიზაციის ინტერესების გათვალისწინებით, ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

– მონეტარული ხელმძღვანელობა ცენტრალიზებულია.

მას ანხორციელებს სამანეთო სივრცეში შემავალი ქვეყნების წარმომადგენელთაგან შექმნილი ინსტიტუტი. ხმები ინსტიტუტის ხელმძღვანელთა შორის განაწილდება ქვოტების საფუძველზე, რომელსაც საფუძვლად დაედება შემავალი ქვეყნების ეკონომიკების მაშსტაბები (ანუ რუსეთს შეუძლია ერთპიროვნულად აკონტროლოს ყველა გადაწყვეტილება);

– მანეთის ცენტრალური ხელმძღვანელობა აწესებს საბანკო რეზერვების ნორმას, რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთს, აწესებს საცვლელი კურსის პოლიტიკას:

– არსებობს ერთადერთი ემიტენტი – რუსეთის ცენტრალური ბანკი; მხოლოდ მას შეუძლია შექმნას კრედიტი ნაღდი ფულით ან საბანკო რეზერვებით;

– ნაღდი ფულისა და კრედიტების განაწილება ქვეყნებს შორის უნდა მოხდეს სამართლიანად, მყარი წესების საფუძველზე;

– ბიუჯეტის დეფიციტი დაფინანსდება განსაზღვრული წესით;

– თანასწორ ხელმისაწვდომობას უცხოურ ვალუტაზე და ერთიან სავალუტო კურსს უზრუნველყოფს ცენტრალური ხელმძღვანელობა;

– საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უნდა უზრუნველყოს დაკვირვება შეთანხმებული წესების დაცვაზე;

– სამანეთო ზონაში შემავალი ქვეყნების ცენტრალური ბანკები არ ატარებენ დამოუკიდებელ ფულად–საკრედიტო პოლიტიკას. მათ აქვთ მხოლოდ დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია კომერციულ ბანკებსა და რუსეთის ცენტრალურ ბანკს შორის. აწარმოებს ზედამხედველობას კომერციული ბანკების საქმიანობაზე.

– „ეროვნული ვალუტა“ – სამანეთო ზონაში შემავალ ქვეყნებს უფლება ექნებათ სიმბოლურად იქონიონ საკუთარი ფულის ნიშნები. რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკს უფლება ექნება გაცვლის უფლება რუსულ მანეთზე

ერთი-ერთზე.

თუ რეალისტები ვიქნებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთი მისი ფინანსურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ მიიღებს სამანეთო ზონის ზემოთაღწერილ მოდელზე არსებითად უფრო რბილ პირობებს. სხვა ვარიანტში სამანეთო სივრცეში ფარგლებში სტაბილურობის მიღწევა გამორიცხული იქნება. ჩვენში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ რუსეთის მიერ წარმოდგენილი პირობები სამანეთო სივრცეში შესვლაზე ზემოთწარმოდგენილზე უფრო მკაცრი იქნება, საფუძველსმოკლებული არ უნდა იყოს.

სამანეთო სივრცის წარმოდგენილი მოდელიდან ნათლად ჩანს, არსებითად, შემავალ ქვეყანას ხელიდან ეცლება საკუთარი ეკონომიკის რეგულირების ძირითადი ბერკეტები. იგი ვერ განახორციელებს დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკას. შეიზღუდება მისი საგარეო-ეკონომიკური და სტრუქტურული პოლიტიკა.

რას მივიღებთ სამანეთო სივრცეში შესვლით?

მოტივები, რაც საფუძვლად უდევს სამანეთო სივრცეში შესვლის იდეას, ძირითადად დაკავშირებულია სტაბილური ვალუტის საფუძველზე ეკონომიკური აქტივობის ამაღლების, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გამოცოცხლების და მწვავე სოციალური პრობლემების შემსუბუქების იმედთან.

ერთი შეხედვით, ეს იმედები მთლად უსაფუძვლოდ არ გამოიყურება. მაგრამ, უკეთეს შემთხვევაში, ჩვენის აზრით შეიძლება მიღებულ იქნას უმნიშვნელო მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტი.

პოლიტიკური არასტაბილურობა, სამართლებრივი დაუცველობა, საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკის არასტაბილურობა, მაღალი ინფლაციური მოლოდინი და ა.შ. (რომელიც დამახასიათებელია რუსეთისათვის) საბოლოო ანგარიშით ყველა ეს მიზეზი აკუმულირდება ერთიან მაღალი რისკის ფაქტორში.

სავაჭრო–ეკონომიკური კავშირების გაფართოება და მის ბაზაზე ეკონომიკის აღორძინება არასტაბილურ გარემოში ილუზორულია.

ეკონომიკური კავშირების მოგვარება შესაძლებელია სხვა, ჩვენთვის უფრო მისაღები მექანიზმების გამოყენებით, რაზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

რაც შეეხება სოციალურ შედეგებს, ფასების ლიბერალიზაციის

სხვადასხვა დონის გამო მოსალოდნელია რესურსების უკონტროლო გადინება საქართველოდან.

ერთადერთი პოზიტიური ეფექტი, რომელიც შეიძლება მოყვეს სამანეთო ზონაში შესვლას, ეს არის ჩვენში შეჩერებული ეკონომიკური რეფორმის იძულებითი დაჩქარება.

მოსალოდნელი დადებითი ეფექტები სრულიად ფერმკრთალდება იმ უარყოფითი შედეგების ფონზე, რაც შეიძლება მოყვეს საქართველოს სამანეთო ზონაში შესვლას:

– ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მთლიანად დამოკიდებული ხდება რუსეთზე, იკარგება შანსი კრიზისიდან ჩქარი გამოსვლისა, რადგან რუსეთი თავისი მასშტაბებისა და ინერტულობის გამო სწრაფად ვერ განვითარდება;

– შეიზღუდება საგარეო ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან, შეჩერდება რუსეთზე საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის შემცირების დაწყებული პროცესი;

– მნიშვნელოვნად იკარგება სამხედრო საქმის წარმოების ფინანსური ბერკეტები;

– შეიზღუდება საერთაშორისო და უცხოური ინვესტიციების უშუალო მოზიდვის შესაძლებლობა;

– სამანეთო ზონა გააძლიერებს საქართველოს რეგიონების ცენტრიდანულ ეკონომიკურ ტენდენციებს;

ჩვენ აქ აღარაფერს ვამბობთ ქვეყნის პოლიტიკურ და მორალურ დანაკარგებზე.

ალტერნატივა

საქართველოს მომავალი მდგომარეობა სნგ-ში არსებითად იქნება დამოკიდებული იმ ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათზე, რომელიც ამ გაერთიანებაში ჩამოყალიბდება. ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი გააძლიერებს ჩვენს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას რუსეთზე. ერთიანი ვალუტის პირობებში კი შეუძლებელი იქნება რუსეთზე ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის არსებითი შემცირება, გაქრება ის დადებითი ტენდენციები, რომლებიც შეიმჩნევა ბოლო წლებში სხვა ქვეყნებთან ჩვენი ეკონომიკური კავშირების გაფართოების მიმართულებით. შავი ზღვის ეკონომიკურ თანეამშრომლობაში ჩვენი მონაწილეობა მხოლოდ ფორმალური იქნება და რაც მთავარია,

საკუთარი ვალუტა აუცილებელია საქართველოს რეგიონების ინტეგრაციისათვის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში, რაც თავის მხრივ პოლიტიკური მთლიანობის საფუძველია.

სამანეთო ზონის შექმნის იდეას საფუძვლად უდევს რუსეთის სტრატეგიული ინტერესები. თუ განხორციელდება სამანეთო ზონა ზემოთაღწერილი მოდელით, მაშინაც კი თვით რუსეთს შეექმნება დიდი ეკონომიკური პრობლემები. მისი დანგრეული ეკონომიკა ვერ შესძლებს დააფინანსოს ის აუცილებელი ხარჯები, რაც ზონის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას დასჭრდება. საეჭვოა, რომ ეს დამატებითი ხარჯები გაიღოს დასავლეთმა. უფრო მეტიც, სავარაუდოა რუსეთს შეუმცირდეს ის დახმარებაც, რასაც ის ახლა ღებულობს. ასეთი რეალიების გათვალისწინებით სამანეთო ზონის მოჩვენებითი ხიბლი, ვფიქრობთ, იკარგება. დასკვნა ერთია: საკუთარ ვალუტას გონივრული ალტერნატივა არა აქვს.

სად არის გამოსავალი?

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არ არის უნიკალური.

დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნისათვის ეს ბუნებრივი ეტაპია. ჩვენს დღეში ადრეც ბევრი ყოფილა და დღესაც ბევრია, ვინც დღემდე წარმატებას მიაღწია, ძირითადად საკუთარი რესურსებისა და გარედან მხარდაჭერის მიზანდასახული გამოყენების საფუძველზე. საქართველოს საკუთარი რესურსების უკმარისობაზე ლაპარაკი მხოლოდ წუწუნია. რაც შეეხება საგარეო რესურსებს, ის საკმარისადაა და მისი გამოყენება ჩვენს ფხიანობაზეა დამოკიდებული. ამ შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენების მაგალითები უხვადაა დღევანდელ მსოფლიოში. შორს რომ არ წავიდეთ, შარშან მოლდოვამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სისტემური ტრანსფორმაციის საშუალების ფონდიდან მიიღო 32 მილიონი დოლარი (პირველ კვარტალში ინფლაცია ჰქონდა 25 პროცენტი). ყირგიზეთმა 26 მილიონ დოლარი (სომის წარმატებული შემოღების კვალობაზე) ყაზახეთმა მსოფლიო ბანკიდან მიიღო 180 მილიონი დოლარი.

კრიზისიდან გამოსვლის აპრობირებული გზები და მექანიზმები არც საქართველოში უცნობი.

მხედველობაში გვაქვს საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების ცნობილი რეკომენდაციები, რომლებმაც შემდეგ ასახვა ჰპოვეს

ეკონომიკური სტაბილიზაციის სამთავრობო პროგრამაში. მართალია, ეს პროგრამა არ იყო საკმარისად დეტალური სრული დანერგვისათვის, მაგრამ მუშაობის დაწყების საშუალებას იგი აშკარაგდ იძლეოდა. ფაქტია, სურვილები დარჩა ქაღალდე. როგორც სჩანს, ობიექტურ ფაქტორებთან ერთად ამის მიზეზი იყო ის, რომ ხელისუფლებამ ვერ გაიცნობიერა რეფორმის არსი და, შესაბამისად, ვერ მოახერხა მისი რეალიზაციის პოლიტიკური უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ, მთავრობის გადახალისებას არ მოყოლია რეფორმისადმი დამოკიდებულების უკეთესობისაკენ შეცვლა.

აუცილებელი და პრინციპულად შესაძლებელია შედარებით მოკლე დროში სერიოზული შედეგების მიღება კუპონის გამყარების საქმეში. შესაბამისი საფინანსო და ფულად–საკრედიტო მექანიზმები ცნობილია. აქ დიდი რეზერვებია კუპონის განსამტკიცებლად, როგორც ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდისა და ხარჯების შემცირების, ასევე ფულის მასის რეგულირების გზით.

დღეისათვის წარმოების დაცემა ქვედა ზღვარზეა და ნაკლებ მოსალოდნელია მისი შემდგომი არსებითი შემცირება. ამასთან, მაღალი ინფლაციის მოლოდინის პირობებში უაღრესად მაღალია კუპონის ბრუნვის სიჩქარე, მისი შემდგომი ზრდაც მნიშვნელოვანი ვერ იქნება. ასეთ სიტუაციაში, ცხადია, რომ ფულის მასის რეგულირებას თან მოყვება ფასების დონის მკვეთრი რეაგირება.

არსებითია ხაზი გაესვას იმ თითქოსდა აქსიომატურ დებულებას, რომ წარმოების გამოცოცხლება შესაძლებელია მხოლოდ ფინანსური სტაბილიზაციის საფუძველზე და არა პირიქით. ფინანსური არასტაბილურობა ეკონომიკური აქტივობის სტიმულებს სრულიად კლავს.

არსებობს გამოცდილი მექანიზმები ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების მოგვარებისა, როგორიცაა:

– კუპონის ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გადაქცევა;
– კუპონის შიდა კონვერტირებადობის უზრუნველყოფა;
– ეფექტიანი საგარეო საგადამხდელო მექანიზმები;
– ნაღდი და უნაღდო ფულის გათანაბრება;
– ბანკების საიმედობა და ლიკვიდურობა;
– საფინანსო რესურსების მობილიზება საბანკო სისტემაში;
– ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება;

– ფასების შემდგომი ლიბერალიზაცია სოციალური დაცვის გარანტიით.

ამ საკითხებზე დეტალური საუბარი საგაზეთო სტატიის ფარგლებს სცილდება.

აუცილებელია გარკვეული წინამძღვრები კრიზისის დასაძლევად:

1. პოლიტიკური ნება;
2. პოლიტიკური და კრიმინალური სიტუაციის სტაბილიზაცია;
3. კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტებული მთავრობა, რომელსაც ექნება ნდობა როგორც საკუთარ ხალხში, ასევე უცხოეთში;
4. ანტირეფორმულ ინტერესთა ჯგუფების განეიტრალება;
5. საკანონმდებლო და სამართლებრივი ბაზა.

გარდამავალი ეკონომიკური სისტემებისა და მდგრადი განვითარების ქართული ცენტრი.
თბილისი. 2 თებერვალი, 1994 წელი.

არაფორმალური-არარეგისტრირებული ორგანიზაციის „საქართველოს ეკონომიკური რეფორმისა და განვითარების კვლევის ცენტრის“ სახელით გამოქვეყნებული ეს სტატია წარმოადგენს მაშინდელი უპასუხისმგებლო, ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კრიტიკას, კერძოდ - სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში. სტატიაში აქცენტი აგრარული რეფორმის დაჩქარების აუცილებლობაზე დაისმის.

7 დღე, 25 თებერვალი, 1994

კიდევ ერთი „ჰაერის“ კრედიტი

ცნობა: პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობისათვის 400 მილიარდი კუპონის სესხის გაცემის თაობაზე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად.

თანამედროვე ეკონომიკის ნორმალური მუშაობა წარმოუდგენელია კრედიტების გარეშე. ამასთან აღსანიშნავია, რომ საკრედიტო რესურსის მოცულობა ყოველი მოცემული მომენტისათვის შეზღუდულია, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი წარმოადგენს ეკონომიკურ რესურსს. ბუნებრივია, საკრედიტო რესურსის სწორად გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკის განვითარება, მისი ეფექტიანობა.

ნორმალურ პირობებში კრედიტს, როგორც ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ რესურსს, აქვს რეალური ფასი, რომელიც მისი განაწილების მექანიზმის ძირითადი ელემენტია.

ჩვენთან ჩამოყალიბდა სრულად გაუმართლებელი დამოკიდებულება, რომლითაც კრედიტი ფასდება, როგორც ამოუწურავი რესურსი, აქედან გამომდინარე ბუნებრივი შედეგით: მას, ფაქტიურად, განიხილავენ, როგორც უფასო რესურსს. უახლოეს წარსულში სახეზე იყო კრედიტების შეუზღუდავი გაცემა.

კრედიტისადმი ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ობიექტურად არსებულმა მძიმე სამეურნეო და სოციალურმა პირობებმა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს გზა აღნიშნულ პრობლემებს არათუ ვერ გადაჭრის, პირიქით, ამძაფრებს, ხოლო ფინანსურ სფეროში სრულ ქაოსს იწვევს. დღეისათვის ასეთი საკრედიტო პოლიტიკის მძიმე შედეგები სახეზეა. მიუხედავად ამისა, უმაღლესი სამთავრობო სტრუქტურები ქვეყნის წინაშე მდგომი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას კვლავ

„საჰაერო“ კრედიტებით ცდილობენ. როგორც მოსალოდნელი იყო, უზარმაზარი მოცულობის კრედიტების მიღების მორიგი სურვილი გაჩნდა სოფლად საგაზაფხულო სამუშაოების მოახლოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საზოგადოებრივ მეურნეობათა საწვავით უზრუნველყოფა ისევ „საჰაერო“ კრედიტებითაა გათვალისწინებული.

თავდაპირველმა მოთხოვნამ 4 ტრილიონი კუპონი შეადგინა. შემდგომში ეს მოთხოვნა 10-ჯერ შემცირდა. უკვე ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ამ საკითხისადმი მთავრობაში არ არის სერიოზული მიდგომა. მით უფრო აქტუალურია პრობლემის არსის გააზრება.

საზოგადოებრივ მეურნეობათა სავალალო ფინანსური მდგომარეობა წლის დასაწყისში შედეგია იმ სამეურნეო ურთიერთობებისა, რომლებიც ჩამოყალიბებულია დღეისათვის აგრარულ სფეროში. ამ სექტორისათვის საერთოდ დამახასიათებელმა არაეფექტიანობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. მაგალითისთვის, შარშან ჰექტარზე მოიწიეს 12 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. სრულიად დაიკარგა მათი როლი სურსათის სახელმწიფო რესურსების ფორმირების საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ ეს სექტორი კვლავ ფლორბს სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების საერთო ფართობის დაახლოებით ნახევარს, ხოლო მიწის სხვა სავარგულები, ფაქტიურად, მთლიანად მათ ხელშია. აქვე აღვნიშნავთ, რომ გასული წლის პირველ ნახევარში მათ მიიღეს 20 ათასი ტონა დიზელის საწვავი, რაც საკმარისი უნდა ყოფილიყო საგაზაფხულო სამუშაოებისთვის.

სრულიად საწინააღმდეგო სურათია კერძო სექტორში: გლეხმა უკვე ისწავლა მისთვის საჭირო რესურსების დამოუკიდებლად შოვნა, სახელმწიფოსაგან ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე და გარკვეული დამაიმედებელი შედეგებიც სახეზეა. ჩვენ ამ შემთხვევაში დავიმოწმებთ სტატისტიკას. 1993 წელს მოსახლეობამ აწარმოა:

სიმინდის 90% (1990 წელს – 60%)
კარტოფილის 80% (1990 წელს – 50%)
ბოსტნეულის 85% (1990 წელს – 60%)
ხილის 95% (1990 წელს – 80%)
ყურძნის 95% (1990 წელს – 45%)

კერძო სექტორის წილად უკვე მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების 80-90% მოდის. ასეთივე ტენდენციებია მეცხოველეობაშიც. მაგალითისათვის, აღვნიშნავთ, რომ საწვავის პრობლემის საპასუხოდ, მარტო გასულ წელს ხარის სულადობა სოფლად 25%-ით გაიზარდა. ასე რომ, დღეისთვის სოფლად ყოველ მეოთხე ოჯახს ჰყავს ხარი ან სახარე. ასეთია გლეხობის ელვისებური რეაქცია იმ ენერგეტიკულ კრიზისზე,

რომელშიც აღმოჩნდა. ჩვენში დღეს ცხადი უნდა იყოს სოფლად კერძო ინიციატივაზე დამყარებული სამეურნეო საქმიანობის უპირატესობა და მისი მომავალი. ასეთ პირობებში ბუნებრივი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ გლეხური მეურნეობებისადმი მხარდაჭერა. გლეხი კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საქართველოს სურსათით უახლეს წლებში. იგი ამას უკვე მნიშვნელოვან წილად აკეთებს. შესაბამისად, უაზროდ გამოიყურება ახალი კრედიტების მიცემა საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის, ეს ინფლაციას ძლიერ ბიძგს მისცემს და საბოლოოდ დაასამარებს ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის პერსპექტივას. საჭიროა, ერთ-ხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს მომაკვდავი სამეურნეო ორგა-ნიზმების სიცოცხლის ხელოვნურ გახანგრძლივებას. სოფლად უნდა ჩამოყალიბდეს (თავისუფალ ფასებზე დამყარებული) საბაზრო ურთი-ერთობები. ასეთ პირობებში გლეხი იყიდის საწვავს კრედიტების გარეშე (ერთი ჰექტარის დასათესად გლეხს ეყოფა ერთი ინდაურის ან ერთი ფუთი სიმინდის გაყიდვა). დღეისათვის ფასების ზრდა სურსათზე ყველაზე მაღალია და ასეც იქნება კარგა ხანს. ამ პირობებში ძლიერი საზოგადოებრივი მეურნეობებიც მოახერხებენ თავისი მიწების მოვლას საკუთარი შემოსავლებით. უარეს შემთხვევაში შეიძლება დაიკარგოს შარშან საზოგადოებრივ სექტორში წარმოებული პროდუქციის (მთელის 10-20%) მხოლოდ ნაწილი.

ამგვარად, თავიდან ავიცილებთ ინფლაციურ პროცესებსა და კუპონის კურსის დაცემას. დაჩქარდება რეფორმები სოფლად, იქნება სხვა სოციალური ეფექტებიც, რომლებიც გადაფარავენ მოსალოდნელ ზარალს.

ამიტომ მიგვაჩნია საღ აზრად ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვა-ნელობის კურსი მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკისაკენ.

საქართველოს ეკონომიკური რეფორმისა
და განვითარების კვლევის ცენტრი

მთავრობის ეკონომიკურ როლსა და ხალხის მოლოდინებზეა აქ საუ-ბარი. თუ მაშინ მთავრობას უნდა დაეთმო გარკვეული ეკონომიკური ფუნქციები, ხოლო ხალხს არ უნდა ჰქონოდა ცრუ მოლოდინი, ახლა პირიქით - ლიბერტარიანულმა მმართველობამ იმდენად აიღო ხელი ეკონომიკაზე „ბაზრის უხილავი ხელის“ იმედად, რომ საჭირო ხდება სახელმწიფოს, როგორც შეუცვლელი აქტორის როლის ახალი გააზრება ეკონომიკისა და ზოგადად საზოგადოების განვითარების საქმეში.

თბილისი, 6 მაისი,1994

მთავრობა „მოკვდა“, როგორ ვუშველოთ თავს?

მიხეილ ადეიშვილი: პროფესია – ეკონომისტი, სამუშაო ადგილი – საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატი, თანამდებობა – სახელმწიფო მრჩეველი, ოჯახური მდგომარეობა – ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი – ელისაბედი. ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც სწავლობდა და გადიოდა სტაჟირებას (დიუკის უნივერსიტეტი, მსოფლიო ბანკი).

როგორც თვითონ მიაჩნია, მრჩეველთა ინსტიტუტის გაძლიერებას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ საქართველოში მათი ფუნქციები ხეირიანად არც არის გარკვეული. ისე კი, ეკონომიკურ მრჩეველთა მთავარი მოვალეობაა, მეცნიერულად დასაბუთებული რჩევები მისცენ სახელმწიფოს მეთაურს. რამდენად გაითვალისწინებს მათ, ეს უკვე მისი ნებაა, საზღვარგარეთ კი მსგავსი ინსტიტუტები დიდ გავლენას ახდენს რეალურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

პარალელურად მიხეილ ადეიშვილი კერძო კვლევით საქმიანობასაც ეწვია. იგი თანადამფუძნებელია გარდამავალი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ქართული ცენტრისა, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეპტუალური საფუძვლებისა და მოდელის შექმნა, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სტრატეგიული გადაწყვეტილებების შემუშავების ხელშეწყობა.

„მრჩეველთა გავლენისა და ავტორიტეტის მოპოვება დამოკიდებულია ჩვენზე იმის მიხედვით, თუ რამდენად კვალიფიციური იქნება ეს რჩევები,“ – ამბობს მიხეილ ადეიშვილი.

ახლა ძნელი სათქმელია რამდენად პროფესიული და მისაღები იქნება

ახალგაზრდა მრჩევლის საქმიანობა სახელმწიფოს მეთაურისათვის. მკითხველი კი შეგვიძლია დავარწმუნოთ, იმ ზოგადი რჩევების გათვალისწინება, რომელთაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, არავის აწყენს. მოკლედ თუ ვიტყვით, მათში ის აზრია გატარებული, რაც ერთ ქართულ ანდაზაში, ღმერთს რომ სთხოვა კაცმა შველა და პასუხად მიიღო, ხელი გაანძრიე და გეშველებაო – არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მგონია, რომ დღეს ადამიანებს მატერიალურზე მეტად მორალურად და ფსიქოლოგიურად გაუჭირდათ....

- ეს არის ყველაზე რთული და მძიმე გასავლელი პერიოდი. იგი მოითხოვს ადამიანების შეგუებას ახალ გარემოსთან, ამას კი ახერხებს მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილი, ძირითადად მოქნილი გონების ხალხი. ერთი შეხედვით, უცნაურია, თითქოს საქართველოში ამგვარი სახეცვლილება არ უნდა ყოფილიყო მტკივნეული. ჩვენში იყო იმ სისტემის ელემენტები, რომელზეც ახლა გადავდივართ. სხვას რომ თავი დავანებოთ, საქართველო იყო ყველაზე მსხვილი ფარული ეკონომიკის რესპუბლიკა, ძლიერი შინაგანი პოტენციალით. საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს შორის სხვადასხვა შეფასებით, საქართველო იყო ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე (მაგალითად, 1970-80-იან წლებში წარმოების ზრდის ტემპით). სამაგიეროდ, ჩვენში პოლიტიკური გარემო აღმოჩნდა ყველაზე დამღუპველი. მე ვთვლი, რომ ეკონომიკის შეცდომებზე მეტად საერთო სიტუაციაზე იმოქმედა შინააშლილობამ, სამოქალაქო ომებმა, რთულმა საგარეო მდგომარეობამ; ყველაფერ ამას მოჰყვა ისეთი შემაფერხებელი ძალების გაძლიერება, როგორიცაა მაფიოზურ-კლანური სტრუქტურები. მათი მომძლავრება ამუხრუჭებს პროგრესს და მცირე ჯგუფების ხელში აქცევს მართვის სადავეებს.

- *ეკონომიკური ფაქტორებიდან რას გამოჰყოფდით?*

- უპირველესად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. როგორი იყო იგი ბოლო დრომდე, ყველას მოეხსენება. ის იყო ლიბერალური, და ამან, საერთოდ, ბოლო მოუღო ყველაფერს და ერთეულები ხელში მოაქცია მთელი სიმდიდრე. მდიდარი ადამიანი თავისთავად მშვენიერი რამ არის, თუ ეს ქონება კაცს საკუთარი შრომით აქვს ნაშოვნი, მცირე ნაწილის გამდიდრებას მოჰყვა მასების გაღატაკება. სამწუხაროდ, ეს მოხდა იმის წყალობით, რასაც არაპირდაპირ ინფლაციურ გადასახადს ეძახიან. ვთქვათ, დღეს გაქვს ასი ათასი კუპონი, როცა ინფლაცია დიდია, შეიძლება ხვალ მის ნახევარი შეგრჩეს ხელში. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ვინ შეიძლება „აკრიფოს“ ეს გადასახადი. რბილად თუ ვიტყვით, ეს უარყოფითი ტენდენციაა, სინამდვილეში ეს ძარცვაა. დღეისათვის კი

ყველაზე პრობლემატურია ბიუჯეტის შექმნა და ხარჯვა.

- *მიუხედავად მასობრივი გაჭირვებისა, როცა მთელი რესპუბლიკა ფაქტობრივად უხელფასოდ ცხოვრობს, ვიყოთ გულწრფელი და ვაღიაროთ: საზოგადოების უმეტესი ნაწილი მაინც ირჩენს თავს და არ შიმშილობს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით...*

- სიტუაციის განმუხტვას ხელს უწყობს ძირითადად რამდენიმე ფაქტორი, უპირველესად ის, რომ სოფელი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. პრივატიზებული მიწები თითქმის მთლიანად ათვისებულია. იქ იქმნება რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქტის უმეტესი ნაწილი. ეს იმ დროს, როცა ამ სექტორს სახელმწიფოსაგან არავითარი დახმარება არ მიუღია. მეორე ფაქტორია ვაჭრობა. თეორიულად შესაძლებელია, რომ ქვეყანამ არაფერი აწარმოოს და ისე იცხოვროს. ვთქვათ, წახვედი ინდოეთში, იყიდე, პოლონეთში გაყიდე და დაგრჩა მოგება. ეს ჩვენში შემოსავლების გავრცელებული წყაროა. კიდევ ერთი – საზღვარგარეთ ოჯახურ-ნათესაური კავშირები; დღეს ძალიან ბევრი მიდის რესპუბლიკის გარეთ, იქ მუშაობს, ეწევა ბიზნესს. ესეც შემოსავლის სოლიდური არხია, მე მას საგარეო შემოსავლებს დავარქმევდი. დროთა განმავლობაში, ალბათ, მოხდება მათი ოფიციალური აღრიცხვა და აისახება ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში. ცალკე სალაპარაკო თემაა ფარული ეკონომიკა და შემოსავლების გადანაწილება.

- *საზოგადოების მოზრდილი ნაწილი მაინც სახელმწიფოს იმედზეა.*

- მათ გასაგონად უნდა ვთქვა: მთავრობა აღარ არსებობს, მთავრობა „მოკვდა“. უფრო რბილად თუ ვიტყვით, იგი ძალიან სუსტია. მთავრობის ძლიერების ერთ-ერთი ნიშანი გადასახადების აკრეფაც არის. ჩვენი მთავრობა ამასაც ვერ ახერხებს. შემოსავლები, რომლებზეც ძირითადად, გათვლილია ბიუჯეტი, შეადგენს გასავლების მხოლოდ ექვს პროცენტს, დანარჩენი თანხები ფულის ბეჭდვით იფარება.

დღეს სახელმწიფოს მონაწილეობა მოსახლეობის შემოსავლებში თითქმის სიმბოლურია. ხელფასების საერთო შემოსავლების მეათედსაც აღარ შეადგენს. ხალხი ფაქტობრივად უხელფასოდ მუშაობს. ეს ფარული უმუშევრობაა. ჩვენი მდგომარეობა იმ პატარა ატირებულ ბავშვს ჰგავს, რომელსაც მატყუარას უდებენ პირში და მასაც ჰგონია, რაღაცას მაჭმევენო. ამგვარი თავის მოტყუება უფრო უარესია. ადამიანს სახელმწიფოს იმედი აქვს და აღარ ფიქრობს საკუთარ დამოუკიდებელ შესაძლებლობებზე.

ხალხმა უნდა გაიგოს და გაიცნობიეროს, რომ არ შეიძლება სახელმწიფოს, მთავრობის ხელში ყურება, რაღაც მოხდება, სახელმწიფო გამდიდრდება და ყველას გვეშველებაო. ეს არის ამაო მოლოდინი

და დროის კარგვა. თუ ვინმეს კიდევ იმედი აქვს და სჯერა ამისი, დრო დაივიწყოს; უმჯობესია, იფიქროს იმაზე, თვითონ, დამოუკიდებლად, რისი გაკეთება შეუძლია. მთავრობა ვერ გასწევს იმის პროპაგანდას, რომ ჩემი იმედი ნუ გექნებათო, ეს პრესის საქმეა.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ამგვარი შემობრუნებისა და გამოცოცხლების ნიშნები უკვე აშკარად გამოჩნდა.

- უფრო კონკრეტულად, რა გააკეთოს ადამიანმა, რომელსაც აღარ სურს მთავრობის „წყალობას“ ელოდოს?

- რეცეპტების ჩამორიგება ძალიან ძნელია. აკეთოს ის, რაც შეუძლია და რაც იცის. თუ ადამიანი ღირებულს აკეთებს რამეს, ის ღირებული იქნება ყველასთვის. ამიტომ კვალიფიციურმა სპეციალისტმა შეიძლება ურთიერთობა დაამყაროს სხვა ქვეყნებთან, ჩაერთოს საერთაშორისო პროგრამებში. მანამდე კი საჭიროა იმ რკალის გარღვევა, რომელიც ჩვენს გარშემო არსებობს და მოიცავს როგორც ფსიქოლოგიურ, ისე ბიუროკრატიულ მომენტებს. საამისოდ კი უამრავი გზა არსებობს. ბევრი წარმატებითაც ახერხებს ამას: ვურჩევ იმ ხალხს, ვისაც შეუძლია რაიმე საქმეს მოჰკიდოს ხელი, გაყიდოს, გააქირაოს, დააგირაოს თუ რამ ღირებული აქვს და შეეცადოს ეს ფული სადმე დააბანდოს, მიიღოს მოგება. მართალია, ეს რისკია, მაგრამ მოგეხსენებათ, ვინც არ რისკავს.... საქმე უამრავი მოიძებნება, თუ პიროვნება მოწადინებულია და საამისო პოტენციალი აქვს. მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ არის ხალხი, რომლებიც ვერასოდეს შეძლებენ სერიოზული საქმის კეთებას (მე აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ ფიზიკურად უუნაროებს). ამგვარ ხალხზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. მანამდე კი საჭიროა მოხდეს მათი იდენტიფიცირება. სავალუტო ფონდიც, მსოფლიო ბანკიც ამასვე გვირჩევს, რომ უნდა მოხდეს დახმარებათა გაცემა კონკრეტული მისამართებით და არა ყველასთვის ერთნაბრად. დახმარება უნდა მიიღოს იმან, ვისაც მართლა სჭირდება იგი.

- მაშინ რაღა საჭიროა ხელისუფლება, მთავრობა?

- ხელისუფლებასაც რჩება საკუთარი მოვალეობები, იგი ვალდებულია ქვეყანაში შექმნას საკანონმდებლო ბაზა, დაამყაროს წესრიგი, აწარმოოს ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკა, დღევანდელ ეტაპზე კი – რაც შეიძლება სწრაფად მოახდინოს განსახელმწიფოებრიობა. მინიმუმამდე უნდა შემცირდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების რაოდენობა; მთავრობამ უნდა გადააფასოს საკუთარი როლი და არ უნდა იკისროს ის, რისი გაკეთებაც არ შეუძლია. ეს რთული პროცესია და მას ვინმეს ინტერესები აუცილებლად შეეწირება. მიუხედავად ამისა, ადრე თუ გვიან, ეს მაინც

ასე მოხდება. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს მხოლოდ მნიშვნელოვანი დარგების კონცენტრირება: თავდაცვა, უშიშროება, ინფრასტრუქტურა.... მან უნდა შეამციროს საკუთარი როლი, შესაბამისად კი გაიზარდოს კერძო სტრუქტურები. იმან კი, ვინც მიიღებს ხელფასს, დახმარებებს, უნდა მიიღოს რეალური და არა სიმბოლური. ისიც აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს გაძლიერების კვალობაზე ეს როლიც შეიძლება გაიზარდოს.

- ჩვენ რომ არ ვთქვათ, საზოგადოებას თავადაც კარგად მოეხსენება, ქვეყანაში უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა. რა გველოდება ხვალ?

- სისტემური ტრანსფორმაცია და პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილიზაცია ხანგრძლივი პროცესია. მას შეიძლება მთელი თაობაც შეეწიროს. თუ ვერწმუნებით ბუეზინსკის ნათქვამს, ამას ოცდაათი წელიწადი მაინც დასჭირდება. ჩვენი საზოგადოებისათვის უცხოა ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობები, ორასი წელიწადია, აღარ გვქონია სახელმწიფოებრიობა, დღეს სწორედ ეს ორი ძირითადი პრობლემაა მოსაგვარებელი: სისტემური ცვლილებები და სახელმწიფოს მშენებლობა. ამას დაუმატეთ მძიმე პოლიტიკური ვითარება შინ და გარეთ და გასაგები გახდება, რატომ არის გარდამავალი პერიოდი რთული და ხანგრძლივი.

ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოს სულ უნდა გადავიწუროთ იმედი. საზოგადოდ, ქვეყნის მდგომარეობას აფასებენ იმ მაჩვენებლით, რომელიც იანგარიშება ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი ეროვნული პროდუქტის რაოდენობით. ამ მაჩვენებლით საქართველოს ახლა ჩამორჩენილია, მაგრამ 1992 წელს გაერომ გააკეთა ალტერნატიული შეფასება სხვადასხვა კრიტერიუმებით; ცხოვრების დონის შესაფასებლად მოხმარებულ პროდუქტთან ერთად გამოიყენეს სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლების დონე, გარემო ამას ჰქვია ადამიანური განვითარების ინდექსი. ამის მიხედვით საქართველოს 180 ქვეყნიდან 49-ე ადგილზე აღმოჩნდა. გავუსწარით ჩინეთს, თურქეთს, რუმინეთს... ასე, რომ არც ისე უიმედოდაა საქმე, რაც მთავარია, რეფორმები და სახელმწიფოს მშენებლობა ჩვენი თაობის საპატიო პრივილეგიაა. ეს უნდა გვამხნევებდეს და ძალებს გვმატებდეს.

ნახევრად სერიოზულად:

ბოლოს, უნდა შევნიშნო, რომ აქ გამოთქმული ზოგიერთი „საეჭვო“ შეხედულება მხოლოდ ჩემია, პირადული და, რა თქმა უნდა, არ გამოხატავს ოფიციალურ თვალსაზრისს.

ესაუბრა ***მანანა მაზიაშვილი***

ოფიციალური, ანუ სახელმწიფო ვალუტის სისუსტე და პრობლემები თან დაჰყვა ჩვენს სახელმწიფოს. კუპონის, როგორც გარდამავალი ეროვნული ვალუტის პრობლემებსა და გამყარების გზებზე დისკუსიები, ისევე როგოც ეხლა ლარზე, მაშინ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა იყო. იმ მომენტისათვის მე მრავალვალუტიანობის ლეგალიზაციის მომხრე ვიყავი. შესაბამისი არგუმენტების გაცნობა მთავრობისა და საზოგადოებისათვის ჩემთვის მოსახერხებელი იყო ჩემი ჟურნალისტი მეუღლის, ხათუნას, და მისი გაზეთის, „7 დღის“, მეშვეობით.

7 დღე, 26-31 აგვისტო, 1994

ერთადერთი და განუმეორებელი, ანუ $, DM, Рубль... – de facto და de jure

დებატები კუპონის გამყარების თაობაზე უფრო გოდებისა და ვიშვიშის ან ემოციურ-ადმინისტრაციული თავგანწირვის ხასიათს ატარებს, ვიდრე კონსტრუქციული მსჯელობის. ეს ორი უკიდურესობისაკენ გვიბიძგებს: მანეთის ზონაში შესვლისკენ ან კუპონის „ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად“ გამოცხადებისაკენ. ერთი სიტყვით – რეალობისგან სრული მოწყვეტისაკენ.

სამწუხაროდ, ფინანსთა მინისტრის დავით იაკობიძის მოსაზრებები ვერ ჩამოყალიბდა პრინციპულ, კონსტრუქციულ პროექტად. ვერც კუპონის გამყარების შესახებ რესპუბლიკური პარტიის მიერ შემოთავაზებულმა პროექტმა ჰპოვა განვითარება. თუმცა, იგი საკმაოდ სადავო დებულებებს შეიცავდა, მაგრამ ეს იყო ცდა კონკრეტული ღონისძიებების დასახვისა.

დღეს დე ფაქტო ვაფიქსირებთ: მცდელობები – ეკონომიკის სამინისტროსი, ქუთაისის მერიის – კუპონი გახდეს ქვეყნის შიგნით „ერთადერთი საგადამხდელო საშუალება“ და აიკრძალოს უცხოური ვალუტის მიმოქცევა, ყოვლად მოკლებულია რეალობას. ამ ეტაპზე ისინი სრული კრახისთვის არის განწირული. და შეიძლება დამატებით სიძნელეების გამომწვევი გახდეს საქონელგაცვლაში, აღრიცხვა-შეფასებაში, სახსრების აკუმულირება-დაგროვებაში და სხვა....

აუცილებელი და გარდაუვალია იმ რეალობის გაცნობიერება, რომ კუპონი დღეისათვის ფულის ვერცერთ ფუნქციას ვერ ასრულებს – იგი თითქმის უვარგისია როგორც მიმოქცევის, დაგროვების საშუალება,

აღრიცხვის ერთეული, მაშინ, როცა კუპონს ძლიერი ალტერნატივები აქვს რუსული რუბლისა და ამერიკული დოლარის სახით.

რუბლისა და დოლარის ლეგალიზაცია, ფაქტის დე იურე აღიარება არის ერთ-ერთი საშუალება, ღონისძიებათა მთლიანი სისტემის მხოლოდ ერთი ეტაპი – კუპონის გასამყარებლად. მთავრობის ზოგიერთ წევრს ჰყოფნის ფანტაზია, დაუშვას და რეალურად მიიჩნიოს კუპონის ერთდროული, „დეკრეტული“ გამაგრება. ფაქტია, რომ კუპონის უკან ამჟამად მხოლოდ მთავრობა დგას, ისეთი ბუნებრივი მონოპოლიური ბერკეტებით, როგორიც არის პური, გაზი, ელექტროენერგია, ზოგიერთი სახის ტრანსპორტი, კომუნალური მომსახურება და გადასახადები.

მთავრობის სტრატეგია ნათელი უნდა იყოს: კუპონის განმტკიცება, ანუ მისი არეალის თანდათანობით გაფართოება, საბოლოოდ კი ნაციონალური ვალუტის (ვთქვათ, ქართული მანეთის ან ლარის) შემოღება. ამ პროცესის მთავარი პირობაა ინფლაციის რეალური მოთოკვა, რაც თავისთავად ცალკე თემაა, და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს მთავრობის ურთიერთობა მკაცრი გუვერნანტისა და ცუდი ბავშვის ურთიერთობას დაემსგავსა.

მაგრამ როცა ტაქტიკად კუპონის, როგორც „ერთადერთი საგადამხდელო საშუალების“ იურიდიული ნორმის გაუქმება და ფაქტობრივი მდგომარეობის – მრავალვალუტიანობის – აღიარებასა და დაკანონებას მივიჩნევთ, ბუნებრივად ჩნდება პრობლემები და კითხვები. ისინი უჩნდება მათაც, ვინც ჩახედულია ამ საქმეში და იცის, რა უნდა შეიცვალოს, და მათაც, ვინც არ იცის, რა უნდა შეიცვალოს, და მათაც, ვინც არ იცის, მაგრამ გრძნობს, რომ რაღაც აუცილებლად უნდა გაკეთდეს კუპონის გასამყარებლად (სახელმწიფოს მმართველები ამ ორ კატეგორიად იყოფიან. მეორენი რიცხვობრივადაც კი ჩინითაც გაცილებით აღემატებიან პირველს):

მოგვცემს ამის უფლებას საერთაშორისო სავალუტო ფონდი?

საჭირო ხომ არ იქნება იმ სახელმწიფოს ნებართვა, ვისი ვალუტის ლეგალიზებასაც ვახდენთ?

ხომ არ ნიშნავს რუბლის გაკანონიერება მანეთის ზონაში შესვლას და ეროვნული ინტერესების შელახვას?

ვიდრე შევეცდებოდეთ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას, დავაკონკრეტოთ, თუ რას ნიშნავს უცხო სახელმწიფოების ვალუტების ლეგალიზება, რაც ღონისძიებებს ითვალისწინებს ის პოლიტეკონომიური რჩევა, რომელიც

ცოტა ხნის წინ წარედგინა სახელმწიფოს მეთაურს.

- კერძო პირებსა და საწარმოებს მიეცეთ იურიდიული უფლება, აწარმოონ ოპერაციები ნებისმიერ ვალუტაში და ჰქონდეთ შესაბამისი ანგარიშები კომერციულ ბანკებში. საერთო სისტემაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა არა მხოლოდ მიმოქცევისა და აღრიცხვის პირობები, არამედ საბანკო სისტემაში უცხოური ვალუტის დაგროვებისა და აკუმულირების შესაძლებლობებიც.

- გადასახადების აკრეფა უნდა მოხდეს კუპონებში ან პირველ ეტაპზე ნებისმიერ ვალუტაში (საბაჟო გადასახადი – მხოლოდ უცხოურ ვალუტაში), ვადების მკაცრი დაცვით. ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები, უნდა გაიცეს მხოლოდ კუპონებში (შეძლებისდაგვარად გადიდებული), ხოლო სამეურნეო ორგანიზაციებში, სახელმწიფოს ჩათვლით – ნებისმიერად. გადასახადების მოთხოვნა კუპონებში აიძულებს მეწარმესა თუ ვაჭარს, შეისყიდოს იგი სავალუტო ბირჟაზე, რაც თავისთავად გაზრდის მოთხოვნას კუპონზე.

- შემოღებულ უნდა იქნას ორმაგი აღრიცხვა კუპონებსა და მყარ ვალუტაში, რასაც პრაქტიკულად კიდეც ეწევიან კერძო სექტორში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება საგადასახადო პოლიტიკაში.

მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გახდება შესაძლებელი საკუთარი ფულის შემოღება და საშუალება მოგვეცემა უცხოური ვალუტის „შევიწროებისა“ და მათი სავალუტო რეზერვად ქცევის. სხვა სახელმწიფოს ფულის ხმარება მიმოქცევაში საკმაო ზარალთან არის დაკავშირებული. როცა საქართველო მიმოქცევაში რუსულ რუბლს იყენებს, გასაგებია, რომ მას იგი შიდა ბრუნვაში უკავდება და აღარ რჩება საიმპორტო საშუალებაც; მაგრამ ისინი ნათელია, რომ დღეს, როცა კუპონი აბსოლუტური უნდობლობით სარგებლობს, იძულებული ხდება, ზარალზე საკუთარი ნებით წახვიდე.

მრავალვალუტიანობის ლეგალიზება არ არის პანაცეა. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ნებისმიერი რეფორმის გზაზე მაინც აწყდები ქართულ ეკონომიკურ სინამდვილეში უკვე საბედისწეროდ ქცეულ პრობლემებს: მთავრობის ნდობა, სწორი საგადასახადო და საბანკო პოლიტიკა, ინსტიტუციონალური რეფორმები და კადრები; იმ პირობების არარსებობა, რომელიც ნაციონალურ ვალუტას „ერთადერთად“ აქცევდა: 1. როცა ინფლაციის დონის მოლოდინი მისაღები იქნება; 2. როცა საბანკო სისტემა საკმაოდ სანდო გახდება ფულის შენახვა-გამოტანის თვალსაზრისით მაინც; 3. ხელმისაწვდომი და მოხერხებული

გახდება სავალუტო ბაზარი (კონვერტირება); 4. გაადვილდება სახელმწიფოთაშორისო გადარიცხვები.

საგადასახადო პოლიტიკა და ადმინისტრირება უნდა გამოცხადდეს უმთავრეს საკითხთან ეკონომიკის მართვაში.

ჩვენ სუსტი მთავრობის ხელში ვარსებობთ.

მთავრობას, რომელიც სულ უფრო მეტ ფულს ჭრის ბიუჯეტის დასაფინანსებლად. მისდამი ნდობისა და ინფლაციის მოლოდინი პროპორციული სიჩქარით მიექანება: პირველი – მინუსი, ხოლო მეორე – პლუს უსასრულობისკენ.

სუსტია მთავრობა, რომელიც ვერ ახერხებს გადასახადების აკრეფას. გადასახადების არშესვლა ბიუჯეტში ზედმეტი ფულის მოჭრის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია.

მთავრობა იმ სახელმწიფოსი, რომელსაც ვერ უმართავს საკუთარი ქონება და უზარმაზარ, თუმცა კი ნებაყოფლობით, სოციალურ ტვირთად დაწოლია სახელმწიფო სექტორი, რომლის შენახვას და დაფინანსებას ბიუჯეტში გადასახადების პუნქტუალური შესვლაც კი ვერ უზრუნველყოფდა.

ქართველი ბიზნესმენები ლაჯებში მოქცეული, ფულით გაძეძგილი ჩემოდნებით დაფრინავენ რუსეთში, რადგან სახელმწიფოთაშორისო გადარიცხვებსა და უნაღდო ანგარიშსწორებაზე საუბარიც კი უხერხულია დღევანდელი საბანკო პოლიტიკის პირობებში.

ბანკი ნათხემი ადგილივით არის ორი, სრულიად მარტივი, გასაგები და თანაგრძნობის გამომწვევი მიზეზების გამო. პირველი – არ არსებობს არანაირი იმედი და ნდობა, რომ შეტანილ ფულს გამოიტან მაშინ, როცა გინდა და გამოიტან იმდენს, რამდენიც გინდა. მეორე – ბანკში შეტანილი ფულის დაფიქსირება მოასწავებს გადასახადის მოთხოვნას სახელმწიფოს მხრიდან. ის ფული, რაც დღეს საქართველოში ბრუნავს, ფარული ფულია, დაცული აღრიცხვისა და გადასახადებისაგან (საუბარია არაფორმალურ სექტორზე). ლიბერალური და მარტივი საგადასახადო პოლიტიკა შეძლებდა გამხდარიყო ბანკებში ფულის შეტანის სტიმული, რაც, თავისთავად, პროგრესი იქნებოდა (არსებული საგადასახადო ნორმატივები ლიბერალურად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ნორმალური ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის). ამ პროგრესის გამო მიზანშეწონილია საგადასახადო კომპრომისები.

ახლა კი იმ წინააღმდეგობების შესახებ, რომლებიც თან ახლავს მრავალვალუტიანობის ლეგალიზების პროცესს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ დაგვანებებს – შიშს გამოთქვამენ

ოფიციალური ექსპერტები. კითხვა, თუ კონკრეტულად რატომ, უპასუხოდ რჩება. IMF-ს რეკომენდაციების გაცემაც შეუძლია და დასაბუთებული კონტრარგუმენტების მოსმენაც. მაგრამ ეს – ზოგადად და არავითარ შემთხვევაში – საქართველოში. გავიმეორებთ ზემოთ თქმულ მეტაფორას: საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს მთავრობის ურთიერთობა მკაცრი გუვერნანტისა და ცუდი ბავშვის ურთიერთობას დაემსგავსა: თუ ესა და ეს ზუსტად ამ დროს არ გააკეთე, ჩემგან სესხს ვერ მიიღებ.... თუმცა, ეს უკვე შედეგია, საკმაო ხნის ურთიერთობის ლოგიკური შედეგი. ხშირად ისეც ხდება, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს, თუ ვკითხულობთ, ისევ ჩვენს საზიანოდ ვგებულობთ. როგორც უკანასკნელს ხანს გაცემული რეკომენდაციებიდან ირკვევა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ არის მრავალვალუტიანობის წინააღმდეგი, როცა ამის აუცილებლობას არსებული პირობები (ჰიპერინფლაცია) მოითხოვს. პირიქით, ურჩევს მთავრობას, არ წავიდეს არაფრისმომტან „დეკრეტულ“ ზომებზე.

აუცილებელია თუ არა იმ სახელმწიფოების თანხმობა, ვისი ვალუტის ლეგალიზაციასაც ვახდენთ? ამის თაობაზე მხოლოდ ეჭვს გამოთქვამენ სპეციალისტები, მაგრამ არსებობს მრავალი ქვეყნის გამოცდილება (განვითარებადი ქვეყნები, ევროპის ზოგიერთი, პატარა ქვეყანა), რომელ-ზედაც, ალბათ, მომავალში ვისაუბრებთ.

და ბოლოს, უცხოური ვალუტის, მათ შორის, რუსული რუბლის ლეგალიზება არ ნიშნავს მანეთის ზონაში შესვლას. როცა არ ექვემდებარები სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკს, გაქვს საკუთარი ვალუტა, რომლის გამყარებასაც ემსახურება უცხოური ვალუტის ლეგალიზება, როცა თანდათანობით ეროვნულ ვალუტაში ითხოვ გადასახადს, ყოველგვარ ზონაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

P.S. კანონით ძლევამოსილი დოლარიც არ არის თვით ამერიკაში „ერთადერთი“ საგადასამხდელო საშუალება. იგი მხოლოდ ნდობითაა მყარი: IN GOD WE TRUST

ხათუნა მაისაშვილი, მიხეილ ადეიშვილი

„გარდამავალი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ქართული ცენტრის“ ფორმალურად დაფუძნება და ფუნქციონირება ვერ მოვახერხე, თუმცა ჩანაფიქრი არ იყო ურიგო, და რამდენიმე ნაშრომიც შემორჩა იმდროინდელი. ხათუნას ვესაუბრებოდი მაშინდელ აქტუალურ თემებზე და ხანდახან სტატიაც კი იწერებოდა.

7 დღე, 15-21 ნოემბერი, 1994

მეგონა, მეფეო, შენ ფხიზლობდი
შინაური ინვესტორი შეღავათებს მოითხოვს

სავაჭრო სამრეწველო, სატრასტო კომპანიების, კერძო ბანკების გაკოტრება-გაქცევის შემდეგ, მეანაბრეები – მათი რიცხვი, როგორც ამბობენ, ორმოცდაათ ათასს შეადგენს – და მთავრობა – იგი ერთადერთია – პირისპირ აღმოჩნდნენ.

მეანაბრეები – სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით;

მთავრობა – პილატესეული მცდელობებით;

არსებულ სიტუაციაში მთავარია სამმხრივი პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვა. პასუხისმგებლობა კომპანიებისა და ბანკების, პასუხისმგებლობა მეანაბრეების და პასუხისმგებლობა მთავრობის.

გასაგებია, რომ კომპანიებმა და ბანკებმა მთელი თავიანთი მატერიალური ქონებით უნდა აგონ პასუხი. ქონების კონფისკაციამდეც კი, რასაც არსებული კანონმდებლობაც ითვალისწინებს.

მეანაბრეებმა თავიანთი გულუბრყვილობის, დაუდევრობისა თუ უცოდინარობის (იქნება არაინფორმირებულობის?!) გამო (რასაც დაინტერესებული პირები და ცინიკოსები არსებული სიტუაციის ლამის ერთ-ერთ უპირველეს გამომწვევ მიზეზად მიიჩნევენ) უკვე აგეს პასუხი – დიდი მატერიალური ზარალით და უფრო დიდი ფსიქიკური სტრესით, მიუხედავად იმისა, როდის დაუბრუნებათ მათ თავიანთი ფული, ეს ხალხი უკვე დაზარალდა.

მოქალაქეთა ერთობ რისკიანი გადაწყვეტილება, მიენდოთ სავალუტო დანაზოგები „აჩების“, „გზების“, “კაპიტალინვესტებისა“ და სხვათათვის, მთავრობისადმი, სისტემატისადმი ნდობამაც განაპირობა - იმ კახელი გლეხისა არ იყოს, ცხენი რომ საბალახოდ გაუშვა და თვითონ დაიძინა, მეფე ერეკლეს იმედად: მეგონა, მეფეო, შენ ფხიზლობდიო...

უნდა დაჯარიმდეს თუ არა მესამე მხარე – მთავრობა?

მინისტრის კაბინეტის 9 ნოემბრის სხდომაზე არაერთხელ აღინიშნა ხაზგასმით, რომ დღეს საქართველოში ამ მხრივ საკანონმდებლო ვაკუუმია, და რომ მთავრობამ უმთავრესად მორალური პასუხისმგებლობა უნდა იკისროს. მაგრამ ისიც ნათელია, რომ კანონის არარსებობის გამო პასუხისმგებლობა კონკრეტულ უწყებებს უნდა დაეკისროთ – უპირველესად ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებსა და პარლამენტის მუდმივმოქმედ კომისიებს, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში გულმშვიდად შესქცეროდნენ კერძო კომპანიებისა და ბანკების აღზევებასა და დაცემას. ხოლო, რაც შეეხება პასუხისმგებლობის ხარისხსა და კატეგორიას, ჩვენის აზრით, გაცილებით მართებულია საუბარი მთავრობის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე და არა იმდენად იურიდიულსა და მორალურზე, მთავრობას მართებდა გამოეჩინა პოლიტიკური ალღო და გაეკეთებინა შექმნილი სიტუაციის კომპეტენტური პოლიტიკური ანალიზი და პროგნოზი, დრო ამისათვის მას საკმაოდ ჰქონდა.

მითუმეტეს, რომ მოსალოდნელ შედეგებზე არაერთხელ მიუთითებდნენ, მათ შორის, „7 დღის“ ფურცლებიდანაც. დღეს, როცა პრემიერისა და ვიცე-პრემიერების გამოსვლებში სჭარბობს ადმინისტრაციულ-ბრძანებითი ფრაზეოლოგია: „მიეთითოს, ებრძანოს, დაისაჯოს“ – ნათელი ხდება, რომ ისინი მზად არ არიან, იკისრონ პოლიტიკური პასუხისმგებლობა, კიდეც რომ გაიცნობიერონ, რას ნიშნავს იგი.

საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ ახლა დაინტერესდა, როგორ ხდება ანალოგიური პრობლემების გადაჭრა სხვა, ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში, დაინტერესდნენ კანონით კოტრობის შესახებ, მთავრობის პასუხისმგებლობით, მეანაბრეთა, დეპოზიტორთა დაცვის მექანიზმით.

FSLIC – სადაზღვევო კომპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში. გაკოტრდა 1989 წელს. მთავრობამ ისესხა ასი მილიარდი დოლარი FSLIC -ათვის გადასაცემად, მასში შემავალი ორგანიზაციების საკომპენსაციოდ.

FDIC, ბანკების სადაზღვევო კომპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბანკები, რომლებიც FDIC-ში აზღვევენ თავიანთ ქონებას, იხდიან პირველად გადასახადს კორპორაციის სასარგებლოდ, რითაც ასი ათასი დოლარით ავტომატურად დაზღვეულია ყოველი დეპოზიტორი. 1984-87 წლებში ამერიკაში გაკოტრდა 130 ბანკი, რისთვისაც FDIC სადაზღვევო კომპენსაციის სახით თითქმის 7 მილიარდი დოლარი გადაიხადა.

ამასთანავე, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1934 წლიდან არსებობს

ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების საგანგებო კომისია. იმ ფირმებისა და კომპანიებისაგან, რომლებიც უშვებენ აქციებსა და ფასიან ქაღალდებს, იგი მოითხოვს, რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია კომისიას თავიანთი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, კომისია არეგულირებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და ვაჭრობას.

რუსეთში უკვე შეიქმნა კოტრობის ფედერალური სააგენტო.

ის საბუთები, რომლებსაც ქართველი მეანაბრეები იღებდნენ კომპანიებისა და ბანკებისაგან, ფაქტობრივად, წარმოადგენდა ობლიგაციას (bond), რომელიც არ იხმარება თავისუფალ მიმოქცევაში; ხდებოდა სერტიფიკატის, რომელიც, აგრეთვე ობლიგაციის ნაირსახეობას წარმოადგენდა, ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი ავტოკოტირება და ამას სრულიად გულგრილად შესცქეროდნენ ისინი, ვისი მხრიდანაც უნდა ყოფილიყო ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ვისაც თანხმობა უნდა მიეცა მათ გამოშვებაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიისა და მის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდის უკან სათანადო აქტივები იდგებოდა; ეს პროცესი სახელმწიფოს უნდა ერეგულირებინა. არ ჰქონდა სათანადო ორგანო? – უნდა შეექმნა. ვერ შექმნიდა – მაშინ უნდა აეკრძალა.

თუმცა ეს ყველაფერი წარსულია. მთავარია მომავალი. თუ ეს პროცესი არ დასტაბილურდება, არ მოწესრიგდება, რეალურად შეიქმნება საშიშროება, რომ არც შიდა და არც გარე ინვესტორი აღარ დაბანდებს საქართველოში საკუთარ კაპიტალს. საქართველოს ხელისუფლება ხშირად საუბრობდა (და, ალბათ, უფრო ნაკლებს აკეთებდა) უცხოელი ინვესტორის ინტერესებსა და მათი დაცვის შესახებ. საკუთარი, ნამდვილი, შიდა ინვესტორი მან ბედის ანაბარად მიატოვა. თუ მთავრობას სურს, აღადგინოს შიდა და გარე ინვესტორის ელემენტარული ნდობა მისდამი, მან ეს საკითხი უნდა მოაწესრიგოს. თანაც - მკაცრად შეზღუდულ ვადებში.

ახლა კი, რაც შეეხება პასუხისმგელობის ზომასა და ფორმას – ვინ რა უნდა აკეთოს?

თუ სათანადო უფლებებით აღჭურვილი კომისია დაასკვნის, რომ გაკოტრებული კომპანიის უკან მხოლოდ თაღლითები დგანან, ისინი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ, ხოლო თუ კომისია მიიჩნევს, რომ არსებობს გარკვეული შანსი, რათა კომპანიამ თავისი მეანაბრეები დააკმაყოფილოს, მას უნდა მიეცეს ამის შესაძლებლობა, უნდა აღროვონ, თვითონ გაასწოროს ანგარიში მეანაბრეებთან.

ეს უკანასკნელნი კი, რომელთაც ყველაზე მეტად მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ, უნდა ზრუნავდნენ, ერთის მხრივ, თვითორგანიზაციასა

და თვითქმედებაზე, მეორე მხრივ, უნდა უყენებდნენ მოთხოვნებს მთავრობას.

ამ ბოლო დროს ერთობ პოპულარულია აზრი, „გაკოტრებულთა“ კორპორაციების შექმნის შესახებ, ეს არ არის პანაცეა. გაკოტრებულ მეანაბრეთა შორის ყველას არ აღმოაჩნდება იმის უნარი და ძალა, მით უმეტეს, ასეთ გაურკვეველ სასტარტო პირობებში, როცა არ არის განსაზღვრული არც საწესდებო კაპიტალი და ასევე გაურკვეველია, სად და როგორ მოხდება ამ ჯერჯერობით არარსებული ფულის დაბანდება, წარმატებულად გაართვას თავი კორპორაციის საქმიანობას და კიდევ ერთხელ არ გაკოტრდეს. იმ კორპორაციების, რომლებიც პროფესიონალთა ხელში აღმოჩნდებიან (არ არის აუცილებელი, მის მმართველ სტრუქტურაში მხოლოდ მეანაბრეები იყვნენ, მათ შეუძლიათ და, ალბათ, უფრო მიზანშეწონილია პროფესიონალების მოწვევა საქმის ასაწყობად). საწესდებო კაპიტალის ფონდის შევსება შეიძლება მოხდეს სესხით, ხელშემწყობი რეჟიმის შექმნით, ამის შესახებ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზეც იყო საუბარი, მაგრამ ასევე შესაძლებელია, თუმცა ამის შესახებ არავინ არაფერს ამბობს, საპრივატიზაციო ქონების გადაცემა ამ კორპორაციებისათვის გამოსყიდვის პირობით.

მაგრამ რა ქმნას იმ ხალხმა, ვისაც მოცდა, უბრალოდ, არ შეუძლია? სოციალური სტაბილიზაციის მიღწევის მიზნით, მთავრობამ ხალხს უნდა დაუბრუნოს რაღაც განსაზღვრული თანხა – ვთქვათ – ას-ასი დოლარი თითო მეანაბრეს, რომელიც მთავრობამ უნდა ისესხოს, შეეცადოს ისესხოს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან. ეს ღონისძიება გადაუდებელ კატეგორიას განეკუთვნება.

როგორც აღვნიშნეთ, მთავარია პასუხისმგებლობის ფორმებისა და მიდგომების დივერსიფიცირება, რასაც ალბათ საგანგებო სამთავრობო კომისია აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას.

მიხეილ ადეიშვილი,
გარდამავალი ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების ქართული ცენტრი
ხათუნა მაისაშვილი

1997

ეს სტატია კონფერენციამდე ერთი კვირით ადრე გამოქვეყნდა. მის შინაარსზე ტექსტიდან შეიტყობთ. კონფერენციის იდეა კი 1996 წლის შემოდგომაზე დაიბადა, რომლის განხორციელება არცთუ იოლი საქმე იყო. საბედნიეროდ, იმ ზამთარს გერმანიაში მომიწია მივლინება. ტრანსპორტის მინისტრ მერაბ ადეიშვილთან შეთანხმებით, გერმანიიდან ბრიუსელში გავემგზავრე ევროკავშირის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისარიატის მაღალჩინოსანთან იდეის გაცნობისა და მხარდაჭერის მიზნით. ყველაფერი კარგად მოგვარდა, მივიღე თანამშრომლობის (მათ შორის - დაფინანსების) დაპირება, რაც ფაქტობრივად იდეის განხორციელების გარანტია იყო. კონფერენციას წინ უძღოდა დიდი სამუშაო, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, კერძოდ აღსანიშნავია მიხეილ უკლებას წვლილი. თუ არ ვცდები, ეს იყო პოსტსაბჭოთა საქართველოში პირველი მინისტერიალი. კონფერენცია წარმატებით ჩატარდა. შეიქმნა და გავრცელდა შემაჯამებელი დოკუმენტი. მქონდა სასიამოვნო განცდა იმისა, რომ შესაძლებელია, აქტიურად მონაწილეობდე „დიდ პოლიტიკაში“ კულისებიდან, როგორც კონფერენციის გახსნაზე მოსულმა ზურაბ ჟვანიამ არცთუ ხუმრობით მითხრა.

7 დღე, 28-31 მარტი, 1997, #14

საქართველო-დერეფანი თუ საქართველო-არეალი?

8-9 აპრილის საქართველო იდეების დერეფნად იქცევა.

საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და მოწვევით, ევროკომისიის მხარდაჭერით, თბილისში ერთმანეთს შეხვდებიან BSEC-ისა და TRACECA-ს (სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-შუა აზია) მონაწილე ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრები ან მათი წარმომადგენლები.

თბილისის შეხვედრა უპრეცედენტო იქნება იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ჯერ არ უმასპინძლია ასეთი მაღალი დონისა და

მნიშვნელობის შეხვედრისათვის. კონფერენციის დღის წესრიგშია: ტრასეკას პრეზენტაცია და ევროპის სატრანსპორტო ქსელები; BSEC-ის ქვეყნები პან-ევროპულ პრიორიტეტულ დერეფნებში და მათი სატრანსპორტო პროგრამები; ტრასეკასა და BSEC-ის სხვა შემოთავაზებული დერეფნების მიერთების საკითხი ევროპის პრიორიტეტულ დერეფნებთან; სატრანსპორტო ინფრასტუქტურის პროექტები და მათი დაფინანსების შესაძლებლობები, თანამშრომლობის სხვა საკითხები. მონაწილეობენ: მსხვილი საერთაშორისო და სატრანსპორტო ორგანიზაციები, ევროკომისია და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები. მოსალოდნელია ექსპერტების ჩამოსვლა განვითარებული ქვეყნებიდან: გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და სხვა.

პან-ევროპული ინტერესები და საქართველო

კონფერენცია წარმატებულად ჩაითვლება (საქართველოსათვის) იმ შემთხვევაში, თუ იგი - თავის პარტნიორებთან ერთად - ერთ პრაქტიკულ ნაბიჯს მაინც გადადგამს წინ ტრასეკას რთულ პოლიტიკურ სურათსა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ჩასაწერად. ე.ი. თუ კონფერენცია საბოლოო დოკუმენტით მიმართავს მესამე პან-ევროპულ სატრანსპორტო კონფერენციას, რომელიც წელს ჰელსინკიში გაიმართება, აღიაროს ტრასევკა და საქართველოზე გამავალი სხვა დერეფნები პან-ევროპულ პრიორიტეტულ სატრანსპორტო დერეფნებად.

რისთვის სჭირდებათ სატრანსპორტო დერეფნები?

პასუხი მარტივია: პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისათვის, რომელიც, თავისთავად, განაპირობებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაღალ დონეს. 90-იან წლებამდე პოლიტიკური რეჟიმებით გამიჯნული ევროპა ერთიან სისტემად ჩამოყალიბებისაკენ ისწრაფვის - ამ მიზნისაკენ იგი სატრანსპორტო დერეფნებითაც მიემართება.

1991 წელს პრაღის პირველმა პან-ევროპულმა კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია, რომელშიც ჩამოყალიბდა სრულიად ევროპული სატრანსპორტო პოლიტიკის ორიენტირები.

1994 წლის კრეტის მეორე კონფერენციამ, ტრანსპორტის მინისტრების ევროპული კონფერენციის (ECMIT), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UN/ECE), საეთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (მსოფლიო

ბანკის, ევროპის განვითარებისა და რეკონსტუქციის ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის) წინადადებებსა და გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, განსაზღვრა ინდიკატური გეგმა პან-ევროპული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისთვის, თავად ინფრასტრუქტურა და ფინანსები, განვითარების პერსპექტივის სამი დონე, - პრიორიტეტული სატრანსპორტო დერეფნები და მათი არჩევის კრიტერიუმები.

ცხრა პრიორიტეტული დერეფანი ასე გამოიყურება:

ევროპის პრიორიტეტული სატრანსპორტო დერეფნები
(კრეტის II პან-ევროპული კონფერენცია, 1994,14-16 მარტი):

I. ტალინი - რიგა - კაუნასი - ვარშავა
+ განშტოება IA: რიგა -კალინინგრადი - გდანსკი.

II. ბერლინი - ვარშავა - მინსკი - მოსკოვი. 2710 მლნ. ეკიუ: 2010 წლისათვის.

III. ბერლინი - ვროცლავი - კატოვიცე - ლვოვი -კიევი. 3410 მლნ. ეკიუ. 2010 წლისათვის
+ განშტოება IIIA: დრეზდენი - ვროცლავი

IV. დრეზდენი - პრაღა - ბრატისლავა - დიორი - ბუდაპეშტი - არადი - კრაიოვა - სოფია - პლოვდივი - სტამბოლი; 9820 მლნ. ეკიუ: 2010 წლისათვის
+ განშტოება IVA: ნიუნბერგი - პრაღა + განშტოება IVB: ვენა - დიორი + განშტოება IVC: არადი - ბუქარესტი - კონსტანცა + განშტოება IVD: სოფია - თესალონიკი.

V. ტრიესტე/კოპერი - პოსტოინა - ლუბლიანა - ბუდაპეშტი - უჟგოროდი - ლვოვი 6270 მლნ. ეკიუ 2010 წლისთვის.
+ განშტოება VA: ბრატისლავა - ჟილინა - კოშიცე-უჟგოროდი.
+ განშტოება VB: რიეკა - პოსტოინა.

VI. გდანსკი - კატოვიცე - ჟილინა; 3300 მლნ. ეკიუ; 2010 წლისთვის +განშტოება VIA: თურუნ-პოზმანი.

VII. დუნაი: დუნაი და ყველა ის პორტი, რომლებიც მდებარეობს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. ღირებულება დაუდგენელია. 2010 წლისთვის.

VIII. დურესი - ტირანა - სკოპიე - სოფია - პლოვდივი-ბურგასი - ვარნა. მთლიანი ღირებულება დაუდგენელია. 2003-2010 წლისათვის.

IX. პლოვდივი - ბუქარესტი - კიშინიოვი - ლიუბაშევკა - კიევი - ვიტებსკი - ფსკოვი - სანკტ - პეტერბურგი - ჰელსინკი. მთელი ღირებულება

დაუდგენელია. 2010 წლისთვის.

+ განშტოება IXA: ოდესა - ლიუბაშევკა

+ განშტოება IXB: კიევი - მინსკი - ვილნიუსი - კაუნასი-კლაიპედა.

+ განშტოება IXC: კიევი - მოსკოვი

+ განშტოება IXD: კაუნასი - კალინინგრადი.

დერეფნების შერჩევის ზოგადი კრიტერიუმები კრეტის კონფერენციამ შემდეგნაირად განსაზღვრა:

თითოეულ მონაწილე ქვეყანას აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ერთი დერეფანი მაინც უნდა შეხებოდა;

პარალელური დერეფნები, რომლებიც შეასუსტებდა ერთურთის ეკონომიკურ მომგებიანობას, თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული;

დერეფნის პროექტს უნდა მოეაზრებინა განშტოებათა ქსელი.

როგორც ზოგადი წესი, თითოეული დერეფანი საერთაშორისო გადაზიდვების სულ მცირე, ათ პროცენტს უნდა ატარებდეს.

გეოპოლიტიკური კონიუქტურიდან გამომდინარე მეათე პრიორიტეტულ სატრანსპორტო დერეფნად აღიარების შანსი აქვს პროექტს, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე გაივლის.

დერეფნად აღიარება კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისთვის უკვე ერთგვარ გარანტიას ნიშნავს. მათი მხრიდან ინვესტიციების ჩადება ნაკლებად რისკიანია.

საქართველოს ჰელსინკიში. რა შანსი აქვს ტრასეკას, აღიარონ?

ჰელსინკის კონფერენცია დღის წესრიგში ევროპის სატრანსპორტო, კერძოდ, „დერეფნულ“ პოლიტიკაში მხოლოდ შესაძლო ცვლილებებს აყენებს.

რეალისტები და პესიმისტები ჰელსინკის კონფერენციისაგან ბევრს არას მოელიან. დერეფნის აღიარებული კონცეფციის გარდა, არსებობს სხვა კონცეპტუალური ტერმინიც - პან-ევროპული სატრანსპორტო არეალი (PETA), რომელიც ოთხ სივრცეს - არქტიკულ ევროპას, შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვისა და ადრიატიკული ზღვის აუზებს მოიცავს. არეალად აღიარება მხოლოდ შანსს ნიშნავს, რომელიც, შესაძლოა, შორეულ ან საშუალოვადიან პერსპექტივაში განხორციელდეს. უფრო მეტი კონკრეტიკა ამ ტერმინს არ ახლავს. ხოლო ის, რაც არაკონკრეტულია - ჯერჯერობით, განუხორციელებადია.

ოპტიმისტები და რეალისტები ტრასეკას პრეტენზიას, იარსებოს და აღიარონ, საკმაოდ საფუძვლიანად მიიჩნევენ. ტრასეკა შავი ზღვიდან უკრაინასა და ამიერკავკასიას გაივლის, შემდეგ შუა აზიის სახელმწიფოებს

და მონღოლეთში მთავრდება. ესე იგი, თითქმის სრულად მოიცავს ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეს, მისი ყოფილი სატელიტის - მონღოლეთის ჩათვლით. ტრასეკას აღიარების შემთხვევაში, კრეტის კონფერენციის პირველი პრინციპი (თითოეულ მონაწილე ქვეყანას ერთი დერეფანი მაინც უნდა შეეხოს) გავრცელდება არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაზე, არამედ მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეზე. უკვე აღიარებული სატრანსპორტო დერეფნები - ოთხი დერეფანი (IV, VII, VIII, IX)! - ბუნებრივად გაგრძელდება ტრასეკას სახით. რაც შეეხება ტვირთგადაზიდვების ინტენსივობას, ექსპერტთა წინასწარი გაანგარიშებით, ტრასეკაზე საერთაშორისო ტვირთების ორმოც პროცენტამდე იმოძრავებს.

ტრასეკას პროექტი უკვე გადის დეტალურ ტექნიკურ, ფინანსურ, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, მოდალურ ექსპერტიზას და ლეგალურ პროექტირებას.

დღეს არსებული 80 წინადადებიდან ყოველი დერეფნის სტატუსისათვის იბრძვის მაგრამ არც შესაბამისი რესურსები არსებობს ამისათვის და არც შესაბამისი დასაბუთება. მათი აღიარება კრეტული დერეფნების სტატუსით ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ როგორი იქნება ჰელსინკური დერეფნები? 80-დან 54 წინადადებას BSEC-ისა და TRACECA-ს ქვეყნები აყენებენ. მათგან 6 საქართველოს ეხება.

რამდენად ეწერება ტრასეკა პოლიტიკურ ინტერიერში?

ტრასეკა სრულიად შეესაბამება ევროგაერთიანების გლობალურ სტრატეგიას: მხარი დაუჭიროს მონაწილე რესპუბლიკების პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. გააძლიეროს მათი შესაძლებლობები ევროპისა და მსოფლიო ბაზარზე ჩასართველად, სატრანსპორტო დერეფნების მეშვეობით.

გაზარდოს რესპუბლიკების რეგიონს შიგნით თანამშრომლობა.

გამოიყენოს ტასისი, როგორც გარანტი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და კერძო ინვესტორების მოსამზრობად.

დააკავშიროს ტრასეკა ტრანსევროპულ ქსელებთან.

დოსიე

- 1993 წლის მაისში ბრიუსელის დეკლარაციით შუა აზიის ხუთმა ქვეყანამ - ყაზახეთმა, უზბეკეთმა, თურქმენეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა და ამიერკავკასიის სამმა რესპუბლიკამ - აზერბაიჯანმა, საქართველომ და სომხეთმა დაადასტურეს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ორგანიზაციის აქტუალობა და სთხოვეს ევროგაერთიანებას

შესაბამისი რეგიონული პროგრამების დამუშავება.

- ევროგაერთიანების გადაწყვეტილებით, 1995 წლის დასასრულიდან დაწყებულია ტრასეკას რეგიონული პროგრამის I ეტაპის დამუშავება. იგი ძირითადად დამთავრდება 1997 წელს. პროგრამის პროექტები ითვალისწინებს:

რეკომენდაციების მომზადებას საკანონმდებლო, საბაჟო და ტვირთების ექსპედირების საკითხებზე;

ტვირთგადაზიდვების პროგნოზის დამუშავებას;

კონკრეტულ რეკომენდაციების სარკინიგზო ტრანსპორტისათვის;

სატვირთო, საავტომობილო მომსახურების გაუმჯობესებას;

არსებული სარკინიგზო და საავტომობილო გზების რეაბილიტაციას და მათ დაახლოებას საერთაშორისო ნორმების მოთხოვნასთან.

1996 წლის მაისში საქართველოს, უზბეკეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას აღნიშნულ რესპუბლიკებს შორის სატრანზიტო გადაზიდვების რეგულირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

- 1996 წლის სექტემბერში ამ შეთანხმებას შეუერთდა ყაზახეთი.

- 1996 წელს ტრასეკას პროგრამას შეუერთდნენ უკრაინა და ავღანეთი.

- 1996 წლის დეკემბერში უკრაინას, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ხელი მოაწერა სამთავრობათშორისო შეთანხმებას ევრაზიის დერეფანში თანამშრომლობის შესახებ.

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტით მოხდა თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქცია, დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში.

- სარეკონსტრუქციო და სარეაბილიტაციო სამუშაოები EBRD-ისა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, საქართველოს გარდა, ტრასეკას მონაწილე სხვა სახელმწიფოებშიც მიმდინარეობს.

ტრასეკას აღიარება და რეალიზაცია თავისთავად გამოიწვევს საქართველოს ჩართვას ევროპულ პროცესებში რუსეთისაგან დამოუკიდებლად.

მით უმეტეს, გააძლიერებს უკრაინას, რომელიც უკვე არის ნაწილი პანევროპული დერეფნებისა და არეალისა, მით უმეტეს გახდის რუსეთისათვის მოუწყვლადს უკრაინა-საქართველო-აზერბაიჯანის სამკუთხედს, რომელიც ისედაც იწვევს რუსეთის გაღიზიანებას.

ტრასეკა მხოლოდ მშვიდობიან ამიერკავკასიაზე გაივლის. მშვიდობა და სტაბილურობა ამიერკავკასიაში კიშედეგია ამ რეგიონში რუსეთის ინტერესების დაბალანსებისა: ბალანსი რუსეთ-თურქეთის ინტერესების,

ბალანსი რუსეთისა და დასავლეთის ინტერესების, რომელთანაც რუსეთს ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა აკავშირებს.

კრეტის კონფერენციის დებულებებით, პარალელური დერეფნების შექმნა - ეკონომიკური თვალსაზრისით - გაუმართლებელია. სწორედ ამიტომ რუსეთის ერთ-ერთი ალტერნატიული წინადადება ტრასეკას პარალელური დერეფნის პროექტისა, რომელიც, ამიერკავკასიის ნაცვლად, რუსეთზე გავლით მიუერთდება შუა აზიას - უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. გარდა პარალელიზმის დაუშვებლობისა, წინასწარი ექსპერტული მონაცემებით, ეს პროექტი ტრასეკაზე ძვირი და ეკონომიკურად ნაკლებად მომგებიანი იქნება. რუსეთი იმედს ამყარებს, ვოლგა-დონის არხისა და აზოვის ზღვის მეშვეობით, დააკავშიროს ევროპა შუა აზიასთან. მაგრამ აქ, ეკონომიკურის გარდა, თავს იჩენს, კლიმატური ხასიათის პრობლემები.

ჩრდილოეთ ევროპის, რუსეთის, ამიერკავკასიისა და აზიის ინტეგრაცია შესაძლებელი იქნება ტრასეკაზე არანაკლები პოტენციალის მქონე ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულების სატრანსპორტო დერეფნის ჩამოყალიბებით. დღესდღეობით ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს საქართველოდან ჩრდილოეთსა და სამხრეთისაკენ მიმართული ტრასები. საქართველოს შეუძლია, შეასრულოს ამ მიმართულებების ინტეგრაცია ჩრდილოეთ-სამხრეთის შემაერთებელ დერეფანში, მისი დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის გამოყენებით. პერსპექტივის კონცეპტუალურად განსხვავებული ხედვები არსებობს. გადამწყვეტი როლი, ჯერჯერობით პოლიტიკურ ასპექტს მიენიჭება. საქართველოს - დასჭირდება მოქნილი პოლიტიკის განხორციელება არსებული პოტენციალის საკუთარი ინტერესებისამებრ წარსამართად. ამ პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში ძირითადი სამოქმედო მიმართულებები ასეთ სახეს შეიძენს:

აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის აღდგენა;

რუსეთი-საქართველო-თურქეთი საავტომობილო სატრანსპორტო მარშრუტის გავითარება;

ახალციხე-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა;

ჩრდილოეთ კავკასიაზე გამავალი საქართველოს სამხედრო გზის სრული დატვირთვით ამოქმედება, რაც კავკასიის შიდა ინტეგრაციის ერთ-ერთი ფაქტორი იქნება. აგრეთვე, აზერბაიჯან-ირანის სარკინიგზო ხაზის ამოქმედება, რაც მთიან ყარაბაღში კონფლიქტის გამოა შეფერხებული.

ჩრდილოეთ-სამხრეთი მიმართულების დერეფნის განვითარების

გრძელვადიან პერსპექტივას ქმნის საქართველოს მონაწილეობა გაეროს ეკონომიკური კომისიის პროექტებში TEM და TER.

მიხეილ ადეიშვილი,
ტრანსპორტის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა
დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ხათუნა მაისაშვილი

ევროკავშირის ინიცირებული და შევარდნაძის მთავრობისდროინდელი უმთავრესი პროპაგანდისტური მეგაპროექტის - ტრასეკას გეოპოლიტიკური შეფასება. ლიბერტარიანულმა მთავრობამ ისე მიივიწყა ეს პოლიტიკა, რომ დღეს გვიხდება დიდი ძალისხმევა, როგორმე ჩავერთოთ ჩინეთის მიერ წამოწყებულ აბრეშუმის გზის ახალ - „one balt-one road“ - პროექტში. ირაკლი მჭედლიშვილი ახლაც მუშაობს გეოპოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე. ეს სტატია ჩვენი ქუჩაში შეხვედრების და აზრთა გაზიარების მოკრძალებული შედეგია, თუმცა საკმაოდ ინფორმატიული. ქვემოთ ხსენებული ტრასეკა-ბისეკის თბილისის კონფერენციის იდეის ავტორი და ერთ-ერთი ორგანიზატორი თავად ვიყავი, ტრანსპორტის მინისტრ მერაბ ადეიშვილთან ერთად. ვმონაწილეობდი ბრიუსელის, პარიზის, კიევის, ბანკოკის, ქსიანის და სხვ. სატრანსპორტო კონფერენციებში. თემა აქტუალურია ანაკლიის პორტის მშენებლობის კონტექსტშიც.

საქართველოს რესპუბლიკა, 5.09.1997

მაგისტრალი - საქართველო საერთაშორისო სატრანსპორტო ქსელებში

გასულ საუკუნის ბოლოს, მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე, შეიქმნა აბრეშუმის გზაზე სარკინიგზო ხაზის ამუშავების პერსპექტივა. ამ მოვლენას დიდი გამოხმაურება ჰქონდა მაშინდელ მსოფლიოში. ახალ სარკინიგზო ხაზს, როგორც მომავალი საუკუნის მშენებლობას, მიუძღვნა რომანი „კლოდიუს ბომბორნაკი“ ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ჟიულ ვერნმაც. იგი გამოიცა 1892 წელს და აღწერს სარკინიგზო მოგზაურობას თბილისიდან პეკინამდე.

ბუნებრივია, მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების პროცესები ყოველთვის საღი აზრისა და ეკონომიკის ეფექტიანად განვითარების პრიორიტეტებით არ იმართება. კომუნისტურმა რევოლუციამაც მალე დაუსვა წერტილი აბრეშუმის გზის ხელახალ აღორძინებას....

სსრ კავშირის დეზინტეგრაციის შედეგად შეიქმნა გლობალური ეკონომიკური პროცესების განვითარების ახალი პერსპექტივები. კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა ამ რეგიონების მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ჩართვის

შესაძლებლობას იძლევა. ახალი რეალობა შესაძლებელს ხდის ეფექტიანად ავითვისოთ რესურსები და შევქმნათ ახალი სახმელეთო სატრანსპორტო მარშრუტები, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებს სხვადასხვა ეკონომიკურ რეგიონებს. მაგრამ რესპუბლიკებს იმპერიისაგან მემკვიდრეობით ერგოთ ცალმხრივად განვითარებული კომუნიკაციური სისტემები. მათი რესტრუქტურიზაცია და რეორგანიზაცია მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს და საერთაშორისო ძალისხმევას საჭიროებს.

ახალი მარშრუტების დაგეგმვასა და ინვესტირებაზე მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია და საფინანსო ინსტიტუტი მუშაობს. მათ შორის: ევროკომისია, აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისია, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, ევროპის ტრანსპორტის მინისტრთა კონფერენცია, ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, გზების სარეთაშორისო ფედერაცია, საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის კავშირი და სხვა. მათ ერთმანეთთან მჭიდრო კოორდინაცია, მაგრამ დაფინანსების სხვადასხვა წყაროები აქვთ და მარშრუტების შერჩევისას ეფუძნებიან განსხვავებულ მოსაზრებებს. შესაბამისად, განხსვავებულია მათი სტრატეგიაც.

პრინციპი, რომლის მიხედვითაც ახალი სატრანსპორტო ქსელი იგეგმება, ასეთია: პანევროპული კორიდორების სისტემის თითოეულ ახალ მონაწილე ქვეყანაზე უნდა გავიდეს ერთი დერეფანი მაინც. ამასთან, უნდა გამოირიცხოს პარალელები, რათა არ დაეცეს ინვესტიციების ეფექტიანობა. ახალ დერეფანს უნდა გააჩნდეს განშტოებათა ქსელი; სატრანზიტო გადაზიდვების წილი დერეფანში სულ მცირე 10 პროცენტს მაინც უნდა შეადგენდეს.

ნავარაუდევია, რომ პანევროპული კორიდორების სისტემა მომიჯნავე რაიონებს – აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროს, თურქეთს, საქართველოს, არქტიკული ევროპის ნაწილს - დაუკავშირდება პანევროპული სატრანსპორტო არეალების საშუალებით. გამოყოფენ ბარენცის ევრო-არქტიკულ, შავი ზღვის, ადრიატიკის ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის პანევროპულ სატრანსპორტო არელს. მან უნდა უზრუნველყოს ევროპის ეფექტიანი წვდომა მისი ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან რეგიონებთან.

ევროკომისიის ინიციატივით შეიქმნა ტრასეკას პროგრამა (სატრანსპორტო კორიდორი „ევროკა-კავკასია-აზია“). მან კოორდინაცია უნდა გაუწიოს კავკასიის გავლით ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო კორიდორის განვითარებასთან დაკავშირებულ ძალისხმევას. პირველი შეხვედრა პროგრამის ჩარჩოებში მოეწყო 1993

წელს ბრიუსელში კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

1995 წლის მაისში ალმა-ატაში და ამავე წლის ოქტომბერში ვენაში მოწყობილ სამუშაო ჯგუფის პირველ და მეორე შეხვედრებზე განისაზღვრა სხვადასხვა პროექტებისთვის საჭირო დახმარებათა დონე, ფინანსური ინსტიტუტები და შემკვეთები, მათ შორის მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვთიარების ბანკი.

ახალი მარშრუტების ათვისებით არის დაკავებული აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისია. მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანია ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარება აზიაში, ასევე კავშირის უზრუნველყოფა აზიასა და ევროპას შორის. ორგანიზაციის მიერ მუშავდება აზიის სახმელეთო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების ტრანსაზიური რკინიგზისა და ავტომაგისტრალების პროექტები. ორგანიზაციას ფინანსურ დახმარებას უწევენ აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ.

მარშრუტის შერჩევისას მხედველობაში მიიღება გზის სიგრძე, მისი გამტარუნარიანობა, საგზაო ინფრასტრუქტურა. გზების უსაფრთხოება ქვეყნების საბაჟო, საგასახადო და სატარიფო სისტემები, რომლებიც გავლენას ახდენენ ტრანსპორტის მოძრაობაზე და ა.შ.

ქვეყნებს შორის, რომლებზეც შესაძლო მარშრუტებმა უნდა გაიაროს, ერთგვარი შეჯიბრებაა, რადგან ეს ნიშნავს: ინვესტიციებს სატრანსპორტო ინსფრასტრუქტურის განვითარებისათვის, ახალ სამუშაო ადგილებს, შემოსავლებს სატრანზიტო მომსახურებიდან, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ გამოცოცხლებას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 9 კორიდორის ინვესტიციების საჭიროება მომდევნო 10-15 წლის განმავლობაში შეფასებულია 50-70 მილიარდი ეკიუს ოდენობით.

ქვეყნები საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორებს განიხილავენ როგორც საკუთარი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ერთგვარ გარანტიას, რადგან ისინი საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ობიექტებად გადაქცევის საშუალებას იძლევა.

მეტოქე მხარეები მარშრუტებისთვის წინასწარ არჩევენ ისეთ საწყის პირობებს, რომლებიც უფრო მომგებიანია. მაგალითად, ზოგი მონაცემის მიხედვით, ცენტრალური აზია-ევროპის შემაერთებელი შესაძლო მარშრუტებიდან უმოკლესია საქართველო-აზერბაიჯანზე გამავალი კორიდორი; ტაშკენტიდან ბათუმამდე მონაკვეთის სიგრძეა 2050კმ, რუსეთზე გამავალი ტაშკენტი-ნოვოროსიისკის ტრასის სიგრძე კი 3558

კმ., ირან-თურქეთზე გამავალი გზა ტაშკენტიდან სტამბოლამდე 4985 კილომეტრია.

სატრანსპორტო მარშრუტებისათვის ბრძოლა უფრო ღია, დაუფარავ ხასიათს ატარებს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების დროს. ეს კარგად გამომჟღავნდა კასპიის ნავთობისა და მისი ტრანსპორტირების საკითხებთან დაკავშირებით. იმასაც კი გვეუბნებოდნენ, რომ საქართველომ უარი უნდა თქვას ნავთობის ტრანზიტზე....

საქართველოს გავლით საერთაშორისო სატრანსპორტო კორდიტორების ამუშავება დღეს ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებას პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს. იგი დააჩქარებს ქვეყნის ისაერთაშორისო ეკონომიკაში სწრაფ ინტეგრაციას. მაგრამ საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია სამხრეთის ქვეყნებისაკენ (თურქეთი, ირანი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები) მიმართული მარშრუტების განვითარება. შედეგად საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, შეუძლია გააძლიეროს თავისი პოზიციები არა მხოლოდ აღმოსავლეთ დასავლეთის მიმართულებით, არამედ ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებითაც. ამისთვის საქართველო ცდილობს, აქტიური პოზიცია დაიკავოს ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც დაინტერესებულები არიან ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარებით.

მიმდინარე წლის 8-9 აპრილს საქართველოს უმასპინძლა ტრასეკა-ბისეკის კონფერენციას ტრანსპორტის მინისტრების დონეზე მან დაადასტურა ტრასეკას პროექტის მიმართ დიდი ინტერესი, ასევე აღინიშნა, რომ ტრასეკა უნდა იყოს პანევროპული კორიდორების ლოგიკური გაგრძელება. თბილისის კონფერენციის შედეგები ასევე დაადასტურა კიევის შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო კონფერენციამაც.

მიუხედავად ამისა, პროცესი პანევროპულ სატრანსპორტო კორიდორებთან დაკავშირებით დრამატულად განვითარდა. აღმოჩნდა, რომ საქართველოზე არ ვრცელდება არა თუ პანევროპული სატრანსპორტო დერეფნების სისტემა, არამედ იგი არ ხვდება შავი ზღვის აუზის ქვეყანათა სატრანსპორტო არეალშიც. ბუნებრივია, ასეთი ვითარება დაასუტებდა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოზიციებს. საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება, რათა გეგმაში ცვლილებები მომხდარიყო და სოფიის, თბილისისა და კიევის კონფერენციების შედეგები დაფიქსირებულიყო ქ. ჰელსინკში მიმდინარე III პანევროპულ კონფერენციაზე. ბრიუსელში საქართველოს

ტრანსპორტის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთობლივი მოქმედების შედეგად ჰელსინკის კონფერენციაზე მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საქართველო შავი ზღვის პანევროპული სატრანსპორტო არეალის ჩარჩოებშია. საბოლოო რუკებზე ასევე აღინიშნება ტრასეკას კორიდორის ფოთი-ბაქოს მონაკვეთი. ეს ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა ევროკომისიის წევრმა ნეილ კინოკმა თავის წერილში საქართველოს ტრანსპორტის მინისტრისადმი.

მიუხედავად რთული კონკურენციისა, მიმდინარე წლის 19-20 ივნისს ბანგკოკში (ტაილანდი) გამართულ პოლიტიკურ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაზე აღინიშნა კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების დიდი დაინტერესება ტრასეკათი და მათ შორის თანამშრომლობის გაცხოველება პროგრამის ჩარჩოებში. ეს ტრასეკას პროგრამის წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

დღეისათვის, ორმხრივი ურთიერთობების საფუძველზე, ფოთის პორტიდან ამუშავებულია 15-ზე მეტი რეგულარული საბორნე და ფიდერული კონტეინერული ხაზები როტერდამის (ჰოლანდია), ანტვერპენის (ბელგია), ჯეო-ტაუროს და როვენას (იტალია), აშდოდის (ისრაელი), პირეის (საბერძნეთი), სტამბოლისა და ტრაპიზონის (თურქეთი), ბურგასის (ბურგარეთი), ილიჩოვსკის (უკრაინა), ნოვოროსიისკის (რუსეთი) ნავსადგურებთან. საქართველოს მონაწილეობს აგრეთვე გაეროს ეკონომიკური კომისიის პროექტებში „ტრანსევროპული ჩრდილო-სამხრეთული საავტომობილო მაგისტრალი“ და „ტრანსევროპული ჩრდილო-სამხრეთული სარკინიგზო მაგისტრალი“. ისინი ემსახურებიან დერეფნების განვითვარებას ჩრდილოეთ-სამხრეთი მიმართულებით. პროექტები მიმართულია ბალტიის, შავი, ადრიატიკის და ეგეოსის ზღვის რეგიონების შემაერთებელ თანამედროვე ავტომაგისტრალისა და სარკინიგზო ქსელის შექმნაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს სარკინიგზო ხაზს თბილისი-ყარსი, რომლის ამუშავებაც დაგეგმილია 2000 წლისთვის.

დღეს საქართველოს ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, არის რეზერვები, რომლებიც არ მოითხოვენ რაიმე განსაკუთრებულ ფინანსურ ინვესტიციებს. გამოცდილების ანალიზი გვკარნახობს, რომ ქართული მხარის მუშაობის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად გაზრდიდა სატრანსპორტო შესაძლებლობებზე არსებული ინფორმაციის უფრო ღრმა შესწავლა და ანალიზი, პროგნოზირებასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება, შესაძლო ტვირთგადაზიდვების წინასწარი შეფასება, სამომავალო სამუშაო ადგი-

ლების რაოდენობის გათვლა-გაანგარიშება, ტრანსპორტის ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასება და ა.შ. არამეორეხარისხოვანია რეგიონული ქვეყნების სატრანსპორტო შესაძლებლობებზე ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და სისტემატიზაცია, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მასალათა უკეთესად შესწავლა, რათა შესაძლებელი გახდეს მოლაპარაკებების დროს მიდგომების სისტემური გააზრება.

დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისი უწყებების დონეზე შიდაკავკასიური კოორდინაციის გაძლიერება მნიშვნელოვან მაკონკურირებელ ფონს შეუქმნიდა როგორც ჩრდიეთის, ისე სამხრეთის მარშრუტებს.

დავით ადეიშვილი,
საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;

ირაკლი მჭედლიშვილი,
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

2011

ამ წელს უკვე საქართველოს სოციალ-დემოკრატების პარტიის წევრის ამპლუაში ვჩნდები მედიაში. European.ge - არაოფიციალურად ჩვენი, სოცდეკების, ინტერნეტგამოცემაა, რომელიც დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს. თანამშრომლობა ენთუზიაზმით დავიწყე, თუმცა შემდეგ შენელდა...
სამწუხაროდ, სიღატაკე დღესაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს დაუძლეველი პრობლემა და სირცხვილია, რის შესახებაც მეტს უნდა ვლაპარაკობდეთ, ვიკვლევდეთ და, რაც მთავარია, ვზრუნავდეთ მის აღმოსაფხვრელად. გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან სიღატაკის დაძლევა აღიარებულია ნომერ პირველ მიზნად. სირცხვილი - ამ შემთხვევაში არ არის ემოციური ან ოდენ ინდივიდუალური მორალისთვის დამახასიათებელი ცნება, არამედ სრულიად პრაგმატული პოლიტიკური კატეგორიაა - ქვეყანას, რომელიც ესწრაფვის ევროპულ განვითარებას, უნდა სრცხვენოდეს თავისი მოქალაქეების სიღატაკის გამო.

European.ge / 29.03.2011

„ვაქციოთ სიღატაკე ისტორიად!“, ანუ საქართველოს სიღარიბის პროფილი

როგორია გაზომილი სიღარიბის დონე საქართველოში? რას გვეუბნება ამის შესახებ ოფიციალური სტატისტიკა? როგორ აფასებენ მას საერთაშორისო ინსტიტუტები? როგორია რეალური სურათი?

სიღარიბის დონის გასაზომად ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში გვთავაზობს მხოლოდ ფარდობით მაჩვენებლებს. კერძოდ, იმას, თუ მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს მედიანური

მოხმარების 40%-იან და 60%-იან ზღვრებს ქვემოთ. მაგალითად, 2008 წელს მოსახლეობის 9,5% მოიხმარდა მედიანური მოხმარების 40%-ზე ნაკლებს, ხოლო მედიანურის 60%-ზე ნაკლები მოხმარება ჰქონდა მოსახლეობის 22,7%-ს. (იხილეთ www.geostat.ge).

შევეცადოთ, „გავშიფროთ" ეს მაჩვენებლები. მედიანური – ანუ შუა სიდიდე – არ შეიძლება ცალსახად განისაზღვროს, თუ არ გაგავაჩნია კონკრეტული მონაცემები. თუ მედიანური მოხმარების ნაცვლად, ჩვენ გარკვეული დაშვებით ვიგულისხმებთ შინამეურნეობის 1 სულზე თვიურ ხარჯვას, ვნახავთ, რომ ეს მაჩვენებელი 2008 წელს შეადგენდა საშუალოდ 145,9 ლარს. აქედან, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის 9,5% თვეში მოიხმარდა 58,4 ლარზე ნაკლებს – ანუ დაახლოებით 1,15$-ზე ნაკლებს დღეში. მოსახლეობის 22,1% კი მოიხმარდა თვეში 87,6 ლარზე ნაკლებს, ანუ 1,7$-ზე ნაკლებს დღეში.* ეს შედეგები შეგვიძლია, შევადაროთ იმავე წელს საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს, რაც შეადგენდა 115,8 ლარს თვეში, ანუ დაახლოებით 2$ – დღეში. აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ 2008 წელს საარსებო მინიმუმი არ ჰქონდა ჩვენი მოსახლეობის 30% -ზე (1314 ათასი სული) მეტს. ეს მოსაზრება თანხვედრაშია გაეროს მონაცემებთან, რომელთა მიხედვითაც 2009 წელს საქართველოში ორ დოლარზე ნაკლებს მოიხმარდა მოსახლეობის 30,4%.

2008 წელს გაერომ განსაზღვრა საერთაშორისო აბსოლუტური სიღარიბის (სიღატაკის) ზღვარი, რომელიც შეადგენს $ 1,25 (2005 წლის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით). ამ კრიტერიუმით სიღატაკის ზღვარს ქვემოთ საქართველოში ცხოვრობდა მოსახლეობის 13,4 % (2009 წლის ადამიანური განვითარების მოხსენება HD Report). იმავე კრიტერიუმით, აზერბაიჯანსა და უკრაინაში ღატაკი იყო მოსახლეობის 2 %, ხოლო სომხეთში - 3,7,%.

2011 წლის თებერვალში საქართველოში ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმად ითვლებოდა 281,2 ლარი (ანუ თვეში $165. წელიწადზე გადაანგარიშებით ეს თანხა დაახლოებით 2000 აშშ დოლარს შეადგენს). ეს რიცხვი შეგვიძლია, შევადაროთ აშშ-ის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს. აშშ-ში ოთხსულიანი ოჯახისთვის სიღარიბის ზღვრად 2009 წელს განსაზღვრული იყო 21 756 დოლარი; ე.ი. აშშ-ში საქართველოზე 10-ჯერ და მეტად უფრო „მდიდარი" ღარიბები ცხოვრობენ.

სხვა ფაქტორებთან ერთად, ქვეყანაში სიღარიბის დონეს განსაზღვრავს როგორც მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) დაბალი დონე (2010 წელს,

წინასწარი გათვლებით, იგი შეადგენდა $2629), ასევე შემოსავლების არათანაბარი გადანაწილების სიდიდე.

გარკვეული გამოკვლევები ადასტურებს, რომ 2007 წელს ფულადი შემოსავლების უთანაბრო განაწილების მაჩვენებლით (ჯინის ინდექსი) საქართველო 143 ქვეყნიდან 33-ე ადგილზე იყო, კოეფიციენტით 0,53, რაც ძალიან უთანაბრო განაწილებად ითვლება (>0,5).

საინტერესოა, რომ იმავე პერიოდში ყველაზე დაბალი და მაღალი დეცილური (10%) ჯგუფების შემოსავლებს შორის თანაფარდობა შეადგენდა 1:29, მაშინ,როცა კრიტიკულ ზღვრად ითვლება თანაფარდობა 1:10.

ოფიციალური სტატისტიკური გათვლით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი მიმდინარე წლის თებერვალში იყო 158,7 ლარი (დაახლოებით $3 დღეში), საშუალო მომხმარებლის კი – 140,6 ლარი, მაშინ, როცა პენსიონერთა უმრავლესობა იღებდა 80 ლარს, ანუ დაახლოებით $1,5 დღეში.

აღწერილი სურათის დრამატულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ყველა მონაცემი ოფიციალურია. დამამშვიდებელი ინფორმაცია კი მხოლოდ ის არის, რომ დღეს მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს დღეში $2-ზე ნაკლები ხარჯით, ხოლო 80 პროცენტს $10-ზე მეტი არ აქვს.

P.S. შემოსავლების გარდა, როგორია სიღატაკის სხვა ინდიკატორები (მაგალითად, საკვებით, წამლით, წყლით უზრუნველყოფა, ბავშვებისა და ქალთა მდგომარეობა)? რა გავლენას ახდენს სიღატაკე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე? განათლებაზე? როგორ უნდა დაიძლიოს უმუშევრობის ძალიან მაღალი დონე?

როგორ უნდა შეიცვალოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა სიღარიბის დასაძლევად? რას გულისხმობს საყოველთაო კეთილ-დღეობის სახელმწიფოს მშენებლობა? რატომ არის ცუდი ძლიერი უთანაბრობა? როგორია პროგრესული საგადასახადო სისტემა? როგორი უნდა იყოს დაბალშემოსავლიანი ქვეყნის საბიუჯეტო პრიორიტეტები? როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის განვითარების ორიენტირები?ამ და სხვა საკითხების განხილვას შემოგთავაზებთ რუბრიკით „ვაქციოთ სიღატაკე ისტორიად".

---

* სპეციალისტთა თქმით, მედიანური მოხმარება საშუალოზე 10-12%-ით ნაკლები იყო; ეს კიდევ უფრო ამძიმებს სურათს. გამოდის, რომ მოსახლეობის 9 % დღეში $1 ან ნაკლებს მოიხმარდა.

2014

როგორც მახსოვს, ჟურნალისტ მადლენა მაჭარაშვილთან ეს საუბარი შემთხვევით დაიწყო და სერიოზულ ინტერვიუში გადაიზარდა. მთავრობის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის (2020) შეფასების ფონზე შევეხეთ ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორებიც არის უმუშევრობა, უთანაბრობა, ინკლუზიური ზრდა, ენერგეტიკა, საპენსიო ფონდი, ინდუსტრიული პოლიტიკა და სხვ.

Http://F or.ge

„ერთი მუჭა ელიტა ქვეყანაში მოთხოვნას ვერ შექმნის“

2014-03-11 13:58:04

„იცი, რა ხდება ეკონომიკაში?“ - ამ კითხვას, პასუხთან ერთად, საქართველოს მთავრობა ინტერნეტში საინფორმაციო ფურცლის სახით ავრცელებს. ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე მთავრობის განმარტება რიცხვებში ასეა გამოსახული: 2014 წლის იანვარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 15%-ით გაიზარდა; იმავე პერიოდში ასევე 15%-ით გაიზარდა დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვა. 2014 წლის იანვარ-თებერვალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გადასახადების სახით, ბიუჯეტში 13%-ით მეტი თანხა არის მობილიზებული

მთავრობა ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზე რიცხვებით საუბრობს. ეკონომიკის ექსპერტები და ანალიტიკოსები კი კვლავ აქტიურად მსჯელობენ მთავრობის სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიაზე, რომელიც ერთგვარი ეკონომიკური პროგნოზია და 2020 წლის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სურათს წარმოაჩენს. სტრატეგიული გეგმის თანახმად, 2020 წელს საქართველოში მოსახლეობის ერთსულზე მშპ - დღევანდელთან შედარებით დაახლოებით 7 ათასი ლარით გაიზრდება

და 13 ათასი ლარი იქნება, ჯინის კოეფიციენტი - 0,41 და 0,35-მდე დაიკლებს; ექსპორტი მშპ-ში 35%-დან 50%-მდე გაიზრდება, უმუშევრობა კი 7 წლის განმავლობაში 3%-ით შემცირდება და 15%-ის ნაცვლად - 12% იქნება;

მთავრობის ეკონომიკურ კურსსა და საჯაროდ გამოქვეყნებულ სტარტეგიულ დოკუმენტზე for.ge ეკონომიკის დოქტორს დავით ადეიშვილს ესაუბრა.

დავით ადეიშვილი: ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შესახებ ამ მოცულობის და მნიშვნელობის დოკუმენტი საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ არ მახსენდება. საკმაოდ კარგად აღწერს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და იმფაქტორებს, რაც ხელს უშლის მის განვითარებას. ქმნის ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტარტეგია.

მთავრობის ეკონომიკურ სტრატეგიაში არის რამდენიმე სადავო საკითხი, საჭიროა გარკვეული მიმართულებების წინ წამოწევაც, მაგრამ, მთლიანობაში დოკუმენტი ნორმალურია.

სპეციალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავრობის ეკონომიკური სტ რატეგიაში მემარცხენე კურსისკენ გადახრა იგრძნობა და უმჯობესი იყო, ლიბერალური კურსი შენარჩუნებულიყო, თქვენ რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?

- აბსოლუტურად ლიბერალური ეკონომიკა არ არსებობს. რადგან არსებობს ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროები, ეროვნული ბანკი, ეს უკვე ნიშნავს ეკონომიკაში ჩარევას და რეგულირებას. დერეგულაცია საქმეს არ შველის. ამავე დოკუმენტი სთანახმად, მაგალითად, რეიტინგებით ჩვენ პირველ ადგილზე ვართ უცხოელთათვის ქონების დარეგისტრირებით, მაგრამ ეს არაფერს გვაძლევს სახარბიელოს. უკვე წარსულია იმის რწმენა, რომ მაქსიმალური ჩაურევლობა ქმნის მეტ სიმდიდრესა და განვითარებულობას, ეს არის შეცდომა. ადამ სმიტის დროინდელი იდეოლოგია ევროპაში, დიდი ხანია, ისტორიას ჩაბარდა.

უნდა ჩაიხედოთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში, რომელსაც ჩვენ ხელს უახლოეს მომავალში მოვაწერთ, და ნახოთ, რამხელა რეგულაციებია. განსაკუთრებით შრომისა და გარემოს დაცვის კუთხით, ენერგეტიკის ეფექტიანობის, სურსათის უვნებლობის კუთხით. სასიხარულო ამიტომაცაა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, რომ სწორი გზით წავალთ - მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.

წინა ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში ლიბერალური ტალღა

მსოფლიოს მოედო, რამაც მიგვიყვანა ცნობილ კრიზისამდე, რომელიც 2007–2008 წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება. დღეს უკვე გაცნობიერებულია, რომ დერეგულაციას, მათ შორის ფინანსურს, მივყავართ არასწორი გზით, რომელიც კრიზისით სრულდება. ამიტომ ტენდენცია მემარცხენე თვალსაზრისით შეიცვალა. რაც გულისხმობს მეტ რეგულაციას, სოციალურ საბაზრო ეკონომიკას და მდგრად განვითარებას. მდგრად განვითარებაში იგულისხმება სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური მიმართულებების ჰარმონიული განვითარება, მათი დაბალანსებული თანაარსებობა, რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია განვითარების თანაბრობასთანაც.

მოსახლეობის შემოსავლების თანაბრობის საკითხი, ანუ ჯინის კოეფიციენტი სტრატეგიულ დოკუმენტში 0,41-ით არის განსაზღვრული და 2020 წლამდე 0,35–მდე უნდა შემცირდეს. როგორ არის შეს აძლებელი სოციალურ–ეკონომიკური განვითარების მეტ–ნაკლები თანაბრობის მიღწევა ქვეყანაში?

- ჯინის კოეფიციენტის შემცირება ნიშნავს, რომ შემოსავლების განაწილება ქვეყანაში მეტად უნდა გათანაბრდეს. ეს არ არის მთავრობის კეთილი ჟესტი, ეკონომიკის სფეროს თანამედროვე ნობელიანტები ამტკიცებენ, რომ შედარებით თანაბარი საზოგადოება ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს. როდესაც ქვეყანაში უღატაკესი ფენა მრავალრიცხოვანია, ეკონომიკა ვერ ვითარდება. თუ მოთხოვნა არ არის პროდუქციაზე, წარმოებაც ფერხდება. მაგალითად, თუ მთელი ფული ერთი მუჭა ელიტის ხელშია, ისინი მოთხოვნას ვერ შექმნიან. რამდენი უნდა იყიდოს მილიარდერმა სურსათი, ტანსაცმელი, ან საყოფაცხოვრებო ტექნიკა? ერთეული მდიდრები ეკონომიკაში კლიმატს ვერ ქმნიან. ქვეყნებში, სადაც სიმდიდრე შედარებით თანაბრად არის განაწილებული, ეკონომიკაც მეტად ვითარდება. ასეთია, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნები, იგივე ევროპის ქვეყნები - გერმანია, საფრანგეთი. ისინი, სწორედ, სოციალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვითარდებიან.

მთავრობის სტარტეგიულ დოკუმენტში არის საუბარი სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დახმარებით უფრო მეტი ფენის მოცვაზე, პენსიაზე და ა.შ. მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

ამ დოკუმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტერმინია „ინკლუზიური ზრდა“, რომლის მიზანი სიმდიდრის გადანაწილება კი არ არის, არამედ, მოსახლეობის ფართო ფენების ჩართულობაა ეკონომიკურ განვითარებაში. როგორ, რა საშუალებებით არის შესაძლებელი ქვეყნის განვითარებაში მოსახლეობის მეტი ჩართულობა?

- მეტი სამუშაო ადგილებით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით და მისი წილის გაზრდით ეკონომიკაში. ინკლუზიურობა ნიშნავს სიმდიდრის შექმნას და სწორ გადანაწილებას. აქ მთავარი არის ეკონომიკის განვითარებაში ჩართულობა. ეს პოლიტიკა მართებული და ეკონომიკურად გამართლებულია, ეს არ არის განპირობებული მხოლოდ სოციალური და ჰუმანიტარული მოსაზრებებით.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მოსახლეობის ჩართულობის ზრდაზე საუბრობთ, მთავრობის სტრატეგიულ დოკუმენტში კი 2020 წლამდე უმუშევრობის მხოლოდ 3%-თ შემცირება არის ნავარაუდევი. რას გვეტყოდით ამ მონაცემზე?

- ეს, შეიძლება. მოგვეჩვენოს არასაკმარისად, მაგრამ რეალისტურია. დოკუმენტშიც აღნიშნულია, რომ საქართველოში შრომისუნარიანთა 70% თვითდასაქმებული და უმუშევარია. ეს ჩანს გამოკითხვებშიც. სრული დასაქმება, დაქირავების კუთხით, ვერ მოხდება, ამის ილუზია არ უნდა გვქონდეს. დღეს თვითდასაქმება თანამედროვე ტექნოლოგიებითა და კომუნიკაციების საშუალებითაც არის განპირობებული. ადამიანს სამუშაო ადგილი შეიძლება ჰქონდეს სახლში. ამისათვის კი უნდა ამაღლდეს განათლებისა და პროფესიული მომზადების დონე. თუმცა ჩვენთან თვითდასაქმებულად, ძირითადად, სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანები მიიჩნევიან. მათგან ბევრი სოფლიდან უკვე წამოსულია. სოფლად ხალხი მხოლოდ მიწაზე არ უნდა მუშაობდეს, უნდა დასაქმდნენ გადამუშავებით მრეწველობაში, აგრობიზნესში, ინფრასტრუქტურაში, მომსახურების სფეროში.

მთავრობის სტრატეგიულ დოკუმენტში დაგროვებითი საპენსიო სისტემაზე გადასვლაზეც არის საუბარი. როგორ ფიქრობთ, რამდენად იოლი იქნება საქართველოში ამ სისიტემის დანერგვა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რა შედეგის მოტანა შეუძლია დაგროვებით საპენსიო სისტემას?

- ამგვარი რეფორმა დიდი ხნის წინაც უნდა დაწყებულიყო. განვითარებულ ეკონომიკებში საპენსიო ფონდები დიდ როლს თამაშობენ, რადგან ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი, სწორედ, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობაა. დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლით კი, სწორედ, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა გაიზრდება. პენსიონერის მიერ დაგროვებული ფული შეიძლება ჩაიდოს დიდი კომპანიების აქციებში, ინფრასტრუქტურულ პროექტებში და ამით ეკონომიკის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. თავის

მხრივ, მოგებული რჩება პენსიონერიც, რომელიც დაგროვებულ თანხას გარკვეულ ასაკში საჭიროებისამებრ მოიხმარს.

სტრატეგიულ დოკუმენტში საუბარია ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ზრდაზეც, ამ მიზნით მთავრობა ენერგორესურსების ათვისებაზე საუბრობს და მზადყოფნას გამოთქვამს, ელექტროენერგიის ექსპორტს შეუწყოს ხელი.

- მიმაჩნია, რომ ეს არ არის მართებული, რადგან ელენერგიის წარმოების ზრდა დაგეგმილია ძირითადად ჰიდრორესურსების ხარჯზე. ეს მოითხოვს ტერიტორიებს, მიგრაციულ ცვლილებებს, წარმოშობს ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს და საკმაოდ ძვირი უჯდება ქვეყანას. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა პირდაპირ კანონით მიუთითა, რომ 15 მეტრზე მეტი სიმაღლის კაშხლების დაფინანსებასა და მხარდაჭერაში შეერთებული შტატების მთავრობამ არსად მონაწილეობა არ უნდა მიიღოს.

ელექტროენერგიის მხრივ, ჩვენ ენერგოდამოუკიდებლები უკვე ვართ, რადგან ჩვენი ელექტროენერგიის ექსპორტი იმპორტს აჭარბებს. ანუ იმპორტს ნაკლებს მოვიხმართ ზამთარში, ვიდრე გაგვაქვს ზაფხულში ექსპორტზე. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო სტრატეგია არ შეიძლება იყოს ელექტროენერგიის ექსპორტზე ორიენტირებული, ამ დოკუმენტში კი ჩანს, რომ ექსპორტზეა გათვლილი. ჩვენს ეკონომიკურ ზრდას (რეალური 7%) სჭირდება წელიწადში დაახლოებით 3% ენერგომოხმარების ზრდა, დოკუმენტში კი ჩადებულია 10%. ეს კი ნიშნავს ბუნებრივი რესურსების პრიორიტეტს განვითარებაში, რაც ჩამორჩენილობაზე მიუთითებს.

სხვა რა შენიშვნები გაქვთ მთავრობის ეკონომიკურ სტრატეგიასთან?

- ჩვენნაირ განვითარებად, გარდამავალ ქვეყანაში ვერ მოხდება გარღვევა - ნახტომი, თუ მთავრობას არ ექნება მკაფიო, თანამედროვე, ინოვაციური ინდუსტრიული პოლიტიკა. თუ დავკონკრეტდებით, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ახალი პროდუქტების შექმნას, რაც მთავრობის მხრიდან გამბედაობას და კომპეტენციას მოითხოვს. ასეთი პოლიტიკის თანამედროვე პრინციპები ცნობილია, მაგალითად: მხარდაჭერა ახალ პროექტს და არა - დარგს; სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობა; ექსპერიმენტულობა; გამჭვირვალობა; წარმატების კრიტერიუმების სიცხადე; თანამდევი დადებითი ეფექტების არსებობა; მაღალი პოლიტიკური ფიგურის უშუალო დაინტერესება და ზედამხედველობა და ასე შემდეგ. მთავრობამ უნდა მოიძიოს ასეთი პროექტები და აქტივობები.

სხვათა შორის, იანვარში ევროკომისიამ მოუწოდა წევრ ქვეყნებს,

დაუყოვნებლივ დაიწყონ მოქმედება „ევროპული ინდუსტრიული რენესანსისთვის“, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ზრდისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ინდუსტრიული მოდერნიზაცია უნდა მოხდეს შესაბამის სფეროებში ინვესტირებით, მათ შორის - საერთო ევროპული ფონდებიდან.

მადლენა მაჭარაშვილი

2015

ამ ინტერვიუში ლარის გაუფასურების მიმდინარე და ფუნდამენტურ მიზეზებზე ვსაუბრობთ და მივდივართ დამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარების და პროგრესული გადასახადის შემოღების აუცილებ-ლობამდე. შესაბამისი პოლიტიკების გატარების საჭიროება დღესაც დგას დღის წესრიგში.

Http://F or.ge 2015/05/13

ლარის გაუფასურება - პერსპექტივა ქართული ეკონომიკისთვის

უკვე თვეებია,საქართველოს მოსახლეობა შიშით შესცქერის ვალუტის გადამცვლელი ჯიხურებისა და კომერციული ბანკების იმ ტაბლოებს, რომლებზეც უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ლარის გაუფასურების შესახებ ინფორმაცია ციფრებშია გამოხატული. ეროვნული ვალუტა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში 30%-ზე მეტით გაუფასურდა და ეს პროცესი კვლავ გრძელდება. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის თანახმად, 12 მაისისთვის ერთი აშშ დოლარის ფასი 2,34 ლარით განისაზღვრა. პოზიციები კვლავ გაიმყარა ევრომაც. უცხოური ვალუტის გაძვირებამ საქართველოში, თვებია იმპორტული პროდუქციის ფასებიც გაზარდა.

ეკონომისტთა ნაწილი შექმნილ ვითარებაში გამოსავალს ექსპორტის წახალისებაში ხედავს, აღნიშნული მოსაზრების მხარდამჭერები ფიქრობენ, რომ ამ თვალსაზრისით, ქვეყანას ახალი პერსპექტივა, სწორედ, ლარის გაუფასურებამ გაუჩინა.

როგორშეიძლებაისარგებლოსსაქართველოსეკონომიკამეროვნული ვალუტის დევალვაციით და რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების უზრუნველსაყოფად? - ამ და სხვა აქტუალურ ეკონომიკურ საკითხებზე

For.ge ეკონომიკის დოქტორსა და განვითარების ეკონომიკის სპეციალისტს **დავით ადეიშვილს** ესაუბრა.

- ბატონო დავით, ლარის გაუფასურებას ოპონენტები ხელისუფლებას

მცდარი ეკონომიკური პოლიტიკით ხსნიან, მთავრობა კი ხელს ეროვნული ბანკისკენ იშვერს და პასუხიმგებლობას ნაწილობრივ, სწორედ, მის ხელმძღვანელს აკისრებს. თქვენ რას უკავშირებთ ლარის დევალვაციას?

- აუცილებელია, განვასხვავოთ ორი ასპექტი - ფუნდამენტური მიზეზები და მიმდინარე მიზეზები, ანუ ფისკალურ-მონეტარული საკითხები.

საქართველოს საგადამხდელო ბალანსი წლების განმავლობაში არის დეფიციტური. მარტივად რომ ვთქვათ, ის, რასაც ჩვენ ვიღებთ საკუთარი წარმოებით, არის ძალიან ცოტა. ჩვენი გაყიდვები და უცხოეთიდან შემოსული ინვესტიციები, სესხები თუ ფულადი გზავნილები არის მცირე. ჩვენ მოვიხმართ იმაზე მეტს, ვიდრე შესაძლებლობა გვაქვს. მთავარი პრობლემა მაინც ის არის, რომ ჩვენ გვაქვს სავაჭრო დეფიციტი, ანუ საგარეო ბაზრისთვის ვაწარმოებთ ნაკლებს და ვიღებთ მეტს. მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი არის უარყოფითი, რის გამოც, ბუნებრივად, ლარი უნდა იყოს კიდეც მიდრეკილი გაუფასურებისკენ. რეალური კურსი იყო, არის და დღემდე შეიძლება ვთქვათ, რომ რჩება ზედმეტად ძვირი. დოლარი ჩვენ ქვეყანაში ყიდულობს უფრო ნაკლებს, ვიდრე სხვა ქვეყანაში. ეს ბუნებრივი უწონასწორობა შენარჩუნებული იყო ვალუტების შემოდინებით. თუ ეს შემოდინება სტაბილური არ არის, წონასწორობა რაღაც მომენტში აუცილებლად ირღვევა და დაირღვა კიდეც. მოხდა ისე, რომ საგარეო ბაზრები შეირყა, ჩვენს მთავარ საექსპორტო ბაზრებზე შეიქმნა პრობლემები, მათ შორის რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. შეგვიმცირდა ექსპორტი, 25%-ით შემცირდა გადმორიცხვები, ასევე შემცირდა პირდაპირი ინვესტიციები და, ბუნებრივია, ეს ლარის კურსს დაემჩნეოდა.

ამ სიტუაციაში ეროვნულ ბანკს შეუძლია, ლარის გაუფასურება თავისი რეზერვებით რაღაცნაირად შეარბილოს, ანუ მოთხოვნა ვალუტაზე, რომელიც აქვს ქვეყანას, უზრუნველყოს რეზერვებით, მაგრამ ეს ფუნდამენტურ პრობლემას ვერ აღმოფხვრის. მას შეუძლია მხოლოდ ძალიან დიდი რყევები, ფლუქტუაციები შეამციროს და უფრო შერბილებული გახადოს.

- რა საშუალებები არსებობს პრობლემის მოსაგვარებლად? არსებობს თუ არა რამე მექანიზმი, რომელიც ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ლარის კურსის დასასტაბილურებლად და ეკონომიკის განსავითარებლად?

- ერთი, ეს შეიძლება იყოს საგარეო ვალის აღება, რომელიც ისეც გვაქვს. თუმცა, არც ისე ბევრი, როგორც ჩვენ გვგონია. მაგალითად, აშშ-ს გაცილებით მეტი ვალი აქვს, მაგრამ მათი განვითარებული

ეკონომიკისთვის ეს პრობლემა არ არის.

ეროვნულ ბანკს აქვს შესაძლებლობა, მოკლე პერიოდში შეარბილოს კურსის ცვლილება, მაგრამ ამით პრობლემა ვერ მოგვარდება. მოკლევადიან პერსპექტივაში ეროვნულ ბანკს ლარის კურსზე რეზერვების გამოყენებით გავლენის მოხდენა შეეძლო, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს მიდგომა უშედეგოა. მაგალითად, როდესაც ადამიანს აქვს სიცხე, რომელიც გამოწვეულია რომელიმე შინაგანი ორგანოს ანთებითი პროცესით, მხოლოდ სიცხის დამწევის მიღება ეფექტიანი ვერ იქნება, შესაბამისი მკურნალობაა საჭირო. სწორედ, ახლა არის მომენტი, დიაგნოზი დაისვას და საქართველოს ეკონომიკის სიჯანსაღისთვის სწორი მკურნალობა დაიწყოს.

როდესაც ძვირდება უცხოური ვალუტა და იაფდება ლარი, იმპორტის ნაკლები შესაძლებლობა გვრჩება. იმავდროულად, იქმნება შანსი, მეტი პროდუქტი გაიტანო ექსპორტზე. მაგრამ აქაც არსებობს შეზღუდვები, განა, რამდენს აწარმოებ ღვინოს მოკლე პერიოდში? უცბად ხომ ვერ გაზრდის ზვრებსა და სიმძლავრეებს? ამიტომ, ქვეყანამ სხვა რამ უნდა მოიმოქმედოს გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით.

– კონკრეტულად რომ ვისაუბროთ, რა შეიძლება იყოს ეს პერსპექტივა?

- ჩვენი ექსპორტი, ძირითადად, მიმართულია ბუნებრივი რესურსების ათვისებასა და გაყიდვაზე. მაგალითად, ბოლო კვარტალში ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და ის მთელი ექსპორტის 12%-ს შეადგენს, მეორე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები (რაც რეექსპორტია და არა ჩვენ მიერ წარმოებული პროდუქტი), თხილი - 10%, ფეროშენადნობები - 10% და სამკურნალოს საშუალებები - 5%. თუმცა, იმპორტის მაჩვენებლებშიც 4% არის სამკურნალო საშუალებები, რაც მაფიქრებინებს, რომ სამკურნალო საშუალებების რეექსპორტიც ხორციელდება.

პირველი ხუთი პროდუქტი მთელი ექსპორტის 48%-ს შეადგენს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკის დივერსიფიცირების ხარისხი არის ძალიან დაბალი. განვითარებულ ქვეყნებში კი პირიქითაა, ბევრი პროდუქტი იწარმოება და ექპორტში თითოეულის წილიც დაბალია. შესაბამისად, მათი ეკონომიკა მეტად დივერსიფიცირებულია.

ქვეყანას ანვითარებს წარმოება, განსაკუთრებით, ინოვაციური მრეწველობა. ამიტომ, მთავარი აქცენტი, სწორედ, ინოვაციური მრეწველობის განვითარებაზე უნდა გაკეთდეს. სხვათა შორის, ცალკეული ქვეყნები ზოგჯერ ხელოვნურად აუფასურებენ ვალუტას, რათა გაზარდონ ექსპორტი. მაგალითად, ასეთი პოლიტიკა გაატარეს ჩინეთში,

ბრაზილიაში, იაპონიაში, ისლანდიაში. ახლა, საქართველოში შექმნილ ვითარებაში, ჩვენ ამის საშუალება ბუნებრივად გვეძლევა.

ინოვაციური მრეწველობის განვითარებას სახელმწიფომ ხელი სხვადასხვა მეთოდებით უნდა შეუწყოს, იქნება ეს სუბსიდიები, სტიმული, კანონმდებლობა, კოორდინაცია თუ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა.

არსებობს ე.წ. ტრადიციული და არატრადიციული საექსპორტო პროდუქტები. არატრადიციული საექსპორტო პროდუქტის წარმოება აჩქარებს ეკონომიკის განვითარებას. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ დავიწყოთ ისეთი პროდუქტების წარმოება, როგორებიც არის, მაგალითად თვითმფრინავი, ავტომობილი, კომპიუტერი თუ სხვა ელექტროტექნიკა, ამ წარმოებას სჭირდება კვალიფიციური კადრები და ტექნოლოგიები, რომლებსაც შემდეგ სხვა წარმოებაშიც გამოიყენებ. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ჰესების მშენებლობის შედეგად ქვეყანაში შემოსული ფული კი ნარკოტიკივით არის და მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტისთვის გამოდგება.

რა შეიძლება იყოს საქართველოსთვის არატრადიციული საექსპორტო პროდუქტი, რომლის წარმოებაც მოგებას მოიტანს?

- ერთ-ერთი მაგალითია კერამიკული ნაწარმის დამზადება. ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა სამთავრობო პროგრამის წარდგენის დროსაც ისაუბრა. კერამიკული ნაწარმის დაახლოებით 100% ჩვენ სხვა ქვეყნიდან შემოგვაქვს, როგორიცაა, მაგალითად, მეტლახი, კაფელი, სანიტარული პროდუქტები. თიხა საქართველოში უამრავია, მაგრამ ვერ ვიყენებთ. კერამიკის წარმოება შეიძლება, დავიწყოთ უცხოური ტექნოლოგიების და სპეციალისტების გამოყენებით და გავიდეთ უცხოურ ბაზრებზე, რადგან ამ პროდუქტზე მოთხოვნა დიდია.

კონკურენტული უპირატესობა რამდენად ექნება ჩვენს მიერ ნაწარმოებ კერამიკის პროდუქტს, კონკრეტული ქვეყნები ხომ წლებია მუშაობენ ამ მიმართულებით და ტექნოლოგიებსაც სულ უფრო ხვეწენ?

- რა თქმა უნდა, კონკურენცია დიდია, მაგრამ თუ ამაზე ვიფიქრებთ, ვერასდროს ვერაფერს ვაწარმოებთ. ყველა სფეროსა და დარგშია კონკურენცია, მაგრამ არის ნიშა, რომელიც შენ შეიძლება დაიკავო. ამას სჭირდება ცოდნისა და რესურსების მეტი მობილიზება, ასევე სჭირდება ნება.

საქართველოს ხელისუფლებას შესაბამისი ნება არ აქვს?

- ამ საკითხის გაცნობიერება ნელ-ნელა ხდება, თუმცა არა იმ მასშტაბით, როგორც საჭიროა. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მიმართულებით მომუშავე

კერძო სექტორთან მთავრობის თანამშრომლობას. სახელმწიფომ პირობები უნდა შექმნას, ვალუტის გაუფასურების პროცესი კი კარგად უნდა იქნას გამოყენებული შესაბამისი ინდუსტრიული პოლიტიკის გატარებისთვის. დღევანდელი ვითარება შეიძლება იყოს შანსი, რომ განვითარდეს შიდა წარმოება და ახალი დარგები. ეროვნული ბანკი ყველაფერს ვერ გააკეთებს, მისი ფუნქცია უნდა იყოს დიდი რყევების თავიდან აცილება და ინფლაციის ზომიერად დაჭერა. თუ ჩვენ გვინდა, რომ პერსპექტივაში ეკონომიკა გახდეს სტაბილურლრი, ამ პროცესში დიდი როლი მთავრობამ უნდა შეასრულოს. უნდა დაიწყოს მსჯელობა პროგრესული საშემოსავლო გადასახდის საკითხზეც.

რას ნიშნავს პროგრესული საშემოსავლო გადასახადი?

- ერთ-ერთი ეკონომიკური ინდექსით, „ჯინის კოეფიციენტით“ დგინდება, თუ რამდენად თანაბრად არის განაწილებული ქვეყანაში შემოსავლები. რეგიონში საქართველო ყველაზე უთანაბრო ქვეყანაა, ამ თვალსაზრისით. ეს ფაქტორი, თავის მხრივ, ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. მარტივად რომ ავხსნათ, ეს ნიშნავს სიტუაციას, როცა ძალიან მცირე ხალხის ხელშია დიდი სიმდიდრე, და უმრავლესობას დაბალი შემოსავლები აქვს. აღარ არსებობს გადახდისუნარიანი მოთხოვნილება - მდიდარი განა რამდენ ტანსაცმელს ან საჭმელს იყიდის? ეკონომიკა რომ ამუშავდეს, გადახდის უნარის მქონე ბევრი უნდა იყოს. პროგრესული საშემოსავლო გადასახადი ევროპის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს და მის თანახმად მდიდარი უფრო მეტად იბეგრება. შემოსავლების მიხედვით უნდა იყოს დიფერენცირებული გადასახადი. ჩვენთანაც შეიძლება დაინერგოს ეს პრინციპი და ამ გზით შემოსული თანხები, თუნდაც, იმავე ინდუსტრიულ განვითარებას მოხმარდეს - ეკონომიკას სტიმული მიეცემა და შემოსავლებიც მეტად თანაბარი გახდება ქვეყანაში.

14-15 მაისს საქართველოში EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრა და ბიზნესფორუმი იგეგმება, როგორ ფიქრობთ, რა გავლენას იქონიებს ეს ღონისძიება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, რა მოლოდინი გაქვთ თქვენ?

- ასეთი ღონისძიებები, რა თქმა უნდა, საინტერესოა. წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ ვითარდება მსოფლიო ეკონომიკური პროცესები, რა არის პრიორიტეტები და ა.შ. შესაძლოა, საქართველოში ამ ღონისძიების შემდეგ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდეს, ინდუსტრიული წარმოებებით კი მსხვილი საფინანსო ორგანიზაციები, როგორც წესი, არ ინტერესდებიან.

ინდუსტრიულ პოლიტიკას სხვა ვერ გაატარებს, ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

მადლენა მაჭარაშვილი

საკითხი, რომელსაც for.ge-ისთან შევეხე, საინტერესო აღმოჩნდა და ინტერნეტპორტალისთვის Commersant.ge და გაზ. „ახალი თაობისათვის“, თუმცა ამ ტექსტში უფრო მკაფიო აქცენტი პროგრესულ გადასახადზე კეთდება. სამწუხაროდ, ეს გამოწვევები დღესაც რჩება.

COMMERSANT.GE 29.05.2015

ახალი თაობა, კვირა, 30-31 მაისი, 2015 წ

დავით ადეიშვილი: „რაც უფრო მდიდარია ადამიანი, მით უფრო მეტად უნდა დაიბეგროს“

ეკონომიკის დოქტორი პროგრესული გადასახადის შემოღების იდეით გამოდის. ჩვენ მოვიხმართ იმაზე მეტს, ვიდრე ვაწვდით დანარჩენ მსოფლიოს.

ანუ ლარი იყო ზედმეტად ძვირი, ახლა მიდის მისი ბუნებრივი გაუფასურება ამ მიზეზების გამო.

ეკონომიკის დოქტორი **დავით ადეიშვილი** „კომერსანტის“ კითხვებს პასუხობს.

- თქვენი აზრით, რა არის ლარის დევალვაციის მთავარი მიზეზი?

ფუნდამენტური მიზეზი ლარის დევალვაციისა, გარდა საგარეო ფაქტორებისა, არის ის, რომ ჩვენი საგადამხდელო ბალანსი წლების განმავლობაში იყო უარყოფითი. ჩვენ მოვიხმართ იმაზე მეტს, ვიდრე ვაწვდით დანარჩენ მსოფლიოს. ანუ ლარი იყო ზედმეტად ძვირი, ახლა მიდის მისი ბუნებრივი გაუფასურება ამ მიზეზების გამო. ეროვნულ ბანკს შეეძლო მდგომარეობის შემსუბუქება მის ხელთ არსებული მექანიზმების მეშვეობით, რომლებიც არცთუ მთლად ეფექტურად იყო გამოყენებული.

- თქვენ ახსენეთ, რომ ბუნებრივად უფასურდება ლარი და მისი ფასი აქამდე უფრო მეტი იყო, ვიდრე რეალურად ღირდა. მაშინ რა ნიშნულზე უნდა იყოს ლარის დასტაბილურებული?

- ასეთი ზუსტი კურსი არავინ იცის. წონასწორობა მყარდება მოთხოვნა-მიწოდების ბალანსით და სხვა საგარეო და პოლიტიკური ფაქტორებით.

წონასწორობა უნდა იყოს შენარჩუნებული, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული ბანკის მონეტარულმა პოლიტიკამ და ბიუჯეტის ფისკალურმა პოლიტიკამ. ეს შეთანხმებულად არ ხდებოდა. ეს რომ ყოფილიყო მეტად კოორდინირებული, რომ ყოფილიყო მეტად გამოყენებული ბერკეტები, რომელთაც ფლობს ეროვნული ბანკი, სტაბილურობა უფრო იქნებოდა შენარჩუნებული. რეზერვების ხარჯვასაც ვგულისხმობ მათ შორის, ასევე ნორმატიულ პარამეტრებს, რომელთაც იცავენ კომერციული ბანკები, ამის ცვლილებები იყო შესაძლებელი. შესაძლებელი იყო რეფინანსირების პოლიტიკის უკეთესად წარმართვა. თუმცა, ლარის დევალვაციამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ექსპორტს. მთავრობამ უნდა განახორციელოს ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი საექსპორტო დარგების, ახალი პროდუქტების წარმოჩენას და გატანას საზღვარგარეთ.

- მიუხედავად ლარის დევალვაციისა, ექსპორტი საგრძნობლად არის შემცირებული ბოლო თვეებში.

- ვიცი, რომ შემცირებულია, მაგრამ თუ სხვა ფაქტორები იქნება ნეიტრალური, ლარის დევალვაციამ ხელი უნდა შეუწყოს ექსპორტს, რადგან ჩვენი პროდუქტი იაფდება საერთაშორისო ბაზრებზე. მაგრამ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს. უსასრულოდ ვერ გაზრდი ვერც ღვინის, ვერც თხილისა და ვერც მადნის წარმოებას, პროდუქციისა, რომელიც გაგვაქვს საზღვარგარეთ. ამიტომ აქ უნდა ჩაერთოს მთავრობა აქტიური ინდუსტრიული პოლიტიკით, შეიქმნას ახალი დარგები. ეს არ არის მოკლევადიანი პერსპექტივა, მაგრამ ეს მომენტი უნდა იყოს გამოყენებული, რადგან ახლა არის ექსპორტის წახალისების დრო. პროდუქცია, რომელსაც იმპორტით ვიღებდით, შესაძლებელია, შიდა ბაზარზე ვაწარმოოთ.

- რა მიმართულებით უნდა დავიწყოთ ექსპორტის განვითარება?

- ჩვენი მოხმარებული პროდუქტების 80%, თუნდაც კვების პროდუქტები, არის იმპორტირებული. ყველგან შეიძლება გარკვეული ჩარევებით და დახმარებებით ამ პროდუქტების ადგილობრივ ბაზარზე წარმოება.

- თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციას გულისხმობთ, ამ მიმართულებით სახელმწიფო ახორციელებს პროგრამებს შეღავათიანი სესხების, მცირემიწიანი ფერმერების დახმარების მიმართულებით.

- დიახ, ამასთან ერთად საჭიროა ინდუსტრიული პროდუქციის განვითარება, პირველ რიგში, გადამამუშავებელი მრეწველობის, დაწყებული საპნით, დამთავრებული თვითმფრინავის ნაწილების წარმოებით. ყველაფრის წარმოება შეიძლება საერთაშორისო

ბაზრისთვის. შიდა ბაზარი ძალიან პატარაა, საერთაშორისო ბაზარი კი არის ძალიან დიდი და შესაძლებელია ყველაფრის გაყიდვა. ამ ყველაფერს ცოდნა სჭირდება, ტექნოლოგიების იმპორტი სჭირდება, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა. ახლა ამისთვის კარგი დროა.

- კონკრეტულად რომელი დარგების განვითარება შეიძლება?

- ყველა თანამედროვე წარმოება არის ინოვაციური. რასაც ჩვენ არ ვაწარმოებთ, ვერ ვაკეთებთ ან ცუდად ვაკეთებთ, ამ მიმართულებების დახვეწა შეიძლება. ორიენტაცია უნდა ავიღოთ არა ბუნებრივი რესურსების ექსპორტზე, რასაც დღეს ვაკეთებთ, ან ძალიან მცირედ დამუშავებულ ბუნებრივ რესურსებზე, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიებზე, რომ-ლებიც უკვე ბოლო მომხმარებლისთვის არის განკუთვნილი. ასეთი პროდუქტები არის უამრავი. ამას სჭირდება ძალისხმევა, სახელმწიფო ხელშეწყობა, კანონმდებლობით და ფინანსური სტიმულებით, მაგალითად, მოგების გადასახადის გაუქმებით გარკვეულ პროდუქტებზე, ასევე კოორდინაციის თვალსაზრისით, ასევე ინოვაციების ტრანსფე-რით, გადმოტანით საქართველოში, საერთაშორისო მოწინავე ლიდერი კომპანიების შემოყვანით და ა.შ.

- გარკვეულწილად სახელმწიფო ახორციელებს ამას, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. ეს არ არის საკმარისი?

- ეს ძალიან კარგია, თუმცა, არ არის საკმარისი. ამას სჭირდება გაფართოვება. კლიმატს შექმნა უნდა ქვეყანაში, სხვადასხვა მიმართულებით, არამხოლოდ ფინანსური მიმართულებით. ფინანსები არ არის მთავარი ხელშემშლელი. ფინანსებზე წვდომა შესაძლებელია, მაგრამ აქ უფრო მეტად არის ცოდნის ნაკლებობა, შესაბამისი გარემოს შექმნის აუცილებლობა არის დღის წესრიგში. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მაკოორდინირებელი როლი და ინფორმაციის მიწოდების ტექნოლოგია უნდა დახვეწოს.

- როგორია დღეს ბიზნეს გარემო საქართველოში? ბიზნესმენები ხშირად საუბრობენ ახალ რეგულაციებზე, რომელთა შემოღებასაც ხელისუფლება გეგმავს. მწარმოებლების შეფასებით, ეს ბიზნესისთვის ხელისშემშლელი რეგულაციებია. საუბარია უცხოელი მუშახელის დასაქმების შეზღუდვაზე, შრომის ინსპექციაზე და ა.შ.

- რეგულაციები ევროპაში ჩვენზე 10-ჯერ მეტია და კიდევ ბევრია შემოსაღები ჩვენთან. ეს არ არის ხელშემშლელი ფაქტორი, ეს არის ნეოლიბერალების მოგონილი პრობლემა. რეგულაციები ბევრად მეტია საჭირო, მით უმეტეს, როცა მივისწრაფვით ევროპისკენ. ჩვენი ყველი ვერ იყიდება ექსპორტზე და ვერ გავა კიდევ დიდხანს, რადგან

არ არსებობს რეგულაციები, რომლებიც ხარისხს გააკონტროლებს. ასეა სხვა სფეროებში, მაგალითად, არის შესაძლებლობები, რომ ევროპაში გავიტანოთ მწვანილი, მაგრამ ამისთვის გარკვეული სტანდარტების დაცვაა საჭირო. რაც შეეხება შრომის კანონმდებლობას, კიდევ უფრო მეტად არის მშრომელთა უფლებები დასაცავი. ამით სერიოზული ბიზნესი არ ფერხდება. მთავარი შემაფერხებელი ბიზნესისთვის დღეს არის ცოდნის ნაკლებობა.

- თქვენ საუბრობთ პროგრესული გადასახადის შემოღების შესახებ. მოიტანს ეს იმდენად დიდ შედეგებს ეკონომიკაში, რომ ღირდეს მისი შემოღება?

- ეს არის ევროპულ ქვეყნებში მიღებული პრაქტიკა, როდესაც დიდი შემოსავლის მქონე პიროვნებები იბეგრებიან უფრო მეტად, ვიდრე ნაკლებშემოსავლიანები. ეს ქმნის ბიუჯეტში ჭარბ შემოსავალს და ზოგადად უწყობს ხელს გათანაბრებას. შემოსული ზედმეტი თანხა ნაწილდება დანარჩენ მოსახლეობაზე. ეს პრინციპი შემოსაღებია როგორც მეტი თანაბრობის თვალსაზრისით, ასევე ქვეყნის განვითარების ხელშესაწყობად. ჩვენი ქვეყანა არის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე უთანაბრო. ე.წ. ჯინის კოეფიციენტი არის 40%-ზე მეტი, რაც ძალიან მაღალია. განვითარებულ ქვეყნებში ის 30%-ის ფარგლებშია. ეს უთანაბრობა უნდა დაიძლიოს იმით, რომ ძალიან მაღალი შემოსავლების ადამიანები მეტად დაიბეგრონ. ეს ეხება ფიზიკურ პირებს და არა – კომპანიებს. ეს ადამიანები ბუნებრივად იბეგრავენ თავს, როდესაც ეწევიან ქველმოქმედებას, აფინანსებენ ფონდებს და ეს არის ნებაყოფლობითი. მაგრამ ეს არ უნდა იყოს კეთილ ნებაზე დამოკიდებული.

- ხომ არ დააფრთხობს ეს ინვესტორს გარკვეულწილად?

- არ მგონია. ეს არ უნდა იყოს ისეთი ტვირთი, რომ დააფრთხოს. უნდა იყოს ზომიერი, ისეთი, რომელიც არ გააქცევს ბიზნესმენებს.

- თუ დღეს ყველა მოქალაქე საშემოსავლო გადასახადს იხდის 20%-ის ოდენობით, რა ოდენობის უნდა იყოს გადასახადი უფრო მდიდარი ადამიანებისთვის?

- კონკრეტულ რიცხვებზე საუბარი ადრეა, მაგრამ მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ, თუ პირის შემოსავალი არის 5 ათას ლარზე ნაკლები, ის დაიბეგრება 20%-ით, თუ არის 10 ათასი, ნამეტი 5 ათასი დაიბეგრება არა 20%-ით, არამედ 25%-ით და ა.შ. თუ მილიონი გაქვს შემოსავალი, ის ნამეტი თანხა უკვე შეიძლება დაიბეგროს 50%-ით. ამას დათვლა და გაანალიზება სჭირდება.

- რომელ ქვეყნებშია ასეთი სისტემა შემოღებული?

- სკანდინავიის ქვეყნებში, საფრანგეთში, გერმანიაში. ევროპაში ეს ჩვეულებრივი ამბავია.

- როდესაც მსგავსი განვთიარებული ქვეყნების მაგალითი მოჰყავთ ხოლმე, შემხვედრი არგუმენტი ყოველთვის არის ის, რომ საქართველო არ არის შვედეთი და საფრანგეთი და იქამდე მისვლაა საჭირო.

- ვერ დაგეთანხმებით, საქმე ისაა, რომ უთანაბრობა წარმოშობს ეკონომიკურ შეფერხებებს. როდესაც ხალხს არ აქვს მსყიდველობითი უნარი, ის ქვეყანა ვერ ვითარდება. ბაზარს სჭირდება სტიმულირება. თუ მოთხოვნა არ არსებობს და 5 კაცს აქვს ფული, რამდენი რამე უნდა შეიძინოს ამ 5-მა კაცმა? თუ გარკვეულწილად თანაბრად არ არის გადანაწილებული, სულ აქვს 5%-ს მაღალი შემოსავალი, დანარჩენს დაბალი. ის ქვეყანა როგორ განვითარდება? ამიტომაცაა, რომ სიღარიბის დონე ძალიან მაღალია საქართველოში.

საჭიროა ინდუსტრიული პროდუქციის განვითარება, პირველ რიგში, გადამამუშავებელი მრეწველობის, დაწყებული საპნით, დამთავრებული თვითმფრინავის ნაწილების წარმოებით. ყველაფრის წარმოება შეიძლება საერთაშორისო ბაზრისთვის. შიდა ბაზარი ძალიან პატარაა, საერთაშორისო ბაზარი კი არის ძალიან დიდი და შესაძლებელია ყველაფრის გაყიდა.

უთანაბრობა წარმოშობს ეკონომიკურ შეფერხებებს. როდესაც ხალხს არ აქვს მსყიდველობითი უნარი, ის ქვეყანა ვერ ვითარდება. ბაზარს სჭირდება სტიმულირება.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე

მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელის მხოლოდ დადებითი ასპექტების ან, უფრო მეტიც, ამ მოდელის იდელურად წარმოჩენა, ყოველთვის იწვევდა ჩემში გაღიზიანებას არაპროფესიული და უკრიტიკო ხედვების გამო. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ უფრო მისაღები იქნებოდა მისი ალტერნატივა - პრეფერენციული მიდგომა, რომელიც მდგომარეობს საგადასახადო ინსტრუმენტის გამოყენებაში ინდუსტრიული პოლიტიკის გასატარებლად. ეს გარემოება კი თავისთავად გულისხმობს განსჯას სახელმწიფოს როლზე ეკონომიკის განვითარებაში. აქვე ნახავთ მსჯელობას პროგრესული გადასახადის არსსა და მნიშვნელობაზე - „მეოცე საუკუნის კაპიტალის“ რემინისცენციები?

for.ge 2015.06.18

გადასახდისაგან გათავისუფლება შერჩევითი და მიზნობრივი უნდა იყოს

ხედვები საგადასახადო პოლიტიკაზე
საგადასახადო სისტემის რეფორმირება

შემოსავლების უთანაბრობისა და რესურსების გადანაწილების პრობლემა დღეს მსოფლიო ეკონომისტებისთვის ყველაზე აქტუალური ეკონომიკური თემებია. სწორედ, ამ საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას ნობელის პრემიის ლაურეატები კრუგმანი და სტიგლიცი, ასევე პიკეტი, საქსი, ატკინსონი და სხვები. მსოფლიო მასშტაბით, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს რესურსების უმცირეს ნაწილზე აქვს წვდომა, ტენდენცია გრძელდება და ეკონომიკის განვითარებას სულ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის. მსოფლიო ეკონომიკისთვის აქტუალური პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას საქართველოში. იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნისთვის ადგილობრივი წარმოების განვითარება სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია, განმავითარებელი დარგების ამუშავება და ინვეტიციების გაზრდა კი - მთავარი გამოწვევა.

სწორედ, ინვეტიციების მოზიდვა და მოსახლეობის დასაქმებაა ეკონომიკური ინიციატივის არგუმენტი, რომელიც მოგების გადასახადის საკითხის გადახედვას ითვალისწინებს. მთავრობა და ეკონომიკურ საკითხთა ექსპერტები მოგების გადასახადის საკითხს ამ ეტაპზე მხოლოდ

სარგებლისა და საფრთხეების კონტექსტში განიხილავენ და მოგების გადასახადის ერთადერთ ალტერნატივად დივიდენდებზე გადასახდის დაწესებას ასახელებენ.

აღნიშნულ საკითხებზე for.ge ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, განვითარების ეკონომიკის სპეციალისტს, **დავით ადეიშვილს** ესაუბრა.

ბატონო დავით, რატომ დადგა საქართველოში დღის წესრიგში მოგების გადასახადის გადახედვის საკითხი?

– ჩემი აზრით, ეს არის მცდელობა, რომ საქართველოში გაიზარდოს ინვესტიციები. დღეს ინვესტიციების შესახებ სრული სტატისტიკა არ არსებობს. მხოლოდ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს გამოყოფენ, რაც მთლიანი ინვესტიციების ნაწილია. ეკონომიკა რომ განვითარდეს ქვეყანაში, წამყვანი უნდა იყოს შიდა ინვესტიციები და დაბანდებები. ეტყობა, ეს არის მთავარი მოტივი საგადასახადო ცვლილებისა, რათა განხორციელდეს მეტი ინვესტიცია. მეტი ინვესტიცია კი ნიშნავს მეტ სამუშაო ადგილს. თუმცა მე არ ვიქრობ რომ გათავისუფლება უნდა იყოს გათანაბრებითი- ყველა „გამოცხადდეს ამინისტირებულად", მათ შორის იმპორტიორები, ბანკები, პირველადი ბუნებრივი რესურსების ექსპორტიორები და სხვა. ეს იქნებოდა პრობლემატური, არაეფექტური და უსამართლოც.

ჩვენ ვფიქრობთ რომ გდასახადისგან გათავისუფლება უნდა იყოს პრეფერენციული, გარკვეული პოლიტიკის ნაწილი.

საგადასახადო სტიმულირების კონტექსტში ჩვენთვის ამ ეტაპზე პრიორიტეტული უნდა იყოს **გადამამუშავებელი მრეწველობა,** როგორც **ინდუსტრიული პოლიტიკის** მთავარი სამიზნე. ეს არის სექტორი, რომელიც დანარჩენ ეკონომიკას ავითარებს, რადგან აქ ყველაზე ცოდნატევადი და ტექნოლოგიატევადი მიმართულებებია, რაც ბადებს ყველაზე მეტ თანამდევ დადებით ეფექტებს.

ცხადია, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებით ჩვენ ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში გადამამუშავებელი მრეწველობის წილი არის 15%-ზე ნაკლები, ჩეხეთში -25%, კორეაში კი 30%. ზოგადად, ევროკავშირს ამ მიმართულებით ორიენტირად 20%–იანი ნიშნული აქვს აღებული. ხაზგასასმელია ისიც, რომ საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტები **დაბალშემოსავლიანია და არართული,** რაც შესაბამისი ნაციონალური ინდექსებით იზომება. ეს მაჩვენებლები კი ძლიერ კორელაციაშია ერთობლივ შიდა პროდუქტთან.

გადამამუშავებელი მრეწველობის სტიმულირებისათვის, ჩემი აზრით,

მოგების გადასახადისაგან უნდა გავათავისუფლოთ ამ სფეროში წარმოებული ახალი პროდუქტები, ან ისეთები რომლებიც უკვე იწარმოება, მაგრამ სათანადოდ არ არის გავითარებული (ე.წ. პიონერული წარმოებები). ამან კი ეკონომიკის **დივერსიფიკაციას** უნდა შეუწყოს ხელი, რაც თავის მხრივ ინდუსტრიული განვითარების ხელშემწყობია. პირობითად, თუ კომპანიამ აწარმოა საპონი ან შამპუნი, რომლებიც პრაქტიკულად არ იწარმოება ქვეყანაში, ანუ ახალია; ან კონსერვი, რომლის მოხმარების 50%–ზე მეტი შემოგვაქვს იმპორტის სახით - დასახელებული პროდუქტების მწარმოებელნი გათავისუფლდებიან მოგების გადასახადისგან გარკვეული ვადით (ვთქვათ 10-15 წლით). ამგვარი მიდგომით არ დაზარალდება ბიუჯეტი და სტიმული მიეცემა პრეფერენციულ წარმოებებს.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში მოგების გადასახადიდან შემოსული თანხების წილი 12%-ს შეადგენდა. მოგების გადასახადის გაუქმება ან სხვა გადასახადით ჩანაცვლება ამ ეტაპზე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.

- საგადასახადო სისტემიდან მხოლოდ ერთი ელემენტის ამოღება და მისი რეფორმა სარისკოა. ამაზე ფინანსთა მინისტრმა განაცხადა კიდეც, რომ ბიუჯეტში 900 მილიონამდე ლარი აქვთ დაგეგმილი მოგების გადასახადიდან.

საგადასახადო კოდექსში ცალკეული ელემენტის უხეში ცვლილება სხვა ქვეყნის ანალოგიით, არალოგიკურია და ეფექტს ვერ მოიტანს. ანდა მთლიანად შევცვალოთ საგადასახადო კოდექსი. ამ შემთხვევაში უნდა ვიმსჯელოთ, მაგალითადროგორი შეიძლება იყოს პროგრესული გადასახადი. ამ მიმართულებით რეფორმები მიმდინარეობს მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიის მაგალითზე მსჯელობენ, სადაც პროგრესულმა გადასახადმა გაამართლა და ეკონომიკის განვითარებას შეუწყო ხელი (კეინსიანური, რედისტრიბუციული მიდგომა). ეს გადასახადი სოციალურადაც სამართლიანია. მაგრამ, თუ მთლიანად სისტემას არ შევეხებით, პრიორიტეტები უნდა განვსაზღვროთ და შედეგი არც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის იქნება საფრთხის შემცველი.

მოგების გადასახადის დივიდენდებზე გადასახადით ჩანაცვლებაზე საუბრობს „ნაციონალური მოძრაობაც" პარტიის მიერ ახლახან გამოქვეყნებულ ანტიკრიზისულ პროგრამაში. დოკუმენტში ასევე განხილულია სხვა აქტუალური ეკონომიკური თემები. თუ გაეცანით ამ პროგრამას და როგორ შეაფასებდით მას?

– დოკუმენტს არ გავცნობილვარ, თუმცა, ზოგადად, ვიცი მათი

პოზიცია ეკონომიკურ საკითხებზე. ისინი ამბობენ, რომ ყველაფერი უნდა გავალიბერალურროთ, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა მინიმალური უნდა იყოს და ეს მოგვცემს ეფექტს. იტორიულმა გამოცდილებამ კი აჩვენა, რომ ეს პოლიტიკა შედეგს არ იძლევა. მაქსიმალური ლიბერალიზმი არ ნიშნავს მაქსიმალურ ეფექტურობას და მითუმეტეს კეთილდღეობას. ასეთი მიდგომა იწვევს ძლიერების მეტად გაძლიერებას და სუსტების მეტად შესუსტებას, რომ არაფერი ვთქვათ სვხა სოციალურ-ეკოლოგიურ და უსაფრთხოების საკითხებზე. როგორც იყო წინა დეკადებში. ბაზრის უხილავი ხელით ეკონომიკა სათანადოდ ვერ განვითარდება. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზანი ეკონომიკის განვითარების კუთხით, უნდა ჩაერიოს რიგ საკითხებში და გარკვეული პოლიტიკები და შესაბამისი სტიმულებიც უნდა გამოიყენოს.

„ნაციონალები“ ანტიკრიზისულ პროგრამაში ასევე საუბრობენ თამბაქოზე, გაზზე, საწვავასა და ალკოჰოლზე აქციზის გაუქმების საკითხზე. ამ ინიციატივაზე რას ფიქრობთ?

–აბსოლუტურად მიუღებელია. ეს არის პროდუქტები, რომელთა მოხმარებაც უნდა შეიზღუდოს. ამიტომაც აქვს დაწესებული მთელს მსოფლიოს ამ პროდუქტებზე გადასახადები. მაგალითად, თამბაქო, მავნეა ჯანმრთელობისთვის და მიზანშეუწონელია მისი მოხმარების წახალისება. იგივე ითქმის საწვავზეც. მისი მოხმარება უნდა შეიზღუდოს, რომ ეკოლოგიური და ჯანმრთელობის პრობლემები არ გამოიწვიოს. იგივე „სამოდელო“ ესტონეთში ოქმედებს აქციზური გადასახადი ელექტროენერგიის მოხმარებაზე. შესაბამისად, ასეთ პროდუქტებზე აქციზის გაუქმება უპასუხისმგებლო მოთხოვნაა.

„ნაციონალური მოძრაობა“ საშემოსავლო გადასახადი 15%–მდე შემცირების საკითხზეც საუბრობს. ბოლო ორი წლის განმავლობაში მთავრობა საშემოსავლო გადასახადის შემცირების ნაცვლად დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების გზას ირჩევდა. დღეს შესაძლებელია ამ საკითხის გადაჭრა?

– ვფიქრობ, ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება პროგრესული საშემოსავლო გადასახადის დაწესება. რაც ნიშნავს იმას, რომ ვისაც შემოსავალი ნაკლები აქვს, იხდის ნაკლებს. გადასახადის ზომა პროგრესულად იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად.

მაგალითად, გერმანიაში ქორწინებაში მყოფი პირის მიერ გამომუშავებული პირველი 8260 ევრო თავისუფალია გადასახდისაგან, ამაზე მაღალი რაოდენობები კი უკვე იბეგრება საშემოსავლო გადასახადით-იწყება 18,9 %-ით და ადის 45%-მდე, როცა დაქორ-

წინებულის შემოსავალი აჭარბებს 501 462 ევროს.

ავსტრალიას აქვს პროგრესული საშემოსავლო გადასახადის შემდეგი განაკვეთები:0% -წელიწადში მიღებულ 18200 ავსტრალიურ დოლარამდე; 19%- $18201-დან $37000-მდე; 32,5% -$37001-დან-$80000-მდე; 37%-$80 001-დან-$180 000-მდე; და 45%-ით იბეგრება შემოსავალი თუ ის აღემატება $180000-ს.

მაგალითად, ბრიტანეთში, თუ პირს აქვს 150 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი სახელფასო შემოსავალი, იბეგრება 45%–ით და ა.შ.

ჩვენთან დღეს უმაღლესი შემოსავლების მქონეთა 5% იღებს 70–ჯერ მეტს, ვიდრე უდაბლესი შემოსავლის მქონეთა 5%. ეს კატასტროფული უთანაბრობის მაჩვენებელია. ზოგადად, კი ჯინის კოეფიციენტი (ანუ შემოსავლების თანაბრობის მაჩვენებელი) ჩვენთან 40%–ზე მეტია, განვითარებულ ქვეყნებში კი 30%–ის ფარგლებშია. ე.ი. საჭიროა გადანაწილებითი საგადასახადო პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური მიზანშეწონილობით.

ამ ყველაფერს სჭირდება ანალიზი და ანალიზის შედგად პროგრესული საშემოსავლო სისტემის შემოღება. ზოგი შემოსავალი სრულად უნდა გათავისუფლდეს, გარკვეული ოდენობის ფარგლებში 20%–ით დაიბეგროს და ა.შ.,რაღაც ზღვარის შემდეგ კი 50%–ით ან მეტითაც კი შეიძლება დაბეგვრა. დაბეგვრის ნორმები და განაკვეთები განისაზღვრება ასევე შემოსავლის წყაროებიდან გამომდინარეც (ხელფასი, დივიდენდი, კაპიტალი და სხვ).ჩვენ შემთხვევაში კონკრეტულ ნორმებსა და რიცხვებზე საუბარი მხოლოდ საკითხის ღრმად გაანალიზების შემდეგ შეიძლება, რისი კვლევაც აუცილებელია მალე დაიწყოს.

მადლენა მაჭარაშვილი

მდგრადი განვითარება

1989

თემა, რომელიც თითქმის 30 წლის წინ წამოიჭრა ისევ აქტუალურია, და აქ დასმული საკითხები ბევრისთვის სამწუხაროდ ისევ გაუგებარი. ჩემი პირველი სტატია „სერიოზულ“ პრესაში – გაზ. თბილისში (რედაქტორი ა. გოგელია) გამოქვეყნდა რუბრიკით „მოსაზრება“ (იხ. რედაქციის მინაწერი). ეკონომისტების აბსოლუტური უმრავლესობის საწინააღმდეგოდ, პუბლიკაცია პროექტის უარყოფითად შეფასების ეკონომიკური დასაბუთეთების მცდელობაა. ამ სტატიით გავხდი მწვანეთა აქტივისტი. სწორედ ხუდონჰესის პროექტის საპროტესტო კამპანიის ფონზე გაძლიერდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა.

თბილისი, 1 თებერვალი, 1989

დეფიციტი თუ ეკოციდი?

იყო დრო, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე არავინ დაობდა. დღეს ამ პრობლემაზე ბევრს ვლაპარაკობთ, თანაც

ძირითადად ყურადღებას ვამახვილებთ საკითხის ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ ასპექტებზე. ვითარება ისეა დახატული, თითქოს მშენებლობის ენერგეტიკული და ეკონომიკური მიზანშეწონილობა ეჭვს არ იწვევდეს. ამის დასტურად ასახელებენ ციფრებს: რესპუბლიკის ელექტროსადგურები ამჟამად აწარმოებენ 14,5 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, ფაქტობრივი მოთხოვნილება კი 18,2 მილიარდია. დეფიციტი შეადგენს დაახლოებით 3,7 მილიარდ კილოვატსაათს. იქვე ასაბუთებენ, რომ ჰიდროელექტროენერგია უფრო იაფია, ვიდრე თბოელექტროენერგია, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპის გაძლიერება წარმოუდგენელია მტკიცე ენერგეტიკული ბაზის გარეშე და სხვა.

მაგრამ, ალბათ, საჭიროა უფრო ნათლად გაირკვეს, როგორია რეალური ვითარება და, მეორეც, როგორია სამომავლო პოტენციური შესაძლებლობები ამ მხრივ. უპირველესად კი საჭიროა ვიცოდეთ, რაში ვხარჯავთ და როგორ ვხარჯავთ არსებულ ელექტრორესურსებს?

ავიღოთ თუნდაც 1986 წლის ელექტრობალანსი. ამ წელიწადს რესპუბლიკის გარედან მივიღეთ 3,9 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, საერთო სარგებლობის ქსელში კი დავკარგეთ 2,6 მილიარდი კილოვატსაათი ანუ წარმოებულის 17,7 პროცენტი. ეს რაოდენობა, ალბათ, მთლიანად დააკმაყოფილებდა, მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, რომელიც ჩვენთან ელექტრო-ენერგიის ყველაზე დიდი მომხმარებელია. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გავიდა 1,1 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. გამოდის, რომ დეფიციტმა შეადგინა 2,8 მილიარდი კილოვატსაათი, თუ მოთხოვნილებად ჩავთვლით რესპუბლიკაში მოხმარებულ ენერგიას და არა წარმოებულისა და შემოტანილის ჯამს. საგულისხმოა, რომ ფინეთში ზემოაღნიშნული დანაკარგების მაჩვენებელი 5 პროცენტს არ აღემატება. ჩვენთან დანაკარგები 10 პროცენტი მაინც რომ ყოფილი, იმავე 1986 წელს დამატებით შევინარჩუნებდით 1 მილიარდზე მეტ კილოვატსაათს, ანუ დეფიციტის 35 პროცენტს.

როგორია ჰიდროენერგიის ღირებულება? ძნელი სათქმელია. დიდ ჰიდროელექტროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულების გასაანგარიშებელი მეთოდიკა ხომ პრაქტიკულად არ ითვალისწიენბს გარდაუვალ ეკოლოგიურ დანაკარგებს (მაგალითად, ენგურჰესის შემთხვევაში – ზღვის სანაპიროსადმი მიყენებულ ზიანს). სათანადოდ უნდა შეფასდეს თევზის მეურნეობისადმი მიყენებული ზარალიც, დატბორილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, საცხოვ-

რებლის, გზების, ტყეების და სხვა კულტურულ-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების ღირებულებაც.

საერთოდ, ელექტრომოხმარების პრობლემებზე, მის პერსპექტივებზე მსჯელობა არ შეიძლება ამ საკითხისადმი კომპლექსური, სისტემური მიდგომის გარეშე. უპირველესად მხედველობაში გვაქვს, ჩვენი შეხედულებით, რესპუბლიკისათვის შეუფერებელი დარგობრივი სტრუქტურა და ეგრეთ წოდებული მხარჯველობითი ეკონომიკის არსებული მექანიზმი, ენერგოტევადი დარგებისა და ენერგომხარჯველი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ენერგოდამზოგველი დარგებითა და ტექნოლოგიებით შეცვლის პერსპექტივები, რაც ეკონომიკის ინტენსიური გზით განვითარების სტრატეგიული კურსის განხორციელების მძლავრი ფაქტორია. საბჭოთა კავშირში თუჯის დნობაზე, ნაგლინისა და მეტალების აირხურებაზე სათბობის დანახარჯები 2-3-ჯერ მეტია მსოფლიო პრაქტიკისათვის დამახასიათებელ მაჩვენებლებზე. როგორც აღნიშნავენ, სათბობის ხარჯვის შემცირების შესაძლებლობა მრავალი ტექნოლოგიური პროცესისათვის შეადგენს მისი ფაქტობრივი მოხმარების 20-დან 80 პროცენტს. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ისეთმა მაღალგანვითარებულმა ქვეყანამ, როგორიც დანიაა (მოსახლეობაც დაახლოებით იმდენია, რამდენიც საქართველოში)1983 წელს მრეწველობას მოახმარა 5,5 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, მაშინ როცა ჩვენ 1986 წელს მრეწველობაში მოვიხმარეთ 8,2 მილიარდი.

ცნობილია, რომ 70-იანი წლების ენერგეტიკულმა კრიზისმა აიძულა დასავლეთის ეკონომიკა, რეაგირება მოეხდინა თითქოსდა გარდაუვალ მოსალოდნელ კატასტროფაზე კერძოდ, თხუთმეტი წლის განმავ-ლობაში ისეთი განმაზოგადებელი მაჩვენებელი, როგორიცაა ეროვნული ეშმოსავლის ერთეულზე სათბობისა და ენერგიის ხარჯვა, 70-78 პროცენტით შემცირდა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ისედაც ინტენსიური ეკონომიკის პირობებში 1980-85 წლებში ერთობლივი ნაციონალური პროდუქტის ენერგოტევადობა შემცირდა მთელი 12,5 პროცენტით. იმავე პერიოდში საქართველოს ეროვნული შემოსავლის ელექტროენერგოტევადობა გაიზარდა 10,6 პროცენტით.

უეჭველია, შესაფერისი ეკონომიკური მექანიზმით ჩამოყალიბების შემთხვევაში (საითკენაც სვლა ობიექტური აუცილებლობაა), ჩვენთან აღნიშნული მაჩვენებელი არანაკლებ შემცირდებოდა. ვფიქრობთ, ისეთი ეკონომიკური ბერკეტების სათანადოდ ამოქმედება, როგორიცაა ტარიფების გადასახადთა და შეღავათთა სისტემა, სტანდარტები და საკანონმდებლო აქტები, კონკურენცია სტიმულს მისცემს ენერგოდა-

ზოგვით ღონისძიებებს და მინიმუმამდე დაიყვანს უყაირათობას. მაგალითად, შესაძლებელია გადასახადის შემოღება დაძველებული ენერგიის მხარჯველი მოწყობილობებისთვის და, პირიქით, უპროცენტო სესხის, დოტაციის მიცემა ეკონომიური ტექნიკის შეძენის ან წარმოების რეკონსტრუქციის შემთხვევებში. ასეთი ღონისძიებები სახელმწიფოსაგან ფაქტიურად არავითარ ან მცირე ხარჯებს მოითხოვენ.

გარკვეული შინაგანი რეზერვებია თვით არსებული ენერგეტიკული სიმძლავრეების უკეთ ამოქმედებაშიც. დღეისათვის საბჭოთა კავშირში მაღალ მაჩვენებლად ითვლება ელექტროსადგურთა პოტენციური სიმძლავრის 80 პროცენტით გამოყენება (საშუალო 50-60 პროცენტი), მაშინ როდესაც თბოელექტროსადგურების მოქმედ მოწყობილობათა სამუშაო სიმძლავრის 1 მლნ. კილოვატით ამაღლება შეესაბამება 300 მლნ. მანეთ კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიას, ანუ 45მლნ. მანეთის სახალხო-სამეურნეო ეფექტს წელიწადში. შევნიშნავთ, რომ ხულონჰესის საპროექტო ღირებულება შეადგენს 463,4 მლნ. მანეთს, სიმძლავრე – 710 ათას კილოვატს. ზოგიერთი შეფასებით, სამუშაო სიმძლავრეების უკეთ გამოყენების შედეგად, მარტო თბოელექტროსადგურებიდან სსრ კავშირში 1989 წელს შესაძლებელია მივიღოთ დამატებით 65,1 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

მდგომარეობის გაუმჯობესების დიდი რეზერვია ენერგოსისტემის საწარმოთა დროული გადასვლა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, რაც მრავალ ბერკეტს აამოქმედებს. ელექტროსადგურთა მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობების რეკონსტრუქცია და გადაიარაღებაც გარკვეულ შედეგებს მოგვცემს – გაზრდის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

დიდი შესაძლებლობები იმალება დამატებითი ელექტროენერგიის მიღების ისეთ პერსპექტიულ, იაფ და ეკოლოგიურად უსაფრთხო წყაროებში, როგორიცაა მცირე ჰიდროელექტროსადგურები, ქარის ელექტროსადგურები, მზისა და ზღვის ენერგიის გეოთერმული ენერგიის, მეორეული ენერგეტიკული რესურსების გამოყენება და სხვა. ამის საუკეთესო მაგალითია ყირიმში ამოქმედებული მზის ელექტროსადგურების პირველი რიგი, რომლის საპროექტო სიმძლავრე 5000 კილოვატია. ჩვენში პერსპექტიულად თვლიან განსაკუთრებით მთაგორიან რაიონებში ქარის ელექტროსადგურებს. დიდ იმედებს ამყარებენ ახალ მიმართულებაზე ქარის ენერგეტიკაში – შექმნილია კომპაქტური და იაფი მიკრომოდულური აგრეგატები. აღარაფერს ვამბობთ მცირე ჰიდროელექტროსადგურებზე, რომლებსაც ერთ-ერთი

გაანგარიშებით პერსპექტივაში შეუძლიათ გამოიმუშაონ 15 მილიარდი კილოვატსაათი ენერგია, ანუ მეტი, ვიდრე ამჟამად ყველა მოქმედი ელექტროსადგური იძლევა. ამ მიმართულებებით მუშაობა რატომღაც ჩრდილშია მოქცეული და პრაქტიკულად წინ ვერ მიდის.

თუ ზემოთ ჩამოთვლილ რეზერვებსა და შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, საქართველოს ელექტროენერგეტიკა არც ისე უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდება. ეს განსაკუთრებით ითქმის ჰიდროენერგეტიკაზე. კერძოდ, თუ სსრ კავშირში ელექტროენერგიის წარმოების სტრუქტურაში ჰესების წილი სტაბილური ხდება და 1990 წელს 13,2 პროცენტი უნდა შეადგინოს, საქართველოში იგივე მაჩვენებელი 41,5 პროცენტია. მართალია, ჩვენთან ერთ სულ მოსახლეზე იწარმოება 48,6 პროცენტით ნაკლები ელექტროენერგია, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში, მაგრამ ჩვენი ეკონომიკის სტრუქტურის, მართვის მექანიზმისა და პერსპექტივების გათვალისწინების შემთხვევაში, არც ეს უნდა მოგვეჩვენოს საგანგაშოდ. ამასთან არც კლიმატურ-გეოგრაფიული ფაქტორი უნდა დავივიწყოთ – საქართველოს ტერიტორიაზე ხომ საქართველოს ტერიტორიაზე ხომ სულ სამ-ოთხ თვეს გრძელდება ზამთარი. ისიც ფაქტია, რომ ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში მეტი ელექტროენერგია იწარმოება, ვიდრე უნგრეთში, ირანში, თურქეთში, კუბაში და სხვაგან.

ახლა საკუთრივ ხუდონჰესზე პროექტის მიხედვით მან წელიწადში უნდა მოგვცეს 700 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. შევნიშნავთ, რომ მარტო რუსთავის საწარმოო გაერთიანება "აზოტი" წელიწადში ხარჯავს 820,9 მილიონ კილოვატსაათს, რომ არაფერი ვთქვათ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაზე, რომელმაც 1987 წელს 2,016 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია მოიხმარა. დასახელებული ჰესის ასაშენებლად გათვალისწინებულია 436,3 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდებები. მარტო ეს? მისთვის უნდა გამოიყოს 955 ჰექტარი მიწის ფართობი, რაც ჩვენი ისედაც მცირემიწიანი რესპუბლიკისათვის, მით უმეტეს სვანეთისათვის, არცთუ ცოტას ნიშნავს. აბა წარმოიდგინეთ, უნდა დაიტბოროს სახნავი მიწები, ხეხილის ბაღები, საკარმიდამოები, ტყეები, სამრეწველო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები, დასახლებული პუნქტები, აიყაროს ოჯახები, დაიხარჯოს მილიონობით თანხები.

ეკოლოგიურ პრობლემებსა და მასთან დაკავშირებულ ხარჯებზე დაუსრულებლად შეიძლება ვილაპარაკოთ, მაგრამ მე მხოლოდ კომონერის ეკოლოგიის მეოთხე კანონს შეგახსენებთ, რომელიც

გვაფრთხილებს: „არაფერი გვეძლევა მუქთად!". აქვე მახსენდება ფრანგი მეცნიერის სენ-მარკის ბრძნული შეგონებაც: „ქონებაზე ორიენტირება შევცვალოთ ყოფნაზე ორიენტირებით".

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, გონივრული იქნება, სანამ დავსვამდეთ კითხვას – „ვაშენოთ თუ არა ხუდონჰესი"? არ დაგვავიწყდეს პასუხის გაცემა უფრო მთავარზე – გვჭირდება თუ არა ხუდონის მსგავსი ჰესები?

დათო ადეიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ეკოლოგიური
ასოციაციის გამგეობის წევრი

რედაქტორისაგან: *ავტორი ბევრ საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამს, რომლებიც რესპუბლიკის ენერგორესურსების უკეთ გამოყენების პრობლემებს შეეხება. რედაქცია ცხადია, ვერ გადაწყვეტს, რამდენად სწორია ამ პრობლემების გადაჭრის გზები, ამიტომაც ვთხოვთ სპეციალისტებს, წერილში დასმული საკითხების ირგვლივ მოგვაწოდონ თავიანთი მოსაზრებანი, შენიშვნები, წინადადებები.*

1990

დღეს, ჩვენი პლანეტის კლიმატური და სხვა ეკოლოგიური ცვლილებების კატასტროფული მასშტაბების წინაშე მყოფ მსოფლიოში აქტუალურია მწვანე ზრდის (Green grouth), ეკონომიკის გამწვანების (Greening economy) დისკურსი. მაშინ ამგვარი ტერმინოლოგია არათუ საქართველოში, მსოფლიოშიც იშვიათად გაისმოდა. ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ საქართველოში ცნობიერება რადიკალურად შეიცვალა. არადა იმ დროიდან მცირე ძალისხმევა მაინც რომ ყოფილიყო ამ მიმართულებით, ახლა საკმაოდ დაწინაურებულები ვიქნებოდით და საქმეც უკეთ იქნებოდა. სამწუხაროდ, „მწვანე ოცნება“ ოცნებად დარჩა, თუმცა იმედის ნაპერწკალივით გაიჟღერა 2018 წელს, ზაფხულში, „ქართული ოცნების“ ახალი და ახალგაზრდა პრემიერმინისტრის, მამუკა ბახტაძის განცხადებამ მწვანე ეკონომიკის პრიორიტეტულობის შესახებ, მაგრამ ამაზე მოგვიანებით... (იხ. გვ. 243)

დედამიწა, 30.09.1990, N 9;
European.ge 30.12.2011

მწვანე ეკონომიკური დოქტრინისთვის (თეზისები)

ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს განვითარებაზე ხედვები პირველ პოსტსაბჭოთა საარჩევნო კამპანიის დროს (1990 წ). გთავაზობთ საარჩევნო ბლოკ „თავისუფლებაში“ შემავალ „მწვანეთა“ პარტიის ერთ–ერთი ლიდერის დავით ადეიშვილის (დღეს „სოციალ–დემოკრატების“ წევრი) წინასაარჩევნო საპროგრამო „თეზისებს მწვანე ეკონომიკური დოქტრინისათვის“ (გაზ. „დედამიწა“, 1990, 30 სექტ.). ჩვენის აზრით (მემარცხენე–ცენტრისტული თვალთახედვით) ამ ტექსტის ბევრი დებულება დღესაც აქტუალურია [European.ge 30.12.2011].

დავით ადეიშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ

დოცენტი. დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით, შემდეგ - ასპირანტურა. მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრაზე. არის მწვანეთა პარტიის წევრი. საქართველოს მწვანეთა მოძრაობაში ხელმძღვანელობს ეკონომიკურ ბიუროს. 31 წლისაა. [გაზ. „დედამიწა“]

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა ვერ იქნება მყარი, მიზანმიმართული, ძლიერი და წარმატებული, თუ არ გვექნება ჩვენი იდეოლოგია - იდეათა, შეხედულებათა მწყობრი სისტემა ადამიანური და საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს საკითხებზე.

ეკოლოგიური პრობლემები, ეკოლოგიური თემა დღეს თითქოს ყველასთვის ნათელია და მოდურიც კია. ახლა თითქმის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას აქვს სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ეკოლოგიურ საკითხებზე მუშაობს, ყველას აქვს თავის პროგრამაში ეკოლოგიური ქვეპროგრამა და ა.შ. ჩვენი მიდგომა უნდა განსხვავდებოდეს ასეთი „დამატებითი“ მიდგომისაგან. ჩვენ მთლიანობაში „მწვანედ“ რომ გამოვიყურებოდეთ, „მწვანედ“ უნდა ვუყურებდეთ კიდეც მთლიანობას.

მწვანეთა პარტიას, საქართველოს მწვანეებს გარკვეულ თეორიულ დონეზე გააზრებული უნდა ჰქონდეს ის იდეალური მდგომარეობა, მოდელი, რომლისკენაც მიისწრაფვის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და კერძოდ ეკონომიკაში. მხოლოდ თეორიული ცოდნისა და კონცეპტუალური წარმოდგენის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მიზანდასახული, დამაჯერებელი, შორსგამიზნული მოქმედება ისევე, როგორც კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება ყოველ მოცემულ პრობლემაზე. ამდენად აუცილებელია, მიახლოებით შემუშავდეს შეხედულებათა სისტემა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, რომელიც საფუძვლად დაედება მწვანე ეკონომიკურ დოქტრინას. დოქტრინა კი სახელმძღვანელო იქნება ეკონომიკური კანონპროექტების და პროგრამების შემუშავებისთვის, კრიტერიუმებისა და მიდგომების ჩამოსაყალიბებლად კონკრეტული გადაწყვეტილებებისთვის, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას მოგვცემს გავატაროთ მწვანე ეკონომიკური პოლიტიკა.

საქართველოს მწვანე ეკონომიკური დოქტრინა უნდა შემუშავდეს იმ თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, რაც დღევანდელ მსოფლიო ეკოლოგიურ-ეკონომიკურ აზროვნებასა

და რეალობას ახასიათებს, რისკენაც მიისწრაფვის მსოფლიო მწვანეთა მოძრაობა. ამასთან, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკური ურთიერთობების მაქსიმალური ადაპტაცია ჩვენს რეალობასთან, ბუნებასთან, ტრადიციებთან, კულტურასთან, ფსიქოლოგიასთან, რადგანაც მწვანე მოძრაობა თავისი არსით უაღრესად ინტერნაციონალურია, რომლის საწყისს, საფუძველს, სწორედ ჭეშმარიტი ეროვნულობა უნდა წარმოადგენდეს. ნაციონალურობა მწვანე მსოფლმხედველობის იმანენტურ მახასიათებლებად, პრაქტიკულ მოქმედებაში კი ურთიერთშემავსებელ სასიცოცხლო აუცილებლობად მიმაჩნია.

როგორია დღევანდელი ინდუსტრიული საზოგადოების გენეზისი და საით მივყავართ მას?

მწვანეები და არა მარტო მწვანეები თვლიან, რომ რენესანსის პერიოდიდან, დასავლეთის საზოგადოება „ღმერთის მიერ მოცემულ ღირებულებებს“ ცვლის ბუნების მექანიკურ-მატერიალისტური გაგებით (ნიუტონი, ბეკონი, ლოკი, დეკარტი და სხვა). კარტეზიანელობამ გამოაცხადა, რომ ცოდნა მიზანს მიაღწევს, თუ მეცნიერება შესძლებს, გააძლიეროს ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე. მაგალითად, ბეკონის პოლიტიკური მრწამსი აისახა „ახალ ატლანტიდაში“ (1617 წ.). იგი ხატავს ეკონომიკურად აყვავებული დეალურ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრება ორგანიზებულია მაღალგანვითარებული ტექნიკის რაციონალურ საფუძველზე. კარტეზიანული მსოფლგაგებით (უტილიტარული სოციალური მექანიკა ლოკისა და სმიტისა) - ადამიანთა ცხოვრება დაიყვანება ხარბ ეგოიზმზე, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად წარმოებაზე და მოხმარებაზე, უსაზღვრო მატერიალურ დაუსრულებლობაზე. ადამიანის აქტიურობის ბაზისად კი აღიარებულია მატერიალური დაინტერესება. პროგრესის ასეთმა მექანისტურმა, წრფივმა გაგებამ შექმნა ფილოსოფიური საფუძვლები თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისა და თანამედროვე მწარმოებელი და მომხმარებელი ინდივიდისა (ჰომოფაბერ, ეკონომიკმენ).

როგორ ვითარდება დღევანდელი მსოფლიო, რა პრობლემების წინაშე დგას იგი ეკოლოგიურ-ეკონომიკური თვალსაზრისით?

დასავლური ინდუსტრიული ცივილიზაციის განვითარება, რომელიც განმსაზღვრელია დანარჩენი მსოფლიოს მდგომარეობისა, თანდათან უახლოვდება კრიტიკულ ზღვარს. დედამიწის გამტარუნარიანობა იწურება - უკონტროლო, მომხმარებლური ზემოქმედების შედეგად საგრძნობლად შეირყა პლანეტის (და ამდენად ადამიანის) სასიცოცხლო

პარამეტრები. ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გარემო (ჰაერი, მიწა, წყალი) არა მარტო გაჭუჭყიანებულია, არამედ იცვლება პლანეტის ისეთი ფიზიკური მახასიათებლები, როგორებიც არის კლიმატი, ლანდშაფტი დასხვა. კაცობრიობა გლობალური ეკოლოგიური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. ეკოლოგიური კრიზისი კი თავის მხრივ შეაფერხებს ან სულაც შეუძლებელს გახდის ეკონომიკურ განვითარებას, რადგან ეკონომიკა ეკოსფეროს, გარემოს ინტეგრალური ელემენტია და მათი განცალკევებულად განხილვა დამღუპველი შეცდომაა.

ეკოლოგიურ და ეკონომიკურ კრიზისს აღრმავებს ის დისბალანსი, არაპროპორციულობა და უთანაბრობა, რომელიც ცნობილია „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ დაპირისპირებით, რაც გამოიხატება სამხრეთის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობით და დემოგრაფიული აფეთქების ტენდენციით. ჩამორჩენილობა და სიღარიბე (დავალიანება) ხელს უწყობს ქვეყნის „გაჭუჭყიანებას“ (გარემოს დაბინძურება და რესურსების გამოლევა). სამხრეთის ჩამორჩენილობა („გაჭუჭყიანება“), რაც ნაწილობრივ ჩრდილოეთის მისადმი გამოკიდებულებითაცაა განპირობებული, თავის მხრივ შემაფერხებელი ფაქტორი გახდება ჩრდილოეთის და საერთოდ განვითარებისა (ნედლეულის გამოლევა, ტროპიკული ტყეების განადგურება, ეკოლოგიური ლტოლვილებისა და უმუშევრების დაძვრა ჩრდილოეთით და სხვა). ანალოგიურად, განვითარების უთანაბრობის ასპექტით უნდა განიხილებოდეს აგრეთვე პრობლემა „დასავლეთი-აღმოსავლეთი“.

ყოველივე ზემოთქმული აიძულებს მოაზროვნე მსოფლიოს, ახლებურად, სხვაგვარად შეხედოს განვითარების, პროგრესის საკითხებს, ეკოლოგიური საკითხები აყვანილია საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის რანგში. ყალიბდება საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მოწოდებულნი არიან, დასახონ მსოფლიოს განვითარების პერსპექტივები და პრაქტიკულად იზრუნონ მათ განხორციელებაზე (რომის კლუბი, გაეროსთან არსებული გარემოს დაცვისა და განვითარების კომისია (WCED), რეკონსტრუქცია-განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD, იგივე მსოფლიო ბანკი), საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA), საერთაშორისო სავალუტოფონდი (IMF) დასხვ.).

იქმნება თეორიები, კონცეფციები, მიდგომები - მდგრადი განვითარება, ალტერნატიული განვითარება, მესამე გზის ეკონომიკა, მწვანე ეკონომიკა და სხვა. (ამ თეორიების წინაპრად მე მალთუსიანელობა მიმაჩნია), მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ეს ჯერჯერობით

ჩანასახის მდგომარეობაშია, ჩამოუყალიბებელია, ჩვენთვის კი - ძნელად მისაწვდომი.

ისტორიამ, ცხოვრებამ დაადასტურა, რომ თავისუფალი ბაზარი (სუფთა სახით იგი არასდროს არსებულა და არც ახლა არსებობს) თავისთავად ვერ შექმნის ამ იდეალურ ვითარებას - ღირებულებათა იმ ერთობლიობის რეალიზებას, რისკენაც საზოგადოება უნდა ისწრაფვოდეს და რაც შეიძლება პროგრესად ჩაითვალოს (ღმერთი „არ ერევა“ ბაზრის კანონებში - ბაზარი უღმერთო სისტემაა). პირიქით, მომხმარებლურ-ინდუსტრიულ საზოგადოებას, რომლის მარეალიზებელიცაა თავისუფალი ბაზრის ელემენტები, მივყავართ გლობალური ეკოლოგიური კატასტროფისაკენ. ბაზრის კანონები თავისთავად ვერ მუშაობენ ბუნების დასაცავად, პროგრესისთვის (არატრადიციული გაგებით), რადგან ბაზარში მომხმარებელია მთავარი ფიგურა, მასზეა ორიენტირებული ბაზარი (მარკეტინგი). მომხმარებელს (მეშჩანს) კი არ შეიძლება, დაეკისროს განვითარების წარმართვა. მან, როგორც დავინახეთ, ვერ გამოიჩინა Homo Sapience-თვის შესაფერისი კეთილგონიერება.

ამიტომ სახელმწიფომ უნდა იკისროს იმ მიმართულებების, სტრატეგიების განსაზღვრა და რეგულირება, რისკენაც უნდა ისწრაფვოდეს საზოგადოება და ვითარდებოდეს ეკონომიკა. ეკონომიკაში, ბაზრის კანონებში ჩარევა მეტ-ნაკლებად ყველა სახელმწიფოში ხდებოდა და ხდება სხვადასხვა დოზით. მწვანეებს, როგორც არატრადიციული, ალტერნატიული განვითარების მომხრეებს, გასაგებია, რომ უფრო მკვეთრი ჩარევა დასჭირდებათ ეკონომიკურ ცხოვრებაში თავისი პოლიტიკის გატარებისათვის, ვიდრე, ვთქვათ, ლიბერალებს ან კონსერვატორებს, მაგრამ არა ისე, იმ მეთოდებით, როგორც ამას კომუნისტები აკეთებდნენ (ვოლუნტარისტულად და ავანტიურისტულად). ჩვენ იმიტომ ვერევით ბაზრის კანონებში, რომ არ ჩავერიოთ ბუნების კანონებში. უფრო ზუსტად, ჩვენ იძულებული ვართ, ჩავერიოთ ბაზრის კანონებში, რათა შევზღუდოთ ჩარევა ბუნების წესრიგში. ეკონომიკაში სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის შესახებ ჩვენი მიდგომის სისწორის დამადასტურებელი არგუმენტებია: არსებული ინერცია (ტრადიცია) და საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობა, მისი ფაქტიური მდგომარეობის განვითარებადი ქვეყნების სტატუსთან შესაბამისობა, მით უმეტეს, თუ გვინდა, რომ ჩვენი განვითარება ,,მწვანე გზით“ წავიდეს.

ჩვენი იდეალია ბაზარზე ორიენტირებული მწვანე ეკონომიკა, ანუ

მწვანედ რეგულირებადი ბაზარი. რასაკვირველია, ჩვენ ვერ დავიწყებთ ახალი ეკონომიკური და სოციალური რეგულატორების გამოგონებას, გამოვიყენებთ სწორედ ბაზრის რეგულატორებს, ყოველმხრივ გავითვალისწინებთ ბაზრის კანონებს და ამის საშუალებით აქცენტები გაკეთდება სასურველი მიმართულებით. მაგრამ ამისთვის საჭიროა მიმართულებების სწორად განსაზღვრა, ანუ იმ მიზნების, ღირებულებების, ფასეულობების კარგად გაცნობიერება როგორც ჩვენთვის, ისე ხალხისთვის, რისკენაც ვისწრაფვით. ამის საფუძველზე კი უნდა ჩამოყალიბდეს კრიტერიუმების, მიდგომების, შეფასებების სისტემა.

აუცილებელია, ახლებურად (მწვანედ) იქნას გააზრებული ისეთი კატეგორიები და ცნებები, როგორებიცაა: კულტურა, პროგრესი, ცივილიზაცია, განვითარება, ღირებულებები და ფასეულობები, სიმდიდრე, ფუფუნება, ღირებულებათა შორის უპირატესობა (ღირებულებრივი ორიენტაციები), ცხოვრების წესი.

პოლიტეკონომიურად მწვანე მიდგომით უნდა განიმარტოს: მოხმარება, მომხმარებელი, ბაზარი, ღირებულება, სარგებლიანობა, ფასი, ხარისხი, ეროვნული სიმდიდრე, ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, ზრდა, წონასწორობა (მდგრადობა), აუცილებელი საჭიროებები, დანახარჯები-შედეგები, ეფექტი-ეფექტიანობა, ოპტიმალობა დასხვა.

შემუშავდეს შესაბამისი მაჩვენებლები სხვადასხვა დონეზე (რაოდენობრივ-თვისებრივი), უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს ამ კატეგორიების გაგება და მოქმედება როგორც საბჭოთა რეჟიმის დროს, ისე დღევანდელი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სინამდვილეში და უნდა მოხდეს მწვანე ალტერნატივების შემოთავაზება-შემოყვანა. ჩვენ მიერ გასაანალიზებელია და დასამუშავებელი ისეთი საკითხები, როგორიცაა: ადამიანი - საზოგადოება - ტექნიკა - ბუნება, ეკონომიკა - ეკოლოგიის ურთიერთკავშირი, ეკონომიკა - ეროვნული ხასიათი (ფსიქიკა) და ცხოვრების წესი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით (რაც უაღრესად რთული პრობლემაა და, რასაკვირველია, არა მხოლოდ ეკონომისტების საქმე), უნდა შემუშავდეს საქართველოს ეკონომიკური მოწყობისა და განვითარების მწვანე ვარიანტი.

პრობლემების სირთულე იმაშიც მდგომარეობს, რომ ჩვენ (მხედველობაში მაქვს საქართველო) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, მიზნად ვისახავთ არა მხოლოდ ცენტრალიზებულად გეგმიანი (მბრძანებლურ-ადმინისტრაციული) ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე გადას-

ვლას, რაც თავისთავად რთული და უპრეცედენტოა, არამედ ფაქტიურად ნაციონალური ეკონომიკის თავიდან შექმნას (ნაციონალიზაცია პლუს ბაზისური სტრუქტურული ცვლილებები) გარე ფაქტორების ხელშემშლელ პირობებში (ბრძოლა სუვერენიტეტისათვის). ასეთ განუსაზღვრელ ვითარებაში მწვანეები მოწოდებულნი არიან, გაატარონ სხვებისაგან განსხვავებული მწვანე ეკონომიკური პოლიტიკა.

ერთი შეხედვით, გარდა ყოველმხრივ არახელსაყრელი ვითარებისა - ეკოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ინტელექტუალურ-კულტურული, თეორიული და ა.შ. არსებობს დადებითი ფაქტორებიც. საქართველოს მწვანეებმა უნდა წამოაყენონ მწვანე ეკონომიკურ ზონად გამოცხადების იდეა და იღვაწონ მისი განხორციელებისთვის.

გამოცხადებას თავისთავად ექნება დიდი პოლიტიკურ-პროპაგანდისტული, მე ვიტყოდი - საერთაშორისო მნიშვნელობა. უნდა შეიქმნას მწვანე სახელმწიფოს შენების ერთგვარი იმიჯი. ამით ჩვენ ფაქტობრივად უარს ვამბობთ ე.წ. დამწევ განვითარებაზე (რაც დასავლეთზე „ბრმა“ სწორებას გულისხმობს და რეალურად მესამე მსოფლიო ქვეყნების მდგომარეობაში გვაყენებს) და ვირჩევთ ალტერნატიული, თვითმყოფადი განვითარების გზას.

საქართველომ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში უნდა დაიმკვიდროს ეკოპროდუქციის (მწვანე პროდუქციის) მწარმოებლის და იმპორტიორ-ექსპორტიორის განსაკუთრებული ადგილი (იხ. ეკოსაქონლის ნუსხა).

ეს სტრატეგია ყველაზე უფრო მომგებიანი იქნება სწორედ ეკონომიკური თვალსაზრისით - მწვანე კაპიტალი მოგვცემს ახლო მომავალში ყველაზე დიდ დივიდენდებს (მწვანე კაპიტალში ვგულისხმობ როგორც შენარჩუნებულ ბუნებას - ეკოკაპიტალს, ისე ეკოპროდუქციის მწარმოებელ ფონდებს), რადგან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია და მომსახურება გახდება ყველაზე უფრო დეფიციტური და ხარისხიანი, შესაბამისად ძვირი და მომგებიანი. ამისთვის უნდა მოხდეს ჩვენი ეკონომიკის სტრუქტურის მკვეთრი ცვლილება - კონვერსია (ფართო გაგებით), შესაბამისი კადრებისა და ინსტიტუტების შექმნა-გადაკვალიფიცირება, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის, საგარეო ვაჭრობის მწვანე კრიტერიუმებით წარმართვა.

პირველ რიგში, უნდა შეფასდეს საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი, უნდა განისაზღვროს დარგობრივ-რეგიონული სტრუქტურის პრიორიტეტები, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის შექმნის ფუძემდებლური პრინციპები, ანუ განისაზღვროს, რით ვიარსებოთ, რა ვაკეთოთ და რა ურთიერთობებში ვიმუშაოთ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ამ მიმართულებით საჭიროა სამუშაოების ფორსირება. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წამოწყებას სჭირდება სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დაყენება დაწარმართვა. პოტენციალი, ეროვნული სიმდიდრე კომპლექსურად უნდა შეფასდეს და არ ჰქონდეს ცალმხრივი ხასიათი.

როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, საქართველოში სტრუქტურული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას პრიორიტეტები უნდა მიენიჭოს სოფლის მეურნეობას და მასთან დაკავშირებულ დარგებს - მეცნიერებას, მრეწველობას, ინფრასტრუქტურას. ესე იგი აგრო-სამრეწველო კომპლექსს - ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით (ამჟამინდელი აღრიცხვით აგრო-სამრეწველო კომპლექსის ხვედრითი წილი „სახალხო მეურნეობის მატერიალურ სფეროში“ შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება: ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი - 42%, ძირითადი საწარმოო ფონდები - 38,3%, დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნება - 48,3%. 1988 წლის მონაცემები).

აღნიშნული თეზისის სისწორის საფუძველს გვაძლევს საქართველოს უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობები, უძველესი და უახლესი ეკონომიკური ისტორია, ტრადიციები, გამოუყენებელი შესაძლებლობები და არა მხოლოდ ინტენსიური, არამედ ექსტენსიური მიმართულებებითაც. საბჭოთა იმპერიის ქვეყნების „ბაზრის“ დღევანდელი სტრუქტურა და სამომავლო პროგნოზები. ჩვენ უკვე გადავდგით კიდეც ნაბიჯები ამ მიმართულებით, მხედველობაში მაქვს ჩვენი „ბაზრის აქციები“ და მზადებაში მყოფი სამთავრობო დადგენილების პროექტი ე.წ. დამ-ზოგავი სოფლის მეურნეობის (ეკოლოგიურად სუფთა, მოუწამლავი) პროდუქტების წარმოების შესახებ მთლიანად საქართველოში და განსაკუთრებით მის ოთხ რაიონში. გარდა ამისა, აგრარულ სფეროზე დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკის სხვა დარგები და ცხოვრების სხვა სფეროები.

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა კრიზისულ მდგომარეობაშია, კრიტიკულ მიჯნაზეა დასული სოფლის კულტურის მემკვიდრეობითობა, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული განვითარება, რაზეც უნდა იყოს აგებული მთლიანად მწვანე ეკონომიკური სტრატეგია. იგი ვერ განხორციელდება, თუ კანონმდებლობით არ გადაწყდება საქართველოში მიწის საკითხი (მიწის საკუთრების და მფლობელობის

ფორმები და სტრუქტურა), თუ არ გატარდება საგლეხო რეფორმა.

აგრარული სექტორის საფუძველი და ძირითადი სამეურნეო რგოლი უნდა გახდეს თავისუფალი გლეხური მეურნეობა, არ გამოვრიცხავთ, რომ უალოეს მომავალში ზოგიერთ რეგიონშიკი რეკომენდებულიც გახდეს სოფლის მეურნეობის სხვა ორგანიზებული ფორმები (მაგ., სახელმწიფო მეურნეობები). უნდა აღინიშნოს, რომ გლეხური მეურნეობა თავად შეუწყობს ხელს საქართველოში სოფლის მეურნეობის დღე-ვანდელი კოლონისტურ-მონოკულტურული სტრუქტურის გარდაქმნას და ოპტიმალური, კომბინირებული სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ გვაქვს შესაძლებლობა, სოფლის მეურნეობაში მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის მდგომარეობა, რასაც საქართველოს უნიკალური ბუნება იძლევა და ქმნის პირობებს მონოპოლიური რენტის მითვისებისა, რაც შესაძლებელია, გაძლიერდეს ეკოლოგიური ფაქტორით (ხარისხი).

საქართველოში არის უდიდესი პოტენციური შესაძლებლობები და კიდეც უნდა განხორციელდეს მაღალგანვითარებული რეკრეაციული კომპლექსის შექმნის პოლიტიკა, რამაც უნდა მოიცვას: ჯანმრთელობის დაცვა (სამედიცინო და საკურორტე გამაჯანსაღებელი კომპლექსები, უნიკალური (მცენარეული) ფარმაცევტული მრეწველობა), ტურიზმი („რბილი“), სპორტი (სპორტული კომპლექსები), სხვადასხვა სახის ნაკრძალები (ეროვნული პარკები, აღკვეთილები, ეკომუზეუმები და სხვა). რეკრეაციული კომპლექსის განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული ეკოლოგიურად სუფთა სურსათის წარმოებასთან, ანუ ხდება „გადაბმა“ აგრო-სამრეწველო კომპლექსთან.

საქართველოში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს კულტურული ინდუსტრიის შექმნას - კინოინდუსტრია, ფოლკლორული ანსამბლები, თეატრალური ხელოვნება, სახვითი ხელოვნება და სხვა.

რეკრეაციას და კულტურას უნდა ჩამოშორდეს წლების მანძილზე დამკვიდრებული ე.წ. არასაწარმოო სფეროს სტატუსი და რეპუტაცია. სათანადოდ უნდა შეფასდეს ამ დარგების კომერციული მნიშვნელობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სფეროების განვითარება ხელს შეუწყობს მატერიალური ფასეულობების შეცვლას, ცხოვრების წესის აქეთ ორიენტაციას. ეს კი ჩვენი სტრატეგიაა. საქართველოში გამოყენებით მეცნიერებას სპეციალურ, საშუალო და უმაღლეს განათლებას და მრეწველობას (მათ შორის განახლებულ სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსს) ძირითადად უნდა ჰქონდეს ზემოაღნიშნული სამი

პრიორიტეტული მიმართულების მაუზრუნველმყოფელი, მომსახურე, დამხმარე ხასიათი).

მრეწველობის განვითარების პირობები უნდა იყოს მცირე ენერგო და მასალატევადობა, მეცნიერებატევადობა, უნარჩენობა, მინიმალური ეკოლოგიური რისკი, სრული ტექნოლოგიური ციკლის საქართველოს ფარგლების შემოსაზღვრულობის სასურველობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ტრანსპორტის ეკონომიკა-ორგანიზაციის პრობლემის ეკოლოგიური თვალთახედვით დამუშავებას.

მწვანე ეკონომიკური თვალსაზრისით უნდა დამუშავდეს ისეთი რეგიონულ-ეკონომიკური პროექტები, როგორებიც არის: „შავი ზღვა“, „სვანეთი’’, „ფშავ-ხევსურეთი“, „თბილისი“, „კავკასია“. სხვათა შორის, სემინარზე „კავკასია ჩვენი საერთო სახლია“ წაკითხულ იქნა საქართველოს მწვანეების პოზიცია კავკასიელ ხალხთა ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მწვანე ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციისთვის აუცილებელია შემუშავდეს ყველა მსხვილი სამრეწველო საწარმოს განვითარების პერსპექტივები, განისაზღვროს მათი ადგილი და როლი რესპუბლიკის ეკონომიკაში, დასაბუთდეს მათი სოციალ-ეკონომიკური ეფექტიანობა და ეკოლოგიური უსაფრთხოება, მატერიალურ-ტექნიკური და სანედლეულო უზრუნველყოფა, არსებული სახით მათი არსებობის უპერსპექტივობის დადასტურების შემთხვევაში უნდა შემუშავდეს მათი კონვერსიის პროექტები ან ლიკვიდაციის პროგრამა.

უნდა შემუშავდეს თბილისისა და რუსთავის დეურბანიზაციის პერსპექტიული გეგმა, რაც გულისხმობს მსხვილი სამრეწველო საწარმოების ქალაქიდან გატანას ეკოლოგიურად და დემოგრაფიულად შესაფერის რეგიონებში, ტექნიკური პროგრესის ხარჯზე მუშახელის გამოთავისუფლება და მათი სამუშაო ადგილით უზრუნველყოფა. დეურბანიზაციას ხელს შეუწყობს საბაზრო კანონების ამოქმედება -კონკურენციის შედეგად საწარმოების და ორგანიზაციების დახურვა-გაკოტრება, ბიუროკრატიული აპარატის მკვეთრი შემცირება.

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პრობლემა არ უნდა იქნას გაგებული არაკორექტულად - როგორც ქართველების და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი მატება. ჩვენის აზრით, საქართველოში დემოგრაფიული პრობლემა უფრო მეტად თვისებრივი ხასიათისაა, ვიდრე რაოდენობრივი. ჩვენი უპირველესი ამოცანა მდგომარეობს დემოგრაფიული წონასწორობის აღდგენაში ეთნიკური და ტერიტორიული თვალსაზრისით.

ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი სისტემის ჩამოყალიბების პროცესში (მხედველობაში მაქვს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური კანონების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შექმნა) საქართველოს მწვანეები უნდა გამოდიოდნენ იმ პრინციპიდან, რომ ეკონომიკა და ეკონომიკური ურთიერთობები უნდა ემსახურებოდნენ ადამიანთა თავისუფალ, ჰარმონიულ ცხოვრებასა და განვითარებას, ამიტომ ეკონომიკურთან შედარებით პრიორიტეტები უნდა ენიჭებოდეს სოციალურ-კულტურულ და ეკოლოგიურ კრიტერიუმებს. უნდა გამოიკვეთოს ორიენტაცია ადამიანზე, როგორც თვითმიზანზე და იმავ-დროულად ეკონომიკური განვითარების მთავარ ფაქტორზე, რაც იმაშიც უნდა გამოიხატოს, რომ „დაბანდებები ადამიანში“ (ჯანდაცვა, განათლება, სოცუზრუნველყოფა) არ ჩამორჩებოდეს დაბანდებებს წარმოების საშუალებებში. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანდათან დრო გახდება სიმდიდრის ერთ-ერთი მთავარი ფორმა, ხოლო დანახარჯები „მოცალეობის სფეროში“ (ტურიზმი, სანახაობა, გართობა) გასავლების მთავარი პუნქტი. უნდა ინერგებოდეს ზომიერების ეთიკა. ადამიანს უნდა ჰქონდეს არჩევნის თავისუფლება და საკუთარი ბედის მაქსიმალური კონტროლის შესაძლებლობა.

საკამათო არ უნდა იყოს, რომ საქართველოში ყველა ცივილიზებული ქვეყნის მსგავსად, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა უნდა ემყა-რებოდეს რაციონალური პროპორციებით წარმოდგენილ საკუთრების (მიწაზე საკუთრების ჩათვლით) სხვადასხვა თანასწორუფლებიან ფორ-მებს, ე.წ. შერეული ეკონომიკა (mixed system). ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პრივატიზაციის პოლიტიკის გატარებას. კერძო საკუთრება, კერძო ინიციატივა უნდა გახდეს ჩვენი ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს არსებული პოლიტიკური და სოციალური ვითარება, ჩვენი კულტურის და ცოდნის დონე, ბაზრის კანონების ამოქმედების გარდაუვალი ნეგატიური შედეგები, და ამ ფონზე განვსაზღვროთ სახელმწიფოს ადგილი და როლი ეკონომიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით ეს შეეხება გარდამავალ პერიოდს. მხედველობაში მაქვს ეკონომიკური სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის რეალური მოპოვება და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს კონ-ცენტრირებული ბუნებრივი რესურსები, საბაზისო დარგები და დღეისთვის მონოპოლიური წარმოებები (სსრკ ბაზარზე).

სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა აკონტროლებდეს საგარეო ეკონომიკურ, ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს. ასეთი მიდგომა

სრულიად შეესაბამება ეკონომიკის მართვის მწვანე მიდგომას.

როგორ უნდა მოხდეს ჩვენს მიერ დასახული მიზნების განხორციელება, რა მექანიზმებით, რეგულატორებით, ფორმებითა და მეთოდებითაა შესაძლებელი მწვანედ რეგულირებადი ბაზრის ფუნქციონირება, მწვანე ეკონომიკური პოლიტიკის გატარება?

უწინარეს ყოვლისა, კარგად უნდა იქნას გააზრებული ის ფაქტი, რომ ეკოლოგიური დაცვის დღევანდელი მიდგომა წარმოადგენს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამკურნალოს, ე.ი. ხდება დაავადებული გარემოს მკურნალობა პრინციპით „მილის ბოლოში“ (pipe end). იგი უნდა შეიცვალოს პროფილაქტიკური ბუნებათსარგებლობით, ე.ი. წინასწარი ზრუნვა-გაფრთხილებით იმისთვის, რომ არ მოხდეს გარემოს დაავადება. საბოლოოდ არა „ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა“ და „რაციონალური ბუნებათსარგებლობა“, არამედ მწვანე ეკონომიკა.

ამისათვის საჭიროა: გამოცხადდეს ფასეულობათა გადაფასება (უმთავრესად ლიდერების მიერ); შეიქმნას სტიმულები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალ ფასეულობებს; შეიქმნას ინსტიტუტები, რომლებიც გამოიყენებენ ამ სტიმულებს; განხორციელდეს მეცნიერებისა და პოლიტიკის მჭიდრო კავშირი; სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ისეთი საშუალებები, მეთოდები და რეგულატორები, როგორებიც არის: სახელმწიფო პროგრამები, სტრატეგიული დაგეგმვა, ფისკალური პოლიტიკა (სუბსიდიები, კრედიტი, ფონდები), სანქციები, საგადასახადო პოლიტიკა (ეკობეგარა), პროტექციონისტული პოლიტიკა, ლიცენზიები, კვოტები, ბაჟები, ფასების რეგულირება, მაღალი სტანდარტები (გარემო პლუს სოციალური), ხალხის ინფორმირება (ინტერესთა ფორმირება), ახალი სამომხმარებლო კალათა.

როგორ ფორმებში წარმოგვიდგება მწვანე ეკონომიკა?

ოპტიმალური საწარმოო ციკლები (ჩაკეტილი საწარმოო ეკოსისტემა - უნარჩენო წარმოება), მცირე საწარმოები და მცირე ბიზნესი, ტრადიციული შინარეწვის აღორძინებულ-მოდერნიზებული ფორმები, განვითარებული საშინაო მეურნეობა, თვითმომსახურება (არაფორმალური ეკონო-მიკა), ბიორეგიონები (ეკომუზეუმები), ეკოპროდუქტების ბირჟე-ბი, საერთაშორისო ეკობაზრობები, ეკობანკები, განვითარებული ეკომარკეტინგი, მწვანე მაღაზიებისა და კვების ობიექტების (კაფე-რესტორნების) ქსელი, ნარჩენების ბირჟები (შეგროვება-დახარისხების ინფრასტრუქტურები, დიდი პარტიებით ვაჭრობა), მაკონტროლებელი უწყებების სისტემა განვითარებული ინფრასტრუქტურით.

რით ვაჭრობენ მწვანე ბაზარზე?

ეკოპროდუქტებით (ეკოსაქონლით): სურსათი, მედიკამენტები, პარ-ფიუმერია, რეკრეაცია, ტექნიკა (მაგ., გამწმენდი მოწყობილობა, საზომი აპარატურა, უვნებელი მანქანა-დანადგარები), ტექნოლოგია (KNOW HOW), მეცნიერება, ინფორმაცია-რეკლამა, ეკოფონდები.

კარგად გვესმის ჩვენს მიერ დაყენებულ საკითხთა პრობლემურობა და სირთულე, არაცალსახოვნება და სითამამე, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებულნი ამ მიმართულების ძალისხმევის არა მხოლოდ სარგებლიანობაში, არამედ სასიცოცხლო აუცილელობაშიც. დრო არ ითმენს - საჭიროა მეცნიერების, პრაქტიკისა და პოლიტიკის პარალელურად ამოქმედება და ინტეგრირება, რათა დროზე დავძლიოთ ჩვენი მძიმე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და კულტურული მდგომარეობა.

1990

ზუსტად არ მახსოვს როგორ მოხდა ჩემი მიწვევა ლონდონის „The Other Economic Summit“-ზე, მაგრამ ეს იყო დაუვიწყარი გამოცდილება და დღემდე რჩება ჩემთვის „შთაგონების წყაროდ“. მყარად მწამს, რომ ქვეყნისათვის დღესაც აქტუალურია მაშინ ამ გაზეთში გამოთქმული თამამი იდეები - „თავისუფალი ბაზარი არამც თუ პანაცეა არ არის, არამედ ზოგიერთი ახალი დაავადების გამომწვევიცაა, ჩვენი იდეალია საქართველო გამოცხადდეს მწვანე ეკონომიკურ ზონად და ჩვენში დაინერგოს ახალი ეკონომიკური იდეები, რაც გახდება მთავარი მიმზიდველი პირობა ინვესტორებისათვის. ჩვენ მიერ შემუშავებული მწვანე ეკონომიკური დოქტრინის საფუძველზე შევთავაზე „ახალი ეკონომიკური საზოგადოებისა“ და ჩვენი მონაწილეობით შეიქმნას ერთობლივი პროექტი „საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა“.

დედამიწა, აგვისტო, 1991

ოპოზიციური პარალელური შეხვედრა უმაღლეს დონეზე

არა სოციალიზმი, არა კაპიტალიზმი, არამედ „ახალი ეკონომიკა“

ანუ რით იყვნენ დაკავებულნი სხვები, სანამ გორბაჩოვი დიდი შვიდეულის კართან იდგა

თანამედროვე მსოფლიოს წყობა და მსოფლმხედველობა რომ სერიოზულ კაორექტივებს მოითხოვს, ამ აზრს სულ უფრო მეტად უწევენ ანგარიშს დასავლეთში არა მხოლოდ მეცნიერთა, თეორეტიკოსთა, არამედ პრაქტიკოს პოლიტიკოსთა შორის.

ამის დამადასტურებელი გახლავთ „The Other Economic Summit“ – სხვა (ან გნებავთ, ალტერნატიული) ეკონომიკური შეხვედრა უმაღლეს დონეზე. მისი მთავარი ორგანიზატორი იყო საერთაშორისო ორგანიზაცია „The New Economics Foundation“ (ახალი ეკონომიკის საზოგადოება). შეხვედრა 10–17 ივლისს გაიმართა ლონდონში დიდი შვიდეულის ჯგუფის

ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრის („London Economic Summit“ 1991) პარალელურად.

ეს თეორიულ–პოლიტიკური შეხვედრა 1984 წლიდან რეგულარულად ტარდება დიდი შვიდეულის ქვეყნებში და მასზე განიხილავენ მსოფლიოს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების საკითხებს. ფაქტობრივად ეს გახლავთ დიდი შვიდეულის მიმდინარე პოლიტიკის კრიტიკა, რომლის ფონზეც იმართება თეორიული დისკუსიები.

ლონდონის ეს ოპოზიციური შეხვედრა მეტად წარმომადგენლობითი გახლდათ, ვიდრე დიდი შვიდეულისა, რომელსაც ესწრებოდნენ დასავლეთ თუ აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები – მეცნიერები და პოლიტიკოსები.

– ვინ არიან ეს ოპოზიციონერები და რამდენად სერიოზულ მიმდინარეობას წარმოადგენენ? – ამ და სხვა შეკითხვებზე გვპასუხობს ბატონი დათო ადეიშვილი, საქართველოს მწვანეების ეკონომიკური ბიუროს ხელმძღვანელი, რომელიც მიწვეული გახლდათ ლონდონში ოპოზიციურ–ეკონომიკურ უმაღლესი დონის შეხვედრაზე (უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირიდან ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ მოსკოველები: პროფესორი ალექსანდრე მიშჩენკო და ნატალია იუჩინა).

არიან მეცნიერები, პოლიტიკოსები და სხვა საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ დასავლური ცივილიზაციის განვითარების გზები და პრინციპები გადასინჯვას მოითხოვს და მსოფლიო თავისი განვითარების ახალ ეტაპს უნდა შეუდგეს; რომ კომუნიზმის კოლაფსი სულაც არ ნიშნავს კაპიტალიზმის ტრიუმფს, აი რას ამბობს ისეთი ცნობილი ალტერნატივისტი თეორეტიკოსი, როგორიცაა ჯეიმს რობერტსონი: „კომუნიზმი ერთი მხრივ და კაპიტალიზმი, მეორე მხრივ, არიან შემადგენელნი ერთი და იგივე ცივილიზაციისა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც ინდუსტრიული, კულტურულად ევროპული, შესაძლოა მეცნიერულიც... მასში იკარგება პიროვნება, მას ახასიათებს არაეკოლოგიური, არაეთიკური მიდგომა ეკონომიკური ცხოვრებისადმი. ორივე წყობა არის ცენტრალიზებული დიდი ბიზნესის ან ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების ქვეშ... ორივე დამოკიდებულს ხდის ადამიანებს...“

ალტერნატივისტთა აზრით, დასავლური ციცვილიზაციის ისტორია დაიწყო 500 წლის წინ, როდესაც კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა და დღეისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ამ ცივილიზაციის მსოფლმხედველობამ განსაზღვრა დღევანდელი მსოფლიო წყობა,

მან კი თავის მხრივ განაპირობა არსებული სისტემების ჩამოყალიბება. ალტერნატივისტების მიდგომა სოციალური გარდაქმნებისადმი პოსტმოდერნისტულია, პოსტინდუსტრიული. დიდი შვიდეული (რომელიც ითვლება მსოფლიოს არაოფიციალურ მთავრობად), ფაქტობრივად წარმართავს მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, რაც თავისთავად უსამართლობაა, რაკი ამ ქვეყნების მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენს. მათ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწიეს არა მარტო თავიანთი შინაგანი ძალებით, არამედ დანარჩენი მსოფლიოს ექსპლოატაციის ხარჯზეც, რომელიც მათთვის ახლაც ნედლეულისა და იაფი მუშახელის წყაროს წარმოადგენს. ალტერნატიული ეკონომიკური შეხვედრის მონაწილეებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნები: ოფიციალურად ცნონ ალტერნატიული შეხვედრები უმაღლეს დონეზე (TOES); დღევანდელი უმაღლესი დონის ეკონომიკური შეხვედრების ნაცვლად შეიქმნას წარმომადგენლობითი მსოფლიო ეკონომიკური საბჭო, რომელიც შევა გაერო–ს შემადგენლობაში; 1998 წლისათვის მაინც გადაწყდეს ე.წ. ვალის კრიზისი (ღარიბი, ქვეყნების დავალიანება მაღალგანვითარებული ქვეყნებისაგან უნდა ჩაითვალოს ამ უკანასკნელთა ისტორიულ ვალად და უნდა გაუქმდეს, რადგან ისინი სარგებლობენ ღარიბი ქვეყნების ნედლეულით ადა შრომითი რესურსებით) და სხვანი...

გარდა ამისა, ალტერნატიულ შეხვედრაზე განიხილეს მთელი რიგი ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხებისა, როგორებიცაა: საერთაშორისო დემოკრატია სპარსეთის ყურის ომის შემდეგ; დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპა, ალტერნატიული ინდიკატორები (მაგალითად საყოველთაოდ მიღებული ერთობლივი ნაციონალური პროდუქტი არასწორად ასახავს ამა თუ იმ ქვეყნის რეალურ სიმდიდრეს), ალტერნატიული მონეტარული სისტემები, მომავლის ქალაქები, ახალი მომხმარებელი, მწვანე ბიზნესი, მსოფლიოს მთავარი რელიგიების ეკონომიკური მოძღვრებები და სხვ. იყო ბრეტონვუდის შეთანხმების ისეთი ინსტიტუტების კრიტიკა, როგორებიცაა GATT (გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე), მსოფლიოს ბანკი (WB), საერთაშორისო მონეტარული ფონდი (IMF). TOES–მა მიიღო ერთობლივი კომუნიკე, რომელიც გადაეგზავნა დიდი შვიდეულის ჯგუფის სახელმწიფოებს. ამ კომუნიკეში ჩამოყალიბებულია ისეთი უმნიშვნელოვანესი თეზისები, როგორიცაა: მდგრადი ეკონომიკას არა აქვს ალტერნატივა, „მესამე მსოფლიო“ ვერასოდეს განვითარდება მდგრადად, თუ არ გათავისუფლდება ვალებისაგან, უნდა გაძლიერდეს ლოკალური და

არაფორმალური ეკონომიკა, განვითარება არ იქნება მდგრადი, თუ ის არ არის ლოკალური და ადამიანისკენ მიმართული...

დიდი შვიდეულის შეხვედრაში გორბაჩოვის მონაწილეობა დასავლეთმა აღიქვა, როგორც სოციალიზმის დაჩოქება კაპიტალიზმის წინაშე, 73 წლის წინ გაქცეული „უძღები შვილის“ დაბრუნება. ამიტომ ოპოზიციური შეხვედრის მონაწილეებმა გაუგზავნეს ღია წერილი პრეზიდენტს გორბაჩოვს, რომელიც ძირითადად შემდეგს გამოხატავდა: ისევ მცდარი გზა არ აირჩიო... შემოგვიერთდი მდგრადი მომავლისათვის კარის გაღებაში, სანამ წარსულს დაუკაკუნებდე კარზე.

მოსკოველთა და ჩემი პოზიცია გორბაჩოვის პოლიტიკასთან მიმართებაში ძირითადად ემთხვეოდა ერთმანეთს (ჩვენ გავმართეთ ერთობლივი პრსკონფერენცია, გავაკეთეთ დამოუკიდებელი განცხადება, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირისადმი დახმარების საკითხს). მაგრამ მაინც იგრძნობოდა, რომ მათ არ მოსწონდათ, როდესაც საქართველოს საკითხს ცალკე გამოკვეთდი.

დასავლეთში არ ამახვილებენ ყურადღებას ცალკეულ რესპუბ-ლიკებზე, ვინაიდან საბჭოთა კავშირს უყურებენ როგორც ერთ მთელს. დიდი შვიდეულის ეკონომიკურ დეკლარაციაშით, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ ინტეგრაციაზე, მსოფლიო ეკონომიკაში ყურადღება მახვილდება საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ სტაბილიზაციაზე, მაგრამ მხოლოდ ცენტრისა და რესპუბლიკების მოწესრიგების ფარგლებში. რესპუბლიკების გამოყოფის საკითხი მათი პოლიტიკისათვის რეალურად არ დგას.

ალტერნატიულ შეხვედრაზე, აგრეთვე პრესკონფერენციისა, და პირადი ურთიერთობის დროს მე ყოველთვის ვცდილობდი წინ წამომეწია საქართველოს საკითხი. გამომეკვეთა, რომ უნდა გაგვიხილავდნენ რო-გორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს ევროპის თანასაზოგადოებაში. მე ვმონაწილეობდი დასავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ურთიერთობის საკითხების გარშემო გამართულ სემინარებში. ამ სექციაში წავიკითხე მოხსენება, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა კავშირისადმი დახმარებისა და საქართველოს ალტერნატიული განვითარების საკითხებს. მე ვთქვი, რომ თუკი მხოლოდ საბჭოთა კავშირს ანუ 9+1–ს მიეცემა გარკვეული დახმარება, ჩვენ ფაქტობრივად თამაშგარე აღმოვჩნდებით, ექვსი რესპუბლიკის გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან თავისთავად უამრავ სიძნელეს წარმოშობს და ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება, თუკი დასავლეთი ეკონომიკურ დახმარებას გაუწევს უშუალოდ მოსკოვს, ან თუნდაც მხოლოდ 9 რესპუბლიკას. საქართველოს აქვს დიდი პოტენცია

საიმისოდ, რომ განვითარებული ქვეყნების რიცხვს შეუერთდეს. ჩვენთვის, მწვანეებისათვის ნათელია, რომ არ უნდა ავირჩიოთ განვითარების ჩვეულებრივი, დასავლური გზა, ჩვენ უნდა დავადგეთ განსხვავებულ გზას, რომელიც უნდა ეთანხმებოდეს მდგრადი განვითარების ზორგად პრინციპებს, რაც ჯერ კიდევ შესაძლებელია საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონისა და გარემოს მდგომარეობის თვალსაზრისით. თავისუფალი ბაზარი არამც თუ პანაცეა არ არის, არამედ ზოგიერთი ახალი დაავადების გამომწვევიცაა, ჩვენი იდეალია საქართველო გამოცხადდეს მწვანე ეკონომიკურ ზონად და ჩვენში დაინერგოს ახალი ეკონომიკური იდეები, რაც გახდება მთავარი მიმზიდველი პირობა ინვესტორებისათვის. ჩვენ მიერ შემუშავებული მწვანე ეკონომიკური დოქტრინის საფუძველზე შევთავაზე ახალი ეკონომიკური საზოგადოებისა და ჩვენი მონაწილეობით შეიქმნას ერთობლივი პროექტი საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა. შეხვედრაზე გამოითქვა აზრი, რომ პრინციპულად ეს შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის საჭიროა. საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების პრაქტიკული დაინტერესება.

ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, უნდა დავინტერესდეთ ალტერნატიული სისტემებით, მით უფრო, რომ მათ გეზი აღებული აქვთ ლოკალური ეკონომიკური და სავალუტო სისტემების შექმნისაკენ, რაც ჩვენთვის პოლიტიკურადაც მეტად მნიშვნელოვანია.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა „რუსთაველის საზოგადოებასთან ერთად, მის წიაღში აღმოცენდა, ამიტომაც ამ საზოგადოების გამოცემა „მამული“, მისი რედაქტორი, ცხონებული, ვაჟა გიგაშვილი, ყოველთვის იყო ჩვენი იდეების გამზიარებელი და თანამდგომი. წინამდებარე ტექსტი არსებითად იმეორებს მწვანეების გაზეთ „დედამიწაში“ (აგვისტო, 1991) გამოქვეყნებულ ჩემს შთაბეჭდილებებს და შეხედულებებს „The Other Economic Summit“-ში ჩემი მონაწილეობის შესახებ. მე დღესაც თამამად შემიძლია გავიმეორო ამ პუბლიკაციის სტრიქონები „ჩვენი იდეალია ბაზარზე ორიენტირებული მწვანე ეკონომიკა, ანუ მწვანედ რეგულირებადი ბაზარი. საქართველომ უნდა განსაზღვროს თავისი პრიორიტეტი – რა ვაწარმოოთ, რომ ამხელა მსოფლიოში საკუთარი სახე გამოვკვეთოთ. ჩემი აზრით, საქართველომ უნდა დაიმკვიდროს ეკოპროდუქციის (მწვანე პროდუქციის) მწარმოებლისა და იმპორტიორ–ექსპორტიორის განსაკუთრებული ადგილი“.

მამული, N16, 1991

„მწვანე იდეები“ – სასიცოცხლოდ აუცილებელი

ივლისის შუა რიცხვებში ლონდონში, დიდი შვიდეულის შეხვედრის პარალელურად, გაიმართა ალტერნატიული, ეკონომიკური შეხვედრა უმაღლეს დონეზე. ამ შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს მწვანეების ეკონომიკური ბიუროს ხელმძღვანელი ბატონი დავით ადეიშვილი, დღეს იგი ამ შეხვედრის პერიპეტიებზე გვესაუბრება:

ლონდონის კონფერენციის ორგანიზატორი იყო საერთაშორისო ორგანიზაცია „The new economics foundation“ („ახალი ეკონომიკის საზოგადოება“). ამგვარი თეორიულ–პოლიტიკური შეხვედრები 1984 წლიდან სისტემატურად ტარდება დიდი შვიდეულის ქვეყნებში. მასში მონაწილეობენ ალტერნატიული მოძრაობის ძალები – დემოკრატები, მწვანეები, პოლიტიკოსები, ეკონომისტები...

გორბაჩოვის მონაწილეობას დიდი შვიდეულის წლევანდელ შეხვედრაში განსაკუთრებული აჟიოტაჟი მოჰყვა. ბევრი შარჟი დაიბეჭდა. წერდნენ, რომ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი ჩამოვიდა სამათხოვროდ, რომ ეს ვიზიტი არის კაპიტულაცია კაპიტალიზმის წინაშე და სხვა.

„ახალი ეკონომიკის საზოგადოება“ შვიდი წლის წინათ შეიქმნა. მასში გაერთიანებული არიან პროგრესული ეკონომისტები, რომლებიც მოწინავე იდეებს ქადაგებენ. ეს იდეები მოკლედ ასე შეიძლება გამოვხატოთ: დედამიწაზე დღევანდელი ტენდენციით ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება, რადგან იწურება რესურსები, ბინძურდება გარემო. თვით დასავლეთის ყბადაღებულ ეკონომიკას – საბაზრო ეკონომიკას, დადებითთან ერთად, ბევრი უარყოფითი მხარე აქვს. ეს არის უმუშევრობა, უთანაბრობა, ფინანსური სიძნელეები, გაუცხოება...

ალტერნატიული ძალები პოსტმოდერნისტულად უდგებიან სოციალურ პრობლემებს. დიდი შვიდეული, რომელიც მსოფლიოს არაოფიციალურ მთავრობად ითვლება, პრაქტიკულად წარმართავს მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, რაც გარკვეული უსამართლობაა, რადგან ამ ქვეყნების მოსახლეობა მთელი მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენს, განვითარების უმაღლეს დონეს მათ მიაღწიეს არა მხოლოდ საკუთარი შინაგანი ძალებით, არამედ დანარჩენი მსოფლიოს, ეგრეთ წოდებული „მესამე ქვეყნების“ ძარცვის ხარჯზე. ეს ქვეყნები მათთვის დღესაც ნედლეულისა და იაფი მუშახელის წყაროა.

კონფერენციის მონაწილეებმა წამოაყენეს მოთხოვნები: ოფიციალურად ცნონ ალტერნატიული შეხვედრები უმაღლეს დონეზე: აქამდე გამართული შეხვედრების ნაცვლად შეიქმნას წარმომადგენლობითი ეკონომიკური საბჭო, რომელიც შევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; 1998 წლისთვის მაინც გადაწყვდეს ვალის პრობლემა – ღარიბი ქვეყნების დავალიანება განვითარებული ქვეყნების მიერ ჩაითვალოს ამ უკანასკნელთა ისტორიულ ვალად და გაუქმდეს, რადგან ისინი სარგებლობენ ღარიბი ქვეყნების ნედლეულით და შომითი რესურსებით.

დღეს მოქმედ პროგრესულ ეკონომიკურ თეორიებს დიდი იმპულსი მისცა ინგლისში მოღვაწე ცნობილმა გერმანელმა ეკონომისტმა შუმახერმა. მისი კონცეფციის საფუძველზე შეიქმნა მწვანე ეკონომიკის თეორიები და დღეს ყველაზე პოპულარული, ეგრეთ წოდებული მდგრადი განვითარების კონცეფცია, 1987 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული გარემოს დაცვისა და განვითარების კომისიის თავმჯდომარის ბრუტლანდის (ის ახლა ნორვეგიის პრემიერ–მინისტრია) ხელმძღვანელობით შეიქმნა ნაშრომი მსოფლიოს განვითარების ტენდენციებზე, სადაც ხაზგასმულია, რომ აღარ შეიძლება ჩვენი ცხოვრება ასე გაგრძელდეს, რომ უდიდეს კატასტროფამდე ერთი ნაბიჯიღაა. უფრო ადრე ამაზე ლაპარაკობდნენ რომის კლუბის წარმომადგენლები.

გაისად, ივნისში, ბრაზილიაში გაიმართება დიდი კონფერენცია მდგრადი განვითარების საკითხებზე. ამ კონფერენციისთვის სამზადისი ორი წლის წინათ დაიწყო უკვე ცნობილია, რომ მასში მონაწილეობას მიიღებენ მთავრობათა მეთაურები და ჩვენნაირი არასამთავრობო ორგანიზაციები.

გარემოს და ეკოლოგიის პრობლემები არ მიმართულებას მოიცავს: რესურსები და გარემოს დაბინძურება. რესურსები თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა: განახლებადი და განუახლებადი. განახლებადში, სიტყვაც გვიჩვენებს, იგულისხმება ის რესურსები, რომელსაც თვითაღდგენის უნარი აქვს. განუახლებადში – ის რესურსები, რომელიც ილევა. თვითაღდგენის უნარი თავად გარემოსაც აქვს. თუმცა, დაბინძურება დასაშვებია გარკვეულ ზღვრამდე. ამ ზღვარს იქით დაბინძურებული გარემო ვეღარ ასიმილირდება. ეკონომიკა ისე უნდა ვითარდებოდეს, რომ ამ ბუნებრივ ციკლში მოექცეს.

მდგრადი განვითარების კონცეფცია მორალურ ასპექტსაც შეიცავს – განათლებადი რესურსები ისე გამოვიყენებთ, რომ მომავალ თაობებსაც დავუტოვოთ. განუახლებადის მოხმარება კი დროის რაც შეიძლება დიდ მონაკვეთზე გავწელოთ, თანაც. ამ ხნის განმავლობაში შევქმნათ ისეთი ტექნოლოგიები და შემცვლელები, რომლებიც რესურსის გამოლევისთანავე დაინერგება.

ასეთია მდგრადი განვითარების თეორია ძირითადი პრინციპები, მაგრამ ამას რომ მივაღწიოთ, დიდი და სისტემატური გარდაქმნები გვჭირდება. პოლიტიკა და ეკონომიკა თავისთავად, მაგრამ უნდა შეიცვალოს ჩვენი ცხოვრების წესიც კი, თორემ მომხმარებლური სულისკვეთება „მე მინდას“–ს ტენდენცია გარდაუვალ კატასტროფამდე მიგვიყვანა. უნდა შეიცვალოს ჩვენი სურვილები, ღირებულებათა სისტემა, ერთი სიტყვით, აქცენტები უნდა გადავანაცვლოთ.

მე ეკონომისტი ვარ და ეკონომიკაზე მოგახსენებთ.

მწვანე ეკონომიკა გულისხმობს: მართალია, უნდა იყოს ბაზარი, მაგრამ უნდა იყოს რეგულირებადი სწორედ ამ მწვანე კრიტერიუმებით. ახალი ეკონომიკა ამბობს: ფული, რომელიც დღევანდელი სახით მოქმედებს, არ იძლევა ამის საშუალებას, რომ ადექვატურად შეაფასო ღირებულებები. ფული და ფასი დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე – თუ რაღაც რესურსი დღეს იაფი გიღირს, ხვალ შეიძლება 100–ჯერ და მეტჯერ გაძვირდეს. ასე რომ, ბაზარი მხოლოდ დღევანდელ სიტუაციას ასახავს, ხვალინდელზე აღარ აგებს პასუხს. ამიტომ დღეს ბევრს ლაპარაკობენ ეგრეთ წოდებულ ეკოტაქსებზე, რომელიც უნდა შემოღებულ იქნენ ბუნებრივ რესურსებზე, გარემოს დაბინძურებისთვის. ამ გადასახადების

საფუძველზე შეიქმნა ეკოფონდები, რომელიც მოხმარდება დამზოგველ ტექნოლოგიებს და ასე შემდეგ.

დღეს თუ ხვალ საქართველო დამოუკიდებელი იქნება. ჩვენს ქვეყანას აქვს დიდი პოტენცია, რომ განვითარებული ქვეყნების რიცხვს შეუერთდეს. უნდა დავადგეთ განსხვავებულ გზას, რომელიც ეთანხმება მდგრადი განვითარების ზოგად პრინციპებს, რაც ჯერ კიდევ შესაძლებელია საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონისა და გარემოს მდგომარეობის თვალსაზრისით. თავისუფალი ბაზარი არამცთუ პანაცეა არ არის, არამედ ზოგიერთი ახალი დაავადების გამომწვევიცაა. ჩვენი ოცნებაა საქართველო გამოცხადდეს მწვანე ეკონომიკურ ზონად (ამის შესახებ მე ლონდონის კონფერენციაზეც ვთქვი. წინადადებას ინტერესით შეხვდნენ, მაგრამ ამისთვის საჭიროა საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება პრაქტიკულად დაინტერესდეს). ჩვენი იდეალია ბაზარზე ორიენტირებული მწვანე ეკონომიკა, ანუ მწვანედ რეგულირებადი ბაზარი. საქართველომ უნდა განსაზღვროს თავისი პრიორიტეტი – რა ვაწარმოოთ, რმო ამხელა მსოფლიოში საკუთარი სახე გამოვკვეთოთ. ჩემი აზრით, საქართველომ უნდა დაიმკვიდროს. ეკოპროდუქციის (მწვანე პროდუქციის) მწარმოებლისა და იმპორტიორ–ექსპორტიორის განსაკუთრებული ადგილი.

ეს სტრატეგია ყველაზე უფრო მომგებიანი იქნება სწორედ ეკონომიკური თვალსაზრისით – მწვანე კაპიტალი ახლო მომავალში მოგვცემს ყველაზე დიდ დივიდენტებს (მწვანე კაპიტალში ვგულისხმობ როგორც შენარჩუნებულ ბუნებას – ეკოკაპიტალს, ისე ეკოპროდუქციის მწარმოებელ ფონდებს), რადგან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია და მომსახურება გახდება ყველაზე უფრო დეფიციტური და ხარისხიანი, შესაბამისად – ძვირი და მომგებიანი.

საქართველოში სტრუქტურული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებულ დარგებს – მეცნიერებას, მრეწველობას, ინფრასტრუქტურას, ესე იგი, აგროსამრეწველო კომპლექსს, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით.

ამ თეზისის სისწორის საფუძველს გვაძლევს საქართველოს უნიკალური ბუნებრივ–კლიმატური პირობები, უძველესი და უახლესი ეკონომიკური ისტორია, ტრადიციები, გამოუყენებელი შესაძლებლობები არა მხოლოდ ინტენსიური, არამედ ექსტენსიური მიმართულებითაც.

საქართველოში არის უდიდესი პოტენციური შესაძლებლობები და კიდეც უნდა განხორციელდეს მაღალგანვითარებული რეკრეაციული

კომპლექსის შექმნის პოლიტიკა. მან უნდა მოიცვას: ჯანმრთელობის დაცვა (სამედიცინო და საკურორტო გამაჯანსაღებელი კომპლექსები), უნიკალური (მცენარეული) ფარმაცევტული მრეწველობა, „რბილი“ ტურიზმი, სპორტი (სპორტული კომპლექსები), სხვადასხვა სახის ნაკრძალები (ეროვნული პარკები, ეკომუზეუმები)...

ჩვენ, მწვანეებს, კარგად გვესმის ჩვენს მიერ დაყენებულ საკითხთა პრობლემურობა და სირთულე. არაცალსახოვნება და სითამამე, მაგრამ, გვჯერა, რომ ეს არა მარტო სასარგებლოა, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელიც.

1992

მაშინ არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემს მიერ შემოთავაზებული ქართული თარგამანი მსოფლიოსთვის ასევე ახლადშემოღებული ტერმინისა - sustainabe development-ასე უპრობლემოდ დამკვიდრდებოდა ჩვენს სამეცნიერო-პრაქტიკულ ენაში. უფრო მეტიც, 2006 წლიდან სამინისტრომაც შეიცვალა სახელი და დღემდე იწოდება „ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდ“. მართალია, სახელწოდების გამამართლებელი შინაარსის საქმიანობა დღემდე სუსტი და არადამაკმაყოფილებელია სამინისტროში, მაგრამ „პირველად იყო სიტყვის“ იმედი არ უნდა დავკარგოთ. სასიამოვნოა, რომ ჩვენი მაშინდელი ხედვა პრაქტიკულად თანხვედრაშია თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ორიენტირებთან (იხ. წინამდებარე კრებულში „მდგარადი განვითარების მიზნები - 2030“).

ჟურნალი ეკონომიკა #12, 1992; #1, 1993
European.ge, 28.05.2012

ბ-ნმა დავით ადეიშვილმა მოგვაწოდა 1992-93 წელს ქართულ ჟურნალ „ეკონომისტში“ გამოქვეყნებული მასალა, რომელიც, ვფიქრობთ, აქტუალურია დღესაც და საინტერესო უნდა იყოს ჩვენი მკითხველისთვის, არა მხოლოდ როგორც პოლიტეკონომიური აზრის ისტორია. [European.ge]

საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციისთვის

მკვლევართა არაფორმალურ ჯგუფ „ეკოსტრატის“ სახით ჩამოყალიბებულ ავტორთა კოლექტივის (ეკ. მეცნ. კანდიდატები: მ. ადეიშვილი, გ. ლემონჯავა, ა. წაქაძე, მ. წერეთელი; ფიზიკა-მათემატიკურ მეცნ. კანდიდატები: რ. ჩიტაშვილი, რ. წაქაძე და ეკონომისტი მ. შარაბიძე) წინამდებარე გამოკვლევაში დასმული და გაანალიზებულია განვითარების (პროგრესის), როგორც ფილოსოფიური კატეგორიის თანამედროვე უმწვავესი ასპექტები და, შესაბამისად, მეურნეობის, როგორც განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტის, პროგრესულობის შეფასების

ახლებური კრიტერიუმები. თავისი არსით ნაშრომი ისტორიის გზაჯვარედინზე საქართველოს სამომავლო ოპტიმალური გზის ძიების მცდელობა გახლავთ. რედაქცია თვლის, რომ ავტორთა ჯგუფის მიერ დასმული პრობლემები არა მხოლოდ ეკონომისტთა და ფილოსოფოსთა, არამედ პოლიტიკოსთა, მმართველთა, საქმოსანთა და ფართო საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს [ჟურნალი „ეკონომისტი“ #12, 1992]

წინათქმა

საქართველო ისტორიის გზაჯვარედინზე თავისი გზის ძიებაშია. ამ გზაზე გაცნობიერებულია ეკონომიკური საფუძვლების შექმნის როლი. ქართველ ეკონომისტთა აზრი, ძირითადად, საბაზრო სტრუქტურების შექმნისა და ამოქმედებისკენაა მიმართული. ბუნებრივია, ამთავითვე გასააზრებელია განვითარების მიზნები და ორიენტირები.

მაგრამ რას ნიშნავს განვითარება დღევანდელი გაგებით? როგორ უნდა განვითარდეს საქართველო? როგორი მომავალი გვსურს ჩვენი შთამომავლობისთვის? დღეისათვის მსოფლიოში ყალიბდება ე.წ. მდგრადი განვითარების გაგება, რაც არა მხოლოდ პროგრესული მეცნიერული აზრია, არამედ სულ უფრო ფართო საზოგადოებრიობის კუთვნილებაც ხდება.

ჩვენი მიზანია, საქართველოსათვის ამ ისტორიულ მომენტში როგორც სპეციალისტების, ისე პოლიტიკოსებისა და საზოგადოებრიობის ყურადღება მივაპყროთ საქართველოს განვითარების პრობლემებს.

„ერი მუდამ ცოცხალია და არც მოკვდება, ვიდრე მისი ყოფა-ცხოვრების პირობები მაცხოვრებლის თვისებანი არიან. რომელ ერსაც ეს კარგად ესმის და სასიცოცხლო პირობებს იცავს, ინახავს, იგი მუდამ ცოცხალი, ბედნიერი, ჯან-ღონით სავსეა, იმას არც სიბერე მოეკიდება, არც სიკვდილი“. ვაჟა-ფშაველა

შესავალი

ისტორიული მომენტი

საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას იწყებს. მემკვიდრეობით მიღებულია უაღრესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვან წილად განაპირობებს საქართველოში დღევანდელ სოციალურ და შიგა პოლიტიკურ დაძაბულობას. თუ ამჟამინდელი მომენტის დადებითი და უარყოფითი ფაქტორების წარმოჩენას შევეცდებით, ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

უარყოფითი:

1. სახელმწიფოების წარმოშობა არღვევს არსებულ მსოფლიო წონასწორობას და ამდენად მეტად რთული პროცესია.
2. ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ჩამორჩენილი ეკონომიკისა და განუვითარებელი სახელმწიფო ინსტიტუტების მქონე ქვეყანა.
3. პოლიტიკურმა უთანხმოებებმა და წინააღმდეგობებმა ხალხი აპათიის მდგომარეობამდე მიიყვანა.
4. ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ დაბალი პროფესიული დონისა და შრომის კულტურის საკადრო პოტენციალი.
5. ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ კოლონიური დამახინჯებული სტრუქტურის მქონე ეკონომიკა.
6. ტრადიციული კავშირები (როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურული) ჩვენს უახლოეს მეზობლებთან პრაქტიკულად გაწყვეტილი გვაქვს.
7. საბაზრო ეკონომიკის კანონები არა მხოლოდ პერიფერიულ ბაზრად გვაქცევს (იაფი მუშახელისა და ნედლეულის წყაროდ, დაბალი ტექნოლოგიებისა და უხარისხო პროდუქციის გამსაღებლად), არამედ ხელყოფს ჩვენს კულტურულ ფასეულობებსაც.

დადებითი:

1. გაცნობიერებულია, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა თავისთავადობის შენარჩუნების პირობაა.
2. გაგვიჩნდა ისტორიული შანსი, თავად მივიღოთ გადაწყვეტილებები ჩვენი მომავლის შესახებ.
3. ახლა მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენთ უკიდურესად რადიკალური ორიენტაციის არჩევისას.
4. მაღალია სახელმწიფოებრიობის აღდგენის აუცილებლობის შეგნება როგორც ხალხში, ისე მმართველ წრეებში.
5. ამავე დროს ჩვენ გვაქვს დარგები, რომელთაც აქვთ მსოფლიო ბაზარზე გასვლის პერსპექტივა.
6. პერსპექტივაში ისეთი მეზობლები გაგვიჩნდება, რომლებთან ურთიერთობაც თანასწორუფლებიანობის პრინციპს დაემორჩილება.
7. ამ საუკუნის მიწურულს დასავლეთი უკვე იმდენად არის გამოცდილი, რომ ჰუმანიტარული და საერთო საკაცობრიო იდეები არა მხოლოდ ინტელიგენციის, არამედ ბიზნესისა და ადმინისტრაციის მოქმედების პრინციპებად იქცა.

სწორი ორიენტაციის არჩევანი

არსებულ პირობებში წინა პლანზე დგება სამეურნეო ცხოვრების

რეანიმაციის ამოცანა. უალტერნატივო საშუალებად მიჩნეულია ქვეყნის ეკონომიკური რეფორმა საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და შესაბამისი სტრუქტურების შექმნის მიზნით.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კოლონიური ქვეყნებიდან დამოუკიდებელი განვითარების გზაზე მხოლოდ ერთეულებმა მიაღწიეს წარმატებას და დაიმკვიდრეს ღირსეული ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. ნეოკოლონიური პოლიტიკის შედეგად ამ ქვეყნების უმრავლესობა დღესაც რჩება ე.წ. ნაკლებად განვითარებული ქვეყნების რიგში. გაეროსა და მისი ინსტიტუტების ძალისხმევის მიუხედავად, განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობა კვლავ რჩება დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უპირველეს პრობლემად. როგორც გაეროს ეგიდით ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ დონეებს შორის გარღვევა სულ უფრო იზრდება. ამასთან პროგნოზები ადასტურებს, რომ ამ ქვეყნების დახმარების დღემდე მოქმედი საერთაშორისო პროგრამები ნაკლებეფექტიანია და ვერ უზრუნველყოფს ჩამორჩენის პროცესის შეჩერებას.

ბოლო წლების გლობალურმა პოლიტიკურმა პროცესებმა კიდევ უფრო გაამძაფრეს მსოფლიო განვითარების პრობლემები, ინდუსტრიული ჩრდილოეთისა და განვითარებადი სამხრეთის უთანაბრობისა და გარკვეული დაპირისპირებულობის პრობლემას ახალ ასპექტში დაემატა პოსტსოციალისტური აღმოსავლეთის შედარებითი ჩამორჩენის დაძლევის საკითხიც.

გამოიკვეთა გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების გამოლევის გლობალური ხასიათი, სიღატაკის პრობლემის უშუალო კავშირი ამ პრობლემასთან. მთელი სიმძაფრით დადგა გარემოს დაცვისა და განვითარების ურთიერთკავშირის ახლებურად გააზრების პრობლემა. ამ მიმართულებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. მასში ჩართულია როგორც საერთაშორისო, ისე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური, ქალთა, ახალგაზრდული, პროფკავშირული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სხვა მოძრაობები. ყალიბდება გლობალური პრობლემების ღრმა ურთიერთკავშირის გაგება, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო საზოგადოებრიობის ერთიანი ძალისხმევით.

ახლა, როცა ფაქტობრივად თავიდან ვიწყებთ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, საშუალება გვეძლევა, გავითვალისწინოთ როგორც განვითარებადი, ისე ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილება. ამ

თვალსაზრისით ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი. ორი უკიდურესი გზის არჩევანის საშიშროება უნდა გავითვალისწინოთ.

ერთი ისაა, რომ მოურიდებლად გავუღოთ კარი დასავლეთის ბაზარს, უკლებლივ შევთავაზოთ საერთაშორისო რანგის ბიზნესმენებს ასარჩევად ჩვენი ეკონომიკური და კულტურული ღირებულებანი, როგორც ეს უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ადამიანს სჩვევია, როდესაც სანუკვარი რელიქვიაც კი ბაზარზე გააქვს შიმშილისაგან თავის დასაღწევად.

მეორე - თავისთავადობის დაკარგვის შიშით თვითიზოლაციის და კონსერვაციის გზა ავირჩიოთ. ესეც იმ ადამიანის მოქმედებას ჰგავს, საკუთარი ღირსების ოდნავი შებღალვის შიშით შიმშილით სიკვდილი რომ აურჩევია.

ჩვენი ცხოვრება ატარებს როგორც ერთი, ისე მეორე გზის მომხრეთა უკომპრომისო წინააღმდეგობის ნიშნებს და რაც უნდა რიტორიკულად ჟღერდეს, სწორი გზა სადღაც შუაში უნდა ვეძებოთ. ბუნებრივია, იბადება კითხვა: აქვს კი დღევანდელ ცივილიზაციას ასეთი წონასწორული გზის რეალიზაციის მექანიზმები და სტრუქტურები?

განვითარების კლასიკური გაგება. სოციალურ-ეკოლოგიური შედეგები

ფილოსოფიური წანამძღვრები

მსოფლიო ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სოციალური კრიზისის იდეოლოგიურ წინაპირობად მიჩნეულია ბუნების მექანისტურ-მატერიალისტური გაგება. ეკონომიკური თეორიები მარქსისტულიდან მონეტარულამდე მეტ-ნაკლებად იზიარებენ, რომ - ადამიანთა ფსიქოლოგია ეგოისტური და ხარბია; საზოგადოება სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდთა კონგლომერატი; პროგრესი მატერიალური ფასეულობების მუდმივად მზარდი მოხმარებაა; ეფექტიანობა მეტი ფულის გამორჩენის ტოლფასია; ტექნოლოგია აყვავებისა და ბედნიერების ბებიაქალია; ბუნება საგანძურის უძირო სკივრია, რომელიც უნდა მოიხმარო. ეს არის სინამდვილის არაჰუმანური, არაეკოლოგიური (და ამდენად, არარეალისტური) მოდელი, რომელიც ეფუძნება შემოსაზღვრულ გარემოში მოთხოვნა-მიწოდების გაფართოებადი, უსასრულო ციკლის შესაძლებლობის წარმოდგენას.

ბ) მომხმარებლური საზოგადოება. ბუნებისა და პროგრესის მექანისტურმა გაგებამ შექმნა თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების, მწარმოებელი და მომხმარებელი ინდივიდისა და მმართველი ტექნოკრატიის საფუძველი, გაათავისუფლა ეკონომიკური ურთიერთობები მორალური ფასეულობებისა და ეთიკისაგან. ამ

მიდგომის შედეგია, რომ განვითარება გაიგივებულ იქნა ეკონომიკურ ზრდასთან, ხოლო ინდივიდის ქცევის განმსაზღვრელი მოტივი გახდა მათი მისწრაფება კეთილდღეობისკენ. ამასთან, კეთილ-დღეობა დაყვანილია ფასეულობების მოხმაერბაზე, ბევრი საქონლის შეძენა და სიმდიდრე ბედნიერების ტოლფასი ხდება. მოხმარების ზრდა ასტიმულირებს წარმოებას, ხოლო სულ უფრო ბევრი ინდივიდის გამოდევნება სტატუსზე, სტილსა და სიამოვნებაზე მოუხელთებელს ხდისმას, რადგან შეუძლებელია, ერთდროულად ყველა ერთმანეთზე უკეთესად ცხოვრობდეს.

კონკურენციის პირობებში მასობრივი წარმოებისა და მასობრივი მოხმარების დამაკავშირებელია სარეკლამო ინდუსტრია. მარკეტინგის ახლანდელი იდეები განვითარდა მასობრივ წარმოებასთან ერთად. ეს იდეები ხელს უშლის თვითუზრუნველყოფას. ისეთი ცნებები, როგორებიც არის გამძლეობა, შემცირებული ან ზიარი მოხმარება, საგნების მოხმარების შეცვლა არამატერიალური სიამოვნებებით, ეწინააღმდეგება მასობრივ მარკეტინგს. ის, რომ დედამიწას შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, დავიწყებულია. რეკლამა დამოკიდებულია მხარჯველობით ეკონომიკაზე. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ხდება მოხმარების ზრდის სასარგებლოდ.

ცხოვრების მომხმარებლური წესის აბსურდულობის შედეგია ის, რომ მსოფლიოში სხვადასხვა წიაღისეულის მოპოვება ერთ სულზე წლიურად 20 ტონას შეადგენს;

რომ განვითარებულ ქვეყნებში (მსოფლიო მოსახლეობის მეოთხედი) ერთი სული წლიურად მოიხმარს 125 კილოგრამ ქაღალდს, ნახევარ ტონა ფოლადს, 7 ტონა პირობით საწვავს; რომ ამერიკული ოჯახების მეხუთედს ჰყავს სამი და მეტი ავტომობილი, ნახევარზე მეტს - ორი. ახალი სახლების 65 პროცენტი ორი გარაჟით შენდება. მომუშავე ამერიკელი კვირაში 9 საათს ზის საჭესთან (ე.ი. დღეში გადის სულ ცოტა 70-100 კმ-ს); რომ ჩაცმაზე გაწეული ხარჯების დიდი ნაწილი მოდის სტილის მოთხოვნებზე; ამერიკელს ყოველ დილით მიეწოდება 50-100 რეკლამა. ერთ სულზე რეკლამის ხარჯები 1950 წლიდან 200 დოლარიდან 500-მდე გაიზარდა.

განვითარებადი ქვეყნები ორიენტირებულნი არიან დასავლურ სტანდარტებზე, ამ სტანდარტების მიღწევას კი "სამი პლანეტა მაინც დასჭირდებოდა"(მაჰათმა განდი). მართალია, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონით არსებითად ჩამორჩება ინდუსტრიულ დასავლეთს, მაგრამ ამ ფონზე უფრო ნათლად ჩანს

მომხმარებლური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მხარჯველო-ბითი ეკონომიკის აბსურდული გამოვლინებები.

1987 წელს საქართველოში ერთ სულზე ენერგიის საერთო მოხმარებამ შეადგინა 4 ტონა პირობითი საწვავი. ეს დაახლოებით 20 კუბური მეტრი მერქნის დაწვის ან 8 ცხენის წლიური მუშაობის ეკვივალენტურია. ეს ხარჯი რომ მთლიანად ჩვენი ტყეებით დაგვეკმაყოფილებინა, მერქნის დღევანდელი მარაგი ოთხ წელიწადს თუ გვეყოფოდა. საუკუნის წინ ოჯახი წლიურად საშუალოდ 2-3 კუბურ მეტრ მერქანს ხარჯავდა;

იმავე 1987 წელს საავტომობილო საწვავის ხარჯმა ერთ სულზე 350 ლიტრი შეადგინა; ერთ სულზე მოხმარებულ იქნა 73 კგქაღალდი; საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ ერთ სულზე 12 ათასი ტონა/კილომეტრიშეადგინა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველ მცხოვრებზე 12 ტონა ტვირთი იქნა გადაზიდული ათას კილომეტრზე. რაც უნდა გადაჭარბებულად წარმოვიდგინოთ გასული საუკუნის ქართველი გლეხის სამეურნეო აქტივობა („აბა, რას წარმოადგენდა ის ორმოციოდე ურემი სიმინდი"...), მთელ საოჯახო მეურნეობასთან დაკავშირებული ტვირთბრუნვა არ იქნებოდა 100 ტონა/კილომეტრზე მეტი, ე.ი. ოჯახის წევრზე მოდიოდა საშუალოდ 20 ტონა/კილომეტრი;

ერთი კაცი საშუალოდ წელიწადში 3 ათას კილომეტრს გადიოდა საერთო სარგებლობის ტრანსპორტით, კიდევ ერთ ამდენსკერძო ტრანსპორტით;_ ერთ კაცზე მოდის სულ ცოტა 60 ცხენის ძალის ჯამური სიმძლავრე, სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ კაცზე მუდმივად მუშაობს 8 ცხენი, ხოლო 52 თავლაში აბია... გასულ საუკუნეში ოჯახზე მოდიოდა დაახლოებით ერთი ცხენი და ბუხარი.

2) სოციალური და ეკოლოგიური შედეგები. სიღატაკე და უთანაბრობა. ინდუსტრიული დასავლეთის ცხოვრების მომხმარებლურმა წესმა ხელი შეუწყო მისი უზრუნველმყოფელი საერთაშორისო ეკონომიკური წყობის ფორმირებას შესაბამისი ინსტიტუტებით. ჩამოყალიბდა და ერთმანეთს დაუპირისპირდა მდიდარი და ღარიბი მსოფლიო.

მდიდარი მსოფლიო

მსოფლიოს მოსახლეობის 20 პროცენტი მოიხმარს რესურსებისა და ენერგიის 70-80 პროცენტს და იღებს შემოსავლების სამ მეოთხედს. ერთ სულზე შემოსავალი მდიდარ ქვეყნებში 40-ჯერ აჭარბებს ღარიბი ქვეყნებისას. მსოფლიო მოსახლეობის ღარიბი ნახევარი წლიურად მოიხმარს დაახლოებით ერთ ტრილიონ დოლარს, რაც ნაკლებია შეიარაღებაზე გაწეულ წლიურ მსოფლიო ხარჯებზე. ასეთ პირობებში

ბრაზილია, რომლის ეკონომიკა ზრდის სწრაფი ტემპით გამოირჩევა, მხოლოდ 300 წლის შემდეგ შეძლებდა გათანაბრებოდა მდიდარ ქვეყნებს.

არსებითი უთანაბრობაა სიმდიდრის განაწილების მხრივ ღარიბი ქვეყნების შიგნითაც. მოსახლეობის 75 პროცენტი სოფლელთა ღატაკი ფენაა, დანარჩენი კი ქალაქის მოსახლეობის საშუალო ფენა და ერთი მუჭა პოლიტიკური ელიტაა (ლათინურ ამერიკაში მიწის 88 პროცენტს ფლობს მოსახლეობის 6 პროცენტი).

განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სიკვდილიანობის მაღალი დონე, განსაკუთრებით ბავშვებში. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში წლიური ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე ერთ სულზე 5 დოლარზე ნაკლებია, მაშინ, როცა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დაახლოებით 1000 დოლარს შეადგენს.

სიღატაკესთან დაკავშირებულია განათლების პრობლემები. გაეროს პროგნოზით უწიგნურთა რაოდენობა საუკუნის ბოლოს ერთ მილიარდს მიაღწევს. საშუალო გლობალური დანახარჯები ბავშვის განათლებაზე 350 დოლარს შეადგენს: ინდუსტრიულ ქვეყნებში 6000, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში 2 დოლარს.

დავალიანების პრობლემა

მესამე მსოფლიოს სიღატაკე თანამედროვეობის უპირველესი პრობლემაა. დღევანდელი საერთაშორისო ეკონომიკური წყობილება კიდევ უფრო ამწვავებს ამ საკითხს. კატასტროფულად იზრდება მესამე მსოფლიოს ვალი. 80-იანი წლების ბოლოს ვალმა ერთ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ყოველწლიურად ვალის მომსახურებისთვის საშუალოდ 30 მილიარდს იხდიან (დაახლოებით ამდენივეს ღებულობენ ახალ სესხს, მაშინ, როცა 1972-82 წლებში სესხის 20 პროცენტი შეია-რაღების იმპორტს მოხმარდა). ზოგიერთ ქვეყანაში ვალის გადახდას ექსპორტის ნახევარი სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „მიბმული დახმარებები“, როგორც წესი, ღარიბ ქვეყნებს სთავაზობენ გრანდიოზული პროექტების რეალიზებას. ჩვეულებრივ, დახმარების მხოლოდ 20-30 პროცენტი აღწევს ღარი-ბებამდე. ამ დახმარების არსი გამოხატულია ფორმულით: „ღარიბს ართმევ მდიდარ ქვეყანაში, მდიდარს აძლევ ღარიბ ქვეყანაში“ (შუმახერი).

როგორც საგარეო, ისე საშინაო სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აიძულებს მესამე სამყაროს ქვეყნებს, გაუფრთხილებლად გამოიყენონ თავიანთი ბუნებრივი რესურსები. დიდია დაწოლა გარემოზე.

მეტად არაეფექტურია ეკონომიკის სტრუქტურა. ეროვნული პროდუქტის ნახევარზე მეტი სოფლისა და ტყის მეურნეობების, ენერგიის წარმოებისა და სამთო-მომპოვებელი მრეწველობის წილად მოდის. დიდია ბუნებრივი რესურსების წილი ექსპორტში. განვითარებადი ქვეყნების ბუნებრივი რესურსები ემსახურება არა მათი განვითარების ინტერესებს, არამედ არსებითად მათი ფინანსური ვალდებულებების გადახდას კრედიტორებისთვის.

როგორც გაეროს ეგიდით ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, არსებულ პირობებში გარღვევა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გაიზრდება. არსებით შედეგებს ვერ იძლევა გაეროს საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი წყობის პროგრამის რეალიზაციაც.

რესურსების ამოწურვა და გარემოს დეგრადაცია

მოხმარებაზე ორიენტირებული ცხოვრების წესის მიერ დამკვიდრებულმა პრინციპმა „ბუნება უძირო სკივრია საგანძურისა, რომელიც უნდა მოიხმარო“, კაცობრიობა მომავალი ცხოვრების ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის გლობალური პრობლემის წინაშე დააყენა. ამ პრობლემის გაცნობიერების გზაზე ბოლო ათწლეულებში გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, პრაქტიკული შედეგები ჯერჯერობით არ ჩანს. რესურსების უთავბოლო გამოყენების შედეგია არა მარტო მათი ამოწურვის საშიშროება, არამედ ბუნების თვითაღდგენის უნარის ამოწურვაც.

სიმდიდრე და სიღატაკე სხვადასხვაგვარ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე. სიმდიდრეს (ჭარბ წარმოებასა და ჭარბ მოხმარებას) უკავშირდება გარემოს ისეთი პრობლემები, როგორიცაა ინდუსტრიული ნარჩენები და სამომხმარებლო ნაგავი, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება. სიღატაკეა მთავარი მიზეზი გარემოს ისეთი პრობლემებისა, როგორიცაა ტყეების გაჩეხვა, საძოვრებისა და ნიადაგის ეროზია ზედმეტი დატვირთვის გამო, მდინარეთა აუზების დატბორვა და სხვა. ენერგიის დამზოგავ ეფექტურ ტექნოლოგიებზე ხელმიუწვდომლობა აძლიერებს აღნიშნულ უარყოფით შედეგებს.

მესამე მსოფლიოს ქვეყნები ინდუსტრიალიზაციის კვალობაზე გარემოს მზარდი დამბინძურებლები ხდებიან. ამას ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციები, რადგან ამ ქვეყნებში გარემოსდაცვითი მექანიზმები ნაკლებად მკაცრია ან საერთოდ არ არსებობს.

მდგრადი განვითარებისათვის მოძრაობა თანამედროვე მსოფლიოში

მოსახლეობის ზრდის ტემპსა და ბუნების შესაძლებლობებს შორის მოსალოდნელი წინააღმდეგობა ჯერ კიდევ თომას მალთუსმა განჭვრიტა. მანვე მიუთითა ამ წინააღმდეგობის დაძლევის ძირითადი პირობაც. კერძოდ, მალთუსის თანახმად, კაცმა საკუთარი მადა უნდა მოთოკოს და ბუნებრივი რესურსების მოხმარებისას აზრიანი მომჭირნეობა უნდა გამოიჩინოს.

ამ წინასწარჭვრეტის მეტ-ნაკლებად მასობრივი გაგება ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება, ე.ი. მას შემდეგ, რაც ხსენებული წინააღმდეგობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა. 70-იანი წლებიდან კი სხვადასხვა ქვეყნებში სათავეს იღებს მწვანეთა მოძრაობა, რის პარალელურადაც საფუძველი ეყრება განვითარებისა და გარემოს ურთიერთკავშირის გლობალურ მეცნიერულ გააზრებას. რომის კლუბი და სხვა ინსტიტუტები, მათ მიერ ჩატარებული ფუნდამენტური გამოკვლევების საფუძველზე, ასკვნიან, რომ დედამიწაზე შემდგომი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობანი ძირითადად უკვე ამოწურულია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაწყებული ეკონომიკური ექსპანსია არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, რომ რესურსები იწურება და გარემოს დეგრადაცია კრიტიკულ ზღვარს აღწევს. 1973 წელს შუმახერის წიგნის „პატარა მშვენიერია“ გამოსვლით საფუძველი დაედო ახალ ეკონომიკურ მიმართულებას. მდგრადი განვითარებისათვის მოძრაობის თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო 1987 წელს გაერო-ს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისიის მოხსენების „ჩვენი საერთო მომავალი“ გამოქვეყნებით. ეს ნაშრომი ნორვეგიის პრემიერმინისტრის ბ. ბრუტლანდის საერთო ხელმძღვანელობით დაამუშავა ავტორიტეტულმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები და პოლიტიკოსები შედიოდნენ. ნაშრომმა მწვავედ დააყენა განვითარების პოლიტიკისა და პრაქტიკის გადასინჯვის საკითხი როგორც განვითარებად, ისე ინდუსტრიულ ქვეყნებში. მთავარი დასკვნა ისაა, რომ „გარემოსა“ და „განვითარების“ ჩვენი გაგება ინტეგრირებული უნდა იყოს, რათა დამკვიდრდეს „მდგრადი განვითარება“, რაც თავის მხრივ გულისხმობს „თანამედროვეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებთან კომპრომისის გათვალისწინებით“.

მდგრადი განვითარების პრობლემები და გზები რეგულარულად განიხილება „ალტერნატიულ ეკონომიკურ შეხვედრებზე“, რომლებიც 1984 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იმართება დიდი

შვიდეულის უმაღლესი დონის ეკონომიკური შეხვედრის პარალელურად, მისი ალტერნატივის სახით.

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა გაერო-ს კონფერენცია გარემოსა და განვითარების საკითხებზე. კონფერენციის გენერალური მდივნის მაურის ტრონგის სიტყვებით, შეხვედრის უპირველესი მიზანია, საფუძველი ჩაეყაროს გლობალურ პარტნიორობას განვითარებად და ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის, რაც დაეფუძნება ურთიერთსაჭიროებასა და საერთო ინტერესებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას პლანეტის მომავალი... ჩვენ უნდა მოვძებნოთ მისაღები და თანასწორი ბალანსი გარემოსა და განვითარებას შორის.

ჩვენი ისტორიული მომენტის თავისებურება ისაა, რომ დღეს განვითარებული ქვეყნების სამეცნიერო, საზოგადოებრივი, სამთავრობო და საერთაშორისო ინსტიტუტები უდიდეს ძალისხმევას იჩენენ ისეთი მექანიზმებისა და სტრუქტურების შექმნისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის მატერიალური და სულიერი ფასეულობების ზრდასა და შენარჩუნებას.

მდგრადი განვითარების ცნება, მისი ძირითადი პრინციპები

მდგრადი განვითარების კონცეფციას წინ მწვანეთამოძრაობა უძღვოდა, ამ მოძრაობის ცალმხრივობამ (ნეგაციის პრინციპით მოქმედებამ) კი პრობლემის გლობალური გააზრების აუცილებლობა განაპირობა. ამის შედეგად, 80-იანი წლებიდან უკვე სიღრმისეულად გაიაზრება ორი მეტად არსებითი მომენტი: 1) გარემო, რომლის დაცვა და შენარჩუნება ასე მწვავედ დგას დღის წესრიგში, არ შეიძლება, შემოვიფარგლოთ მხოლოდ ბუნებრივი (მწვანე) გარემოთი; 2) ის გარემოება, რომ გარემოს დაცვისათვის მოძრაობა ასე უკომპრომისოდ უპირისპირდება ეკონომიკის ზრდისაკენ მიმართულ აქტივობას, არ შეიძლება, პერსპექტიულად მივიჩნიოთ, რადგან წარმოების ზრდაც და გარემოს დაცვაც საბოლოო ანგარიშით ადამიანის კეთილდღეობისაკენაა მიმართული. მდგრადი განვითარების კონცეფცია თავის თავში გულისხმობს სამი ურთიერთდაკავშირებული და იმავდროულად ურთიერთდაპირისპირებული იდეის - კეთილდღეობის, მყობადობის და თანასწორობის - უკონფლიქტო ერთიანობას.

1. კეთილდღეობა გულისხმობს ბუნებრივ, ადამიანის მიერ შექმნილ და კულტურულ ფასეულობებს, რაც ქმნის ცხოვრების ხარისხს. კეთილდღეობის ცნების ზუსტი განმარტება მოუხელთებელია, მაგრამ ზოგადი კონცეფცია საკმაოდ ნათელია. ის მოიცავს შემოსავალს, მაგრამ

ამით არ შემოიფარგლებს. გარემოს ხარისხი კეთილდღეობის ერთ-ერთი უმთავრესი, მაგრამ არა ფინანსური კომპონენტია და ამიტომაც კეთილდღეობაზე მხოლოდ ეკონომიკური ზრდის მიხედვით მსჯელობა ეწინააღმდეგება საღ აზრს;

2. მყობადობა - გულისხმობს დროითი ჰორიზონტის გაფართოებას, რაც ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების თანაბრად დაცვის მოთხოვნაში გამოიხატება;

3. თანასწორობა - გულისხმობს სამომხმარებლო ფასეულობების განაწილებაში სამართლიანობის თანდათანობით დამკვიდრებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნებს შორის. დღეისათვის აქტიურად მიმდინარეობს მდგრადი განვითარების კონცეფციის დამუშავება-დახვეწა. მდგრადი განვითარების პრინციპების ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც განვითარების დასავლური მოდელის ალტერნატივას წარმოადგენს, ასეთია:

1. განვითარების კულტურული და სოციალური ინტეგრირების პრინციპი - განვითარება უნდა ამოიზარდოს შიგნიდან და არა გარედან (იმანენტურობა);

2. ეკოლოგიური პრინციპი - განვითარება უნდა შეესაბამებოდეს და აღადგენდეს ბუნების მრავალსახეობას. იგი რესურსების გამოყენების მდგრად ფორმებს უნდა ეფუძნებოდეს;

3. სოლიდარობის პრინციპი - განვითარება უნდა უზრუნველყოფდეს სიცოცხლის საბაზრო საჭიროებებს და სასიცოცხლო ინტერესების დაცვას ყველა ხალხისთვის. იგი (განვითარება) ხელს უნდა უწყობდეს თანასწორობასაც და ეკვივალენტურ გაცვლასაც;

4. ემანსიპაციის პრინციპი - თვითდაფუძნება - განვითარება თავისთავს უნდა ეყრდნობოდეს;

5. არაძალადობის პრინციპი - განვითარება თავისუფალი უნდა იყოს როგორც ფიზიკური, ისე საზოგადოებრივი ინსტიტუტების ძალადობისაგან;

6. შეცდომებისაგან დაზღვევის პრინციპი - განვითარებას შეიძლება თან ახლდეს მხოლოდ ისეთი შეცდომები, რომლებიც ეკოსისტემებს არ ემუქრება.

განვითარების ახლებურად გააზრების პროცესს თან ახლავს საყოველთაოდ მიღებული ძველი იდეების გადასინჯვა და ახალი მიდგომების ჩამოყალიბება. ეკონომიკურ მეცნიერებაში ეს იდეები ასახვას პოულობენ შემდეგ ახალ მიმართულებებში: „მდგრადი ეკონომიკა“, „ეკოლოგიური ეკონომიკა“, „მწვანე ეკონომიკა“, „ახალი ეკონომიკა“, „ადამიანური ეკონომიკა“ და სხვა.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომლის გარშემოც კონცენტრირდება მეცნიერ-ეკონომისტთა ყურადღება, ეს კეთილდღეობის ადეკვატური ეკონომიკური შეფასების პრობლემაა. დღეისათვის სამეცნიერო წრეებში აღიარებულია, რომ კლასიკური ეკონომიკური მაჩვენებელი - მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) ადეკვატურად ვერ ასახავს კეთილდღეობის დონეს და, მითუმეტეს, არ გამოდგება განვითარების სწორი ორიენტირების შესარჩევად. ეს მაჩვენებელი უფრო ეკონომიკური აქტივობის ინდიკატორია, ვიდრე ეკონომიკური პროცესების საზოგადოებრივად აუცილებელი შედეგებისა. მასში სრულად არ აისახება ეკოლოგიური კაპიტალის დანახარჯები, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, საზოგადოების სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სხვა მრავალი არსებითი გარემოება.

ეკონომისტები დიდ ძალისხმევას ახმარენ კეთილდღეობის სინთეზური მაჩვენებლის შექმნას და გასაგები სირთულეების მიუხედავად ამ საქმეში გარკვეულ პრაქტიკულ შედეგებსაც აღწევენ. ძირითადად, მცდელობა მიმართულია იქით, რომ სინთეზურ მაჩვენებელში ტრადიციული ღირებულებითი კომპონენტების გარდა ისეთი ფასეულობებიც აისახოს, რომელთა ფულით გაზომვა შეუძლებელია. კერძოდ, ე.წ. ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI) მთელ რიგ სხვა პარამეტებთან ერთად ითვალისწინებს ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და განათლების დონესაც. ამ კრიტერიუმებს მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს ქვეყნების განვითარების დონეთა კლასიფიკაციაში, მაგალითად, შრი-ლანკასა და ბრაზილიის შედარება ასეთ სურათს იძლევა: მთლიანმა ეროვნულმა პროდუქტმა შრი-ლანკაში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 2050 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ბრაზილიაში კი - 4300, ადამიანური განვითარების ინდექსის (HDI) მიხედვით კი ეს ქვეყნები დაახლოებით თანაბარ დონეზე აღმოჩნდნენ. თუ აშშ მთლიანი ეროვნული პროდუქციის მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, HDI-ის მიხედვით მეორე ათეულის ბოლოში აღმოჩნდა ავსტრალიის, კანადისა და ესპანეთის შემდეგ.

კეთილდღეობის კიდევ ერთი ალტერნატიული სინთეზური მაჩვენებელია ე.წ. მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის ინდექსი (ISEW), რომელიც მხედველობაში იღებს არა მხოლოდ მოხმარებას, არამედ განაწილებასა და გარემოს დეგრადაციასაც, ამ ინდექსის მიხედვით აშშ-ში კეთილდღეობის ზრდას 1950-იანი წლებიდან ადგილი არ ჰქონდა, მაშინ, როდესაც ამ პერიოდში აშშ-ის მთლიანი ეროვნული პროდუქტი თითქმის გაორკეცდა.

გაეროს სტატისტიკური სამსახური მსოფლიო ბანკთან და გაეროს გარემოს პროგრამასთან (UNEP) ერთად ინტენსიურად მუშაობს ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გარემოს ხარისხის და რესურსების მდგომარეობის ადეკვატური ასახვისათვის.

მსოფლიოს რესურსების ინსტიტუტმა ახალი კრიტერიუმებით შეაფასა ინდონეზიის ეკონომიკა. ტრადიციული კრიტერიუმებით შეფასებისას 1971-1984 წლებში მთლიანი ეროვნული პროდუქტის ყოველწლიური ზრდა 4 პროცენტს შეადგენდა, მაგრამ მხოლოდ სამი სახის რესურსის - ტყის, ნავთობისა და ნიადაგის ხარისხის ცვლილებების გათვალისწინებით ინტეგრალური მაჩვენებლის ზრდა უკვე 4 პროცენტამდე დავიდა.

კეთილდღეობის ერთიანი სინთეზური ინდექსის დამუშავების პარალელურად ჩნდება ალტერნატიული არაფულად ინდიკატორთა სისტემა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ცხოვრების ისეთ მხარეებზე, რომელთაც „ჩვეულებრივი“ მიდგომა უყურადღებოდ სტოვებს.

მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმები

წარმოების ზრდა და მასთან დაკავშირებული რესურსების ფართო გამოყენება ისეთ ლეგიტიმურ მექანიზმს ემყარება, როგორიც ღია ბაზარია. საბაზრო ძალების თავისუფალ მოქმედებას, როგორც ადამ სმიტი მიიჩნევდა, საყოველთაო ჰარმონია, კეთილდღეობა, აყვავება, განვითარება და პროგრესი უნდა მოეტანა. ამას იგი „უხილავი ხელის“ პრინციპს უწოდებდა. კერძო ინტერესებით მოტივირებული უამრავი მწარმოებლისა და მომხმარებლის ლოკალური ქმედება მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის თვალსაზრისით მართლაც ქმნის ერთგვარ ჰარმონიას, ოღონდ შეზღუდულ დროსა და სივრცეში.

ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეგულატორები

ინგლისელი მკვლევარი მაიკლ ჯაკობსი მოხდენილად შენიშნავს, რომ საბაზრო ძალები, სხვა მხრივ თუ არა, გარემოს მდგომარეობის თვალსაზრისით მაინც უეჭველია, ქმნის „უხილავ იდაყვს“, რაც სერიოზულად აზიანებს, არღვევს პლანეტის ეკოლოგიურ ბალანსს. აშკარა ხდება, რომ საბაზრო აქტივობის შედეგები მთლიანობაში უნდა დაიგმოს. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ტოტალური კონტროლი გაუწიოს ყოველგვარ ეკონომიკურ აქტივობას, პირიქით, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება სწორედ საბაზრო მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ფართოდ გამოყენებაა. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ

ბაზრის მექანიზმის რეკონსტრუირებით კეთილდღეების განმსაზღვრელმა ყოველმა ელემენტმა ჭეშმარიტი, ადეკვატური ფასი მიიღოს, ეს კი ორი გზით შეიძლება განხორციელდეს: 1) პრივატიზაციის ცნების გაფართოებით (ყველაფერს თავისი პატრონი გაუჩნდეს) და 2) სახელმწიფოს ჩარევით ფასწარმოქმნის სისტემაში.

ჩვეულებრივ გამოყოფენ გარემოზე ზემოქმედების რეგულირების ოთხ ძირითად მიმართულებას, რომლებითაც შესაძლებელია სახელმწიფოს ჩარევა საბაზრო მექანიზმში:

- სახიფათო ქმედებების არა რეგულარულად გამოცხადება (სტანდარტები, სახელმწიფო რეგულირება);
- სახიფათო ქმედებების დაჯარიმება;
- დაბინძურებისა და რესურსების გამოყენების ბაზრის რეგულირება (ოპტიმალურ დონეზე დაბინძურებისა და რესურსების გამოყენების ლიცენზირება);
- სასარგებლო ქმედებების წახალისება (სუბსიდიები დაბინძურების შეზღუდვასა და რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე).

პირველი სამი მიმართულება უზრუნველყოფს მიდგომას: „დამბინძურებელი და მომხმარებელი იხდის“, მეოთხე პრინციპით კი, „გადასახადის გადამხდელი იხდის“ - ხდება ოპტიმალურზე მაღალი შედეგების წახალისება საზოგადოების მიერ ეკოლოგიური და სხვა მსგავსი ფონდების მეშვეობით. ამ პრინციპით ხდება წარმოების რეალური ხარჯებისა (საზოგადოებისთვის მიყენებული ზარალისა) და მოხმარების ეფექტის გათვალისწინება. მრავალმხრივი სირთულეების მიუხედავად, დღეისთვის უკვე შესაძლებელია მდგრადი განვითარების ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენება. ეკოლოგიური გადასახადები, რომლებიც არა მარტო ზღუდავენ გარემოსთვის მავნე ქმედებას, არამედ ასტიმულირებენ კიდეც სასურველ მიმართულებებს უკვე ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მაგალითად, 1989 წელს ბრიტანეთში ეთილირებულ ბენზინზე შემოღებულმა 8-პროცენტიანმა გადასახადმა ერთ წელიწადში არაეთილირებული ბენზინის მოხმარება 4-დან 30 პროცენტამდე გაზარდა.

სტრუქტურული პოლიტიკა

ახალი ეკონომიკური აზროვნება ეჭვქვეშ აყენებს მრავალ კლასიკურ თვალსაზრისს, რომელსაც ეყრდნობოდა და ეყრდნობა ეკონომიკური პრაქტიკა. დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურა შრომის შიგა ეროვნულ და საერთაშორისო დანაწილებაში

ზესპეციალიზაციითა და ფრაგმენტაციით ხასიათდება.

ზესპეციალიზაციის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია „იაფი“ ტრანსპორტი, რომელსაც ხშირად აბსურდულ კავშირებამდე მივყავართ, და რაც მძიმე ტვირთად აწვება ადამიანსა და გარემოს.

დღეს ახალ შინაარსს იძენს ანტიკური ეკონომიკური საკითხი ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის შესახებ. ქვეყნის ეკონომიკის გახსნილობის დონესა და განვითარების (ეკონომიკური ზრდის) დონეებს შორის კავშირის უტყუარობა ემპირიული მასალებით არ დასტურდება. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი ყოველთვის არ უკავშირდება ქვეყნის გახსნილობას. სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები მეტ-ნაკლები გახსნილობით ხასიათდებიან, აქვთ სხვადასხვა სახის სპეციალიზაცია და მათი წარმატებები არ უკავშირდება მაინც და მაინც ექსპორტის სიდიდესა და ინდუსტრიის ზრდას. ამგვარ კავშირს მხოლოდ რამდენიმე სწრაფად მზარდ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი.

დღეს უკვე ეჭვქვეშ დგას თავისუფალ ვაჭრობაზე დამყარებული ერთიანი მსოფლიოს კოსმოპოლიტური იდეაც, რომელიც ეფუძნება შეფარდებითი უპირატესობის კლასიკურ დოქტრინას და გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის სპეციალიზაციას, ყველაზე ხელსაყრელ და მომგებიან დარგებში. ამ იდეის რეალიზაციის შედეგია ცალკეული ქვეყნების მეტად ვიწრო სპეციალიზაცია. ასეთი ურთიერთობების შედეგად კი საბოლოო ჯამში მოგებული რჩება ის, ვინც უფრო რთულ და კომპლექსურ პროდუქტს აწარმოებს (წამლის მწარმოებელი ყავის მწარმოებელთან შედარებით). ახალი ეკონომიკური შეხედულებების მიხედვით ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგია თეორიულად უკვე ყავლგასულია და იგი პრაქტიკულად სიცოცხლეს მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF), მსოფლიო ბანკისა (WB) და ვაჭრობის ტარიფებზე გენერალური შეთანხმების (GATT) მხარდაჭერით ინარჩუნებს.

ეკონომიკური კარგახსნილობისა და თავისუფალი ვაჭრობის სანაცვლოდ მდგრადი განვითარების სტრატეგია პრიორიტეტს ანიჭებს თვითუზრუნველყოფისა და თვითდაკმაყოფილების პრინციპს: აწარმოე ის, რაც გჭირდება და რისი წარმოებაც შეგიძლია შენი საკუთარი რესურსებით, და მოიხმარე ის, რაც აწარმოე, ანუ ის, რაც გაქვს. ეს იდეა აქცენტს აკეთებს „შიგნიდან განვითარებაზე“, რაც იმას გულისხმობს, რომ ქვეყანასსაკუთარიკულტურისშესაბამისადმიეცესგანვითარებისსაკუთარი სტილის გამომუშავებისა და გარედან თავსმოხვეულ „განვითარებაზე“ უარის თქმის საშუალება. ასეთი მიდგომა, რასაკვირველია, არ უარყოფს ეკონომიკურ კავშირებს.

განვითარების სტრატეგიაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე, წინა პლანზე იწევს ტერიტორიული იერარქიის პრინციპი: თვითუზრუნველყოფა-თვითდაკმაყოფილება ლოკალური-დან რეგიონულ და საერთაშორისო დონეებამდე. თანაბარი დონის ეკონომიკების რეგიონული მოწყობა (გაერთიანებული ქვეყნების ბლოკები და მათ შიგნით თავისუფალი ვაჭრობით და გარეშეთათვის მთელი რიგი შეზღუდვებით) შესაძლებელს გახდის სპეციალიზაციისა და კონკურენციის ოპტიმალური ეფექტის მიღწევას, რითაც პარალელურად გამოირიცხება ძლიერი პარტნიორის მიერ სუსტი კონკურენტების იოლად ჩაყლაპვის შესაძლებლობა.

ამუამად მიმდინარეობს პრინციპის - რაც უფრო თავისუფალია ვაჭრობა, მით მეტია ეკონომიკური განვითარება - სერიოზული რევიზია. „თავისუფალი“ ვაჭრობა ინდუსტრიულად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის პირდაპირ აბსურდული ხდება, რადგან სავაჭრო სისტემა ისე ამოწყობილი, თითქოს ყველა ქვეყანა თანაბარი იყოს. ეს სისტემა არსებითად სუსტი ქვეყნებისათვის საზიანო თამაშის წესების თავსმოხვევას წარმოადგენს.

ფული და საბანკო სისტემა

დღევანდელი მსოფლიოს სავალუტო-საფინანსო სისტემა არსებულ ეკონომიკურ წყობას შეესაბამება და მასვე ემსახურება. ამდენად, იგი ატარებს და ასტიმულირებს კიდეც ამ წყობისთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს. ფული ვერ ასრულებს გაცვლის, ღირებულების შეფასებისა და დაგროვების ფუნქციებს. ბანკები, რომლებსაც კრედიტების გაცემის პრეროგატივა აქვთ, სარგებლობენ ფულად რესურსებზე (ლიკვიდურ ღირებულებაზე) თავიანთი მონოპოლიური მდგომარეობით. ამუამად აქტიურად მიმდინარეობს მდგრადი განვითარების შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტების თეორიული დამუშავება. კერძოდ, ლაპარაკია ისეთ ფინანსურ ინოვაციებზე, როგორებიც არის ლოკალური ვალუტა, საბანკო სისტემის დეცენტრალიზაცია, მეანაბრის სუვერენიტეტი და სხვა.

* * *

საქართველო მცირე მასშტაბებში განხორციელებული მრავალ-ფეროვნებაა. რამდენადაც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი მრავალფეროვნებათა მდგრადი წონასწორული თანაარსებობის პრინციპია, ამდენად, საქართველო ისეთი უნიკალური,

პატარა ქვეყანაა, რომელსაც ასეთი წონასწორული მექანიზმის გაცნობიერების გამოცდილება გააჩნია. საქართველოში მცირე ტერიტორიაზე წარმოდგენილია ბუნებრივ-კლიმატური და ეთნიკურ-კულტურული თავისებურებების ფართო სპექტრი. ამავე დროს სწორედ ეს წონასწორობა განიცდის ყველაზე მძიმე გამოცდას პოლიტიკურ-სოციალური ორიენტაციის შეცვლის (გარდამავალ) პერიოდში.

თუ ყოფილი სსრკ-ს ევროპული ნაწილის ქვეყნების განვითარების მაგისტრალური გზა სტანდარტული დასავლური კულტურის, ხოლო აზიური ნაწილისა - აზიური (მუსულმანური) კულტურის დამკვიდრებაშია, საქართველოსათვის საჭირო ხდება იმის შეცნობა, თუ რა შინაარსის და რა ფორმის წონასწორობა გამოდგება მისთვის ადრე არსებულის ალტერნატივად.

2013

ეს იყო მეორე ენერგიული ტალღა ხუდონჰესის ასაშენებლად. მე, როგორც საპროტესტო მოძრაობის ვეტერანი, გულგრილი ვერ დავრჩებოდი და თავს ვალდებულად ვთვლიდი, ჩემი წერილობითი და ზეპირი (სატელევიზიო გამოსვლები, მიტინგები) სიტყვა შემეწია წინააღმდეგობისთვის. ბრძოლა მოგებულია, ომი გრძელდება...

რეზონანსი 25.04.2013;
European.ge, 09.05.2013

ენერგეტიკული პოლიტიკა – საფრთხე ეკოლოგიურ-სოციალური გარემოსთვის

თეზისები მდგრადი ელექტროენერგეტიკისათვის

„ბუნების პეიზაჟთა მშვენებას ვანადგურებთ, რადგან მის სიდიადეს ეკონომიკური ღირებულება არ გააჩნია, იმაზეც კი ვართ წამსვლელები, რომ მზე და ვარსკვლავები ჩავაქროთ იმ მიზეზით, რომ ჩვენთვის დივიდენდები არ მოაქვთ“.

ჯონ მეინარდ კეინსი

„წყალნი მთით დაქანებულნი, უფსკრულში იკარგებიან, თერგი რბის, თერგი ღრიალებს, მთანი ბანს ეუბნებიან“ = „დარიალჰესს“ – 100 მეგავატს.

ჩემი პოსტი ფეისბუქში

გარემოს დამცველთა და ენერგეტიკოსთა კონფლიქტი საქართველოში ახალი ამბავი არ გახლავთ: ის 1988 წელს დაიწყო ხუდონჰესთან დაკავშირებით,* და დღემდე მისი არათუ შინაარსი არ შეცვლილა, ნახსენები კონკრეტული პრობლემაც კი გადაუჭრელი დარჩა.

პოლიტიკა პრაქტიკულად არ შეცვლილა. ახლანდელმა მთავრობამ, ენერგეტიკის სამინისტროს სახით, იგი პრაქტიკულად უკრიტიკოდ

მიიღო და ცდილობს, განახორციელოს წინა – ლიბერტარიანული იდეოლოგიის მქონე მთავრობის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დოკუმენტი – „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“ (იხ. ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი).

რას აცხადებს ეს სტრატეგია?

„საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მთავარი მიმართულებაა ჰიდრორესურსების ეფექტიანად ათვისება ყველა შესაძლო მიმართულებით – მცირე და მძლავრი კომპლექსების მშენებლობით, პრივატიზება - დერეგულაციით. ჰიდრორესურსებით ელექტროენერგიაზე ქვეყანაში არსებული მოთხოვნის სრული (100%) დაკმაყოფილება და ელექტროენერგიის ექსპორტი“.

რას ითვალისწინებს – რის ხარჯზე უნდა განხორციელდეს ეს სტრატეგია?

- ხუდონჰესის (სვანეთი) დამთავრება; ონის კასკადის (რაჭა) მშენებლობა; ნამახვანის (ლეჩხუმი) მშენებლობა; ჭოროხის (აჭარა), თერგის (ხევი) და არაგვის ჰიდროპოტენციალის ათვისება და ა.შ.(40-ზე მეტი ჰესი)... მოკლედ, სახეზეა საქართველოს მთიანეთის ტოტალური დატბორვა-ათვისების გეგმა – ახალი „გოელრო“, რომელსაც, სამწუხაროდ, მწვანე შუქს უნთებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების (?) სამინისტრო და ვერ ეწინააღმდეგება გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

მე აქ არ შევჩერდები იმ უარყოფით ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ და სოციალურ - კულტურულ შედეგებზე, რასაც ამ პროექტების სრულმასშტაბიანი განხორციელება უქადის მცირემიწიან საქართველოს. ეს ცხადია არათუ ეკოლოგებისთვის, გეოლოგებსა თუ სოციოლოგებისთვის, არამედ უბრალოდ საღად მოაზროვნეებისათვისაც. ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა და კიდევ ბევრი ითქმება და იწერება.

მე მინდა, ვიმსჯელო მხოლოდ არსებული ენერგეტიკული პოლიტიკის სიმცდარეზე, რაც არის პრობლემის მთავარი მიზეზი, და იმ ორიენტირებზე, რისკენაც უნდა შეიცვალოს ენერგოსტრატეგია.

როგორია დღეს საქართველოში ელექტრომოხმარება და წარმოება, მასზე მოთხოვნის პროგნოზი? ქვემოთ მოტანილია მსოფლიო ბანკის 2010 წლის მონაცემების საფუძველზე შედგენილი ცხრილი.

ქვეყანა	ელექტრომოხმარება კვტ.სთ/1სულზე	GDP $/1 სულზე	ენერგოეფექტურობა $/კვტ.სთ
საქართველო	1743	2614	1,49
სომხეთი	1606	3031	1,88
აზერბაიჯანი	1603	5843	3,64
რუსეთი	6452	10447	1,61
თურქეთი	2403	10050	4,18
ბულგარეთი	4476	6335	1,41
რუმინეთი	2392	7670	3,20
მოლდოვა	1049	1632	1,55
ბელარუსი	3564	5818	1,63
ლიტვა	3026	11046	3,65
ჩეხეთი	6321	18910	2,99
ბელგია	8387	43007	5,12
დანია	6327	56486	8,92
საფრანგეთი	7729	39170	5,06
შვეიცარია	8173	70573	8,63
იტალია	5384	33787	6,27
პარაგვაი	1134	2840	2,50
ბოლივია	616	1979	3,21
გვატემალა	1134	2873	2,53

ეს მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ ელექტროენერგიის მოხმარების მხრივ საქართველოში სულაც არ არის კატასტროფული მდგომარეობა, და იმასაც, რომ ის არაეფექტიანად მოიხმარება საკმაო რეზერვის არსებობის პირობებში.

როგორც ვხედავთ, 2010 წელს საქართველო 1 სულ მოსახლეზე ჩამორჩენილია ენერგოეფექტიანობით - 1კილოვატ/საათ მოხმარებულ ელექტოენერგიაზე საქართველოში იწარმოებოდა მხოლოდ 1,49$ ერთობლივი შიდა პროდუქტი, აზერბაიჯანში კი - 3,63$; სომხეთში-1,88 $; თურქეთში - 4,18$; რუმინეთში - 3,20$ დაა.შ., ხოლო იტალიაში - 8,63 $; დანიაში - 8.92$.

გენერირებული (წარმოებული) ელექტროენერგიის (10,1 მილიარდი კილოვატსაათი 2010 წელს)** დანაკარგების მხრივაც საქართველო ერთ-ერთ პირველთაგანია მსოფლიოში. შეგვიძლია, შევადაროთ: 2004 წელს გენერირებული ელექროენერგიის დანაკარგები საქართველოში შეადგენდა 15,5%, უზბეკეთში - 8,8%, ლიტვაში - 6,7%, ფინეთში - 3,5%,

ლუქსემბურგში -1,4% (2009 წლისთვის საქართველოს მაჩვენებელი 1,5-2%-ით გაუმჯობესდა).

საინტერესოა, რომ, მაგალითად, „თელასის“ მოხმარების სტრუქტურაში დაახლოებით 30% დანაკარგებია.

ცალკე თემაა დამზოგველი ტექნოლოგიების გამოყენება - როგორც ექსპერტები მიგვითითებენ - მხოლოდ ძველი ყაიდის, ე.წ. „მჭამელი“ ნათურების თანამედროვეთი შეცვლა დიდ სარგებელს მოუტანს როგორც თითოეულ მომხმარებელს, ისე ქვეყანას. ჩანს, რომ რეზერვები აქაც დიდია. ამ ფონზე სრულიად გაუგებარია, რომ „სამთავრობო სტრატეგიაში“ მხოლოდ ორი წინადადებას ვხვდებით ენერგიის ეფექტიანად გამოყენებაზე, და აქედან ერთი გაუგებარია.

რა შეიძლება ითქვას წარმოებული ელექტროენერგიის სტრუქტურაზე?

დღეისთვის საქართველოში წარმოებულ ელექტროენერგიაში ჰიდროელექტროენერგიის წილი ძალიან მაღალია - 2010 წელს ის შეადგენდა 92%-ს, დანარჩენი კი თბოენერგიაზე (გაზი) მოდიოდა.

როგორია მსოფლიო ტრენდები ამ ასპექტით?

2011 წელს მსოფლიოში ჰიდროენერგიის წილი შეადგენდა მხოლოდ 16,3 % (განახლებადში - 80%). მათ შორის, ჰიდროელექტროენერგიის წილი ელექტროენერგიის მთლიან წარმოებაში შეადგენდა: საფრანგეთში - 11%; ფინეთში -18%; შვეიცარიაში - 40%; შვეციაში - 43%.

რაც შეეხება პროგნოზებს - ჩვენი მთავრობის მიერ დაქირავებული ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ნორმალური ეკონომიკური ზრდისა და ელენერგიის გარკვეული ინტენსივობით მოხმარების შემთხვევაში (ერთობლივი შიდა პროდუქტის 0,1 ელასტიურობის კოეფიციენტით), ელექტროენერგიაზე მოთხოვნა შესაძლებელია დაკმაყოფილდეს არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის ხარჯზეც კი.

მაშ, რა არის მიზეზი ამ დარგის ასე წინმსწრები ტემპით გაზრდის დაუოკებელი სურვილისა?

ჩემი აზრით, მიზეზი რამდენიმეა:

- ელექტრენერგიის დეფიციტის წარმოქმნის შიში (ენერგო-უსაფრთხოება);
- საექსპორტო პროდუქტის შექმნის სურვილი (პირდაპირი გაგებით - ჩვენი მიწა-წყლის ხარჯზე?!) - კორპორაციული(ბიზნეს) ინტერესების პრევალირება;
- არაკომპეტენტურობა - დარგის განვითარების პრიორიტეტების ვერშეფასება.

ზემოთ მოყვანილი მეტად ზოგადი ანალიზიც ცხადყოფს, რომ

რადიკალურად უნდა შეიცვალოს დღევანდელი მთავრობის ხედვები და გეგმები საქართველოს ენერგოსექტორის განსავითარებლად.

როგორია ჩვენი ზოგადი შეფასებები და ხედვები საქართველოს ელექტროენერგეტიკის მდგრადი განვითარების პოლიტიკისთვის?

1. ზოგადად ენერგეტიკა (ენერგეტიკული პროექტები) უნდა იყოს ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და სოციალურად მისაღები, დაბალანსებული, ჰარმონიზებული და განგრძობადი. ენერგოწარმოება არ შეიძლება, განიხილებოდეს მხოლოდ კომერციული, მონეტარული, თუნდაც ეკონომიკური კრიტერიუმებით.

2. საქართველოს ელექტროენერგეტიკა ვერ და არ უნდა იყოს მონორესურსული-მხოლოდ ჰიდრორესურსებზე ორიენტირებული (100%?!). საქართველოს პოტენციური ჰიდრორესურსი ვერ იქცევა სრულ ელექტროპროდუქტად სხვადასხვა ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-სოციოკულტურულ მიზეზთა გამო.

3. თუ ელექროენერგეტიკისთვის გამოსადეგი დასაშვები ჰიდრორესურსების შერჩევა და ჰესების პროექტირება მოხდება მდგრადობის კრიტერიუმებით, აღმოჩნდება, რომ საქართველო არც ისე „მდიდარია წყლის ენერგორესურსებით“ (მიიჩნევა, რომ დღეისათვის ათვისებულია ჰიდროენერგოპოტენციალის მხოლოდ 18%).

4. საერთო ეროვნული ბუნებრივი სიმდიდრე - წყალი არ შეიძლება ყველა შემთხვევაში გახდეს კერძო სარგებლობის და, მით უფრო, დასაკუთრების საგანი.

5. უნდა მოხდეს გარკვეული (სტრატეგიული) ენერგოობიექტების ნაციონალიზაცია, ხოლო წყლით სარგებლობა სათანადოდ დაიბეგროს.

6. ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში გამიზნული უნდა იყოს უმთავრესად საკუთარი - შიგა მოხმარებისათვის და მხოლოდ სეზონური ნამეტი -ექსპორტისათვის.

7. საქართველოს ენერგეტიკა არის უკიდურესად არაეფექტიანი, არადამზოგველი, რაც უნდა განვიხილოთ როგორც ძალიან მნიშვნელოვანი რეზერვი.

8. უნდა მოხდეს ენერგოდამზოგველი პოლიტიკის პროგრამების შემუშავება-იმპლემენტაცია, მათ შორის კანონმდებლობით - რეგულაციებით, ეკონომიკური სტიმულებით, სწავლება-პროპაგანდით და სხვ.***

9. დროა, მიმდინარეობდეს სერიოზული მუშაობა ელექტროენერგიის ისეთ განახლებად წყაროებზე, როგორებიც არის ქარის, მზის, ბიომასის, გეოთერმული, ზღვის ენერგიები.

საქართველოს აქვს პოტენცია, გამოიმუშაოს მზის ენერგია - 108 მეგავატი; ქარის ენერგია - 4 მილიარდი კვტსთ წელიწადში; მაღალი ხარისხისაა გეოთერმული რესურსი და ა.შ.

ჩვენ მინიმუმ 20-25 წელიწადი დავკარგეთ. სჯობს, კიდევ შევყოვნდეთ, თუნდაც ერთი წელიწადი, გამოცხადდეს მორატორიუმი ახალ (ზოგიერთ დაწყებულ) მშენებლობებზე და მთავრობამ შეიმუშაოს ახალი - მდგრადი ენერგოსტრატეგიის შესაბამისი პოლიტიკა.

დავით ადეიშვილი
ეკონომიკის დოქტორი

*იხ. სტატია "დეფიციტი თუ ეკოციდი", გაზ. „თბილისი", 1 თებერალი,1989 წ.

** გამოყენებული რიცხვები მოტანილია ოფიციალური წყაროებიდან

*** გაანგარიშებულია, რომ 1 კვტ/სთ ენერგიის დაზოგვა ეკვივალენტურია 1,19 კვტსთ გენერირების ეკონომიისა - დისტრიბუციაში დანაკარგების გამო, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დავზოგავდით წარმოებული ენერგიის 6-6,5% – ეს დაახლოებით ეკვივალენტური იქნებოდა მშენებარე „დარიალჰესისა".

ეს არის ხუდონჰესის აშენების მცდელობის „მეორე ტალღის" საწინააღმდეგო კამპანიის პერიოდში დაწერილი მეორე სტატია. კერძოდ, გაკრიტიკებულია პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ), რომლის საჯარო განხილვა მოხდა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" (2013, სექტემბერი). იქ ჩემი ემოციური გამოსვლის ჩანაწერი, ალბათ, დღესაც შეიძლება მოინახოს Youtube-ის არქივში. იმ პერიოდში ამ თემაზე გამართული ტელედებატების ხშირი სტუმარი გახლდით. კამათი ხშირად სცდებოდა სპეციფიკური თემის ჩარჩოებს...

რეზონანსი, 2013 წლის 18 სექტემბერი

ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის სტრატეგიულ-პოლიტეკონომიური და სოციალურ-ეკოლოგიური ასპექტები

17 და 19 სექტემბერს ხაიშსა და თბილისში დანიშნული იყო ხუდონჰესის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ, იხ. გარემოს დაცვის სამინისტროს ვებგვერდი) საჯარო განხილვა. საქართველოს ენერგოპოლიტიკის შესახებ ჩვენ ადრეც ვწერდით გაზ. „რეზონანსში" (იხ. მ.წ. 25 აპრილის, „ენერგეტიკული პოლიტიკა-საფრთხე ეკოლოგიურ-სოციალური გარემოსათვის. თეზისები მდგრადი ელექტროენერგეტიკისათვის").

წინამდებარე სტატიაში ხუდონჰესის განსახილველი პროექტი და მისი გზშ (შესრულებულია კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის, CENN, მიერ) ჩვენ მიერ ფასდება ძირითადად სტრატეგიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-ეკოლოგიური კუთხით და მეთოდოლოგიურად ეყრდნობა მდგრადი ენერგეტიკის პრინციპებს. ჩვენი მიზანი არ ყოფილა გზშ-ის სხვა ანალიზი, გარდა აღნიშნული ასპექტებისა.

გზშ-ის პროექტის *მიზანშეწონილობის* დასაბუთებისას გამოტანილია ცალსახა დასკვნა, რომ მის „დაუყოვნებლივ განხორციელებას" ალტერნატივა არ აქვს („ნულოვანი ალტერნატივა"). ჩვენი აზრით, პროექტის საჭიროების (დაუყოვნებლივ განხორციელების) „დასაბუთება" ზედაპირულია, თუ არა ტენდენციური, და დასკვნაც, შესაბამისად - არასწორი.

პირველ რიგში განვიხილოთ *ელექტროენერგიაზე მოთხოვნის შეფასება.* გზშ-ში მოყვანილია 2005-2011 წლების ელექტროენერგიის მოხმარების გრაფიკი. დაფიქსირებულია, რომ 2010-2011 წლებში ზრდა 10%-ს შეადგენდა და გამოტანილია დასკვნა, რომ „საქართველოში ბოლო წლებში იზრდება ელექტროენერგიაზე მოთხოვნა“.

ჩვენი გათვლებით, 2005-2012 წლებში ელექტროენერგიაზე მოხმარების ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა 2,8% (2012 წელს წინა წელთან შედარებით მოვიხმარეთ მხოლოდ 1,3%-ით მეტი ელექტროენერგია).

რაც შეეხება პროგნოზს - CENN გზშ რეალისტურად მიიჩნევს მოხმარების 5-6%-იან ზრდის ტემპს წელიწადში (2005-2020) და 2020 წლისთვის 22-23 მილიარდ კილოვატის მოხმარებას პროგნოზირებს რაც, ჩვენი აზრით, სრულიად უსაფუძვლოა რიგი მიზეზების გამო:

1. გაუგებარია, საქართველოს ეკონომიკის როგორ განვითარებას ეყრდნობა ეს პროგნოზი; როგორი იქნება ქვეყნის მშპ ზრდის ტემპი? შესაბამისად, როგორი უნდა იყოს ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ელასტიურობის კოეფიციენტი?
2. არ არის გათვალისწინებული საქართველოს ძალიან მაღალი ენერგოინტენსივობა და ენერგოეფექტიანობის გაზრდის პოტენციალი.
3. არ არის გათვალისწინებული ელექტროგადაცემებსა და დისტრიბუციაში დანაკარგების მაღალი დონე და მისი შემცირების ეკონომიკური ეფექტი.
4. არ არის გათვალისწინებული მოხმარების დარგობრივი სტრუქტურის სტრატეგია.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი:

გზშ არაფერს ამბობს საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზზე, თუმცა ხშირად მიუთითებს მსოფლიო ბანკის მიერ შეკვეთილ „საქართველოს ენერგოსისტემის სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაზე“ (2006), რომლის მიხედვითაც. 2005-2020 წლებში საქართველოს მშპ-ს ზრდის ტემპმა უნდა შეადგინოს 7% (?!), ხოლო ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდის ტემპმა 3% (ელექტროენერგიაზე ელასტიურობის მოთხოვნის კოეფიციენტი 0,45%).

ჩვენ არ შევეხებით ეკონომიკის ზრდის ამ სცენარის ოპტიმიზმს (ოფიციალური მონაცემებით, რეალური ზრდა 2012 წელს იყო 6,1% ხოლო 2013 წელს 1 კვარტალში 2,4% შეადგენდა), მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საქართველო განეკუთვნება მსოფლიოში ყველაზე მაღალი ენერგოინტენსიური ქვეყნების (ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკები, დსთ) ჯგუფს, სადაც ასევე მაღალია ენერგოინტესივობის შემცირების ტემპი: -

3% წელიწადში (ევროპაში ენერგოეფექტურობა 3-ჯერ მაღალია დსთ-ზე).

საინტერესოა, რომ აშშ ენერგიის საინფორმაციო სააგენტოს პროგნოზით, მომდევნო 25 წლის განმავლობაში აშშ-ის მშპ ზრდა იქნება 2-3-ჯერ მეტი, ვიდრე ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა (შესაბამისად 2,4% და 0,9%).

რაც შეეხება ელექრტოენერგიის *გადაცემასა და დისტრიბუციაზე დანაკარგებს,* მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში ის 11%-მდეა შემცირებული (2011 წ.) 13%-დან (2006), მაშინ როცა OECD ქვეყნებში ასეთი დანაკარგები 5%-ს არ აღემატება, ბევრ ქვეყანაში კი 2-3%-ია.

ნავარაუდევია, რომ საქართველოში ეს მაჩვენებელი 2014 წლამდე 8%-მდე შემცირდება, ხოლო 2015-2021 წლებში 6%-მდე. გაანგარიშებულია, რომ 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის დაზოგვა საქართველოში ეკვივალენტურია 1,19 კვტ/სთ გენერირებისა (სწორედ დანაკარგების გამო გადაცემებისა და დისტრიბუციისას). თუ წარმოვიდგენთ, რომ დანაკარგების შემცირება 5%-მდეა შესაძლებელი, მაშინ ეს შეცვლიდა დაახლოებით 700 მლნ კილოვატ/საათი ელექტროენერგიის გენერირებას ანუ ხუდონჰესის საპროექტო გამომუშავების (1500 მლნ კვტ/სთ) თითქმის ნახევარს.

მოხმარების სტრუქტურაზე უნდა ითქვას, რომ დღეისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის დაახლოებით 60% მოსახლეობაზე მოდის, მრეწველობაზე - 13%, სოფლის მეურნეობაზე - 6%. ეკონომიკის განვითარების დღევანდელი სტრატეგიის მიხედვით კი აქცენტი კეთდება ისეთ არაენერგოტევად დარგებზე, როგორებიც არის სოფლის მეურნეობა და გადამუშავება, აგრეთვე სერვისები, რაც არ მოითხოვს ელექტროენერგიის დიდ დანახარჯს, მოსახლეობის მოთხოვნის წლიური ზრდა კი მოსალოდნელია 0,5%-ით.

ჩვენი გათვლებით, ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, თუ 2012-22 წლებში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდა საშუალოდ 3% იქნება (2005-2012 წლებში იყო 2,8%), 2022 წლისთვის ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება მიაღწევს 12,7მგვტ (დღევანდელთან შედარებით გაიზრდება 30%-ით), რაც თითქმის 2-ჯერ ნაკლებია CENN პროგნოზზე და არსებითად ცვლის საქართველოს ელექტროენერგიის საჭიროების სურათს.

როგორც გზშ-ის ანალიზით ირკვევა, ასეთ განსხვავებას „მოთხოვნის“ პროგნოზში განაპირობებს მათეული ხედვით საქართველოს ენერგოსისტემის ორიენტაციის მიზანშეწონილობა რეგიონის *ექსპორტზე.*

გზშ-ში საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული *ენერგოსისტემების*

მდგომარეობა თურქეთში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. დაფიქსირებულია, რომ თურქეთში „დაბალი მოხმარების სცენარის შემთხვევაში 15 მლრდ კილოვატ/საათის დეფიციტი ქვეყანაში 2017 წლისთვის შეიქმნება“; თურქეთში ტარიფი 1კვტსთ-ზე არის 0,09$, ხოლო საქართველოში ახლადაშენებული ჰესის ტარიფია 0,06%. გზშ „ამტკიცებს“, რომ საქართველო „თავის თავზე აიღებს უახლოესი წლების თურქეთის იმპორტის დიდ ნაწილს“.

ასევე განხილულია რუსეთის სამხრეთის გაერთიანებული ელექტროსისტემა. ნათქვამია, რომ 2011 წელს იყო 7 მლრდ კილოვატ/საათის დეფიციტი და ნავარაუდევია, რომ საქართველოდან შესაძლებელია ელექტროენერგიის „იაფი“ (0,02$ კვტ/სთ) ექსპორტის განხორციელება (უკრაინიდან ხდება ელექტროენერგიის 0,05$ კვტ/სთ შესყიდვა).

ნაჩვენებია, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში, პირიქით, იგეგმება საექსპორტო პოტენციალის გაზრდა (რაც, ჩვენი აზრით, ჩვენთვისაც ხელსაყრელია). როგორც ვხედავთ, გზშ-ში აქცენტირებულია რეგიონის მოთხოვნები ელექტროენერგიაზე და არ არის გაანალიზებული საქართველოდანელექტროენერგიისმიწოდებისრეალურიეკონომიკური ხარჯები (ფაქტობრივად, საქართველო განიხილება როგორც თურქეთის „იაფი“ ელექტროენერგიით მომმარაგებელი დანამატი). არ არის შეფასებული, რას გვაძლევს ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტრო-ენერგიის ექსპორტი და რას ვხარჯავთ (ვაგებთ) ეკონომიკურად - ანუ არ არის სტრატეგიულად დანახული დანახარჯები და სარგებელი.

ჩვენი შეხედულებით, ექსპორტზე ორიენტირებული და მონო-რესურსული (100% ჰიდროელექტროსადგურები - იხ. ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი) ელექროენერგოსექტორი სრულიად მიუღებელია მცირემიწიანი საქართველოსთვის, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალურ-ეკოლოგიური ზემოქმედების (მდგრა-დობის) თვალსაზრისით. ასეთი მიდგომა ასახავს წინანდელი და დღევანდელი ენერგეტიკის სამინისტროს პოლიტიკურ სტრატეგიას, რაც გულისხმობს 40-ზე მეტი ჰესის მშენებლობას საქართველოს მთიანეთში - სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, მთიან აჭარაში, ხევსა და არაგვის ხეობაში.

გზშ-ის ზემოთ აღნიშნული მიდგომის ფონზე, ბუნებრივია, რომ *ენერგიის ალტერნატიული წყაროების* ანალიზის დროს გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება ჰიდრორესურსებს, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივადაც და „განიხილება როგორც ამ ქვეყნის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი“, რაც სრულიად გაუგებარია

(განახლებადობა არ არის საკმარისი პირობა მდგრადობის უზრუნ-ველსაყოფად). აღნიშნულია, რომ ათვისებულია ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მხოლოდ 20% და რომ ასათვისებელია 90% , თუმცა არ არის განმარტებული, რომელ პოტენციალზეა ლაპარაკი - ტექნიკურზე თუ ეკონომიკურზე; არ გაითვალისწინება, რა შედეგებს გამოიწვევს ასეთი გეგმის რეალიზება სხვადასხვა თვალსაზრისით - თუნდაც რა ფართობს და რა დემოგრაფიულ ცვლილებებს მოითხოვს და ა.შ.

გზშ (ენერგეტიკის სამინისტროს ანალოგიურად) ფაქტობრივად გამორიცხავსბუნებრივაირსადანახშირზემომუშავეელექტროსადგურების პერსპექტივას, რაც არ არის დასაბუთებული. აირის მაღალი ფასი და ერთი მომწოდებლის (ვინ იგულისხმება?) არგუმენტი არასაკმარისი და არადამაჯერებელია. ჩვენი აზრით, სრულიად არ არის გამოსარიცხი ბუნებრივ აირსა და ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების შეზღუდული სიმძლავრეების პროექტირება, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით:

1. საბაზისო ენერგიის უზრუნველყოფა
2. ქვეყნის ტრანზიტული გამტარის უპირატესობა
3. თანამედროვე გაზტურბინების ტექნოლოგიური ეფექტიანობა
4. საქართველო არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებნახშირორჟანგტევადი ეკონომიკის მქონე ქვეყანა. ანუ გვაქვს ნახშიროჟანგის ემისიის „აუთვისებელი კვოტა“

საინტერესოა, შევნიშნოთ, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) სწორედ ეკოლოგიურ-სოციალური მოსაზრებებით არ აფინანსებს გარკვეულ მოცულობაზე (10 მლნ კუბური მეტრი) მეტი სიდიდის კაშხლებისა და სიმძლავრეების (40 მეგავატი) მქონე ჰიდროელექტროსადგურებს. ხუდონის კაშხლის საპროექტო მოცულობაა 364,5 მლნ კუბური მეტრი, ხოლო სიმძლავრე - 702 მგვტ.

როგორც აღვნიშნეთ, CENN-ის გზშ არ ეთანხმება მსოფლიო ბანკის ზემოაღნიშნულ კვლევაში მოცემულ ელექტროენერგიაზე მოთხოვნის პროგნოზებს და ენერგეტიკის განვითარების ალტერნატიული სცენარების საკმაოდ ღრმა ანალიზს (რომელთა გარკვეული ვარიანტები არ გულისხმობენ ხუდონის პროექტის განხორციელებას) და ასკვნის, რომ „ენერგოსისტემის ოპტიმალური განვითარება აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ხუდონჰესის მშნებებლობის რაც შეიძლება სწრაფად დაწყებას“ .

მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა ტენდენციურია და მიკერძოებულად გამოხატავს (ლობირებს) პროექტის პროპონენტების პოზიციას.

სოციალურ-ეკონომიკურ მიზანშეწონილობა. გზშ-ში აღნიშნულია, რომ ინვესტიციების განხორციელება (200 მლნ წლიურად ექვსი წლის განმავლობაში) მშპ-ს გაზრდის 1,7%-ით, თუმცა გაუგებარია, როგორაა გამოთვლილი ეს სიდიდე, როცა უცნობია პროექტის დაწყებისა და დამთავრების დრო და მშპ-ის ზრდის ტემპი.

ირკვევა, რომ ხუდონჰესის ყოველწლიური რეალიზაციიდან (240 მლნ ლარი), *მხოლოდ 5,3% (7,8 მლნ$ = 12,8 ლარს) იქნება განკუთვნილი შიდა მოხმარებისათვის*, ე.ი. ხუდონჰესი პრაქტიკულად ქვეყნის შიდა მოთხოვნებს არ მოემსახურება, მაშინ, როცა გაურკვეველია, რეალურად ქვეყნისთვის რა ხარჯებთან არის დაკავშირებული ექსპორტისთვის გამიზნული ელექტროენერგიის გამომუშავება.

გზშ-ის მიხედვით, სავარაუდოდ, ფინანსური სარგებელი უნდა იყოს ყოველწლიური შენატანები ბიუჯეტში - 56,78 მლნ ლარი (მოგების გადასახადის ჩათვლით ინვესტიციების ამოღების შემდეგ). ყოველწლიური ეკონომია იმპორტირებული ენერგიის ჩანაცვლების გამო 5,570 მლნ დოლარს შეადგენს (რაც საკამათოა) და ყოველწლიური ეკონომია ენგურჰესის გამომუშავების გაზრდის გამო შეადგენს 26,7 მლნ დოლარს. ამას ემატება ირიბი ეკონომიკური ეფექტები (მაგალითად, ელექტროგადამცემი სისტემის დატვირთვისა და სხვა დაკავშირებული საქმიანობები).

ამ რიცხვების უტყუარობას რომ არ შევეხოთ, გზშ არ იძლევა რაოდენობრივ შეფასებებს ისეთ ეკონომიკურ დანახარჯებზე და უარყოფით ექსტერნალიებზე, როგორებიც არის ქონების კომპენსაციის ხარჯები ოჯახებისთვის და ახალი სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა; მიწის და ტყის სამუდამო ამოღება მოხმარებიდან (საპროექტო არეალის საერთო ფართობია 1538 ჰა, იტბორება 528 ჰა, ტყე - 1109,9 ჰა) და ლანდშაფტის შეცვლა; წყლის და ჰაერის დაბინძურება და ეკოსისტემის სერვისების დაკარგვა; ჯანდაცვის გაზრდილი ხარჯები და სხვა.

გზშ-ში არ არის გაანგარიშებული ეკონომიკური სარგებლისა და დანახარჯების დისკონტირებული (კაშხალი გათვლილია 50 წელზე) წმინდა ღირებულება (net present value – NPV). ზოგადად, არ არის ჩატარებული *ხარჯებ-სარგებლის ანალიზი* (CBA – cost-benefit analisys), რაც დიდ მეთოდოლოგიურ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ამავე აზრს ავითარებს ჰოლანდიის გზშ კომისიაც - „ეროვნულ დონეზე პროექტის ხარჯების, უარყოფითი ზეგავლენისა და სარგებლის ანალიზი ჯერ არ განხორციელებულა“ და „იგნორირებულია საზოგადოების ეკონომიკური ინტერესები მ.შ. საკუთრებისა და შემოსავლის დაკარგვა, განსახლება,

გარემოს დეგრადაცია, ფლორისა და ფაუნის განადგურება“. გზშ პასუხები ამ შენიშვნებზე არადამაკმაყოფილებელია.

მიუხედავად ამისა, გზშ ასკვნის, რომ „მიზანშეწონილად ჩაითვალოს პროექტის განხორციელება და დასაშვებად იქნეს მიჩნეული სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე შესაძლო ზემოქმედება“, უფრო მეტიც - „დისკუსია ამ საკითხზე არ უნდა იყოს განხილული როგორც გზშ და მშენებლობისათვის ნებართვის გაცემის პროცესის ნაწილი“ (გვ. 37).

გარდა ჩვენს მიერ ზემოთგამოთქმული ხედვებისა და მოსაზრებებისა, არსებითად მიგვაჩნია შემდეგი შენიშვნები:

1. გზშ ეთანხმება პროექტს, რომ განსახლება მოხდეს მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკის OP4.12-ს შესაბამისად. ამ პოლიტიკას სერიოზულად ეწინააღმდეგება კაშხალთა მსოფლიო კომისია (WCD). განსახლების გეგმა არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული, და არ არის ცნობილი სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის დეტალები, შესაბამისად - არ არის გათვლილი ფინანსური ხარჯები.
2. არ არის ცნობილი სოციალურ-ეკონომიკური გავლენების შემარბილებელი ღონისძიებების ფინანსური ხარჯები.
3. ხაზგასასმელია, რომ მშენებლობაზე (3000 დასაქმებული) გათვალისწინებულია 900-1200 უცხოელი მოქალაქის ჩამოყვანა, რაც გარკვეული სოციალური (ჯანდაცვის) და კონფლიქტური სიტუაციების რისკს წარმოქმნის.
4. არ არის ნაანგარიშები ეკონომიკური ზარალი კაშხლის (მაღალი საფრთხის შემცველი პირველი კლასის ნაგებობა) წარუმატებლობის (კატასტროფის) შემთხვევაში; გასათვალისწინებელია, რომ ხშირ შემთხვევებში საშუალო გადახარჯვა დიდ კაშხლებზე 56% შეადგენს; მოსალოდნელია საპროექტო ვადებში ჩაუტევლობა და ა.შ.
5. აღსანიშნავია ისიც, რომ გარემოს დაცვით და სოციალურ მონიტორინგზე პასუხიმგებელი ძირითადად პროექტის განმახორციელებელი ან კონტრაქტორია.

ზემოთ მოცემული და სხვა ანალიზი გვარწმუნებს, რომ საჭირო, საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ახალი - **მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია,** რომელიც:

- ორიენტირებული იქნება ენერგორესურსების მეტ დივერსიფიკაციაზე (მათ შორის თბოსადგურებსა და ალტერნატიულ წყაროებზე);
- ელექტროენერგიის ექსპორტი უნდა იყოს პოლიტიკის დამატებითი და არა პრიორიტეტული ამოცანა;

- ენერგეტიკულ სტრატეგიაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ენერგოეფექტურობის სწრაფ გაზრდას და, შესაბამისად, ენერგოინტენსივობის შემცირებას;
- საქართველოს ჰიდრორესურსები არ უნდა გახდეს გამოუსწორებელი ეკოლოგიურ-სოციალური და დემოგრაფიული ზემოქმედების უარყოფითი ფაქტორი;
- უნდა დაისახოს პოლიტიკის შესაბამისი ეკონომიკური ინსტრუმენტების (მაგ. ტარიფების) შექმნისა და ინსტიტუციური რეფორმირება-მშენებლობის ამოცანა. საქართველოს ენერგეტიკული მდგრადობის ინდექსით (ISE) ჩამორჩენილობის უმთავრესი მიზეზი სწორედ საკანონმდებლო რეგულაციების, საბაზრო სტიმულებისა და შესაბამისი ინსტიტუტების განუვითარებლობაა;
- უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს როლი (მ.შ. სტრატეგიული ინვესტირება) ენერგეტიკულ სექტორში;
- ხუდონჰესის პროექტის რეალიზება ამოღებულ უნდა იქნას ელექტროენერგეტიკის განვითარების უახლოესი ათი წლის გეგმიდან;
- გარემოზე ზემოქმეების შეფასების ჰიდროელექტრო-სადგურების სექტორული სახელმძღვანელოს (პროექტი) მიხედ-ვით, ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების მიზან-შეწონილობა უნდა განხორციელდეს სწორედ ეროვნულ (ახალ) სტრატეგიასთან მიმართებაში.

მიგვაჩნია, რომ მეინსტრიმული (ნეოლიბერალური) ენერგეტიკული პოლიტიკის ჩარჩოების შეცვლა წარმოადგენს დღევანდელი მთავრობის მთავარ გამოწვევას.

დავით ადეიშვილი
ეკონომიკის დოქტორი

European.ge 27.09.2013

მწვანე პოლიტიკა

ხუდონჰესის პროექტი და მდგრადი ენერგეტიკის გამოწვევები

პოპულარული სამახსოვრო

1. არსებული გზშ-ის (გარემოზე ზემოქმედების შეფასება) მიხედვით, კაშხლის გარღვევის შემთხვევაში, 34 კილომეტრის დაშორებით 5,4 კილომეტრის გასწვრივ ტალღის სიმაღლე 5,6 მეტრი იქნება, ხოლო ზღვის სანაპიროს 54 კვადრატული კილომეტრი 30 სმ სიმაღლის წყლით დაიფარება;
2. დანგრეული ეკოსისტემების სერვისები, ლანდშაფტები, ადამიანთა ერთობები (19 თემი) და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ვეღარასდროს აღდგება (საპროექტო არეალის საერთო ფართობია 1538 ჰექტარი, დაიტბორება - 500 ჰექტარი);
3. რატომ არ ვცდილობთ, საერთაშორისო ექსპერტიზა ჩავუტაროთ ისეთ დიდ პროექტს, როგორიცაა ხუდონი, მაგალითად, „შევაწუხოთ“ მსოფლიო კაშხალთა კომისია(WCD) და ისევე ვენდოთ მას, როგორც, მაგალითად, ვენეციის კომისიას ვენდობით. სხვათა შორის იგი - მსოფლიო ბანკისგან განსხვავებით - არ უშვებს იძულებით განსახლებას(ხუდონის შემთხვევაში 2000-მდე მცხოვრები);
4. საქართველოსთვის განკუთვნილია ხუდონის გაყიდვების მხოლოდ 5,6%, დანარჩენი 94,4% - თურქეთში „იაფი“ ექსპორტისთვის არის გათვალისწინებული;
5. მშენებლობაზე 3000 დასაქმებულიდან დაახლოებით 1000 უცხოელი იქნება, ექსპლოატაციაზე კი სულ 200 კაცი დასაქმდება;
6. კაშხლის ჰიდრორესურსი კვაზიგანახლებადი რესურსია, ის საბოლოოდ ამოწურვადია - ხუდონის კაშხალი 50 წელიწადზეა გათვლილი;
7. როგორც ნავთობი ან გაზი, ელექტროენერგიაც პირველადი დამუშავების რესურსია, რომლის ექსპორტი არ არის სასურველი;
8. ელექტროენერგიის ექსპორტი, ჩვენი ქვეყნისთვის ეკონომიკურად ძვირი და გაუმართლებელი საქმეა. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს არა ბუნებრივი რესურსების, არამედ კონკურენტუნარიანი სამრეწველო და

სოფლის მეურნეობის პროდუქტების და სხვადასხვა სერვისების (მათ შორის - ტურიზმის) ექსპორტი;

9. ჩვენ არ უნდა გავხვდეთ თურქეთის იაფი ენერგომიმწოდებელი დანამატი (მათ შორის აჭარაში მშენებარე ჰესების ხარჯზე);

10. ჩვენ არ ვიცით, თუნდაც, ჯამში რამდენ ჰექტარ მიწას და დასახლებას მოითხოვს დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურები (55) მცირემიწიანი საქართველოსაგან;

11. ჩვენ ვიცით, რომ ხუდონჰესი ძალიან მომგებიანია ინვესტორისათვის, მაგრამ არ დათვლილა, რა ეკონომიკური სარგებელი და ხარჯი ექნება მას საქართველოსთვის. ჩემი გათვლებით, მთავრობა 1 მილიარდ დოლარად (ფინანსური სარგებელი ბიუჯეტს - 50 წელიწადში) ჰყიდის ხაიშსა (15 კვ კმ პროექტისათვის) და მის ბუნებას და რისკის ქვეშ აყენებს არა მარტო სვანეთს;

12. თუ მაინც აშენდება დიდი კაშხლები (10 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი, ხუდონი 364 მლნ კუბურ მეტრზეა), ისინი უნდა იყვნენ სახელმწიფო და არა კერძო საკუთრებაში;

13. ელექტროენერგეტიკა არ უნდა იყოს მონორესურსული (ჰიდრო), არამედ დივესიფიცირებული (თბოენერგია, მზის, ქარის, თერმული და ა.შ.); ელექტროენერგია ქვეყნისთვის ისევე აუცილებელია, როგორც ადამიანისათვის კალორიები, მაგრამ რო-გორც ადამიანი არ ივსებს კალორიებს მხოლოდ პურის ხარჯზე (ეს მავნეც იქნებოდა), ისევე ქვეყანაც ვერ დაიკმაყოფილებს მოთხოვნას ელექტროენერგიაზე მხოლოდ ჰიდრორესურსების ხარჯზე - ეს სახიფათოა როგორც გარემოსათვის, ისე სოციალურად და, ბოლოს-დაბოლოს, ამოწურვადია;

14. ჩვენ კარგად უნდა გავერკვეთ, რეალურად რამდენი ელექტროენერგია გვჭირდება (როგორია შიგა მოთხოვნის ზრდის ტემპი). ჩვენი მშპ გასული 10 წლის განმავლობაში საშუალოდ 2,8%-ით იზრდებოდა, შესაბამისად, მაქსიმუმ 1.4%-ით შეიძლებოდა გაზრდილიყო ელექტროენერგიაზე მოთხოვნა;

15. რატომ არის ტრაგედია, მოვიხმაროთ იმპორტირებული ელექტროენერგია (დავუშვათ, მოხმარების 10%) მაშინ, როცა არ გვაწუხებს სურსათით (მ.შ. ხორბლის, შაქრის, ზეთის, ხორცის და ა.შ.), ენერგომატარებლებითა და სხვა სტრატეგიული პროდუქტებით უზრუნველყოფის მხრივ უცხოეთზე დამოკიდებულება;

16. საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე ენერგოინტენსიური და ამავე დროს ყველაზე ნაკლებნახშირორჟანგინტენსიური

ქვეყანა (ე.ი. არის რეზერვი - ენერგოეფექტურობის გასაზრდელად და თბოსადგურების ასამოქმედებლადაც);

17. ენერგოკომპანიების („დიდი ბიზნესის“) მიზანია რაც შეიძლება მეტი ელექტროენერგიის გაყიდვა, მთავრობა კი უნდა ზრუნავდეს მის დაზოგვაზე და ენერგოეფექტურობაზე. ყველაზე დიდი რეზერვი ჯერჯერობით სწორედ ეკონომიაშია - ენერგოეფექტიანობის გაზრდაში;

18. მხოლოდ ელექტროენერგიის გადაცემასა და დისტრიბუციაზე დანაკარგების 5%-მდე დაყვანა (საშუალო OECD ქვეყნებისათვის) ეკვივალენტურია ხუდონის ნახევარი სიმძლავრის ეკონომიისა;

19. სჯობს, ელექტროენერგია დავზოგოთ, ვიდრე გავაიაფოთ (საქართველოში მოქმედი დენის ტარიფი შეადგენს საშუალო ევროპულის მხოლოდ 33%-ს);

20. საქართველო ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანაა ენერგო-რეგულაციის, შესაბამისი ინსტიტუტების და პოლიტიკების (სტიმულების) განუვითარებლობის თვალაზრისით, რაც აისახება ქვეყნის ენერგეტიკული მდგრადობის ინდექსით (ISE) ჩამორჩენაზეც;

21. ენერგოდეცენტრალიზაცია თანამედროვე მიდგომაა. ზოგადად საბჭოთადროინდელი და ლიბერტანიალური ინდუსტრიული მიდგომები უნდა შეიცვალოს პოსტინდუსტრიული (მცირე და დეცენტრალიზებული) მიდგომებით. დიდი კაშხალი ანაქრონიზმია;

22. ჩვენი სტრატეგია უნდა იყოს ენერგეტიკის მდგრად საზღვრებში განვითარება - სოციალურად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გაწონასწორებული.

2014

ჩვენი ნეოლიბერალურად იდეოლოგიზებული ხელისუფლებებისათვის ჯერ კიდევ გაუაზრებელი რჩება ისტორიკოსებისა და ეკონომისტებისათვის უეჭველი დებულება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური და ზოგადად საზოგადოებრივი პროგრესისა და განვითარების საფუძველი სამრეწველო ინდუსტრიაა და რომ მისთვის ხელშეწყობა სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული უნდა იყოს.
ამ თემაზე დისკუსიის წამოწყების მცდელობაა ქვემორე საგაზეთო სტატია. მართალია, დიდი დისკუსია არ გამართულა, მაგრამ ამავე წელს, გარკვეული არხებით (მათ შორის - შემდგომში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის – ზვიად გონაძის ძალისხმევით) მოხერხდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დარწმუნება სამინისტროსთან შექმნილიყო „ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი“ (შემდგომში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის ნუგზარ კაჩუხაშვილის ხელმძღვანელობით), რომლის ერთ-ერთი წევრი მეც გახლდით. სამწუხაროდ, ამ ჯგუფის მცდელობები ვერ გადაიზარდა ფართომასშტაბიანი ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, მაგრამ, იმედია, ნაყოფს გამოიღებს „განწირული სულისკვეთება“.

ბანკები და ფინანსები

ბანკები და ფინანსები, 9 ივნისი, 2014

ინოვაციური მრეწველობა - მდგრადი განვითარების ლოკომოტივი

ხუდონჰესის პროექტის ირგვლივ გამართულმა დისკუსიებმა გამოამჟღავნა, რომ არ არის გარკვეულობა და თანხმობა არც სამთავრობო ან საზოგადოებრივ და არც პროფესიონალურ დონეზე ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების მიმართულებასთან დაკავშირებით. სტატიის მიზანია, გარკვეული სიცხადე შევიტანოთ ამ

უაღრესად მნიშვნელოვან საკითხში.

ჩვენ ამოვდივართ იმ რწმენის (იდეოლოგიის) უარყოფიდან, რომელიც ამბობს, რომ ეკონომიკა უნდა ვითარდებოდეს სრულიად მიზანდაუსახავად, „თავისუფალი ბაზრის უხილავი ხელით“. ეს ე.წ. ნეოლიბერალური იდეოლოგია იყო გაბატონებული (მეინსტრიმული) როგორც ჩვენთან, ისე მსოფლიოში ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში. თუმცა, ამის საპირისპიროდ, ყოველთვის არსებობდა აზრი (და პრაქტიკაც), რომ თავისუფალი ბაზარი თავისთავად და ჩაურევლად ვერ უზრუნველყოფს სასურველ პირობებს ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის -განიცდის ჩავარდნებს (failure) სოციალურ-ეკოლოგიური და უსაფრთხოების თვალსაზრისით. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისს თავისდაუნებურად აღიარებენ ნეოლიბერალებიც (დღევანდელი ოპოზიცია), როცა აკრიტიკებენ მთავრობას ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპებისთვის, უმუშევრობისთვის და ა.შ., ანუ პასიური ან მცდარი ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

უფრო მეტიც, თანამედროვე მსოფლიოში აღიარებული ეკონომისტები (მ.შ. ი.სტიგლიცი, პ.კრუგმანი, თ.პიკეტი, დ.როდრიკი და სხვ.) ასაბუთებენ, რომ ეკონომიკაში ჩაურევლობა, თვითდინებით მიშვება, დერეგულაცია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე იწვევს ეკონომიკური ზრდის შეფერხებას, სოციალურ-ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას და ა.შ. კერძოდ, დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკური სტაგნაციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად აღიარებულია შემოსავლების არანორმალური უთანაბრობა და ფინანსური სისტემების დერეგულაცია, ხოლო გლობალური კლიმატური ცვლილებების, ჩამორჩენილობის და სიღატაკის მიზეზია ბაზრის უკონტროლობა, შესაბამისი პოლიტიკების უქონლობა.

ჩვენ ვემხრობით და გვჯერა იმ აზრის, რომ ეკონომიკურ-სოციალური სისტემები შესაძლებელია და უნდა კონსტრუირდებოდეს და იმართებოდეს გარკვეული ხედვით, შესაბამის მიზნებსა და ღირებულებებზე დაყრდნობით, ანუ ე.წ. მეტაეკონომიკური წანამძღვრებით. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ხედვა თავსდება მემარცხენე-ცენტრისტული იდეოლოგიის ფარგლებში.

ასეთი ხედვის გამოხატულებაა მდგრადი განვითარება (sustainable development), რომელიც ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა, დღეს კი აღიარებულია არა მხოლოდ როგორც მეცნიერული აზრი ან დასავლური მემარცხენე-ცენტრისტული პარტიების იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი, არამედ

ეს ცნება დამკვიდრდა საერთაშორისო პრაქტიკულ ტერმინოლოგიაში, როგორც კონსენსუსური, შეთანხმებული ხედვა. ამ ფაქტის ილუსტრაციაა, წინა ხელისუფლების მიერ, არცთუ გაცნობიერებულად, მთავრობის სტრუქტურის სახელწოდებაში შესაბამისი ტერმინის გაჩენა („ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო“).

არსებობს მდგრადი განვითარების ცნების უამრავი განმარტება, თუმცა არსი, ვფიქრობთ, მარტივი და გასაგებია - ეკონომიკის ზრდა და განვითარება ჰარმონიაში უნდა იყოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან. სამი კომპონენტის: ეკონომიკა - სოციუმი - ბუნება - ცვლილებების უწყვეტი დინამიკა უნდა იყოს სასიკეთო-ოპტიმალური და უკონფლიქტო, სოციალურად სამართლიანი და ეკოლოგიურად მდგრადი.

ამ, თითქოსდა მარტივი, ამოცანის გადაჭრა არსებული ინერციის პირობებში წარმოადგენს კაცობრიობის ურთულეს ამოცანას, როგორც სოციალური (მაგ., საზოგადოების კლასობრივი და მომხმარებლური ბუნება), ისე პოლიტიკური და ტექნიკური თვალსაზრისითაც. გლობალური პრობლემები, გამოწვევები, კონფლიქტები სახეზეა: კლიმატური ცვლილებები, ბიომრავალფეროვნების განადგურება-დეგრადაცია, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, სიღატაკე, უმუშევრობა, უწიგნურობა, უთანაბრობა, ეკონომიკური კრიზისები და ა.შ. საფრთხეს უქმნის კაცობრიობის მომავალს.

ამიტომ, სულ უფრო მეტი ფიქრია საჭირო იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს სწორი სტრატეგიები და პოლიტიკები მდგრადი განვითარებისათვის. მაგალითად, დღეს უკვე არავინ დავობს იმაზე, რომ არ არის საკმარისი ქვეყნის განვითარება შევაფასოთ ერთი, „ყოვლისმომცველი“ კრიტერიუმით - მთლიანი შიგა პროდუქტით (GDP) და მისი ზრდის ტემპით. ქვეყნის „კარგად ყოფნა“ კომპლექსურად ფასდება სხვადასხვა კრიტერიუმებით. მაგალითად, ცნობილი ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფი (BCG) ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების შეფასებას (SEDA) ახდენს ათგანზომილებიანი რთული კრიტერიუმით: (1) შემოსავლები; (2) ეკონომიკური სტაბილურობა; (3) დასაქმება; (4) შემოსავლების თანაბრობა; (5) სამოქალაქო საზოგადოება; (6) მმართველობა; (7) განათლება; (8) ჯანმრთელობა; (9) გარემოს მდგომარეობა; (10) ინფრასტრუქტურა.

ამ კრიტერიუმებით, საქართველოს კარგად ყოფნა ბოლო მონაცემებით (2013) 40,8 ქულით შეფასდა, აზერბაიჯანის კი მხოლოდ 36,5 ქულით, მაშინ, როცა ჩვენი მეზობლის მშპ ჩვენზე ორჯერ მეტია.

სომხეთი კი ჩვენზე მეტი - 41,2 ქულით შეფასდა (მშპ დაახლოებით ჩვენს დონეზეა), ჩინეთი - 38, რუსეთი - 51,6, ლატვია -65,5, დანია კი - 91,8 ქულით და ა.შ., ხოლო მიმდინარე პროგრესით (მდგომარეობის გაუმჯობესებით) საქართველომ აჯობა ყველა აღნიშნულ ქვეყანას, გარდა ჩინეთისა.

ასეთ კონტექსტში, რა კონკრეტულ მიზნებს უნდა ისახავდეს საქართველო და მისი ხელისუფლება განვითარებისათვის - ქვეყნის უკეთესად ყოფნისთვის?

პოზიტიური ფაქტია, რომ მრავალი წლის დაყოვნების შემდეგ მთავრობამ წარმოადგინა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროექტი „სტრატეგია 2020“. სამწუხაროდ, არ მომხდარა ამ დოკუმენტის სერიოზული საჯარო განხილვა-დისკუსია და შესაბამისი აზრის ჩამოყალიბება.

ჩემის აზრით, ეს დოკუმენტი იძლევა გარკვეულ ჩარჩოს და საფუძველს კონკრეტული პოლიტიკების შესამუშავებლად, თუმცა მიმაჩნია, რომ ზოგიერთი მიმართულება დაუსაბუთებელია, ხოლო გარკვეული ნაწილები მოითხოვენ მეტ კონკრეტიზაციას და აქცენტირებას. კერძოდ, ჩვენი დღევანდელი სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონე (მშპ ერთ სულზე შეადგენს საშუალო ევროპულის 10%-ზე ნაკლებს; უთანაბრობა - ჯინის კოეფიციენტი-0,41; უმუშევრობა-15%, სიღატაკე-9.7%), არ გვაძლევს საფუძველს, შემოვიფარგლოთ ეკონომიკის ცალკეული შემაფერხებელი ფაქტორების გამოსწორებით - ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით, ბიუჯეტის სოციალური მიმართულებით გადანაწილებით, თუნდაც ბიზნესგარემოს გამაუმჯობესებელი ლეგალური თუ ფინანსური ზომების გატარებით.

სწრაფი და ეფექტური ცვლილებების განსახორციელებლად აუცილებელია მთავრობის მიერ გატარდეს ფუნდამენტური, მიზანმიმართული, თამამი (რისკიანი), კარგად კოორდინირებული და გამჭვირვალე ეკონომიკური პოლიტიკა. კერძოდ, ეს უნდა იყოს *თანამედროვე, ინოვაციური ინდუსტრიული პოლიტიკა,* რაც იქნება ალტერნატივა დღევანდელი გაურკვევლობისა, უპერსპექტივობისა და უმოტივაციურობისა.

დღევანდელი მდგომარეობა აჩენს ყალბ პრიორიტეტებს, თითქოს ჩვენი ეკონომიკური განვითარება უნდა დაემყაროს „ბუნების მიერ ნაბოძებ“ ისეთ რესურსებს, როგორებიცაა წყალი (ჰიდროენერგეტიკა, მინერალური წყლები), წიაღისეული (ოქრო, მანგანუმი), გეოგრაფიული მდებარეობა (სატრანსპორტო დერეფანი), თუნდაც ტურიზმი და სოფლის მეურნეობა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გონივრულად, მდგრადობის ფარგლებში,

უნდა გამოვიყენოთ ბუნებრივი კაპიტალი, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ჯერ ერთი, ეს რესურსები ამოწურვადია ან შეზღუდული, მეორეც - მდგრადობის ზღვრების გადალახვის შემთხვევაში იწვევს გამოუსწორებელ, შეუქცევად სოციალურ -ეკოლოგიურ შედეგებს.

მაგალითად, განვიხილოთ, რას მოგვცემს ეკონომიკურად ჰიდროორესურსების - თუნდაც მაქსიმალური - არამდგრადი ათვისება. დავუშვათ, რომ დღესვე ამუშავდა ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ოფიციალურად წარმოდგენილი ყველა პროექტი. ჯამურად აღნიშნული ჰესების მიერ წლიურად გამომუშავებული ელექტროენერგიის მაქსიმუმი იქნებოდა 5,6 მილიარდი კილოვატსაათი - დღეს წარმოებულის ნახევარზე ცოტა მეტი. თუ დავუშვებთ, რომ 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის საექსპორტო საშუალო ფასი შეიძლება გახდეს 0,08 $ (რაც 2012 წლის მონაცემზე ორჯერ მეტია), ჯამურად მივიღებთ 448 მლნ $, რაც დღევანდელი მშპ-ს 3% -იც კი არ არის. გაცილებით რთულია პრობლემური ჰესების მშენებლობის რისკებისა და ხარჯების (მათ შორის - სოციალურ-ეკოლოგიური) ეკონომიკა. თუმცა, ასეთი მარტივი ანგარიშითაც შეიძლება შევიქმნათ წარმოდგენა, თუ რა მასშტაბის ხარჯ-სარგებელთან გვექნება საქმე ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში.

ელექტროენერგია უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკის განვითარების საშუალება და არა მიზანი - სტრატეგიული საექსპორტო პროდუქტი, რაც, სამწუხაროდ, გაუგებარია როგორც გადაწყვეტილების მიმღებთათვის, ისე ბევრი ექსპერტისათვის (ჩვენი ხედვა ენერგეტიკულ პოლიტიკასა და ხუდონჰესზე იხ. გაზ. „რეზონანსი“; 25.04.2013; 18.09.2013).

სხვათა შორის, დღეისთვის აშშ-ში აქტუალურია კაშხლების დემონტაჟი (ბოლო წლებში დანგრეულია 800-ზე მეტი) მათი უარყოფითი ზემოქმედების გამო ეკოლოგიაზე. „დიდად“ კი 15 მეტრზე მაღალი კაშხალი ითვლება.

დავუბრუნდები ინდუსტრიის, პრაქტიკულად შემოუსაზღვრავი ეკონომიკური პოტენციის მქონე დარგობრივ სექტორს. შევეცდები, თეზისურად ჩამოვაყალიბო კონცეპტუალური ხედვა, რომელიც ითვალისწინებს და თანხმობაშია დღეისთვის ისეთ აქტუალურ დოკუმენტებთან, როგორებიცაა:

1. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება (პარაფირებული);

2. ევროკავშირის კომუნიკე ევროპარლამენტს, ევროსაბჭოს, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტებს, რეგიონების კომიტეტს - ევროპული ინდუსტრიული რენესანსისათვის (22 იანვარი, 2014);

3. ევროპარლამენტის სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფის ალტერნატიული ხედვა ევროპისთვის - პირველი 100 დღე ევროპის შესაცვლელად.

ეკონომიკური პროგრესისთვის:

1. აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ გააცნობიეროს თანამედროვე *ინდუსტრიის (მრეწველობის)*, როგორც მთავარი მამოძრავებელი სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების, ცოდნის გავრცელებისა და კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნის სტრატეგიაში.

2. *თანამედროვე ტექნოლოგიებსა და უნარ-ჩვევებზე* დაფუძნებული, რესურსების დამზოგველი და ენერგოეფექტური, რეციკლირებადი, გარემოსადმი უსაფრთხო და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული სამრეწველო პროდუქტების წარმოებამ უნდა შეასრულოს კომპასის როლი სხვა სექტორებისათვის.

3. მხოლოდ ეკონომიკურად,სოციალურად და ეკოლოგიურად დაბალანსებული წარმოება (ინფრასტრუქტურა) უნდა იყოს დასაშვები და მიზანშეწონილი, რათა უზრუნველვყოთ *მწვანე ზრდა და მდგრადი განვითარება.*

4. ახალი პროდუქტების შექმნა და ინდუსტრიული მოდერნიზაცია უნდა განხორციელდეს ინვესტიციებით ინოვაციებში, ახალ ტექნოლოგიებში, კვლევებსა და განვითარებაში, სწავლებაში, რაშიც წამყვანი როლი უნდა იკისროს *სახელმწიფომ* ამ სფეროს კომერციალიზაციასთან ერთად.

5. ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის მთავრობა უნდა დაეყრდნოს ისეთ *პრინციპებს*, როგორიცაა:

- სახელმწიფოს და კერძო სექტორის პარტნიორობა;
- სამთავრობო მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს კონკრეტულ პროექტს ან პროგრამას და არა მთლიან დარგს;
- პროექტის ექსპერიმენტულობა არ უნდა მიიჩნეოდეს როგორც მისი ნაკლი;
- პროექტის მიმდინარეობა უნდა იყოს გამჭვირვალე და წარმატების კრიტერიუმები ცხადი, შესაბამისად - წარუმატებლობის შემთხვევაში პროექტის დროულად შეჩერება უნდა იყოს აუცილებელი;
- პროექტს უნდა ახლდეს თანამდევი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები;
- მაღალი პრიორიტეტის მქონე პროექტებით უშუალოდ უნდა იყოს დაინტერესებული მთავრობის მაღალი პოლიტიკური ფიგურა (მაგ.,

პრემიერმინისტრი), რომელიც პროცესებს ზედამხედველობას უნდა უწევდეს.

6. *ენერგეტიკული* და *სამთო-მოპოვებითი დარგები* უნდა ვითარდებოდეს მხოლოდ მდგრადი მიმართულებით (სოციალური ასპექტი, რესურსის ამოწურვადობის გათვალისწინება, გარემოს დაცვა). დაუშვებლად მიგვაჩნია ამ სფეროში საექსპორტო ორიენტაციის პრიორიტეტულობა სწრაფი მოგებისათვის მდგრადობასთან კომპრომისის ფასად.

7. გვესმის რა დღევანდელი საქართველოს ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და სამუშაო ძალის ჩამორჩენილობა და უმუშევრობის მაღალი დონე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს *მცირე და საშუალო ბიზნესის* განვითარებაზე, მიკროსაქმიანობების ხელშეწყობაზე, მათთვის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე (ინკლუზიური ზრდა), რისთვისაც აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ბაზა, სათანადო ინფრასტრუქტურა.

ამ მიდგომის რეალიზების ერთგვარი მცდელობა გამოჩნდა პრემიერ მინისტრის მიერ ახლახან პრეზენტირებულ სამთავრობო პროგრამაში - „აწარმოე საქართველოში“, რომელშიც აქცენტი კეთდება ე.წ. ადგილობრივ წარმოებაზე და რომელმაც საბჭოთა „ცეკავშირი“ გაგვახსენა.

9. უცხოური სამრეწველო ინვესტიციების ხელშეწყობასთან ერთად, ქვეყნის საფინანსო სისტემამ - ბიუჯეტმა, საინვესტიციო ფონდებმა და სხვა *საფინანსო და კვლევითმა ინსტიტუტებმა* უნდა უზრუნველყონ ინდუსტრიული პოლიტიკის დანერგვა შესაბამის პროექტებზე რეორიენტაციით, მათი ეფექტიანობიდან გამომდინარე.

10. დღის წესრიგში უნდა დადგეს „კომპანიების შიგა დემოკრატიის პრინციპების“ ამოქმედება, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოებში მუშაკთა მონაწილეობა ერთობლივი მართვის განსახორციელებლად, გრძელვადიანი *კორპორაციული განვითარებისათვის.*

11. ინდუსტრიულ სფეროში თანამშრომლობას ევროკავშირთან (იხ. დოკ. (1), კარი VI, თავი 5), ამ მიმართულებით მსოფლიო *გამოცდილებას* და შესაბამის ექსპერტულ რჩევებს უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

და ბოლოს, საერთაშორისო ეკონომიკის ისტორია („აზიური ვეფხვები“, აფრიკა, ლათინური ამერიკა) გვიჩვენებს, რომ მხოლოდ „სწორი კონცეფციები“ და თუნდაც ე.წ. მთავრობის ეკონომიკური ბლოკის

მონდომება და პროფესიულობა არ არის საკმარისი ინდუსტრიული პოლიტიკის წარმატებისთვის. ასეთ მასშტაბურ, თვისებრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს ქვეყნის ეკონომიკაში და, შესაბამისად, სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში ესაჭიროება შესაფერისი როგორც *საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური გარემო.* ეს უპირველესად გულისხმობს ხელისუფლების ყველა შტოს გაცნობიერებულ ერთიან *პოლიტიკურ ნებას, გამბედაობას, რისკს* და საზოგადოებასთან ურთიერთობების შესაბამის სტრატეგიას, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ხელისუფლებისადმი ნდობის მაღალი დონე (ლეგიტიმურობა). ამ პირობებში კი შესაძლებელი იქნება აუცილებელი მაკროეკონომიკურ სტაბილურობისა და სოციალურ-პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნება.

აქვე მინდა გავიხსენო პოლიტიკური მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წარუმატებელი მცდელობები, რაც სერიოზულად გაანალიზებას მოითხოვს.

ვფიქრობ, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების გააზრება დღევანდელობის უმნიშვნელოვანესი სადისკუსიო თემაა.

დავით ადეიშვილი
ეკონომიკის დოქტორი

2015

მსოფლიო საზოგადოებისათვის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც დიდხანს მზადდებოდა, საქართველოში პრაქტიკულად შეუმჩნეველი დარჩა. თავი ვალდებულად მიმაჩნდა, წვლილი შემეტანა ამ „ჩემი თემის“ გაშუქებაში.

„ბანკები და ფინანსები“, 21.09.2015
European.ge, 12.10.2015

დღის წესრიგი:
მდგრადი განვითარების მიზნები - 2030

25-27 სექტემბერს, ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე საიუბილეო სესიაზე, 193 ქვეყნის ლიდერი, მათ შორის საქართველოს პრემიერმინისტრი, შეთანხმდება მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებზე.

მდგრადი განვითარების ახალმა დღის წესრიგმა უნდა უზრუნველყოს უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტა ყველა ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

მომავალ 15 წლის განმავლობაში მსოფლიომ უნდა მიაღწიოს სულ მცირე სამ რამეს-დამთავრდეს უკიდურესი სიღარიბე, შეჩერდეს კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადაცია, შემცირდეს უთანაბრობა და უსამართლობა.

მდგრადი განვითარების ახალი დღის წესრიგი მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDG) შეთანხმება იმ ხანგრძლივი პროცესის გაგრძელებაა, რომელიც 1972 წელს სტოკჰოლმში გაეროს გარემოს კონფერენციით დაიწყო. კონფერენცია მოუწოდებდა მსოფლიოს ქვეყნებს, მათ მთავრობებს, დაეცვათ და გაეუმჯობესებინათ ბუნებრივი გარემო, რაც არის უმთავრესი ფაქტორი ხალხის კარგად ყოფნისა (კეთილდღეობის) და ეკონომიკური განვითარებისა (იხ. გაეროს კონფერენციის დეკლარაცია). იმავე წელს „რომის კლუბის“ მიერ გამოქვეყნდა ბესტსელერი „ზრდის შეზღუდვები“ („Limits to Grouth“), რომელშიც პროგნოზირებული იყო 21-ე საუკუნის პრობლემები - ბუნებრივი რესურსების ამოწურვა და

გარემოს დეგრადაცია.

დრომ დაამტკიცა ამ გათვლების სისწორე: ოცი წლის შემდეგ, 1992 წელს გაიმართა გაეროს კონფერენცია, მიძღვნილი გარემოსა და განვითარებისადმი, რომელიც ასევე ცნობილია „რიოს დედამიწის სამმიტის“ (Rio Earth Summit) სახელით. ამ სამიტზე მიიღეს ორი ცნობილი კონვენცია: კლიმატის ცვლილებაზე და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე. კიდევ ოცი წლის შემდეგ, 2012 წლის ივნისში, ისევ რიოში გაიმართა გაეროს კონფერენცია, რომელიც მდგრად განვითარებას მიეძღვნა და რომელიც არაფორმალურად ცნობილია, როგორც *რიო+20.*

დრომ დაადასტურა, რომ წარმოჩენილი გლობალური სიმპტომები თანდათან ძლიერდებოდა და რომ მაშინდელი დასკვნები საკმაოდ სწორი აღმოჩნდა (მოსახლეობის ზრდა, ნახშირორჟანგის აირების ემისიის ზრდა, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა და ა.შ.). მდგრადი განვითარების გამოწვევების ყველაზე მწვავე, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა - უკიდურესი სიღარიბე, - აისახა მილენიუმის განვითარების მიზნებში (MDG) 2000 წელს, თუმცა 2012 წელს გადაწყდა, რომ მილენიუმის მიზნები უნდა ტრანსფორმირებულიყო მდგრადი განვითარების მიზნებად („მომავალი, რომელიც გვინდა“).

რიო+20-ზე შეთანხმდა, რომ მდგრადი განვითარების მიზნები უნდა ყოფილიყო მკაფიო, ადვილად გასაგები, შეზღუდული რაოდენობის, გლობალური ბუნების, ქმედებაზე ორიენტირებული, შთამაგონებელი, ყველა ქვეყნისთვის უნივერსალურად მისადაგებული, ამასთანავე, - ნაციონალური რეალიების, პოლიტიკებისა და პრიორიტეტების გამთვალისწინებელი.

გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტის ქსელებმა (SDSN), ცნობილი ეკონომისტისა და პან გი მუნის მრჩევლის ჯეფრი საქსის ხელმძღვანელობით, თავდაპირველად შეიმუშავა მდგრადი განვითარების 10 ძირითადი მიზანი (იხ. ჯეფრი საქსის მონოგრაფია „მდგრადი განვითარების ეპოქა“), რომლის საფუძველზეც შემუშავდა 2015 წლის სექტემბერში მისაღები საბოლოო დოკუმენტი, სახელწოდებით *„გარდავქმნათ მსოფლიო: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“.*

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ეს დღის წესრიგი არის სამოქმედო გეგმა ხალხის კეთილდღეობისთვის, პლანეტისთვის, ასევე უნივერსალური მშვიდობისა და მეტი თავისუფლებისთვის.

დოკუმენტში ვკითხულობთ: „მდგრადი განვითარების 17 მიზანი და

169 ამოცანა, რომელიც დღეს ცხადდება ჩვენს მიერ, არის ამ ახალი და უნივერსალური დღის წესრიგის ამბიციისა და მასშტაბის დემონსტრაცია. მიზნები არიან განუყოფელი და მთლიანნი და აბალანსებენ მდგრადი განვითარების 3 განზომილებას - ეკონომიკურს, სოციალურს და ეკოლოგიურს".

ამ მიზნებმა და ამოცანებმა მომდევნო 15 წლის განმავლობაში უნდა ასტიმულირონ მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი მოქმედებები იმ სფეროებში, რომლებიც კრიტიკულია როგორც კაცობრიობისათვის, ისე პლანეტისთვის.

„ჩვენ გადავწყვიტეთ, 2030 წლამდე დავამთავროთ სიღატაკე და შიმშილი ყველგან; ვებრძოლოთ უთანასწორობას ქვეყნებში და ქვეყნებს შორის; ვაშენოთ მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებები; დავიცვათ ადამიანის უფლებები და ხელი შევუწყოთ გენდერულ თანასწორობას, ქალთა და გოგონათა უფლებების რეალიზებას; უზრუნველვყოთ პლანეტისა და მისი ბუნებრივი რესურსების უწყვეტი დაცვა.

ჩვენ გადავწყვიტეთ შევქმნათ მდგრადი, ინკლუზიური და განგრძობილი ეკონომიკური ზრდის, გაზიარებული კეთილდღეობის, ყველას ღირსეული სამუშაოთი უზრუნველყოფის პირობები, ეროვნული განვითარების სხვადასხვა დონისა და შეძლებების გათვალისწინებით," - ნათქვამია დოკუმენტში.

რეზოლუციის პროექტში აღნიშნულია, რომ აუცილებელია არამდგრადი წარმოებისა და მოხმარების წესების ფუნდამენტური ცვლილება, რისთვისაც საჭიროა განვითარებადი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ინოვაციური ქმედუნარიანობის გაზრდა ფინანსური და ტექნიკური დახმარების გზით.

დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადეკვატური რეაქციის მნიშვნელობას გლობალური კლიმატური ცვლილებების გამოწვევებზე, რაშიც გადამწყვეტი როლი ენიჭება კლიმატურ ცვლილებებზე გაეროს ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში თანამშრომლობას. მიმდინარეობს ქვეყნებს შორის შეთანხმების ხანგრძლივი პროცესი, რომელიც უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის დეკემბერში პარიზის კონფერენციით (მონაწილეთა 21-ე სესია, COP21). შეთანხმების მიზანია, არ იქნას დაშვებული გლობალური ტემპერატურის მომატება 1,5-2 გრადუსზე მეტად პრეინდუსტრიულ ეპოქასთან შედარებით, რისთვისაც უნდა მოხდეს ე.წ. სათბურის გაზების ემისიების შემცირება, კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული უარყოფითი

შედეგების შერბილება და ადაპტაცია, შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარება და გადაცემა, დაფინანსების ამოცანების გადაწყვეტა და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეზოლუციის მთავარი ნაწილია მდგრადი განვითარების ზუსტად ფორმულირებული 17 მიზანი, რომლის თარგმანს ქვემოთ გთავაზობთ:

1. სიღატაკის აღმოფხვრა ყველგან და მის ყველა ფორმაში

2. შიმშილის აღმოფხვრა, საკვების უსაფრთხოების და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

3. ჯანმრთელი ცხოვრების უზრუნველყოფა და კეთილდღეობის (კარგად ყოფნის) ხელშეწყობა ყველასთვის და ყველა ასაკში

4. ინკლუზიური (ჩართული) და თანასწორი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა ყველასთვის

5. გენდერული თანასწორობის მიღწევა ყველა ქალისა და გოგონასთვის

6. წყლით და სანიტარიით ყველას უზრუნველყოფა და წყლის მდგრადი მართვა

7. ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერგიით უზრუნველყოფა ყველასთვის

8. სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და ნაყოფიერი დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის

9. გამძლე ინფრასტრუქტურის აშენება, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა და ინოვაციის დაჩქარება

10. უთანასწორობის შემცირება ცალკეულ ქვეყანასა და ქვეყნებს შორის

11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიურობის, უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა

12. მდგრადი მოხმარების და წარმოების წესის უზრუნველყოფა

13. კლიმატის ცვლილებისა და მისი გავლენის აღმკვეთი გადაუდებელი ზომების გატარება

14. ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება განვითარებისათვის

15. დედამიწის ეკოსისტემების დაცვის, აღდგენის და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა, ტყეების მდგრადი მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, მიწის დეგრადაციის შეჩერება და შემობრუნება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

16. მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, სამართლიანობის ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

17. გლობალური პარტნიორობის და საშუალებების გაძლიერება მდგრადი განვითარების რეალიზებისთვის.

ეს ზოგადი მიზნები, როგორც აღინიშნა, კონკრეტდება 169 ქვემიზანში, ანუ ამოცანაში, რომელთა განხორციელება უნდა მოხდეს შესაბამისი გეგმებით, პროგრამებით, ღონისძიებებით ნაციონალურ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე; უნდა გაერთიანდნენ მთავრობები, კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, გაეროს სისტემა, მობილიზებულ იყოს ყველა რესურსი.

გავეცნოთ ზოგიერთი მიზნის ქვემიზანს, ამოცანას, მათ შორის საქართველოს მაგალითზე, რომელიც სხვებთან ერთად წარუდგენს საერთაშორისო თანამეგობრობას აღნიშნული მიზნების განმახორციელებელ თავის გეგმებსა და პროგრამებს.

მაგალითად, 1.1. ამოცანაა, 2030 წლისთვის აღმოიფხვრას უკიდურესი სიღატაკე, ისე რომ აღარსად მსოფლიოში აღარ არსებობდნენ 1.25 დოლარის საარსებო მინიმუმზე მყოფი ადამიანები. 1.3.-ით კი განსაზღვრულია, რომ 2030 წლისთვის ყველა ქვეყანაში დაინერგოს სოციალური დაცვის ისეთი სისტემები, რომლებიც უკლებლივ ყველა ღარიბს და მოწყვლად ჯგუფს მოიცავს.

უფრო დაწვრილებით შევეხოთ მდგრადი განვითარების მე-8 და მე-9 მიზნებს, რომლებიც ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას გულისხმობს და მთლიანობაში მოიცავს 20 ამოცანას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მდგრადი განვითარების მიზნებში ასახულ კონკრეტულ ამოცანებს და ზოგიერთი ამოცანის შესაბამისი პროგრამების მაგალითებს საქართველოსთვის.

მაგალითად, 8.1 ამოცანაა *სტაბილურად შენარჩუნდეს ქვეყანაში ერთ სულზე ეკონომიკური ზრდის ტემპები, ნაკლებად განვითარებული ქვენებისთვის კი შენარჩუნდეს არანაკლებ 7-პროცენტიანი ზრდა.*

8.9. ამოცანა კი გულისხმობს *მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვას 2030 წლისთვის, რომელიც შექმნის სამუშაო ადგილებს და პოპულარიზაციას გაუწევს ადგილობრივ კულტურასა და პროდუქტებს.* ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთ-ერთი მიმდინარე პროგრამაა რეგიონების ტურისტული

ინფრასტუქტურის განვითარება, რაც ასახულია მგრადი განვითარების მიზნებში.

მე-8 მიზნის ამოცანებია აგრეთვე *ეკონომიკის ზრდისა და გარემოს დეგრადაციის გამიჯვნა - მდგრადი მოხმარება და წარმოება - ათწლიანი პროგრამა; „სამუშაო ადგილების გლობალური პაქტის“ (ILO) დანერგვა და სხვ.*

ამოცანა *9.1.* ამბობს, *რომ აუცილებელია ხარისხიანი, საიმედო, მდგრადი და მედეგი ინფრასტრუქტურის განვითარება.* ამ ამოცანას შეესაბამება, მაგალითად, განხორციელების სტადიაზე მყოფი „კახეთის რეგიონული განვითარების პროექტი 2012-16“, ან დაგეგმილი - ნარჩენების გადამამუშავებელი სიმძლავრეების მშენებლობა. ამ პროექტებზე პასუხისმგებელია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ამოცანა *9.2. ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა და 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდოს ინდუსტრიის წილი დასაქმებაში და მთლიან შიგა პროდუქტში.* ამ მიმართულებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაგეგმილი აქვს „ინოვაციური და მდგრადი ინდუსტრიული განვითარების სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი ინსტიტუციური მშენებლობა UNIDO-ს დახმარებით“ და ა.შ.

როგორ უნდა განხორციელდეს ეს მართლაც გრანდიოზული გეგმა? 17 გლობალური მიზანი, 169 ქვემიზანი, 200-მდე ქვეყნის უამრავი პროგრამა თუ პროექტი.

იდეის ავტორებს მიაჩნიათ, რომ კარგად ჩამოყალიბებული მიზნები უკიდურესად მნიშვნელოვანია სოციალური მობილიზაციისათვის. ისინი დარწმუნებული არიან, რომ დასახული მიზნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, განხოციელებაში აქტიურად ჩაერთვებიან პოლიტიკოსები, მთავრობები, ე.წ. ექსპერტული ცოდნის საზოგადოებები, საჯარო და კერძო სექტორები თავიანთი ფინანსებით (მ.შ.ოფიციალური დახმარება განვითარებისათვის - ODA), ახალ ძალებს მოიკრებს გლობალური პარტნიორობა (იხ. მე-17 მიზანი). განხორციელდება ე.წ. კარგი მმართველობა (Good Governance), რაც უპირველესად გულისხმობს ანგარიშგებას, მონაწილეობას და გამჭვირვალობას. მოხდება პროცესების, ინსტიტუციებისა და მექანიზმების განხილვა. ნაციონალური ანგარიშები შეაფასებენ პროგრესს და გამოავლენენ პრობლემებს რეგიონულ და გლობალურ დონეზე და ა.შ. დაგეგმილია, რომ 2016 წელს გაიმართება „მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი მდგრად

განვითარებაზე“, რომელიც განიხილავს ეფექტიან და ინკლუზიურ მოქმედებებს გლობალურ დონეზე, გაარკვევს ინსტიტუციურ პასუხისმგებლობებს და მიმართულებებს ყოველწლიურ თემებზე და ა.შ.

არსებობს თუ არა ოპტიმიზმის საფუძველი? ფიქრობენ, რომ მსოფლიოს გააჩნია გამოცდილება კარგად დაგეგმილი და განხორციელებული უმნიშვნელოვანესი პროცესებისა. მაგალითად, ტექნოლოგიებში - ინტეგრალური სქემების გაუმჯობესების დაგეგმვა (ტექნოლოგიური გზამკვლევების შედგენა), რამაც მონაცემთა შენახვა-გადაცემა-გადამუშავების მასშტაბები ისე გაზარდა, რომ სახეზეა ინფორმაციული რევოლუცია. ან კიდევ, მილენიუმის განვითარების მიზნების (MDG) ფარგლებში წარმატებით განხორციელებული გლობალური ჯანდაცვის ისეთი პროგრამები, როგორებიც არის მალარიასა და შიდსთან ბრძოლა და სხვ.

ჩვენც ვენდოთ მისაღები რეზოლუციის ბოლო, 91-ე პარაგრაფს: „ვადასტურებთ განუხრელ მზადყოფნას ამ დღის წესრიგის მიღწევასა და მის სრულ გამოყენებაში, რათა მსოფლიო უკეთესობისკენ გარდაიქმნას 2030 წლისთვის“... და გვჯეროდეს მსოფლიოში ახალი - მდგრადი განვითარების ეპოქის დასაწყისისა.

დავით ადეიშვილი
ეკონომიკის დოქტორი

2016

ჩემი მეორე სტატია ამ თემაზე იმავე გაზეთში. რატომ ინდუსტრიის პრიორიტეტი და არა ტურიზმისა - ეკონომიკის განვითარებისათვის? როგორია სახელმწიფოს როლი და თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკის მიდგომები და ინსტრუმენტები? როგორი ვითარებაა საქართველოში და რისი გაკეთებაა შეგვიძლია? ჩემი აზრით, ეს საკითხები აუცილებელად დადგება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში.

ბანკები და ფინანსები, ნოემბერი, 16, 2016;
European.ge, 06.12.2016

თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა – სწრაფი და მდგრადი განვითარებისთვის

ხედვა სტრატეგიისთვის

სწრაფი განვითარება, როგორც კეთილდღეობის წინაპირობა, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული სახელისუფლებო ძალის უმთავრესი საპროგრამო ლოზუნგია.

რა გამოწვევების წინაშე დგას მთავრობა და როგორი უნდა იყოს ძალისხმევა დასახული მიზნის მისაღწევად

ჩვენ ამ კომპლექსური ამოცანის ყველაზე მთავარ ასპექტს – ეკონომიკურ ასპექტს – შევეხებით.

რას ნიშნავს „სწრაფი განვითარება“

პირველ რიგში - ეკონომიკურ ზრდას, რაც განვითარებისთვის აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა.

დაახლოებით ერთი წლის წინ ნიუ-იორკში, გაეროს ეგიდით მოწყობილ სამიტზე მთავრობების მეთაურები (მათ შორის – საქართველოს პრემიერმინისტრი) შეთანხმდნენ მსოფლიოს მდგრადი განვითარების მიზნებზე, რომელთა ჩამოყალიბება მრავალი საერთაშორისო ინსტიტუტის მრავალწლიანი შრომის შედეგია.

თუ ზემოაღნიშნული დოკუმენტით ვიხელმძღვანელებთ, განვითარებადი ქვეყნის მშპ ზრდის სასურველ ტემპად არანაკლებ

7 %-ია მიჩნეული, რაც ორჯერ აღემატება საქართველოს მშპ-ის ზრდის დღევადელ ტემპებს.

როგორ უნდა მივაღწიოთ ასეთ ეკონომიკურ ზრდას

დღეს საყოველთაო (რადიკალი ნეოლიბერალების გამოკლებით) თანხმობაა იმ საკითხში, რომ სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა მხოლოდ ინდუსტრიის განვითარებით არის შესაძლებელი, რომლის განხორციელება ისტორიულად ხდებოდა და დღესაც ხდება შესაბამისი, თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკით (მოდერნული მრეწველობის, ინდუსტრიის როლისა და შესაბამისი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობებზე იხ. ჩემი სტატია „ინოვაციური მრეწველობა-მდგრადი განვითარების ლოკომოტივი“, გაზ. „ბანკები და ფინანსები“, 10.06.2014.).

ამიტომაც, მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან მე-9 მიზანი ასეა ფორმულირებული: გამძლე ინფრასტრუქტურის აშენება, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა და ინოვაციის დაჩქარება.

ქვეყნებმა (მათ შორის – საქართველომაც) განსაზღვრეს ამ მიზნის მიღწევის შესაბამისი ინდიკატორები 2030 წლისათვის, თუმცა მათი მიღწევის გზები: სტრატეგია და პოლიტიკები განსხვავებული იქნება.

რატომ ინდუსტრია

ზოგადად, როგორც ინდივიდისათვის, ისე ქვეყნისათვის მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს იმას, თუ როგორ შრომას ეწევი და რა პროდუქტს ქმნი. როგორც ერიკ რეინერტი (ავტორი ბესტსელერისა „როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“) ხატოვნად შენიშნავს: „მშობლები შვილებს ურჩევენ არა ჭურჭლის რეცხვის, არამედ უნივერსიტეტში სწავლას“.

განვითარებადი ქვეყნებისთვის დამამუშავებელი მრეწველობა-ინდუსტრია არის ყველაზე უფრო პროდუქტიული სფერო დაბალ პროდუქტიულ სოფლის მეურნეობასთან, სამთო მომპოვებელ რეწვასა და მარტივ სერვისებთან შედარებით. დადგენილია პოზიტიური დამოკიდებულება ეკონომიკის ზრდასა და ინდუსტრიის წილის ზრდაში მთლიან შიდა პროდუქტში. მაგალითად, დსთ-ში დამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების (MVA) 1%-ით ზრდა ეთანადებოდა მშპ-ის 3%-ით ზრდას ერთ სულზე (UNIDO). დამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი ფორმალური სამუშაო ადგილები ქმნიან არაფორმალურ და სერვისებთან დაკავშირებულ სამუშაო ადგილებს. სიღატაკესა და 1 სულზე წარმოებულ MVA-ს შორის უარყოფითი კორელაციაა. ადამიანური განვითარების ინდექსსა (HDI) და ერთ სულზე წარმოებულ MVA შორის აშკარად დადებითი კორელაციაა.

ინდუსტრიალიზაცია ავითარებს მეცნიერების, კვლევების და განათლების სფეროებს და ა.შ. არსებობს თუ არა წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის მაგალითები?

არათუ მაგალითები არსებობს, როგორც მრავალი მკვლევარი (ისტორიკოსი) ასაბუთებს, სწორედ ასეთი პოლიტიკა განაპირობებდა ქვეყნების სწრაფ განვითარებას. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე რომ არ ვილაპარაკოთ, რომლებიც ახლა პოსტინდუსტრიული და ციფრული ინდუსტრიების გავითარების სტადიაზე იმყოფებიან, გამოცდილების გაზიარება შესაძლებელია და საჭიროცაა ისეთი განვითარებადი ქვეყნებისგან, როგორებიც არიან სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, მალაიზია (ე.წ. „აღმოსავლეთ აზიის სასწაული“). წარმატებული კონკრეტული შემთხვევები მრავლადაა ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არიან ჩილე, ბრაზილია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, სლოვენია, ესტონეთი, უზბეკეთი და ა. შ. აღნიშნულმა ქვეყნებმა წარმატებას მიაღწიეს როგორც ცალკეული სექტორების, ისე მთლიანად ეკონომიკების სწრაფ განვითარებაში.

როგორია თანამედროვე, ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა

ნეოლიბერალური მეინსტრიმის (ვაშინგტონის კონსესუსი) და 2008 წლის კრიზისის შემდეგ ინდუსტრიული პოლიტიკა ისევ ხდება პოლიტიკური დღის წესრიგის წამყვანი თემა.

არ არსებობს საყოველთაო შეთანხმება იმაზე, თუ რა არის ინდუსტრიული პოლიტიკა. თუმცა, როგორც ამ მიმართულების განთქმული ეკონომისტი დანი როდრიკი ამბობს: „მე ვიხმარ ამ ტერმინს, რათა განვმარტო პოლიტიკები, რომლებიც ასტიმულირებენ სპეციფიკურ ეკონომიკურ აქტივობებს და ხელს უწყობენ სტრუქტურულ ცვლილებებს“.

დღეს საკითხი მდგომარეობს არა იმაში, გატარდეს თუ არა ინდუსტრიული პოლიტიკა, არამედ იმაში, თუ როგორი ინდუსტრიული პოლიტიკა განხორციელდეს - მოდერნული თუ პოსტმოდერნული, ვიწრო თუ გაფართოებული, თუ მათი კომბინაცია და ა.შ. (Jorg Meyer Stamer, 2009).

თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა მოითხოვს უმაღლეს კვალიფიკაციას და უახლესი ინსტრუმენტების გამოყენებას. ინდუსტრიული პოლიტიკა, თანამედროვე გაგებით, ჰოლისტიკური ტერმინია. ის ხასიათდება სხვადასხვა სფეროს, სამიზნე ჯგუფის და მოთამაშის კომბინაციით. ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ წარმოების სექტორით, არამედ ფარავს სერვისებსაც, პოლიტიკების სხვადასხვა სფეროს აქვს ასევე ინდუსტრიული პოლიტიკის მანდატი.

გლობალიზაცია ცვლის ინდუსტრიული პოლიტიკის წესებს. არსებობს გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვი (value chains), მეტი მობილურობა და კონკურენტულობა განვითარებადი ქვეყნებიდან (emerging countries). სახელმწიფო კონტროლი (ინტერვენცია) უნდა გაუმჯობესდეს უკეთესი კოორდინაციით. უნდა გაუმჯობესდეს სახელმწიფო ინტიტუციების კომპეტენცია ინდუსტრიულ პოლიტიკაში. ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა გულისხმობს სტრატეგიულ თანამშრომლობას მთავრობასა და კერძო სექტორს შორის, რათა გამოიკვეთოს რესტრუქტურიზებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორები და ინტერვენციების ტიპები მათ გადასალახავად.

ტრადიციული ინდუსტრიული პოლიტიკა მიზანმიმართულად იყენებდა მართვისა და კონტროლის ისეთ „ზუსტ“ საშუალებებს, როგორებიც არის ფული (ფინანსური სტიმულები) და კანონი (რეგულაციები). დროთა განმავლობაში ამ მიდგომას დაემატა „რბილი“ ინსტრუმენტები – მაგალითად, როცა დაფუძნდა სექტორული ან ტერიტორიული „პოლიტიკის ქსელები“ ანუ საჯარო-კერძო დიალოგი (PPD) კოორდინაციისთვის, თუმცა ამ მიდგომის შეზღუდვებიც გამოაშკარავდა და ამჯერად მოთხოვნები სახელმწიფოს ქმედებებზე, კომპეტენტურ მოხელეებზე ინაცვლებს. საჭირო ხდება სახელმწიფო ინტერვენციის ინოვაციური ფორმების პოვნა და გამოყენება.

ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის იმპერატივია განვითარებადი ეკონომიკის დივერსიფიკაციის მოთხოვნა (სტიმულირება), რაც, საეჭვოა, მოხდეს მთავრობის პირდაპირი მოქმედების გარეშე, რადგან დივერსიფიკაციას აფერხებს ინფორმაციული და კოორდინაციული ექსტერნალიები. მეწარმეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ახალი პროდუქტების წარმოების ექსპერიმენტირებისთვის. ამ შემთხვევაში, ინდუსტრიული პოლიტიკა არის თვითაღმოჩენის პროცესი (Self-Discovery, Hausman, Rodrick, 2004) როდესაც ფირმები და მთავრობა სწავლობენ ხარჯებს და შესაძლებლობებს და მოდიან სტრატეგიულ კორდინაციაში.

ერთი შეხედვით, ინდუსტრიული პოლიტიკა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ძირეული ნაწილია, თუმცა სოციალური პოლიტიკის ინტერესები ხშირად ახდენს გავლენას ინდუსტრიულ პოლიტიკაზე. 1990-იანი წლებიდან ინდუსტრიული პოლიტიკა კონცენტრირდებოდა კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე, უკანასკნელ წლებში კი აქცენტი ღიად კეთდება ეკოლოგიურ (მდგრად, მწვანე) ინდუსტრიულ პოლიტიკაზე. გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) ამკვიდრებს ტერმინს - ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიული

განვითარება (ISID). დღეს ინდუსტრიული პოლიტიკა პოსტმოდერნულ კონტექსტში განიხილება.

თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ სფეროსთან, როგორიცაა, მაგალითად, კვლევებისა და ტექნოლოგიების პოლიტიკა, რომელიც ცნობილია ასევე ინოვაციური პოლიტიკის სახელით. ამასთან, ინდუსტრიული პოლიტიკა ურთიერთგავლენაშია გარემოსდაცვით, განათლების, ჯანდაცვის, აგრარულ და თავდაცვის პოლიტიკასთან.

როგორია დღეს ქართული ინდუსტრია

ნააადრევი, „მოუმწიფებელი“ დეინდუსტრიალიზაციის შემდეგ დომინირებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ბუნებრივი წიაღისეულისგან მიღებული დაბალტექნოლოგიური საქონელი, დაბალია დივერსიფიკაციის დონე და მცირეა „ახალი ეკონომიკური აქტივობები“, დაუცველია ჩანასახოვანი ინდუსტრიები (infant industries), მაღალტექნოლოგიური პროდუქტები შეადგენს დამამუშავებელი მრეწველობის 1%-ზე ცოტა მეტს, განუვითარებელია თავისუფალი ინდუსტრიული ზონები.

ამ ფონზე ლიბერალური სავაჭრო და სავალუტო რეჟიმი ქმნის სავაჭრო და საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს - ექსპორტი იმპორტზე ოთხჯერ მეტია, მიმდინარე საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი მშპ-ის 10%-ზე მეტია.

უახლესი მონაცემებით, დსთ-ზე მოდის ექსპორტის 33%, ევროკავშირზე - 26% .

დამამუშავებელი მრეწველობის (manufacturing) წილი საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტში ძალიან დაბალია - 13%, მაშინ, როცა აღმოსავლეთ აზიაში იგივე მაჩვენებელი 31%-ს აღემატება, ხოლო საჰარის ქვემო აფრიკასა და ოკეანეთში კი 10%-ზე ნაკლები.

მეცნიერების და უმაღლესი განათლების დაფინანსება საგრძნობლად ჩამორჩება საერთაშორისო პრაქტიკას (2015 წელს კვლევების დაფინანსების წილი მშპ-ში 0,16% შეადგენდა, ევროზონაზე 12,5-ჯერ ნაკლებს). ბიზნესსა და უნივერსიტეტებს შორის ურთიერდაკავშირების მექანიზმები თითქმის არ არსებობს და ა.შ.

ტარდება თუ არა საქართველოში ინდუსტრიული პოლიტიკა

დიახ, ტარდება. თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან წარმოების განვითარების მიმართულებით ინტერვენციები ფრაგმენტული ხასიათისაა და არ არის ერთიანი ხედვით კოორდინირებული.

ბოლო წლებში შეიქმნა და ფუნქციონირებს ისეთი სახელმწიფო

სტრუქტურები, როგორებიცაა მეწარმეობის განვითარების სააგენტო (პროექტი „აწარმოე საქართველოში“), ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, საპარტნიორო ფონდი (აქვს სამრეწველო პროფილიც), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მუშაობს „საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი“, თუმცა აღნიშნული ინსტიტუციების საქმიანობა არაკოორდინირებული, არათანმიმდევრული და ნაკლებად ეფექტიანია. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის. რომ საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ არ აქვს ფორმალურად მიღებული ინდუსტრიული განვითარების პოლიტიკა, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აშკარაა ინდუსტრიული პოლიტიკის მაკოორდინირებელი ცენტრალური სამთავრობო ინსტიტუციის შექმნის საჭიროება და ინდუსტრიული პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი მაღალჩინოსანი პირის არსებობა. დანი როდრიკის თქმით, „ეკონომიკას რესტრუქტურიზებისათვის სჭირდება პოლიტიკური ადვოკატი, რომელიც ყურთან უზის პრემიერმინისტრს ან პრეზიდენტს და თანასწორი პოზიცია აქვს ეკონომიკური კაბინეტის სხვა წევრებთან».

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ინიციატივითა და სამთავრობო მხარდაჭერით 2016 წელს საქართველოს სტუმრობდნენ ინდუსტრიული განვითარებისა და პოლიტიკის მცოდნე, ისეთი აღიარებული ეკონომისტები, როგორებიც არიან: რობერტ ვეიდი (ლონდონის ეკონომიკური სკოლა), დანი როდრიკი და ჩარლზ სეიბლი (ჰარვადის უნივერსიტეტი), ერიკ რეინერტი (ნორვეგია), UNIDO-ს დელეგაცია, რომლებთანაც გაიმართა როგორც საჯარო, ისე დახურული შეხვედრები, დისკუსიები და კონსულტაციები. მათი პრეზენტაციები და რეკომენდაციები იყო არა მხოლოდ საინტერესო, არამედ ყურადსაღები პრაქტიკული გამოყენებისათვის. ისინი გახნილნი არიან თანამშრომლობისთვის.

რა უნდა გაკეთდეს

პირველ რიგში, მთავრობამ ღიად და ნათლად უნდა განაცხადოს სურვილი და მზადყოფნა, გაატაროს თანმიმდევრული, გრძელვადიანი ინდუსტრიული პოლიტიკა.

– სახელმწიფომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (UNIDO, მსოფლიო ბანკი) და ექსპერტებთან თანამშრომლობით უნდა შეიმუშაოს ინდუსტრიული პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

– ცენტრალური ადგილი ამ პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში უნდა დაიკავოს ეკონომიკის სამინისტრომ.

– საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია, შეიქმნას მსხვილი დეპარტამენტი

(სააგენტო) მაკოორდინირებელი და სხვა ფუნქციებით, უშუალოდ მინისტრის კურირებით.

– საჭიროა შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციების პრიორიტეტების გადახედვა და ოპტიმიზაცია .

გარდა ზემოთ დასახელებული თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკის მეთოდებისა და ღონისძიებებისა, ასევე მნიშვნელოვანია:

– სახელმწიფომ შექმნას ქმედითი ფინანსური ინსტრუმენტები და „წამახალისებელი მექანიზმები“ საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრისთვის.

– უნდა ხდებოდეს მცირე და საშუალო ბიზნესის ცოდნატევად, ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებად გარდაქმნის ხელშეწყობა შესაბამისი სტრატეგიით.

– მნიშვნელოვანი იქნება საექსპორტო მიმართულების სამრეწველო პრიორიტეტების ჩამოყალიბება გლობალურ ბაზრებზე არსებულ ღირებულებათა ჯაჭვის გათვალისწინებით.

– სახელმწიფოს მიერ ხარისხის მართვასა და კონტროლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ექსპორტის გაზრდაში, ისე იმპორტის რეგულირებისათვის, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი ბაზრის დაცულობასაც.

– ექსპორტის წასახალისებლად, არ უნდა გამოირიცხოს გარკვეული მონეტარული პოლიტიკაც.

– მთავრობა უნდა ახდენდეს განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტების იდენტიფიცირებას და მართვას.

– გარკვეული პროგნოზებისა და სახელმწიფო პრიორიტეტებისა და გეგმების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს უმაღლესი და საშუალო ტექნიკური პროფესიული კადრების მომზადების არსებული სისტემის ეფექტურობის გაზრდა.

– იმავე საფუძველზე უნდა ხდებოდეს კვლევითი დაწესებულებების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესება და კვლევების დაგეგვმაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა, მეცნიერების ერთი მხრივ სასწავლო და მეორეს მხრივ საწარმოო, ბიზნეს და გამოყენებით პროცესებთან დაახლოების მექანიზმების შექმნა.

– შესაძლებელია და უნდა მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტრუმეტად გამოყენება ადგილობრივი პროდუქციისთვის პრეფერენციულობის მინიჭების გზით.

– მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერის უშუალო დაქვემდებარებაში შეიქმნას განვითარების დაგეგმვის ქვედანაყოფი, რომელიც

პასუხისმგებელი იქნება ზოგადად დაგეგმვაზე, მეთოდოლოგიის შემუშავებასა და უწყებებს, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორსა და რეგიონებს შორის კოორდინაციაზე.

– ინდუსტრიული პოლიტიკის გატარების წარმატება დიდად იქნება განპირობებული პროცესისათვის ე.წ. პოლიტიკური მომენტუმის შექმნით, რაც მხარდაჭერილი უნდა იქნას საზოგადოებასთან ურთიერთობის ადეკვატური კამპანიით, სამეცნიერო-ტექნიკურ და სასწავლო საზოგადოების ჩართულობით, კონფერენცია-სემინარებით, გამოფენებით და სხვა აქტივობებით.

– ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების გატარებამ უნდა უზრუნველჰყოს სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში, ინდუსტრიული განვითარების ფაზების წარმატებით გავლა და, შესაბამისად, მთლიანი ეკონომიკის ზრდა და საზოგადოების განვითარება-კეთილდღეობა.

დავით ადეიშვილი
ეკონომიკის დოქტორი

2018

ეს სტატია დაიწერა „საპარტნიორო ფონდის“ შვილობილ კომპანიაში - „დარგობრივი და რეგიონული განვითარების კომპანია“ მუშაობისას და გარკვეულწილად მის კვლევებსაც შეეხება. ის არის გაგრძელება და გაღრმავება იმ საკითხებისა, რომლებსაც ინდუსტრიული განვითარებისადმი მიძღვნილ სტატიებში აღვწერე. ასე ვრცლად მისი გადმოტანა ამ კრებულში თემის აქტუალობით არის ნაკარნახევი.

European.ge 15.11.2018,
„ბანკები და ფინანსები“, 10.12.2018

ეკონომიკური განვითარება, სტრუქტურული ტრანსფორმაცია და ინდუსტრიული პოლიტიკა

ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების მიზანი შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცის ამოცანის გადაწყვეტის შედეგად, ინდუსტრიული პოლიტიკის საშუალებით.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების დონის (და, შესაბამისად, - პერსპექტივის) შესაფასებლად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია დასაქმება და ახლად შექმნილი (დამატებული) ღირებულება ანუ, პასუხები კითხვებზე:

- რას ვაკეთებთ? რას ვსაქმიანობთ? რით ვართ დაკავებული და რა არის ასეთი დასაქმების ეფექტი?
- როგორია დასაქმებისა და ეკონომიკურ-ღირებულებრივი სტრუქტურა საქართველოში?
- როგორია იგივე პარამეტრები მსოფლიოში, განვითარებად და
  განვითარებულ ქვეყნებში (მცირე, საშუალო და მაღალშემოსავლიან), პოსტსოციალისტურ, ჩვენი ზომის ქვეყნებში?
- რას უნდა ვაკეთებდეთ?
- საითკენ არის მიმართული ეკონომიკის სტრუქტურისა და დასაქმების ცვლილების ორიენტირი და რა სტადიებია გასავლელი?
- როგორ გვესახება სტრუქტურული ტრანსფორმაცია?

დადგენილი კანონზომიერებაა, რომ ეკონომიკის განვითარებას თან სდევს დასაქმებულთა შემცირება პირველადი დამუშავების დარგებში (primary industries-სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, მეტყევეობა, სამთო მოპოვება) და დასაქმებულთა ზრდა მეორეულ (დამამუშავებელი მრეწველობა) და მესამეულ (მომსახურება/სერვისები) სექტორებში. ამასთან, განვითარების საწყის ეტაპზე მრეწველობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი ჯერ იზრდება, ხოლო შემდგომ („პოსტინდუსტრიულ" სტადიაზე) მცირდება სერვისების (მ.შ. მრეწველობის მომსახურე სერვისების) სასარგებლოდ.

როგორც ირკვევა, განვითარების ამ ვექტორზე სვლა - ასეთი თანმიმდევრობით აუცილებელია და „ბუნებრივი" (სტრუქტურული ტრანსფორმაციის არტურ ლევის მოდელი; ჰარის-ტოდაროს მიგრაციის მოდელისოფლიდან-ქალაქისაკენ).რაცშეეხებაგადასვლასპირველიდან მესამე სტადიაზე (ინდუსტრიალიზაციის პერიოდის ამოგდება) „სრული დასაქმების" შენარჩუნებით პრაქტიკულად შეუძლებელია.

როგორია ვითარება ამ მხრივ ჩვენთან, საქართველოში, და ზემოჩამოთვლილ ქვეყნებში?

საქართველოს ეკონომიკის პირველადი დამუშავების სექტორში მუშაობს ამჟამად დასაქმებულთა არანაკლებ 46 %, ხოლო მეორეულ სექტორში - დაახლოებით 13%. რაც შეეხება მესამე სექტორს (41%), აღსანიშნავია, რომ სერვისების დიდი ნაწილი დაბალკვალიფიციური და დაბალპროდუქტულია, განსხვავებით განვითარებული (მაღალშემოსავლიანი) ქვეყნებისაგან, სადაც ხდება ინდუსტრიების სერვისებში გადასვლა (მომწიფებული დეინდუსტრიალიზაცია).

ჩვენ ჩამორჩენაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ „პროფესიული და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობებით" საქართველოში დაკავებულია მხოლოდ 21,6 ათასი ადამიანი (დასაქმებულთა 1,2%), ხოლო ინფორმაცია-ტელეკომუნიკაციაში დასაქმებულია 21,3 ათასი (1,2%).

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების (სტრუქტურული თვალსაზრისით) არსებული და პერსპექტიული მდგომარეობის შესაფასებლად, საინტერესოა, გავეცნოთ მსოფლიო ტენდენციებს ამ ასპექტში. კერძოდ, მსოფლიო ბანკის უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ქვემოთ მოგვყავს ქვეყნების (ქვეყანათა ჯგუფების) ეკონომიკების სტრუქტურებისა და მათი შემოსავლის დონეების შესაბამისობის (კორელაციების) მაჩვენებელთა თვალსაჩინო ინდიკატორები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დღეის მდგომარეობით განეკუთვნება საშუალომაღშემოსავლიან ქვეყანას (მთლიანი ეროვნული



შემოსავალი ერთ სულზე 10120$, PPP, 2017), როგორც ვხედავთ, ჩვენი ეკონომიკის სტრუქტურის მოყვანილი პარამეტრები არსებითად განსხვავდება მსოფლიოს ანალოგიური ქვეყნების გასაშუალებული პარამეტრებისგან. კერძოდ, თუ საშუალომაღალშემოსავლიან ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი შეადგენს საშუალოდ 17%, ხოლო სოფლის მეურნობის წილი მშპ-ში არის 6,4%, საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლები (41% და 7%) აშკარა შეუსაბამობაზე მეტყველებს.

იგივე ითქმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა და დამამუშაველ მრეწველობის (manufacturing) მაჩვენებლებზე - 26% და 21% vs 12% და 11% * (*დამამუშავებელ და სამშენებლო ინდუსტრიებში დასაქმებულთა წილი დასაქმებულებში) შესაბამისად. გრაფიკიდან კარგად ჩანს ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის როგორც არსებული მდგომარეობა, ისე განვითარების (ტრანსფორმაციის) მიმართულება.

ცალკეა გასაანალიზებელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა (მეტწილად - თვითდასაქმებულთა) ასეთი მაღალი მაჩვენებლის ფენომენი (ჩემი აზრით, ეს არის სოფლად ფარული უმუშევრობის აშკარა გამოხატულება).

არსებითად იგივე დასკვნები კეთდება, თუ დავაკვირდებით ანალოგიურ მაჩვენებლებს ცალკეულ პოსტსოციალისტურ პატარა ქვეყნებში (12 მლნ-მდე მოსახლეობით).

მთავარი კანონზომიერება - მშპ-ის სიდიდე ერთ სულზე უკუ-პროპორციულია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულების და დამატე-

ბული ღირებულების წილისა დასაქმებულებში და მშპ-ში, და პირდაპირ-პროპორციული - ინდუსტრიაში დასაქმებულებისა და დამამუშავებელი მრეწველობის წილისა მშპ-ში.



თუმცა, არის ზოგიერთი რაოდენობრივი გადახრა კანონზომიერებიდან. მაგალითად, 1 სულზე წარმოებული მშპ-სთან შესაბამისობის მიხედვით, საქართველოს უნდა ჰყავდეს მეტი დასაქმებული ინდუსტრიაში, ან ნაკლები დასაქმებული სოფლის მეურნეობაში სომხეთთან შედარებით; მოლდოვას უნდა ჰყავდეს საქართველოსთან შედარებით მეტი დასაქმებული სოფლის მეურნეობაში და ნაკლები ინდუსტრიაში და სხვა.

მიუხედავად ასეთი (მცირე) გადახრებისა, რაც საქართველოს „ამოვარდნაზე“ მიუთითებს, ზოგადისტორიული კანონზომიერებაა, რომ დასაქმებულთა შემცირებას სოფლის მეურნეობაში და ზრდას მრეწველობაში, ამავდროულად, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილის შემცირებასა და მრეწველობის წილის გაზრდას მოჰყვება ქვეყნის შემოსავლების ზრდა (მშპ-ს გაზრდა ერთ სულზე).

ეკონომიკური განვითარების (შემოსავლების ზრდა დროში) კვალობაზე დასაქმების სტრუქტურული ცვლილების ზოგადი სურათი კი ასეთია: განვითარებას თან სდევს დასაქმების შემცირება სოფლის მეურნეობაში;

ინდუსტრიაში - ჯერ ზრდა, შემდეგ - შემცირება; სერვისები კი განუხრელად იზრდება. მათ შორის სერვისები მრეწველობისათვის (იხ.სურათი #1).

სურათი #1



სურათი 1. დასაქმების სტრუქტურის ცვლილება ეკონომიკური განვითარების პროცესში. თვალსაჩინოებაზე მოცემულია დასაქმების სამი სექტორი: სოფლის მეურნეობა, მომსახურება და მრეწველობა. წყარო: ინტერნეტიმიჯებიდან.

ამ სურათზე ასახული კანონზომიერების - ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკის - სხვა რაკურსით დანახვა შესაძლებელია რეალურ სტატისტიკურ მონაცემებზე (წყარო: მსოფლიო ბანკი) დაყრდნობითაც. თუ „განვითარებას“ შევხედავთ მრეწველობის როლის თვალსაზრისით (შექმნილი დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში), მაშინ ქვეყნების განვითარების სტადიები ასე გამოიყურება:



სურათი 2. ინდუსტრიული განვითარების ეტაპები. წყარო: მსოფლიო ბანკი.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, დამამუშავებელი ინდუსტრიის წილი მშპ-ში ზოგადად შემოსავლის ყველა კატეგორიის ქვეყანაში მცირდება: დაბალშემოსავლიან ქვეყნებში დამამუშავებელი მრეწველობის წილი მშპ-ში დაახლოებით 9%-ია; დაბალსაშუალოშემოსავლიან ქვეყნებში განვითარების პირველ ეტაპზე ეს წილი იზრდება 17-16 პროცენტამდე, განვითარების მეორე ეტაპზე მაღალსაშულო შემოსავლიან ქვეყნებში წილი საშუალოდ 22-21 პროცენტამდე იზრდება; მაღალშემოსავლიან ქვეყნებში კი წილი დაახლოებით 14 %-მდე ეცემა - რადგან დგება განვითარების მესამე ეტაპი-პოსტინდუსტრიული ხანა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველო მიეკუთვნება საშუალოშემოსავლიან ქვეყნებს, ამიტომ ტრენდის მიხედვით დამამუშავებელი ინდუსტრიის წილი მშპ-ში მინიმუმ 16%-ზე მეტი უნდა იყოს, რაც ჩვენის აზრით, ნაადრევ (ჩვენ შემთხვევაში იძულებით) დეინდუსტრიალიზაციაზე ან ჩამორჩენილ ინდუსტრიალიზაციაზე მიუთითებს, რაც თავის მხრივ ეკონომიკის განვითარების არამყარ საფუძველს ქმნის.

აქ ჩვენ ვერ შევჩერდებით **ინდუსტრიის (უპირატესად დამამუშავებელი მრეწველობის) მამოძრავებელ როლზე ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიური პროგრესის** საქმეში. ამაზე უამრავი ლიტერატურა არსებობს (აღვნიშნავთ მხოლოდ პოპულარულ ავტორებს: დანი

როდრიკს, ჰა-ჯუნ ჩანგს და ერიკ რეინერტის ბესტსელერს „How Rich Countries Got Rich And Why Poor Countries Stay Poor“; იხ. აგრეთვე ჩვენი სტატიები European.ge-ზე).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ინდუსტრიის ჩამორჩენისა და მისი პრიორიტეტულობის პოლიტიკურად მიუღებლობის პირობებშიც კი საქართველოს მრეწველობაში სოფლის მეურნეობასთან შედარებით დასაქმებულია ხუთჯერ ნაკლები და ქმნის 2-ჯერ მეტ დამატებულ ღირებულებას. სასტუმროებთან და რესტორნებთან შედარებით კი დასაქმებულია თითქმის 4-ჯერ მეტი ადამიანი და იქმნება თითქმის 5-ჯერ მეტი დამატებული ღირებულება - ტურიზმის პრიორიტეტულობის მიუხედავადაც კი.

შევეცდებით, ზოგადი პასუხი გავცეთ ჩვენთვის საინტერესო კონკრეტულ კითხვებს:

- როგორია საქართველოს **დამამუშავებელი მრეწველობის (manufacturing)** სტრუქტურა?

- როგორია განვითარების **პოტენციალი** ქვედარგებში და შესაბამისი პრიორიტეტები?

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის თქმით, 2016 წელს „მთლიანი შიგა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა მრეწველობა (17,1 პროცენტი)“, რაც მოიცავს როგორც დამამუშავებელ მრეწველობას (13%), ისე სამთომომპოვებელ, ელექტრონერგიის მწარმოებელ და წყალმომარაგების სექტორებს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით კი, იმავე წელს ინდუსტრიის (მშენებლობასთან ერთად) წილი მშპ-ში შეადგენდა 21,4%-ს (2016) და 22%-ს (2017), საიდანაც დამამუშავებელი მრეწველობის წილად მოდიოდა მხოლოდ 10,3% და 10,5% შესაბამისად (ზემოთ მოყვანილ გრაფიკებში 11%).

როგორც გრაფიკებიდანაც გამოჩნდა, სწორედ დამამუშავებელი მრეწველობაში გვაქვს ჩამორჩენა და სწორედ ამ მიმართულებით არის საჭირო **სახელმწიფოს ჩარევა-ინტერვენცია (big push theories), გარკვეული ინდუსტრიული პოლიტიკის გატარება, რის შედეგადაც უნდა განხორციელდეს ე.წ. დაუბალანსებელი (სელექციურ სექტორებში წინმსწრები) ზრდის ტემპის სტრატეგია** და რასაც უნდა მოყვეს მლიანად ქვეყნის ეკონომიკის ჩამორჩენის დაძლევა (ჰირშმანი).

ამიტომ, მიზანშეწონილია, უფრო დეტალურად განვიხილოთ დამამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურა, მისი ქვედარგები და შესაბამისი პარამეტრები (იხ. სურათი N3).

როგორც თვალსაჩინოებიდან ჩანს, საქართველოს დამამუშავებელი

მრეწველობაში დომინირებს **კვებისა და სასმელების ინდუსტრია,** სადაც იქმნება ამ სფეროს 45,6% დამატებული ღირებულება და დასაქმებულია 39,5%. მეორე უდიდესი სექტორია **არალითონური მინერალური პროდუქტები** (მათ შორის მთავარია სამშენებლო მასალები), რომელიც აღინიშნება დამატებული ღირებულების და დასაქმების 15,4%-ით და 9,7%-ით შესაბამისად. მესამეა ძირითადი და დამუშავებული **ლითონები** ერთად აღებული ან **ქიმიური ინდუსტრია** (ქიმიკატები, რეზინი, პლასტმასები და ფარმაცევტული პროდუქტები) – 11,1% დამატებული ღირებულებით და იმავე ზომის დასაქმებულთა წილით გამამუშავებელ მრეწველობაში.

გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მეთოდოლოგიის თანახმად, სწორედ აღნიშნული დარგებია პრიორიტეტული განსავითარებლად ჩვენნაირ მცირე ქვეყნებში, შემოსავლის დონის მოცემულ ეტაპზე (იხ. სურათი #2).

სურათი #3.



სურათი 3. დამატებული ღირებულების ცვლილება სულობრივი შემოსავლის სხვადასხვა დონეზე, დარგების მიხედვით. წყარო: UNIDO-ს კვლევა.

აღსანიშნავია, რომ სურათის მიხედვით, სხვა დარგებთან ერთად, ქვეყნების მაღალსაშუალო შემოსავლის ეტაპზე, ელექტრული მანქანები და აპარატების დარგი, განეკუთვნება მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებას. სამწუხაროდ, ეს ქვედარგი პრაქტიკულად "არ იძებნება" საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობის სპექტრში, სადაც მთლიანად „მანქანამშენებლობის" წილად მოდის დამატებული ღირებულების მხოლოდ 1,5%. აღნიშნულ ქვედარგებში საქართველოში 2016 წელს სულ რეგისტრირებული იყო 585 საწარმო, მათ შორის - 242 ინდმეწარმე. ამავე ქვედარგებში ელექტრულ მანქანა-აპარატებთან ერთად აღირიცხება მაგალითად, საავიაციო წარმოების „ნარჩენები", ელმავალმშენებლობა, მექანიკური ქარხნები, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა. შედარებისთვის, უკრაინაში მანქანათმშენებლობის წილი მრეწველობაში შეადგენს 11%-ს და ამ ქვეყნის ინდუსტრიის განვითარების სტრატეგიის შემუშავების ფარგლებში იგეგმება მანქანათმშენებლობის 26 ქვედარგის შესწავლა.

რაც შეეხება უფრო კონკრეტულ **პრიორიტეტებს** საქართველოსთვის, როგორც კვლევა (დიაგნოსტიკა) აჩვენებს, **კვებისა და სასმელების ინდუსტრიაში** მიზანშეწონილია და შესაძლებელია, განვავითაროთ (საჭიროა სახელმწიფო ინტერვენცია) ისეთი სექტორები, როგორებიცაა:

- ხილისა და ბოსტნეულის დამუშავება-გადამუშავება
- რძისა და ხორცის დამუშავება-გადამუშავება
- თევზჭერა, აკვაკულტურა და მარიკულტურა, თევზის დამუშავება-გადამუშავება **არალითონური მინერალური სამშენებლო მასალებში**
- ცემენტი
- აფუებული თიხა
- აგური, კრამიტი
- მოსაპირკეთებელი ბუნებრივი ქვები
- კერამიკული ფილები

მანქანათმშენებლობა

- საავიაციო მრეწველობა
- სარკინიგზო მანქანები
- ელექტროტექნიკა

ქიმიურ მრეწველობაში

- ფარმაცევტიკა

- პლატმასებისა და პოლიმერული ნაწარმი

აღნიშნული ქვედარგების განვითარება არა მხოლოდ გაზრდის დამატებულ ღირებულებას (მშპ), დასაქმებას და შეამცირებს სავაჭრო დეფიციტს, გაზრდის ექსპორტს, არამედ გააჩენს რეალურ მოთხოვნას შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებზე (განათლება) და კვლევებზე (მეცნიერება), ექნება გადადინების (spillover) ეფექტი სხვა დარგებსა თუ სფეროებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსების პირობებში **საინვესტიციო ინტერვენცია** უნდა განხორციელდეს მხოლოდ მაღალი შეფასების მქონე პროექტებში. ასეთი შეფასება კი უნდა მოხდეს არა მხოლოდ ფინანსური შედეგებისა და კომერციული რისკების კრიტერიუმებით, არამედ უპირატესად ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და უსაფრთხოების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ასეთი კრიტერიუმებია მაგალითად, ინოვაციურობა, დივერსიფიკაცია, კლასტერირების პოტენცია, ეკოუსაფრთხოება და რესურსდამზოგველობა/რეციკლირება, დასაქმება, საექსპორტო პოტენციალი, ეროვნული შემოსავლის ზრდის სიდიდე და სხვა (შემუშავებულია შესაბამისი მეთოდოლოგია).

ზოგადი ამოცანა უნდა იყოს **– ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიული განვითარება (ISID).** ეს ტერმინი და მისი შინაარსი დამკვიდრებულია იუნიდოს მიერ და გაზიარებულია გაეროს ქვეყნების მიერ, როგორც განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა და ამოცანა, რაც აისახა კიდეც გაეროს ქვენების მიერ შეთანხმებულ (2015) მსოფლიოს **მდგრადი განვითარების მიზნებში** (მიზანი 9). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ შეთანხმების ფარგლებში საქართველო 2030 წლისათვის, სხვა პარამეტრებთან ერთად მიზნად ისახავს მთლიან შიგა პროდუქტში დამამუშავებელი მრეწველობის წილის (MVA) 25 %-მდე გაზრდას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ამ ტერმინის შინაარსი გვეუბნება ინდუსტრიული ზრდა უნდა იყოს ინკლუზიური და არა მხოლოდ მცირე ინდუსტრიული ჯგუფებისთვის, მაქსიმალურად მწვანე (green growth) და ინოვაციური (რაც არ გულისხმობს საშუალო და დაბალტექნოლოგიური სექტორების გამორიცხვას).

– როგორ უნდა იქნას მიღწეული დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის ეს მიზანი? რა როლი აქვს სახელმწიფოს? როგორი ეკონომიკური პოლიტიკა გვჭირდება?

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, განვითარების ეკონომიკის თეორია

და პრაქტიკა დღეს უდავოს ხდის იმ ჭეშმარიტებას, რომ შეუძლებელია ეკონომიკაში ჩამორჩენის დაძლევა და გარდამტეხი წინსვლის (catch up) მიღწევა მხოლოდ ბაზრის მექანიზმებისა და თვითდინებით განვითარების იმედად ე.წ. ბაზრის ჩავარდნების (market failures) პირობებში.

დღეს უკვე აღარ დავობენ, უნდა განახორციელოს თუ არა სახელმწიფომ ინდუსტრიული პოლიტიკა. საკამათოა მხოლოდ ინდუსტრიული პოლიტიკის შინაარსი, ფორმები და მეთოდები („Don't ask why, ask how,").

უპირველესად კი აუცილებელია მთავრობის უმაღლეს დონეზე არსებობდეს სათანადო ხედვა და პოლიტიკური ნება, შემდეგ კი ადმინიტრაციული კომპეტენციები.

რაც შეეხება **ინდუსტრიული პოლიტიკის თანამედროვე ინსრუმენტებს,** აქ გამოსაყენებელია შეიარაღების მთელი კომპლექსი (toolbox for industrial policy), ე.წ. ჰორიზონტალური და ვერტიკალური (სექტორული), ასევე რეგიონული პოლიტიკების სახით, რაც ზოგადად შეიძლება ასე წარმოვიგინოთ:

- კონცეფციის, სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის შემუშავება და მიღება;
- პოლიტიკები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელსაყრელ ეკონომიკურ გარემოს მაგალითად, კონკურენტული გარემო, ინფრასტრუქტურაზე, ენეგიაზე, რესურსებზე წვდომა, კორპორაციულ დაბეგვრა, კრედიტზე წვდომა, გარემოს დაცვა და სხვ.;
- ინსტიტუციების ჩამოყალიბება-გაძლიერება (capacity building) კოორდინირების, ინფორმაციული უზრუნველყოფის, რეგულირების (მათ შორის სტანდარტიზაციის, ევროკავშირთან ჰარმონიზაციის) ფუნქციებით;
- ფისკალური სტიმულები (მიზნობრივი საგადასახადო შეღავათები, სუბსიდირების სხვადასხვა ფორმები);
- სავაჭრო და მონეტარული (გაცვლითი კურსის) პოლიტიკა;
- პრიორიტეტული სექტორების/ღირებულებათა ჯაჭვის, კლასტერების, ინდუსტრიული ზონების, პარკების შექმნის, მოდერნიზაციის, ინფორმაციული ტექნოლოგიების (ITC) ინდუსტრიებში ინტეგრირების (გაციფრულების), ენერგოეფექტურობის და სხვა ტიპის სტრატეგიული პროგრამები, გზამკვლევები და სამოქმედო გეგმები, მათ შორის, მაგალითად, ისეთი ინოვაციური მიდგომით, როგორიცაა ევროპაში აპრობირებული ე.წ. ჭკვიანური სპეციალიზაციის პლატფორმა (smart specialization);
- პრიორიტეტული ინვესტიციების ხელშეწყობა, მათ შორის სათანადო ფინანსური მექანიზმებით. მაგალითად, ეროვნული

განვითარების ბანკი-გრძელი ფულით და სარისკო კაპიტალით; პრეფერენციული სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო-კერძო სექტორის თანამშრომლობის (PPP) სხვადასხვა ფორმები;

- განათლება/წვრთნა, კვლევები(R&D) და მეცნიერება (უნივერსიტეტების კავშირი ინდუსტრიასთან);
- საზოგადოებასთან კომუნიკაცია (მათ შორის სექტორული ფორუმები) და სხვ.

ბუნებრივია, აქ ვერ შევჩერდებით ზემოთ ხსენებული ინსტრუმენტების ხმარების სპეციფიკაზე, თუმცა ხაზგასასმელია, რომ მათი გამოყენება უნდა მოხდეს კომპლექსურად, ეტაპობრივად და შერჩეული ზომითა და აქცენტებით. მოკლედ, მაღალი კომპეტენციითა და ოსტატობით. საინტერესოა, რომ, მაგალითად, იმავე უკრაინაში ინდუსტრიული კომპლექსის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას გააანალიზეს მასთან დაკავშირებული 295 უკვე არსებული ინსტრუმენტი.

ვფიქრობთ, დაყოვნება ამ საქმეში ნიშნავს ეკონომიკური განვითარების, მითუმეტეს დაჩქარებული ზრდის შეუძლებლობას, ჩამორჩენის გახანგრძლივებას და ქვეყნის მთლიანი განვითარების შეფერხებას. თუმცა, გავიმეორებთ, რომ ამ საქმის განხორციელებისათვის სათანადო ხედვასთან ერთად აუცილებელია ხელსაყრელი პოლიტიკური გარემო და რაც მთავარია, **მთავრობის პოლიტიკური ნება.**

ღია წერილის შექნის იდეა ნაირა გელაშვილთან, ჩემს ძველ „მწვანე თანამებრძოლთან“ და მეგობართან საუბრის შედეგად ჩამოყალიბდა და საბოლოოდ „კავკასიური სახლის“ ეგიდით გამოქვეყნდა. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ნაირა ყოველთვის მათამამებდა, მათ შორის მის საჯარო გამოსვლებშიც, როგორ პირველ ქართველ „მწვანე ეკონომისტს“ (იხ. დავით ადეიძის პერსონაჟი რომანში „...ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე...“), რისთვისაც მისი დიდად მადლობელი ვარ. მოგვიანებით, 2019 წლის თებერვალში, ამ თემაზე პრესკომფერენციაც გავმართეთ (იხ. გვ. 339). იმედი მაქვს ეს წერილი მცირე ზეგავლენას მაინც მოახდენს ჩვენში მწვანე პოლიტიკის გააქტიურებაში.

ბანკები და ფინანსები, 27 დეკემბერი, 2018
http://caucasianhouse.ge, 28/12/2018;

მწვანე ეკონომიკა დეკლარირებულიდან რეალური პრიორიტეტის რანგში!

ღია წერილი საქართველოს მთავრობას

ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო პრემიერ მინისტრ მამუკა ბახტაძის მიერ ცოტა ხნის წინ დეკლარირებული განცხადება მწვანე ეკონომიკის პრიორიტეტულობის შესახებ.

დღეს უკვე საყოველთაოდ გაცნობიერებულია, რომ ეკონომიკა ვერანაირად ვერ იქნება ეკოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური სისტემებისაგან განცალკავებულ-იზოლირებული, მითუმეტეს, – მათ დაპირისპირებული. იგი არ არის და არც უნდა იყოს თვითრეგულირებადი და თვითგანვითარებადი სისტემა;

როგორც ცნობილია, პლანეტას, ბუნებრივ გარემოს და რესურსებს აქვს საზღვრები (ლიმიტები). ამიტომ ეკონომიკური სისტემის თვითნებური ზრდა გონივრული რეგულაციების გარეშე არა მხოლოდ არარაციონალური, არამედ კატასტროფულიცაა, როგორც გლობალურ, ისე ლოკალურ დონეებზე;

ნეოლიბერალურ იდეოლოგაზე დაფუძნებულმა ე.წ. ბრეტონ-ვუდსის პრინციპებით მართულმა მსოფლიო ეკონომიკამ გამოიწვია არა მხოლოდ ეკონომიკური კრიზისები და უკიდურესი სოციალური უთანაბრობა (სიღატაკის დაუძლეველობა), არამედ, – გლობალური ეკოლოგიური

კრიზისიც მის მრავალსახოვან გამოვლინებებში: კლიმატური ცვლილებებით, ჰაერის, ნიადაგის, ოკეანეების დაბინძურებით, სასმელი წყლის დეფიციტით, ტყეების და ბიომრავალფეროვნების განადგურებით თუ ურბანისტული პრობლემებით…

ოთხმოციანი წლების ბოლოდან ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მოთხოვნების შეთანხმებული და ჰარმონიული წარმართვა, ანუ მდგრადი განვითარება გახლავთ არა მხოლოდ მეცნიერ-მკვლევართა ვიწრო ჯგუფის აზრი, არამედ მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებისა და პოლიტიკურ ლიდერთა უდიდესი ნაწილის შეთანხმებული მოქმედებების უმაღლესი ამოცანა; ამ ყოველივედან გამომდინარე, სწორედ მდგრადი განვითარების პრინციპებს, ეკოლოგიურ იმპერატივებს დაქვემდებარებული ეკონომიკა შეიძლება იყოს გაგებული მწვანე ეკონომიკად.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სამი ათეული წელია, ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი (მწვანეთა მოძრაობა ფართო გაგებით მოიცავს საზოგადოების მრავალ ფენას) დაბეჯითებით მოითხოვდა მთავრობებისაგან ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვას გარემოსდაცვითი თუ ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას, ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ კანტიკუნტად, არაადექვატურად და ზედაპირულად გაისმოდა მდგრადი განვითარების კონცეფციის აღიარება. (იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ „ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს“ სახელწოდებაში „მდგრადი განვითარება“ მხოლოდ ფორმალურად იყო შეტანილი).

ჩვენი საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილს თუ სმენია იმის შესახებ, რომ საქართველო 2015 წლიდან მიერთებულია გაეროს ქვეყნების „მდგრადი განვითარების მიზნები-2030“ (SDG) შეთანხმებას. არავინ ლაპარაკობს საჯაროდ იმის შესახებ, თუ რა კონკრეტული მიზნები აქვს საქართველოს იმ 17 ზოგადი მიზნიდან, რომელზეც პროგრესული მსოფლიო შეთანხმდა. რა ეტაპზეა და რა ხარისხით მიმდინარეობს შესაბამისი ქვემიზნების შესრულება? და ა.შ.

გავიხსენოთ: საქართველოს დიდ ქალაქებში (და არა მხოლოდ აქ) ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების მაჩვენებლები საგანგაშოა; აბსოლუტური უკონტროლობა სუფევს შხამქიმიკატებისა და სასუქების გამოყენების სფეროში; ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული ტრანსნაციონალური კორპორაციები სტიქიურად აშენებენ გიგანტურ ჰიდროელექტროსადგურებს, წყალში ძირავენ საქართველოს უნიკალური ლანდშაფტების მნიშვნელოვან ნაწილს და ანადგურებენ

ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრისს; ბუნებრივი წიაღისეულის ათვისება ხდება გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების უკიდურესად უხეში დარღვევით და ა.შ.

ჩვენ მივესალმებით და მხარს ვუჭერთ ამ ქვეყნისათვის დაგვიანებულ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს ინიციატივას, რადგან მწვანე ეკონომიკა ჩვენი იდეალია. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ არა უბრალოდ ეკონომიკურ ზრდას, არამედ საყოველთაო კეთილდღეობას მწვანე ეკონომიკის აღმავლობის გზით (green growth).

ჩვენ გვჭირდება:

• განახლებადი, მდგრადი და ხელმისაწვდომი ენერგეტიკა (ჩვენ ვეთანხმებით იმ მეცნიერულ აზრს, რომ წყალი აღარ ითვლება სრულად განახლებად რესურსად);

• მდგრადი და მოსახერხებელი ინფრასტრუქტურა;

• ინკლუზიური, ინოვაციური და მდგრადი ინდუსტრიული განვითარება მ.შ. რეგენერაციული-ღია წვდომის ცირკულარული ეკონომიკის (Open Source Circular Economy, OSCE) მიდგომებითა და სტანდარტებით;

• ეკოლოგიურად სუფთა და მდგრადი სოფლის მეურნეობა;

• მდგრადი ტრანსპორტი და სამშენებლო ინდუსტრია;

• მდგრადი სატყეო და წყლის მეურნეობა;

• ეკოტურიზმი;

• მდგრადი ქალაქები და სოფლები მწვანე და შენარჩუნებული ლანდშაფტებით;

• გარემოს დაცვის პრიორიტეტულობა უნდა იყოს პრინციპულად და ინსტიტუციურად მართული;

• სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი, განათლებული, დასაქმებული და სოციალურად თანასწორი საზოგადოება, სიღატაკის გარეშე;

გვინდა გვჯეროდეს, რომ პრემიერის მიერ დეკლარირებული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობა წარმოადგენს შესაბამის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

ვიმედოვნებთ, რომ:

• გაიმართება მთავრობის სამოქმედო გეგმის საჯარო პრეზენტაციები და განხილვები;

• გაიზრდება სამთავრობო სააგენტოების პასუხისმგებლობა და კონტროლი, იქნება ახალი საკანონმდებლო და მარეგულირებელი (მასტიმულირებელი) ინიციატივები;

• გაიზრდება აკადემიური წრეების, არასამთავრობო სექტორისა და

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების როლი და მონაწილეობა;

• გაიზრდება მოსახლეობის ცნობიერება, ინფორმირებულობა და აქტიურობა, ანგარიში გაეწევა ადგილობრივი თემების სასიცოცხლო ინტერესებს.

ჩვენი მხრივ, მზად ვართ აქტიურად ვითანამშრომლოთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან. დარწმუნებულები ვართ, ყოველივე ზემოთქმულის განხორციელების შემთხვევაში, არცთუ დიდი ხნის შემდეგ ჩვენი ქვეყანა მოწინავე ადგილს დაიკავებს მსოფლიოს მწვანე რუკაზე.

სარწმუნოებრივი პოლიტიკა

ქვემოთ თითქმის უცვლელად არის მოტანილი ჩემ მიერ შედგენილი ბროშურა, რომლის ციფრული ვარიანტი ინახება და იძებნება საჯარო ბიბლიოთეკის ციფრულ არქივში და სოციალურ ქსელ ფეისბუქში. მე მყარად მჯერა, რომ ქართული მემარცხენე პოლიტიკური ძალების გაძლიერების კვალობაზე სულ უფრო სერიოზულ მნიშნელობას შეიძენს და წარმოჩინდება ქრისტიანულ-პროგრესისტული იდეოლოგიის მატარებელი შენაკადი. საქართველოში ამის ტრადიცია არ ყოფილა (ალბათ, ესეც იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი სისუსტე), მაგრამ ნიადავი ამისთვის ნამდვილად არსებობს. მინდოდა, ამაში დამერწმუნებინა ჩვენი პარტიული აქტივისტები და პოლიტიკით დაინტერესებულ ქრისტიან - მორწმუნეთა ფართო საზოგადოება.

2011-2012

ქართული ქრისტიანულ – სოციალისტური მოძრაობა

სამართლიანობა
ძმობა
სრულყოფა

2012

ბროშურა [**გვ. 248–268**]

ქრისტიან–სოციალისტთა ჯგუფი წარმოადგენს პოლიტიკური ორგანიზაციის – „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ ქრისტიანულ ფრთას, რომლის „პოლიტიკური მრწამსი“ და საჯაროდ განცხადებული სხვადასხვა შეხედულებები შევიდა წინამდებარე ბროშურაში.

პოლიტიკური მრწამსი

ღმერთი, როგორც სამება (მამა, ძე და სულიწმინდა) არის ერთობა, თანასწორობა, სიყვარული. ადამიანიც, როგორც ღვთის ხატად დამსგავსად შექმნილი არსება, იმავესთვის არის მოწოდებული. ერთობა, თანასწორობა, სიყვარული არის მთელი საზოგადოების იდეალი.

ადამიანი ღმერთმა შექმნა თავისუფალი ნებით, დაუდგინა მცნებები და ასწავლა ჭეშმარიტების გზა. საზოგადოების მიერ შექმნილი კანონები და მისი ქცევები უნდა ეთანხმებოდნენ ღვთივდადგენილ ზნეობრივ ნორმებს.

ღვთიური ადამიანურზე უპირატესია, ამიტომ ადამიანებს (ხელისუფლებას, კანონს) იქამდე უნდა ვეთანხმებოდეთ, ვიდრე ისინი ქვეყნად ქრისტიანულ სამართლიანობას იცავენ.

სახელმწიფოს მართვაში სინდისისა და ქრისტიანული მორალის ამოქმედება, მათი ინსტიტუციური ლეგიტიმაცია აუცილებელია და ქვეყნის პოლიტიკურ–საზოგადოებრივი ცხოვრების სრულყოფილად წარმართვის საწინდარია.

შესაძლებელია, პოლიტიკურ–ეკონომიკური სისტემა ქვეყანაში ისე მოეწყოს, რომ ადამიანის კერძო ინტერესები არ ეწინააღმდეგებოდეს, უმეტეს შემთხვევებში კი – ხელს უწყობდეს კოლექტიური ინტერესების განხორციელებას. ადამიანი, თუნდაც მდიდარი, ვერ იქნება ავტონომიურად კეთილდღეობაში და მორალურად კმაყოფილი, თუ ის ცხოვრობს ღატაკ, სოციალურად და პოლიტიკურად არასტაბილურ სახელმწიფოში. მეორე მხრივ, მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობა (ყველასათვის) არ არის საკმარისი ინდივიდუალური ბედნიერებისა და საზოგადოების მორალური სიჯანსაღისთვის.

ქრისტიანული მსოფლმხედველობის და ცხოვრების წესის ცოდნა და დანერგვა როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ–პოლიტიკურ ცხოვრებაში, არის ბედნიერებისა და წარმატების მიღწევის უმთავრესი წყარო და საშუალება.

ადამიანს უნდა მიეცეს ღვთივბოძებული თავისუფლებისა და თანასწორობის განხორციელების და ნიჭის რეალიზების („ტალანტების გამრავლების“) შესაძლებლობა – სამოქალაქო, სოციალური და ეკონომიკური თავისუფლებების უზრუნველყოფით. მოყვასის სიყვარული და მასზე ზრუნვა უფლის მიერ მოცემული მცნებაა. ადამიანი (სახელმწიფო) ვალდებულია, მოყვასის „სიმძიმე იტვირთოს და ისე აღასრულოს სჯული იგი ქრისტესი“. სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პოლიტიკა სახელმწიფოს ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

ქრისტიანული ოჯახი ღვთივკურთხეულია. ის საზოგადოების ყველაზე უფრო მდგრადი სოციალური ერთეულია. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ოჯახის სოციალურ დაცვასა და განვითარებაზე.

ადამიანისთვის შრომა ღვთით დადგენილი ცხოვრების წესია, რომლის მიზანი მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა არ არის, ის ღირსების საქმეცაა და სულიერ განვითარებას უწყობს ხელს. შრომის უფლების განხორციელებისთვის ზრუნვა სახელმწიფოს ერთ–ერთი უმთავრესი მოვალეობაა.

ადამიანი (სახელმწიფო) ვალდებულია, მოუაროს და გაუფრთხილდეს ღვთივბოძებულ ბუნებას (რესურსებს) და მხოლოდ სასიკეთოდ გარდაქმნას იგი (მდგრადი განვითარება).

მიწა (მამული), ისევე, როგორც მთლიანად ბუნება, საკრალურია. ამიტომ ჩვენ მას არ ვუყურებთ როგორც ერთ–ერთ, თუნდაც ძალიან მნიშვნელოვან რესურსს. მიწა, განსაკუთრებით სასოფლო–სამეურნეო მიწები უნდა გახდეს სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი მოვლისა და რეგულირების საგანი, ხოლო

ბიომეურნეობების ხელშეწყობა – უცილობელი პრიორიტეტი.

დედა - ენა, როგორც უფლისაგან მონიჭებული საუნჯე და ერის იდენტობის უმთავრესი ნიშანი, ძვირფასია ჩვენთვის. ხელისუფლება ვალდებულია ზრუნავდეს სახელმწიფო ენის დაცვა-განვითარებაზე.

განვითარება (მარადიული სრულყოფა) არის პროგრესი ადამიანის (ერის/საზოგადოების) სულიერ–ინტელექტუალურ, კულტურულ და ყოფით თვისობრიობაში. განათლება (ქრისტიანული სწავლება), ცოდნის მიღება და მისი ზრდა (მეცნიერება, ინოვაციები/„ცოდნის საზოგადოება“) კი არის განვითარების გასაღები და უმთავრესი მამოძრავებელი ძალა.

ჩვენი მიზანი არ არის ამქვეყნიური სამოთხის შექმნა, მაგრამ ღირსეული ცხოვრების პირობების შესაქმნელად შრომა და ღვაწლი ჩვენი ადამიანური (საერისკაცო) მოვალეობაა, ხოლო ამ პირობების შექმნა პოლიტიკური ამოცანაა.

ამ ამოცანის სწორად დასახვა და განხორციელება შეუძლებელია, თუ არ იქნება გაცნობიერებული ქრისტიანული ცხოვრების წესის პრინციპები. საჭიროა, ამ პრინციპების საზოგადოებრივ–პოლიტიკურ ენაზე თარგმნა და დანერგვა სწავლებით, კანონმდებლობითა და სხვა მექანიზმებით.

პრინციპები

- თავისუფლება
- პასუხისმგებლობა
- თანასწორობა (სამართლიანობა)
- ერთსულოვნება (ძმობა, ერთობა, სოლიდარობა, კოოპერაცია)
- მშვიდობისმყოფლობა (არაძალადობა)
- შემწყნარებლობა (ტოლერანტობა)
- მოწყალება
- სრულყოფა (განვითარება)

პოლიტიკური მიზანი

მშვიდი და მშვიდობიანი ცხოვრების პირობების სახელმწიფოებრივი გარანტიების შექმნა, რათა მართალი სარწმუნოებით და კეთილმსახურებით ვცხოვრობდეთ.

სამოქმედო

– ქრისტიანულ–სოციალისტური ფასეულობების გავრცელება და პოლიტიკური მხარდაჭერა

– ქრისტიანთა ჩართვა პოლიტიკურ აქტივობაში

– ქრისტიანული ძმობის სულის აღორძინება

– ღვთის შეცნობისა და ღვთის სუფევისკენ სწრაფვა

- ლოცვით

- შრომით
- რწმენით
- სასოებით
- სიყვარულით

ჩვენ – ქართველ ქრისტიან–სოციალისტებს - მიგვაჩნია, რომ სოციალ–დემოკრატიული იდეოლოგია თავისი გენეზისით და თანამედროვე სახით არის ის პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც ყველაზე მეტად ეთანადება ქრისტიანული ცხოვრების წესის და ზემოხსენებული ფასეულობების დამკვიდრებას.

მიმართვა ქრისტიან-სოციალისტური მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის სახელით

სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის
კონფერენცია „თბილისი“, კინოს სახლი, თებერვალი, 2011

მინდა, უპირველეს ყოვლისა მივმართო იმ ადამიანებს, ვინც თავს მორწმუნე ქრისტიანად თვლის და ამავე დროს იზიარებს სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას.

- რა აქვს საერთო ქრისტიანობას და სოციალიზმს?
- მრევლად ყოფნას და პოლიტიკას?
- როგორია მორწმუნე ქრისტიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიცია, მისი ცხოვრების წესი და პასუხისმგებლობა თანამედროვე საზოგადოებაში?
- უნდა იყოს თუ არა პოლიტიკის სფერო მორწმუნე ქრისტიანისთვის დაკეტილი?
- არის თუ არა პოლიტიკა „ბინძური საქმე“ თავის არსითა და მოწოდებით, თუ პოლიტიკა ეფექტიური იარაღია საღვთო ღირებულებებისა და ადეკვატური ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად?

ჩვენი ეკლესია უამრავ კარგ სოციალურ საქმეს აკეთებს, მაგრამ განა ეკლესიის ფარგლებში მოღვაწეობა საკმარისია თანამედროვე, პლურალისტურ საზოგადოებაში ღირსეული ცხოვრების მოწყობისთვის?

- მართლაც როგორი უნდა იყოს კარგი საზოგადოება (good society) ჩვენი - ქრისტიანული, ქართული კრიტერიუმებით დანახული?
- როგორ უნდა ვეცადოთ, განხორციელდეს ნება ღვთისა

„ქვეყანასა ზედა“, როგორც ჩვენ ყოველდღე ვიმეორებთ „მამაო ჩვენოში“...

მოგიწოდებთ დავიწყოთ დისკუსია ამ და მრავალ სხვა ამასთან დაკავშირებულ თემებზე.

პირველ რიგში კი, ალბათ, უნდა ვიმსჯელოთ ქრისტიანულ-სოციალისტურ პოლიტიკურ მრწამსზე, რომლის პროექტიც შეგიძლიათ იხილოთ „სოციალ-დემოკრატები - საქართველოს განვითარებისთვის“ ოფიციალურ ვებგვერდზე - www.sdd.ge

და ბოლოს:

ჩვენთვის ხელისუფლებაში მოსვლა არ არის თვითმიზანი. იმისთვის, რომ მოხდეს ფუნდამენტური სოციალურ-ეკონომიკური და ზედნაშენური ცვლილებები, ჯერ ჩვენს შეგნებაში უნდა მოხდეს ძირეული გარდაქმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგები კვლავ ვერ იქნება სასურველი.

ამ საქმეში ქრისტიან-სოციალისტებს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ, რისი მდიდარი გამოცდილებაც არსებობს ევროპულ სოციალ-დემოკრატიაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დღეს საქართველოში ქრისტიანულ-მართმადიდებლური მრევლი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ახალგაზრდულია მსოფლიოში - ესე იგი ის ქმედითუნარიანია და პოტენციურად პროგრესული. რატომ არ უნდა იყოს მისი ნაწილი პოლიტიკურადაც აქტიური? ჩვენი ღრმა რწმენით, ეს მათი პასუხისმგებლობაა...

ჩვენ უნდა დავიწყოთ მოძრაობა - მოძრაობა ქრისტიანულ-სოციალისტური იდეალებისთვის!

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

დავით ადეიშვილი

რატომ ვდგავართ აქ?

წერილი სემინარის - *„რელიგია და პოლიტიკა“* - მონაწილეებს “სოციალ-დემოკრატები - საქართველოს განვითარებისთვის“ ოფისი 03.03.2011

წინა კვირა იყო საშინელი სამსჯავროს ხსენების კვირა.

ყველა ქრისტიანისთვის უმთავრესია (მთელი ცხოვრება ამისთვის

მზადებაა), როგორ წარსდგება იგი სამსჯავროზე ღმერთის წინაშე.

ბიბლია და ეკლესია გვასწავლის, რომ ჩვენ განვისჯებით არა იმდენად ჩვენი რწმენისა და ცოდნის, თუნდაც ღვთის თაყვანისცემის შესაბამისად, რამდენადაც ჩვენი საქმეების, ღვთივსათნო საქმეების შესაბამისად, უფრო სწორად იმის მიხედვით, როგორ წარმოვაჩინეთ ჩვენი რწმენა საქმით.

„33. და დაადგინეს ცხოვარნი მარჯვენით მისა და თიკანნი - მარცხენით.

34. მაშინ ჰრქუას მეუფემან მარჯვენითთა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამისით სოფლისაით.

35. რამეთუ მშიოდა და მეცით ჭამადი; მწყუროდა და მასუით მე; უცხო ვიყავი და შემიწყნარეთ მე;

36. შიშველი ვიყავ და შემმოსეთ მე; სნეული ვიყავ და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა.

40. რაოდენი უყავით ერთსა ამათ მცირეთაგანსა ჩემთასა, იგი მე მიყავთ (მათე, 25)“

აქედან ვასკვნით: იმისთვის, რომ იმ ქვეყანაში მარჯვნივ აღმოვჩნდეთ, ამ ქვეყანაში „მარცხნივ“ უნდა დავდგეთ, რადგან ჩვენი გაგებით ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი ზემოთხსენებული სიკეთეების მრავალთათვის საკეთებლად სწორედ პოლიტიკაა. ისეთი პოლიტიკა, რომლის იდეოლოგიური პრინციპები თანხვედრაშია ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან. რომელია ასეთი პოლიტიკური იდეოლოგია? რა თქმა უნდა, სოციალისტური (სოცდემოკრატიული), რომელიც ჩვენი გაგებით არა უბრალოდ ემთხვევა ქრისტიანულს, არამედ სწორედ ქრისტიანული მსოფლმხედველობის წიაღიდან იშვა.

შევხედოთ თუნდაც ჩვენი პარტიის უმთავრეს სლოგანს: „თანასწორობა, სოლიდარობა, განვითარება“.

თანასწორობა. განა ვინმემ არ იცის, რომ „ღვთის წინაშე ყველა თანასწორია“, „ყველას უკლებლივ თანასწორად მოეკითხება“ და რომ „ღმერთი სამართლიანია“...? პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში პირდაპირ გვეუბნება:

„13. ისე ნუკი იქნება, რომ სხვებს ლხინი - თქვენ ჭირი, არამედ თანასწორობით იყოს.

14. არამედ თქვენმა ნამეტმა შეავსოს მათი ნაკლულება, შემდეგ კი თქვენი ნაკლულება შეივსოს მათი ნამეტით, რათა არ დაირღვეს თანასწორობა“ [პროპორციული გადასახადები?] (პავლეს მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ), და კიდევ - „ღმერთთან არ არის მიკერძოება“ (პავლე, რომაელთა მიმართ ეპისტოლე).

განა ***სოლიდარობა*** მოყვასის სიყვარული და თანადგომა არ არის? იგივე პავლე მოგვიწოდებს: „ურთიერთის სიმძიმე იტვირთეთ და ისე აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“.

განვითარება. ქრისტიანის მთელი ცხოვრება და ძალისხმევა თვითშეცნობისა და სულიერი სრულყოფის განვითარებისკენ არის მიმართული. „იყავით სრული, ვითარცა მამაი თქვენი სრული არს“. განა სულიერი სრულყოფა-განვითარება ხელს არ უწყობს (იქნებ საფუძველიცაა) საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება-განვითარებას? ქრისტიანობა არ არის არც მატერიალური პროგრესის - სიმდიდრის წინააღმდეგი - იგი წინააღმდეგია მხოლოდ სიმდიდრის თუ მეცნიერული მიღწევების არასწორი გამოყენებისა, მისი გაფეტიშებისა და საშუალებების მიზნად გადაქცევისა.

განვითარების იდეალი ქრისტიანისთვის ხომ სამოთხეა, ღვთის ნების განხორციელებაა ამ ქვეყანაშიც: „იყავნ ნება ღვთისა ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“.

მაშ რატომ არ არის ქრისტიანის ადგილი პოლიტიკაში? განა პოლიტიკა ამდენად „ბინძურია“ თავისი მოწოდებით, როგორც ამას ბევრი ქრისტიანი ფიქრობს? ან რატომ არის შეუძლებელი პარტიის სეკულარულ წევრებთან თანამშრომლობა ჩვენი საერთო მიზნების მისაღწევად? იქნებ განსხვავებული მოტივაციები გვამოძრავებს? ან იდენტობის გასხვავებული განცდა გვაქვს? ცოდნისა და რწმენის შეუთავსებლობაა?

განა მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ყველაფერში ეთანხმება ერთმანეთს? პოსტსეკულარული თანაცხოვრება ჩვენთვის გამოწვევაა, და ჩვენც უნდა ვუპასუხოთ ამ ახალ გამოწვევებს. პოლიტიკური ნების სწორად ფორმირება მხოლოდ დიალოგით, თანამშრომლობით, ურთიერთგაგებით მიიღწევა. ვიყოთ გახსნილები, გულწრფელები და ნუ შეგვეშინდება პოლიფონიის - ეს ჩვენთვის უცხო არ არის! პოლიფონია ხომ ჩვენი ღირებულებაა.

ღმერთი შეგვეწევა!

P.S.

რაც შეეხება ჩვენს მლანძღველებს (და არა კრიტიკოსებს) - ჩვენ აქ მშვიდად ვართ, რადგან უფალი ბრძანებს: „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გდევნიდნენ და გყვედრიდნენ, და თქვან ყოველი სიტყვა ბოროტი ჩემდა მომართ სიცრუით თქვენთვის.გიხაროდენ და მხიარული იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდი არს ცათა შინა“ (მათე, მე-9 ნეტარება).

დავით ადეიშვილი

ქრისტიან-სოციალისტთა განცხადება

ქრისტიან-სოციალისტთა ჯგუფი მიესალმება და მხარს უჭერს საქართველოს კათალიკოს–პატრიარქის ილია მეორის ინიციატივას სამრევლოებთან მცირე მეურნეობების შექმნას, გამოთქმულს კონფერენციაზე „ეკლესია და ეკონომიკა“.

ასეთი მეურნეობების შექმნა მრავალმხრივ სასიკეთო საქმეა. იგი ხელს შეუწყობს, როგორც სიღარიბის დაძლევას, დასაქმებას, ეკონომიკურად უსაფრთხო პროდუქტის წარმოებასა და მიწის სწორად გამოყენებას, ასევე ჯანსაღი სოციალური კოლექტივების (თემების) ჩამოყალიბებას და კოოპერატიული მოძრაობის დაწყებას, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ამ პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ქვეყნის „სხვა განვითარების“ სტრატეგიის „ქვემოდან“ დაწყებას.

„სხვა განვითარების“ ნიშნებად ჩვენ გვესახება – ადამიანურ საჭიროებებზე ორიენტირებულობა (როგორც მატერიალური, ისე არა-მატერიალური); ენდოგენურობა (საზოგადოების შიგნიდან წარმომავლობა) და სოლიდარულობა; თვითდაყრდნობა და თვითკმარობა (უპირატესად საკუთარ რესურსებზე ორიენტირებულობა); ეკოლოგიური სიჯანსაღე (მდგრადობა); სტრუქტურულ ტრანსფორმაციებზე დაფუძნება.

ქრისტიან სოციალისტები და მთლიანად სოციალ–დემოკრატები მხარს ვუჭერთ პატრიარქის მეტად აქტუალურ ქადაგებებს და სტრატეგიულ სოციალ–ეკონომიკურ ინიციატივებსა თუ წამოწყებებს და მზადყოფნას გამოვთქვამთ, აქტიურად ჩავერთოთ შესაბამის პროექტებში, როგორც კონცეპტუალურ ისე პრაქტიკულ დონეზე.

აგვისტო, 2011 წელი

სიტყვა სატელევიზიო გადაცემისათვის „თავისუფალი ტრიბუნა“

აგვისტო, 2011 წ

მსოფლიოს ბევრ სოციალისტურ და მემარცხენე ტიპის პარტიაში მიღებული პრაქიკაა და ჩვენს პარტიაშიც ყალიბდება ქრისტიანული ფრთა, რომელიც ეფუძნება ქრისტიანულ–სოციალისტურ პოლიტიკურ მრწამსს, კრედოს.

ცნობილია, რომ სოციალისტური იდეოლოგიის ისეთი ფუნდამენტური ღირებულებები, როგორებიცაა–თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა – სათავეს იღებს სწორედ ქრისტიანული მოძღვრებიდან(თუმცა მათი ინტერპრეტაცია ხშირად განსხვავებულია).

ქრისტიანულ–სოციალისტური პოლიტიკური მიმართულება ისახება მე–19 საუკუნის 50–იან წლებში, პრაქტიკულად სოციალ დემოკრატიის თანადროულად.

ქრისტიანები არა მხოლოდ რწმენით, არამედ საქმითაც, მოქმედებითაც უნდა ცდილობდნენ შესაბამისი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ამისთვის კი ერთ–ერთი ყველაზე ეფექტური იარაღი სწორედ პოლიტიკაა, რომლის მეშვეობითაც უნდა გატარდეს ცხოვრებაში ზემოთქმული პრინციპები.

მოარული აზრია, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, და იქ ქრისტიანებს არაფერი ესაქმებათ. ეს მცდარი შეხედულებაა. თავისი არსით პოლიტიკოსი ხომ ხალხის რჩეული და მისი მოსამსახურეა, მაშ, ქრისტიანი მსახური რატომ უნდა იყოს ცუდი მსახური, ცუდი პოლიტიკოსი?

ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ბევრი წმინდანი – დიდი პოლიტიკური გავლენის მქონენი, წმინდანი მეფეები... მორწმუნე ქრისტიანები, მრევლი უნდა ჩაებას პოლიტიკაში, თუნდაც იმიტომ, რომ ეს სფერო უფრო სუფთა და კეთილშობილი გახდეს.

უფრო კონკრეტულები რომ ვიყოთ, ჩვენ მივესალმებით პატრიარქის სოციალურ – ეკონომიკური ხასიათის არაერთ ინიციატივას. კერძოდ, ამასწინათ გამოთქმულ ინიციატივას კონფერენციაზე – „ეკლესია და ეკონომიკა“. იგი თანხვედრაშია ჩვენს შეხედულებებთან ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების შესახებ, კერძოდ, კოოპერაციის მიმართულებით, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ეს მრავალმხრივ სასიკეთო საქმეა: სიღატაკის დაძლევა, დასაქმება, მიწის სწორად გამოყენება, სუფთა პროდუქტების წარმოება, ჯანსაღი სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბება...ჩვენ მზად ვართ, ჩვენი რესურსებით ჩავერთოთ სამრევლო მეურნეობების მშენებლობის ამ მეტად აქტუალური პროექტის შემუშავებაში.

დავით ადეიშვილი

ქრისტიანული ეკოსოციალიზმი

სტატია გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში http://european.ge, მარტი, 2012

ევროპელი სოციალ-დემოკრატებისა და მწვანეების შეხედულებების მნიშვნელოვანი თანხვედრა და მათი თანამშრომლობა კარგად არის ცნობილი.

როგორია ქრისტიან-სოციალისტების ხედვა დღეისთვის ესოდენ აქტუალურ ეკოლოგიურ საკითხებზე, კრიზისის მიზეზებზე, პრობლემების გადაწყვეტაზე? პირველ რიგში, შევეცადოთ, გავარკვიოთ, როგორია ბუნების, გარემოს ქრისტიანული აღქმა და როგორია ბუნების ქრისტიანული თეოლოგია.

გასული საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა აზრი, რომ თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისის ისტორიული საფუძვლები სწორედ ქრისტიანობაშია (რასაც, გარკვეულწილად, იზიარებენ დასავლელი მწვანეებიც). ამ შეხედულების საფუძვლები მომდინარეობს ბიბლიის ინტერპრეტაციიდან, ქრისტიანობის დასავლეთევროპული ტრადიციებიდან გამომდინარე. კერძოდ, ამაში გულისხმობენ ძირითადად სამ იდეას:

პირველი: კაცი უნდა ბატონობდეს (უნდა იყოს დომინანტი) დანარჩენ შექმნილზე, რომ ყველაფერი ადამიანისთვის და მის მიერ სარგებლობისთვის, მოხმარებისთვის არის შექმნილი (დაბ.: თავები 1, 2);

მეორე: ბუნება დაცლილია ყოველგვარი მისტიკურისა და წმინდისაგან, რომ მას გამოცლილი აქვს საკრალური ბუნება/ხასიათი და მიღებული აქვს დემონური. ღმერთი ტრანსცენდენტულია - გამოყოფილია მისი შექმნილი სამყაროდან და არ ერევა მის არაჰუმანურ ელემენტებში.

მესამე: ბუნების სამყარო - ეს სიბნელის, ქაოსისა და პროფანაციის (ამ შემთხვევაში - გაუწმინდურების) სფეროა, რაც გამომდინარეობს ტრადიციული დუალისტური განსხვავებებიდან მატერიასა და სულს შორის, აგრეთვე ცოდვით დაცემის სპეციფიკური დოქტრინიდან.

დაცემამ წაახდინა ურთიერთობა არა მხოლოდ კაცსა და ღმერთს შორის, არამედ კაცსა და დანარჩენ შექმნილს შორისაც. როცა კაცი დაშორდა მის შემქმნელს, ყოველივე შექმნილიც დაიწყევლა („წყეული იყოს მიწა შენი საქმეებით“ იხ. შექმნა: 3, 17-18) და იქცა მის მტრად და მოწინააღმდეგედ.

სწორედ ასეთმა აზროვნებამ გამოიწვია მტრული, მომხმარებლური, ექსპლუატაციური დამოკიდებულება ბუნებისადმი და მიგვიყვანა ეკოლოგიურ კრიზისამდე.

თანამედროვე თეოლოგების აზრით, მოხდა ბიბლიური ტექსტის თავდაპირველი მნიშვნელობის, მისი შეტყობინების დამახინჯება. სინამდვილეში კი ქრისტიანობა ყველაზე მეტად - სხვა რელიგიებს შორის - წუხს და ზრუნავს ადამიანურ და არაადამიანურ ქმნილებებზე. მხოლოდ ის ლაპარაკობს, რომ ღმერთი არის განსხეულებული (ინკარნირებული) ფიზიკურ მატერიაში და გზავნის თავის ძეს, როგორც კოსმიურ ქრისტეს, რომელიც გამოისყიდის და აღადგენს მთელს სამყაროს მამის სიდიადეში. ბუნების ახალი თეოლოგია მოუწოდებს მიბრუნებისკენ თავდაპირველი გზავნილისაკენ ბიბლიაში და იმისკენ, რაც იქადაგებოდა ადრინდელ ეკლესიაში, რაც არის „ქმნილებაცენტრული“ სულიერება ძველი აღთქმისა და ადრინდელი მამებისა, საპირისპიროდ დასავლური, ანთროპოცენტრული ტრადიციისა(5).

ამ გაგებით, ღმერთმა, შექმნა რა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად, დაადგინა იგი თავის წარმომამადგენლად და მმართველად, გამცილებლად ყოველივე მისი შექმნილისა და არა მასზე მებატონედ. „დაბადების“ ახალ ქართულ თარგმანში ნახმარია სიტყვა *„მთავრობდეს“* - იხ.(2), 1:26; ბიბლიის 1989 წლის გამოცემაში ნახმარია სიტყვა *„პატრონობდეს“*, ხოლო ბიბლიის ახალ საერთაშორისო ვერსიაში – *„rule over“* (9). თეოლოგები ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ყოველი ქმნილება ღმერთმა ადამიანზე ადრე შექმნა და მოიწონა („კარგია ძლიერ“, შექმნა, 31). ჩვენი აზრით, აგრეთვე უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ „გამოსახა ღმერთმა კაცი მიწის მტვრისგან და შთაბერა მის პირს სიცოცხლის სული“ (შექმნა, 2:7) და „დაადგინა იგი შვების სამოთხეში მის *დასამუშავებლად და დასაცავად“* (შექმნა, 2:15). ჩნდება კითხვა: დასაცავად ვისგან? იქნებ თავად ადამიანისგან? ბიბლიის ახალ საერთაშორისო ვერსიაში ნახმარია სიტყვა take care - *მოსავლელად, საზრუნველად* (9). ბიბლიის ძველ აღთქმაში მრავლადაა ადგილები ყოველივე შექმნილის ღმერთთან ცოცხალ კავშირზე, მისდამი დაქვემდებარებაზე, მათ თავისთავად ღირებულებაზე, ყოველივეში ღვთის განგებულების არსებობის შესახებ. ამისთვის წინასწარმეტყველნი მთელ სამყაროს, ყოველივე შექმნილსა თუ დაბადებულს მოუწოდებენ ღვთისადმი ქების შესხმისაკენ (მაგ., იხ. ფსალმუნი 96, 103, 148; დანიელი, 59–81). „რამეთუ ყოველივე შეიქმნა მის სადიდებლად და ჩუენისა სახმარებისათვის“ (იოანე ოქროპირი).

პავლე მოციქული ამბობს: „ქრისტე ყველაფერია და ის ყველაფერშია“ (კოლ., 3:11) ანუ, ღვთისმეტყველთა განმარტებით, ღმერთი სამყაროს მიმართ ერთდროულად ტრანსცენდენტულიც (მიღმური) არის და იმანენტურიც (შინაგანი). ღმერთი მუდმივად აქტიურია ბუნების სივრცეში

- მუდმივად ქმნის ახალ სიცოცხლეს და ინარჩუნებს მასში ყოფნას. თანამედროვე ბიოლოგია ადგენს ღრმა ერთიანობასა და ჰარმონიას ყველა არსების ძირებში. ამავე დროს კვანტურმა ფიზიკამ გამოამუღავნა, რომ სამყარო უფრო თავისუფალი და გახსნილია, ვიდრე დეტერმინისტული მანქანა, დახატული ნიუტონის მიერ - ღმერთი აღარ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც განშორებული მესაათე ცაში, რომელმაც დაქოქა მექანიზმი და უყურებს შორიდან. თანამედროვე მეცნიერება ქმნის სახეს შემქმნელისა და შემკავებლის, რომელიც მუდმივად აქტიურია ქვეყანაზე და რომელიც მუდმივად სთავაზობს ახალ შესაძლებლობებს მისი შექმნილის ყველა ნაწილს (5). ეპისკოპოსი კალისტე კი ამბობს: „მართებულია იმაზე საუბარი, რომ ღმერთი სამყაროს შექმნის პროცესშია, ხოლო ჩვენ ვმონაწილეობთ ამ პროცესში აქ და ახლა, ამ წუთას და ყოველთვის“.(4)

დასავლური ქრისტიანობის წიაღში „აღმოსავლურად“ წოდებული, ანუ ორთოდოქსული, მართლმადიდებლური ტრადიციით, ქრისტე ყოველთვის განიხილებოდა კოსმიური ცნებით, რომელმაც თავისი ცხოვრებით, ჯვარცმითა და აღდგომით განწმინდა მთელი მატერიალური სამყარო და აჰყავს მთელი შექმნილი ღმერთთან.

როგორც სახარებიდან ვიცით, ქრისტეს ჰქონდა კომუნიკაციის უნიკალური უნარი და ძალა არაადამიანურ სამყაროსთან – ცხოველებთან, მცენარეებთან, ქართან, ტალღებთან... ქრისტე სრულ ჰარმონიაშია ბუნებასთან, მისი სიკვდილის დროს მიწა იძრა და მზე დაბნელდა. ქრისტეს მნიშვნელობა, როგორც მეორე ადამისა, არის არა მხოლოდ ადამიანთა მოდგმის სრულყოფა, არამედ ჰარმონიის აღდგენა ადამიანებსა და ბუნებას შორის და მთელი შექმნილის აყვანა ღმერთამდე. მისი მისია არის არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ უნივერსალური (5). უფალი ბრძანებს: „მე ვარ ანი და ჰოე, დასაბამი და დასასრული“ (გამოცხ.21,6). როგორც დიდი ფრანგი თეოლოგი შარდენი განმარტავს, არსებობს წერტილი ომეგა, რომლისკენაც ყველა საგანი მიისწრაფვის და რომელშიც ყველა ერთიანდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რას გვთავაზობს ქრისტიანობა? როგორი უნდა იყოს სწორი ურთიერთობა ადამიანსა და დანარჩენ ქმნილებებს შორის? როგორც ვნახეთ, ადამიანს ღმერთის მიერ მინიჭებული აქვს ნათელი თანამისია, „ფლობდეს“ და „იცავდეს“ („უვლიდეს“) დანარჩენ ქმნილებებს. „ადამიანს იმიტომ მიენიჭა ეს უპირატესობა, რომ იგი ღვთის ხატის მიხედვითაა შექმნილი. ამდენად, ადამიანის დიდამიწაზე ბატონობა ქრისტეს მორჩილების ფონზე უნდა

გავიაზროთ... რადგანაც ძე ღვთისამ საკუთარი ძალა განახორციელა კენოზისის [საკუთარითავისშეგნებულიდამდაბლება დ. ა.] გზით, თავის „წარმოცალიერებით“, სიკვდილისა და ჯვრის მიღებით (ფილიპ. 2:7-8), ბუნებაზე ჩვენს „ბატონობასაც“ კენოზისური ხასიათი უნდა ჰქონდეს: თავ-მდაბლური, თანაგრძნობითი, მსხვერპლად მიტანილი“.(4)

შეწირვის პრინციპი არის ფუნდამენტური ადამიანური და არაადამიანური სიცოცხლისთვის. ევქარისტული ზეიმით ჩვენ ვუკავშირებთ ჩვენს თავს მისტიკურ შეწირვას, რაც ქრისტემ გააკეთა მთელი მსოფლიოსთვის. ამასთან, „ადამიანი ღმერთს უბრუნებს სამყაროს არა იმავე სახით, როგორითაც იგი მას მიეცა, არამედ შრომის შედეგად გარდაქმნილს. ევქარისტიის დროს ადამიანი ღმერთს სთავაზობს დედამიწის ნაყოფს არა პირველადი სახით, ვთქვათ, ხორბლის მარცვალსა და ყურძნის მტევანს, არამედ პურსა და ღვინოს“ (4). კაცის წინაშე მდგარი ამოცანის სირთულე და მისი პასუხისმგებლობაც სწორედ ამაშია - „ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი, რომელსაც არჩევანის თავისუფლება აქვს მინიჭებული, უზარმაზარი საფრთხის წინაშეა, მას შეუძლია შემოქმედებითი ძალის გამოყენება როგორც სასიკეთოდ, ასევე საზიანოდ: მას შეუძლია, ერთის მხრივ, სამყაროში სინათლე შემოიტანოს და გარდაქმნას იგი, ხოლო, მეორეს მხრივ, დაანგრიოს“ . (4)

ჩვენ გვწამს, რომ მოხდება ამქვეყნიური არასრულყოფილების დასრულება საყოველთაო აღდგომით (ხელახლა დაბადებით ახალ სამოთხეში, როცა ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ ახალი ცა და ახალი დედამიწა შეიქმნება (Толковая Библия, т. 3, Стокгольм, 1987, 3). მანამდე კი გვჯერა, რომ ჩვენი და ბუნების გადარჩენა ფრუსტრაციასა და წამებისგან მჭიდრო ურთიერთკავშირშია, რომ ღმერთი სწუხს მთელს მის შექმნილზე და გვიხმობს, ჩვენც გავიზაროთ ეს წუხილი.

უფრო პრაქტიკულად რომ ვილაპარაკოთ - ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ღვთის წინაშე, თუ როგორ ვუძღვებით ქვეყანას, ვიდრე ამ ქვეყნად ვართ.

უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გონიერმა მსოფლიომ გაიაზრა, რომ აუცილებელია ბუნებაზე ბატონობის, მასზე დომინირების კონცეპტი შეიცვალოს მისი დაცვისა და გაძღოლის კონცეპტით. ეს გამოხატულებას ჰპოვებს სხვადასხვა მეცნიერულ-ეკოლოგიურ მიმართულებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებში. ეკოლოგიური პრობ-ლემატიკა უაქტუალურესია როგორც სამთავრობო პოლიტიკების, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო დონეებზე.

მიუხედავად ამისა, ეკოლოგიური კრიზისი არათუ არ არის დაძლეული,

ის თანდათან უფრო ღრმავდება. ჩვენ ვიზიარებთ აზრს, რომ ამის მნიშვნელოვანი მიზეზი არის ახლანდელი მიდგომების სეკულარული ანთროპოცენტრული სტერილურობა.

„მწვანე კონსიუმერისტები“, „ტექნოკრატიული ენვირომენტალისტები“, „მეინსტრიმული ეკონომისტები“ იმედს ამყარებენ ტექნოლოგიების განვითარებაზე, ენერგოეფექტურობაზე თანამედროვე საბაზრო-კაპიტალისტური სისტემის პირობებში. ისინი უგულებელყოფენ ფუნდამენტურ წარმოებით და საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათს („წარმოებისა და მოგების ღმერთები“, „მომხმარებლური საზოგადოება“). ამასთან, არის მიდგომები, რომლებიც უფრო ღრმად აცნობიერებენ პრობლემას და ესმით ეკოლოგიური და სოციალური კრიზისების ღრმა ურთიერთკავშირი. ისინი მდგომარეობას ახასიათებენ ისეთი ტერმინებით და ფრაზებით, როგორებიც არის: „შეუკავებელი ინდუსტრიალიზაცია“; „სოციალური კრიზისი - იმპერიალიზმის ფორმა - სახელად გლობალიზაცია“; „მსოფლიო კაპიტალისტური ექსპანსია“; „რესურსების გაბაზრება“; „ადამიანი, როგორც მხოლოდ მუშა-ხელი ან გამოუსადეგარი და ხელისშემშლელი“; „კონსუმერიზმის მასობრივი კულტურა“; „დეპოლიტიზაცია“; „სიმდიდრესა და ძალაუფლების ფლობაში უთანაბრობის უპრეცედენტო გაზრდა“ და ა. შ. (6). მათი შეხედულებებით, პრობლემის გადაჭრის გზები უნდა ვეძებოთ ეკოსოციალისტურ და ეკოსოციალურ მიდგომებში - საზოგადოებრივ კონტროლში წარმოების საშუალებებზე, დემოკრატიულ დაგეგმვაში, ფასების რეგულირებაში სოციალურ-პოლიტიკურ-ეკოლოგიურო კრიტერიუმებით, „ცხოვრების სტრანდარტის“ შეცვალში „ცხოვრების წე-სით“, ნამდვილ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში, ორიენტირში ხარისხზე და არა რაოდენობაზე, პოლიტიკებში, რომლებიც შედეგად მოიტანს „შერჩევით ზრდას“ (მაგალითად, მზის ენერგეტიკა, ორგანულ საწვავზე მომუშავე საზოგადოებრივი ტრანსპორტი) და „შერჩევით ვარდნას“(მაგ. CO2-ის გამომყოფი სათბობის მოხმარება, გარკვეული ქიმიური წარმოებები).

ასეთ მექანიზმებს და პოლიტიკებს უხვად გვთავაზობენ „„მწვანე ეკონომისტები“, „ახალი ეკონომიკის“ („სასიცოცხლო ეკონომიკის“) მიმდევრები, „მწვანე ბიზნესის“ სპეციალისტები, ასეთ მიდგომებს იზიარებენ და გარკვეულ მხარდაჭრასაც პოულობენ მემარცხენე მწვანეთა პარტიები ევროპაში.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მისაღები და გასაზიარებელია ბევრი ზემოთ თქმული შეხედულება იხ. (7) და (8). თუმცა, ხშირად ეს არის გადარჩენის

მცდელობები მსხვერპლის გარეშე, ზოგჯერ რეალური ცვლილებების გარეშეც კი. **ამიტომ შედეგი ვერ იქნება არსებითი, თუ ადამიანი ვერ იპოვის ამქვეყნიური ცხოვრების უფრო სერიოზულ ღირებულებათა ერთობას და მათ პატივისცემას – შესაბამის ცხოვრების წესს და მეურნეობას.**

„ადამიანს მოეთხოვება თვითშეზღუდვა ბუნებრივი რესურსების მოხმარებაში, ცოდნა იმისა, თუ რა გვჭირდება, რა არის აუცილებელი და ამის გამიჯვნა იმისგან, რაც გვსურს. თვითუარყოფით, მარხვით, უარის თქმით ადამიანი სამყაროში თავის ჭეშმარიტ ადგილს მიაგნებს და ამით სამყაროს საკრალურ ძალას გამოააშკარავებს. ადამიანებმა არ უნდა დაივიწყონ „ზიარება და ასკეტური სულისკვეთება“, მადლიერების განცდა და არაეგოისტული სიყვარული... ჩვენს გარშემო არსებული ეკოლოგიური კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალი სიყვარული გახლავთ, რადგან ადამიანს იმის გადარჩენა შეუძლია, რაც უყვარს, ხოლო საკუთარი თავის გარკვეულწილად მსხვერპლად მიტანის გარეშე სიყვარული არ არსებობს“.(4)

ჩვენთვის, ქრისტიან-სოციალისტებისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია ზემოთ მოყვანილი ანალიზი და ქრისტიანული ხედვები პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის შემუშავებისთვის.

ლიტერატურა:

(1)ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1989

(2) წიგნი შექმნისა. ძველი აღთქმა. საქართველოს საპატრიარქო, 2006.

(3) ვახტანგ კობალაძე, „მართლმადიდებლობა და ეკოლოგია“

(4) ეპისკოპოსი კალისტე (უეარი), „მართლმადიდებლობა და ეკოლოგიური კრიზისი“

(5) Экосоциалистический Манифест,Свободное маркситское издательство.

(6) საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციისთვის, ავტორთა ჯგუფი, ჟურნალი „ეკონომისტი“ #12, 1992, #1, 1993

(7) მწვანე ეკონომიკური დოქტრინისთვის(თეზისები), გაზეთი „დედამიწა“, სექტემბერი, 1990, http://european.ge/208/

(8) The Holy Bible ,New International Vertion. International Bible Society, 1984

დავით ადეიშვილი

სტატია გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში
http://european.ge, მარტი, 2012

ქრისტიანულ-სოციალისტური მეტაეკონომიკა

როგორია ქრისტიანულ-სოციალისტური ეკონომიკური მოდელის წანამძღვრები – პრინციპები, ნორმები, ღირებულებები, როგორია ის მიღმური - არაეკონომიკური, რაც თვით ეკონომიკურ შინაარსსა და ბუნებას განსაზღვრავს, ანუ როგორია ქრისტიანულ-სოციალისტური მეტაეკონომიკა?

როგორც ცნობილია, ტერმინი *მეტაეკონომიკსი* პირველად ავსტრიელმა მათემატიკოსმა, გამოჩენილი ეკონომისტის შვილმა, კარლ მენგერმა გამოიყენა იმ ახალი ტიპის ეკონომიკის შექმნის აუცილებლობის გამოსახატავად, რომელშიც შესაბამისი პროცესები რაოდენობრივად ზუსტ მათემატიკურ ფორმულებში აისახებოდა და ამით ეკონომიკა მეცნიერულ ხასიათს შეიძენდა. შემდგომში ამ მიმართულებამ და გარკვეული დადებითი თუ უარყოფითი როლი ითამაშა ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, განვითარებაზე. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ამ ტერმინს ახალი შინაარსი შესძინა და მეცნიერულ მოხმარებაში შემოიტანა ფრიც შუმახერმა, ბესტსელერის „პატარა მშვენიერია“(1) ცნობილმა ავტორმა. ამუამად მეტაეკონომიკამ დამოუკიდებელი თეორიის შინაარსიც კი შეიძინა (2) .

შუმახერის განმარტებით, „იმდენად, რამდენადაც ეკონომიკური ეხება ადამიანს გარემოში, მეტაეკონომიკა მოიცავს ორ ნაწილს - ერთი ნაწილი ეხება კაცს, ხოლო მეორე ნაწილი შეეხება ბუნებას“. სხვა სიტყვებით, ეკონომიკურმა უნდა გამოიყვანოს თავისი მიზნები და ამოცანები ადამიანის ცოდნიდან, ხოლო მისი მეთოდოლოგიის დიდი ნაწილი - ბუნების ცოდნიდან. ეკონომიკსის დანიშნულება და დასკვნები იცვლება იმისდა მიხედვით, როგორია ადამიანისა და დედამიწაზე მისი დანიშნულების გაგება და როგორია ბუნებრივი გარემო. შუმახერი ასკვნის: „როგორც ვნახეთ, ეკონომიკური არის „გამოყვანილი“ მეცნიერება, რომელიც ინსტრუქციებს იღებს იქიდან, რასაც მე ვუწოდებ მეტაეკონომიკურს. როგორც კი იცვლება ინსტრუქციები, იცვლება ეკონომიკის შინაარსიც“. მაგალითად, თუ დასავლური მატერიალისტური მეტაეკონომიკური საფუძველი შეიცვლება ბუდისტური (ქრისტიანული, ისლამისტური) საფუძვლით, შესაბამისად შეიცვლება ეკონომიკაც.

დღეს მეტაეკონომიკური ესმით აგრეთვე, როგორც ეკონომიკური თეორია, რომელიც ადამიანს განიხილავს მოტივირებულად როგორც საკუთარი ინტერესებით (გამომდინარე მისი ეგოისტურ-ჰედონისტური ბუნებიდან), ასევე ემპათია-სიმპათიით (თანაგრძნობა-კეთილგანწყობით,

გამომდინარე სხვისი გაზიარებული ინტერესებიდან). ეს არის ეკონომიკური მიდგომა, რომელიც აფართოებს რაციონალურ არჩევანს, რომელიც ცხადად მოიცავს ეთიკურ და მორალურ სიკეთეებს, სიქველეებს - ასეთი არჩევანის რაციონალურ ფარგლებში. ურთიერთთავგანწირვის შესაძლებლობა კი, როგორც ორმხრივი სარგებლიანობისა და პოტენციური სინერგიზმის ნიშან-თვისება, ახალ მნიშვნელობას სძენს ეფექტიანობას; ეს არის შეცვლილი, ტრანსფორმირებული ეკონომიკური მიდგომა, აშენებული როგორც თერმოდინამიკის (ხომალდი - დედამიწა, ეკოსისტემა), ასევე ჰუმანისტურ პრინციპებზე (2).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქრისტიანულ-სოციალისტური მეტაეკონომიკა ჩვენ წარმოგვიდგენია, როგორც ერთობლიობა იმ ქრისტიანული, სოციალ-დემოკრატიული და ეკოლოგიური ნორმებისა, პრინციპებისა, რეგულატორებისა, შეზღუდვებისა, დაშვებებისა და მიზნებისა, რომელთა საფუძველზეც უნდა აიგოს ქრისტიანულ-სოციალისტური ეკონომიკური მოდელი. ამ ერთობლიობის საფუძვლად შეგვიძლია, მივიჩნიოთ სოციალ-დემოკრატიული (სოციალური – საბაზრო) მეტაეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც შეივსება ეკოლოგიური ნორმებითა და რეგულაციებით (ჩვენი ხედვა ამ ნაწილში იხ.(3)) და კიდევ უფრო დაკონკრეტდება ქრისტიანული პრინციპებით, ნორმებით, ტრადიციებითა და ინსტიტუციებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება ქრისტიანულ-სოციალისტური აზრით *შეზღუდული ბაზარი* - თავისუფალი ბაზრის საპირწონედ.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი, სადაც ზემოთ აღნიშნული პრინციპები ურთიერთთანხმობაშია:

სოციალისტური ეკონომიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაში რეალიზდეს ისეთი საბაზისო ღირებულებები, როგორებიც არის: თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა (თანასწორობა) და სოლიდარობა. მაგალითად, თავისუფლების პრინციპი განხორციელდეს ე. წ. *პოზიტიური სამოქალაქო უფლებების* გზით, რაც უკავშირდება თანასწორობასაც და სოლიდარობასაც. ეს პრინციპი ასევე მნიშვნელოვანია ქრისტიანობისთვისაც - „თანასწორობა ქრისტეში“, „მოყვასის სიყვარული“, „ურთიერთსიმძიმის ტვირთვა“ (თანაგრძნობა - გაზიარებული ინტერესი), რაც ამავე დროს, როგორც მტკიცდება, ეკონომიკურად ეფექტიანიც არის. ასევე, შრომის უფლება, რომელიც *გაეროს სოციალური კონვენციითაც* არის დაფუძნებული (1966, თავი 6), პოზიტიური სამოქალაქო უფლებაა, რისი განხორციელების მცდელობას სრული დასაქმების პოლიტიკა წარმოადგენს, მნიშვნელოვანი ქრისტიანული ღირებულებაა, რამდენადაც იგი ღვთისგან დადგენილი ნორმაა ჯერ კიდევ ადამის დაცემამდე და ათიდან ერთ-ერთი მცნებაცაა („ექვს დღეს იქმოდე“).

მომხმარებლური საზოგადოების (Consumer Society) ცხოვრების წესის შეცვლის აუცილებლობა განპირობებულია არა მხოლოდ რაციონალური, გარემოსდაცვითი (ანუ რესურსების შენარჩუნებისკენ მიმართული) მოსაზრებებით, არამედ ქრისტიანულ-მორალურ-სულიერი მოთხოვნილებებითაც, რაც ასახულია, მაგალითად, მარხვის ინსტიტუტში (თავშეკავება ნორმაა - ბევრის მოხმარება არ ნიშნავს კარგად ყოფნას). აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდა, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა კი არ არის თავისთავად მნიშვნელოვანი, აბსოლუტური პროგრესის კრიტერიუმი, არამედ მნიშვნელოვანია მისი სტრუქტურა, განაწილების ხარისხი, პროპორცია და განვითარების სხვა კრიტერიუმები (იხ. 3, 4, 5).

სოციალ-დემოკრატებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი პროგრესული გადასახადი და ბიუჯეტის განაწილების პრინციპები სრულ თანხმობაშია ქრისტიანულ სამართლიანობასთან, როგორც პავლე მოციქული გვიხსნის, „რათა არა იმისთვის, რომ სხვებს შვება ჰქონდეთ და თქვენ გაჭირვება, არამედ თანაბრობისთვის, ამჟამად თქვენი ნამეტი შეავსებს მათ ნაკლულობას, რათა მათმა ნამეტმაც შეავსოს თქვენი ნაკლულობა, რომ იყოს თანაბრობა“ (კორინთ. 8, 4).

მომავალში უფრო კონკრეტულად ვიმსჯელებთ იმ ეკონომიკურ ფორმებზე, ინსტიტუტებზე, მექანიზმებზე, რეგულაციებსა და ნორმებზე, რაც კიდევ უფრო ნათელს გახდის ქრისტიანულ-სოციალისტურ ეკონომიკურ ხედვას.

ლიტერატურა

(1) E. F. Scumacher. Small Is Beautiful. A Study of Economics As if People Mattered. Abacus. Copyright 1973. (ე.ფ. შუმახერი, პატარა მშვენიერია. ეკონომიკის სწავლება ისე, როგორც ეს ხალხისთვის არის მნიშვნელოვანი)

(2) http://agecon.unl.edu/metaeconomics
http://www.metaeconomics.co.uk/

(3) *ქრისტიანული ეკოსოციალიზმი , http://european.ge,*

(4) *ქრისტიან- სოციალისტთა საშობაო მიმართვა, 2011*

(5) საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციისთვის, ავტორთა ჯგუფი, ჟურნალი „ეკონომისტი“ #12, 1992; #1, 1993

დავით ადეიშვილი

სტატია გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში
http://european.ge, აპრილი, 2012

რა არის ქრისტიან-სოციალიზმი და ვინ არიან ქრისტიან-სოციალისტები?

„როცა ქრისტიანები ჩაერთვებიან სოციალურ რევოლუციაში – ის უძლეველი გახდება“

ჩე გევარა

ქრისტიანული სოციალიზმი ზოგადად შეიძლება განიმარტოს, როგორც ქრისტიანობის რელიგიურ–ეთიკური რწმენისა და სოციალიზმის ფუნდამენტური ღირებულებებისა და მიზნების ერთიანობა – კომბინაცია.

ქრისტიანულ–სოციალისტური მოძრაობა ევროპაში მე-19-ე საუკუნის შუახანებში ჩაისახა, რომელიც ცდილობდა ქრისტიანობის სოციალური პრინციპები გამოეყენებინა მოდერნულ ინდუსტრიულ ცხოვრებაში. ამ ტერმინით ქრისტიანი აქტივისტები მოუწოდებდნენ სოციალური და ეკონომიკურ–პოლიტიკური მოქმედებისკენ Laissez-faire („გაუშვი–აკეთოს“) პრინციპით მოქმედი ბაზრის ძალებისა და ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ კონკურენციული ინდივიდუალიზმი შეუთავსებელია ქრისტიანულ სულთან. ეს მოძრაობა მარქსამდე არსებობდა და მცირე თუ აქვს საერთო მარქსისტულ სოციალიზმთან.

ინგლისში, მე–19–ე საუკუნის 50–იან წლებში ჩარტისტული მოძრაობის წარუმატებლობის შემდეგ (1848), ფრედერიკ დენისინ მაურისი („ქრისტეს სამეფო“, 1838), ჩარლზ კინგსლი („ქრისტიან სოციალისტი“), ადინ ბალოუ („პრაქტიკული ქრისტიან–სოციალიზმი“), გამოვიდნენ ასპარეზზე ლოზუნგით “ქრისტეს მეუფება ინდუსტრიასა და ვაჭრობაზე“, ხოლო 80–90–იან წლებში ჩამოყალიბდა მრავალი ქრისტიან–სოციალისტური ორგანიზაცია. მაგალითად, ფაბიანური (Fabian–მომლოდინე) საზოგადოება (1884) მიზნად ისახავდა დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპების დანერგვას თანდათანობით, რეფორმისტული მეთოდებით და არა რევოლუციური გზით. ამ მოძრაობასთან ასოცირდება ცნობილი დრამატურგის *ბერნარდ შოუს* სახელი. მე–20 საუკუნის 60–იან წლებში კი დიდ ბრიტანეთში დაიწყო ქრისტიან–სოციალისტური მოძრაობის ახალი ტალღა, რომელიც ორგანიზაციულად ძირითადად ლეიბორისტულ პარტიასთან იყო და არის აფილირებული.

საფრანგეთში ქრისტიანული სოციალიზმის მამამთავრად ითვლება ჩვენთვის კარგად ცნობილი უტოპისტი ანრი სენ-სიმონი, რომელმაც გამოაცხადა „ახალი ქრისტიანობა“, როგორც ღარიბებზე მზრუნ-

ველი. მისი შეხედულებით, სოციალური განვითარება დაკავშირებულია გაერთიანების სულთან, რომელმაც უნდა სძლიოს ეგოიზმის და ანტაგონიზმის სულს საზოგადოებაში. მე–19–ე საუკუნის 40–იან წლებში საფრანგეთში *ლამენეს* „კათოლიკური სოციალიზმის“ იდეებმა დიდი გავლენა მოახდინეს მაშინდელ სულიერ და სოციალურ ცხოვრებაზე. მეოცე საუკუნეში კი ქრისტიან-სოციალისტური დაჯგუფებები შეუერთდნენ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას.

ქრისტიანულ–სოციალისტური მოძრაობა სხვადასხვა ფორმით არსებობდა აგრეთვე გერმანიასა და აშშ–ში. *აშშ–ში ჰენრი ჯეიმსი* ამტკიცებდა ქრისტიანობისა და სოციალიზმის იგივეობას (1948). ქრისტიან–სოციალისტთა საზოგადოება კი ჩამოყალიბდა 1989 წელს. ფრანკლინ *სპენსერ სპალდინგი* (იუტას შტატი) კი ქადაგებდა კოოპერაციას კონკურენციის ნაცვლად. საუკუნის დასაწყისში აშშ–ში ჩაისახა მოძრაობა „სოციალური სახარება“ (social gospel), რომელიც ხაზს უსვამდა გადარჩენის სოციალურ ასპექტებს. ამჟამად აშშ–ში ფუნქციონირებს „ქრისტიანულ–სოციალისტური პარტია“.

გერმანიაში მე-19-ე საუკუნის ბოლოს ადოლფ სტიკერმა დააფუძნა „ქრისტიანული სოციალური მუშათა პარტია“. ამჟამად კი გერმანიის სოციალ–დემოკრატიულ პარტიაში (SPD) ორგანიზებულია ქრისტიანთა ჯგუფი.

ლათინურ ამერიკაში 1960–იან წლებიდან აღმოცენდა განთავისუფლების თეოლოგია (liberation theology), რომელიც ცდილობდა მარქსიზმისა და ქრისტიანობის შეერთებას. ეს მიმდინარეობა დღესაც ძალზედ გავლენიანია მთელს ლათინურ ამერიკაში.

რუსეთში ქრისტიან სოციალისტად მიიჩნევენ *ლევ ტოლსტოის* – მწერალს, პაციფისტს, ანარქისტ–სოციალისტს; მამა სერგი ბულგაკოვს (1871–1944) – „ქრისტიანობა და სოციალიზმის“ ავტორს. ამჟამად ცნობილია ნ.ვ. სომინის იდეა – „მართლმადიდებლური სოციალიზმი როგორც რუსეთის მომავალი“(2010). სხვათა შორის, დოსტოევსკის ეკუთვნის გამონათქვამი: „მართლმადიდებლობა ჩვენი სოციალიზმია“.

საქართველოში კი არსებობს აზრი, რომ ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური შეხედულებები იყო ქრისტიანულ–სოციალისტური (იხ. გ. ყორანაშვილის „ილია ჭავჭავაძე“, 2010).

გარდა ზემოთაღნიშნულისა, ქრისტიან–სოციალისტებია აგრეთვე *კარლ ბარტი,* მეოცე საუკუნის დიდი შვეიცარიელი თეოლოგი; *კარლ პოლანი,* ავსტრო–უნგრელი ეკონომისტი („დიდი ტრანსფორმაცია“, 1944), *ჯ. კ როულინგი,* ბესტსელერ „ჰარი პოტერის“ ავტორი, *ბრაიან მური,*

2008 წლის აშშ პრეზიდენტობის კანდიდატი, *უგო ჩავესი,* ვენესუელის პრეზიდენტი, *კევინ რუდი,* ავსტრალიის ყოფილი პრემიერმინისტრი, *გორდონ ბრაუნი და ტონი ბლერი,* დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრები. აღსანიშნავია, რომ „ქრისტიან – სოციალისტურ მოძრაობას“ (CSM), რომელიც წარმოადგენს ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის აფილირებელ წევრ ორგანიზაციას, ამჟამად თემთა და ლორდთა პალატებში ჰყავს ორმოცზე მეტი წარმომადგენელი.

დღეს მსოფლიოს ბევრი ქრისტიანულ–სოციალისტური მოძრაობა და პოლიტიკური პარტია ერთიანდება „რელიგიურ სოციალისტთა საერთაშორისო ლიგაში“, რომელიც 21 ქვეყნიდან 200 000–ზე მეტ წევრს ითვლის.

აღსანიშნავია, რომ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ქრისტიან – სოციალისტური და ქრისტიანულ - სოციალური გაერთიანებები. ეს უკანასკნელნი ძირითადად მემარჯვენე ქრისტიან–დემოკრატიული ტიპის პოლიტიკური ორგანიზაციებია, უპირატესად - გერმანულენოვან სივრცეში.

დამოუკიდებელი ქრისტიან–სოციალისტური პარტიები დღეს სხვადასხვა სახელწოდებით ფუნქციონირებენ ნიდერლანდებში, შვეიცარიაში, ჩილეში, აშშ–ში, ბრაზილიაში, ვენესუელაში, ნორვეგია და სხვ. ხოლო დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, იტალიაში, შვეიცაში და სხვა ქვეყნებში ქრისტიან–სოციალისტური ორგანიზაციები არსებობენ მემარცხენე სოციალისტურ და სოციალ–დემოკრატიული ტიპის პარტიებთან.

საქართველოში ქრისტიან–სოციალისტების ჯგუფი წარმოადგენს პოლიტიკურ გაერთიანება „სოციალ–დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ ქრისტიანულ ფრთას. ქრისტიან–სოციალისტები უზრუნველყოფენ პარტიის პოზიციების ჩამოყალიბებისას გარკვეულ საკითხებზე, რათა გათვალისწინებულ იქნას მათი სპეციფიკური (სეკულა-რულისაგან განსხვავებული) ხედვები. მოძრაობის ერთ–ერთი მთავარი ამოცანაა ქრისტიანული მრევლის პოლიტიკური გააქტიურება, მათი ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში. მოძრაობის პოლიტიკური მრწამსი და ძირითადი საჯარო განცხადებები შეგიძლიათ იხილოთ საიტზე www.sdd.ge / ჩვენს შესახებ/ ქრისტიან სოციალისტები.

დავით ადეიშვილი

სტატია გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში
http://european.ge, თებერვალი, 2012

ამ ტექსტის შექმნა - გამოქვეყნებითაც შევეცადე, შემეტანა ჩემი წვლილი 2012 წლის ოქტომბრის წინასაარჩევნო მართლა სახალხო კამპანიაში.

საქართველოს რესპუბლიკა, 5 სექტემბერი, 2012 წ

საარჩევნო სახელმძღვანელო ქრისტიანთათვის!

ქართველ ქრისტიან მრევლს ვთავაზობთ სწორი არჩევანისთვის უმნიშვნელოვანეს ზოგად საორიენტაციო ხედვებს და კრიტერიუმებს, რათა ხმა მივცეთ იმ რეალურ პოლიტიკურ ძალას, რომელიც უფრო მეტად ეთანადება ჩვენს სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ მრწამსს.

ხელმწიფება - მთავრობის არსებობა - ღვთის მიერ არის დადგენილი და ადამიანთა თავისუფალი ნებით ხორციელდება. ამიტომაც ეკლესია ლოცულობს ქრისტესმოყვარე მთავრობისა და მხედრობისათვის.

ყველას ჩვენი წილი მოვალეობა და პასუხისმგებლობა გვაქვს სამშობლოს (სახელმწიფოს) და მოყვასის წინაშე, რასაც ჩვენი პოლიტიკური **არჩევანიც** განაპირობებს.

ჭეშმარიტმა ქრისტიანმა კარგად უწყის, რომ რწმენა შესაბამისი ქმედებით, საქმით უნდა იქნას დამტკიცებული. ამიტომ არ უნდა ვიყოთ პასიური დამკვირვებლები ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პროცესებისა. ქრისტიანის მოქალაქეობრივი ვალია, არა მხოლოდ სწორი არჩევანი გააკეთოს, არამედ თავისი უნარის შესაბამისად სასიკეთო ზემოქმედება მოახდინოს სხვებზე და თვითონაც გახდეს აქტიური პოლიტიკური სუბიექტი.

კანონს და ხელისუფლებას იქამდე უნდა ვეთანხმებოდეთ და ვემორჩილებოდეთ, ვიდრე ისინი სამართლიანობას იცავენ, ხოლო უსამართლო-ღვთისთვის არასათნო, არაბუნებრივ კანონებს და ქმედებებს კი ვამხელდეთ და ვაპროტესტესტებდეთ.

„უკეთუ ხელმწიფე [ხელისუფალი] უმსჯავრო და უსამართლო იყოს, ესე არა ღმრთისა მიერ არს არამედ თავისა თვისისა დასასჯელად აღსდგების“ („მცირე სჯულის კანონი“).

ადამიანები თავისუფალი უნდა იყვნენ თავიანთი შეხედულებების გამოხატვაში და არ ეშინოდეთ ხელისუფლების მიერ დევნისა და დასჯის სიმართლისათვის.

ყველა საშინაო თუ საგარეო პრობლემის მშვიდობიანი, არაძალადობრივი გზით გადაჭრა არის ქრისტიანთათვის მისაღები და მოსაწონი.

ადამიანს სახელმწიფოს მეშვეობით უნდა მიეცეს ღვთივბოძებული **თავისუფლებისა და თანასწორობის** განხორციელების, თავისი **ნიჭის რეალიზების** შესაძლებლობა.

განათლება, ცოდნის მიღება და მისი ზრდა არის განვითარების გასაღები და უმთავრესი მამოძრავებელი ძალა. სახელმწიფოს მოვალეობაა, ხელმისაწვდომი გახადოს ხარისხიანი, საშუალო, უმაღლესი და უწყვეტი განათლება. მუდმივად ზრუნავდეს მეცნიერების განვითარებაზე.

ჯანმრთელობის დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჯანსაღი ბუნებრივი გარემო (ეკოლოგია) - ადამიანის სულიერი განვითარების საწინდარია. სახელმწიფოს როლი შეუცვლელია აღნიშნული პირობების შესაქმნელად.

შრომა ადამიანისთვის ღვთივდადგენილი ცხოვრების წესია, რომლის მიზანი მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა არ არის, ის ღირსეული სოციალური და სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელიცაა. შრომის უფლების განხორციელებისთვის ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

მიწა (მამული), ისევე როგორც მთლიანად ბუნება საკრალურია, ამიტომ ჩვენ მას არ ვუყურებთ როგორც მხოლოდ ეკონომიკურ რესურსს, თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანს. მიწა, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მიწები, უნდა გახდეს სახელმწიფოსათვის მოვლისა და რეგულირების უმნიშვნელოვანესი საგანი, ხოლო **სოფლის მეურნეობის** ხელშეწყობა მისი პოლიტიკის პრიორიტეტი.

სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ეროვნული **კულტურული მემკვიდ-რეობის** დაცვა-შენარჩუნებაზე. ჩვენი სულიერი და მატერიალური საგანძურისადმი არათუ უდიერი, არამედ გულგრილი დამოკიდებულებაც კი დაუშვებელია.

დედა-ენა, როგორც უფლისაგან ბოძებული საუნჯე და ერის იდენტობის უმნიშვნელოვანესი ნიშანი, ძვირფასია ჩვენთვის. მთავრობა ვალდებულია ზრუნავდეს სახელმწიფო ენის დაცვა-განვითარებაზე.

ვილოცოთ გაგვინათდეს გონების თვალი, რათა გავარჩიოთ კარგი და ცუდი:

- საღ არის სიმართლე და საღ სიცრუე
- საღ სამართლიანობა დ საღ უსამართლობა
- საღ სიმშვიდე და საღ მრისხანება
- საღ მშვიდობა და საღ ომი

- საღ თავისუფლება და საღ ტირანია
- საღ ხალხის ნება და საღ ძალადობა
- საღ სარწმუნოება და საღ ფარისევლობა
- საღ სიყვარული და საღ შური
- საღ სასოება და საღ უიმედობა
- საღ სიკეთე და საღ ბოროტება

ვილოცოთ, რათა ხელი მოემართოს ქვეყნისათვის კეთილის-მზრახველთ და კეთილისმყოფველთ.

ვილოცოთ სამართლიანი, მშვიდობიანი, სასიკეთო ცვლილებებისთვის!

2013

ამ ტექსტის შემოკლებული ვარიანტი წავიკითხე სოციალ-დემოკრატების ყრილობაზე პროფკავშირების სასახლეში, სრული ტექსტი კი ფეისბუქის „ქრისტიან-სოციალისტური მოძრაობის“ გვერდზე გამოვაქვეყნე. ყრილობაზე მოწვეული გვყავდა ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც გადავეცი ჩვენი წიგნაკი „ქრისტიან-სოციალისტთა პოლიტიკური მრწამსი“ და ჩვენ მიერ ახლად გამოცემული წიგნი ნოე რამიშვილის „დემოკრატიული სოციალიზმი“.

ქრისტიან-სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის

სიტყვა სოციალ-დემოკრატების მეორე ყრილობისთვის

ძვირფასო დელეგატებო!

პატივცემულო სტუმრებო!

მოგმართავთ როგორც პარტიის ქრისტიან-სოციალისტური ფრაქციის წარმომადგენელი. ჩვენი ფრაქცია ქრისტიან-სოციალისტური ჯგუფის სახით პარტიის დაარსებიდან მალევე შეიქმნა და წარმოადგენს მის ქრისტიანულ ფრთას.

ჩვენ არა მხოლოდ ვიზიარებთ, არამედ სხვებთან ერთად განვსაზღვრავთ პარტიის ძირითად კურსს, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ გვაქვს ჩვენი განსაკუთრებული, ზოგჯერ არსებითად განსხვავებული შეხედულებები მთელ რიგ საკითხებზე, განსაკუთრებით ჩვენი ცხოვრების წესზე, კულტურასა და ტრადიციებზე - აქ ჩვენ ნაკლებად პროგრესისტები ვართ და უფრო კონსერვატიულად გამოვიყურებით.

ჩვენი პოლიტიკური მრწამსის ძირეულ შეხედულებებს ბევრი თქვენგანი იცნობს, ან შეგიძლიათ, გაეცნოთ ამ ბროშურით [„ქრისტიან-სოციალისტთა პოლიტიკური მრწამსი“], რომლის სლოგანია:

ძმობა

სამართლიანობა

სრულყოფა.

ბუნებრივია, დღეს ჩვენ ვერ ვისაუბრებთ ქრისტიანული სოციალიზმის

თეორიულ თუ ისტორიულ საკითხებზე. ამის საშუალება დაინტერესებულებს სხვა დროს გვექნება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიზიარებთ პარტიის ხედვას იმაზე, რა სოციალურ-პოლიტიკურ გამოწვევებს გვიყენებს დღევანდელი რეალობა, ამასთან, ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ დღეს ქართველი ერის უპირველეს მატერიალურ პრობლემას მისი **სასიცოცხლო სივრცის კატასტროფული მასშტაბითა და ტემპით შემცირება** წარმოადგენს: ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია; უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო და სხვა დანიშნულების მიწების დასაკუთრება-დაუფლების ტენდენცია; საცხოვრებელი ბინების დაყადაღების არნახული მასშტაბები (70 ათასი თბილისში); უძრავი ქონებისა და ბიზნესის მითვისება-მონოპოლიზება ერთეულების ხელში; არასწორი ენერგეტიკული პოლიტიკის გამო ტერიტორიების დატბორვა, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში, ლანდშაფტის, მდინარეების ეკოლოგიის განადგურება; სხვა ურბანულ-ეკოლოგიური პრობლემები. ყოველივე ეს იწვევს გამოუსწორებელ სოციალურ და დემოგრაფიულ შედეგებს.

ეს პროცესები მძიმე სოციალურ - პოლიტიკურ ფონზე ვითარდება.

საქართველოში აღინიშნება:

სიღატაკისა და უთანაბრობის ყველაზე მაღალი დონე მეზობელ ქვეყნებს შორის, რაც ასევე ხდება საფუძველი ემიგრაციისა;

დაავადებათა მაღალი დონე, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მოშლილი სისტემა;

ხშირად არაადეკვატური და ძნელად ხელმისაწვდომი უმაღლესი და სპეციალური განათლება;

მეცნიერება-ინოვაციის თითქმის მთლიანად განადგურება;

ჯერ კიდევ არასტაბილური საშინაო და საგარეო პოლიტიკური გარემო.

ამ ფონზე სრულიად ლოგიკურია უმუშევრობა - ყველაზე დიდი წუხილი ჩვენი მოქალაქეებისა (თბილისში ყოველი მესამე შრომისუნარიანი უმუშევარია; ახალგაზრდებში (20-24წ) - 36,3%). უმუშევრობა კი საფუძველია პიროვნების დეგრადაციის, რადგან შრომა ღვთის მიერ დადგენილი ნორმაა, რომელიც უფალმა ადამიანს ჯერ კიდევ სამოთხიდან განდევნამდე დაუწესა, როგორც ცხოვრების წესი, როგორც წყარო კეთილდღეობისა და არა როგორც სასჯელი.

მდგომარეობის ასეთი ზოგადი დახასიათებაც ცხადყოფს, რომ ვითარება, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ, ურთულესია, და იგი მარტივი, ხანმოკლე ღონისძიებებით ვერ გამოსწორდება. არ უნდა გვქონდეს ცრუ მოლოდინი და იმედი ჩვენგან დამოუკიდებელი ძალებისა

(გარდა ღვთისა).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართული იდენტობის შენარჩუნებასა და განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სოფლის შენარჩუნებას - მისი ტრადიციული კულტურულ-რელიგიურ-სოციალური ღირებულებების შენახვა-განვითარებას. ამიტომ თვითმმართველობის რეფორმა, რომელზეც აქ ვრცლად ისაუბრეს, სასიცოცხლოდ აუცილებელია განხორციელდეს. ადგილობრივი არჩევნების კამპანიის დროს, რომლისთვის მზადებას ფაქტობრივად ჩვენ დღეიდან ვიწყებთ, აუცილებელია, ვიმუშაოთ ადგილობრივ მრევლთანაც, გავაცნოთ მათ ქრისტიან-სოციალისტთა შეხედულებები და მიდგომები.

ჩვენ, ქრისტიან-სოციალისტები, ვერ შემოვიფარგლებით მხოლოდ მატერიალური და ყოფითი პრობლემებით, რაც დღეს საქართველოს - ქართველი ერის სხეულს აწუხებს. **ჩვენთვის უპირატესი, ბუნებრივია, ადამიანის სულიერი მდგომარეობა და მისი პერსპექტივაა.**

„რაი სარგებელი ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს?“- ვკითხულობთ მათეს სახარებაში (16.24-16).

დღეს არა მხოლოდ საქართველოს - ქართველი ერის - სხეულია დაზიანებული და ხელყოფილი, არამედ მისი სულიც. ჩვენი ღრმა რწმენით, ერის გაჯანსაღება სწორედ სულიერი განკურნებით უნდა დაიწყოს.

უახლესი გამოკითხვებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც ინსტიტუტს უდიდესი ნდობა აქვს (95%, მარტი 2013, IRI), მაგრამ მიამიტნი ვიქნებოდით, თუ ვიფიქრებდით, რომ ხალხი იმ ღირებულებებით ცხოვრობს, რომლებსაც ეკლესია ქადაგებს. სიცრუე, სიყალბე, უსამართლობა, ამორალობა, გათითოკაცება, ძალადობა, სიხარბე, მომხვეჭველობა, ამბიციურობა, უსაქმურობა, უთანადგომობა, უთანაგრძნობობა - ზოგადად თანამედროვე და მათ შორის ჩვენი საზოგადოების გაბატონებული მანკიერებებია. სწორედ ამისაგან გვჭირდება განკურნება, რისი უნივერსალური წამალიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ღმერთთან დაახლოებაა.

ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით 17 მაისს და მასთან დაკავშირებულ ვნებათაღელვას. ჩვენი აღქმით, ეს იყო რეაქცია მცდელობაზე, დაერღვიათ საზღვარი ქართველი კაცის ზნეობრივ-კულტურული ტრადიციისა, ამ სივრცეში შემოჭრაზე (რაც, როგორც ვნახეთ, უფრო მტკივნეული აღმოჩნდა, ვიდრე ტერიტორიული საზღვრის დღევანდელი ხელყოფა). ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ შევეგუებით ასეთ ფსიქოლოგიურ ძალადობას ჩვენს ზნეობაზე და ვერ გავამართლებთ უზნეობის პროპაგანდას. **ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ უცოდველნი, მაგრამ კარგად ვიცით ცოდვიანობის,**

უზნეობის უკეთურება და ამის უგულებელყოფის დამღუპველობა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერც ვერანაირი ძალადობის მომხრე ვიქნებით, მით უმეტეს ფიზიკურის. უფრო მეტიც, „რომელი განურისხდეს ძმასათვის საცუდად, თანამდებარს სასჯელისა“ (ახალი აღთქმა), თუმცა მოვალენი ვართ მკვეთრად გავმიჯნოთ ცოდვა და სათნოება.

აქ ძალიან მნიშვნელოვანია, „არ დავბრკოლდეთ“, გავარჩიოთ, როგორც ბერდიაევი ამბობს, ქრისტიანობის ღირსება და ქრისტიანთა უღირსება. ეკლესია, როგორც ინსტიტუტი არ არის წმინდანთა და უმანკოთა კრებული, მაგრამ როგორც ქრისტეს მისტიური სხეული, შეუცვლელია, მარადიულია, წმინდა და უძლეველი. ამიტომ, ჩვენ ვერც ჰომოფობიას გავამართლებთ და ვერც ქლერჯიფობიას - სიძულვილს და შიშს სასულიერო პირებისადმი.

უნდა ითქვას, რომ **ოჯახი, ეკლესია და სახელმწიფო ეს ის ინსტიტუტებია, რომლებიც „მუდამ ჩვენთანაა“და მათი სიძლიერე და ჰარმონიული თანაარსებობა, როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების სრულყოფა-განვითარების საწინდარია.**

ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია გამოთქმული შიშები, თითქოსდა თეოკრატიული (კლერიკალური) ტენდენციების არსებობის გამო საქართველოში. ამის მომხრე თითქმის არავინ არაა თვით ეკლესიაში. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, ეკლესიის (როგორც ფიზიკური ინსტიტუტის) შესუსტება მისი სულიერი გაძლიერების საფუძველი გახდება.

ჩვენ ვერ ჩავერევით ეკლესიის საქმეებში, თუმცა მომხრე ვართ სახელმწიფო რეგულაციებისა - „ჩარევისა“ (სამართლებრივი გაგებით) - როგორც სოციალურ- ეკონომიკურ ცხოვრებაში - პროცესებში, ისე მის კულტურულ-ზნეობრივ ცხოვრებაშიც. ეს ოდითგანვე ასე იყო.

ადამიანი არ არის განუსაზღვრელად თავისუფალი თუნდაც იმიტომ, რომ მისთვის არავის უკითხავს ამ ქვეყნად მოსვლა და არც წასვლას არავინ ჰკითხავს. ამიტომ ადამიანი, რაღაც აზრით, ყოველთვის შეზღუდულია - არ არის უპასუხისმგებლოდ თავისუფალი. ადამიანი მუდმივად არჩევანის წინაშეა. ჩვენი მოვალეობა და ამოცანაა, არჩევანი გაკეთდეს კარგის, ნათელის, კეთილის, სასარგებლოს სასარგებლოდ!

ჩვენი დღევანდელი ლოზუნგია: **„მეტი ზნეობრიობა პოლიტიკაში, ნაკლები პოლიტიკა ეკლესიაში.“**

ჩვენ მივესალმებით, თუ პოლიტიკაში მოვა მეტი მორწმუნე ადამიანი, რითაც უფრო ზნეობრივი გახდება პოლიტიკა.

მოგიწოდებთ და გიწვევთ, გავაფართოოთ და გავააქტიუროთ ქრისტიან-სოციალისტური ფრთა ჩვენი პარტიისა -

ვიყოთ უფრო მეტი,
გავიგოთ უფრო მეტი,
ვიმსჯელოთ უფრო მეტი,
ვიმოქმედოთ და ვილოცოთ უფრო მეტი!
ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

დავით ადეიშვილი
5 ივნისი, 2013 წ.,
პროფკავშირების სასახლე, თბილისი

ქრისტიან-სოციალისტთა სააღდგომო და საშობაო გზავნილები

2011

2011 წლიდან მოყოლებული, ყოველ შობისა და აღდგომის წინა დღეს, ღამის 12 საათამდე, პატრიარქის ეპისტოლეს საზეიმო წირვაზე გაჟღერებამდე, fb-ში „ქრისტიან-სოციალისტური მოძრაობის“ გვერდის note-ებში ვაქვეყნებდი ქვემოთმოყვანილ ტექსტებს. ამ გზავნილების ქრონოლოგიურ ჭრილში შეხედვა საინტერესო უნდა იყოს. არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს გამყვება ასეთი მილოცვების შეთხზვის ნებისყოფა...

ქრისტიან-სოციალისტთა ჯგუფის სააღდგომო მიმართვა

ქართველ ქრისტიან-სოციალისტთა ჯგუფი მოგმართავთ ყველა ქრისტიან სოციალ-დემოკრატს, სოციალისტს და ყველას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქრისტეს მოძღვრება და მემარცხენე იდეოლოგია.

ქრისტეს აღდგომის მისტერია ჩვენ უდიდესი სიხარულით, სასოებითა და განახლების იმედით გვავსებს - სიკვდილი დათრგუნულია, გახსნილია მარადიული ცხოვნების კარი!

მაგრამ მორწმუნეებმა კარგად უწყიან, თუ რა „ვიწროა“ ამ კარამდე მისასვლელი გზა. სწორედ ამ გზის ღირსეული გავლა არის მიწიერი ცხოვრების მთავარი ამოცანა. როგორ ვიაროთ და როგორ გავუადვილოთ მოყვასს „სიძნელე გზისა“? აი, ქრისტიან სოციალისტების მთავარი საზრუნავი.

ჩვენ გვჯერა, რომ ეს შესაძლებელია, შესაძლებელია მრავალთათვის! ჩვენ გვაქვს რწმენა და ამბიცია იმისა, რომ შევძლებთ ბევრი ხელოვნურად შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ბარიერის მოხსნას ამ გზაზე.

განსაკუთრებით აუტანელია სიღატაკის მძვინვარება საქართველოში. აქ ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ მატერიალურ სიღატაკეს*, არამედ სულიერ სიღატაკესაც (რაც კიდევ უფრო პრობლემურია მდიდართათვის). ერთიც და მეორეც დამაბრკოლებელია განვითარების გზაზე და ვნებს

„ხორცსა, მერმე სულსა“.

ჩვენს საზოგადოებას აქვს იმის პოტენცია, რომ მეტად ვიტვირთოთ „ურთიერთას სიმძიმე“, გავხდეთ უფრო სოლიდარულები. დღეს საქართველო მსოფლიოში სოციალური უსამართლობის, მათ შორის უთანაბრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.**

როდესაც სიღატაკის დაძლევაზე ვსაუბრობთ, უმთავრეს პრიორიტეტად გვესახება მიწის, სოფლის მეურნეობისა და ქართული სოფლის საკითხი (დღეს სოფლად რეგისტრირებულია მოსახლეობის 50%-ზე მეტი). ეს პრობლემები გადაუდებელ ყურადღებას საჭიროებენ, რაზეც არაერთხელ ამახვილებდა ყურადღებას კათალიკოს პატრიარქი. ამ საკითხზე ჩვენი ხედვები გვაქვს სოციალ-დემოკრატებს (იხ.****)

საზოგადოების სოციალური და სულიერი სიჯანსაღისათვის უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორი სახალხო ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გამართული, თანამედროვე დონეზე ფუნქციონირებაა. დღეს საქართველოს ხელისუფლებისთვის, მიუხედავად რიტორიკისა, ეს სფეროები პრიორიტეტული არ არის - ამაზე მეტყველებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიც .****

ჩვენ აღარ შევჩერდებით საზოგადოების ისეთ სენზე, როგორიც არის უმუშევრობა*** (შრომა ხომ ღვთივდადგენილი ნორმაა ადამიანისათვის). უმუშევრობა არა მხოლოდ სოციალური, არამედ ბევრი ფსიქოლოგიური და სულიერი მანკიერების მიზეზიცაა (სოცდემოკრატების ხედვა იხ. ****).

როცა საზოგადოების სულიერ მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს იმ ფაქტის თვით სამღვდელოთაგან აღიარება, რომ დღეს საქართველოს მცხოვრებთა „უმრავლესობას ელემენტარული წარმოდგენაც არ გააჩნია ქრისტიანობის შესახებ. მიუხედავად ერის მრავალსაუკოვანი ქრისტიანული გამოცდილებისა, სამწუხაროდ, კვლავ დღის წესრიგშია ევანგელიზაცია“ (იხ. ჟურ. „საყდარი“ N1, 2002). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი დღესაც აქტუალურია.

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს აქვს პოტენცია, შექმნას ისეთი სახელმწიფო („კეთილდღეობის სახელმწიფო“), ჩამოაყალიბოს ისეთი საზოგადოება („კარგი საზოგადოება“), რომელშიც მხოლოდ ისტორიულ მეხსიერებაში დარჩება სიღატაკე... და არა მხოლოდ მატერიალური, რაც შედარებით ადვილი დასაძლევია. გაცილებით რთული პროცესია სულიერი სიღატაკის დაძლევა და „ახალი ადამიანის“ აღზრდა ჩვენში, რაც დაადასტურა ისტორიამ.

ჩვენ გვჯერა, რომ მხოლოდ რევოლუციით საკუთარ თავებში, ადამიანთა შეგნებაში არის შესაძლებელი „ძველი ადამიანის“ მოკვდინება

და ჭეშმარიტად ქრისტიანული მორალისა და ეთიკის დამკვიდრება, ანუ „ღვთის სუფევის“ დამყარება ჩვენში და ჩვენს შორის. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი „კარგი საზოგადოების“ ჩამოყალიბება და სვლა ნეტარი მარადიულობისკენ.

ჩვენ მოგიწოდებთ, შევუერთდეთ ქრისტიანთა მიერ ინიცირებულ მსოფლიო მოძრაობას „ვაქციოთ სიღატაკე ისტორიად!“

ავიღოთ ჩვენი წილი პოლიტიკური პასუხისმგებლობა და ღმერთი შეგვეწევა!

ქრისტე აღსდგა!

გიხაროდენ!

ქრისტეს აღდგომა, აპრილი, 2011.

---

* ოფიციალური მონაცემებით, აბსოლუტური სიღატაკის ზღვარს ქვემით ცხოვრობს მოსახლეობის თითქმის 14%. იხ. „საქართველოს სიღატაკის პროფილი“ , www.european.ge

** საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში შემოსავლების ყველაზე უთანაბრო განაწილებით გამოირჩევა (ჯინის კოეფიციენტი 0,5-ზე მეტია), ხოლო მოსახლეობის უმდიდრესი 10% მოიხმარს უღარიბეს 10%-ზე სულ ცოტა 17-ჯერ მეტს, ფულადი შემოსავლები კი 27-ჯერ მეტი აქვს („რაც მეტია უღმერთო სიმდიდრე, მით მეტია სიღატაკე“, ნიკოლოზ სერბი).

*** ბოლო გამოკითხვებით, თავს უმუშევრად მიიჩნევს თითქმის 70%.

**** „გამოწვევები საქართველოს განვითარებისათვის“, თბილისი, 2011)

ქრისტიან სოციალისტთა საშობაო მიმართვა

მოახლოვდა შობის დღესასწაული, და ყველა ქრისტიანის გულში ღვივდება სიხარული მაცხოვრის მოვლინებისა, შეგრძნება იმისა, რომ ღმერთი ჩვენთანაა და ჩვენშია, რომ ჩვენი ქრისტიანული გზა და არჩევანი ჭეშმარიტია.

გზა ხსნისა, რომელიც გვიჩვენა ორი ათასი წლის წინ განკაცებულმა ღმერთმა - მესიამ, არ შეცვლილა. საჭიროა მხოლოდ ამ ჭეშმარიტების ჩვენთვის აღმოჩენა და დღეისათვის მისადაგება. მხოლოდ ამ გზით, განახლებით ჩვენში, ჩვენს სულსა და შეგნებაში, სინამდვილის სწორი აღქმით და შეფასებით არის შესაძლებელი ცვლილებები ცხოვრებაში. რამდენადაც მოხდება გარდაქმნა ჩვენში, იმდენადვეა სასიკეთო ცვლილებებია შესაძლებელი საზოგადოებაში, პოლიტიკაში.

ამისათვის არ იქნება და არც არის საჭირო არანაირი ახალი მესია, ხოლო ის სურვილი განახლებისა, რომლის დაბადებაც ხალხის შეგნებაში მომწიფდება, აუცილებლად იშვება, მას ვერაფერი შეაჩერებს. ამაოა თანამედროვე ჰეროდეების მცდელობები, წინ აღუდგნენ ცვლილებებს. ისინი ყველანაირი ხერხებით ებრძვიან ხილულ „მესიებს“, მაგრამ ვერ ხვდებიან, რომ მათი მტერი ხელშეუხები და უძლეველია. ეს არის ხალხის ნება. ამის ნიშნებად გასული წლის მსოფლიო ისტორიის გაკვეთილებიც საკმარისი უნდა იყოს (არაბული გაზაფხული, „დაიკავე უოლ სტრიტი!“, საპროტესტო ტალღა რუსეთში და ა. შ.).

რისთვის არის საჭირო ცვლილებები? რისთვის, როგორ და საით?

ჩვენ განვითარება გვესმის, როგორც მრავალმხრივი ჰარმონიული პროცესი საზოგადოების გაუმჯობესებისა ყველა სფეროში, დაწყებული ეკონომიკით, დამთავრებული სულიერებით (...უფრო კი პირიქით). ქვეყნის განვითარების მიზანი, ისევე, როგორც კაცისა, უნდა იყო სწრაფვა სრულყოფილებისაკენ („იყავით სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“).

ჩვენ, ქართველ ქრისტიან-სოციალისტებს, გვჯერა, რომ როგორც სასუფეველი კაცთათვის „იიძულების“ (ბრძოლითა და ძალისხმევით მოიპოვება). ასევე ქვეყანაში განვითარება-პროგრესისათვის სახელმწიფოს (ერის ნების გამომხატველის) ძალისხმევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ხოლო განვითარების ინსტრუმენტი უნდა იყოს დემოკრატიული, ხალხთან შეთანხმებული პოლიტიკა

ასეთი განვითარება რა თქმა უნდა, ვერ შემოიზღუდება ისეთი ცალკეული ვიწრო მიზნებითა და მეთოდებით, როგორიც არის ეკონომიკის ზრდა,

დემოკრატიზაცია, თავისუფალი ბაზარი, ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმი, მოდერნიზაცია და ასე შემდეგ, რაც დღევანდელ მმართველთა გაბატონებული დისკურსია. სინამდვილეში კი რეალობა დამთრგუნველია – სახეზეა: ჩამორჩენილობა, სიღატაკე, უთანასწორობა, სოციალური უსამართლობა, უმუშევრობა...

საჭიროა თუნდაც მცირე, მაგრამ სწორი მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა. ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ გაჟღერებული მოწოდებები და ინიციატივები ეკონომიკის სფეროში, კერძოდ, მცირე მეურნეობების და კოოპერაციის შესახებ, როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

სოციალ-დემოკრატები და მისი ქრისტიანული ფრთა საჯაროდ უჭერდნენ მხარს პატრიარქის ამ მრავალმხრივ სასიკეთო წამოწყებებს და კვლავაც მიესალმებიან მის და მთელი ქრისტიანული მრევლის ძალისხმევას და აქტივობას ქვეყნის განახლება-განვითარებისათვის.

ჩვენ გვჯერა, რომ განვითარება უნდა იყოს ზნეობრივი, სოციალურად, ეკოლოგიურად, ეკონომიკურად მდგრადი და ჰარმონიული.

ჩვენი იდეალია ქრისტიანული სოციალიზმი.

ჩვენი იდეალების განხორციელების გზა რთულია („ვიწრო“), მაგრამ უალტერნატივო.

წარმატებების გარანტია რწმენა, იმედი და სიყვარულია!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

31 დეკემბერი, 2011 წელი

2012

ქრისტიან-სოციალისტთა საშობაო გზავნილი

კარზე მოგვადგა ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული, და ქართველი ქრისტიან-სოციალისტები ვაფვასებთ განვლილ პოლიტიკურ წელიწადს, მომხდარისთვის ვმადლობთ უფალს და რწმენით და სასოებით ვიხედებით მომავლისაკენ.

ჯერ კიდევ შარშანდელ შემოდგომამდე საქართველოში კარგად კონსოლიდებული ავტორიტარული რეჟიმი ბატონობდა, რომლის ცვლილების ნიშანწყალიც კი არ შეიმჩნეოდა (იხ. სოცდემოკრატების „16 თეზისი“).

მაგრამ რაც შეუძლებელია კაცთაგან, შესაძლებელია ღვთისგან...

სწორედ ოქტომბრის არჩევნებამდე ერთი წლის წინ გაჩნდა იმედი ცვლილებებისა და ჩვენც „ქრისტიან-სოციალისტთა საშობაო მიმართვაში“ გამოვთქვამდით რწმენას: „...სურვილი განახლებისა, რომლის დაბადებაც ხალხის შეგნებაში მომწიფდება, აუცილებლად იშვება, მას ვერაფერი შეაჩერებს. ამაოა თანამედროვე ჰეროდეების მცდელობები, წინ აღუდგნენ ცვლილებებს. ისინი ყველანაირი ხერხებით ებრძვიან ხილულ „მესიებს“, მაგრამ ვერ ხვდებიან, რომ მათი მტერი ხელშეუხები და უძლეველია. ეს არის ხალხის ნება. „http://www.facebook.com/pages/ქრისტიან-სოციალისტური-მოძრაობა/236085123073590). არჩევნების წინ კი, სექტემბრის დასაწყისში, ჩვენ გაზეთში გამოვაქვეყნეთ მოწოდება “საარჩევნო სახელმძღვანელო ქრისტიანთათვის“ (იხ. http://www.facebook.com/photo.php?fbid=519429351405831&set=pb.236085123073590.-2207520000.1356931947&type=3&theater).

დიახ, მოხდა სინერგია - ხალხის („ერის და ბერის“) და ღვთის ნების თანხვედრა - დაიძლია შიში და დიდი უსამართლობა.

„სისტემა უნდა დაინგრეს!“, „სამართლიანობა უნდა აღდგეს!“, „სოციალური ხარჯები უნდა გაიზარდოს!“ - აი, განახლებისთვის მებრძოლთა მთავარი ლოზუნგები.

დაწყებულია პროცესი ძველი რეჟიმის დემონტაჟისა და სისტემის ახლებურად - დემოკრატიულად მოწყობისა, შენებისა და არა უბრალოდ „ნგრევისა“, როგორადაც ამას ყოფილნი წარმოგვიჩენენ.

სამართლიანობის აღდგენა, რასაკვირველია, „სიმართლისათვის

დევნილთა“ გათავისუფლება-რეაბილიტაციით უნდა დაწყებულიყო (პარლამენტმა დაამტკიცა პოლიტპატიმართა სია). მიმდინარეობს დამნაშავე ხელისუფალთა მხილების პროცესი... და სადაც დანაშაულია, იქ სასჯელსაც უნდა ველოდოთ. ჩვენ არ უნდა განვიკითხოთ, მაგრამ დაუსჯელობა დანაშაული იქნებოდა. დასჯა თვითმიზანი არ არის, დასჯა უსამართლობის ჩადენის პრევენციაცაა და ცოდვების მონანიების შესაძლებლობასაც იძლევა. გვჯერა, რომ სამართლიანი სასჯელი ღვთის მიერ არის დაშვებული. აღსდგება სამართლიანობა - იქნება მშვიდობა!

იწყება სოციალური სამართლიანობის აღდგენაც. პარლამენტმა დაამტკიცა მომავალი წლის სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო ბიუჯეტი.

ახლა ჟამია მშვიდობისა, მიტევებისა და სიყვარულით შენებისა (გარდუვალია პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან თანაცხოვრება, სწორი იყო პარლამენტის მიერ ამნისტიის შესახებ კანონის მიღებაც).

სახელმწიფოს გადასაჭრელი აქვს ურთულესი ამოცანები: დასაძლევია გაჭირვება (სიღატაკე), უმუშევრობა, ავადმყოფობა, უცოდინრობა და გაუნათლებლობა (მათ შორის - სულიერი), გასაცოცხლებელია სოფელი.

რაც მთავარია, ღვთის შეწევნით ჩვენ უნდა შევძლოთ მტრების მოყვრებად მოქცევა-გავამთლიანოთ, გავაძლიეროთ საქართველო!

უნდა დავიწყოთ განვითარება, განვითარება ჰარმონიული და მდგრადი - ეკონომიკურად, სოციალურად და ეკოლოგიურად დაბალანსებული, ჯანსაღ ტრადიციებსა და ღირებულებებზე დამყარებული.

ჩვენ ჩვენსას შევეცდებით: ერთი თვეა, ჩვენი პარტიის ქრისტიან სოციალისტთა ჯგუფმა დაიწყო ყოველკვირეული შეხვედრები, იგეგმება ჩვენი დღის წესრიგი, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, დაწყებულია დისკუსიები. ვიწვევთ ყველა დაინტერესებულს, ჩაერთოს ჩვენს საქმიანობაში.

ქართველი ქრისტიან-სოციალისტები გულითადად ვულოცავთ სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს-ილია II-ს აღსაყდრების 35-ე და დაბადების 80-ე საიუბილეო თარიღს!

ღმერთმა აკურთხოს ჩვენი ერი და სამკვიდრებელი!

გილოცავთ დამდეგ ახალ წელსა და შობას!

ქრისტეშობისთვის 31 , 2012.

2013

სააღდგომოდ: ქართველ ქრისტიან-სოციალისტთა პოლიტიკური გზავნილი

ქრისტეს აღდგომის მოახლოებული დღესასწაული ჩვენში უწინარესად აღძრავს რწმენისა და მოლოდინის დიდ სიხარულს, რომ მოხდება საყოველთაო აღდგომა-განახლება ჩვენი სულებისა და ყოველივე ღვთივ შექმნილი სამარადიულ სასუფეველში.

მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ სასუფეველი უმოქმედოდ, უზრუნველად, „იძულების“ გარეშე არ მოიპოვება. ამქვეყნიური საზრუნავიც, ღირსეული ცხოვრება ნაწილია, საშუალებაა საუკუნო ცხოვრების, ანუ ცხონების დასამკვიდრებლად.

რა სოციალურ-პოლიტიკურ გამოწვევებს გვიყენებს დღევანდელი რეალობა?

უპირველეს ყოვლისა, როგორია ქართველი ერის განწყობა და მისი ზნეობრივ-სულიერი მდგომარეობა?

უახლესი გამოკითხვებით, მართლმადიდებლურ ეკლესიას როგორც ინსტიტუტს აქვს ყველაზე მეტი ნდობის ხარისხი (95%, მარტი, IRI). მაგრამ გულუბრყვილობა იქნება ფიქრი, რომ ხალხი, საზოგადოება, იმ ცხოვრების წესითა და მცნებებით ცხოვრობს, რომლებსაც ეკლესია ქადაგებს. ღვთისგან განშორება, სიცრუე, სიყალბე, უსამართლობა, ამორალობა და გათითოკაცება (საზოგადოების ატომიზება), ძალადობა, სიხარბე, მომხმარებლობა, მომხვეჭელობა, უწიგნურობა, გაუნათლებლობა, უსაქმურობა, უმუშევრობა, ზოგადად თანამედროვე და მათ შორის ჩვენი საზოგადოების გაბატონებული მანკიერებებია.

მართალია, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაიძლია ძალმომრეობის შიში და „დიდი“უსამართლობა, მაგრამ სამართლიანობის აღდგენა ჯერ კიდევ დღის წესრიგშია. სამართლიანობის აღუდგენლად კი ქვეყანა ვერ დამშვიდდება. უნდა გასწორდეს კანონმდებლობა, უნდა იფუნქციოს მართლმსაჯულებამ!

ჩვენთვის უდავოა, რომ დღეს ქართველი ერის უპირველეს მატერიალურ პრობლემას მისი **სასიცოცხლო სივრცის კატასტროფული მასშტაბითა და ტემპით შემცირება წარმოადგენს:** ჩვენი ტერიტორიების ოკუპირება; უცხო ქვეყნების მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო

და სხვა დანიშნულების მიწების, ტყეების თუ წიაღისეულის დასაკუთრება-დაუფლების ტენდენცია; საცხოვრებელი ბინების უზრუნველყოფით საბანკო იპოთეკური უიმედო დავალიანების არნახული მასშტაბები (თბილისში -70 ათასი?!); უძრავი ქონების და მსხვილი ბიზნესის მითვისება-მონოპოლიზება ერთეულების ხელში; არასწორი ენერგეტიკული პოლიტიკის გამო ტერიტორიების, მდინარეებისა და ლანდშაფტის დატბორვა-განადგურება; სხვა ურბანული და ეკოლოგიური პრობლემები.

ყოველივე ზემოთქმულმა გამოიწვია და დღემდე იწვევს გამოუსწორებელ სოციალურ და დემოგრაფიულ შედეგებს.

როგორია სოციალური ფონი?

სიღატაკისა და უთანაბრობის ყველაზე მაღალი დონე მეზობელ ქვეყნებს შორის, რაც ხშირად ხდება მიზეზი საკუთარი მიწა-წყლის გასხვისებისა და ემიგრაციისა; დაავადებათა მაღალი დონე და ჯანდაცვის მოშლილი სისტემა; უწიგნურობა, გაუნათლებლობა, დაბალი კვალიფიკაცია და ასევე არაადეკვატური და ძნელად ხელმისაწვდომი სპეციალური და უმაღლესი განათლება; მეცნიერება-ინოვაციების სისტემის თითქმის მთლიანად განადგურება.

ამ ფონზე სრულიად ლოგიკურია უმუშევრობა - ყველაზე დიდი წუხილი ჩვენი მოქალაქეებისა (იხილეთ NDI-ის ბოლო გამოკითხვა). ოფიციალური მონაცემებით, 2011 წელს უმუშევარი იყო საქართველოს მოსახლეობის 15,1% (ქალაქი - 26,5%, სოფელი - 6,5%); ძალიან მაღალია უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის - 20-24 წლის ასაკის შუალედში იგი 36,3% შეადგენს. უმუშევრობა კი საფუძველია პიროვნების დეგრადაციისა, რადგან შრომა ღვთის მიერ დადგენილი ნორმაა, რომელიც უფალმა ადამიანს ჯერ კიდევ სამოთხიდან განდევნამდე დაუწესა (შექმნა, 2,15), როგორც ცხოვრების წესი, როგორც წყარო კეთილდღეობისა, და არა როგორც სასჯელი.

მდგომარეობის ასეთი ზოგადი დახასიათებაც კი ცხადჰყოფს, რომ ვითარება, რომელიც მნიშვნელოვანწილად წინა ხელისუფლების მემკვიდრეობად მივიღეთ, ურთულესია და იგი მარტივი, ხანმოკლე ღონისძიებებით ვერ გამოსწორდება - ამასთან დაკავშირებით არ უნდა გვქონდეს ცრუ მოლოდინები და ცრუ იმედები.

მაშ, რაღაა ჩვენი სააღდგომო სიხარულის საფუძველი? ეს არის რწმენა იმისა, რომ, რაც შეუძლებელია კაცთაგან, შესაძლებელია ღვთის შეწევნით. ამის თვალსაჩინო მაგალითი, ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს უახლესი წარსულია. მთავარია, გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი, ადამიანთა, ნება არ ეწინააღმდეგებოდეს ღვთისას.

თუ ჩვენი საზოგადოება, ერი, შეძლებს, გაარჩიოს კეთილი და ბოროტი, შავი და თეთრი, სამართლიანი და უსამართლო, თუ შევძლებთ შინაგან, მორალურ-სულიერ განახლებას და ვიქნებით უფრო სოლიდარულები (მოყვასის მოყვარულნი), თანამდგომნი, მოწყალენი, სამართლიანნი, ერთსულოვანნი, ზომიერნი, ცოდნისმოსურნენი, გულმოდგინენი, ზნეობრივნი - თუ ამ ფასეულობებს პოლიტიკაშიც შემოვიტანთ და შესაბამისად ვიმოქმედებთ (ეს უპირველესად ქრისტიანთა მოვალეობაა), თუ ერთმანეთს შევუხამებთ ტრადიციულობას და მოდერნულობას, მაშინ უბრალოდ კი არ ვიოცნებებთ, არამედ შეგვეძლება გვქონდეს საფუძვლიანი იმედი როგორც ამ ქვეყნის განახლებისა, აღდგენა-აღორძინებისა, ისე ჭეშმარიტი საყოველთაო აღდგომისა.

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

ქრისტეშობიდან 2013 წელი, 4 მაისი
ქრისტიან სოციალისტთა ჯგუფი
სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის

2014

European.ge, 09.01.2014

ქართველ ქრისტიან სოციალისტთა საშობაო წერილი

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა,
ქვეყანასა ზედა მშვიდობა და
კაცთა შორის სათნოება!“ -

აი, ის სანუკვარი ანგელოზთა გალობა (გზავნილი), რომელიც გაისმოდა 2014 წლის წინ ბეთლემში ქრისტე ღმერთის განკაცებისას.

დღესაც, ორ ათასწლეულზე მეტი ხნის შემდეგ კაცობრიობისათვის სანატრელია უზენაესის შემეცნება, მშვიდობა და ადამიანებს შორის კეთილი ურთიერთობები.

პოლიტიკის უმაღლესი დანიშნულებაც ხომ ადამიანთა კეთილმსახურებაა. ჩვენი, ქრისტიანულ-სოციალისტური მოძრაობის, მთავარი მოწოდებაც ესაა: ძმობა-სამართლიანობა-სრულყოფა. შევეცდებით, სწორედ ამ გადმოსახედიდან შევაფასოთ განვლილი წელი.

იდეალური იქნებოდა, თუ ჩვენ შევძლებდით, შეგვეფასებინა, როგორც სულიერ-ფსიქოლოგიური, ისე კულტურულ-მატერიალური პროგრესი (რეგრესი).

ჩვენი აზრით, გასული წლის მთავარი შედეგი მაინც იყო განცდა მეტი თავისუფლებისა, მეტი დაცულობისა, მეტი სიმშვიდისა, მეტი ჩართულობისა და მეტი პერსპექტივისა. მოკლედ, შინ დაბრუნების განცდა.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ NDI-ის პერიოდული კვლევების ნოემბრის გამოკითხულთაგან თითქმის არავის (0%) მიაჩნია, რომ მედიის თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხია და მხოლოდ 1%-ს მიააჩნია ციხეების მდგომარეობა ასეთად. ასევე მცირე - 4% - თვლის, რომ სასამართლო სისტემა არის პრიორიტეტული ეროვნული საკითხი. ხალხის ყველაზე დიდ წუხილად რჩება სამუშაო ადგილები (69%) და ტერიტორიული მთლიანობა (39%). გამოკითხულთა 73% მიიჩნევს, რომ არსებული ხელისუფლება ახორციელებს მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს... და მხოლოდ 10% აღნიშნავს, რომ მათი ოჯახის მდგომარეობა გაუარესდა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ კვლევაში არ დაუსვამთ რესპოდენტებისათვის შეკითხვები ისეთ პოპულარულ თემებზე, როგორებიცაა: სამართლიანობის აღდგენა და კოაბიტაცია. თუმცა ამ კვლევის მიხედვით, არაპირდაპირ შეიძლება დავასკვნათ, რომ ხალხის უმრავლესობისთვის ეს საკითხები არცთუ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ "მართალი სამართლის ქმნა" სახელმწიფოს უზენაესი მოვალეობაა და უმთავრესი საზრუნავია. ამასთან, სამართლიანობა მხოლოდ ვიწროდ არ უნდა გავიგოთ და არ დავივიწყოთ მისი ფართო სოციალური მნიშვნელობა. დიდი წმინდანის, ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით, სამართლიანობა არის დაეხმარო მას, ვინც ამას საჭიროებს.

რაც შეეხება კოაბიტაციას, ჩვენს შემთხვევაში ეს ფენომენი იყო დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის დიალექტიკური ფორმა; მსაჯულისა და განსასჯელის წინააღმდეგობრივი თანაარსებობა; „იქით შეედავე..." პრინციპით მოქმედება ორივე მხრიდან; გამოუცდელის და გამოცდილის ასპარეზობა; არაკომპეტეტურობის და შეცდომების გამო ჩავარდნები და იმედგაცრუებები.

ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, მომხდარიყო „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდის ყოველმხრივი პოლიტიკური შეფასება, ვთქვათ, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი კონფერენციის მიერ საბოლოო დოკუმენტის, რეზოლუციის მიღებით. ეს იქნებოდა კარგი სასტარტო ნიშნული ახალი პოლიტიკური ცხოვრების სწორი ორიენტაციისათვის. იქნებ ასეთი მცდელობა ჯერ კიდევ არ იყოს დაგვიანებული.

დავუბრუნდეთ შეფასებას, თუ როგორი იყო მდგომარეობა და პროგრესი (რეგრესი) სულიერ სფეროში. სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთი კვლევები თითქმის არ ტარდება. მაგალითად, ჩვენ დანამდვილებით ისიც კი არ ვიცით, თუ რამდენია დღეს მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიური მრევლი (მაზიარებელი), მოიმატა მან თუ მოიკლო; რამდენი ეკლესია-მონასტერი და სასულიერო სასწავლებელი ფუნქციონირებდა და ეკურთხა გასულ პერიოდში; როგორი იყო სასულიერო პირთა რაოდენობა და დინამიკა; რამდენი ადამიანი მოინათლა და ა.შ. საინტერესოა ასევე, თუ როგორია ჩვენი სამღვდელოების თუ მრევლის განათლების დონე. მაგ., სასულიერო პირების რა ნაწილს აქვს უმაღლესი სასულიერო განათლება, რამდენს აქვს სამეცნიერო ხარისხი; რამდენია თეოლოგიის დოქტორანტი; ან მრევლში როგორი ცოდნაა - მაგალითად, რამდენს არ აქვს წმინდა წერილი წაკითხული; რა სასულიერო ლიტერატურას თუ პერიოდიკას ეცნობა მრევლი და ა.შ.

აქ დასმულ ზოგიერთ შეკითხვას ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ირიბად

ვუპასუხოთ. მაგალითად, NDI-ის იმავე კვლევის მონაცემებით, გამოკითხულთა 16%-მა უპასუხა, რომ ის კვირაში ერთხელ მაინც ესწრებოდა რელიგიურ მსახურებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ჩვენი მოსახლეობის მინიმუმ 10% მაინც არის აქტიური მართლმადიდებელი მრევლი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკლესია არის ამ ქვეყნის ყველაზე დიდი და ავტორიტეტული ინსტიტუტი. მისი აქტიური წევრი მეტია, ვიდრე სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა (300000). საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 87% აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ან ძალიან მნიშვნელოვანია რელიგიური მრწამსი ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებისას. ცხადია, აქ ვერ შევჩერდებით იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურია ეს პასუხი.

რაც შეეხება ქვეყნის მატერიალურ (სოციალურ-ეკონომიკურ) მდგომარეობას, ამის დადგენა-არტიკულირება საზოგადოებრივ ცნობიერებაში (მასმედიაში) უმეტესად ძალიან შეზღუდულად ხდება, და აქცენტი კეთდება მხოლოდ ეკონომიკური ზრდის აგრეგირებულ მაჩვენებელზე - მთლიან შიგა პროდუქტზე (GDP), რაც სრულიად არასაკმარისია მდგომარეობის დასახასიათებლად. ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცევა, თუნდაც უმუშევრობის დონეს და მის ხასიათს, სიღარიბის და სიღატაკის დონეს ან სიმდიდრისა და შემოსავლების განაწილების უთანაბრობას და სხვ.

მშპ ზრდის ტემპი ნაკლებად განსაზღვრავს ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების შინაარსს. მაგალითად, ხუდონჰესის მშენებლობის დაწყებით თუ ჩვენი ეკონომიკა გაიზრდებოდა 200 მლნ ლარით (ინვესტიცია 1 წელიწადში), მაშინ ჩვენ გვეტყოდნენ, რომ მშპ გაიზარდა დამატებით 0,7%-ით და ეს კარგია. მაგრამ რეალურად ეს იქნებოდა სვანეთის რამდენიმე ულამაზესი სოფლის გაქრობა, ხალხის გადასახლება, 1000 ჰა-ზე მეტი ტყის და სახნავ საძოვრის განადგურება, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა დღეისათვის, ხოლო მომავალში აშკარად მცირე ენერგეტიკული და ეკონომიკური ეფექტი ქვეყნისათვის და დიდი რისკები უსაფრთხოებისათვის. ზოგადად, მშპ-ის გაზრდა ასევე არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ როგორ გადანაწილდა შექმნილი პროდუქტი ვინ (რამდენმა) და რამდენი ისარგელა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი მთავრობის ელექტროენერგეტიკული სტრატეგია მიმართულია ჰიდრორესურსების მაქსიმალურ ათვისებაზე ელექტროენერგიის ექსპორტის მიზნით, რაც პრინციპულად არასწორია და ფიგურალურად რომ ვთქვათ, ნიშნავს საქართველოს სხეულის (მიწა-წყლის) გაყიდვას უმეტესწილად

ერთეულების სასარგებლოდ.

ჩვენი აზრით, მთავრობა ვერ ახერხებს მოიგოს ე.წ. PR ბრძოლა ოპოზიციასთან („ნაციონალური მოძრაობა“) და გვაჩვენოს, რომ გასული წლის მთავარი ამოცანა იყო არა უბრალოდ მშპ ზრდის ტემპის შენარჩუნება, არამედ თვისობრივი შემობრუნება სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაში. ნეოლიბერალური, დაურეგულირებელი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა შეიცვალა სოციალურად ორიენ-ტირებული ეკონომიკური პოლიტიკით და ამას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუმცა, როგორც ჩანს, ახალ მთავრობასაც არ აქვს კარგად გაცნობიერებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია უცვლელი კურსის აღება მდგრად-ეკონომიკურად, სოციალურად და ეკოლოგიურად გაწონასწორებულ განვითარებაზე. საჭიროა ბაზრის ისეთ ჩარჩოებში მოქცევა და მართვა, როცა ეკონომიკური მიზნები ყველა ადამიანზე და მათ გარემოზეა ორიენტირებული და არა მხოლოდ პრივილეგირებულ უმცირესობაზე.

დღეისათვის საქართველოში ჯინის კოეფიციეტი არის 0,41 (0-იქნებოდა აბსოლუტური თანასწორობა), აბსოლუტური სიღატაკეში ცხოვრობს მოსახლეობის 9,7%, ხოლო ფარდობითი სიღარიბე შეადგენს -22%-ს.

ქვეყნის მდგომარეობის დასახასიათებლად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა, მაგალითად,

დემოგრაფიული სურათის მაჩვენებლები: ბუნებრივი მატება, ბავშვთა სიკვდილიანობა, მიგრაციის მაჩვენებლები და სხვა. ჩვენთვის დამაფიქრებელია, რომ მაგალითად, განქორწინებათა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. აბორტების ეთიკურ მხარეზე რომ არაფერი ვთქვათ, სტატისტიკაც დამამწუხრებელია - ყოველ 3 ახალშობილზე მოდის 2 რეგისტრირებული აბორტი.

ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაცვა. ბოლო წლებში იზრდებოდა რეგისტირებულ დაავადებათა რაოდენობა, მათ შორის შიდსითაც, ხოლო საავადმყოფოების რაოდენობა მცირდება.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მდგომარეობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნების მხრივაც. ხარისხზე რომ არაფერი ვთქვათ, ბოლო წლებში მცირდებოდა სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა.

ძალზედ მნიშვნელოვანია *გარემოს მდგომარეობა.* მაგალითად, ჰაერის დაბინძურების დონე თბილისში ნორმაზე მაღალია და მის გამოსასწორებლად თითქმის არაფერი კეთდება. მცირდება

რეკრეაციული ზონები, იმეწყრება და ვტბორავთ ტერიტორიებს, მოუვლელი გვაქვს ტყეები და ა.შ.

გაურკვეველია *მიწის ფონდის* მდგომარეობა, დაუკმაყოფილე-ბელია *საცხოვრებელი ფართით* უზრუნველყოფა, მოუწესრიგებელია *ს ავიზო რეჟიმი* და სხვა საკითხები, რომლებიც მეტ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ყურადღებას იმსახურებენ.

ზემოთ აღნიშნული ბევრი პრობლემის გამოსწორების იმედს გვისახავს გასულ წელს პარაფირებული ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება. ევროპასთან დაახლოება ხომ იმიტომაა მიმზიდველი, რომ ჩვენი ყოფითი ცხოვრების სტანდარტებიც ისეთივე იყოს, როგორსაც ევროპის დადებითი მაგალითი გვიჩვენებს. თუმცა, კრიტიკულნიც უნდა ვიყოთ და გვესმოდეს, რომ რაც ბზინავს, ყოველთვის ოქრო როდია. ჩვენთვის ევროპის უარყოფითი გამოცდილებაც სამაგალითო უნდა იყოს (მაგ. კონსიუმერიზმი, სულიერების დაკნინება, სხვადახვა სფეროში პერიოდული ჩავარდნები და ა.შ.).

რაც შეეხება რუსეთს, ჩვენი აზრით, აქ პრინციპულად სწორი ტაქტიკაა შერჩეული და გვწამს, რომ ზოგჯერ ადამიანურ ძალისხმევაზე მეტად ღვთის ნებაზე მინდობა უფრო მნიშვნელოვანია.

ქართველი ქრისტიან-სოციალისტები ვულოცავთ
ყველა ქრისტიანს,
ყველა მემარცხენე ქრისტიანს,
ყველა პროგრესისტს,
ყველა მოქალაქეს - დამდეგ შობას და ვისურვებთ და ვიზრუნებთ, რომ ახალი წელი იყოს
უფრო ჰუმანური,
უფრო სოლიდარული,
უფრო სამართლიანი,
უფრო სრულყოფილი!
ქრისტეს ნათელი გვეწეოდეს!

სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის
ქრისტიან-სოციალისტური ფრაქციის ლიდერი
დავით ადეიშვილი
თბილისი, ქრისტეშობა, 2014

ქრისტიან-სოციალისტთა სააღდგომო გზავნილი

აღდგომის წინა, ვნების კვირაში ქრისტიან-სოციალისტები კვლავ ვაფასებთ, თუ რა არის ქართველთა ყველაზე დიდი საფრთხეები და წუხილები: უსაფრთხოება და მშვიდობა: მილიტარული ექსპანსია ჩრდილოეთიდან (რუსეთი) - შედეგი - ოკუპირებული ქვეყნის მეხუთედი და აგრესიის გაფართოების საფრთხე; ეკონომიკურ-კულტურული ექსპანსია სამხრეთიდან (თურქეთი) და გლობალური საფრთხეები - შედეგები ჯერ სათანადოდ გაუანალიზებელია; ქვეყნის დემოგრაფიული ბალანსის სწრაფი ტემპით ცვლილება - საქართველოში ქართველთა უმცირესობაში დარჩენის საფრთხე და შიგა ნაციონალური ინტეგრაციის პრობლემები; ეკოლოგიური პრობლემები: გარემოს გავლენა ჯანმრთელობაზე; ჰაერის დაბინძურება; ბიომრავალფეროვნების გაჩანაგება; მდინარეების დაბინძურება და გამალებული დერივაცია (კაშხლებითა და მილსადენებით); საფრთხის შემცველი სურსათი და დანაგვიანება (მყარი ნარჩენები). გარემოსდაცვითი წარმატებულობის ინდექსით (EPI, იელის უნივერსიტეტი) 2014 წლისათვის საქართველო 178 ქვეყნიდან 110-ე ადგილს იკავებს; უმუშევრობა (მოსახლეობის უმთავრესი წუხილი) და შრომის პირობების შეუსაბამო მდგომარეობა, განსაკუთრებით სამთო-მომპოვებელ სექტორში; განათლების არაადეკვატური სისტემა და მეცნიერების სრული დეგრადაცია; ჯანმრთელობის მდგომარეობა და ჯანდაცვის ჯერ კიდევ არასაკმარისი ხელმისაწვდომობა; ეკონომიკის სიმცირე (მშპ ერთსულზე საშუალო ევროპული დონის 10 პროცენტზე ნაკლებია) და ზრდის დაბალი ტემპი; უმუშევრობის (ოფიციალური სტატისტიკით - 15%), უთანაბრობის (ჯინის კოეფიციენტი - 0.41) და სიღატაკის (10%) და მაღალი დონე; სამართლიანობის დამყარების მოლოდინის შეუსრულებლობის განცდა - "შიმშილი და წყურვილი სიმართლისათვის"; მასმედიის მიერ მოვლენების არაადეკვატური, ტენდენციური გაშუქება და არაჯანსაღი, უცხო და უზნეო ცხოვრების წესის პროპაგანდა - საფრთხე ტრადიციული ღირებულებებისათვის; მთავრობის ეფექტიან ქმედებათა დაყოვნება. რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ ერს „დაწყნარებული ცხოვრება გვაქვნდეს, მართლითა სარწმუნოებითა და კეთილ მსახურებისთვის ცხოვრობდეთ"? პირველ რიგში სამართლიანობა, როგორც საგარეო, ისე საშინაო. თუ „არ იქნება სამართლიანობა - არ იქნება მშვიდობა". სამწუხაროდ, დღეს

ჩვენში სამართლიანობის დამყარების მოლოდინის იმედგაცრუებაა - სხვადასხვა ასპექტით, როგორც ძველი, ისე ახალი, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო უსამართლობების თვალსაზრისით. ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიერის მორალური უკმაყოფილებისა. პოსტკომუნისტური პოლიტიკური კლიმატი ისევ დაძაბულია და დაპირისპირებით აღსავსე. როგორც ჩანს, ძველი პოლიტიკური ძალა მხოლოდ კანონმდებლობით არ იყო სიცოცხლის უნარიანი. მათი ცხრაწლიანი მმართველობის ფესვები საკმაოდ ღრმადგადგმული აღმოჩნდა, როგორც ქართულ, ისე უცხურ ბიუროკრატიასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც. სოციალურ სამართლიანობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ იურიდიული სისტემის ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობებთან ერთად, უფრო მეტად ეფექტური მოქმედებაა შესაძლებელი ჩვენს ხალხთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან სათანადო კომუნიკაციის მეშვეობით, განსაკუთრებით მიმდინარე საარჩევნო პერიოდში. მეორე - ეს არის დასაქმება და ღირსეული შრომის პირობები. უმუშევრობა არაბუნებრივი, ღვთისათვის არასათნო ცხოვრების წესია. როგორც მოციქული ბრძანებს, "ვისა არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ" (2 თესალ.). უმუშევრობა მხოლოდ უსახსრობას არ ნიშნავს, არც მხოლოდ სიმდიდრის შესაძენად შრომობენ. უშრომელობა სოციალური უფუნქციობაცაა და ადამიანის არა მარტო დისკვალიფიკაციას, არამედ მორალურ დეგრადაციასაც იწვევს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველა სოციოლოგიური გამოკითხვით, უმუშევრობა ნომერი პირველი პრობლემაა საქართველოს მოსახლეობისთვის. დასაქმებულთა საკმაოდ დიდი ნაწილისთვის კი კვლავ პრობლემური რჩება ღირსეული შრომის პირობებისა და ანაზღაურების საკითხი, მიუხედავად შრომის ახალი კოდექსის ამოქმედებისა. სოფლის მეურნეობაში გარკვეული წარმატებების მიუხედავად, მთავრობის ძალისხმევა ეკონომიკის გასავითარებლად არ არის დამაკმაყოფილებელი და მკაფიო პერსპექტივის მქონე. მხოლოდ მწირი ბიუჯეტის გადანაწილება, ინფრასტრუქტურული პროექტების (მათ შორის - ენერგეტიკული) განხორციელება და ბუნებრივი რესურსების ათვისებაზე იმედების დამყარება ვერ იქნება შედეგიანი (გრძელვადიანი). ჩვენში სევდას და წუხილს იწვევს ისეთი გახმაურებული თემები, როგორებიც არის: ხუდონი, ჭიათურა, კაზრეთი, ზესტაფონი, დარიალი, აჭარა და ა.შ. მაგალითად, ჰიდროელექტროენერგიის სტრატეგიულ საექსპორტო პროდუქტად გამოცხადება მიწა-წყლის გაყიდვის ტოლფასად და მოკლევადიან, არარაციონალურ, უგნურ პოლიტიკად უნდა ჩაითვალოს. ცალკე უნდა აღინიშნოს მოსახლეობის მასობრივი დავალიანების

გადახდისუუნარობის და უბინაობის საკითხები, რაც არა მხოლოდ სოციალური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემაცაა. არსებობს ალტერნატიული პოლიტიკური ხედვა: ინოვაციური ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა გახდეს მთელი ეკონომიკის განვითარების ლოკომოტივი. თანამედროვე საინჟინრო პროდუქტების შექმნა და მრეწველობის განვითარება ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას მომსახურების სხვა და სხვა დარგებშიც, აგრობიზნესშიც, სწავლება-კვლევებში და ა.შ. ასეთია ევროკავშირის ახლანდელი ე.წ. ინდუსტრიული რენესანსის პოლიტიკა. ევროკავშირთან ასოცირება ევროპული ორიენტირების გაზიარებას გულისხმობს, განსაკუთრებით სოციალურ-მატერიალური უზრუნველყოფის (კეთილდღეობის) თვალსაზრისით. აქ მათი წარმატებები უეჭველია. ჩვენ გვინდა არა გამოთიშვის და უთანასწორობის, არამედ ჩართულობის (ინკლუზიური), შედარებით თანაბარი ეკონომიკა. არა კონსუმერული, ფულის და ბაზრის გაფეტიშებით მართული ეკონომიკა, არამედ სოციალურ-ეკოლოგიურად რეგულირებული ბაზარი - ჰუმანური, მდგრადი განვითარება. მესამე - სულიერ-კულტურული უწყვეტობა და მდგრადობა. არ უნდა ვივიწყებდეთ უფლის შეგონებას: „რაი სარგებელ ეყოს კაცსა უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს?“(მათე,16,26). ეკონომიკური ურთიერთობები, შრომის რეჟიმი, განათლების და სოციალურ-სამართლებრივი სისტემები, მასმედია „ამსოფლიური სულის“ბატონობას კი არა, ხელს უნდა უწყობდეს და ავითარებდეს ერის ტრადიციული ღირებულებების და მაღალი სულიერების მქონე თანამედროვე ცხოვრების წესს. შეუძლებელია, სახელმწიფო და მთავრობის პოლიტიკები მნიშვნელოვნად არ ითვალისწინებდეს ქვეყნის ყველაზე დიდ და ავტორირეტულ ინსტიტუტს - ჩვენს მართმადიდებელ ეკლესიას (იხ. ჩვენი საშობაო (2014) წერილი). ჩვენ უნდა შევძლოთ და დავძლიოთ ის, ჩვენის აზრით, არაარსებითი წინააღმდეგობა ჩვენი მისწრაფებებისა, რომელიც სულიერ-კულტურულ ტრადიციონალიზმსა და სოციალ-ეკონომიკურ, ყოფით პროგრესულობაში მდგომარეობს. ერთმანეთს უნდა შევუხამოთ ტრადიციულობა და მოდერნულობა, ამ ცნებების საუკეთესო გაგებით. ამისათვის კი უპირველესად ადეკვატური, ხარისხიანი, უწყვეტი ცოდნის და განათლების სისტემაა აუცილებელი. ჩვენ ჯერ კიდევ ველით საქართველოს მთავრობისაგან განათლების და კულტურის პოლიტიკების საჯაროდ მიღებასა და გატარებას. შესაძლოა, ამავე ტრადიციულობა-მოდერნულობის მორიგება-შეთავსების კონ-

ტექსტში უნდა განვიხილოთ რუსეთთან და დასავლეთთან ჩვენი დღევანდელი ურთიერთობებიც. პრიორიტეტული პრობლემების გამოკვეთა და მათ გადაჭრაზე უპირატესად სახელმწიფოებრივი ზრუნვა შედეგის მიღწევის საიმედო საფუძველია. დღეს ქრისტიან-სოციალისტები ასეთნაირად ვუყურებთ არსებულ რეალობას და ვლოცულობთ ჩვენი ქვეყნის აღდგენა-გამთლიანება-განახლებისათვის! გვწამს და ვსასოებთ, რომ დაცემას წამოდგომა მოსდევს, მწუხარებას - სიხარული, ჯვარცმას - აღდგომა! აღდგომა იმედის, სიცოცხლის, გამთელების, განახლების დღესასწაულია!

გილოცავთ დამდეგ აღდგომას!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

2015

საშობაოდ

ღმერთი (სიტყვა) იმიტომ განკაცდა, რომ კაცი (ადამიანი) ღმერთი გამხდარიყო, - ამბობენ წმინდა მამები.

ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის (ქრისტიანის) ცხოვრების აზრი მუდმივი სრულყოფაა, ღვთის მსგავსებისკენ სვლაა, მიზანი კი - განმღრთობა - ცხოვნებაა.

სულიერ-ზნეობრივი სრულყოფის გზაზე სიარულის სწავლება ეკლესიის პრეროგატივაა. როგორ ემსგავსოს, სათნოეყოს ადამიანი შემოქმედ ღმერთს ყოველდღიურ ყოფაში? მხოლოდ კეთებით („ექვს დღე იქმოდე“), ანუ სიკეთეების ქმნით. სიკეთეების ქმნის ფართო სპექტრი არსებობს: რუტინული შრომიდან ნამდვილ ხელოვნებამდე, ქველმოქმედებამდე.

ადამიანი (ერი) არ უნდა იყოს მხოლოდ ღმერთის ან სხვა ადამიანების მიერ შექმნილი სიკეთეების მომხმარებელი. არ უნდა ვიცხოვროთ „ობივატელური“ ცხოვრებით - „ვზრუნავდეთ და ვშფოთავდეთ“ მხოლოდ შექმნილის მოხვეჭისთვის (სული კი „ვიზღვიოთ“).

დღეს ჩვენი განწყობა და ენერგია შემოქმედებისკენ არ არის მიმართული, თითქოს ეს აღარ არის ჩვენი საქმე და ფუნქცია, არ გვაქვს შემოქმედ-მწარმოებლის ამბიცია, და ამიტომაც ვხდებით სხვებზე დამოკიდებული და განუვითარებელი.

ჩვენი განუვითარებლობა-ჩამორჩენილობა აშკარაა:

- მატერიალური სიკეთეების (ერთობლივი შიდა პროდუქტის) სიმცირე
- სამარცხვინო სიღატაკე
- უმუშევრობა და უსაქმურობა
- უთანაბრობის მაღალი დონე
- განათლების და მეცნიერების დაბალი დონე
- მწირი და იმპორტზე დამოკიდებული ეკონომიკა
- ნედლი ან მცირედ დამუშავებული ბუნებრივი რესურსების ექსპორტი
- გარემოსადმი და კულტურული მემკვიდრეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება
- მძიმე მორალურ-სულიერი და სოციალური ფონი.

ჩვენ უპირველესად უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი მდგომარეობა და აღვიდგინოთ შემოქმედებითი სული საქმიანობის ყველა სფეროში.

სახელმწიფო ინსტიტუტები, ხელისუფლება უნდა გახდეს ამ ნების ურყევი და პრინციპული გამომხატველი, ხელშემწყობი და მასტიმულირებელი, თუნდაც არაორდინალური, გაბედული და შემოქმედებითი მიდგომებით. სწორედ სახელმწიფო უნდა გახდეს მამობილიზებელი გაფანტული ძვირფასი ადამიანური რესურსისა, თავდადებული პროფესიონალებისა. უპირველესად მთავრობამ უნდა შექმნას ატმოსფერო შემოქმედებისა, უნდა დაუბრუნოს ხალხს რწმენა იმისა, რომ ჩვენც შეგვიძლია!

ჩვენ შეგვიძლია თანამედროვე, რეგიონული და მსოფლიო მასშტაბის კონკურენტუნარიანი მატერიალური და ინტელექტუალური პროდუქტებისა და სერვისების შექმნა. ეს მით უმეტეს, შესაძლებელია დღევანდელი ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პირობებში.

ჩვენ არ უნდა ვიყოთ მხოლოდ უცხოური დახმარებებისა და ინვესტიციების პასიური მომლოდინე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი მიმართულია ჩვენი მიწისა და ბუნებრივი სიმდიდრეების დასაკუთრება-ათვისებაზე.

ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი, თამამი მაგრამ რეალისტური პროექტები მოდერნულ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, განათლებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში...

შემოქმედების სული ჩვენში ბუდობს და მას „ამოშვება“ სჭირდება. ვირწმუნოთ, რომ ჩვენ ეს გამოგვივა, რადგან სარწმუნოა წმინდა წერილი, „ეძიებდით და პოვოთ... ირეკდით და განგეღოთ“.

გვჯერა, რომ ამ გზით არის შესაძლებელი ჩვენი განვითარება, გაძლიერება, გამთლიანება, კეთილდღეობა და გადარჩენაც!

ვილოცოთ, რომ შობის ამ ბრწყინვალე დღესასწაულის მადლით მოგვენიჭოს რწმენა განახლებისა, შემოქმედებისა და წარმატებისა!

შობა-ახალ წელს გილოცავთ!

თბილისი, ქრისტეშობა, 2015.

სააღდგომოდ

მოახლოებული აღდგომის დღესასწაული კვლავაც გვაბრუნებს განსჯისკენ - რამდენად სწორად არის მოწყობილი, ან რამდენად სწორად ვაწყობთ ჩვენს ეკონომიკურ, შრომით თუ ყოფით უთრთიერთობებს. როგორ ბატონობს ჩვენზე ამსოფლიური წუხილები, რატომ „ვზრუნავთ მრავლისათვის“, რა არის და სად არის „საუნჯე“ და, შესაბამისად, სად არის „გული ჩვენი“?

ეროვნული ვალუტის გაუფასურება და არა სიმყარე ნაციონალური ტრაგედიის რანგში აგვყავს. სიმდიდრის და უფლებისთვის ბრძოლას კი თან სდევს კონფლიქტები, ტრაგედიები და მკვლელობები.

დავა და კამათია ეკონომიკური პოლიტიკის ტაქტიკის სიმცდარე-სისწორეზე, მართლმსაჯულების ნაკლოვანებებზე და არა პრობლემების ფუნდამენტური მიზეზების ძიებაზე.

წლების განმავლობაში არანორმალურად დეფიციტურია ქვეყნის ექსპორტ-იმპორტი. ჩვენ გვინდა, მოვიხმაროთ იმაზე მეტი, ვიდრე გამოვიმუშავეთ. ჩვენ არ ან ვერ ვიზღუდებით მოხმარებაში მაშინ, როცა ვერაფერს ან ცოტას ვქმნით და ვთავაზობთ დანარჩენ მსოფლიოს ამ მოხმარების სანაცვლოდ. შესაბამისი პოლიტიკის უქონლობა კი ისეთ შედეგებს იძლევა, როგორიც გვაქვს. არადა, შეგვიძლია, გვქონდეს გაცი-ლებით ეფექტური და ადეკვატური სავაჭრო, სავალუტო და ინდუსტრიული პოლიტიკები.

ჩვენ მეტი დაფიქრება გვმართებს სიღატაკეზე, უთანაბრობაზე, აუცილებელ და ჭარბ მოხმარებაზე - ჩვენს კონსუმერიზებულ სულზე. სიმდიდრე და ბევრის მოხმარება არ ნიშნავს ბედნიერებას (მით უმეტეს - ცხოვნებას) არც პიროვნულ და არც ეროვნულ დონეზე (ამას ადასტურებს თანამედროვე სოციოლოგიური და ეკონომიკური კვლევები).

ჩვენ გვინდა ვფლობდეთ იმას, რაც არ შეიძლება ერთეულებს ეკუთვნოდეს. დავისაკუთროთ ის, რითაც მთელი ქვეყანა, ქალაქი ან სოფელი უნდა სარგებლობდეს. ესაა მიზეზები კონფლიქტებისა თუ ტრაგედიებისა.

ჩვენ მეტად უნდა დავფიქრდეთ ისეთ ეკონომიკურ კატეგორიებზე, როგორებიც არის საზოგადო სიკეთეები (public goods), საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრება. უსამართლობაა, კერძო მფლობელობაში იყოს მთელი ერისა და მომავალი თაობებისთვის განკუთვნილი ბუნებრივი რესურსები და სიმდიდრეები, მათ შორის ტყე, ტბები, მდინარეები და მიწაც.

ჩვენ გვესმის სახელმწიფო მენეჯმენტის ნაკლოვანებები, მაგრამ კარგადაა ასაწონი, რომელია მეტი ბოროტება ან სიკეთე, რას ვკარგავთ და რას ვიგებთ განსაზღვრულ შემთხვევებში სახელმწიფო საკუთრების არსებობით. ხშირად რეგულაციები გარდაუვალი აუცილებლობაა.

დიდი ხანია, აღიარებულია, რომ ქვეყნის განვითარების, კეთილდღეობის, კარგად ყოფნის საზომად მხოლოდ ეკონომიკური სიკეთეების (მაგ. მთლიანი შიდა პროდუქტი) და მათი ზრდის მაჩვენებლები არ არის საკმარისი, ამიტომ სულ უფრო მეტად სარგებლობენ სხვადასხვა კომპლექსური ინდექსებით, როგორებიც არის ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI), მდგრადი ეკონომიკური განვითარების შეფასება (SEDA, ათი განზომილებით), ბედნიერების შეფასებები და სხვა.

ჩვენი, ქრისიტიან-მემარცხენეების აზრით, კარგი იქნებოდა, ქვეყნის მდგომარეობის მრავალმხრივ შეფასებებს დაემატოს ისეთი უმნიშვნელოვანესი განზომილება, როგორიცაა სულიერება - ვთქვათ, ქვეყნის სულიერი მდგომარეობის ინდექსი. მართალია, რთულია ამ ინდექსის სტატისტიკური გამოყვანა, მაგრამ ირიბად შედეგების მიღწევა შესაძლებლად მიგვაჩნია. მაგალითად, კომბინაცია ისეთი მაჩვენებლებისა, როგორებიც არის: მარხვის დამცველთა რაოდენობა, სასულიერო პირთა (სხვადასხვა აღმსარებლობის) რაოდენობა, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც უიმედობის განცდა აქვთ, სუიციდების და დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფთა რაოდენობა, სასულიერო ლიტერატურის მკითხველთა რაოდენობა და სხვ. ქვეყნის კარგად ყოფნის შეფასებაში, სულიერი სიჯანსაღე არ უნდა იყოს უგულებელყოფილი.

აღდგომა არის უკვდავების და განახლების დღესასწაული, შანსი და შესაძლებლობა ცვლილებებისა. ყველაფერი ჩვენს კეთილნებასა და ღვთის შეწევნაზეა დამოკიდებული.

აღდგომის მადლით მოგვენიჭოს უნარი კეთილის და ბოროტის გარჩევისა, ცვლილებების უნარისა, სწორი ცხოვრებისა, რათა ვცხონდეთ.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს !

ქრისტე აღსდგა!

თბილისი, 2015

2016

საშობაო გზავნილი

შობა ღვთის განხორციელებაა, ახალი იმედების ჩასახვის, სასოების დღესასწაულია!

ქრისტიან მემარცხენეებს, ქრისტიან სოციალისტებს გვწამს, რომ ღვთის შეწევნითა და ჩვენი მიზანსწრაფულობით ახალი წელი იქნება:

- უფრო სამართლიანი, როგორც ფართო გაგებით, ისე მართლმსაჯულების აღსრულების თვალსაზრისით;
- გადაიდგმება ნაბიჯები ქვეყნის გამთლიანებისკენ;
- შემცირდება სიღატაკე და გაუმართლებელი უთანასწორობა;
- შემცირდება უმუშევრობა და გაიზრდება სამუშაო ადგილები;
- გაუმჯობესდება დემოგრაფიული დინამიკა და ბალანსი;
- ქვეყანა უფრო დემოკრატიული იქნება და განისაზღვრება სწორი პრიორიტეტები ეკონომიკურ-სოციალური და ეკოლოგიური თვალსაზრისით - მდგრადი განვითარების მიზნებისკენ;
- ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროპას და გაიზიარებს მის საუკეთესო ღირებულებებს - იქნება უფრო სოლიდარული, თავისუფალი და კომფორტული, ევროპელ ერთა მრავალფეროვნებაში;

დღეს ჩვენ ასევე გვინდა ვირწმუნოთ, რომ მსოფლიო იქნება უფრო მშვიდობიანი და დაცული - შეწყდება სისხლისღვრა და დევნა ახლო აღმოსავლეთში!

ჩვენ ვერ ვიქნებით გულგრილნი ქრისტიანთა სასტიკი დევნისა და შევიწროებისადმი როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში!

მსოფლიო ვეღარ იცხოვრებს ტერორისტების შიშის ქვეშ!

გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები გასულ წელს მიღწეული გლობალური შეთანხმებების აღსასრულებლად, რათა ჩვენი პლანეტა იყოს ფიზიკურად მეტად დაცული (პარიზის კონფერენცია კლიმატურ ცვლილებებზე) და უფრო მეტად განვითარებული (გაეროს კონფერენცია მდგრადი განვითარების მიზნები, ნიუ იორკი).

გვინდა ვირწმუნოთ, რომ ჩვენ, ქართველები, უფრო სრულყოფილნი გავხდებით როგორც სარწმუნოებრივი, ისე სულიერი და ზნეობრივი თვალსაზისით!

შობა - სასოების, იმედების, ახალი შემართების დღესასწაულია!

გილოცავთ ქრისტეშობას!

თბილისი, 2016

სააღდგომო მილოცვა

ქრისტე აღსდგა!

გილოცავთ იმედის, განახლების და უკვდავების ბრწყინვალე დღესასწაულს!

ქრისტიან-მემარცხენეებს გვწამს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ქრისტიანული აღმსარებლობა, ტრადიცია, მსოფლგანცდა სათანადოდ გარდაისახება იმ პოლიტიკურ ნებად, რომელიც დაამარცხებს ჩვენს ქვეყანაში სიღატაკეს, უმუშევრობას, გაუნათლებლობას და უცოდინრობას, ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, უსამართლობა-უთანასწორობას, უზნეობა-ამორალობას.

დიდება მაცხოვრის აღდგომას!

გიხაროდენ!

2017

გზავნილი საშობაოდ

ჩვენ, ქრისტიან-მემარცხენეებს, ქრისტიან-სოციალისტებს შობის ბრწყინვალე დღესასწაული კვლავაც დაგვაფიქრებს ამსოფლიურ და მარადიულ ცხოვრებაზე...

ახალშობილ ქრისტეს მოგვებმა ოქრო, გუნდრუკი და მური მიართვეს - სიმბოლოები სარწმუნოებისა, სასოებისა და სიყვარულისა, როგორც ამას მაქსიმე აღმსარებელი განმარტავს.

გვჯერა, რომ სწორედ რწმენა, იმედი და სიყვარულია ის უმთავრესი გზამკვლევი, რითაც უნდა ვეძიოთ „პირველად სასუფეველი ღმრთისა“ და… „ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (მათე 6, 33).

რა ამსოფლიური - გლობალური თუ ეროვნული - პრობლემები გვაწუხებს ჩვენ დღეს ყველაზე მეტად?

- გლობალური კლიმატური ცვლილებით გამოწვეული მოსალოდნელი შედეგები: გვალვები, წყალდიდობები, მოუსავლიანობები, ეკომიგრაციები.

- ომი სირიაში, „ისლამური სახელმწიფოს“ ბარბაროსობა და ქრისტიანთა დევნა

- ლტოლვილების პრობლემები და ლტოლვილობით გამოწვეული კრიზისი ევროპაში

- მძვინვარე ტერორიზმი და მზარდი მემარჯვენე პოპულიზმი

- საფრთხე ჩრდილოეთიდან და დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა

- სიღატაკე, უმუშევრობა და ქვეყნის მზარდი უარყოფითი დემოგრაფიული ბალანსი

- გარემოს დაბინძურებითა და ხელყოფით გამოწვეული პრობლემები

- ეროვნული ვალუტის გაუფასურება - არასტაბილურობა და დაკნინებული რეალური სექტორი

- არანორმალური უთანაბრობა და მშრომელთა დარღვეული უფლებები

პრობლემების ჩამოთვლაც კი ძნელია...

ჩვენ მოგვწონს ხელისუფლების ლოზუნგი სწრაფი განვითარების და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების აუცილებლობის შესახებ, თუმცა გვაეჭვებს ამ მიზნის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯები თუ დასახული ამოცანები.

როგორი უნდა იყოს მთავრობის პრიორიტეტი ქვეყნის განვითარებისათვის?

ჩვენთვის ბიბლიური ჭეშმარიტებაა, რომ შრომა ღმერთის მიერ ადამიანისთვის დადგენილი ცხოვრების წესია და ამიტომაც სათნოება, ხოლო უსაქმურობა და უმუშევრობა დეგრადაციის საწინდარი.

შრომა კარგია, კეთება უკეთესი, ხოლო შემოქმედება - ღმერთის (შემოქმედის) „მიბაძვა“. ამიტომ, რაც მეტადაა შრომა. კეთება შემოქმედებითი (ინოვაციური), მით უფრო ღირებულია და სარგებლიანიც. ამ პრინციპით უნდა ხდებოდეს **შრომისა და საქმიანობის შეფასება-დაფასებისა და სტიმულირების პოლიტიკაც.**

ამ კონტექსტში, ეკონომიკური თვალსაზრისით რომელი არჩევანია უფრო მნიშვნელოვანი და სტრატეგიული: „Visit Georgia “თუ “ვაწარმოოთ საქართველოში“? ინჟინერ-პროგრამისტები თუ კულინარ-მიმტანები? სამწუხაროდ, ამ კითხვის პასუხი დღეს მცდარადაა გაცემული, რაც ქვეყნის განვითარების შედეგებზეც შესაბამისად აისახება.

როგორც სულიერი, ისე მატერიალურ-კულტურული განვითარება-სრულყოფა ჩვენი მოძრაობის მთავარი საკითხია - ამიტომაც ვამახვილებთ დღეს ყურადღებას ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს ორიენტირზე.

ჩვენი პატრიარქი მოგვიწოდებს: „ვილოცოთ, ვიფიქროთ, წარმოვშვათ იდეები და ვიშრომოთ. თუ ამას გავაკეთებთ, ვიქნებით ბედნიერი“.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე, რომლის გარეშე „არცა ერთი რაი ძალგიც“.

მოგილოცავთ ქრისტეშობას!

7 იანვარი, 2017

სააღდგომო გზავნილი

ჩვენ, ქრისტიანები, ქრისტიან-მემარცხენეები კვლავაც წითელი კვერცხებით ვეგებებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, სიმბოლოთი განახლებული და მარადიული სიცოცხლისა, რომელიც ქრისტეს უმანკო სისხლითაა ჩვენთვის მონიჭებული.

დღეს ჩვენი ფიქრი ჩვენი *მართლმადიდებლური ეკლესიის* მთლიანობისა და მომავალისკენ არის მიმართული და გვწამს, რომ დროებათა

რყევები, „ქრისტიანთა“ სისუსტეები თუ მანკიერებანი ვერ დააზიანებენ ქრისტიანობის და წმინდა ეკლესიის სიმტკიცესა და მარადიულობას!

ჩვენ გვაფიქრებს ჩვენი განსაახლებელი *კონსტიტუცია,* რომელიც უნდა გახდეს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ჩარჩო და მომწესრიგებელი. ცხადია, კონსტიტუცია არ უნდა ზღუდავდეს ხელისუფლებას მეტი საზოგადოებრივი სიკეთის შექმნასა და ზოგადად განვითარების ხელშეწყობაში, არ უნდა ათავისუფლებდეს მას ასეთი პასუხისმგებლობებისაგან. ვშიშობთ, კონსტიტუციის პროექტზე მომუშავეთ კარგად არ აქვთ შეგნებული ეს უმნიშვნელოვანესი პრინციპები და არ ძალუძთ, დაძლიონ წინამორბედი ხელისუფლების მიერ შექმნილი ულტრალიბერალური ბარიერები კონსტიტუციაში. მხედველობაში გვაქვს მიზანშეწონილი და მოქნილი ფისკალური პოლიტიკის გატარების შეუძლებლობა კონსტიტუციით დაკანონებული რეფერენდუმის მექანიზმის მეშვეობით. ამ შეზღუდვის მოხსნა საციცოცხლოდ აუცილებელია შესაბამისი პრიორიტეტებზე დაფუძნებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკების გასატარებლად.

ზემოთქმულის გამოცაა, რომ *სიღატაკე და არანორმალური უთანაბრობა* კვლავაც რჩება ქვეყნის განვითარების დამაბრკოლებელი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და ეს პრობლემა ჯერაც არ და ვერ გამხდარა პოლიტიკური ზრუნვის ნამდვილი პრიორიტეტი.

ამას ემატება სათანადოდ გაუცნობიერებელი და გაუაზრებელი საგანგაშო *დემოგრაფიული ვითარება*-მოსახლეობის რიცხოვნობისა და ბუნებრივი მატების შემცირება, მოსახლეობის “დაბერება“, შიგა და გარე მიგრაცია. ამ მიმართულებით სათანადო პოლიტიკების არქონა და დაყოვნება გამოუსწორებელი შედეგების მომტანია.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით საქართველოს მიერ წინ გადადგმულ დიდ პოლიტიკურ ნაბიჯს - ევროკავშირთან *გაიოლებულ სავიზო რეჟიმს.* ეს არის ისტორიულად ქრისტიანულ სამყაროსთან კულტურასა და ტრადიციასთან ჩვენი ბუნებრივი სწრაფვის შედეგიც. თუმცა, სრული *ინტეგრაცია ევროპასთან* რთული და ხანგრძლივი პროცესია და მას სიკეთეებთან ერთად ბევრი სირთულე და პრობლემა თან ახლავს - ეს სათანადოდ არ არის გააზრებული ჩვენს საზოგადოებაში.

მსოფლიო პოლიტიკურ ძალთა ახლანდელი დაპირისპირება და ურთიერთქმედება გლობალურად თუ ახლო აღმოსავლეთში ახალი გეოპოლიტიკური ცვლილებების მომასწავებელია. ვიმედოვნებთ, რომ ეს პროცესები ჩვენ ძალისხმევასთან ერთად შეიქმნიან პირობებს ჩვენი უმთავრესი პრობლემის გადაწყვეტად - სამართლიანობის აღდგენად -

საქართველოს გაერთიანება-გასამთლიანებლად!

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და თანამდგომი!

ქრისტე აღსდგა!

აღდგომა, თბილისი, 2017

2018

გაზ. სოციალ-დემოკრატი #2

შობას - ღვთის განკაცება-გამოცხადების დღესასწაულს გილოცავთ!

შობის დღესასწაული თავისი მადლმოსილებით კვლავაც გვავსებს რწმენით, იმედითა და სიყვარულით. სწორედ, გამოცხადების სარწმუ-ნოებრივი და ფილოსოფიური გააზრება გვანიჭებს ძალას, ვიმოქ-მედოთ პირადი და საზოგადო ცხოვრების ისე წარსამართვისათვის, რომ საფუძველი შეექმნას სანეტარო მარადიულ მომავალს.

მართლმადიდებელი მორწმუნის, მრევლის სულიერი ცხოვრების წარმმართველი ჩვენი ეკლესიაა, ხოლო საზოგადო ცხოვრების განმსაზღვრელი - უპირატესად, სახელმწიფოა თავისი ინსტიტუციებითა და პოლიტიკით.

დღეს გვინდა, ჩვენც შევუერთდეთ ჩვენი პატრიარქის ინტრონიზაციის 40 წლისთავის და დაბადების 85 წლის მიმლოცველთა მრავალრიცხოვან რიგებს, - არა მხოლოდ საქრისტიანოდან, - და მადლობა ვუთხრათ მას ჩვენი ეკლესიისა და ერის სულიერი წინამძღოლობისათვის საბჭოთა და გარდამავალი პერიოდის ურთულეს ეპოქაში.

ეკლესიასთან ერთად სახელმწიფოა ის ძალა, რომელიც დიდად განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას. თუ გვწამს, რომ მორალურ-სულიერი სრულყოფა, ძველი ადამიანის განახლება აუცილებელი წინაპირობაა როგორც ამქვეყნიური, ისე სამარადისო ცხოვრებისთვის (ცხონებისთვის), მაშინ მატერიალური კეთილდღეობა, ცხოვრების წესი და განვითარებაც ამ მიზანს უნდა დაექვემდებაროს.

როგორც პიროვნების, ისე ქვეყნის სასიკეთო განვითარება შეუძლებელია უმიზნოდ - მხოლოდ თვითგანსაზღვრულობისა და თვითრეგულირების იმედად. შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ ცალმხრივი, უთანაბრო და არამდგრადი.

მართალია, განვითარება არ დაიყვანება ეკონომიკურ ზრდამდე, მაგრამ მის გარეშე შეუძლებელია მატერიალური კეთილდღეობა -

უმუშევრობის მინიმუმამდე დაყვანა, სიღატაკის აღმოფხვრა, სოციალური გარანტიებისა და საზოგადო სიკეთეების შექმნა.

ყოველივე ზემოთ თქმული მიზანდასახულად არის საკეთებელი, და ამაში წარმმართველი ძალა, სწორედ, სახელმწიფოა. მთავრობაზეა დამოკიდებული, რა იქნება ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები მოცემულ დროში.

რაც მეტია შემოქმედება-შემქმნელობა, მით მეტია განვითარება - მათ შორის ეკონომიკაშიც. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რას ვაკეთებთ, რას ვსაქმიანობთ-როგორია ეკონომიკის შინაგანი სტრუქტურა და შექმნილი სიკეთეების განაწილება.

ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის გაუგებარია, მაგალითად, ტურიზმის პრიორიტეტულობა სამრეწველო-ინდუსტრიულ დარგებთან შედარებით, მაშინ, როდესაც დადგენილი და საყოველთაოდ აღიარებულია ინდუსტრიული ეტაპის გავლის აუცილებლობა და როლი ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარებისთვის. ეს პროცესი კი სახელმწიფოსგან მოითხოვს პოლიტიკურ, ინსტიტუციურ და ფინანსურ მხარდაჭერას, შესაბამის განათლების პოლიტიკას, სამეცნიერო, კვლევითი და განვითარების (R&D) ცენტრების შექმნისაუცილებლობას და ა.შ.

ჩვენ ვწუხვართ და ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო ძალისხმევა აკლია ქვეყნის დემოგრაფიული და მიგრაციული პრობლემების ეფექტიან გადაწყვეტას. ეს ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფეროა, რომლისთვისაც არ უნდა დავიშუროთ რესურსები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დემოგრაფიულ და მიგრაციულ პრობლემებს დიდად განაპირობებს რეგიონული განუვითარებლობა და სტიქიური ურბანიზაცია, გაუაზრე-ბელი და უკონტროლო მშენებლობები როგორც ქალაქად, ისე სოფლად და ამით გამოწვეული სოციალურ-ეკოლოგიური პრობლემები.

არ შეგვიძლია, არ შევეხოთ ქრისტიანთა დევნის და შევიწროების თანამედროვე პრობლემებს მთელს მსოფლიოში, ახლო აღმოსავლეთში და ჩვენშიც. ქრისტიანობა ყველგან და ყველა დროში იდევნებოდა, ეს დღევანდელობის გამოწვევაცაა. სამწუხაროდ, ინფორმაციულ სივრცეში სათანადოდ არ აისახება ქრისტიანთა ტერორის, დევნისა თუ უფლებათა შელახვის ფაქტები, ვერ ვახდენთ ამაზე პოლიტიკურ რეაგირებას, სოლიდარობის გამოხატვას.

მოგიწოდებთ, ვილოცოთ მათთვის, ვიზეც მაცხოვარი ბრძანებს - „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა...“ (მათე, 5:10, 11).

ვილოცოთ და ვიმოქმედოთ ისე, რომ ღირსნი გავხდეთ ქრისტეს თქმულისა მის მიმდევრებზე: „თქვენ ხართ ნათელნი სოფლისანი“ (მათე, 5:14).

შეგეწიოთ ქრისტეშობის მადლი!

თბილისი, 6 იანვარი, 2018

აღდგომა-2018

მაცხოვრის აღდგომა - დაცემული კაცობრივი ბუნების ჯვარცმით განკურნებისა და ღმერთთან შერიგების დღესასწაული!

სწორედ ჯვარცმითა და აღდგომით დაიბრუნა კაცობრიობამ, თითოეულმა ჩვენგანმა შესაძლებლობა ზეციურ სამშობლოში, სამოთხეში, დაბრუნებისა. ამ შანსის გამოყენება ჩვენი შეგნებული არჩევანით და მუშაკობით არის შესაძლებელი, გზამკვლევი აქ ჩვენი - მართლმადიდებელი ეკლესიაა.

სადაც უნდა ვიყოთ და ვცხოვრობდეთ დედამიწაზე, სასუფევლისკენ მიმავალი გზის გავლა შესაძლებელია, თუ „გზამკვლევს“ სწორად მივყვებით... მაგრამ, ვიდრე ამ სოფელში ვართ, გვინდა და შესაძლებელია, აქაც გვქონდეს ღირსეული ცხოვრება -კეთილდღეობა და ბედნიერება.

ამისთვის იღწვოდნენ და იბრძოდნენ ადამიანები, მსოფლიოს ხალხები, მათ შორის - ჩვენი დიდი წინაპრები. 147 წლის წინ ერის მამად წოდებული, ეკლესიის მიერ წმინდნად შერაცხული ილია მართალი, ილია ჭავჭავაძე, ირონიულ-რიტორიკულ კითხვას სვამს: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!“

ვნახოთ, როგორი პასუხი აქვს ამ შეკითხვაზე გაეროსთან ასოცირებულ მსოფლიო ბედნიერების ანგარიშს-**World Happiness Report 2018.**

ამ ანგარიშის მიხედვით, ჩვენზე „ბედნიერი“ (ანუ ნაკლებად ბედნიერი) კიდევ 28 ერი-სახელმწიფოა (სიის ბოლო 20%), ხოლო ჩვენზე უფრო ბედნიერი - 127 ქვეყანა.

ბედნიერების ინდექსის მიხედვით, ქვეყნების რანჟირება ძირითადად ეყრდნობა 2015-2017 წლებში. **გელაპის** საყოველთაოდ ცნობილი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს. ამ კვლევის მიხედვით, **ფინეთი** გვევლინება 2017 წლის უბედნიერეს ქვეყნად, ხოლო შემდეგი სამი ქვეყანაა: ნორვეგია, დანია და ისლანდია. ბოლო სამი ადგილი კი ასე ნაწილდება: **ბურუნდი (156),** ცენტრალური აფრიკის

რესპუბლიკა (155) და სამხრეთ სუდანი (154); ჩვენი მეზობელი სომხეთი საქართველოს მხოლოდ 0, 02 ქულით ჩამორჩება (ათბალიანი სისტემით) და 129-ე ადგილს იკავებს; აზერბაიჯანი 87-ე ადგილზეა, უკრაინა კი - 138-ზე...

რა ფაქტორების შეფასებას ეყრდნობა ბედნიერების ინდექსი, ანუ რა განსაზღვრავს ერის ბედნიერებას? კვლევის თანახმად, ეს არის ექვსი მთავარი ცვლადი:

1. შემოსავალი ერთ სულზე; 2. ჯანმრთელი ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა; 3. სოციალური თანადგომა; 4. თავისუფლება გადაწყვეტილებებში; 5. ნდობა ხელისუფლებისადმი; 6. გულუხვობა (generosity, ქველმოქმედების ფარდობა შემოსავალთან).

ვნახოთ, როგორია ამ კრიტერიუმებით საქართველოს შეფასება დასახელებული კვლევისა და ილიას „ბედნიერი ერის“ მიხედვით:

1. შემოსავლის მიხედვით, საქართველო 156 ქვეყანაში 89-ე ადგილზეა- „არრის მქონე,/არრის მცოდნე,/უზრუნველი და მშიერი“;

2. ჯანმრთელი ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა- 64,2 წლით 77-ე პოზიცია -„ყოვლად მთმენი,/ ვით ჯორ-ცხენი,/ ნახედნი და ღონიერი“;

3. სოციალური თანადგომა - 149-ე ადგილი - „მტვერწაყრილი,/ თავდახრილი,/ყოვლად უქმი, უდიერი/უზრუდონი, /გზამრუდონი,/ არგამტანი და ცბიერი“;

4. თავისუფლება - 113-ე ადგილი - „ყველა უნჯი,/ ყველა მუნჯი,/ გულჩვილი და ლმობიერი,/თვალაბმული,/თავაკრული,/პირსლაგამი ზომიერი“;

5. ნდობა ხელისუფლებისადმი (კორუფციის აღქმა) - 128-ე ადგილი - „ყველა ყრუი,/ ყველა ცრუი,/ჭკვადამჯდარი, გულხმიერი/მცირე, დიდი,/ ყველა ფლიდი,/ცუღლუტი და მანკიერი“;

6. გულუხვობა - 152-ე - ბოლოდან მე-4-ედგილი - „მტვერწაყრილი,/ თავდახრილი,/ყოვლადუქმი,/ უდიერი...“

მოკლედ, ილიას დიაგნოზი ჩვენი ერის „ბედნიერებაზე“ თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ „მეცნიერულად“დასტურდება.

ამიტომაც „გარბიან“ საქართველოდან ბედნიერების მაძიებელნი: 2016 წელს ქვეყნის მიგრაციული სალდო იყო მინუს 8,1 ათასი კაცი; ემიგრანტი - 98 ათასი, მათ შორის საქართველოს მოქალაქეობის მქონე იყო 64,7 ათასი ემიგრირებული; საქართველოს მოქალაქეების მიგრაციის უარყოფითი სალდო -17 ათასზე მეტი კაცი; დადებითი სალდო აქვთ საქართველოში მიგრირებულებს - თურქეთიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, ინდოეთიდან და სხვ.

პოულობენ კი ბედნიერებას ემიგრანტები უცხოეთში?

ზემოხსენებული კვლევა გვარწმუნებს, რომ, მართალია, ემიგრანტების „ობიექტური მდგომარეობა უმჯობესდებოდა“, მაგრამ მათი ბედნიერების ხარისხი (აღქმა) ნაკლები იყო მასპინძელ მოქალაქეებთან შედარებით; მიზეზები: ექსპლუატაცია, სოციალური გათიშულობა, სახლის ძებნა, წარუმატებელი ასიმილაცია... და „ასკვნიან“: უმჯობესია, ხალხი გაბედნიერდეს საკუთარ ქვეყნებში, ბედნერი ქვეყნების დახმარებით. აქ უნდა გავიხსენოთ ილიას თანამედროვე რაფიელ ერისთავი: „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა...“

ფაქტები (სტატისტიკა) კი ასეთია: 2015 წელს მსოფლიო მოსახლეობის 3,3% - 244 მლნ კაცი ცხოვრობდა სხვა ქვეყანაში - 4-ჯერ მეტი, ვიდრე 1970 წელს, 700 მილიონს კი უნდოდა მიგრირება; ევროპის მოსახლეობის 10-15% მიგრანტია;

დავუბრუნდეთ „გზამკვლევს“, გავიხსენოთ მაცხოვრის სიტყვები: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება“. ქრისტიანებს გვწამს, რომ მხოლოდ ეს გზა არის ამსოფლიური ამაოების გამაქარვებელი და ჭეშმარიტი, ნამდვილი ბედნიერების მომტანი... თუმცა, „რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა“... უნდა ვიზრუნოთ უკეთესი სოფლისათვის ზოგადად და კერძოდ, აქ ჩვენს „სოფელში“, ჩვენს „მამულში“. ეს კი ნამდვილად შესაძლებელია უკეთესი, განმავითარებელი, განმაახლებელი პოლიტიკით (იხ. „ქრისტიან-სოციალისტთა“ წინა გზავნილები).

აღდგომის - განახლების დღესასწაულის მადლი გვეწეოდეს!

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

თბილისი, 6 აპრილი, 2018

2019

ქრისტიან-მემარცხენეთა საშობაო წერილი

ქრისტიანებს გვწამს, რომ ზუსტად 2019 წლის წინ კაცობრიობას მოევლინა **„უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“ ... „რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა“...** და ვინც თვითაა ჭეშმარიტება, სიცოცხლე და გზა, რომელსაც მივყავართ **„ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა“** (მრწამსი).

ბოლო რამდენიმე კვირაა, მთელ საქრისტიანოში სუფევს გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი, ტრადიციებში გამოხატული სიხარული ქრისტეშობის დღესასწაულისა. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აქტუალურობას არ კარგავს მე-19 საუკუნეში დიდი გერმანელი მოაზროვნის, „გამოცხადების ფილოსოფიის“ ავტორის, ფრიდრიხ შელინგის შეფასება: „ქრისტიანობა ჯერ შეცნობილი არ არის და მხოლოდ ახლა იწყება მისი ნამდვილი გააზრება“.

ხშირად ისმის წუწუნი ერში კალენდარულ უხერხულობაზე საშობაო - საახალწლო ზეიმის აცდენის გამო დროსა და სივრცეში, მაგრამ ეს, აღარაფერი რომ ვთქვათ თეოლოგიურ არგუმენტებზე, სასარგებლოცაა იმისთვის, რომ ამ გზით-„დროის სულთან დისონანსით“, „სურვილთა დათმობით“- უფრო მეტად ვიგრძნოთ და გავაცნობიეროთ ამ დიადი დღესასწაულის მნიშვნელობა და დავამყაროთ ქრისტესთან კავშირი, უკეთ შევიცნოთ ქრისტიანობა და არ ავცდეთ „გზას“.

გზიდან გადაცდომის, გზააბნევის საშიშროების რისკები კი მაღალია ამსოფლიურ ამაოებებში, მითუმეტეს, თუ სტიმული ნაკარნახებია „საწუთოსა ოდენ განზრახვითა“. ამის კარგი მაგალითია გასულ წელს ლამის ეროვნულ დონეზე „ოფიციალურად“ შესვლა ისეთ საცდურებში, როგორიცაა -ვერცხლისმოყვარება, სიხარბე, ანგარება, განცხრომა, მთვრალობა, ოცნება და სხვა... ალბათ მიხვდით, მხედველობაში მაქვს მცდელობა დაკანონებულიყო, ლეგალიზებულიყო კანაფის (მარიხუანის) კულტივირება საქართველოში, რაც თითქოს მოტივირებული იყო სამედიცინო და კოსმეტიკური მიზნებისთვის მისი წარმოების ზემაღალი რენტაბელობით.

ამ, ერთი შეხედვით სასარგებლო, ეკონომიკურად გამართლებული

პოლიტიკის უკან, საბედნიეროდ, საზოგადოებამ დაინახა რისკი მასთან დაკავშირებული საშიში და მავნე შედეგებისა (ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის დღევანდელ მოცემულობაში), ეკონომიკური ტერმინოლოგიით - უარყოფითი ექსტერნალიებისა. ერთი ლათინური გამოთქმის პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ - ის, რაც უზნეოა, არ შეიძლება, სასარგებლო იყოს.

ამ სარისკო გადაწყვეტილების განეიტრალების საქმეში, მოგეხსენებათ, დიდი როლი ითამაშა ეკლესიამ - სამღვდელოებამ და მრევლმა. ეს არის კარგი მაგალითი პოლიტიკაზე ეკლესიის სასიკეთო გავლენისა.

ჩვენი მხრიდან კი ვიტყვით, რომ ეკონომიკური კეთილდღეობისა და სულიერი განვითარების ურთულესი ამოცანა ვერ განხორციელდება მარტივი და „ეფექტური“ საშუალებებით. ჩამორჩენილობის დასაძლევად საჭიროა რთული და თანმიმდევრული კომპლექსური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, აპრობირებული მეთოდებითა და ინსტრუმენტებით, რაც თავის მხრივ შესაბამის ხედვას, დიდ ძალისხმევასა და კომპეტენციას მოითხოვს სახელმწიფოსაგან. ვიმედოვნებთ, რომ სათანადო პოლიტიკური წინაპირობების შექმნითა და ღვთის ნებით, ასეთი დროც მალე დადგება საქართველოში.

მხოლოდ აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებითა არის შესაძლებელი ახლა უკვე ოფიციალურად აღიარებული და ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად დასახელებული, სიღატაკის (უკიდურესი სიღარიბის) დაძლევის ამოცანა.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ბოლო წლებში ასეთი მოსახლეობის წილი ქვეყანაში 20%-დეა შემცირებული. თუმცა, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო ბანკის განსაზღვრებით, სიღარიბის ზღვრად (extreme poverty) დადგენილია 1,90 $ (2011 წლის მსყიდველუნარიანობის პარიტეტით) მოხმარება ერთ სულზე დღიურად. ამ კრიტერიუმით, 2016 წელს უკიდურეს სიღარიბეში იყო მსოფლიო მოსახლეობის 10% (736 მლნ), საქართველოში კი 4,2% (9% 2012 წ). იმავე წყაროს თქმით, 3%-იან ზღვარს ქვემოთაა მსოფლიოს ქვეყნების ნახევარი, რაც ალბათ ჩვენი სამიზნეც უნდა გახდეს უახლოესი წლებისათვის.

ცხადია, მხოლოდ სიღატაკის აღმოფხვრა ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი. საჭიროა, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ქვეყანაში მაღალი უთანაბრობის (ჯინის კოეფიციენტი დაახლოებით 0,4) შემცირებას და მდგრადი საშუალო კლასის ჩამოყალიბებას, რაც უკვე სერიოზულ საფუძველს შეუქმნის ქვეყნის კეთილდღეობას, პოლიტიკურ სტაბილურობას და სულიერ განვითარებასაც.

დიახ, სულიერ განვითარებასაც... ტრადიციულად იყო შეხედულება, რომ რელიგიური გრძნობები უფრო მაღალია საზოგადოების უღარიბეს ფენებში, მუშათა კლასში (ვებერის იდეა არაპრივილეგირებულთა ღვთისმოსაობის შესახებ და მარქსისტული ახსნა-რელიგიის მასებზე ზემოქმედების შესახებ, როგორც ოპიუმისა და დამაიმედებელისა იმქვეყნიური ჯილდოთი).

ახალი კვლევები კი ცხადყობს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში რელიგიურობა - ეკლესიაში სტაბილურად მოსიარულეთა - უფრო მაღალი მაჩვენებელია საშუალო კლასში, ხოლო ყველაზე დაბალი მათში, ვინც შემწეობას იღებს.

სამწუხაროდ, ასეთი სოციოლოგიური კვლევები ჩვენი საზოგადოების შესახებ პრაქტიკულად არ ტარდება და უნდა ვივარაუდოთ, რომ იგივე დასკვნები ვრცელდება ჩვენზეც.

აღსანიშნავია, რომ სულ ახლახან გამოქვეყნდა საინტერესო კვლევა საქართველოში საშუალო კლასის სტატისტიკურ-ეკონომიკური შეფასების შესახებ (ებერტის ფონდის მხარდაჭერით), რომლის მიხედვითაც ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით 25% შეიძლება ჩაითვალოს საშუალო კლასად. საბედნიეროდ, ეს მაჩვენებელი სტაბილურად იზრდება, თუმცა სასურველი დონე ჯერ კიდევ მისაღწევია (მინიმუმ 50%). ვფიქრობთ, აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა ამ თემაზე, განსაკუთრებით თვისობრივ ასსპექტებში, მ.შ. რელიგიურ-სარწმუნოებრვი კუთხითაც.

ავტოკეფალიის თაობაზე უკრაინაში: მრწამსის თანახმად, ჩვენ გვჯერა რომ არსებობს **„ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“.** რაც შეეხება **ავტოკეფალიებს,** ისინი კანონიკურად ერთიანი ეკლესიის ტერიტორიული ერთეულები შეიძლება იყოს და როგორც წესი ემთხვევიან სახელმწიფო-ადმინისტრაციულ საზღვრებს. მათი არსებობა, ასე ვთქვათ, მხოლოდ ტექნიკური მიზეზებით არის განპირობებული და არანაირად ეთნიკური (ფილეტიზმი) თუ სხვა, მათ შორის, პოლიტიკური ნიშნით ნაკარნახევი.

მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიებად დაყოფის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა, თვით კიევ-მოსკოვისა და კონსტანტინოპოლის საეკლესიო ურთიერთობები, ჩვენის აზრით, ყველანაირ საფუძველს იძლევა, იმისათვის, რომ აღიარებულ იქნეს მოთხოვნა უკრაინის ტერიტორიაზე ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობისა.

ჩვენ, ქრისტიანები, ვალდებულნი ვართ ვაღიაროთ სიმართლე, მიუხედავად მოსალოდნელი გართულებებისა, ამ შემთხვევაში რუსეთის

პოლიტიზირებული საპატრიარქოს მხრიდან, რაგან მტკიცედ გვწამს სახარებისეული სწავლების, **„ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“ (მათე, 5:10).**

და აი, დღეს მსოფლიო პატრიარქმა ბართლომემ მის მიერ გუშინ ხელმოწერილი უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელი დოკუმენტი (ტომოსი) ოფიციალურად გადასცა კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ეპიფანეს.

გვჯერა, რომ ეს აღიარება საბოლოოდ აუცილებლად მოხდება ჩვენი სინოდის მიერაც, მიუხედავად ტაქტიკური დაყოვნებებისა.

შეგეწიოთ უფლის ხორციელად შობის-ღვთაებრივი სიტყვის განკაცების ბრწყინვალე დღესასწაულის მადლი!

გილოცავთ!

თბილისი, 6 იანვარი, 2019

მე - სტუდენტი, ვაჟა-ფშაველას სახელობის სტიპენდიანტი, დაახლოებით 1978-80 წლები, ვაჟაობაზე ღამისთევით. ფოტო გადაღებულია ჩარგალში, სახლ-მუზეუმთან

მწვანეთა მოძრაობის აქტივისტ-მეგობრებთან (1989-92):

მარიკა დარჩია და ლადო ჭანტურია

ნატო კირვალიძე და გია პირადაშვილი

ნაირა გელაშვილი



1990 წლის 8-9 აპრილის ღამე, 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავი. მარცხნიდან: მე, მიხეილ ჭკუასელი, ირაკლი კაკაბაძე, ზურაბ ჟვანია, დავით გაგოშიძე, დავით ბაშალეიშვილი, მალხაზ ბიწაძე, იულონ გაგოშიძე, გოგა კალანდაძე

ერთ-ერთი პირველი საშვი ევროპარლამენტში დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქისთვის; ევროპელი მწვანეების მიწვევით



ფოტო დიუკის უნივერსიტეტის (აშშ) ჟურნალისთვის, დიუკის კამპუსის საცხოვრებელში

been appointed vice provost for academic

STUDENT SNAPSHOT

GRAPPLING WITH GREEN PRIORITIES

For Dato Adeishvili, the best way to save his native country of Georgia was to leave. Adeishvili, a thirty-four-year-old economist and environmentalist from the Georgia Republic's capital of Tbilisi, intends to return home in September, but not before he has gained the tools necessary to assist the former Soviet republic's transition to a market economy.

Last October, Adeishvili came to Duke on a Benjamin Franklin Fellowship from the U.S. Information Agency. His goal was to learn about the benefits and perils of a capitalist economy through Duke's Professional Development Program in Economics, Environment, and Political Science. The one-year, non-degree program allows him to take graduate courses in these three interrelated disciplines.

These courses are no remote intellectual exercise for Adeishvili: They will make up the mental road map for a man trying to redirect the destiny of a nation. And Georgia will not be a clone of the American mass consumption society, if he has his way. "My ideal system is a market regulated by green priorities," he says. "I consider myself part of this new movement, this new economics."

Adeishvili's awareness of the intertwined concerns of politics, economics, and the environment crystallized during a 1989 popular protest against a woefully inefficient Soviet dam project that would have laid to waste a large part of Georgia. The protest was a simultaneous expression of autonomy, economic rationality, and environmental responsibility.

Since achieving independence, Georgia has followed the pattern of many former Socialist countries by descending into ethnic conflict. But Adeishvili kept his eyes on the future. He helped found the Georgian Green Party and the Caucasian Institute for Peace, Democracy, and Development, a political and academic think tank.

Adeishvili admits that he has taken time to enjoy the comforts available to Duke students and Americans in general. He shops at Northgate Mall, swims in a pool near his Central Campus apartment, and jogs regularly through the Sarah P. Duke Gardens. But intensive courses, workshops, and conferences have taught him the environmental costs of basing an economy on convenience and the unbridled consumption of resources.

"From an environmental standpoint, this lifestyle is very dangerous.... But I feel how difficult it is to change," he says, gesturing to the styrofoam cups and paper plates in his own apartment.

After spending the summer working for an international environmental consulting firm, Adeishvili plans to rejoin his wife, Hatuna, a journalist, and their baby daughter in Georgia, where he will finish his doctoral dissertation and continue the work of modernizing the Georgian economy.

—James Shiffer

Adeishvili: learning the economics of environmentalism

DUKE MAGAZINE July–August 1993

ჩემი პროფილი დიუკის უნივერსიტეტის ჟურნალში, 1993


CONSERVATION AND SUSTAINABLE DEVELOPMENT II
SPRING 1993

AWARD TO

Mikhail ("Datu") Adeishvili

For

Most Intellectual

April 20, 1993

„კონსერვაციისა და მდგრადი განვითარების“ კურსდამთავრებულებში გამარჯვებულის სერთიფიკატი, ნომინაციაში - „ყველაზე ინტელექტუალური“

საჯარო პოლიტიკის პროფესორ ბილ ეშერთან, რომლისაგანაც ბევრი ვისწავლე, მათ შორის - პოლიტიკის კულუარებზეც

სენატორი ედმონდ მასკი გვმასპინძლობს მისი სახელობის სტიპენტიანტებს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, მეინის შტატი, 1993

მასკი და მასკის სტიპენდიანტი

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში მიღებაზე. ქართველ სტიპენდიანტთა ჯგუფი სენატორ ჯორჯ მიტჩელთან, ვისი ინიციატივითაც დაწესდა ბენჯამინ ფრანკლინის სახელობის სტიპენდია, რომელიც მოგვიანებით მასკის სახელობისა გახდა, 1993

ქართველ სტიპენდიანტთა ერთი ჯგუფი კაპიტოლიუმთან, 1993

თეთრ სახლთან, 1993

სტუმრად ამერიკელ მეგობრის ოჯახში ხათუნასთან ერთად, 1993

ჩემი საშვი მსოფლიო ბანკში სტაჟიორობის პერიოდში

12-21 June 1994
Nijenrode University
The Netherlands Business School
Breukelen The Netherlands

First International Programme on the Management of Sustainability

The Foundation Board

Frans W Evers LLM Chairman
Robin Bidwell
drs Paul de Jongh
Professor Kenneth Hoyt
Professor Lawrence Susskind, PhD
Jeroen Bartels

Sponsored by

The Netherlands Ministry of Housing, Spatial Planning and the Environment (VROM)

Environmental Resources Management Group

Nijenrode University, The Netherlands Business School

This is to certify that

Mikhail Adeishvili

has successfully completed the **First International Programme on the Management of Sustainability**

June 1994

Professor Lawrence Susskind
Director of the Faculty

მდგრადობის მართვის პირველი საერთაშორისო პროგრამის კურსდამთავრებულის სერთიფიკატი, ნიჯენროდის უნივერსიტეტი, ჰოლანდია, ივნისი, 1994

მდგრადობის მართვის პირველი საერთაშორისო პროგრამის მონაწილეთა შორის, 1994

საბოლოო ნაშრომის პრეზენტაცია „ვენის ერთობლივი ინსტიტუტის“ გაღრმავებულ კურსზე, ვენა, ავსტრია, 1995

„ვენის ერთობლივი ინსტიტუტის“ გამოყენებითი საბაზრო ეკონომიკის გაღრმავებული კურსის 1995 წლის გამოშვება, ვენა, 1995

ვენა-თბილისი 24 წლის შემდეგ. „ვენის ერთობლივი ინსტიტუტის“ წარმომადგენელთა და ქართველ კურსდამთავრებულთა შეხვედრაზე, თბილისი, 2018

სამხრეთ აფრიკა. „დედამიწის მეგობრების“ („Friends of the Earth“) მიერ ორგანიზებულ კონფერენციის მონაწილეებთან მდგრადი განვითარების პრობლემატიკაზე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, აღმოსავლეთ ლონდონი, 1996

გაზეთ „7 დღის“ ავტორთა კლუბის წევრებთან, მარცხნიდან: მერაბ კვეკვესკირი, შოთა მაქაცარია, ირაკლი კოპლატაძე, 1996

ტრანსპორტის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტის დროს ვენაში, მერაბ ადეიშვილთან, ზვიად კვაჭანტირაძესთან და მარიკა დარჩიასთან ერთად, 1999

საფრანგეთში ლევილის ქართველ ემიგრანტთა სასაფლაოზე - ნოე ჟორდანიას
და ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავებთან, 1998

მარიამ ბაგრატიონთან, მის მიერ ორგანიზებული
ვიზიტისას ესპანეთში, 1998

ქართული სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა
დელეგაციის წევრები სემინარზე ვაშინგტონში, აშშ-ში. ჩემგან მარჯვნივ:
ნათელა სახოკია, ვაჟა ბერიძე, ნანა ადეიშვილი, 2000

ჩემს თანაავტორთან და ძველ მეგობარ, საქართველო - აშშ ბიზნეს ასოციაციის
აღმასრულებელ მდივანთან – მამუკა წერეთელთან ერთად. ვაშინგტონი, 2000

ახალი აბრეშუმის გზის ფორუმზე. ტრანსპორტის მინისტრის მოადგილესთან, გია ნიჟარაძესთან ერთად. ქსიანი, ჩინეთი, 2001

ახალი აბრეშუმის გზის ფორუმზე, ქსიანი, ჩინეთი, 2001

წმინდა მიწაზე, მერაბ ონიანთან და რეზო ჭირაქაძესთან, 2006

მიღებაზე საპატრიარქოში,
ღონისძიების „დიასპორის დღე“ ფარგლებში, 2007

ქართველ სოციალ-დემოკრატების დელეგაცია საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე (ლიონში), ჩემგან მარცხნივ: ბექა ნაცვლიშვილი, სოფო ჯაჯანაშვილი („მაესტროს“ რეპორტიორი), გია ჟორჟოლიანი, პარიზი 2012

ხუდონჰესის მშენებლობის
საპროტესტო აქციაზე ხაიშში, 2013

საარჩევნო კამპანია. მხარს ვუჭერთ ბექა ნაცვლიშვილს, თბილისის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატს, კრწანისი, 2014

ევროპის ინდუსტრიული პოლიტიკის საკოორდინაციო სემინარზე ეკონომიკის სამინისტროდან, ბრიუსელი, მარტი, 2015

ახალგაზრდა მწვანე აქტივისტთა აქციაზე.
უნივერსიტეტის მეორე კორპუსი. თბილისი, 2015

ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი
განათლების სამინისტროში, 2016

ვმასპინძლობთ გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის
დელეგაციას, თბილისი, ფუნიკულორი, 2016

ცნობილი ამერიკელი ინდუსტრიალისტ-ეკონომისტი
დანი როდრიკი და ნუგზარ კაჩუხაშვილი
ჩემი მობილურის კადრში, თბილისი, 2016

ბესტსელერის - „როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები...
და რატომ რჩებიან ღარიბებად ღარიბი ქვეყნები“
ავტორი ე. რეინერტი ჩემგან მარცხნივ,
სოცდეკებთან შეხვედრაზე, თბილისი, 2016

„კავკასიური სახლის მეგობრების“ შეხვედრაზე,
ჩემს მარცხნივ ზვიად ავალიანი, „კავკასიური სახლი“, 2017

დიასპორის დღის აღნიშვნა მთაწმინდაზე,
ჩემგან მარჯვნივ მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი და
ისტორიკოსი პაატა სურგულაძე, მთაწმინდა, მაისი, 2017

პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავი და დიასპორის დღის აღნიშვნა:
ნოე ჟორდანიას შვილთან, რეჯებ ჟორდანიასთან
თბილისი, სასტუმრო „ბილტმორი“, 2018

დიასპორის დღის აღნიშვნა მცხეთაში, ჩემგან მარცხნივ საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილე, ჩემი მეგობარი ზვიად გონაძე, 2018

საქართველო საპატიო სტუმარი-ქვეყანა
ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, 2018 წლის ოქტომბერი

აკა მორჩილაძესთან და ლადო ჭანტურიასთან

ნაირა გელაშვილთან

გიორგი ლობჟანიძესთან

შეხვედრა „დარგობრივი და რეგიონალური განვითარების კომპანიის“ ოფისში. მირიან გოგიაშვილი, ლევან კვერნაძე, დევიდ ლი, 2018

დარგობრივი და რეგიონული განვითარების კომპანიის ანალიტიკური ჯგუფი. მერაბ კაკულია, ნოდარ კაპანაძე, 2019

პრესკონფერენციაზე-მწვანე ეკონომიკა დეკლარირებულიდან რეალური პრიორიტეტის რანგში! ნაირა გელაშვილთან და დათო ჭიპაშვილთან, 2019

საქართველოს პარლამენტი. მწვანეთა ფრაქცია. გია გაჩეჩილაძე და ფრაქციის აპარატის უფროსი, ჩემი მეგობარი მერაბ შარაბიძე, 2019

ჯეფრი საქსი, მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებული ექსპერტი–ლიდერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, 2019

ჩვენი ოჯახი: ლიზა, ხათუნა, ანდრი. გერმანია, 2018

დავით (მიქაელ) ადეიშვილი
ჩემი ხედვების ქრონიკა პერესტროიკიდან დღემდე
ეკონომიკური პოლიტიკა
მდგრადი განვითარება
სარწმუნოებრივი პოლიტიკა

თბილისი Tbilisi 2019

David (Michael) Adeishvili
Chronicle of My Visions from Perestroika to Nowadays
Economic Policy
Sustainable Development
Politics of Christians on the Left

ფინანსური მხარდაჭერა: „მწვანე ეკონომიკის ცენტრი“
Financial support by Green Economy Center, NGO

რედაქტორი	ხათუნა მაისაშვილი
Redactor	**Khatuna Maisashvili**
ტექნიკური რედაქტორი	თამარ პირველაშვილი
Technical redactor	**Tamar Pirvelashvili**
ყდის დიზაინერი	ალექსანდრე ჩარკვიანი
Designer	**Alexander Charkviani**

ISBN 978-9941-9569-0-4
UDC (უაკ) 338.2+27-4 (479.22)
ა-271

© კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი, 2019
თბილისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. N20
www.caucasianhouse.ge
© მწვანე ეკონომიკის ცენტრი, 2019
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

დავით ადეიშვილის ხედვების გამო

დავით ადეიშვილი უკვე გასული საუკუნის 90-იან წლებში გვთავაზობდა ეკონომიკური განვითარების იმ გზას, რომელიც დღეს დედამიწის გადარჩენის ერთადერთ გზად არის მიჩნეული მოწინავე კაცობრიობის მიერ: ეს გახლავთ „მდგრადი განვითარება“, რასაც „მწვანე ეკონომიკასაც“ ვუწოდებთ. თავად ტერმინი „მდგრადი განვითარება“ დავით ადეიშვილის დანერგილია საქართველოს ეკონომიკური აზროვნების სივრცეში. და მას, მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთ დამფუძნებელს, თავისი მრავალი „მწვანე“ თანამებრძოლისაგან განსხვავებით, არასოდეს უღალატია ამ პრინციპებისა და იდეალებისათვის.

დავით ადეიშვილის ეს წიგნი ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენს წინაშეა მეცნიერის ის ტიპი, რომელიც სჭირდება როგორც მთელი კაცობრიობის, ასევე საქართველოს წინაშე აღმართული უმწვავესი პრობლემების გადაჭრას: იგი მხოლოდ ერთი დარგის, ამ შემთხვევაში, ეკონომიკის წარმომადგენელი კი არ გახლავთ, არამედ მისი პროფესიული ცოდნა შერწყმულია ეკოლოგიურ, ზოგადჰუმანიტარულ და რელიგიურ განათლებასთან.

სწორედ ამ ფართო კონტექსტიდან აღმოცენდება დავით ადეიშვილის ღრმად ეთიკური მიმართება სამყაროსადმი, როგორც ღვთის საკრალური ქმნილებისადმი და მისი მოქალაქეობრივ-პროფესიული პოზიცია: არ შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფცია (თუ ასეთი რამ საერთოდ არსებობს) იყოს გამოხატულება უპატივცემულობისა სამყაროს, ბუნების, ანუ ღმერთის შესაქმის მიმართ, ანუ არ შეიძლება სახელმწიფო განასახიერებდეს მომხმარებელი ადამიანის მტაცებლურ ინსტინქტს, რომელიც ანადგურებს ბუნებას, სასიცოცხლო სივრცეს, კულტურას ვითომ-მცდა ეკონომიკური მოგების მიზნით. რადგან ამ გზაზე არავითარი „მოგება“ არ არსებობს, ეს უბრალოდ სიკვდილის გზაა.

ასე რომ, დავით ადეიშვილის პრინციპებს ღრმად ქრისტიანული ძირები აქვს და ასე ჩანს, რომ მის მიერ საქართველოს აზრობრივ სივრცეში პირველად გაჟღერებულ ხედვასა და სწავლებას - ქრისტიანულ ეკოლოგიურ სოციალიზმს - ყველაზე მეტად შესწევს უნარი, ოდესმე რეალობად აქციოს მწვანეთა ძველი ოცნება და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრინციპი: „ეკონომიკა ექვემდებარება ეკოლოგიას“.

ნაირა გელაშვილი, 25 მარტი, 2019

9 789941 956904